

ძველი  
ქართული სამეცნიერო

საქართველოს მეცნიერებათა  
აкадеმიის გამომცემი: თბილისის  
საბჭოთაო გამომცემლობა

---

თბილისი — 1953

რედაქტორი: შრომ. ილ. აბულაძე:



## წინასიტყვაობა

„ძველი ქართული სამართლის“ გამოკვლევის საგანს შეადგენს ბეჟა-ალბულას კანონების სახელწოდებით ცნობილი სამართლის წიგნი, რომელიც შეიცავს ძვირფას მასალას XIII—XIV საუკუნის საქართველოს სოციალური და იურიდიული წყობილების შესახებ. ბეჟა-ალბულას კანონებს გარდა სამართლის წიგნში დაცულია ბაგრატ კურაპალატის კანონმდებლობა და კანონიკური სამართლის ნორმები, რომლებიც ასახავენ XI საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ ურთიერთობას, კერძოდ—სახელმწიფო და საეკლესიო ხელისუფლების დამოკიდებულებას, და წარმოადგენენ ქართული საერო და საეკლესიო სჯულმდებლობის უძველეს ნიმუშებს.

ბეჟა-ალბულას სამართლის წიგნი შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სამართლის ყველაზე უფრო სრულყოფილი კოდექსია, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე და განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნზე. XVIII საუკუნის დასაწყისში ბეჟა-ალბულას კანონთა მუხლების უდიდესი ნაწილი, სათანადო რედაქციით, ვახტანგ VI შეიტანა თავის სამართლის წიგნში და ამით ეს ნორმები სანქცირებული იქნა კანონმდებლის მიერ როგორც მოქმედი სამართალი.

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ბეჟა-ალბულას კანონებს ქართული სამართლის ისტორიისათვის ისეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც სალიკურ სამართალსა (Lex Saliica) და საქსონიის სარკეს (Sachsenspiegel) ძველი გერმანული სამართლის ისტორიისათვის, ან Русская Правда-ს რუსული სამართლის ისტორიისათვის. სამართლის წიგნის დეტალური შესწავლის შედეგად ცხადი ხდება, რომ ძველი ქართული სამართალი იცნობს ფეოდალური სამართლის ყველა უმნიშვნელოვანესი დარგის—სისხლისა და სამოქალაქო სამართლის, სასამართლო წარმოებისა და წყობილების—განვითარებულ ინსტიტუტებს. მართალია, აღნიშნული კანონები შედგენილი იყო მხოლოდ მესხეთისათვის, რომელიც იმ დროს საქართველოს ტერიტორიის თითქმის ერთ მესამედს შეადგენდა, მაგრამ საქართველოს ეს კუთხე თავისი სოციალური წყობილებისა და განვითარების დონის მხრივ სხვა

კუთხეებისაგან მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა და ამიტომ აღნიშნული კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული ინსტიტუტები შეიძლება დამახასიათებლად მივიჩნიოთ შუა საუკუნეების საქართველოს სხვა ნაწილებისათვისაც, რომელთა საზოგადოებრივი წყობილება ასევე ფეოდალური იყო.

ბექა-ალბულას სამართლის პირველი მკვლევარი ნ. ურბნელი იყო, რომელმაც გასული საუკუნის 90-იან წლებში ამ საკითხს ნიჟიერად დაწერილი წიგნაკი მიუძღვნა. შრომაში, გულდასმითი ანალიზის საფუძველზე, ბევრი საგულისხმო მოსაზრებაა გამოთქმული, რომლებსაც ანგარიში უნდა გაუწიოს ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარმა. ნ. ურბნელის ღვაწლი და დამსახურება ქართული სამართლის ისტორიის დარგში უფრო მნიშვნელოვანი გახდება, თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი მუშაობის მეტად მძიმე პირობებს; არავითარი მატერიალური და სამეცნიერო-კვლევითი ბაზა იმ დროს არ არსებობდა და ქართული სამართლის ისტორიის შესწავლაც არავის აინტერესებდა. ასეთ პირობებში, ნ. ურბნელმა, რომლის ძირითად საქმიანობას საგამომძიებლო მუშაობა შეადგენდა, გამოიჩინა დიდი ინტერესი და ხალისი ქართული კულტურის ამ მნიშვნელოვანი დარგის ისტორიის შესწავლაში და მეცნიერების მაშინდელი დონის მიხედვით ბევრი მნიშვნელოვანი და საგულისხმო დასკვნა გააკეთა.

ნ. ურბნელი, მეტად ნიჟიერი და მეცნიერული აღლოს მქონე მკვლევარი, ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წარმომადგენელი იყო. იგი თავის გამოკვლევაში ხშირად იმოწმებს რუსი მეცნიერის მ. კოვალევსკის შრომებს კავკასიელი და ქართველი ტომების ადათობრივი სამართლის შესახებ. ამასთან ნ. ურბნელი თვითონაც დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველი მთიელების ზნეჩვეულებათა შესწავლას და ამის მიხედვით ცდილობდა აეხსნა საკანონმდებლო ძეგლებით გათვალისწინებული ანალოგიური ინსტიტუტების ბუნება. მაგრამ ასეთი შედარება ვერ ითვალისწინებდა ქართული სამართლის საკანონმდებლო წყაროებში ასახული სოციალური და იურიდიული ინსტიტუტების თავისებურებას და ხშირად მოკლებული იყო სათანადო დასაბუთებასა და დამაჯერებლობას. მ. კოვალევსკის შეხედულებათა გავლენა იმ მხრივაც ემჩნევა ნ. ურბნელის შრომას, რომ მასში გაზიარებულია აზრი ქართული სამართლის მთელი რიგი ინსტიტუტების უცხოური წარმოშობის შესახებ.

ვახუშტის ცნობისა და ისტორიული ტრადიციის მიხედვით ნ. ურბნელიც სჯულმდებლებად თვლიდა ათაბაგ ბექა II (1361—1391 წ.) და ათაბაგ აღბულას (1444—1451) და, ამრიგად, აღბულას სამართლის წიგნის შედგენა XV საუკუნეში გადაჭონდა. ამის გამო მისი წიგნაკის ის ნაწილი, რომელიც ისტორიულ მიმოხილვას შეიცავს (გვ. 1—84), არ შეეხება იმ დროსა და პირობებს, როცა ნამდვილად შედგენილი იქნა სამართალი.

ნ. ურბნელის შრომის მთავარი ნაკლი ის არის, რომ მან ბექა-აღბულას კანონების 98-ე მუხლის მომდევნო მუხლები (99—175) მიიჩნია ბექა-აღბულას სამართლის შემადგენელ ნაწილად და სამცხე-საათაბაგოს სოციალურ-პოლიტიკური წყობილება და სამართლის ინსტიტუტები დაახასიათა აღნიშნული ნორმების მიხედვით. სინამდვილეში კი სამართლის წიგნი 98 მუხლს შეიცავს და შემდგომი საკანონმდებლო მასალა წარმოადგენს ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკური სამართლის ნორმებს, რომლებიც ასახავენ XI საუკუნის გაერთიანებული საქართველოს სჯულმდებლობას და, მაშასადამე, არ გამოდგება XIV—XV საუკუნის სამცხე-საათაბაგოს საზოგადოებრივი წყობილებისა და სამართლის დასახასიათებლად. ავტორი ზოგჯერ გრძნობს კანონთა ამ ორ ძირითად ნაწილს შორის არსებულ შინაარსობრივ შეუსაბამობასა და წინააღმდეგობას, მაგრამ ვერ ხედავს საქმის ვითარების ნამდვილ მიზეზს და იძლევა მის არასწორ ახსნას. ამასთან, ბექა-აღბულას კანონების ტექსტის დამახინჯებული ადგილების მიმართ არასაკმაო კრიტიკული დამოკიდებულების გამო ნ. ურბნელის შრომაში ადგილი აქვს მთელი რიგი მუხლების შინაარსის არასწორ გაგებასა და მცდარ განმარტებას, რის შესახებ, ნაწილობრივ, საუბარი გვექნება ქვემოთ ჩვენ წიგნის განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ჩაეყარა მკვიდრი საფუძველი ქართული სამართლის ისტორიის საკითხების მეცნიერულ შესწავლას. 1928/29 წლებში სამ წიგნად გამოქვეყნდა აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური შრომა „ქართული სამართლის ისტორია“, რომელიც მოიცავს საქართველოს სახელმწიფო, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სასამართლო წარმოების ისტორიას უძველესი დროიდან მონღოლთა შემოსევამდე. ამჟამად ქართული სამართლის ისტორიის ცალკეული დარგების პრობლემების შესწავლა - დამუშავებაზე ნაყოფიერად მუშა-

ობენ არა მარტო იურისტ-ისტორიკოსები, არამედ საქართველოს ისტორიის სხვა დარგების მეცნიერი მუშაკებიც.

წინამდებარე გამოკვლევა — „ძველი ქართული სამართალი“ — მიზნად ისახავს, გააშუქოს შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სამართლის ისტორიის რამდენიმე ძირითადი პრობლემა და მასთან დაკავშირებული საკითხები. შრომის პირველ თავში მოცემულია სამცხე-საათაბაგოს წოდებრივი წყობილებისა და ცალკეული სოციალური ჯგუფების უფლებრივი მდგომარეობის ზოგადი მიმოხილვა.

შრომის მეორე თავში განხილულია ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის შედგენილობისა და სისტემის საკითხი. აღნიშნულია, რომ სამართლის წიგნი შეიცავს ბექა მანდატურთუხუცესის, ალბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის, ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკური სამართლის საკანონმდებლო ძეგლებს. ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ტექსტის ანალიზისა და სასჯელთა სახეების შინაარსის გამოკვლევის შედეგად გამოთქმულია ახალი მოსაზრება ამ ძეგლის მოცულობის, მისი შედგენის დროისა და ავტორის შესახებ. მოკლედ მიმოხილულია ბექა-ალბუღას კანონების პირველი ქართული გამოცემა (1863 წ.), მეორე რუსული გამოცემა (1887 წ.) და ფრანგული გამოცემა (1938 წ.). აქვე მოცემულია წინამდებარე გამოცემის საფუძვლად დადებული სამართლის წიგნის ორი უძველესი ხელნაწერის აღწერა და დახასიათება.

გამოკვლევის მესამე თავი ეხება სამართლის წიგნის წყაროების დახასიათებას. ძეგლის შინაარსის ანალიზის საფუძველზე განხილული და შესწავლილია სამართლის წიგნის ძირითადი წყაროები: ადათობრივი სამართალი, კანონმდებლობა, საეკლესიო სჯულმდებლობა და სასამართლო პრაქტიკა. დადგენილია, რომ სამართლის წიგნის ერთ-ერთ წყაროს შეადგენს ბაგრატ კურაპალატის სამართალი, რომლის ნორმები გამოყენებულია სამცხე-საათაბაგოს სჯულმდებლების მიერ.

შუა საუკუნეების ქართული სანიეთო სამართლის ძირითადი ინსტიტუტები განხილულია შრომის მეოთხე თავში, სადაც აგრეთვე გათვალისწინებულია სხვა ქვეყნების ფეოდალური სანიეთო სამართლის ინსტიტუტების უფლებრივი ბუნებაც. განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი საკუთრებისა და მფლობელობის სანიეთო-უფლებრივი შინაარსის გარკვევას ფეოდალურ სამართალში, საერთოდ, და ქართულ სამართალში, კერძოდ. შრომის აღნიშნული თავი მთავრდება გირავნობის უფლების საკითხის განხილვით.

XIV საუკუნის ქართული ფეოდალური სამართლის სასჯელთა სისტემა და სახეები სრულიად შეუსწავლელია. გამოკვლევის მეხუთე თავში გაშუქებულია სასჯელთა მთელი რიგი სახეები, გარკვეულია მათი შინაარსი, მოცემულია სასჯელთა სახეების განსაზღვრული კლასიფიკაცია და განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული კომპოზიციების საჯარო ელემენტის არსებობის საკითხს ძველ ქართულ სისხლის სამართალში. წინააღმდეგ ბურჟუაზიულ მკვლევართა შეხედულებისა დადგენილია, რომ ძველი ქართული სამართალი იცნობდა საჯარო ხასიათის მთელ რიგ ქონებრივ სასჯელებს. ამასთან, შრომაში ნაჩვენებია სასჯელთა წოდებრივ-პრივილეგიური ხასიათი და ბუნება ფეოდალური სამართლისა, როგორც „მუშტის სამართლისა“.

ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართა შრომებში აღიარებულია აზრი იმის შესახებ, რომ შუა საუკუნეების ქართული საპროცესო სამართალი არ იცნობს დამამტკიცებელ საბუთთა იმ სახეს, რომელსაც სასამართლო გამოცდა ანუ ორდალეები ეწოდება. შრომის მეექვსე თავში გარკვეულია, რომ XIV საუკუნის ქართული სამართალი იცნობს მტკიცების ასეთ საშუალებებს. ამით საფუძველი ეცლება ქართული სამართლის ისტორიის უცხო მკვლევართა აზრს იმის შესახებ, რომ ორდალების სისტემა გადმოტანილი და შეთვასებული იქნა ქართულ სასამართლო წარმოებაში სხვა ქვეყნების, კერძოდ ირანის სამართლიდან XVIII საუკუნის დასაწყისში.

ამრიგად, ჩვენ ბექა-ალბულასა და ბაგრატ კურაპალატის კანონმდებლობის მხოლოდ რამდენიმე ძირითად, დღემდე შეუსწავლელ საკითხს ვარკვევთ. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის, სასამართლო წარმოებისა და წყობილების ისეთი მთავარი დარგები, როგორცაა დანაშაულთა სისტემა, ვალდებულებითი, მემკვიდრეობითი და საოჯახო სამართალი, პროცესის ფორმები და პრინციპები, დამამტკიცებელი საბუთების სისტემა და სასამართლო ხელისუფლების ორგანიზაცია ჩვენ მიერ ამ შრომაში განხილული არ არის.

გამოკვლევას დართული აქვს ბექა-ალბულას სამართლის წიგნის ტექსტი ორი უძველესი ხელნაწერის მიხედვით, ერთიმეორის პარალელურად. ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკური სამართლის ტექსტი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი ნუსხით. დაბეჭდილი ტექსტები არაერთაარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს საბო-

ლოოდ დადგენილად, მათში ჯერ კიდევ ბევრია დასაზუსტებელი და შესასწორებელი, რაც მომავლის საქმეა.

) ბეჭა-აღბუღას სამართალი მეტად რთული იურიდიული ძეგლია. სამართლის წიგნას ტერმინოლოგია სრულიად დაუმუშავებელი და შეუსწავლელია. ამ მიზნით ჩვენ შევადგინეთ სამართლის წიგნის ლექსიკონი, რომელშიც მოცემულია ძირითადი იურიდიული ტერმინების განმარტება. ცხადია, ეს ცდა უნაკლო არ იქნება და, შესაძლოა, ზოგიერთი სიტყვის შინაარსიც ზუსტად არ იყოს დადგენილი, მაგრამ კანონთა აზრის გასარკვევად, ლექსიკონი ამ სახითაც საკირო დახმარებას გაუწევს ქართული სამართლის ისტორიის საკითხების შესწავლით დაინტერესებულ პირებს. )

დიდად დაეალებული ვარ აკად. ა. შანიძისგან, რომელმაც გულდასმით გაიცნო სამართლის წიგნის აწყობილი ტექსტები, მოგვცა მეტად საყურადღებო შენიშვნები და შითითებანი მათი დაღაგებისათვის, შეასწორა და აღადგინა ზოგიერთი დამახინჯებული ადგილი და მონაწილეობა მიიღო ტექსტის დადგენაში.

სამართლის წიგნის ხელნაწერთა ტექსტების შეჯერება-გამართვასა და ლექსიკონის შედგენაში დახმარება გაიწვია შრომის რედაქტორმა პროფ. ილ. აბულაძემ, რომელსაც გულითად მადლობას მოვახსენებ.

ი. დოლიძე

## I. ზოგადი მიმოხილვა

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ ფეოდალური ანუ მემამულურ-საბატონო მეურნეობის სისტემის არსებობა გულისხმობს ამ საზოგადოებრივი წყობილებისათვის დამახასიათებელ შენდევ აუცილებელ პირობებს: ჯერ ერთი, ნატურალური, კარჩაკეტილი მეურნეობის ბატონობას, რომელსაც მეტად სუსტი კავშირი აქვს დანარჩენ მსოფლიოსთან: მეორე. უშუალო ნწარმოებელს, ანუ ყმა გლეხს, რომელსაც უნდა ჰქონდეს წარმოების საშუალებანი, საერთოდ, და მიწა, კერძოდ, რომელზედაც ის მიმაგრებულა იძულებით; მესამე, გლეხის პირად დამოკიდებულებას მემამულისაგან, რომელსაც პირდაპირი ძალა-უფლება აქვს გლეხის პიროვნების მიმართ; ბოლოს, მეოთხეც, ტექნიკის უკიდურესად დაბალსა და რუტინულ მდგომარეობას<sup>1</sup>.

ი. ბ. სტალინიმა მოგვცა ფეოდალური საზოგადოების ეკონომიური საფუძვლის კლასიკური დახასიათება. შემოქმედებოდა განავითარა რა მარქსიზმის კლასიკოსების შეხედულება ფეოდალური წყობილების შესახებ, მან აღნიშნა, რომ ფეოდალური სისტემის მთავარ დამახასიათებელ ნიშანს, მის საფუძველს, შეადგენს ფეოდალის საკუთრება წარმოების საშუალებებზე და არასრული საკუთრება წარმოების მეშვეზე — ყმაზე. ფეოდალიზმის დროს მსხვილ ფეოდალურ საკუთრებასთან ერთად არსებობს პირად შრომაზე დამყარებული გლეხისა და ხელოსნის საკუთრება წარმოების იარაღებსა და მეურნეობაზე. ფეოდალური საზოგადოების საფუძველს მიწის ფეოდალური საკუთრება წარმოადგენს. ახასიათებს რა გარეშე ეკონომიური იძულების როლსა და მნიშვნელობას ფეოდალიზმის დროს, ი. ბ. სტალინი გვასწავლის: „რა თქმა უნდა, გარეშე ეკონომიკური იძულება როლს ასრულებდა მემამულე-მებატონეების ეკონომიკური ძალაუფლების განმტკიცების საქმეში, მაგრამ იგი კი არა, არამედ მიწის ფეოდალური საკუთრება წარმოადგენდა ფეოდალიზმის საფუძველს“<sup>2</sup>.

მარქსი და ენგელსი არა ერთხელ აღნიშნავენ, რომ საზოგადოებრივი წყობილება ფეოდალიზმის დროს აგებულია წოდებრივი

<sup>1</sup> ვ. ლენინი, თხზ., ტ. მე-2, გამოცემა მეოთხე, 1948 წ., გვ. 207—209.

<sup>2</sup> ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ., გვ. 45.

პრინციპის მიხედვით და დაფუძნებულია კერძო ფეოდალური საკუთრების იერარქიულ სტრუქტურაზე. მარქსი მიუთითებს, რომ იერარქია არის ფეოდალიზმის იდეალური ფორმა. „მიწის საკუთრების იერარქიული სტრუქტურა და მასთან დაკავშირებული შეიარაღებულ ლაშქართა სისტემა აძლევდა თავადაზნაურობას ძალაუფლებას ყმა გლეხებზე“<sup>1</sup>. ფეოდალური საკუთრება იყო „წოდებრივი საკუთრება“. რომლის დამახასიათებელ თვისებას „პირობითობა“ და „დანაწევრება“ შეადგენდა. აქედან გამომდინარეობდა ქვემდგომი მემამულეების, ანუ ვასალების დამოკიდებულება ზემდგომ მემამულეებთან, ანუ სენიორებთან. ფეოდალური წოდებრივი იერარქია საადგილმამულო საკუთრებასა და მემამულეთა პირად დამოკიდებულებაზე აგებული იერარქია იყო, რომელსაც საწინდრო იერარქიის — „შეიარაღებულ ლაშქართა სისტემის“ — ხასიათი ჰქონდა. ფეოდალიზმის დროს საკუთრების ურთიერთობათა მთელი სისტემა გამოხატავს კლასობრივი ბატონობისა და ჩაგვრის, საზოგადოების ორი ძირითადი კლასის — ფეოდალთა ექსპლოატატორული კლასისა და გაყვლეფილი ყმა-გლეხების კლასის — დამოკიდებულებას.

ფეოდალს აქვს სრული საკუთრების უფლება წარმოების საშუალებებზე და არასრული საკუთრება — ყმაზე. მიწა, როგორც წარმოების ძირითადი საშუალება, ფეოდალს ეკუთვნის. ყმა-გლეხი მინაგრებულია მიწაზე და პირადად დამოკიდებულია მემამულეზე. ყმაზე არასრული საკუთრებისა და ყმის არათავისუფალი მდგომარეობის „ფორმა და ხარისხი შესაძლებელია სულ სხვადასხვანაირი იყოს, დაწყებული ბატონყმური მდგომარეობით და გათავებული გლეხის წოდებრივი არასრულუფლებიანობით“<sup>2</sup>. | მაშასადამე, ყმას, მონისაგან განსხვავებით, ერთგვარი პირადი და ქონებრივი უფლებები აქვს. იგი არ შეადგენს ფეოდალის სრულ საკუთრებას და არ ითვლება ნივთად. მის პირად საკუთრებაშია საწარმოო იარაღები, რომლებითაც იგი ამუშავებს მიწის მცირედ ნაკვეთს სარგებლობის უფლებით. ამიტომ გლეხის მდგომარეობა არ შეიძლება გათანაბრებული იქნეს მონის მდგომარეობასთან. „ყმა გლეხი დარჩა კლასობრივად ჩაგრული, დამოკიდებული, მაგრამ მებატონე; მემამულე არ ითვლებოდა გლეხის, როგორც ნივთის მფლობელად; მას ჰქონდა უფლება მხოლოდ მის შრომაზე და

<sup>1</sup> К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. IV, стр. 14.

<sup>2</sup> ვ. ლენინი, თხზ., ტ. მე-3, გამოცემა მეოთხე, გვ. 208.



განსაზღვრული ბეგარის შესრულების იძულებაზე“<sup>1</sup>. სინამდვილეში კი, როგორც ცნობილია, ბატონყმობა ყმა-გლეხების ექსპლოატაციის სიმკაცრით არაფრით არ განირჩეოდა მონობისაგან. გლეხების მდგომარეობა არსებითად ძალიან მცირედ განსხვავდებოდა მონათმფლობელური სახელმწიფოს დროის მონების მდგომარეობისგან.

ყმა-გლეხების უფლებრივი მდგომარეობის ზენოაღნიშნული დახასიათება მთლიანად შეესაბანება სამცხე-საათაბაგოს იმ გლეხთა მდგომარეობის სურათს, რომლებიც, ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის მიხედვით უკვე დიდი ხანია იძულებით მიმაგრებულნი არიან მემამულის მიწაზე და მის მკვიდრ ყმებად ითვლებიან. ჩვენ აქ ამოცანად არ ვისახავთ წარმოვადგინოთ სამთავროს გლეხთა უფლებრივი მდგომარეობის დახასიათება ბექა-ალბუღას სამართლის მიხედვით. ამჟამად ვკმაყოფილდებით მხოლოდ სამცხე-საათაბაგოს წოდებრივი წყობილების ზოგადი მიმოხილვით, რამდენადაც იგი არ სცილდება ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის წინამდებარე გამოკვლევის მიზანდასახულების ფარგლებს.

სამცხე იყო საქართველოს ფეოდალური სამთავრო. სადაც ფეოდალურმა სენიორიამ ყველაზე უფრო სრული ეკონომიური, პოლიტიკური და უფლებრივი დამოუკიდებლობა მიიღო. ფეოდალური სამამულო სისტემისათვის დამახასიათებელი ნიშნები—საკუთრებისა და წოდებათა იერარქიული სტრუქტურა, ნეურნეობის ნატურალურ-კარჩაკეტილი ხასიათი, პოლიტიკური ხელისუფლების მიწის საკუთრებასთან შეერთება და უშუალო მწარმოებლის, ყმა-გლეხის ფეოდალის მიწაზე იძულებით მიმაგრება—ყველაზე მკაფიოდ განოხატულია სამცხე-საათაბაგოს, სამართალში, ბექასა და ალბუღას კანონებში.

სამცხე-საათაბაგოს სოციალური წყობილება იერარქიულად არის მოწყობილი მამულის, გვარისა და საპატრიო ხელის მიხედვით. სამთავროს ფეოდალური იერარქიის სათავეში დიდი მემამულე-სენიორი, ანუ „პატრონი ათაბაგი“ დგას. მასზე დამოკიდებული არიან ფეოდალური კლასის წარმომადგენლები: დიდებულები და სხვადასხვა კატეგორიის აზნაურები, რომლებიც შეადგენენ ბატონ-მემამულეთა კლასს. ყმა-გლეხობა ამ იერარქიის საფუძველს წარმოადგენს, მაგრამ მასში არ შედის, რადგან იგი ექსპლოატირებული

<sup>1</sup> ლენინი, თხზ., ტ. 29, გამოცემა მეოთხე, 1952 წ., გვ. 560.

კლასია და მოკლებულია წოდებრივსა და უფლებრივ პრივილეგიებს. ფ. ენგელსი მიუთითებდა, რომ ფეოდალიზმის დროს „Все, что не входит в феодальную перархию, так сказать, не существует: вся масса крестьян, народа, даже не упоминается в феодальном праве“.<sup>1</sup>

ყმა-გლეხობა სამცხე-საათაბაგოს სოციალური წყობილების ყველაზე დაბალ და უუფლებო კლასს წარმოადგენს. გლეხობის ძირითადი მასა უკვე დიდი ხანია მიმაგრებულია მიწაზე და ითვლება მემამულის მკვიდრ ყმად. ყმა ანუ მკვიდრი გლეხი მამულის კუთვნილებაა და მამულის გაყიდვასთან ერთად ისიც იყიდება. გლეხს საშვილიშვილო ყმობა და ბატონის სამსახური მემკვიდრეობით აქვს მიღებული მისი წინაპრისაგან. აღბუღას სამართლის წიგნი შემდეგნაირად განსაზღვრავს მკვიდრი გლეხის ცნებას: „მკვიდრი ასეთი იქნების, მამამისი მის კაცისა ყმა ყოფილი-ყოს და შეილი მისა ქვეშ მისცემოდეს“ (მუხ. 78). თუ მკვიდრი ყმა მის ბატონს გაექცეოდა, მემამულეს იგი ძალით უკანვე მოჰყავდა. ამრიგად, მკვიდრი ყმა იძულებით მიმაგრებული იყო ბატონის მამულზე. ბეჟა-აღბუღას სამართალი აღამიანის უფლებრივ მდგომარეობას სისხლის ანუ საზღაურის ოდენობით განსაზღვრავს. ყველა წოდებას საკუთარი სისხლი აქვს გაჩენილი. სამართლის წიგნის მიხედვით გლეხობის ძირითადი მასა არის უბრალო რიგითი მკვიდრი ყმა-გლეხი, რომლის სისხლი 400 თეთრით განისაზღვრება. სამართალი აღნიშნავს ისეთ გლეხსაც, რომელსაც პატრონის სამსახურში წარჩინება მიუღია და მას „პატრონი იცნობდენ სიკეთეზედა“. ასეთი გლეხი თავისი უფლებრივი მდგომარეობით მსახურს უთანაბრდებოდა და მისი სისხლი 1000 თეთრით განისაზღვრებოდა.

ყმა-გლეხობის წარმოშობის ძირითადი წყარო ეკონომიური სილატაკე და ნემკვიდრეობითი ყმობაა) გაძვალტყავებული გლეხი ბატონის მკვიდრი ყმა ხდება შთამომავლობით. ვალაუვალი მოვალე, ან დამნაშავე, რომელიც კანონით დაწესებული სისხლის დაურევებას ვერ შეძლებდა, დაზარალებულის ან მისი ნათესავების განკარგულებაში გადადიოდა და სრულიად უუფლებო მდგომარეობაში ვარდებოდა. მემკვიდრეობით ყმობა, ტყვედ ჩაყვარდნა, მფარველობაში შესვლა, შეწირვა, წყალობა-გაჩუქება, გაყიდვა და

<sup>1</sup> „Архив Маркса и Энгельса“, т. X, стр. 280.

ყმობის წარმოშობის სხვა წყაროებიც ცნობილი იყო საათაბაგოს სამართლისათვის.

ბექას სამართლის წიგნის მიხედვით გლეხი ყიდვა-გაყიდვის ობიექტია. ბატონს შეუძლია გაყიდოს და იყიდოს გლეხი თავისი სახლ-კართა და სახლობით: „სა გლეხო ფუძე მიჰყიდოს, გინა კაცრიელი, გინა უკაცური“ (მუხ. 56). ყმა ბატონის მიწაზე დანიადაგებული და მიმაგრებული გლეხია. საარსებო საშუალებას მოკლებული და ყოველმხრივ შევიწროებული ყმა ბატონს გაურბის, მაგრამ არავის არ აქვს უფლება გაქცეული ყმა თავისთან დააკაოს, ყმა მის მკვიდრ ბატონს უნდა დაუბრუნდეს. თუ ვინმე შეიფარებს გაქცეულ ყმას და მას მკვიდრ ბატონს არ მისცემს, მან გლეხის ბატონს სრული სისხლი უნდა დაუურვოს. თუ გაქცეული გლეხი მოახერხებს 7 წელიწადს ვინმესთან თავი შეათაროს, მკვიდრი ბატონი კარგავს საკუთრების უფლებას ყმა-გლეხზე. გლეხს შეეძლო აგრეთვე ბატონისაგან თავი დაეხსნა, თუ ის 30 წლით ისე შორს გადაიხვეწებოდა, რომ მისი მიწვდომა შეუძლებელი იქნებოდა. გაქცევა და გადახვეწა ყმა-გლეხის აუტანელი პირობების შედეგი იყო. ყოველმხრივ შევიწროებული გლეხი ბრძოლის უკანასკნელ საშუალებას მიმართავს, ხეტიალს იწყებს, ბოგანო-ხიზანი ხდება.

ყმის გაძარცვის შემთხვევაში სისხლი ბატონს უნდა აუნაზღაურდეს. ყმას არ შეუძლია ბატონის ნებართვის გარეშე თავდებად დაუდგეს ვინმეს ან ხელშეკრულება დადოს ვინმესთან. ყმას შეეძლო გლეხს თავდებად დადგომოდა, მხოლოდ ერთი ხარის ან მისი საფასურის საქმეზე, ისიც ბატონის ნებართვით. ამ შემთხვევაში მან თავდებობის ქალაღი თავის ბატონს უნდა წარუდგინოს დასამოწმებლად („მისსა ქელის უფალსა ჩაართვევინოს ქელი“). თუ ბატონის ხელის ჩაურთავად გლეხი ვინმეს თავდებად დაუდგება, ან ვინმესთან რაიმე პირობას შეკრავს, ბატონმა იგი უნდა დასაჯოს; „ავად გახადოს“. გლეხს უფლება არა აქვს პატრონის დაუმოწმებლად რაიმე უძრავი ქონება გაყიდოს, ან დააგირაოს, რადგან „ადგილი პატრონისა არის.“

ყმების მდგომარეობის გაუარესება ნათლად ჩანს აღბუღას სამართლიდან. ბატონყმური ურთიერთობა აღბუღას დროს უფრო გამწვავებულია. გარდა „მკვიდრი ყმისა“, კანონი აღნიშნავს „თავდაწერილ“, „თავდაუწერელ“ და „მომართებულ“ ყმებს, რომლებიც უფლებრივი მდგომარეობით არსებითად არ განსხვავდებიან. „თავ-

დაწერილი“ ყმა იმას ეწოდებოდა, ვინც მკვიდრ ბატონს გაექცეოდა და სხვა ბატონის მფარველობაში „წიგნით შევიდოდა“, მასთან ჩაეწერებოდა. თავის დაწერა ჩვეულებრივად მაშინ ხდებოდა, როცა ყმა ბატონის მოახლეს, ან გლეხის ქალს ცოლად ირთავდა. ასეთ შემთხვევაში იგი მკვიდრი ყმა ხდება და მას უწულება არა აქვს ბატონისაგან წაყიდეს („წასვლას არას ემართლების“). მაგრამ თუ „თავდაწერილი“ ყმის დაბრუნებას მისი მკვიდრი ანუ წინანდელი ბატონი მოითხოვს, რა კი ცოლ-ქმართა გაყრა არ შეიძლება, მკვიდრ ბატონს გლეხის ცოლიც თან უნდა წაეყვანა და გლეხის ქალის ბატონისათვის მისი საფასური მიეცა. როცა „თავდაწერილი“ ყმა დროთა განმავლობაში აუტანელი შრომისა ან დაშავების შედეგად დაუძღურდებოდა და ამის გამო ბატონი მას გაუშვებდა, მას შეეძლო წაეღო ის ქონება, რომელიც ახალ ბატონთან მიიტანა და აგრეთვე შეძენილი ქონების მესამედი ნაწილიც. მაგრამ, თუ მასთან ერთად შეილებიც წაყიდოდნენ, ბატონი არაფერს აძლევდა გარდა იმისა, რაც თავდაწერილმა მისვლის დროს თან მიიტანა.

„თავდაუწერელი“ ყმა იმას ეწოდებოდა, ვინც მკვიდრ ბატონს გაექცეოდა და სხვა ბატონს შეეკედლებოდა, ცოლს ირთავდა, მაგრამ ახალი ბატონის ზედსიძე და თავდაწერილი არ ხდებოდა („არცა გლეხსა ზედა ვის შეესიძოს და არცა სეფე ქალსა“, მუხ. 73). თავდაუწერელი ყმა თავდაწერილისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ახალი ბატონის დროებით მფარველობაში შედიოდა, მაგრამ, რა კი იგი ზედსიძედ არ ხდებოდა. მკვიდრი ბატონი ყოველთვის ინარჩუნებდა უფლებას, უკან მოეიხრევა მისი ყმა, რომელიც ახალ ბატონთან „თავდაუწერელი“ იყო. აღბუღას სამართლის 73-ე მუხლის თანახმად „თავდაუწერელი“ გლეხი მისი ცოლშვილითა და ქონებით მკვიდრ ბატონს უნდა დაუბრუნდეს.

სამართლის წიგნის 78-ე მუხლი განსაზღვრავს „მომართებული“ ყმისა და ბატონის ურთიერთობას. მკვიდრი ბატონისაგან შევიწროებული ყმა ბატონს გაუბრუნებს და სხვის მფარველობას ეძებს. გაქცეულ ყმას, რომელიც სხვა მემამულის მფარველობაში თხოვნით, მომართვით შედიოდა, „მომართებული ყმა“ ეწოდებოდა. მაგრამ ყმას ახალი ბატონიც არ ასვენებდა. თუ მომართებული ყმა ახალ ბატონს მიატოვებს და სხვის რაიმე ქონებას წაიღებს, ბატონი ვალდებულია ყველაფერი უკლებლივ აუნაზღაუროს დაზარალებულს. ხოლო თუ მკვიდრი ყმა თავის ბატონს გაექ-

ცოდა და სხვის ქონებას წაიღებდა, ბატონი ვალდებული იყო დაებრუნებინა წაღებული ქონება ან გადაეხადა საზღაური დაზარალებულისათვის გაქცეული ყმის ოჯახის ქონებიდან; და, თუ ყმას არავითარი ქონება არ გააჩნდა, დაზარალებული მკვიდრი ბატონის ქონებიდან ანაზღაურებას ვერ მოითხოვს („მისსა პატონისსა არა რას ემართლების“).

ამრიგად, აღბუღას სამართლის მიხედვით ყმა-გლეხის მდგომარეობა მეტად მძიმეა. სწორედ ამით აიხსნება უნწყო ყმის გაქცევა, ერთი ბატონიდან მეორესთან ხიტიალი. ასეცა უნწევრო მდგომარეობამ წარმოშვა „თავდაწერილი“, „თავდაუწერელი“ და „ნომართებული“ ყმა. ანტიკომ ნეკლარად უნდა ჩაითვალოს ა. ხახანაშვილის აზრი იმის შესახებ, თითქოს აღბუღას სამართალში „არ არის ის ყმობა, რომლის კვალს ვპოულობთ ევახტანგის კანონებში. აღბუღამ იცის ესოლოდ დროებითი სოვალე, რომელსაც წეუძლიან გადასწყვიტოს ვალი და ვანთავისუფლდეს“<sup>1</sup>. აღბუღას სამართლის 77-ე და 78-ე მუხლები ცხადყოფენ, რომ ყმობა აღბუღას დროს მეტად მძიმე და უუფლებო მდგომარეობა იყო. მართალია, ევახტანგის სამართლით ყმის მდგომარეობა უფრო გაუარესდა და ყმა-გლეხმა მთლიანად დაკარგა პირადი თავისუფლება, მაგრამ ეს გარეწობა, სრულებითაც არ განორიციხავს მკვიდრი ყმის უუფლებობას აღბუღას დროს.

აღბუღას სამართალი არ ასხვავებს ყმისა და გლეხის სოციალურ და უფლებრივ მდგომარეობას, მათ ერთად იხსენიებს. ყმა იგეგე მკვიდრი გლეხია, ხოლო მკვიდრი ყმა — გლეხი. სამართლის წიგნის 74-ე და 71-ე მუხლებით ყმა და გლეხი სავსებით გაიგივებულია და ეწოდება მათ „ყმა ანუ მკვიდრი გლეხი“ ან „მკვიდრი ყმა ანუ გლეხი“.

ყმა-გლეხის მიწაზე მიწაგრების პროცესი XIII საუკუნისათვის ძირითადად უკვე დასრულებულია. „გლეხი გინა ყმა“ აოის ფეოდალის მიწაზე საშვილიწვილოდ მჯდომი. იგი მემამულის სასარგებლოდ ბეგრისა და მუშაობა-სამსახურის ვალდებული მიწის მუშაა. რაიმე მნიშვნელოვანი განსხვავება „გლეხსა“ და „ყმას“ შორის გამჭარალია. როგორც „ყმა“, ისე „გლეხი“ ბეგრის განმძღლები მიწის მუშაა. „ყმა“, ანუ ლაშქრობა-სამსახურის სოვალე მიწის მუშა, ეწოდება ყოველ გლეხს, როგორც მკვიდრს, ისე არამკვიდრსაც. გლეხთა საერთო დამახასიათებელი ნიშანი მათი მებეგრეობაა, რომელიც რაოდენობისა და სახეობის მიხედვით მრავალფეროვანია. გლეხის ჩვეულებრივ ქონებას „საგლეხო ფუძე“, მიწა

<sup>1</sup> ა. ხახანაშვილი, „ბატონყმობა საქართველოში“. გვ. 28.

წარმოადგენს, მაგრამ ერთ „ფუძეზე“ შეიძლება ორი საგლეხო კომლიც იჯდეს<sup>1</sup>.

XIV საუკუნეში „ყმასა“ და „გლეხს“ დაკოვებული აქვთ პირადი თავისუფლება და მიმაგრებული არიან ფეოდალის მიწაზე, რომელიც 30 წლის განმავლობაში ინარჩუნებს უფლებას, ეძიოს და უკანვე დაიბრუნოს გაქცეული ყმა. გლეხობის ძირითადი მასის მიწაზე მიმაგრება XIV საუკუნეში უკვე დიდი ხნის ფაქტია. ეს ჩანს გლეხობის შესახებ არსებული მთელი კანონმდებლობიდან, კერძოდ ანის შესახებ ნაშლად, ყოველგვარ ექვს გარეშე ლაპარაკია აღბუღას სამართლის 78-ე მუხლში<sup>2</sup>. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ 1303 წელს ყაზან ყენმა ირანში გამოსცა ბრძანება, რომლითაც გლეხებს თვითნებურად გადასახლება სასტიკად აუკრძალა და ისინი იძულებით მიამაგრა მიწას. ამ კანონს ერთგვარი გავლენა ჰქონდა საქართველოშიც, რომელიც ირანის ილხანების ყაადნაფიცი სამფლობელო იყო. ამიტომ მცდარია ნ. ურბნელის აზრი იმის შესახებ, რომ საათაბაგოს დაბალი წოდება ორ ნაწილად განიყოფებოდა: პირველს ეკუთვნოდნენ გლეხნი, მეორეს—ყმანი, მკვიდრნი გლეხნი. ემყარება რა საბას ლექსიკონში მოცემულ განმარტებას ყმისა და გლეხის ვინაობის შესახებ, ნ. ურბნელი დაასკვნის, რომ ყმა და გლეხი განსხვავებული ეკონომიური და უფლებრივი მდგომარეობის გამომხატველი ცნებებიაო. „ყმა სამკვიდრო და უცილობელს მამულს ჰხმარობდა, მაგრამ საკუთრებას კი მოკლებული იყო. და ან რა საკუთრება ექნებოდა ყმას, როცა თითონაც ბატონის საკუთრებას შეადგენდა, თითქო იმისი საქონელიაო“<sup>3</sup>. სულ სხვაა გლეხი. „გლეხი თავისუფალი მუშაკი იყო და შეეძლო კავშირი მოესპო ბატონთან... გლეხობის ძირითად თვისებას შეადგენდა თავისუფალი და დროებითი სამამულო დამოკიდებულება მიწის პატრონთან... აღბუღას გლეხს მხოლოდ სამანულო დამოკიდებულება აქვს ბატონთან და პირადად თავისუფალია“<sup>4</sup>. თუმცა სხვა ადგილას ნ. ურბნელი აღნიშნავს, რომ „აღბულა გლეხსა და ყმას ერთმანეთში ურევს, ხშირად ერთად იხსენიებს და სანართალში გარკვევით ნაჩვენები არ არის გლეხის და ყმის ვინაობა“, მაგრამ—იქვე დასძენს — „უცილობლად მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ გლეხი სულ სხვა ნოსახლე იყო, ეიღრე ყმა“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორია მე-13—14 ს ს., «თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები», VI, 1933 წ., გვ. 235 და 287.

<sup>2</sup> Н. Берძенишвили, Очерк по истории развития феодальных отношений в Грузии (XIII—XIV вв), 1933, გვ. 1, 14.

<sup>3</sup> ნ. ურბნელი, ათაბაგბა ბეჟ და აღბუღა და მათი სანართალი, 1892 წ., გვ. 103—104.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 105—105.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 113—114.

ბეჟა აღბუღას სამართლის დაკვირვებითი შესწავლა ნათლად გვიჩვენებს, რომ განსხვავება ყმისა და გლეხის უფლებრივ მდგომარეობას შორის არ არსებობს. ისინი ერთი და იმავე სოციალური ფენის წარმომადგენლები არიან. საკუთრების უფლება მამულზე არც ყმას ჰქონდა და არც გლეხს. ისინი მიმაგრებულნი იყვნენ მიწაზე იძულებით, აშუშავებდნენ მემამულის ნიწას და არსებობის შენარჩუნებისათვის ბატონი მათ აძლევდა შემოსავლის უმნიშვნელო ნაწილს. მაგრამ ყმა, როგორც მიწის მუშა, ბატონის სრულ საკუთრებას არ შეადგენდა და მონისაგან განსხვავებით უმნიშვნელო პირადი და ქონებრივი უფლებებით სარგებლობდა.

ყმა გლეხისაგან განსხვავდებოდნენ მსახურნი, რომლებიც თავისი უფლებრივი მდგომარეობით გლეხსა და აზნაურს შუა იდგნენ. მსახურობა გარდამავალი საფეხურია, გლეხი მსახური ხდება, მსახური აზნაურობაში გადადის, ბატონის სამსახურში მყოფი მსახური აზნაურის საპატიო წოდებას ღებულობს. ცნობილია, რომ აზნაურობა უმთავრესად მსახურისაგან წარმოდგა. „ახალი თეად-აზნაურობა უმეტეს ნაწილად მათგან წარმოისდგება“<sup>1</sup>. საათაბაგოს აზნაური, რომ მსახურისაგან წარმოდგა, ეს ნათლად ჩანს ბეჟა-აღბუღას სამართლის სათანადო მუხლიდან. მსახური ათაბაგის სამსახურში მყოფ ისეთ პირს ეწოდებოდა, რომელსაც საპატიო სამსახური ანუ „საჩინო ჯელი“ არ ებარა. ის მხოლოდ უბრალო მსახური იყო და ამით განსხვავდებოდა მსახური აზნაურისაგან, რომელსაც საპატიო სამსახური, „საჩინო ჯელი“ ჰქონდა. თვით ის ფაქტი, რომ ბეჟას სამართლის მიხედვით მსახური მსახურ-აზნაურის შემდეგ არის ნახსენები, იმას მოწმობს, რომ მსახურ-აზნაურთა ერთი ნაწილი წარმოიშვა პატრონ-ათაბაგის პირად სამსახურში მყოფი უბრალო მსახურისაგან, რომელსაც „საჩინო ჯელი“ არ ჰქონდა. ბეჟას სამართლის მე-9 და მე-10 მუხლებიდან ნათლად ჩანს, რომ მსახურებს სალაშქრო საქმეც ევალებოდათ და მსახურობა საომარ-სალაშქრო საქმისაგან წარმოდგა. მსახურნი, ისე როგორც გლეხები, მიწის მოქმედნი არიან. მათ მოვალეობას ლაშქრობა და სამსახური შეადგენს. ზოგჯერ მსახურს პატრონის გამასპინძლება ევალება. ასეთი მეტად მძიმე ტვირთი მსახურთა დაბალი ფენის გადატაკებას იწვევს და მას გლეხთა მდგომარეობაში აგდებს. მსახურის სისხლი 1000 თეთრით განისაზღვრება, რაც გლეხის სისხ-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1935, გვ. 146.

ლზე ორნახევარჯერ მეტია. მსახური ბატონთან პირად სამსახურში მყოფი გლეხისაგან წარმოდგებოდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსახური იგივე გლეხი იყო. ისე როგორც მსახური შეიძლებოდა აზნაურთა თანრიგში გადასულიყო, ასევე პატრონ-ათაბაგის სამსახურში მყოფი გლეხიც შეიძლებოდა მსახურიცა და აზნაურიც გახდარიყო. მაგრამ, რაკი იგი მსახური გახდებოდა, გლეხისაგან თავისი უფლებრივი მდგომარეობითა და ღირსებით განსხვავდებოდა.

მსახურის თანაბარი უფლებრივი მდგომარეობით სარგებლობდა ის გლეხი, რომელსაც „პატრონი იცნობდნენ სიკეთეზედა“. „სიკეთეზე ცნობა“ გულისხმობდა პატრონ-ათაბაგისა ან დიდებულისათვის პირადი სამსახურის გაწევას. ასეთი გლეხის სისხლი 1000 თეთრით განისაზღვრებოდა, ე. ი. ყმა-გლეხის სისხლს 600 თეთრით აღემატებოდა. თუ ათაბაგის სალაშქრო სამსახურში მყოფი კარვოსან-ქოთლოსანი აზნაური მოკვდებოდა და გარდაცვლილი აზნაურის ძმა, შვილები ან ახლო ნათესაულები პატრონ-ათაბაგს აზნაურულ სამსახურს ვერ გაუწევდნენ, ისინი მსახურთა კატეგორიაში გადადიოდნენ და მათი სისხლი, ისე როგორც მსახურისა, 1000 თეთრით განისაზღვრებოდა. ვახტანგის სამართალიც ნათლად მოწმობს, რომ მსახურნი განსხვავებული უფლებრივი მდგომარეობით სარგებლობდნენ, მათ საკუთარი სისხლი ჰქონდათ გაჩენილი, რომელიც გლეხის სისხლის ოდენობას ორჯერ აღემატებოდა.

აღბუღას სამართლის მიხედვით ვაქრებსაც საკუთარი სისხლი ანუ ქოებრივი საზღაური აქვთ დაწესებული. აქაც საზღაურის ოდენობა ვაქრის ღირსებისა და პატივის მიხედვით განისაზღვრება. ვაქართა უფლებრივ მდგომარეობაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს საპატიო ხელს, ე. ი. თვალსაჩინო სამსახურს. აღბუღას სამართლის 9-ე მუხლის მიხედვით ვაქართა კატეგორია ორ ჯგუფად განიყოფება: პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის ვაქრები, რომლებიც „პატრონთა კარგად და საპატიოთ ჰყვეს და საქმის მქნელად“. საპატიო ვაქარი დიდი ვაქარია, რომელიც პატრონი-ათაბაგის საქმეს აკეთებს. აღჭურვილია ათაბაგისაგან განსაზღვრული უფლება-მოსილებით და სარგებლობს მისი პატივისცემით. საპატიო ვაქრის სისხლი 12.000 თეთრით განისაზღვრება. ვაქართა მეორე ჯგუფს, რომელიც საპატიო ვაქართა ქვემოთ დგას ანუ „მას ქვეშეთია“, მიეკუთვნებიან ვაქრები, რომლებიც პატრონის საპატიო სამსახურში არ იმყოფებიან, მის საქმეს არ ასრულებენ, მაგრამ „პატრონთა ნახვისა და ძღვნისა მიღებასა ღირსნი“ არიან. მეორე რიგის ვაქარს პატრონთან „საჩინო



ველი“ არა აქვს, მის „საქმის მქნელად“ არ ითვლება, ამიტომ ის უფლებრივი მდგომარეობით დაბლა დვას და მისი სისხლი 6.000 თეთრით განისაზღვრება. მაშასადამე, ვაქრობაც საპატიო, საჩინო საპსახურის პრინციპზე იყო აგებული. რაც უფრო დიდი და საპატიო ხელი ებარა ვაქარს, მით უფრო დიდი იყო მისი ღირსება და მეტად ფასობდა მისი სისხლი. აღბუღას სამართალი იცავს ვაქარა ინტერესებს, მფარველობს აღებ-მიცემობას და მკაცრად სჯის იმ ბოროტმოქმედს, რომელიც „ვაქარსა, გზას მიმავალსა, ან წონაველსა, საქონლის ნდომისათვის“ გაძარცვავს ან მოკლავს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავემ დაზარალბულს სისხლი და მიყენებული ზიანი ორკეცად უნდა აუნაზღაუროს.

ბავრატ კურაპალატის სამართლის მე-100 მუხლის მიხედვით „ქარგი დიდ-ვაქარი“ შეიძლება მოსაწართლევ იყოს, რომელსაც „ბქობა“ ანუ მართლმსაჯულების განხორციელება აქვს შინდობილი. „ქარგი დიდ-ვაქარი... დასჯ ბქედ, კვეიანი იქნების და ქარგად ეცოდინების ბქობა და უსამართლოს არას იტყვს“, მიუთითებს კანონმდებელი. ეს მუხლი ბექა-აღბუღას საწართალს არ ეკუთვნის და XI საუკუნის ვაქართა უზლებრივ მდგომარეობას გამოხატავს, მაგრამ, იგი სწორად ასახავს იმ პრივილეგიურსა და საპატიო მდგომარეობას, რომლითაც ვაქრები სარგებლობდნენ საერთოდ.

საათაბაგოს ფეოდალური კლასის დიდ ღმრავლესობას აზნაურები შეადგენენ. ბექას სამართლის მიხედვით „საპატიო“ აზნაურნი მოსააღიების იმ კატეგორიას მიეკუთვნებიან, რომელიც ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობით დიდებულებზე, სისხლის მიხედვით, ორჯერ დაბლა დვანან. სამართლის წიგნის მიხედვით აზნაურები რამდენიმე კატეგორიად განიყოფებიან. პირველი რიგის აზნაურები ბექას სამართლის მიხედვით „ქარგი უნდა იყოს“, და „საპატიოთ პატრონს ჰყვეს“. მხოლოდ ამ შემთხვევაში ითვლება იგი პირველი ღირსების აზნაურად, რომლის სისხლი 20.000 თეთრით ანუ დიდებულის სისხლის ნახევრით განისაზღვრება. საპატიო აზნაური „ტაზრეული“ და „ციხოსან-მონასტროსანი“ უნდა იყოს და „მამული დიდი“ ჰქონდეს, ე. ი. საკუთარი სასახლე, ციხე, დასამარხავად მონასტერი და დიდი მამული უნდა ჰქონდეს. „საპატიო“ აზნაური ყველა ამ პირობას უნდა აკმაყოფილებდეს. აზნაურის ღირსების განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს „საპატიო ხელს“, ე. ი. სამსახურს. აზნაური, რომელსაც

საკუთარი ციხე-სიმაგრე და მონასტერი ჰქონდა, საპატიო ხელის აზნაურად ითვლებოდა, რადგან „ციხისა საქმე საპატიო არისო“, აღნიშნულია ბექას სამართალში.

პირველი რიგის აზნაურების შემდეგ მიდიან „ქვეშეთი“ აზნაურები, რომლებიც ქონებრივად და უფლებრივად მათზე დაბლა იდგნენ. მეორე რიგის ანუ „ქვეშეთ“ აზნაურებად ითვლებოდნენ ის აზნაურები, რომელთა სისხლი 12.000 თეთრით განისაზღვრებოდა, ე. ი. პირველი რიგის აზნაურის სისხლის ნახევარზე ცოტა მეტი. საშუალო ღირსების აზნაურებს მიეკუთვნებოდნენ ისეთი აზნაურები, რომლებიც პატრონ-ათაბაგის მიერ საპატიო სამსახურიდან „ჩამომცრობილი“ იყვნენ („პატრონი გასწყრომოდეს მამასა თუ შვილსა საქმესა რასმე ზედა, ჩამომცროსა“). აზნაურთა ამავე კატეგორიაში შედიან ისინიც, რომლებიც დროთა ვითარებაში ქონებრივად ჩამოქვეითებულან („უამისაგან მამული დამცრობია“). ასეთივე უფლებრივი მდგომარეობით სარგებლობდნენ „უციხო და უმონასტრო“ აზნაურები, რომელთაც საპატიო სამსახური არ ებარათ. აზნაურის საპატიო მოვალეობას სალაშქრო სამსახური, საომარი საქმე შეადგენდა. ბექას სამართლის მე-9 მუხლის მიხედვით ციხოსნობა, აბჯროსნობა და კარვოსნობა აზნაურის საპატიო მოვალეობას წარმოადგენს („ქარვოსნობა ესე ყოველთა წესია, აზნაურული სქირს“). ციხე, აბჯარი და კარავი აზნაურს ეკუთვნის. სალაშქრო სამსახური განსაზღვრავს აზნაურის ღირსებას, მის მდგომარეობას. ვახუშტიც მიუთითებს, რომ „აზნაურსა აქუნდა გვარი და ჩამომავლობა და სიმაგრე რაიმე მათა ანუ ბართა, და დაბნებნი, და ძალ-ედეას გამოსლვა მარქაფითა, კარვითა და მათა გაწყობილებითა, და თუნიერ ამისა არა იწოდებოდა აზნაურადო“<sup>1</sup>. მაგრამ გარდა ლაშქრობისა აზნაურს სხვა საპატიო სამსახურიც ევალებოდა: ადგილ-მამულის მოვლა-პატრონობა და მეთვალყურეობის გაწევა, პატრონის გამასპინძლება და სხვ. ასეთ შემთხვევაში პატრონი-ათაბაგი თავის აზნაურს „საჩინო ჯელს“, საპატიო სამსახურს აძლევდა და აზნაურის ღირსება და სისხლიც იზრდებოდა. მეორე რიგის აზნაურს პატრონ-ათაბაგთან რაიმე თვალსაჩინო სამსახური უნდა ჰქონდეს („ჯელი აქვნიდეს ანუ ჰქონებოდეს“). ასეთი საპატიო ხელის აზნაურებად ითვლებოდნენ „ქოთლოსანი“, „აბჯროსანი“ და „ქარვოსანი“ აზნაურები და ამიტომ მათი სისხლიც 12.000 თეთრით განისაზღვრებოდა.

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941 წ., გვ. 14.

საშუალო აზნაურებს მიეკუთვნებოდნენ ის აზნაურები, რომლებიც ათაბაგის პირად სამსახურში იმყოფებოდნენ („პატრონა აზნაური-შვილად ჰყვეს“). დიდებული ფეოდალის „ბიქიც“, ანუ უკანონო შვილიც, საშუალო აზნაურის ღირსებით იყო აღქურვილი; მისი სისხლიც, ისე როგორც შუა აზნაურის სისხლი, 12.000 თეთრით განისაზღვრებოდა.

მესამე რიგის აზნაურებს მიეკუთვნებოდნენ ეგრეთ წოდებული მსახურნი-აზნაურნი. ამ ღირსების მქონე აზნაურებსაც სალაშქრო საქმე ებარათ, ისინი ქოთლოსან-აბჯროსან-კარგოსანნი იყვნენ, მაგრამ მეორე რიგის აზნაურებისაგან იმით განსხვავდებოდნენ, რომ მათ პატრონ-ათაბაგთან საპატიო სამსახური არ ჰქონდათ („საჩინო კელი არა აქენდეს და არცა ჰქონებოდეს“). ამრიგად, მესამე რიგის აზნაური ის მსახურია, რომელიც „აზნაურად ჰყვეს“ და, თუმცა კარგოსნობა ანუ სალაშქრო საქმე მის მოვალეობას შეადგენს, მას პატრონთან თვალსაჩინო სამსახური—საჩინო კელი—არა აქვს. ამიტომ იგი თავისი ღირსებით გაცილებით დაბლა დგას მეორე რიგის აზნაურზე და მისი სისხლი 6.000 თეთრით განისაზღვრება, ე. ი. ორჯერ ნაკლებ ფასობს.

წერილ აზნაურთა ფენა საკმაოდ მრავალრიცხოვანია. მათი მოვალეობა,—აზნაურული წესით ხლება და ლაშქრობა,—მეტად მძიმეა. ეკონომიური მდგომარეობაც ცვალებადია; ისინი მანულის დამცრობასა და სოციალურ დაქვეითებას განიცდიან, წოდებრივ პრივილეგიებსა და უფლებას კარკავენ და მსახურის მდგომარეობაში ვარდებიან.

საათაბაგოს სოციალური წყობილების ზედა ფენას დიდებულები შეადგენენ. დიდებულები იმათ ეწოდება, რომელთაც დიდი გვარი, დიდი მამული და მეფესთან ან პატრონ-ათაბაგთან საპატიო ხელი, ანუ სამსახური აქვთ. სამცხეში ძველი დროიდან არსებობდა რამდენიმე წარჩინებული გვარი, რომელთაც დიდი მამული, საკუთარი სასაფლაო, მონასტერი და კარის ეკლესია ჰქონდა. დიდებულთა უფლებრივ მდგომარეობასა და წარჩინებულობას მამულის ოდენობა განსაზღვრავდა. „საშუალო საუკუნეების ფეოდალურ სახელმწიფოში პოლიტიკური ხელისუფლების დანაწილება მიწის საკუთრების მიხედვით ხდებოდა“<sup>1</sup>. დიდებულებს ჰყავდათ აზნაურები და დიდძალი გლეხობა. ბექას სამართალში არ ათის

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1938 წ., 33-175.

განსაზღვრული, თუ რომელი გეარეულობა ითვლებოდა დიდებულად, არც დიდებულის განსაზღვრელი პირობებია აღნიშნული. ერთადერთი საზომი, რომლითაც დიდებულები გამოირჩევიან საზოგადოების სხვა ფენისაგან, არის სისხლის, ანუ სახლაურის, ოდენობა, რომელიც 40.000 თეთრს შეადგენს.

ამრიგად, საათბაგოს სოციალური წყობილება დაფუძნებული იყო წოდებრივ პრინციპებზე. თვითველ წოდებას თავისი საკუთარი სისხლი ჰქონდა გაჩენილი. სისხლი კი ქონებრივ სახლაურს ნიშნავდა, რომლითაც იზოპებოდა ადამიანის ღირსება; რაც უფრო მაღალ წოდებას ეკუთვნოდა პირი, მისი სისხლი უფრო მეტი იყო და პირიქით. სისხლის ოდენობა დაზარალებულის გვარის, მამულისა და საპატიო ხელის მიხედვით განისაზღვრებოდა.

„დიდებული“ ნიშნავდა განდიდებულ, წარჩინებულ, დიდ ფეოდალს. „დიდება“ ძველად თანამდებობასა და თანამდებობაზე დაფუძნებულ პატივს ნიშნავდა. დიდებული იმავე დროს დიდი ხელისუფლებით დაჯილდოებული მოხელეც (მთავარი, ერისთავი) შეიძლებოდა ყოფილიყო. დიდებულება აზნაურობასთანაც იყო დაკავშირებული, მაგრამ იგი აზნაურობისაგან განსხვავებული განსაკუთრებული ჯგუფის აღმნიშვნელი ცნება იყო. დიდებული აზნაურებზე მაღლა მდგომი წრის წარმომადგენელია. მაგრამ აზნაურთაგან განსხვავებით დიდებულები ცალკე წოდებას არ შეადგენდნენ. „დიდებულება წოდებრივი ცნება არ ყოფილა. წოდების დანახასიათებელ თვისებას ის ვარემოება შეადგენდა, რომ წოდებრივი ღირსება სახლობისა და საგეარეულოს თითოეულ წევრს ეკუთვნოდა. მაგ., აზნაურთა გვარის ყოველი შვილი და თითოეული ოჯახის წევრი აზნაურად ითვლებოდა. დიდებულებს კი ეს თვისება არ ჰქონია და ამის გამო ვერც წოდებად ჩათვლებოდა. ყოველი იმ გვარისა და სახლის შვილი, რომელსაც ესა თუ ის დიდებული ეკუთვნოდა. დიდებულად კი არ ითვლებოდა, არამედ მხოლოდ ის პირადიდ იყო „დიდებული“. მის შვილს, არც მის ძმებს, ან სხვა ნათესაებებს, დიდებულთა სახელი არ ენიჭებოდათ“<sup>1</sup>. მაშასადამე, „დიდებული“ პირად პატივსა და ღირსებაზე დაფუძნებული პატივი იყო. რომელიც მხოლოდ პირადიდ ამა თუ იმ დიდ ფეოდალს ჰქონდა მინიჭებული. ამრიგად, დიდებული აზნაურები ფეოდალურ-სახლ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, 1925, გვ. 44.

რეული არისტოკრატის ზედა ფენას შეადგენდნენ, მაგრამ ცალკე წოდებად არ ითვლებოდნენ.

ბექა-აღბუღას სამართალი საათაბაგოს ცალკეულ წოდებათა განსხვავებული ჯგუფების წარმომადგენელთათვის მათი სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით განსაზღვრავს სისხლის ოდენობას. ღიდებულის სისხლი 40.000 თეთრია. პირველი რიგის აზნაურისა—20.000, მეორე რიგის აზნაურისა და საპატიო ვაჭრისა—12.000. მესამე რიგის აზნაურისა—6.000, რიგითი ვაჭრისა—6.000, მსახურისა და „სიკეთეზე ცნობილი“ გლეხისა—1.000 და ყმა-გლეხისა—400 თეთრი. ასეთი იყო სამცხე-საათაბაგოს ფეოდალური სამთავროს წოდებრივი წყობილება, რომელიც დაფუძნდა ბაზულზე, გვარსა და საპატიო ხელზე. სამთავროს სათავეში საათაბაგოს გამგებელი, მისი მთავარი, „პატრონი-ათაბაგი“ იდგა. ნას ეკუთვნოდა უმაღლესი საკანონმდებლო, ადინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება. ათაბაგის სისხლის შესახებ არაფერია ნათქვამი არც ბექას, არც აღბუღას სამართალში. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ათაბაგისა და მაწვევროლის სისხლის ოდენობას, რითაც აღიარებს მათ უზენაეს, საერო და სასულიერო ხელისუფლებას.

ბექა პირველი (1285—1306) სამცხის მმართველის სარგის ჯაყელის შვილი იყო. ბექას მამას ჰქონდა სპასალარისა და ნეკურქლეთუხუცესის წოდება, ე. ი. იყო დარბაზის კარსა მყოფი ვაზირი. საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალი და მხედართუფროსი. ეს საპატიო წოდებები სარგის ჯაყელმა შეინარჩუნა მის შეკმდეგაც, რაც იგი 1266 წელს საქართველოს მფე დავით V ულუსს გაუდგა და სამცხის სამთავრო ყენის სახასო სამმართველოს კუთვნილებად. ხასინჯუდ ბქცია. სამცხის მთავრების წიერ ქართული სახელმწიფო საბოხლეო წოდების სპასალარისა და ნეკურქლეთუხუცესის წოდების შენარჩუნება თითქოს იმას უნდა ნინავდეს, რომ ისინი არ იყვნენ საქართველოს საწეჯოს მალიანად მოწვევტილნი, თუმცა ეს უფრო დამამწევენბელი ტიტული იყო; ციღრე მეფესთან რეალური კავშირის გამოხატულება. ბექამ ჯერ კიღეე მამის სიცოცხლეშივე მიიღო სამცხის ვანებლობა. მანდატურთუხუცესის საპატიო წოდება მას უკვე მიღებული ჰქონდა ამ დროს, ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ ის მთელი სამცხის გამგებელი ვახდა.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, 1928 წ., გვ. 44.

საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში სამცხის სამთავროს წარმომობის საკითხი სპეციალურად განხილულია უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ ლიტერატურაში<sup>1</sup>.

ყამთააღმწერლის ცნობით ბექა ციხისჯვარელ-ჯაყელის დროს მცხეთის სამთავროს საზღვრები ვრცელდებოდა „ტახისკარითგან ვიდრე სპერამდე, ვიდრე ზღვადნდე; სამცხე, აქარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალის ტყევი, ხოლო ქანეთი სრულად მოსცა ბერძენმა მეფეჲმან კომნინოსმან“. ბექას სამთავროს ეკუთვნოდა აგრეთვე „უმრავლესი ტაო, არტაანი, კოლა, კარნიფორა და ქარი“, ამით შორის „ქუეყანანი [და] ციხენი, არტანუჯი და უდაბნონი ათორმეტნი კლარჯეთისანი“.

მემატიანე აღნიშნავს, რომ როდესაც სამხრეთ საქართველოს თურქთა ლაშქარი შემოესია, ბექა მანდატურთუხუცესმა მოუწოდა სამცხისა და შავშ-კლარჯეთის წარჩინებულ დიდუკობას შემდეგი სიტყვებით: „ისმინეთ მთავარხო საქართველოსანიო, ძმანიო და თანამონათესავენო ჩემნიო!... დიდმან და სახელოვანმან სკიპტრისა და პორფირისა მქონებელთა შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით დასცა და დაამჯვა ძლიერება თურქთა ნათესავისა და აორტნა (ე. ი. გააქცია) სამეფოსაგან მისისა“. მას შეწევს საქართველოში „აქამომდე არღარა ჩენილ არიან თურქნი“. რამდენი ბოროტმოქმედება ჩაიდინეს, ზანი ვიყენეს ეხლა ჩენს ქვეყანას, მაგრამ ისინი „კუალად განმზადებულ არიან ბოროტის ყოფად ქრისტიანეთა და მოკრებად“ ჩენი სამშობლოსი, ამის მიზეზია ის, რომ საქართველოს „მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა და კუალად პირნი და თავადნი (ე. ი. მეოღურები) საქართველოსანნი განდგომილ არიან და არავინ არს წინააღმდეგომ თურქთა“. ბრძოლა შემოსულ თურქთა წინააღმდეგ მანდატურთუხუცესი ბექას ნეთაურობით ქართველი ლაშქრის გამარჯვებით დანთავრდა, ბტერი დანარცხებული და ვანდევნილი იქნა.

საქართველო XIII საუკუნის სამოციანი წლებიდან ნოყოლებული ფეხზლად აღევნებდა თვალყურს ტრაპიზონის საეისაროს,

<sup>1</sup> ა. კიკვიძე, სამუხას სამთავროს წარმომობა საქართველოს ფეოდალურ მონარქიაში, «სახელმწიფო უნივერსიტეტის წიგნები», XXXVII, 1949 წ., გვ. 39—95.

რომლის მოსახლეობა უმთავრესად ქართველი ტომებისაგან შედგებოდა. ამ ნიადაგზე ადგილი ჰქონდა გაცხარებულ ბრძოლას საქართველოსა და ბიზანტიას შორის. მეფის ცენტრალური ხელისუფლების დასუსტების გამო ტრაპიზონის საკეისროში მცხოვრები ლაზი მოსახლეობის დაცვა ბეჭა მანდატურთუხუცესმა იკისრა. ტრაპიზონში თავისი პოლიტიკისა და გავლენის გაძლიერების მიზნით, რაც მიმართული იყო თურქ ხელისუფალთა პოლიტიკის წინააღმდეგ, ბეჭა მანდატურთუხუცესმა ტრაპიზონის სამეფოში საქართველოს მომხრე პოლიტიკური დასის გადაწყვეტილებით ტრაპიზონის კეისარს, ალექსი მეორეს, ცოლად თავისი ასული შერთო. „ამნაირად, ტრაპიზონის სამეფოში საქართველოს მომხრე პოლიტიკურმა დასმა გაიმარჯვა და ქართული პოლიტიკური გავლენაც გაძლიერდა. ამან თვით ტრაპიზონის საკეისროს საშუალება მისცა თურქთა შემოსევა თავდასხმა აელაგმა და მოსახლეობაც ზღვის სანაპიროზე მოთარჯნე მეკობრეებისაგანაც უზრუნველყო“<sup>1</sup>.

~~ბიზანტიის~~ კეისარს, ალექსი მეორეს, მანდატურთუხუცესის ბეჭას ასულისაგან 4 ვაჟიშვილი შეეძინა. კეისრის გარდაცვალების შემდეგ მის შვილს, ვასილს 1333 წელს კონსტანტინეპოლში ყოფნისას ცოლად ბიზანტიის კეისრის ანდრონიკე ნესამის უკანონო ქალიშვილი შერთეს. ამით ისარგებლა ტრაპიზონში ბიზანტიის პოლიტიკის მომხრე პოლიტიკურმა დასმა და კეისრის ხელისუფლება ვასილს გადასცა, რასაც შედეგად მოჰყვა საქართველოს მომხრე პოლიტიკური დასის გაუღება და ტრაპიზონის საკეისროს ორი ქართველი უმაღლესი თანამდებობის პირის სიკვდილით დასჯა. ერთი მათგანი დიდი დუკა ლეკი ქანქიძე იყო, რომელიც, სამხედრო და სამოქალაქო უფლებებით აღჭურვილი, საქვეყნოდ გამრიგედ ითვლებოდა, ხოლო მეორე — დიდი დოქსტიკოსი ჯაბა, — ტრაპიზონის ჯარის უფროსი იყო. ✓

ბიზანტიისა და საქართველოს მომხრე პოლიტიკურ ჯგუფებს შორის ბრძოლა კვლავ განახლდა და 1341 წელს საქართველოს პოლიტიკური გავლენა ტრაპიზონში აღდგენილი იქნა. მაგრამ სულ მალე მოწინააღმდეგეთა შორის ისევ გამწვავებული ბრძოლა გაჩაღდა, რასაც 1342 წელს შედეგად მოჰყვა საქართველოს მომხრე დასის დამარცხება და ბიზანტიის ბატონობის აღდგენა.

სამართლის წიგნიდან ჩანს, რომ აღბუღას „ათაბაგის“ წოდება ჰქონია მინიჭებული. ათაბაგობის თანამდებობა, როგორც თანარ

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი III, 1941 წ., გვ. 145

მეფის ისტორიკოსი აღნიშნავს, თანაარს შემოუღია და ზაქარია ამირსპასალარის სიკვდილის შემდეგ ეს წოდება პირველად ამირსპასალარობასთან ერთად ივანე მხარგრძელისათვის უბოძებია. ათაბაგობის შემოღება მეფის ცენტრალური ხელისუფლების მხრით დათმობას წარმოადგენდა დიდგვაროვანი ფეოდალებისადმი. ეს ინსტიტუტი მისი წარმოშობისთანავე ერთგვარად დაუპირისპირდა მეფის პირველი ვაზირისა და თანამეწიის კყონდიდელ-მწიგნობართუხუცესის თანამდებობას. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღნიშნულია, რომ ათაბაგი დიდი და საპატიო ხელისუფალი იყო, მაგრამ იგი მაინც მწიგნობართუხუცესზე დაბლა იდგა. მწიგნობართუხუცესი, როგორც ცნობილია, ვაზირთა ყოველთა უპირველესი იყო. ათაბაგს, მეფის კურთხევის წესის მიხედვით, მწიგნობართუხუცესის კყონდიდელის შემდგომი ადგილი ეკუთვნოდა. კურთხევის წესში აღნიშნულია, რომ, როცა მეფეს ტახტზე აბრძანებასა და კურთხევას მიულოცავდნენ, ათაბაგი ხოლოდ ვაზირთა უპირველესის მერმე უნდა მისულყო მისალოცად. „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ აღნიშნულია, რომ ვაზირობისა და დარბაზობის დროს ვაზირთა უპირველესისა და მწიგნობართუხუცესის კყონდიდელის ქვემოთ ნოხთა ზედა ათაბაგი და ამირსპასალარი დასხდნენო. მაშასადამე, ვაზირობის დაწყებისას ჯერ მწიგნობართუხუცესი დაჯდება, როგორც პირველი ვაზირი, შემდეგ ათაბაგი და დანარჩენი ვეზირები. ათაბაგი თავისი ღირსებით მწიგნობართუხუცესზე დაბლა რომ იდგა, ეს მტკიცდება „ხელმწიფის კარის გარიგების“ სხვა ადგილებიდანაც. მწიგნობართუხუცესის შემდეგ ათაბაგი ყველა სხვა მოხელეზე, იგივე ამირსპასალარზედაც, მაღლა იდგა. სპასალარს რომ ათაბაგობას უწყალობებდა მეფე, ეს დიდ პატივად ითვლებოდა. ათაბაგი სამეფო კარის ვეზირი იყო, დარბაზის კარის ერთ-ერთი უმაღლესი ხელისუფალთაგანი. თანაარ მეფის ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ თანაარ მეფისაგან ათაბაგობა იყო „განდიდებული... უმეტეს სხვათა ერისთავთა“. ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ერისთავი საქვეყნო გამრიგე მოხელეთა ჯგუფს ეკუთვნოდა და, თუ ისტორიკოსი ამბობს, ათაბაგი სხვა ერისთავზე უფრო დაწინაურებული იყო, ალბათ ათაბაგობას საქვეყნოდ გამრიგე მოხელეობასთანაც რაღაც კავშირი უნდა ჰქონოდაო. იქნება ამიტომაც იყო, რომ მეფის კურთხევის დროს ათაბაგნი და სხვა მთავარნი ერთ მხარეს იდგნენო<sup>1</sup>. მაგ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვთი I, თბილისი, 1926, გვ. 181—182.



რამ მე-13 ს. ისტორიულ ანბებში მეფის შემდგომ ქვეყნის პირველი საკეთმპყრობელის, მწიგნობართუხუცესისა და ვაზირთა უპირველესის ხსენება იწვითადლა გვხვდება და სამაგიეროდ თითქმის ყველგან ათაბაგი და ამირსპასალარი, ან ათაბაგ-ამირსპასალარი ჩანან<sup>1</sup>. XIII საუკუნეში პირველი ვაზირი, „ვაზირთა უხუცესი“ ნამდვილად არის არა ქყონდიდელი, — მწიგნობართუხუცესი, — არამედ ათაბაგი<sup>2</sup>.

ათაბაგობა, როგორც ეს საისტორიო წყაროებიდან ჩანს, შეიძლებოდა სხვა თანამდებობასთანაც ყოფილიყო შეერთებული. ეს ნათლად ჩანს თვით აღბუღას სამართლის წინასიტყვაობიდანაც. სადაც აღნიშნულია რომ „პატრონმან, ათაბაგ-ამირსპასალარმან აღბუღა“ შეკუდები სამართლის წიგნის შედგებასო. ამირსპასალარობის შეერთება სხვა თანამდებობასთან აღნიშნული აქვს თაპარ მეფის ისტორიკოსსაც. მეფე გიორგი ბრწყინვალემ „მიუბოძა სარგის ჯაყელსა ათაბაგობა და ამირსპასალარობა“. მცდარია ვახუშტის აზრი იმის შესახებ, რომ თითქოს „არღარა იწოდებოდა სპასალარი სპასალარად, არამედ ათაბაგად“<sup>3</sup>. სპასალარი და ათაბაგი სხედასხვა სამოხელეო ხელისუფალია, როგორც ეს თავის დროზე აღნიშნა ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ გაკონცეპტულმა დ. ბაქრაძემ. „ხელმწიფის კარის გარეგებიდან“ ჩანს, ათაბაგობა გამონაკლის მოხელეობას წარმოადგენდა, — ათაბაგობა „ძვირად ოღესმე იქნებისო“. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი აღნიშნაუბ, რომ ათაბაგობა უცხო რამედ დარჩა საქართველოსათვის, რომ იგი არ წარმოადგენდა გაერთიანებულ სამეფოს სახელმწიფო სამართლის დამახასიათებელ ინსტიტუტს. „შემდევშიც, როგორც ცნობილია, საქართველოში ათაბაგობა სამცხის მმართველთა საგვარეულოს საჰკაჟულად იქცა და იქაც ათაბაგნი განკერძოების და დამოუკიდებლობის მოხვედრის გზას დაადგინა“<sup>4</sup>.

ათაბაგ აღბუღას სამართლის წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ მას „ამირსპასალარის“ წოდებაც ჰქონდა. „ამირსპასალარი“ სახელმწიფო მხედრობისა და სპის წინამძღოლი და სარ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია, ტ. III, 1941 წ., გვ. 46.

<sup>2</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, მე-13—14 სს., «თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები» VI, 1938, გვ. 293.

<sup>3</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941 წ., გვ. 20.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი I, თბილისი, 1928 წ., გვ. 182.

დალი იყო. საისტორიო მწერლობაში „ამირსპასალარი“ პირველად მოხსენებულია გიორგი III-ისა და თამარ მეფის ისტორიკოსის თხუხულებაში. მანამდე ჯარების უფროსს „სპასპეტი“ და „სპასალარი“ ეწოდებოდა. სპასალარი და სპასპეტი, ალბათ, რამდენიმე პირი იყო. შესაძლებელია, რომ თვითველ თემსა და კუთხეს საქართველოში თავისი სპასალარი ჰყოლოდა, მაგრამ საისტორიო წყაროებში მარტო „სამცხის სპასალარია“ მოხსენებული.

ივანე ჯავახიშვილის აზრით შესაძლებელია, რომ სახელწოდება „ამირსპასალარი“ წარმოშობილიყო XII საუკუნეში. ძველ ქართულ საისტორიო მწერლობაში სიტყვა „ამირსპასალარი“ იხმარებოდა მხედართმთავრის მნიშვნელობით, ლაშქრის სარდლისა და წინამძღოლის ნიშნელობით. ამირსპასალარის მოვალეობას „სალაშქრონი საქმენი“, „ლაშქართა საქმე და განგება“, „ლაშქრობათა მეცადინეობანი“, „მვედართა განწყებანი“, „სპათა დაწყობათა ღონენი და მიმართებანი“ წარმოადგენდა. როგორც სხვაგან, ისე საქართველოშიც ამირსპასალარს სხვა ვაზირობაც ჰქონდა მინიჭებული. მეფე გიორგი III-ის დროს ივანე ორბელი მანდატურთუხუცესი და ამირსპასალარი იყო.

ბექას სამართლის წინასიტყვაობაში, რომელიც ათაბაგ აღბულას ეკუთვნის, აღნიშნულია, რომ ბექას „მანდატურთუხუცესის“ საპატიო წოდებაც ჰქონია. „მანდატურთუხუცესი“ ქართულ საისტორიო მწერლობაში პირველად გიორგი III-ის დროს არის მოხსენებული, მაგრამ საფიქრებელია, რომ მანდატურთუხუცესის თანამდებობა მანამდეც არსებულებოდა საქართველოში. თამარ მეფის დროს მანდატურთუხუცესი ხშირად იხსენიება საისტორიო მწერლობაში. „მანდატორ“ ბერძნულ-ლათინური სიტყვაა. ბიზანტიაში არსებობდა სამოხელეო თანამდებობა „პროტომანდატორი“, რაც ქართულად მანდატურთუხუცესს ნიშნავს. ბიზანტიაში ის ითვლებოდა კეისრის სეფელაშქრისა და მონა-სპების უფროსად.

ქართული სახელმწიფო სამართლის ცნობილ ძეგლში, „ხელმწიფის კარის გარიგებაში“, ნათქვამია, რომ პატივი ამირსპასალარისა და მანდატურთუხუცესისა სწორი არის. მაშასადამე, ორივე ეს თანამდებობა თანაბრად საპატიო წოდებისა და მნიშვნელობისა უოფილა. საქართველოში მანდატურთუხუცესს თავისი ხელქვეითები, „მანდატურნი“ ჰყავდა. მას იმერ-ამიერ საქართველოს მანდატურნი ექვემდებარებოდნენ. მანდატურების მოვალეობას წარმოადგენდა ვაზირობის დროს სავაზირო ოთახის დაცვა.

მანდატური აგრეთვე საპატიო კაცის გამყოლია \*მგზავრობაში. აქ ის მიმოსვლისა და სახელმწიფო ფოსტის მოხელედ ჩანს. მანდატურთუხუცესისა და მანდატურთა საზრუნავს შეადგენდა აგრეთვე ზვრების დამუშავება და ზვრის ბუშათა ზედამდგომობა. სიკვლების გაცეპაც მანდატურთუხუცესის თანდასწრებით ხდებოდა. მანდატურთუხუცესის სახელისუფლოს შეადგენდა აგრეთვე დარბაზობის დროს სტუმრების მიწვევა, მათი დახვედრისა და მიღების თაღარიგის მოვალეობა. მაგრამ მის უმთავრეს ფუნქციას სახელმწიფო უშიშროებისა და წესრიგის დაცვა წარმოადგენდა, იგი სახელმწიფოს შინაგან საქმეთა, ფოსტისა და მიმოსვლის უმაღლესი ხელისუფალი იყო. რაც შეეხება ბეჟა მანდატურთუხუცესის თანამდებობას, იგი საპატიო წოდებად ითვლებოდა, რომელიც სამცხის მთავარს მიღებული ჰქონდა საქართველოს მეფისაგან.

ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართალში სამცხის პეტრონს „ჯაყელი“ ეწოდება. ჯაყელთა გვარი, როგორც ფიქრობენ: წარმოდგა ციხე-სიმაგრე ჯაყისაგან, რომელიც მდებარეობდა სამცხეში ჯაყის წყლის პირას. „ჯაყის წყალზედ არს ყველს ციხე მრავალჯერ შემეუსრვილი და აწ ოკერი“<sup>1</sup>. ცნობილია, რომ საქართველოს მთავრები ხშირად ციხის სახელს ირქმევდნენ გვარად. ვახუშტი თავის გეოგრაფიაში „ჯვარის ციხესაც“ აღნიშნავს: „ამ [წინის] ჯევის სათავეს, მთასა შინა, არს ჰვინტის დასავლეთად ჯვარის ციხე, მგარი და დიდშენი. ჰვინტას არს მონასტერი კეთილი, შეენიერშენი და აწ უქმი“<sup>2</sup>.

ზემოთ აღნიშნული იყო რომ თავარ ჰეფის დროს ივანე ნხარგრიძელმა პირადი ღვაწლისა და დამსახურებისათვის პირველად მიიღო ათაბაგობის პატივი. მაშინ ათაბაგ იბა, როგორც ერთ-ერთი უმაღლესი სამხელეო თანამდებობა, ჯერ კიდევ სამკვიდრო ხელისუფლებად არ ითვლებოდა. ვახუშტის ნიხედვით, ათაბაგობა საშვილიშვილო, სამკვიდრო ხელისუფლებად სამცხის მთავრებს მეფე გიორგი ბრწყინვალე უბოძა და საათაბაგოს დაარსებაც მის დროს მოხდაო. ათაბაგს სამცხის „პატრონობა“ ჰქონდა დაკისრებული, მას „პატრონი-ათაბაგი“ ეწოდებოდა. მაგრამ საქართველოს მეფესთან საათაბაგოს ხელისუფალთა კავშირს უფრო ფორმალური ხასიათი ჰქონდა, ვიდრე რეალური. თუცა ქამთაღმწერელი

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსი, 1941 წ., გვ. 125.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 124.

მიუთითებს, რომ „ბეჟა ესრეთ დღითი-დღე განდიდნებოდეს და მსახურებდეს ყაინსა აბალას, და მორჩილებდეს დიმიტრის“. ამავე აზრს იმეორებს ვახუშტიც და მიუთითებს, რომ ათაბაგი „უსმენ-დაცა მეფესა და მორჩილებდა ყუენსა“. მაგრამ საათაბაგოს ისტორია გვიჩვენებს, რომ ამ „მორჩილებას“ და „მოსმენას“ მეტად პირობითი და „სემახვევითი ხასიათი ჰქონდა.

სამცხე-საათაბაგოს სამართლის დაკვირვებული შესწავლა აქვს-ტურებს, რომ სავთავროს საშინაო მართვა-გამგეობა მთლიანად პატრონ-ათაბაგის მიერ დამოუკიდებლად სორციელდება. „იმ ხანად, როგორც დავრწმუნდით, საქართველოს მთლიანობა იმდენად დაშლილი იყო, რომ მეფეს თითქმის აღარავითარი ძალა აღარ ჰქონდა“<sup>1</sup>. საკანონმდებლო ხელისუფლება საათაბაგოში პატრონ-ათაბაგს ეკუთვნის და იგი ამ უფლებას საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს. იგი აღმსრულებელია უზენაესი სასამართლო ხელისუფლებითაც, რაც ნათლად ჩანს სამართლის წიგნიდან. დიდებულთა შორის წარმოშობილი დავა უნდა მოისპოს, როცა საქმეში ათაბაგის მიერ გაგზავნილი კაცნი ჩაერევიან. პატრონ-ჯაყელს შეეძლო დამნაშავეისათვის ყოველგვარი სასჯელის შეფარდება. ქვეშევრდომთა ერთგული სამსახურისათვის ღირსებისა და საპატიო წოდების ბოძებაც ათაბაგის უფლებას შეადგენდა. ათაბაგს ემორჩილებოდნენ დიდგვაროვანი და წარჩინებული პირები. იგი სამხედრო და ადმინისტრაციული მმართველობის მეთაური იყო. ამრიგად, „პატრონ-ათაბაგი“ თავისი უფლება-შესილებით საათაბაგოში იგივე მეფე იყო.

დამახასიათებელია, რომ ბეჟა-აღბულას სამართალში განსახლდრულია სისხლის ოდენობა ყველა წოდების წარმომადგენელთათვის, მაგრამ კანონმდებელი არაფერს აწმობს ათაბაგის სისხლის ოდენობის შესახებ. ათაბაგის სისხლი, ისე როგორც მეფის სისხლი, არ იყო გაჩენილი. მაშასადამე, ათაბაგი თავის სამფლობელოში უზენაესი ხელისუფლებით სარგებლობდა, თავისი სანთავროს დამოუკიდებელი ხელისუფალი იყო. იმდროინდელი პოლიტიკური დაქსაქსულობის გამო სამეფო ხელისუფლების გავლენა საათაბაგოზე მეტად სუსტია. ის ფაქტი, რომ სჯულმდებლებმა ბეჟამ და აღბულამ თავისი სამართალი მეფის დაუსწრებლად შეადგინეს, ცენტრალური ხელისუფლების დაკნინებაზე მეტყველებს. საკანონმდებლო კრებას, რომელმაც სამართალი შეადგინა, თვით საათა-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, IV, 1941 წ., გვ. 143.

ბაგოს „პატრონი ჯაყელი“ მეთაურობდა. სამართლის წიგნი შედგენილი იქნა არა მეფის, არამედ ათაბაგის სანელით. ეს ნათლად ჩანს როგორც ბექას, ისე აღბუღას სამართლის წიგნის წინასიტყვაობიდან. აღბუღა პირდაპირ მიუთითებს, რომ მე: „პატრონი ათაბაგ-ამირსპასალარმა“ სამართალი გავაჩინე. მაშასადამე, უხენაესი საკანონმდებლო ხელისუფლება, როგორც მეფეს ეკუთვნოდა, უკვე ათაბაგს დაუსაკუთოებია, რაც მრწომს სანათაბაგოს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ამიტომ მცდარია ნ. ურბნელის აზრის იმის შესახებ, რომ თითქოს „უმაღლესი მპრობელობა და ბატონობა, უხენაესი ძალა და უფლება საათაბაგოში ისევ მეფის ხელთ იყო. თუმცა უამითი-უამად ათაბაგნი, ლალნი და „ქედმაღალნი“, დამოუკიდებლობას სცდილობდნენ, მაგრამ მაინც გვირგვინოსანი ბაგრატიონი ბრძანებლობდა. აქ არის მიზეზი, რომ სამართლის წიგნი აღიწერა „ბრძანებითა მეფისათა“<sup>1</sup>. ნ. ურბნელი ეყრდნობა ვახუშტის ცნობას, მაგრამ არაად ბექასა და აღბუღას სამართალში არ არის მითითება იმის შესახებ, რომ საიმართალი შედგენილი იქნა „ბრძანებითა მეფისათა“. პირიქით, სამართლის წიგნის როგორც პირველ, ისე მეორე წინასიტყვაობაში მითითებულია, რომ სამართალი დადგენილი იქნა „პატრონი ათაბაგის“ ნებითა და განკარგულებით. ურბნელის მცდარი აზრი ეყარება აგრეთვე იმას, რომ მან ბაკრატი კურაპალატის სამართლის წინასიტყვაობა ბექა აღბუღას სამართლის შემადგენელ ნაწილად ჩათვალა. ეს აღრინდელი პერიოდის კანონმდებლობა, ცხადია, ვერ გამოდგება ათაბაგების სამეფო ხელისუფლებასთან დამოკიდებულების საკითხის გასარკვევად. ბექასა და აღბუღას სამართლის მიხედვით საათაბაგოში უხენაესი საკანონმდებლო, აღმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება „პატრონი-ათაბაგს“ ეკუთვნის. არსად სამართლის წიგნში არა ჩანს, რომ საათაბაგოში თითქოს „გვირგვინოსანი ბაგრატიონი ბრძანებლობდა“.

მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ ფეოდალური წყობილების დროს ყველა წოდების დაბლა დგას ყმა-გლეხობა, რომელიც მოკლებულია ყოველგვარ წოდებრივ და უფლებრივ პრივილეგიებს და წარმოადგენს საზოგადოების ძირითად ექსპლოატირებულ კლასს. მწარმოებელი კლასის ექსპლოატაციის ფორმები მრავალნაირია. ფ. ენგელსმა მოგვცა შუა საუკუნეების გერმანიის გლეხთა სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის შესანიშნავი

<sup>1</sup> ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, გვ. 14—15.

დ.ხასიათება, რომელიც თავისი საერთო ნიშნებით ტიპურია ყველა ფეოდალური სახელმწიფოსათვის. ფეოდალიზმის ეპოქაში — წერს ენგელსი — „გლეხს მზრებზე აწვა თავისი სიმძიმით სახოგადობრივი შენობის მთელი იერარქია: თავადები, აზნაურები, ხუცეები, პატრიციები და მოქალაქეები. თავადს ეკუთვნოდა იგი, აზნაურს, მონასტერს თუ ქალაქს, მას ყოველგან ისე ეპყრობოდნენ, როგორც ნიფთს, როგორც მუშა საქონელს და უარესადაც“<sup>1</sup>.

ნიშანდობლივია, რომ აღაუქვამდა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალიც ემა-გლეხს უყურებს როგორც შესაჯდომ („საქედარ“) საქონელს. თუ ვინმემ გლეხი დაიქირაოს და იგი მუშაობაში მოკვდეს, „არავინ რას ემართლებს ქირისაგან მეტსა. ამავ ე წესითა საკედრისა იყოსო“, ე. ი. დამქირავებელს, გლეხის ან საქონლის სიკვდილის შემთხვევაში, პატრონისათვის მხოლოდ ქირა უნდა გადაეხადა. საათაბაგოს გლეხი მოკლებული იყო ადამიანურ პირობებს. სამართლის წიგნში შემონახულია ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობა მემამულეებსა და გაღატაკებულ გლეხებს შორის მწვავე კლასობრივი ბრძოლის შესახებ, რომელიც სხვადასხვა ფორმებში ვლინდებოდა. ჩვეულებრივად ასეთი ბრძოლა აზნაურებზე თავდასხმასა და მათ დარბევაში გამოიხატებოდა. გაძვალტყავებული გლეხები თავს ესხმოდნენ მემამულეებს და მათ ქონებას, ქრიდნენ და კლავდნენ მათ. ბექა მანდატურთუბუცესის სამართლის 35-ე მუხლს სწორედ ასეთი შეცთხვევა აქვს მხედველობაში: „თუ აზნაური კაცი გლეხმან... გააუპატიოს და კიდევ წაუღოს ქელის-ქელ, ყმანიცა და უქოცნეს“ ან ქრილობა მიაყენოს, კანონით გათვალისწინებული სასჯელი შეეფარდოსო. აზნაურთა და გლეხთა ურთიერთობის განწვევა ჩანს აგრეთვე სამართლის წიგნის ორივე წინასიტყვაობიდან, სადაც განსაკუთრებით ხაზგასმით არის აღნიშნული „ეამთა სიავითა“ წარმოშობილი „უწესო საქმეები“. სამართლის წიგნიდან ჩანს, რომ თავდასხმა და დარბევა იმ დროს მეტად გავრცელებული ყოფილა. სამცხე-საათაბაგოში გლეხთა უუფლებო მდგომარეობა ნათელი ხდება აგრეთვე კანონთა სხვა მუხლებიდანაც. „ამრიგად, მე 13—14 საუკუნეებში საქართველოში ყაა-გლეხების მდგომარეობა დიდად გაუარესდა. ამ ნიადაგზე კიდევ უფრო გამწვავდა დამოკიდებულება მემამულე აზნაურებსა

<sup>1</sup> Маркс и Энгельс, Соч., т. VIII, стр. 125.

და ყმა-გლეხებს შორის და მათ შორის ხანგრძლივი, სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა<sup>1</sup>.

სამხრეთ საქართველო ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარების ძირითად კერას წარმოადგენდა X—XIII საუკუნეებში. სწორედ საქართველოს ამ კუთხის სამთავროებში გაიფურჩქნა ქართული მწერლობა და ფილოსოფიური აზროვნება. კულტურის დაწინაურება სამართლის განვითარებაშიც გამოიხატა. შედგენილი იქნა სამართლის წიგნი, რომელიც ფეოდალური სამართლის განვითარებულ ინსტიტუტებს შეიცავდა და მთელი იმდროინდელი საქართველოს ტერიტორიის ერთ მესამედ ნაწილზე მოქმედებდა. ეს საერთო კულტურული აღმავლობა შეაფერხა ჯერ მონღოლთა, ხოლო შემდეგ მოჩთაბარე დამპყრობლების, ოსმალო-თურქების შემოსევამ. XV საუკუნეში, როცა საქართველოს თურქები შემოესივნენ, ქვეყანა ცალკეულ ფეოდალურ სამთავროებად იყო დაშლილი. მიუხედავად ამისა სამცხე, რომლის საზღვრები ვრცელდებოდა ერზინჯანამდე და ტრაპეზუნტის მისადგომებამდე, გმირულად იგერიებს მოსისხლე მტერს, ბარბაროს ოსმალებს. ამის შემდეგ ვადრე საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე არ შეწყვეტილა სამხრეთ და დასავლეთ საქართველოს მცხოვრებთა ხოცვა-ჟლეტა და აოხრება ველური თურქების მიერ. ბარბაროსი დამპყრობლები, რომლებმაც სამცხის მოსახლეობა ძალით მოსწყვიტეს ღედა სამშობლოს, მხეცურად სდევნიდნენ ქართველებსა და ქართულ კულტურას, ენას, სარწმუნოებას, კანონებსა და ადათ-ჩვეულებებს. ცეცხლითა და მახვილით ცდილობდნენ თურქული ენისა და სარწმუნოების ვავრცელებას. თურქების ხანგრძლივი ბატონობის შედეგად დაქვეითდა და შეფერხდა საქართველოს ამ კუთხის სანეურნეო და კულტურული ცხოვრება. მიუხედავად ასეთი ისტორიული ბედუკულობათობისა ქართველმა ხალხმა გმირული ბრძოლით საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა და განავითარა თავისი ენა, ლიტერატურა, თვითმყოფი ეროვნული კულტურა და XIX საუკუნის დასაწყისში იგი შეუერთდა დიდ რუსეთს, რომელმაც ქართველი ხალხი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ფართო სარბიელზე გამოიყვანა.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, გვ. 235.

## II. სამართლის წიგნის შედგენილობა და სისტემა

### 1. ბეჯა მანდატურთუხუცესისა და აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი

(მუხ. 1—98)

ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ კანონთა კრებულში, რომელიც 1704—1709 წლებს მიეკუთვნება, ბეჯა-აღბულას სამართლის წიგნს ეწოდება „სამართალი აღბულასი“ და შედგება (176) მუხლისაგან. იმის გამო, რომ ვახტანგის საკანონმდებლო კრებულში ამ ძეგლს ეწოდება „სამართალი აღბულასი“, ქართულ საისტორიო მწერლობაში განმეორდება აზრი, თითქოს ეს კანონები მხოლოდ აღბულას ეკუთვნოდეს, რომ სამართლის წიგნი შედგენილი იყოს აღბულას მიერ.

1863 წ. დ. ჩუბინაშვილმა თავის „ქართულ ქრესტომატიის“ ბეჯასა და აღბულას სამართლის წიგნი დაბეჭდა ასეთი სათაურით: „სამართალი აღბულასი პირველი“<sup>1</sup>. დ. ჩუბინაშვილის გამოცემით ბეჯა-აღბულას სამართალი (175) მუხლისაგან შედგება აღბულასა და ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესაყალი ცალკე მუხლებად არის აღნიშნული (მუხ. 67 და 99), ხოლო ბეჯას სამართლის წინასიტყვაობა, სრულიად მართებულად. შესავლის სახით არის წარმოდგენილი. დ. ჩუბინაშვილის გამოცემაში (168-ე მუხლი შეცდომით 167-ე) მუხლად არის განმეორებით აღნიშნული, ხოლო (173-ე) მუხლის ნუმერაცია გამოტოვებულია. გამომცემელი არ მიუთითებს, რომელი ხელნაწერით ხელმძღვანელობდა. ძეგლი დაბეჭდილია ყოველგვარი კომენტარიების გარეშე და ბეჭდვის დროსაც დაშვებულია შეცდომები.

როგორც აღვნიშნეთ, დ. ჩუბინაშვილის გამოცემაში ძეგლის სათაურია „სამართალი აღბულასი პირველი“. ჩანს, დ. ჩუბინაშვილსაც სამართლის წიგნი საკუთრივ აღბულას სამართლის წიგნად ნიაჩნდა. თუმცა „ქართული ქრესტომატიის“ გამომცემამდე

<sup>1</sup> „ქართული ქრესტომატია“, ნაწილი I. ქართული პროზა. ახლად დაბეჭდილი დავით ჩუბინაშვილისაგან, სანკტ-პეტერბურგი, 1863 წ., გვ. 208—235.



ქართულ საისტორიო მწერლობაში უკვე გამოთქმული იყო ის აზრი, რომ ალბულამ სამართლის წიგნი მისი პაპის ათაბაგ ბექას კანონების მიხედვით შეადგინა. ეს აზრი ეკუთვნოდა პლატონ იოსელიანს, რომელიც ცერდნობოდა რა ვახუშტის ცნობას, ბექას ათაბაგობა 1361—1391წლებით ჰქონდა განსახდერული. ალბულას კანონები კი 1446 წელს დაწერილად მიაჩნდა<sup>1</sup>.

1887 წელს თბილისში ცნობილი ქართველი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის რედაქციით რუსულ ენაზე გამოცემულ იქნა ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილი კანონთა კრებული, რომელიც წარმოადგენდა ამ კრებულის რუსული თარგმანის მეორე შესწორებულ გამოცემას. პირველად კრებული გამოცემული იყო რუსულ ენაზე სენატის განკარგულებით 1828 წელს, როგორც სახელმძღვანელო თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების სამოქალაქო სასამართლოებისათვის.

რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში ისტორიკოსი დ. ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ მის მიერ შენარჩუნებულია ყოველგვარი ცვლილებების გარეშე ტექსტის ოდიციალური ხასიათი, მაგრამ რაკი 1328 წ. რუსული ოფიციალური გამოცემის ქართულ ხელნაწერთან შეჯერებისას აღმოჩნდა შეცდომები რუსული თარგმანის ზოგიერთ მუხლში, ჩვენ შენიშვნებში მიუთითეთ ქართული ტექსტის ნამდვილი აზრი, ხოლო ის მუხლები, რომლებიც გაართობებული იყო რუსული თარგმანის პირველ გამოცემაში. ამ ნიშნულგონად დაცილებული იყვნენ ორიგინალს, ხელახლა ფართვნიეთ.

ვახტანგის კანონების პირველი რუსული გამოცემა — ქართლაც ვიარკისი იყო. როგორც ჩანს, მთარგმნელმა არ ესწრაფა ქართული იურიდიული ტერმინების შინაარსი. მეორე გამოცემაში ძველი თარგმანი აქა-იქ შესწორებულია დ. ბაქრაძის მიერ. მიუაუდავად იმისა, რომ დ. ბაქრაძის რედაქციით გამოსული რუსული თარგმანი პირველ გამოცემასთან შედარებით ნაწილობრივ შესწორებული და გაუმჯობესებულია, იგი შეიცავს მთელ რივ შეცდომებს და დამახინჯებულად გადმოსცემს ქართული ტექსტის მუხლებსა და იურიდიული ტერმინების აზრსა და ნიშნულობას. ბექა-ალბულას კანონების 1672 წლის ხელნაწერის (Q-205) აღმოჩენის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ვახტანგის კანონთა კრებულში

<sup>1</sup> И. Поселин и л. Краткая история грузинской церкви. С-Петербург. 1848 г. стр. 116.

ბექა-ალბულას სამართლის მთელი რიგი მუხლები დამახინჯებულია. დ. ბაქრაძე ხსენებულ ხელნაწერს არ იცნობდა, რადგან იგი აღმოჩენილი იქნა მისი გარდაცვალების შემდეგ. მას ხელთ არ ჰქონია აგრეთვე ვახტანგის კრებულის უძველესი S—3683 ნუსხა. ხელნაწერები, რომლებითაც დ. ბაქრაძე სარგებლობდა, დამახინჯებული იყო გადაწერათა მიერ, ამიტომ მეორე რუსული გამოცემაც საესეა შეცდომებით. ამასთან, როგორც ჩანს, დ. ბაქრაძეს საჭირო კრიტიკული დამოკიდებულება არ გამოუჩენია კანონთა კრებულის პირველი რუსული გამოცემის მიმართ, რის გამო მნიშვნელოვან ნაწილში პირველი გამოცემის შეცდომები რჩება მეორე გამოცემაშიც. მნიშვნელოვანი იურიდიული ტერმინების აზრას დამახინჯებას ჩვენ შევვებებით ქვემოთ, სათანადო თავებში. აქ დავკმაყოფილდებით მხოლოდ რუსული თარგმანის ყველაზე მეტად დამახინჯებული მუხლების აღნიშვნით. რუსულ გამოცემაში გამოტოვებულია სიტყვები და წინადადებები, ან დამახინჯებულია დედნის აზრი შემდეგ მუხლებში: 1, 5, 7, 10, 13—14, 18—19, 21—26, 28, 30, 32—43, 46, 48—52, 54—56, 58—59, 67—68, 72—74, 76, 78—79, 85—86, 91, 93—95, 98—101, 106, 113, 116—117, 122, 124, 131—132, 137, 140, 142, 149—151, 153, 160—161, 163, 168—169, 170—172, 174, 176.. ზოგიერთი ზემოაღნიშნული მუხლის დამახინჯებული ადგილის სათანადო ქართული დედნის შესატყვისი სიტყვები და წინადადებები დ. ბაქრაძეს მოჰყავს სქოლიოში, მაგრამ არ იძლევა მათი მნიშვნელობის რუსულ თარგმანს. სხვა მუხლების თარგმანიც არაა ზუსტი. ამიტომ აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს რუსული თარგმანი საერთოდ უვარგისად აქვს მიჩნეული.

ბექა-ალბულას კანონების რუსულ თარგმანში ბექას, ალბულასა და ბაგრაუტ კურაპალატის სამართლის შესაყალი ცალკე მუხლებად არის აღნიშნული (1, 67, 99), რის გამო ქველის რუსული თარგმანი 176 მუხლს შეიცავს. რუსულ გამოცემაში ბექა-ალბულას სამართალს ეწოდება „ЗАКОНЪ АРГУНЪ“. გამოცემის პირველი მუხლის შენიშვნაში დ. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ კანონების ავტორებად ითვლებოდნენ სამცხე-საათაბაგოს ათაბაგები ბექა და მისი შვილი-შვილი ალბულაო. ბექას ათაბაგობა დ. ბაქრაძესაც 1361—1391 წწ-ით ჰქონდა დათარიღებული, ხოლო ალბულასი 1444—1451 წწ-ით.

დ. ბაქრაძე სამართლის წიგნის ავტორებად ბექასა და ალბულას თვლის, მაგრამ ის ფაქტი, რომ მან სათაურის მიხედვით ქველი-

მარტო აღბუღას მიაკუთვნა და აგრეთვე (67-ე) მუხლის სქოლიოში ბეტად ფრთხილი შენიშვნა გააკეთა (не следует ли из сих слов заключить, что предшествующие статьи принадлежат Беку, а последующие самому Аргюриу<sup>1</sup>), ინას უნდა მოწმობდეს, რომ დ. ბაქრაძეს არ ჰქონდა გარკვეული აზრი ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის სტრუქტურაზე.

ბექასა და აღბუღას სამართლის პირველმა მკვლევარმა ნ. ურბნელმა თავის წიგნში — „ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი“ — გარკვევით აღნიშნა, რომ „სამცხე-საათაბაგოს სჯული, რომელიც ცნობილია „აღბუღას სამართალად“, მარტო აღბუღას არ ეკუთვნის და შეცდომით უწოდებენ ასეთ სახელს. სამართალსაც ცხადად ტყუობა, რომ იგი სხვადასხვა დროს დაწერილია. მისი შინაარსი და ორი წინასიტყვაობა (მუხ. ა და აზ) პირდაპირ ამტკიცებს ამ აზრს და აგრეთვე გვიჩვენებს, რომ იგი სამართალი ორ ნაწილად გაიყოლება. პირველი ნაწილი ბექას შედგენია და იმის შვილისშვილს საქიროდ უცენია პაპის განაჩენი უცვლელად დეტოგვინა“...<sup>2</sup> ნ. ურბნელსაც ბექას სამართლის წიგნი XIV საუკუნის დამლევის (1361—1391 წწ.), ხოლო აღბუღას სამართლის წიგნი XV საუკუნის პირველი ნახევრის (1444—1451 წწ.) ძველად მიაჩნდა.

1912 წელს გამოქვეყნებულ წიგნაკში „სჯულმდებელთა ბექასა და აღბუღას ვინაობა“ ს. კაკაბაძემ საფუძვლიანად უარყო ვაშაბატონეული აზრი სჯულმდებელ ბექასა და აღბუღას ვინაობისა და მათი მოღვაწეობის პერიოდის შესახებ. მისი აზრით ბექა-აღბუღას კანონმდებლობა XIV საუკუნეს ნიკუთვნება, ს. კაკაბაძე წერს: „აღსანიშნავია, რომ ათაბაგი აღბუღა თავის პაპას ბექას უწოდებს მანდატურთუხუცესს და არა ათაბაგს. საქართველოს ისტორიას იკითხეთ ერთი მანდატურთუხუცესი ბექა, ცნობილი სამცხეს მთავარი, რომელიც ცხოვრობდა XIII საუკ. დასასრულს და XIV საუკ. დასაწყისს (ვახუშტით 1285—1306 წ.). მისი სიყვდილის შემდეგ სამცხის მთავარნი — როგორც ყველა სამცხეთებიდან ჩანს, აღარ ატარებდნენ მანდატურთუხუცესის ღირსებას, არამედ ათა-

<sup>1</sup> Сборник законов грузинского царя Вахтанга VI. 1897 г. гл. 117

<sup>2</sup> ნ. ურბნელის, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, თბილისი, 1892 წ., გვ. 2—3.

ბაგისას. მარტო ეს მოსაზრება კმარა იმის დასარღვევად, რომ სჯულმდებელი ბექა არ უნდა იყოს ბექა I<sup>1</sup>. ს. კაკაბაძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სამართლის წიგნის 1672 წლის ხელნაწერის შესავალში აღბუღა აღნიშნავს „ბიძა ძეთა ჩემთა შაშისას“, რომელიც მოხსენებულია აგრეთვე ჯვარის მონასტრის სულთა ნატიანეში ანუ ალაპკებში „სარგისის შვილისა შაშისას არტანუჯელისა“ სახელწოდებით. სარგისი კი ბექა მანდატურთუხუცესის შვილი იყო, რომლის გარდა ბექას კიდევ ორი ძე, — ყვარყვარე და შალვა, — ჰყავდა. ს. კაკაბაძის აზრით „ათაბაგი აღბუღა სჯულმდებელი უნდა ყოფილიყო შვილი შალვასი, ბექას მესამე ძისა“.

ს. კაკაბაძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის წინასიტყვაობაში, რომელიც აღბუღას ეკუთვნის, სასჯელი ყაზანური თეთრით, ესე იგი ყაზან-ყაენის (1295—1304 წწ.) ვერცხლის ფულის ნიხედვით იყო დაწესებული, ხოლო აღბუღას დროს ფულის ეს ერთეული გამჭრალა და ამის გამო გიორგი V-ის, ბრწყინვალის „თეთრი“, ანუ ვერცხლის მონეტა შემოუღიათ. ამ მოსაზრებათა გაცნობა — ანტიკიტებს ს. კაკაბაძე — სამართლის წიგნის შედგენელი ბექა მანდატურთუხუცესი ბექა I-ად უნდა იყოს ცნობილი, აღბუღა კი XIV საუკუნის მეორე ნახევრის ათაბაგად, რომელიც 1336 წელს ცოცხალი ყოფილა<sup>1</sup>.

ეყრდნობა რა პროფესორ ს. კაკაბაძის ზემოაღნიშნულ აზრს, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი წერს: „რაკი ბექას თავისი სამართლის წიგნში საზღაური ყაზანუოთ დაუწესებია, ცხადია, ძველი იმ დროს უნდა იყოს შედგენილი, როდესაც საქართველოში ეს ფული ტრიალებდა, ესე იგი ყაზან-ყაენის დროს, ანუ 1295—1304 წლებში, ან ამის ახლო ხანებში; ხოლო რაკი მის შვილის-შვილს აღბუღას ყაზანუობის გაქრობის გასო გიორგი ბრწყინვალის თეთრი შემოუღია საზღაურად, ეს იმის დამატებითაა, რომ აღბუღა მართლაც ამ მეფის ახლო მომდევნო თაობის წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. ამგვარად, ბექას სამართლის წიგნი უნდა XIII საუკუნის დამლევის, ან XIV საუკუნის დამდევის ძეგლად ვიცნათ, აღბუღას სამართლის წიგნი კი XIV საუკუნის მეორე ნახევრი-

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე: სჯულმდებელი: ბექას და აღბუღას ვინაობა, 1912 წ. გვ. 4--7.

სად. მაშასადამე, ამ ორი ძეგლის შედგენილობის დრო ერთი საუკუნით უნდა იქნეს გადაწეული“<sup>1</sup>.

ამრიგად, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“ ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის შენდგომი პერიოდის საკანონმდებლო ძეგლს წარმოადგენს. ბექას კანონები „ძეგლის დებაზე“ ადრინდელი სამართლის წიგნია. მიწხედავად ამისა უკანასკნელ დროს გამრქეყუნებულ შრომებში კვლავ ადგილი აქვს ძველი შეცდომების უსებლიე გამეორებას და ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის შედგენას XIV—XV სს. აკუთვნებენ<sup>2</sup> და ქართული საერო სამართლის უძველეს ძეგლად თელიან გიორგი V ბრწყინვალის „ძეგლის დებას“<sup>3</sup>.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნს, როგორც დანოუკიდებელ ძეგლს, ჩვენამდე არ მოუღწევია. იგი შემონახულია ნხოლოდ აღბუღას საკანონმდებლო კოეზის რედაქციით. ცელიეზბეზი, აღბათ, უმთავრესად საზღაურის ოდენობის განსაზღვრელ მუხლებს შეეხეზ, ბექას სამართლის წიგნში სისხლი იანგარიშებოდა უაზანური თეორით, ხოლო აღბუღას სამართალში მეფე გიორგი V-ის თეორია.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნს თავის ახლახან გამოსულ შრომაში პროფ. ივ. სურგულაძე მხოლოდ „აღბუღას სამართალს“ უწოდებს. „რადგან ხვენამდის მოღწეული ხელნაწერი აღბუღას სახელით არის ცნობილი და, როგორც ირკვევა, აღბუღას თავისი საკუთარი კანონების გარდა თავის კრებულში ჩართულ სხვა საკანონმდებლო აქტებისათვის რედაქცია გაუკეთებია (შესაძლებელია აგრეთვე აღბუღას შენდგეაც იყოს ჩართული ზოგიერთი ადგილი), ამიტომ სანამ ამ კრებულის შენადგენელი ნაწილები ცალკე ხელნაწერების სახით არ აღმოჩნდება, მანამ ძეგლისათვის აღბუღას სახელის მინიკება მართებულია, მით უმეტეს, რომ ამ კანონთა კრებულს მოკნელი კანონის ძალა აღბუღას საიქ.

<sup>1</sup> ივ. ჯავახი შვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I. 1928 წ., გვ. 108—109.

<sup>2</sup> აღ. ვანიანი შვილი, ნაბკვეები ქართული სამართლის ისტორიიდან, I. 1946 წ., გვ. 2, 171. ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952 წ., გვ. 6.

<sup>3</sup> ბ. ფურცხვანიძე, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, 1949 წ., გვ. 143.

ციით ატვის მიცემული<sup>1</sup>. ზემოაღნიშნული მოსაზრება არ მიგვაჩნია დამაჯერებლად, რადგან ბექასა და ალბულას კანონებს „ალბულას სამართალი“ ეწოდება ჩვენსამდე მოღწეულ მხოლოდ ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ კანონთა კრებულის ხელნაწერებში. 1672 წლის ნუსხის მიხედვით, რომელიც ჯერჯერობით უძველეს ხელნაწერად ითვლება. ბექასა და ალბულას სამართალი დასათაურებულია: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოელისავე“. ანითომ აღნიშნულ ძეგლს ეს სათაური უნდა შეერჩეს, ანდა ძეგლის შინაარსისა და შედგენილობის მიხედვით უნდა ეწოდოს მას: „ბექასა და ალბულას სამართლის წიგნი“.

ძველია აგრეთვე იმის მტკიცება, თითქოს ალბულას კანონების კრებულში ჩართულ სხვა საკანონმდებლო აქტებისათვის რედაქცია გაუკეთებია. არავითარი საკანონმდებლო აქტები პირადალბულას სამართალში ჩართული არ არის. 1672 წლის ხელნაწერის მიხედვით სრულიად ნათელია, რომ ბექასა და ალბულას სამართალი თავდაპირველად სწორედ 98 მეხლისაგან შედგებოდა და სხვა მუსკლები შემდგენი შეცლონითა და შემთხვევით მიღმატეს ან საკანონმდებლო ძეგლს. ცხადია, იმ საკანონმდებლო ნასალას, რაც ალბულას შემდეგ დაურთეს სამართლის წიგნს, ალბულა რედაქციას ვერ გაუკეთებდა. ის კანონები, რომლებიც ბექასა და ალბულას სამართლის წიგნს 98 მეხლის შემდეგ დაუმატეს, უნდა მიეწეროს ვახტანგ მეფის საკოდიფიკაციო კომისიას, რომელმაც შეკრიბა იმ დროისათვის მერაბული საკანონმდებლო ძეგლები.

ბექა ნანდატურთუხუცესის სამართლის წინასიტყვაობაში აღბუღა აღნიშნავს, რომ „ბექას განაჩენი სრულობით და უკლებლად დავსწერეთ“ და „ამჟურისა და საფარისა ვითა ძველითგან ყოფილყო ... აგრეთვე დავაპტიკეთო“. ცხადია, აქედან ის აზრი არ უნდა გამოვიტანოთ, თითქოს ალბულამ ყველაფერი უკვლელი დატოვა ბექას სამართალში. ერთგვარი რედაქცია, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ალბათ გააკეთა, მაგრამ არსებითი ცვლილებები ბექა მანდატურთუხუცესის სამართალში არ შეუტანია.

მეტად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ვახტანგის სამართლის წიგნის შესავალში სჯულმდებელი მეფე ბექა-ალბულას სამართლის წიგნს ბექას სამართალს უწოდებს. სხვა უცხო და ნაციონალურ საკანონმდებლო ძეგლებთან ერთად „ბექას გან-

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952წ., გვ. 71.

ჩინებული სამართალიც<sup>1</sup> შეეკრიბეთო, ნათქვამი წინასიტყვაობაში. მაშასადამე, ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიაში იცოდა, რომ ბექა-აღბულას კანონების უძველესი ნაწილი „ბექას განჩინებული სამართალი“ იყო. შემოაღნიშნულის გამო უფარებულ იქნება ბექასა და აღბულას კანონებს მხოლოდ „აღბულას სამართალი“ ეუწოდოთ. ბექა-აღბულას სამართლის ორ წინასიტყვაობაში დაცული კანონების მიხედვით მათ სამართალს ჩვენ ეუწოდებთ „ბექა ნანდატურთაჲსისა და აღბულა ნანდატურთაჲსისა სანართალს“. ძველის ასეთი დასათაურება ხუხუტია და იგი გარკვევით მიუთითებს სჯულმდებელთა გინაობისა და მათი მოღვაწეობის პერიოდს. ✓

## 2. ბაგრატ კურაპალატის სამართალი

(მუხ. 9—160)

ისტორიკოსი დ. ბაქრაძე ბექა-აღბულას კანონების რუსული გამოცემის 78-ე მუხლის შენიშვნაში მითითებდა. „СЕМЫХ ДРЕВНИМЪ ПЪ ДОСЕЛѢ ИЗВѢСТНЫХЪ ЗАКОНОВЪ ГРУЗИИ СЧИТАЮТСЯ ЗАКОНЫ ЦАРЯ ГЕОРГІЯ“ და აღნიშნავდა, რომ საქართველოში დაწერილი კანონები, როგორც აღნიშნული მუსლის შინააღსიდან ჩანს, გიორგის კანონებამდეც არსებობდა, მაგრამ დაკარგულაო.

რაც შეეხება ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესავალს, რომელიც რუსულ გამოცემაში აღნიშნულია ბექა-აღბულას სამართლის 99-ე მუხლად, დ. ბაქრაძის აზრით ამ მუხლის შინაარსი ის არის, რომ კანონები ძველი მეფეების დროსაც დაუწერიათ სასულიერო და საერო პირთა მონაწილეობით და ადგილ აღბულასაც ხელთ ჰქონია ანგარი ძველი კანონებისო<sup>1</sup>. 99—170 მუხლები დ. ბაქრაძეს ნიაჩნდა ბექა-აღბულას სამართლის შემადგენელ ნაწილად. ნ. ურბნელიც, რომელმაც ბექა-აღბულას სამართალს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, შემოაღნიშნულ მუხლებს აღბულას სამართლის წიგნის ნაწილად თვლიდა. ესება რა 101-ე მუხლის-შინაარსს, რომლის მიხედვითაც მეფეს არ შეუძლია ეპისკოპოსის შეპყრობა და მეფე მხოლოდ პიადიშსა და შეხვეწნას უნდა დასჯერდეს, ურბნელი დაასკენის, რომ ეს მუხლი გამოტაცეს საათაბაგოს საერო და სასულიერო ხელისუფლების დამოკი-

<sup>1</sup> Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, стр. 112, 117.

დებულებასო. „თუ საათაბაგოში ეპისკოპოსის დასჯა მეფეს არ შეეძლო, ამის მიზეზი მეუბნის დანიცირება იყო და სამთავროს დაპოუქიდებლობა“<sup>1</sup>.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნს პირველად ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა. 1909 წელს გამოქვეყნებულ „ქართული სამართლის ისტორიის“ პირველ ნაწილში მან აღნიშნა, რომ ბექა-აღბუღას სამართალში შემორჩენილი არის ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ნაწყვეტო<sup>1</sup> შემდეგ ეს აზრი უფრო ვრცლად და დასაჯერებლად დასაბუთა იმავე წიგნის მეორე განმარტებაში 1928 წელს. ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესავალი. რომელიც ბექა-აღბუღას სამართლის 99-ე მუხლად ითვლება, სამართლის წიგნის წინამდებარე (9ა-ე, 97-სა და 98-ე) მუხლებს რომ შეუადაროთ, დაეინახეთ, რომ მათ შორის შინაარსობლივად არავითარი კავშირი არ არსებობს. გარდა ამისა, ამბობს აკად. ივ. ჯავახიშვილი, შესავალი რომ ბექასა და აღბუღას სამართლის ნაწილს არ წარმოადგენს, იქიდანაც ჩანს, რომ წინასიტყვაობაში ისინი სრულიად არ არიან ნახსენები. ეს რომ მათი კანონმდებლობის ნაწილი ყოფილიყო, ისინი მიუთითებდნენ ამის შესახებ თვით შესავლის ტექსტში, როგორც ამას ადგილი აქვს ბექასა და აღბუღას სამართლის წინასიტყვაობაში. ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესავალში ლაპარაკია ბაგრატ კურაპალატის, აღმაშენებელთა მეფეთ-მეფის შესახებ, რომლის ბრძანებით შეკრებილი უმაღლესი საბჭოების, დიდებული აზნაურებისა და კეკელიანი კაცების მონაწილეობით შედგენილ იქნა სამართლის წიგნი. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის აზრით ამ ნაწყვეტში მოხსენიებული ბაგრატ კურაპალატი უნდა იყოს ბაგრატ III (978—1014), რომლის შესახებ მატეიანეში ნათქვამია, რომ იგი იყო „სამართლისა მართლად მოქმედი ყოველთა კაცთათჳსო“<sup>2</sup>. მისი აზრით ბექა-აღბუღას კანონებში შერჩენილი არის არა მარტო ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესავალი, არამედ რამდენიმე სხვა მუხლიც (100, 101, 102, 103). მე-100 მუხლი განსაზღვრავს, თუ ვინ უნდა იქნას დანიშნული მოსამართლო. ეს მუხლი აგრძელებს შესავლის შინაარსს მართლმსაჯულებისა და მართალი სამართლის გაჩენის შესახებ. რაც შეეხება 101-ე, 102-ესა და 103-ე მუხლებს, ბექასა და აღბუღას კანონების მუხლებისაგან განსხვავებით, მასში ლაპარაკია არა

<sup>1</sup> ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, 1892 წ., გვ. 65.



პატრონ-ათაბაგის შესახებ, არამედ მოხსენიებულია მეფე. ბექამ და აღბუღამ კი, როგორც ცნობილია, თავიანთი სამართლის წიგნი სამცხე-საათაბაგოსათვის შეადგინეს და მათი კანონების მოქმედების სფერო საქართველოში ამ კუთხით განისაზღვრებოდა. საყურადღებოა, რომ ათაბაგები მათი სამართლის წინასიტყვაობაში არც კი იხსენიებენ საქართველოს მეფეს<sup>1</sup> ზემოთ მოყვანილი ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის მუხლებში კი ლაპარაკია მეფეზე, ხოლო ათაბაგი სრულიად არ არის მოხსენიებული. ეს იწინასამტკიცებს, რომ ზემოთ მითითებული მუხლები წარმოადგენენ მთელი საქართველოს გაერთიანებული სამეფოს სასამართლო წარმოებისათვის შედგენილ სამართლის წიგნს.

ზემოაღნიშნულ მუხლებში მეფესთან ერთად ლაპარაკია ეპისკოპოსზე და არაფერი არ არის ნათქვამი საათაბაგოს მწყურველზე. მაშასადამე, კანონმდებელს მსგავსებაში ჰყავს არა სამცხის მღვდელთმთავარი, არამედ საქართველოს ეპისკოპოსი. თვით ეპისკოპოსისა და სამღვდელოების გაბატონებული მდგომარეობა, რომელიც ზემოთ მითითებული მუხლებიდან ჩანს, არ შეესაბამება საათაბაგოს ვითარებას და სწორედ თანარ მეფის წინა პერიოდზე მიუჭრითებს, როცა მეფე სამღვდელოების წინაშე ჯერ კიდევ უძლურ იყო. „ცხადია, 101, 102 და 103 კანონი, რომ ათაბაგ აღბუღას, ან იმდროინდელი მეფის დაწერალი ცოფილიყო, სამღვდელოებას ისეთი გასაოცარი უპირატესობა არ ექნებოდა. ამიტომ ეს სამივე მუხლი ისეთ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როცა სამღვდელოება საქართველოში სრული ბატონი იყო და საერო მთავრობაზე მალა ექირა თავი, ესე იგი დავით აღმაშენებლის უწინარესი ხანისა უნდა იყოს<sup>2</sup> სხვა აზრი აქვს განვითარებული პროფესორ სარგის კაკაბაძეს, რომელიც ფიქრობს, რომ როგორც გარეგანი სტილის, ისე რეალური შინაარსის მიხედვით შეუძლებელია სამართლის ზემოაღნიშნული ფრაგმენტები მიეკუთვნოს XI საუკუნეს. მისი აზრით აღნიშნული მუხლები შუა საუკუნეების ბოლოდროინდელ ნაწარმოებს წარმოადგენს<sup>3</sup>. მაგრამ ეს აზრი ავტორმა თვითონ უარყო შემდეგ.

XII საუკუნემდე საქართველოში ოთხი ბაგრატ მეფე იყო: ბაგრატ I კურაპალატი, რომელიც გარდაიცვალა 876 წელს, ბაგ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი I, 1925 წ., გვ. 87.

<sup>2</sup> ს. კაკაბაძე, სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი, 1912 წ., გვ. 3.

რატ II, რომელიც 994 წელს გარდაიცვალა, ბაგრატ III (978 — 1014) და ბაგრატ IV (1027—1072). ბაგრატ I-ს მემკვიდრის სიტყვებით, ჰქონდა „მოღუაწებაჲ წმიდათა ეკლესიათაჲ და ნუგეშინისცემაჲ გლახაკთაჲ და ყოვლისა ერისა სიზართლით განკითხვაჲ სიტყუსაებრ უფლისა, ვითარმედ: ნუ თუალ-ხუმით შჯით, არამედ საშჯელი სამართალი საჯეთო“... მის მიერ იყო შემოღებული სახელაწიფო საქველმოქმედო თანხა („გლახაკთა ნაწილი თქვენ მიერ ვანწესებულ არს“), იგრ იყო „ქელმწიფე. წმიდათა ეკლესიათა მამულებელი და მონაგებთა შეპწირველი და გლახაკთა მოღუაწე“<sup>1</sup>. სამართლის წიგნის შექმნენელი არ შეიძლებოდა ბაგრატ II ყოფილიყო, რადგან იგი კურაპალატი არ ყოფილა.

ბაგრატ IV-ის დროის შესახებ მემკვიდრე აღნიშნავს. რომ ქვეყანას სიმშვიდე და დაწყნარება არ ჰქონდა და მართლმსაჯულებაც დიდად შელახული იყო. ბაგრატ III-ის შესახებ მეტატიანე ამბობს, რომ იგი იყო მეფე „სამართლისა მართლად მოქმედი ყოველთა კაცთაჯსო“. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით ამ ოთხი ბაგრატიდან სამართლის წიგნი ან ბაგრატ I-ის და ან ბაგრატ III-ის მიერ უნდა იყოს შედგენილი. ბაგრატ კურაპალატის „ქანონების შინაარსი გვიჩვენებს, რომ ისინი თითქოს უფრო IX საუკუნის საზოგადოებრივი განწყობილების გამოხატულებაა. ამგვარად, თავისი შინაარსის საერთო თვისებებითა და არა ენით, რომელიც დროთა განმავლობაში სრულებით განახლებულ-შეცვლილი ჩანს, კანონთა ეს მუხლები თითქოს უფრო ბაგრატ I კურაპალატის დროინდელად გამოდის“, მაგონად „უფრო სწორე იქნება, თუ ბაგრატ III-ისად და მე-XI-ს დაადგენისად მივიჩნევთ“<sup>2</sup> ქართული სამართლის ისტორიის შემდგვ ტომებშიც განაწესებული მეცნიერი 99—103 მუხლებს ბაგრატ III-ის სამართლის წიგნის ფრაგმენტად თვლის. რაც შეეხება 104—160 მუხლებს, ისინი აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით არ შეიძლება ჩაითვალოს ბაგრატ კურაპალატის სამართლის მუხლებად, რადგან აღნიშნულ კანონებს „სამწუხაროდ ისეთი ცხადი ნიშანი არ ეტყობა, რომ საკითხის გადაჭრა პირდაპირ შეეძლოს ეკლესიას“. აპიტომ მათი ავტორების ვინაობისა და დროის საკითხის გარკვევა ნომავალი კვლევა-ძიების საქმეაო.

<sup>1</sup> გ. მერჩული, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისაჲ. ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, შედგენალი ს. ყუბანეიშვილის მიერ, I, 1946 წ., გვ. 121.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი 1928 წ., გვ. 87—88.

XIV საუკუნეში მეფედ იყო ბაგრატ V (1360—1395), მაგრამ იას კურაპალატის პატივი არ ჰქონია. დავით აღმაშენებლის შემდეგ, როგორც ცნობილია, საქართველოს მეფეები ალარ ბატარგბდნენ კურაპალატის პატივს, რაც ბიზანტიის სახელმწიფოს უმაღლეს მოხელეთა საპატიო წოდება იყო. ამიტომ ბაგრატ V არ შეიძლება სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი ყოფილიყო.

თავის ეხლახან გამოქვეყნებულ შრომაში პროფ. ივ. სურგულაძე იხიარებს აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრს იმის შესახებ, რომ 99—103 მუხლები მიეკუთვნება ბაგრატ კურაპალატს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ, ავტორის აზრით, აღნიშნული ფრაგმენტი უფრო ოპიზართა სიგელის ავტორს ბაგრატ IV უნდა ეკუთვნოდეს, თუცა იქვე მიუთითებს, რომ „დიდებულისა და აზნაურის ასეთი განცალკევება ფენებად საფიქრებელს ხდის, თუ ტექსტის რაიმე გაუგებრობასთან არა გვაქვს საქმე, სამართლის წიგნის ამ მუხლის უფრო გვიან პერიოდში წარმოშობას. ამიტომ ამ მუხლების ბაგრატ კურაპალატისად აღიარება ჯერჯერობით, მხოლოდ ვარაუდია და საკითხი კიდევ გამოსარკვევი რჩებაო“<sup>1</sup> ტექსტის დამახინჯებას აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს, რადგან XI საუკუნეში, როგორც ეს ოპიზართა სიგლიდან ჩანს, დიდებულთა და აზნაურთა განცალკევებას უკვე ადგილი აქვს, ამიტომ საეჭვოა ის აზრი, რომ ძეგლი უფრო გვიან პერიოდში იყოს შედგენილი. საქართველოს ისტორიაჲ, როგორც ცნობილია, ბაგრატ IV-ის შეადგენს არ იცის კურაპალატის პატივის მქონე სხვა ბაგრატ მეფე. ამასთან ერთად სამართლის წიგნის წინასიტყვაობიდან საყვებით ცხადია, რომ განონები ბაგრატ კურაპალატს ეკუთვნის. სწორი არ არის აგრეთვე ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ ბაგრატ მეფის სამართლის წიგნის ნაწყვეტი ცნობილია ჩვენთვის „მხოლოდ აღბუღას რედაქციით“. 1672 წლის ნუსხის აღმოჩენის შემდეგ ცხადი გახდა, რომ ბაგრატის სამართალმა მოაღწია ჩვენამდე მხოლოდ ვაბთან VI-ის საქანონმდებლო კრების რედაქციით, რომელმაც მოათავსა იგი ბეჭდ-აღბუღას კანონთა ბოლოში.

რაც შეეხება 103-ე მუხლის მომდევნო მუხლებს (104—175), პროფ. ივ. სურგულაძის აზრით შესაძლებელია ამ მუხლების ავტორები სხვადასხვა პირი იყოს; ნაწილი მუხლებისა შეიძლება მიეწეოს ბაგრატ კურაპალატს, ან მის ახლო დროს, ნაწილი შეიძლე-

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952 წ., გვ. 73.

ბა ამოღებული იყოს საეკლესიო დადგენილებიდან. 103-ე მუხლის ნომდევნო მუხლების მნიშვნელოვანი ნაწილი საეკლესიო ხასიათის არის. ასეთი სჯულდება საქართველოს ცალკეულ სამთავროებად დანაწილების შემდეგაც შეიძლება მომხდარიყო. „აღბუღლას სამართლის წიგნის 103-ე მუხლის ნომდევნო მუხლებიც შეიძლება აღბუღლას შემდეგაც იყოს შედგენილი ეკლესიის მესვეურების მიერ“<sup>1</sup>.

ჩვენ ვუიქრობთ, რომ 103-ე მუხლის ნომდევნო მუხლები აღბუღლას შემდეგ არ უნდა იყოს შედგენილი, რადგან ისინი თავისი შინაარსით და ტერმინებით ძველი სჯულმდებლობის ძეგლია, რომელიც ნათელი საქართველოს სამართლის წიგნს შეადგენს და არა რომელიმე სამთავროს ან კუთხისათვის დაბახსიათებელ განსაკუთრებულ სჯულდებას.

პირველ ყოვლისა აუცილებელია გულდასმით გავარჩიოთ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წინასიტყვაობის ტექსტი. სამართლის წიგნის შესავალში ნათქვამია: „სახელითა ღმრთისაჲთა დაიწყების საღმრთოჲსა გაჩენილი და გასაჩენილი, პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა მეფეთმეფეთა ბრძანებითა და მერმე ებისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და კჳუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბამად გაჩენილი განგებითა ღმრთისაჲთა“. ამათ მთავრდება შესავალი. შემდეგ არის 99-ე მუხლი, სადაც ჩამოთვლილია ის თვისებები, რომლებიც უნდა გააჩნდეს მოსამართლეს. მას მიჰყვება მე-100 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, თუ ვინ შეიძლება იყოს მოსამართლე. ვახტანგის ძიერ შედგენილ კანონთა კრებულში 99-ე მუხლი შესავლის სახით არის წარმოდგენილი. ქართული სამართლის ისტორიის მკვლევარნიც ამ მუხლს სამართლის წიგნის წინასიტყვაობის ნაწილად მიიჩნევენ. მაგრამ ეს უზარებულთა, რადგან იგი არ არის შესავლის გაგრძელება და ცალკე მუხლს შეადგენს ისე, როგორც მისი ნომდევნო მე-100 მუხლი. ანას ცხადყოფს ამ მუხლების დასაწყისი. 99-ე მუხლი იწყება ასე: „ვინცა საბჭოდ სჯულებდეთ...“, მე-100 მუხლიც ამგვარად იწყება „ვინცა მოძღუარი იყოს“, რაც ცალკე მუხლების ხაზგასმით გამოყოფის აღმნიშვნელი სიტყვებია.

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის, I, 1952 წ., გვ. 76.

სამართლის წიგნის წინასიტყვაობიდან ირკვევა, რომ 99—170 მუხლები, რომლებიც აგრძელებენ ბექა-ალბულას სამართალს, ორ საკანონმდებლო ძეგლს უნდა შეიცავდნენ. წინასიტყვაობის დასაწყისში აღნიშნულია, რომ „პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატისა და აღმაშენებელთა ნეტეთ-ნეტეთა ბრძანებითა“ გაჩენილი იქნა სამართალი. მაშასადამე, ზემოაღნიშნული მუხლების ერთი ნაწილი შეადგენს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნს. რომელიც ჩვენი აზრით შეიცავს 99—160 მუხლებს. რაც შეეხება მეორე საკანონმდებლო ძეგლს, მის შესახებ შესაძლოა ნათქვამია: „და მერმე ებისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ქუთაინთა კაცთა მეფეთა წინაშე“ შედგენილი იქნა სამართალი. ჩვენი აზრით იგი შეიცავს 161—170 მუხლებს, რომლებიც კანონიკური სამართლის ფრაგმენტს შეადგენს და ჩვეულებრივ სასჯელებს გარდა დამნაშავეის მიწართ ითვალისწინებს უძძიმეს საეკლესიო სასჯელს—ანათემას. აკად. ივ. ჯავახიშვილს წინასიტყვაობის ზემოაღნიშნული ტექსტის ამგვარი გაგება არ მოუცია, მაგრამ ზოგიერთი მუხლების შედარების შედეგად მან აღნიშნა, რომ 104—160 და 161—170 მუხლები სასჯელთა თავისებურების მიხედვით კანონმდებლობის ორ სხვადასხვა ძეგლს შეადგენს.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი ბაგრატ კურაპალატის სამართლის ფრაგმენტად მხოლოდ ოთხ მუხლს ითვინევს (100—103). მთავარი მოსაზრება, რომელსაც ავტორი ეყრდნობა, იმაში მდგომარეობს, რომ მითითებულ ოთხ მუხლში მოხსენიებულია მეფე და ეპისკოპოსი და აღნიშნულია სამღვდლოების მაღალი უფლებრივი მდგომარეობა. რაც შეეხება დანარჩენ მუხლებს (104—160) მათ თითქოს ასეთი ნიშნები არ გააჩნია, რის გამოც ეს ნორმები არ უნდა მიეკუთვნებოდეს სჯულმდებელ ბაგრატ კურაპალატს.

ზემოაღნიშნული მოსაზრება დამაჯერებელი არ არის, რადგან მეფისა და ეპისკოპოსის შესახებ ლაპარაკია სამართლის წიგნის სხვა მუხლებშიც. 152-ე მუხლში ნათქვამია „მეფისა და უდიდებულესის კაცისაგან [კიდე] თუალთა დაწუას არავენი ღირსა“, ე. ი. თვალთა დაწვა, როგორც მძიმე ასოთდამაზიანებელი სასჯელი, სასაწართლო ხელისუფლების უმაღლესი წარმონაღვრის მეფის ან უდიდებულესი კაცის კომპეტენციას შეადგენს. მაშასადამე, მეფე მოხსენიებულია სამართლის წიგნის სხვა მუხლებშიც. იგივე უნდა ითქვას ეპისკოპოზის შესახებ. „თუ ებისკოპოზსა დიდებულმან ავინოს,

ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოს და დიდად შესჯეწით“, ნათქვამია 106-ე მუხლში.

სამღვდელოების პრივილეგიური და მაღალი უფლებრივი ინდო-მარეობა ნათლად ჩანს სამართლის წიგნის სხვა მუხლებიდანაც (105—108, 112, 121—122, 139 და სხვა). ხსენებული მუხლები სწორედ იმას მოწმობენ, რომ სამართლის წიგნის 99—160 მუხლები ერთ კანონდებულს უნდა ეკუთვნოდეს. ამავე დროს აუცილებელია აღინიშნოს, რომ 99—160 მუხლები არ შეიცავენ ცალკეულ ნორმათა შინაარსობლივ შეუსაბამობას და წინააღმდეგობას, ერთისა და იმავე ხასიათის დანაშაულზე განსხვავებულ სანქციას, ან ერთ საგანზე განმეორებით მსჯელობას. ზემოაღნიშნული მუხლები შინაარსობლივად დალაგებულია ერთგვარი სისტემით, გარკვეული ორგანიული და ლოგიკური თანამიმდევრობით და ყველა მუხლი ერთიან რედაქციამაა მოყვანილი. 101—115, 121—123 მუხლები ითვალისწინებენ სამღვდელოებისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ სხვადასხვა დანაშაულს; 116—120, 124—160 მუხლები უმთავრესად სისხლის სამართლის ნორმებს შეიცავენ. გვხვდება სამოქალაქო სამართლის ნორმებიც. სისხლის სამართლის დანაშაულთა შორის აღნიშნულია მკვლელობა, სხეულის დაზიანება, შეურაცხყოფა, ცილისწამება, მუქარა, სქესობრივი დანაშაული, ქალის მოტაცება, ცოლის დაგდება, გაძარცვა და ქურდობა. საოჯახო სამართლიდან გათვალისწინებულია ოჯახის გაყრისა და საუხუცესოს მიცემის წესი.

ეხლა საჭიროა შევჩერდეთ ზემოაღნიშნული მუხლების (99—160) ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშნებზე, რომლებითაც ისინი განსხვავდებიან ძველში მოთავსებული სხვა მუხლებისაგან. პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს ძველის იურიდიული ენა. განსხვავებით ბექასა და აღბუღას სამართლისაგან აღნიშნული მუხლები შეიცავენ ძველ იურიდიულ ტერმინებსა და ცნებებს. რომლებიც არ გვსტდება ძველის სხვა მუხლებში. ასეთ დამახასიათებელ ტერმინს წარმოადგენს სიტყვა „სასჯელი“, რომელიც მთელ ძველში მხოლოდ ორ ადგილას გვხვდება (მუხ. 101 და 151). „სასჯელი“ ძველ ქართულ სამართალში თანამედროვე მნიშვნელობით არ იხმარებოდა, იგი ნიშნავდა „სამართალს“, „ბჭობას“, და სწორედ ამ აზრით არის გამოყენებული ის ზემოაღნიშნულ ორ მუხლში. მაშასადამე, „სასჯელი“ სამართლისა და კანონის აღმნიშვნელი ცნებაა. „სასჯელი“ ამ მნიშვნელობით არ იხმარება ქართული სამართლის სხვა გვიანდელ საკანონმდებლო ძეგლებში. ეს თავისებურება იმაზე

მიუთითებს, რომ აღნიშნული მუხლები ერთი საკანონმდებლო ძეგლის ნაწილებს შეადგენენ.

სამართლის წიგნის 101-ე, 145-ესა და 149-ე მუხლებში სისხლის დაურევების მნიშვნელობით ნახმარია სიტყვა „შეკაზმა“. ეს ტერმინი „შეკაზმა“ თავისებური სასჯელის გამოხმატველი ცნებაა. იგი ნიშნავს გადახდას, ანაზღაურებას, ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვისათვის სანაცვლოს მიცემას. თუ ეპისკოპოსი მეფის მიმართ დანაშაულს ჩაიდენს, მისი დაპატიმრება არ შეიძლება, „შეკაზმა მართებს ეპისკოპოსსა მეფისაჲ“, ე. ი. დამნაშავე ეპისკოპოსმა მეფეს სისხლი უნდა დაუტუროს. როცა ვინმე მეორეს წასძახებს, ესა და ეს კაცი შენს ცოლთან მრუშობსო, მაგრამ ვერ შეძლებს ამის დამტკიცებას, შეურაცხყოფილ ქმარს სისხლი უნდა დაუტუროს („დიაცისა ქმარსა შეუკაზმოს“). თუ პატრონს ყმა გაშორდა, ე. ი. სენიორს ვასალი განუდგა, პატრონს „თორმეტი გლეხი შეეკაზმოსო“ ნათქვამია კანონში. მაშასადამე, „შეკაზმა“ სისხლის დაურევებას, საზღაურის გადახდას ნიშნავს. ზემოაღნიშნულ მუხლებში შენარჩუნებული ეს ძველი ტერმინი იმას უნდა მოწმობდეს, რომ აღნიშნული მუხლები ერთ საკანონმდებლო ძეგლს მიეკუთვნება.

სიტყვა „შეკაზმასთან“ დაკავშირებულია აგრეთვე ტერმინი „შეხუეწა“, რომელიც მონანიებითი ხასიათის სასჯელია. „შეხუეწა“ ნიშნავს მონაწიებას, შევედრებას, ბოდიშის მოხდას. ეს ტერმინი მთელ ძეგლში მხოლოდ ოთხ ადგილას არის მოხსენიებული (მუხ. 101, 106, 107, 108). ოთხივე შემთხვევაში საქმე ეხება ერთი მხრით სანღვდელოების წარმომადგენლებსა და მეორე მხრით საერო ხელისუფლების წარმომადგენლებს. თუ ეპისკოპოსმან მეფესა შესცოდოს, „შეხუეწა“ მართებს ეპისკოპოსსა მეფისა. დამნაშავე ეპისკოპოსი მეფეს უნდა შეევედროს, პატიება სთხოვოს და დანაშაული მოინანიოს. თუ დიდებულმა ეპისკოპოსს აგინოს, სისხლი დაუტუროს „დიდად შეხუეწით“, ნათქვამია კანონში. მაშასადამე, საზღაურის გადახდასთან ერთად დიდებულმა დანაშაული აგრეთვე „შეხუეწით“ უნდა მოინანიოს და პატიება სთხოვოს ეპისკოპოსს. იგივე უნდა ითქვას აზნაურზედაც. შეურაცხყოფელმა აზნაურმა ეპისკოპოსს ოცი ათასი თეთრი უნდა დაუტუროს „დიდითა შეხუეწითა“. კანონი იცავს სასულიერო წოდების დაბალი თანამდებობის წარმომადგენელთა პრივილეგიურ მდგო-

მარეობას. დიდებულმა ან აზნაურმა თუ მღვდელს აგინოს, სისხლის მესამედი დაეურვოს და „დიდად შეეხუეწოსო“, აღნიშნულია კანონში.

ამრიგად, სამღვდელოების წარმომადგენელთა მაღალი უფლებრივი მდგომარეობა გათვალისწინებულია არა მარტო 101-ე, 102-ესა და 103-ე მუხლებში, რომლებსაც აკად. ივ. ჯავახიშვილი ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნის ფრაგმენტად თვლის, არამედ სხვა მომდევნო მუხლებშიც. ეს გარემოება იმას მოწმობს, რომ შემდგომი მუხლებიც ერთი საკანონმდებლო ძეგლის შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს. კონკრეტული სასჯელის აღმნიშვნელი სიტყვები „შეკაზმა“ და „შეხუეწა“, რომლებიც მხოლოდ ძეგლის ამ ნაწილში იხმარება, ამ აზრის სასარგებლოდ მეტყველებს.

სამართლის წიგნის 99—160 მუხლები რომ ერთ კანონმდებელს უნდა ეკუთვნოდეს, ეს ჩანს მხოლოდ ამ კანონში გამოყენებული სხვა იურიდიული ცნებებიდანაც. ასეთ დამახასიათებელ ტერმინს შეადგენს სიტყვა „საპირო“, რომელიც აღნიშნულია სამართლის წიგნის 112-ე, 159-ესა და 160-ე მუხლებში. არც ეს სიტყვა გვხვდება ქართული სამართლის მომდევნო პერიოდის საკანონმდებლო ძეგლებში. „საპირო“ სპეციალური სასჯელია, რომელიც სისხლის დაურევების გარდა უნდა გადაიხადოს დამნაშავემ საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ. „საპირო“ საჯარო ხასიათის სასჯელია, რომელიც არ შედის სისხლის დაურევების ფასში. ეს ნათლად ჩანს სამართლის წიგნის ზემოთ მოყვანილი მუხლებიდან, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულისათვის სისხლის დაურევების გარდა „საპიროს“, სახით მძიმე ქონებრივ სასჯელს უწესებს დამნაშავეს. „საპიროს“, როგორც სპეციალური სასჯელის, გათვალისწინება ზემოაღნიშნულ მუხლებში ამაგრებს აზრს იმის შესახებ, რომ ეს ნორმები ერთ საკანონმდებლო ძეგლს უნდა ეკუთვნოდეს.

სამართლის წიგნის 115-ე, 121-ესა და 141-ე მუხლებში გათვალისწინებულია აგრეთვე სპეციალური სასჯელი „საუპატიო“, რომელიც ვახტანგის კანონებამდე არ გვხვდება ქართული სამართლის სხვა წიგნებში. „საუპატიო“ საპატიო და მოსარიდებელი ობიექტის (ეკლესიის, ხატის, ჯოგისა და სხვ.) ხელყოფისათვის გათვალისწინებული ქონებრივი სასჯელია, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაიხადოს ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის.

განსაკუთრებული შინაარსის შემკველი სასჯელის აღმნიშვნელი ძველი ტერმინი „საუპატიო“ მხოლოდ ამ საკანონმდებლო ძეგლი-



სათვის დამახასიათებელი ცნებაა, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რ.ო.მ ზემოაღნიშნული მუხლები ერთი სამართლის წიგნის ნაწილია.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ბრალდებულის, ან დამნაშავეის პასუხისმგებლობის გამოსახატავად სამართლის წიგნის 120-ე, 133-ე, 137-ესა და 145-ე მუხლებში სპეციალური ტერმინებია, რომლებიც არ გვხვდება სხვა საკანონმდებლო ძეგლებში. 137-ე მუხლის მიხედვით პასუხისმგებლობის დაკისრება აღნიშნულია ფორმულით „ყველა ზედა-აც“, ე. ი. ბოროტკომქმედს ჩადენილი დანაშაულისათვის ყველა პასუხისმგებლობა ეკისრება. საწინააღმდეგო შინაარსის შემცველია ფორმულა „არა ზედა-აც“, რომელიც ნახმარია სამართლის წიგნის 120-ე მუხლში. თუ ბრალდებული ფიცით თავს იმართლებს, მას პასუხისმგებლობა არ ეკისრება („არა ზედა-აც“). სამართლის წიგნის მთელ რიგ მუხლებში ნახმარია ძველი იურიდიული ტერმინები და ფრაზები, როგორცაა მაგალითად: „მეყივლება“, „მტკარის თხოვა“, „ნაბჭობი სისხლის დაქერა“, „ცოლის წაღება“, „სამსახურის შექცევა“, „შეფიცოს ნაშენითა“, „მართლითა საქსრითა“, „მარტივითა საქსრითა“, „მამულისაგან გაყენება“, „მონაგები“, „შეტანილი და კირნახული“, „შესმულ-შეკმული“, „სასისხლო“ და სხვა. გვხვდება ზმნის ძველი ფორმები: „ასმიოდეს“, „მოკუდებრს“, „სცეს“, „წაულოს“. წარმოულოს“, „აქუნდეს“, „დასწუნეს“ და სხვ. საყურადღებოა ზოგიერთი მუხლის დაბოლოებაც. სისხლის სამართლის შინაარსის შემცველი მუხლების სანქციის ნაწილში უკანასკნელი სიტყვების დაბოლოება წარმოდგენილია ფორმულით „სისხლი ემატოს“ (მუხ. 104, 105, 117, 118, 151), რაც ერთი კანონმდებლის ბელს უნდა ეკუთვნოდეს. ამავე ხასიათისაა სიტყვები: „მართებს“ (მუხ. 101, 131, 132), და „ალაფიცა შკაქციოს“ (მუხ. 110, 113, 114, 116, 123). მთელი რიგი მუხლებია დაბოლოება ფორმულებით „სისხლი დაუურვოს“ ან „თეთრი დაუურვოს“ (მუხ. 107, 108, 109, 110) თავდაპირველად ამ საკანონმდებლო ძეგლში უნდა იყოს ნახმარი, რომელიც გამოყენებულია შემდგომი პერიოდის სამართლის წიგნებში.

დაბოლოს, ყურადღების ღირსია პეტერბურგში, მეცნიერებათა აკადემიის სააზიო მუზეუმში დაცული ვახტანგის სამართლის წიგნის ბოლოს ერთი უცნობი მინაწერი: „ბაგრატ კურაპალატის სამართალი აღბუღადამ, მუხლი 141. თუ ცოლი დასწუნდეს, ქმარი ცოლის გვარს არას ემართლებს“... ეს მინაწერი აღნიშნუ-

ლი აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს<sup>1</sup>. როგორც ამ უცნობი მინაწერიდან ჩანს, მის ავტორს ცოდნია, რომ აღბუღას სამართლის სახელწოდებით ცნობილი სამართლის წიგნი შეიცავს აგრეთვე ბაგრატ კურაპალატის კანონებსაც. ხსენებულ მუხლზე მითითებაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ სამართლის წიგნის 99—160 მუხლები ერთ საკანონმდებლო ძეგლს შეადგენს.

ამრიგად, სამართლის წიგნის ზემოაღნიშნულ მუხლებში შემორჩენილი ზოგიერთი ძველი ტერმინის მნიშვნელობისა და არაპირდაპირი ცნობების ანალიზის საფუძველზე ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია გამოვთქვათ აზრი იმის შესახებ, რომ სამართლის წიგნის 99—160 მუხლები ერთ საკანონმდებლო ძეგლს შეადგენს, რომელიც სჯულმდებელ ბაგრატ კურაპალატს უნდა ეკუთვნოდეს.

ეხლა საჭიროა განვიხილოთ საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ ბაგრატ კურაპალატს შეიძლება მიეკუთვნებოდეს ზემოაღნიშნული სამართლის წიგნი. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის აზრით სამართლის წიგნის ფრაგმენტი (მუხ. 99—103) ბაგრატ I-ის ან ბაგრატ III-ისა უნდა იყოს. მისი აზრით რგი უფრო ბაგრატ III-ს ეკუთვნის. როგორც ცნობილია, ბაგრატ I-ის დროს მეფობა ახალი აღდგენილი იყო. ნატიანეში ბაგრატი თითქოს მეფედაც არ იხსენიება. სამართლის წიგნის შესავალში კი სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი აღნიშნულია ტიტულით „მეფეთ-მეფე.“ ამავე დროს მითითებულია, რომ სხვა კატეგორიის წარმომადგენლებთან ერთად მოსამართლედ დანიშნულ უნდა იქნას „მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი“, ე. ი. სამეფო კარზე აღზრდილი და სჯულმდებლობაში განსწავლული კაცი. ჩანს, რომ მეფობის ინსტიტუტის აღდგენიდან გარკვეული დრო გასულა, ჩამოყალიბებულა და დამკვიდრებულა მეფის მონარქიული ხელისუფლება. ეს მდგომარეობა არ უნდა შეეფერებოდეს ბაგრატ I-ის დროს, როცა მხოლოდ ის-ის იყო დაიწყო სამთავროების გაერთიანებისაკენ მისწრაფება. იმ დროს თითქოს არ არსებობდა ასეთი სამართლის წიგნის შედგენისათვის ხელსაყრელი პირობები.

რაც შეეხება ბაგრატ III-ს, ცნობილია, რომ მისი მმართველობისათვის დამახასიათებელი იყო შეუზღუდველი მონარქიისაკენ მისწრაფება, სახელმწიფოში სამეფო ხელისუფლების უზენაესობის

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, 1928 წ., გვ. 93.

ალიარება და მკაცრი ძალაუფლების დაწესება, ამიტომ მისი მმართველობის ბუნებას არ შეეფერება სამართლის წიგნის 102-ე ნუხლში აღიარებული პრინციპი: „მეორე მეფე ეპისკოპოზი არსო“. ბაგრატ III-ის დროს სამღვდელოება არ სარგებლობდა ასეთი მაღალი უფლებრივი მდგომარეობით. სასელმწიფოს ნხოლოდ ერთი მეფე ჰყავდა და ეპისკოპოსი „მეორე მეფე“ არ იყო. ბაგრატის მმართველობის დროს საერო ხელისუფლება სამღვდელოებაზე მაღლა იდგა და საჭიროების შემთხვევაში ჩეფეს ადვილად შეეძლო დაეპატიმრებინა და დაესაჯა სამღვდელოების უმადლესი წარმომადგენელი კი. ამასთან, მეფეს „სჯულის საქმეზედაც“ კარგად მიუწვდებოდა ხელი.

ჩვენი აზრით უფრო ნეტი საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი მეფე ბაგრატ IV-ის დროს უნდა იყოს შედგენილი. პირველ ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს ზოგადი ხასიათის ორი მოსაზრება. მატიაწეში აღნიშნულია, რომ ბაგრატ IV-ის დროს „ქუყანასა დაწუნარება არა აქუნდა, ეკლესიანი, გლახაკნი, აზნაურნი ვერ იკითხებოდეს“. ე. ი. ქვეყანა არეული ყოფილა, მართლმსაჯულება დაცემული და შეგლახული. ამის გამო აკად. ივ. ჯავახიშვილი დასძინს: „არც საფიქრებელია, რომ ასეთ მეფეს სამართლის წიგნის შედგენით თავა შეეწუხებიაო“<sup>1</sup>. მაგრამ ეს ფაქტა საწინააღმდეგო გარემოებაზე მიუთითებს. სჯულმდებლობის ისტორიიდან ცნობილია, რომ სამართლის წიგნების შედგენა მაშინ ხდებოდა, როცა მართლმსაჯულება შეგლახული და ბოროტმოქმედება გამრავლებული იყო. სწორედ ასეთ პირობებში ცდილობს ცენტრალური ხელისუფლება თავისი კანონმდებლობით აღკვეთოს ბოროტმოქმედება და შეკმინას სამართლის წიგნი. სხვა ქვეყნების კანონმდებლობაზე რომ არაფერი ვთქვათ, ეს ნათლად ჩანს გიორგი ბრწყინვალის. აღბუღასა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნების წინასიტყვაობებიდან. ბეკა მანდატუოთხუცუკის სამართლის წინასიტყვაობაში აღბუღა მიუთითებს, რომ „რადგა ჟამთა სიავითა საუანი უწესონი საქმენი შემოსრულ იყუნეს, მათა სამართალი ზედა დაურთეთო“. საკუთრივ თავის სამართლის წიგნის შესავალში აღბუღა აღნიშნავს, რომ „ჟამთა სიავითა... ლაშქართა ცხენთა ჰარგა შექმნილიყო“ და

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, 1926 წ., გვ. 84.

„მრავლისა ავისა მოქმედი კაცი არღარა ვის რა გარდაკლია წინათ ჟამთა აქათ პატიჟიო“.

გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაშიც“ გარკვევით მითითებულია იმაზე, რომ „დიდი უსამართლობა და მიღვერებულობა ქანილიყო ერთმანერთსა ზედა და ადვილად ჩანდა ერთმანერთის დალატად დასხმა და დაქცევა ციხეთა, სიკუდილი, ცოლის წაგურა და უბრალოდ დაგდება და მრავალფერნი ულუსობა და ყოველივე სამართალი აღარ იყო“, და ამიტომ შევადგინეთ კანონებიო.

სჯულმდებლობის გარემოებათა შესახებ ასეთივე ხასიათის მიზეზებზე მკაფიოდ მიუთითებს ვახტანგის სამართლის წიგნის შესავალი: „იყო ქვეყანა ესე ქართლისა ყოვლითურთ კეთილითა შემკული და შეზავებული, ხოლო ცვალებითა დღეთა და ვითარებითა ჟამთათა თვით სიბრძნით და თავით თვისით სჯიდენ და განაგებდენ, ვიეთნიმე მოყუსობით, ვიეთნიმე მეგობრობით, ვიეთნიმე მორიდებით, ვიეთნიმე ღუთის ურიდველობით და ვიეთნიმე მიღებითა ქრთამთათა, ვითარცა ენებათ, ეგრეთ ჰსჯიდენ“. ამრიგად, სამართლის წიგნების შედგენა სწორედ მაშინ წარმოებს, როცა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობები ამას მოითხოვენ, როცა სახელმწიფოს ახლად წარმოშობილ სხვადასხვა ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ საბრძოლველად სჭირდება მკაცრი კანონმდებლობა.

ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართალი ბაგრატ IV-ის დროს უნდა იყოს შედგენილი, როცა მემპატიანის სიტყვით „ქუეყანასა დაწყნარება არა აქუნდა“.

მეორე ზოგადი ხასიათის მოსაზრება იმაში მდგომარეობს, რომ ბაგრატ IV-ს, როგორც ცნობილია, ლოიალური დამოკიდებულება ჰქონდა სასულიერო ხელისუფლებასთან. მან საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად სამშობლოში მოიწვია გიორგი მთაწმიდელი და საზოგადოებას მას დარჩენილიყო საქართველოში მღვდელმთავერად. ეკლესიისადმი დამოკიდებულება და სჯულმდებლობაში ეკლესიის წარმომადგენელთა მონაწილეობა ნათლად ჩანს მეფე ბაგრატ IV-ის სიგლიდან ოპიზისა და მიჯნაძორის ბერების ადგილზე დავის შესახებ, სადაც აღნიშნულია, რომ „შეგვრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღვდელთმოდღუარნიო“. მეფე ბაგრატ IV-ის დროს სამღვდლოება დიდი მთავრობითა და უფლებებით სარგებლობდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ სამღვდლოების პრივი-

ლეგიური მდგომარეობა, რაც აღნიშნულია სამართლის წიგნის მუხლებში, ამ პერიოდის საერო და სასულიერო ხელისუფლების დამოკიდებულებას უნდა გამოხატავდეს. მეფისა და ეპისკოპოსის ხელისუფლების თანასწორობის პრინციპი—„მეორე მეფე ებისკოპოზი არსო“—ცხადია, უფრო ბაკრატ IV-ის მეფობის პერიოდს შეეფერება.

ამ ზოგადი ხასიათის მოსაზრებებთან ერთად საჭიროა შევჩერდეთ ძეგლის სხვა დამახასიათებელ ნიშნებზედაც. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ბაკრატ კურაპალატის სამართლის წიგნისა და მეფე ბაკრატ IV-ის ოპიზის სიგელს შორის არსებული მსგავსება. ამ ორი ძეგლის ერთმანეთთან შეჯერება და ნათი საერთო ნიშნების აღნიშვნა მნიშვნელოვნად ამავრებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ორივე ეს ძეგლი ერთი კანონმდებლის მიერ უნდა იყოს შედგენილი და სჯულმდებელი ბაკრატ კურაპალატი იგივე მეფე ბაკრატ IV უნდა იყოს. ბაკრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესავალში ნათქვამია, რომ სამართალი შედგენილ იქნა „ეპისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და კჳუიანთა კაცთა მეფეთა წინაშე“. მაშასადამე, სჯულმდებლობის შესადგენად მეფემ შეკრიბა უმაღლესი სამღვდელოების წარმომადგენლები, მსხვილი ფეოდალები, აზნაურები და განსწავლული ადაიანები. ამავე წოდებისა და კატეგორიის ადამიანები ასეთივე თანმიმდევრობით ჩამოთვლილია ბაკრატ IV-ის ოპიზართა სიგლის შესავალში: „შეკრიბენ კარსა დარბაზისა ჩუენისასა მღუდელთმოძღუარნი, ერისთავთ-ერისთავნი, აზნაურნი, მეცნიერნი საბჳოთა საქმეთანი“<sup>1</sup>. ორივე ძეგლში პირველ ყოვლისა მოხსენიებულია მაღალი სამღვდელოების წარმომადგენლები—ეპისკოპოსები და მღვდელთმოძღვარნი, შემდეგ აღნიშნულია მსხვილი ფეოდალები—დიდებულები და ერისთავთ-ერისთავნი; მათ მიჰყვებიან აზნაურები და ბოლოს მოხსენიებულნი არიან „კჳუიანი კაცნი“ ანუ იგივე „მეცნიერნი საბჳოთა საქმეთანი“, რაც სამართლის მცოდნე, განსწავლულ პირებს ნიშნავს. სჯულმდებლობაში მონაწილე თანაბარი სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის მქონე წარმომადგენელთა ასეთი ერთნაირი თანმიმდევრობით მოხსენიება ორივე ძეგლის წინასიტყვაობაში საფუძველს გვაძლევს, ვიუიქროთ, რომ სჯულმდებელი ბაკრატ კურაპალატი ოპიზართა სიგლის ავტორი მეფე ბაკრატ IV უნდა იყოს.

<sup>1</sup> საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქციით, ტ. II, 1929 წ., გვ. 3.

ბოლოს, საჭიროა აღინიშნოს ერთი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი, რაც საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი შეფუთ ბაგრატ IV-ის დროს უნდა იყოს შედგენილი. ჩვენ წხედველობაში გვაქვს „თეთრი“ ანუ ვერცხლის მონეტა, რომლის საფუძველზე ხდება სისხლის დაურევება. სამართლის წიგნის სათანადო მუხლების განხილვისას გაკვირვებას იწვევს ის გარემოება, რომ შედარებით მსუბუქი დანაშაულის შემთხვევაში კანონი დამნაშავეს აკისრებს დაზარალებულის სასარგებლოდ მეტად დიდი ოდენობის თეთრის გადახდას სისხლის დაურევების ანგარიშში. სამართლის წიგნის 105-ე მუხლში ნათქვამია, რომ „თუ კაცჳან ხუცისა ცოლი მოაყინოს,.. მისსა სისხლსა სამოცი ათასი თეთრი სხუაჳ ემატოსო“, ე. ი. თუ ვინმე ხუცის ცოლთან სქესობრივი ძალადობის გზით მრუშობას ჩაიდენს, მან შეურაცხყოფილ ხუცესს დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულ სისხლს გარდა სამოცი ათასი თეთრი დამატებით უნდა გადაუხადოს. „თუ ებისკოპოსსა დიდებულმან აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოსო“, აღნიშნულია მომდევნო 106-ე მუხლში, ხოლო „თუ აზნაურმა აგინოს.. ოცი ათასი თეთრი“ უნდა დაუურვოს ეპისკოპოსს (მუხ. 107). მეტად დიდი ოდენობის სისხლის სამართლის ჯარიმას ითვალისწინებს აგრეთვე ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის უკანასკნელი (159-ე და 160-ე) მუხლები. კონკრეტული დანაშაულისათვის დაზარალებულის სასარგებლოდ კანონით გათვალისწინებული სისხლის დაურევების გარდა დამნაშავემ დიდი ოდენობის სპეციალური ჯარიმა უნდა გადაუხადოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლებს. ასეთი საჯარო ხასიათის ჯარიმას „საპირო“ ეწოდება. ჯარიმის ოდენობა დაზარალებულის სოციალური მდგომარეობის მიხედვით განისაზღვრება; დიდებულთა, აზნაურთა და გლეხისათვის ნეტად განსხვავებული ჯარიმა დაწესებული — „ოცდაათი ათასი, ჩვიდმეტი ათასი, თორმეტი ათასი, შვიდი ათასი, როგორცა ვის მართებს, აგრე ვაჩინეთო“, ნათქვამია კანონში.

სამართლის წიგნის სხვა მუხლებშიც შედარებით მსუბუქი დანაშაულისათვის გათვალისწინებულია „თეთრის“ დიდი ოდენობით გადახდა. ზემოთ მოყვანილი მუხლებით დაწესებული თეთრის ოდენობა რომ შევადაროთ ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნით განსაზღვრულ სისხლის განაჩენებს, დავინახავთ, რომ დასაურევებელი თეთრის ოდენობის მიხედვით მათ შორის განსაცდითობელი მეტნაკლებობაა. როგორც აღვნიშნეთ, ბაგრატ კურაპა-

ლატის სამართალი შედარებით ისეთი მსუბუქი დანაშაულისათვის, როგორცაა ხუცის ცოლის შეურაცხყოფა, სისხლს გარდა საწოცი ათასი თეთრის დაურევბას მოითხოვს, დიდებულის მიერ ეპისკოპოზის შეურაცხყოფისათვის—ორმოცი ათასს, ხოლო აზნაურის მიერ ასეთივე დანაშაულის ჩადენისათვის ოცი ათასის გადახდას. ზეჲა მანდატურთუხუცესის სამართლის მიხედვით კი მძიმე დანაშაულისათვის—დიდებულის მოკვლისათვის—ორმოცი ათასი, ხოლო პირველი რიგის აზნაურის მოკვლისათვის სისხლი ოცი ათასი თეთრის რაოდენობით არის განსაზღვრული. შეურაცხყოფისათვის კი ნეტად უმნიშვნელო სისხლია გაჩენილი. ეს მეტად წინაშენლოვანი ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი იმ დროს უნდა იყოს შედგენილი, როცა სახელმწიფოში ადგილი ჰქონდა „თეთრის“ ანუ ვერცხლის მონეტის შემციირებასა და გაუფასურებას. სწორედ ასეთი ხანა იყო ბაგრატ IV-ის მეფობის პერიოდი.

როგორც ცნობილია, წთელი XI საუკუნის მანძილზე ქართული ვერცხლის მონეტა განიცდის წონის თანდათანობით შემცირებას. თუ დავით დიდი კურაპალატის დროს ვერცხლის მონეტა სამ გრამზე ცოტა მეტს იწონიდა, მეფე ბაგრატ IV-ის დროს „თეთრის“ წონა ერთიორად კლებულობს, ხოლო დავით აღმაშენებლის მონეტის წონა უკვე ერთ გრამზე ნაკლებია. ასეთი მდგომარეობა იმის შედეგი იყო, რომ ე. წ. „ვერცხლის კრიზისი“, რომელიც მთელ აღმოსავლეთს მოედო XI საუკუნეში, დიდად გაღრმავდა საქართველოშიც. „ვერცხლის კრიზისის“ გავრცელებას სპეციალურ ლიტერატურაში ხსნიან აღმოსავლური ქვეყნებას ვერცხლის საბადოების გამოფიტვით, აღმოსავლური მონეტის დასავლეთ ქვეყნებში გაზიდვითა და თურქ-სელჯუქთა მონთაბარე ტომების შუა აზიიდან სპარსეთისაკენ მოძრაობით<sup>1</sup>. როგორც არ უნდა იყოს ამ დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური მოვლენის მიზეზი, იგი XI საუკუნის საქართველოსათვის დამახასიათებელი პროცესია.

ქართული ნუმიზმატიკის მკოდნე დ. კაპანაძე ეხება რა ზემოაღნიშნულ პროცესს, წერს: „საშუალო საუკუნეთა საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურ აღმავლობას, საყოველთაოდ ცნობილს, უცნაურად უპირისპირდება ჩვენი ნუმიზმატიკის „სპილენძის ხანა“. ვერცხლის კრიზისი, რომელმაც, როგორ უკვე ითქვა, წინა აღმო-

<sup>1</sup> დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1950 წ., გვ. 44.

საელეთში საერთოდ XI საუკუნეში რჩინა თავი და ჩვენშიც გავრცელდა, იმდენად გაღრმავდა, რომ მთელი ერთი საუკუნის მანძილზე ვერცხლის მონეტა აღარსად იქრებოდა. რა თქმა უნდა, ჩვენში რომ ვერცხლი ექრათ იმ დროს, როდესაც მეზობლები მხოლოდ სპილენძსა ქრიდნენ, ეს უფრო მაღალღირებული მონეტა აღარ გაჩერდებოდა და განძების სახით დაიფლობოდა მიწაში, ან უცხოეთში გაედინებოდა. ამიტომ ვერცხლის ნაცვლად საქართველოშიც მხოლოდ სპილენძის მონეტა იქრება, რომელსაც იძულებითი კურსი აქვს და რომელსაც აწერია ეს „ვერცხლიაო“<sup>1</sup>.

ცნობილია აგრეთვე, რომ ბაგრატი მეოთხემ მონეტის ტიპი, მისი გარეგანი სახე და მოყვანილობა შეცვალა. მისი მონეტის შუბლზე განოსახულია ღვთისმშობელი, ხოლო ზურგზე ასომთავრული წარწერა „ქრისტე აღიდე ბაგრატ აფხაზთა მეფე და ნოველისიმოსი“ ან „სევეასტოსი“.

ბაგრატ მეოთხის მონეტის წონის ერთიორად შემცირებისა და მისი გაუფასურების განო, ცხადია, დასაურვებელი თეთრის ოდენობა მეტად უნდა გაზრდილიყო. სამართლის წიგნის ზემოთ მოყვანილ მუხლებში დიდი ოდენობით გათვალისწინებული „თეთრი“ სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნებოდეს. ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების პროცესი ასახული იქნა კანონმდებლობაშიც.

ყველა ზემოაღნიშნულ მოსახრებათა გამო ჩვენ ვვხვდებით, რომ სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი არის მეფე ბაგრატ მეოთხე, რომლის სამართლის წიგნი შეიცავს ძეგლში მოთავსებულ 99—160 მუხლებს.

## შ. კანონიკური სამართლის ფრაგმენტი

(მუხ. 161—170)

აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის ბოლოში დართული მუხლები თავისი შინაარსითა და სასჯელის თავისებური სახით განსხვავდებიან ძეგლის სხვა მუხლებისაგან. აღნიშნული მუხლების ტექსტი ბექა-აღბუღას კანონებს არ უდგება. მათ ახასიათებთ განსაკუთრებული ნიშნები, რომლებიც არც ბექასა და არც აღბუღას სამართლის წიგნის სხვა მუხლებს არ მოეპოება. ეს თვისება ისაა, რომ თვითველ მუხლში კანონით განსაზღვრულ ძირითად

<sup>1</sup> დ. კაპანაძე, ფული ძველ საქართველოში, 1950 წ., გვ. 19—20.



სასჯელს ზიმატებული აქვს დამნაშავეის წყევლა-კრულვა და შეჩვენება—„კრულ და წყეულ, შეჩვენებულ იყავნ“. დამნაშავეის წყევლა-კრულვა, მოციქულთა და წმიდათა კრებათა კანონების ქვეშ დაყენება, რასაც ზემოაღნიშნული მუხლები შეიცავენ, ამ კანონებს აძლევს განსაკუთრებულ საეკლესიო ელფერს. რომელიც არ უნდა ახასიათებდეს საერო სამართლის ძეგლს. ამიტომ ეს მუხლები თავისი თვისებებით ძალიან ემსგავსებიან კათალიკოსთა სამართლის წიგნის კანონებს, რომლებიც XVI საუკუნის საეკლესიო კრების ძეგლის წერას წარმოადგენენ. ზემოაღნიშნული მუხლები რომ ბეჭა-აღბულას კანონმდებლობის ორგანულ ნაწილს არ წარმოადგენს, ინითაც დასტურდება, რომ ამ მუხლებში აღნიშნული დანაშაულის (ღალატით მკვლელობის) შესახებ ლაპარაკია ძეგლის სხვა მუხლებშიც, სადაც კანონმდებელი განსხვავებულ, უფრო მსუბუქ სასჯელს ადგენს. ასე მაგალითად: 161-ე მუხლში ლაპარაკია ღალატით მკვლელობის შესახებ; სასჯელად დაწესებულია ორკეცი სისხლი, რომელსაც ემატება „კრულ და წყეულ, წვიმუნებულ იყავნ“. ამავე ხასიათის დანაშაულია აღნიშნული 117-ე მუხლში, სადაც ნათქვამია: „თუ კაცი კაცმან ღალატით მოკლას, თორმეტი ათასი სისხლსა ენატოსო“. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი შენიშნავს, რომ შეუძლებელია ეს ორი მუხლი ერთდროულად კანონმდებელს ეკუთვნოდეს, რადგან ერთსა და იმავე დანაშაულზე (ღალატით მკვლელობაზე) 161-ე მუხლი ითვალისწინებს ნეტად მძიმე სასჯელს დამნაშავეის მიმართ,—ნის შეჩვენებას, და აგრეთვე იმის შეჩვენებასაც, ვინც მკვლელს ხელი გაუმართა. ხოლო 117-ე მუხლი იმავე დანაშაულისათვის სასჯელად დამნაშავეს უწესებს ერთი სისხლის ზედმეტად თორმეტი ათასი თეთრის გადახდას და, ამავე დროს, არც მკვლელსა და არც მის მფარველს კრულვა-შეჩვენებას არ უფარდებს. ცხადია, მიუთითებს ივ. ჯავახიშვილი, რომ ერთ კანონმდებელს არ შეეძლო ასეთი ორი განსხვავებული სასჯელი დაეწესებინა ერთისა და იმავე დანაშაულისათვის.

მკვლელობის შესახებ ლაპარაკია აგრეთვე ბეჭას კანონების 22-ე მუხლში, რომელიც მკვლელს ორკეცი სისხლის დაურევებას, მამულის ჩამორთმევასა და გადახვეწას უწესებს. თანაც კანონი ითვალისწინებს დამატებით სასჯელს. ეპისკოპოსმა დამნაშავეს ცოდვის მოსანანიებლად საეკლესიო სასჯელი უნდა შეუფარდოს. მკვლელი გაძევებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ იგი სიცოცხლეს ინარჩუნებდა. 161-ე მუხლში კი მკვლელს ორკეცი სისხლს რომ გადაახდევინებდნენ, მას შემდეგ შეაჩვენებდნენ და, ვითარცა შეჩვენე-

ბულს, ვერაინ მიეკარებოდა, არავის არ უნდა ეშველნა მისთვის და, თუ ვინღე მფარველობას აღმოუჩინდა, ისიც წყეულ-შეჩვენებული იქნებოდა. აღრიგად, 22-ე, 117-ესა და 161-ე მუხლებში ერთისა და იმავე ხასიათის დანაშაულისათვის სამი განსხვავებული სახის სასჯელია გათვალისწინებული. აღნიშნული მუხლებიც სხვადასხვა დროის საკანონმდებლო მოღვაწეობის ნაყოფი უნდა იყოს.

ასეთსავე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ძეგლის სხვა მუხლებშიც. 165-ე მუხლი ეხება ცოლის ძალით მოტაცებას. ამავე დანაშაულზე არის ლაპაოაკი 135-ე მუხლშიც. ორივე მუხლი ერთნაირ ძირითად სასჯელს აწესებს,—დამნაშავემ დაზარალებულს სრული სისხლი უნდა დაუფრვოს, მაგრამ განსხვავება იმაშია, რომ 165-ე მუხლი დამატებითი სასჯელის სახით ითვალისწინებს მეტად ღძიმე სასჯელს—წყევლა-კრულვასა და წეჩვენებას. ეს ორი მუხლიც სხვადასხვა კანონმდებელს უნდა ეკუთვნოდეს.

167-ე მუხლის მიხედვით, თუ ქურდობა ჩადენილია ისეთ ადგილას, რომელიც არ ითვლება „საპატიყო ადგილად“ (ხაზინა, ეკლესია და სხვ.), დამნაშავემ ნაპარევი უკლებლივ უნდა დააბრუნოს და გარდა ამისა მას წყევლა-კრულვა და შეჩვენება უნდა შეეფარდოს. ხოლო, თუ დანაშაული ჩადენილია საპატიოსა და მოსარიდებელ ადგილას („საპატიყო ადგილას“) დამნაშავეს „ორნივე თუალნი დაეწუნენ და ანუ ჭელ-ფერკი დაეკრას“. ამავე დროს ბექას სამართლის 62-ე მუხლი ასეთივე ხასიათის დანაშაულისათვის გაცილებით უფრო მსუბუქ სასჯელს ადგენს,—ნაპარევის ორკეცად გადახდევინებას: „ნაპარევი მისცეს და ერთი ეზომი სხუა“. ცხადია, რომ 167-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი გაცილებით უფრო მკაცრია, რომელიც, გარდა მოპარულის ანაზღაურებისა, წყევლა-კრულვასა და შეჩვენებას უწესებს დამნაშავეს. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილის აზრით, 167-ე მუხლი უფრო ძველი კანონმდებლობის შთაბეჭდილებას ახდენს; ამ მუხლში გათვალისწინებული სასჯელი—თვალთა დაწვა და ხელ-ფეხის მოკრა—თამარ მეფის წინა პერიოდში იყო გავრცელებული, რომელიც თამარ მეფეს გაუუქმებია. დამახასიათებელია, რომ 152-ე მუხლი თვალთა დაწვისათვის მოითხოვს მეფის ან უდიდებულესი კაცის თანხმობას. თამარის ხანაშიც ამ სასჯელის შეფარდებისათვის მეფის თანხმობა იყო საჭირო, როგორც ამას აღნიშნავს თამარ მეფის ისტორიკოსი. თამარ მეფეს კი ამ უფლებით უსარგებელია და ასეთ სასჯელზე თანხმობას არ აძლევდა. მკაცრი სასჯელები ქურდების მიმართ ისევ აღადგინა XVI საუკუნეში „კათალიკოსთა სამართალმა“.

რონელიც დამნაშავეს ქურდობისათვის სიკვდილით დასჯასა და ხელის მოკვეთას უწყესებდა. ამრიგად, ბექა-ალბულას კანონების ბოლოში დართული მუხლები (161—170) თავისი 'მანაარსით არც ერთ დღემდე არსებულ მუხლებს არ უდგება. ზემოთ მოყვანილი მუხლები სასჯელთა სიმკაცრით კათალიკოსთა სამართლის წიგნს უახლოვდება, მაგრამ ამგვარი თვისებები შეიძლებოდა თამარ მეფეზე უწინარესი ხანის ძეგლსაც ჰქონოდა.

ზემოაღნიშნული მუხლები საეკლესიო სჯულწებლობის ფრაგმენტია, რომელიც განსაკუთრებულ სასჯელებს ითვალისწინებს. 165-ე, 168—170 ე მუხლების დასასრულს გათვალისწინებული სანქცია, რომ დამნაშავე „კანონსამცა ქუეშე იქნების წმიდათა ნოციქულთასა“, კანონიკური სამართლის ფორმულას შეადგენს. ამიტომ ძველს კანონიკური სამართლის ფრაგმენტი ვუწოდეთ.

კანონიკური სამართლის ფრაგმენტი (მუხ. 161—170) ძველ ქართულ იურიდიულ ტერმინებს შეიცავს, როგორცაა მაგალითად „პატიეი“, „საპატიუო აღგილი“, „სანახშირო“, „ნიეთიანი საქმე“, „მეკობრე“, „მეჯურმუტე“, „ასოთა მოკვეთა“ და სხვა, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი გვიანდელი პერიოდის ძეგლებში არ გვხვდება. ამიტომ საფიქრებელია, რომ აღნიშნული ძეგლი თამარ მეფის წინა ხანაში უნდა იყოს შედგენილი.

#### 4. ი. კარსტი სამართლის წიგნის შედგენილობის შესახებ

1938 წელს სტრასბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა იოსებ კარსტმა ფრანგულ ენაზე გამოსცა ბექა-ალბულას სამართალი ორ წიგნად. პირველი წიგნი შეიცავს 122 ვკერძს. წინასიტყვაობისა და მოკლე წესავლის შემდეგ წიგნში მოთავსებულია ბექა-ალბულას კანონებს ტექსტი, რომელიც 175 მუხლისაგან შედგება. წიგნს დართული აქვს საგანთა, პირთა და გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი (გვ. 113—124). ავტორას სიტყვით, ტექსტი გამოცემულია პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაკული ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის ხელნაწერის მიხედვით. ამავე დროს ავტორს უსარგებლია ვახტანგის კანონების რუსული თარგმანით. პირველი წიგნის სქოლიოებში ცალკეული მუხლების მიხედვით ი. კარსტს მოცემული აქვს მოკლე შენიშვნები უმთავრესად რუსული გამოცემის დამოწმებით. ბექა-ალბულას სამართლის ტექსტი კარსტს დაყოფილი აქვს შემდეგნაირად: ბექას სამართალი

(მუხ. 1—65), აღბუღას სამართალი (მუხ. 66—98) და ბაგრატი-დავითის კანონმდებლობა (მუხ. 99—175). აღბუღასა და ბაგრატი კურაპალატის სამართლის წინასიტყვაობანი ცალკე მუხლებად არის აღნიშნული (მუხ. 66 და 99), რის გამო ძეგლის ფრანგული თარგმანი 175 მუხლს შეიცავს. მეორე წიგნი შეიცავს 200 გვერდს და იყოფა სამ ნაწილად. პირველ განყოფილებაში (გვ. 1—72) მოცემულია სასამართლო წყობილების, სასამართლო წარმოებისა და სოციალური და სახელმწიფოებრივი წყობილების მოკლე მიმოხილვა. მეორე განყოფილება (გვ. 73—151) შეიცავს სამართლის წიგნის შემდეგი მუხლების კომენტარიებს: 1, 3, 7, 9, 1', 14—15, 16—17, 20, 22, 25, 27, 29, 31, 33, 35—46, 49—50, 53, 55—56, 58—61, 64—78, 80, 83—90, 94, 99, 101, 122—125, 127—128, 130—131, 133—134, 136, 139—141, 145—146, 152, 157—158, 159—160, 167, 171. ზემოაღნიშნული მუხლების კომენტარიების დროს კარსტი იმონუმებს და ძირითადად ეყრდნობა ვახტანგის კანონების რუსულ თარგმანსა და ნ. ურბნელის შრომას—„ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი“. მესამე განყოფილება (გვ. 159—197) შეიცავს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დების-ტექსტის“ თარგმანს, სქოლიოში დართული მოკლე კომენტარებით.

ი. კარსტის კომენტარიები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძირითადად დაფუძნებულია ბექა-აღბუღას კანონების რუსულ თარგმანზე. ამიტომ თითქმის ყველა შეცდომას, რომელსაც რუსული თარგმანი შეიცავს, ადგილი აქვს ი. კარსტის თარგმანშიც. ი. კარსტის გამოცემაში, ისე როგორც რუსულ გამოცემაში, ბექა პირველის სამართალი მიკუთვნებული აქვს ბექა II, რომელიც XIV საუკუნის II ნახევარში მოღვაწეობდა (1361—1391), ხოლო აღბუღას სამართალი, რომელიც XIV საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლს წარმოადგენს, მიკუთვნებული აქვს ათაბაგ აღბუღას, რომელიც XV საუკუნის პირველ ნახევარში ცხოვრობდა (1444—1451).

ბექა-აღბუღას სამართლის ბოლოში დართული კანონები, რომლებიც 77 მუხლს შეიცავენ (მუხ. 99—175), ი. კარსტის აზრით, წარმოადგენს ბაგრატი-დავითის კოდექსს. ამის შესახებ ი. კარსტი წერს: გულდასმით ვსწავლობთ და ვიხილავთ რა ყველა მასალას, ჩვენ მივიღივართ შემდეგ დასკვნამდე: 1. ბაგრატის სამართლის კოდექსი, რომელიც შედგენილია X—XI საუკუნეებში, მეორე რედაქციით გამოცემული იქნა დავით აღმაშენებლის მიერ, ბაგრატი კურაპალატის კოდექსი გადასინჯული და შევსებული იყო სომხური.

ბიზანტიური და კანონიკური სამართლის ელემენტებით. 2. დავითის კოდექსი ხელახლა იქნა გადამუშავებული და შეგვსებული შევლგომ საუკუნეებში საეპისკოპოსო-საეკლესიო სამართლის ზეგავლენით და მოთავსებული თავისი ახლანდელი მოცულობით (71 მნ.) აღბუღას კოდექსში, თუ ამ ათაბაგის სიცოცხლეში არა. ყოველ შემთხვევაში ცოტა ხნის შემდეგ მაინც, ჯერ კიდევ XV საუკუნეში. 3. ბაგრატ-დავითის კოდექსის ტენდენცია გარკვევით არის ასახული მისი თანმიმდევრული განვითარებისა და ევოლუციის ისტორიაში: ეს ტენდენცია გამოახატება სისხლის სამართლის კოდექსის შექმნით შერეული იურისდიქციის დარგში, რომელიც განაწილებული იყო საერო ხელისუფლებასა და ეკლესიას შორის, რაც სავსებით გასაგებად ხდის კანონიკური სამართლის იმ ძლიერ ელემენტს, რომელიც გაერთიანებულია და შეტანილი ამ საკანონმდებლო მასალაში<sup>1</sup>.

ი. კარსტის ზემოთ მოყვანილი აზრის საფუძველს არსებული ისტორიული და საკანონმდებლო მასალა არ იძლევა. ბექა-აღბუღას სამართლის ბოლოში დართული კანონები ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნს და კანონიკური სამართლის ფრაგმენტს შეიცავს, რომლებიც XII საუკუნემდე უნდა იყოს შედგენილი. საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ი. კარსტი ქართული სამართლის შესახებ მეტად დაუსაბუთებელ აზრებს გამოთქვამს. ეხება რა ქართული საკანონმდებლო მასალის კოდიფიკაციის საკითხს, იგი მიუთითებს, რომ ძველი კანონები ჩვენამდე არ მოღწეულა. ისინი განოტოვებული იყო ვახტანგის საერთო კოდიფიკაციაში, ან იმით, რომ კანონებმა უკვე დაკარგეს ძალა საუკუნეთა განმავლობაში, ან და იმით, რომ მიეკუთვნებოდნენ სავა რედაქციას, რომელიც არ ეთანხმებოდა იმ ნუსხას, რომელიც საფუძველად დაედო ვახტანგისა და მის საკანონმდებლო კომისიის მოღვაწეობას<sup>2</sup>. მტკიცება იმისა, რომ ვახტანგის კოდიფიკაციაში არ იქნა შეტანილი ძველი კანონმდებლობა იმ მოსაზრებათა გამო, რომელთაც ი. კარსტი გამოთქვამს, უსაფუძველოა. პირიქით, ვახტანგის მიერ შედგენილი კრებული კანონებისა შეიცავს ძველ ქართულ საკანონმდებლო მასალას, რომელიც შეტანილია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში ბაგრატ კურაპალატის სამართლის სახით.

<sup>1</sup> Karst, Code d' Aghbougha... ტ. II<sup>1</sup>, 1938 წ., გვ 5—6.

<sup>2</sup> Karst, Code géorgien du roi Vakhtang VI, ტ. II<sup>1</sup>, 1934 წ., გვ. 12.

ასევე დაუსაბუთებელ აზრს გამოთქვამს კარსტი ქართული სამართლის ისტორიული განვითარების შესახებ. მისი აზრით საქართველოს მე-17 საუკუნის ბოლომდე არ ჰქონია საერთო ხასიათის დაწერილი კანონმდებლობა არც კერძო და არც საჯარო სამართლის დარგში. ადგილი ჰქონდა მხოლოდ ჩანასახის ფორმით რამდენიმე ცდას — „რამდენიმე ემბრიონულ ცდას“, რასაც ძველის წერანი ან ძველის დებანი ეწოდებოდაო, ე. ი. სამეფო ბრძანებულებანი სისხლის სამართლის სანქციის შესახებ, გაცემული ზოგიერთი პროვინციისათვის. მე-16 საუკუნის ქართველი პატრიარქების ნომოკანონიკური ნორმები და, ბოლოს, ბექა-აღბუღას კოდექსები მეტად რუდიმენტული და პროვინციული ხასიათისა არიანო. მისი აზრით ადგილობრივი ადათობრივი სამართალი მეტწილად დარჩა ამორფულ, დაუმუშავებელ მასად, რაც არ იყო კოორდინებული და კოდიფიცირებული. ამავ დროს ეს ადგილობრივი ადათობრივი სამართალი, რომელიც წინაპართა ზნე-ჩვეულებაზე იყო დამყარებული, ნაწილობრივ უკვე შეცვლილი იყო უცხოურ კანონმდებლობათა ზეგავლენით, რომელსაც ადგილი ჰქონდა კოლხიდასა და იბერიაში სხვადასხვა ეპოქაში ან ოფიციალური, ან ფარული კულტურული ზემოქმედების გზით. ამ აზრით, — ამბობს იგი, — შეიძლება ვილაპარაკოთ საქართველოში უცხოური სამართლის ზეპირსიტყვიერი შემოღებისა და არა უცხოური კოდიფიცირებული სამართლის რეცეპციის შესახებ. უცხოური სამართლის წერილობითი რეცეპცია, — ამბობს იგი, — კოდიფიკაციის გზით მოხდა მე-18 საუკუნის დამდეგს. ვახტანგ VI-მ თავისი საკანონმდებლო მოღვაწეობით დააკანონა ქართულ სამართალში უცხოური სამართლის რეცეპცია და ამ უცხოურ იურიდაულ ნორმებს (ენბრაულს, ბერძულსა და სომხურს) ბიანიჭა სუბსიდიარული ჩასალის მნიშვნელობა ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. ვახტანგის კანონმდებლობამ საბოლოოდ დაადასტურა ძველი ჩვეულება, რომლის თანახმად საქართველოში, სასამართლო პრაქტიკაში სუბსიდიარულად იყენებდნენ უცხოურ სამართალს ან პროვინციების უანსხეავეების გამო, ან სხვადასხვა სასამართლოს კომპეტენციის მიხედვით<sup>1</sup>.

ი. კარსტის ზემოთ მოყვანილი აზრი იმის შესახებ, თითქოს მე 17 საუკუნის ბოლომდე საქართველოში არ არსებობდა საერთო ხასიათის კანონმდებლობა, არც სამოქალაქოსა და არც სახელმწიფო სამართლის დარგში, მოკლებულია საფუძველს.

<sup>1</sup> Karst, Code géorgien du roi Vakhtang VI, ტ. I<sup>1</sup>, 1934 წ., გვ. 7, 8.

აქადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ შეუძლებელია 10-12-ე საუკუნეებში მძლავრისა და განვითარებულ ქართულ ფეოდალურ მონარქიას არ ჰქონოდა დაწერილი კანონმდებლობა. ჩვენ დავინახეთ, რომ გაერთიანებული სამეფოს საერთო კანონმდებლობის ძეგლს წარმოადგენს ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი, რომელიც მთელი საქართველოსათვის დამახასიათებელ საერთო ხასიათის ნორმებს შეიცავს და ასახავს გაერთიანებული სამეფოს საკანონმდებლო მოღვაწეობას თამარ მეფის წინა ხანაში.

ასევე მცდარად და უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს ი. კარსტის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს „ბექასა და ალბუღას კოდექსები მეტად რუდიმენტული და პროვინციული ხასიათისაა“. ბექა-ალბუღას კანონების გულდასმითი ანალიზი სრულიად ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ მე-13—14 საუკუნეებში ქართული სამართალი არამც თუ ემბრიონალურს და რუდიმენტულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, არამედ იცნობდა, როგორც კერძო, ისე საჯარო სამართლის ცალკეული დარგების განვითარებულ ინსტიტუტებს. ბექა-ალბუღას სამართალი არ წეიძლება მივიჩნიოთ პროვინციული ხასიათის სამართლად. თუ გავითვალისწინებთ იმდროინდელი საქართველოს ცალკეული ფეოდალური სამთავროების განვითარების საერთო დონეს, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ბექა-ალბუღას სამართალი გამოდგება საქართველოს დანარჩენი ადგილების საზოგადოებრივი ცხოვრების დასახასიათებლადაც. საფუძველს მოკლებულია აგრეთვე ი. კარსტის აზრი იმის შესახებ, რომ ქართული ადათობრივი სამართალი მე-18 საუკუნემდე წარმოადგენდა ადათ-ჩვეულებების გაუფორმებელ, დაუნუმრებელ მასას, რომელიც არ იყო მოყვანილი ერთგვარ სისტემაში. ბაგრატ კურაპალატისა და ბექა-ალბუღას სამართლის წიგნები, რომელთა ძირითად წყაროს ადათობრივი სამართალი შეადგენს, ცხადყოფენ მნიშვნელოვან საკანონმდებლო მოღვაწეობას ადათობრივი სამართლის ნორმების კოდიფიკაციის დარგში. ი. კარსტის მითითება იმაზე, თითქოს ქართული ადათები შეცვლილი იქნა უცხო კანონმდებლობათა ზეგავლენით სხვადასხვა ეპოქაში ოფიციალური თუ ფართული კულტურული ზემოქმედების გზით, მცდარია. ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულში შესული ბექა-ალბუღას, გიორგი ბრწყინვალის, კათალიკოსთა სამართლისა და საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის ანალიზი ცხადყოფს, რომ ქართული ადათობრივი სამართლის ნორმებმა სრულიად გარკვეული ფორმა

და ცხოველმყოფელი ძალა შეინარჩუნა აღნიშნულ საკანონმდებლო კრებულში.

ასევე მცდარია ი. კარსტის აზრი იმის შესახებ, რომ მეფე ვახტანგ VI-მ თავისი კრებულთა დააკანონა ქართულ სამართალში უცხოური სამართლის წერილობითი რეცეპცია, რაც მისი აზრით მანამდე ზეპირსიტყვიერი ფორმით იყო შემოღებული. ვახტანგის კრებულში წარმოდგენილ უცხოურ სამართლის ძეგლებს მხოლოდ დამხმარე საკანონმდებლო მასალის მნიშვნელობა ჰქონდა, რაც უფრო კოდიფიკაციის ფორმალურ მხარეს წარმოადგენდა. მართლმსაჯულების ძირითად სახელმძღვანელოდ სასამართლო პრაქტიკაში საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი და კრებულში შეტანილი ეროვნული სამართლის საკანონმდებლო ძეგლები ითვლებოდნენ.

1932 წელს პროფ. ი. კარსტმა გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა შრომა — „იბერიულ-კავკასიურის შედარებითი გრამატიკის ძირითადი მონახაზი“. ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ამ შრომის შეფასება, რომელიც მოცემული აქვს აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს თავის ფუნდამენტალურ შრომაში. „მხოლოდ ძველი და თანამედროვე ქართულის ცხადი უცოდინარობის ნაყოფი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ძველად სხვადასხვა წარმოშობილობის, მაგრამ დროთა განმავლობაში დამსგავსებული სიტყვები კარსტს მონათესავე სიტყვებად მოსჩვენებია. რა თქმა უნდა, რომ ასეთის ცოდნით აღჭურვილ ნეკლევარს შეცდომები მრავლად უნდა ჰქონდეს და ასეთ პირობებშიც ყოველი შედარების ღირებულებაც სათუო ხდება“<sup>1</sup>.

ი. კარსტი არ იცნობდა ბეჟა-აღბულას სამართლის 1672 წლის ხელნაწერს, რომელიც ჯერჯერობით ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი უძველესი ნუსხაა. ამასთან, როგორც ჩანს, კარსტმა არ იცოდა ქართული ენა იმდენად, რომ ეკისრა ქართული ტექსტის აღდგენა. კარსტი იმოწმებს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში არსებულ ვახტანგის მიერ შედგენილ კანონთა კრებულის ხელნაწერს, მაგრამ შედარებისას ირკვევა, რომ ძეგლის ფრანგული თარგმანი უმეტეს ნაწილში რუსულ თარგმანზეა დაფუძნებული. ცხადია, რომ რუსული უფარგისი თარგმანიდან შესრულებული ფრანგული თარგმანი ხარისხიანი ვერ იქნება.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, 1937 წ., გვ. 90.



ვახტანგის კანონების რუსული გამოცემის რედაქტორს, დ. ბაქრაძეს მოჰყავს საყურადღებო ცნობა იმის შესახებ, რომ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი თარგმნილი ყოფილა ფრანგულად XIX საუკუნის ოცდაათიან წლებში აკადემიკოს მარი ბროსეს მიერ და იქვე მოჰყავს ბროსეს სიტყვები: „იმავე ქართული კოდექსის მეშვიდე ნაწილი, რომელიც შეიცავს საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობას 267 მუხლის ოდენობით, დაბეჭდილი იქნება ამ წელს. ტექსტის პარალელურად, ფრანგული თარგმანი, შესრულებული ამ შენიშვნის ავტორის მიერ, ნებართვით, სამეფო ტიპოგრაფიაში“. მ. ბროსეს ზემოაღნიშნულ სიტყვებს დ. ბაქრაძე დასძენს: „ვახტანგის სამართლის წიგნის ფრანგული თარგმანის შესახებ ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ის დაწყებული იყო თვით სენ-მარტენის შთაგონებით, დართული ჰქონდა კრიტიკული გარჩევა ტექსტისა. განხილული იყო ეყენია ბიურნუფას მიერ და იბეჭდებოდა ტექსტთან ერთად 1837 წელს... მისი შემდგომი ბედი ჩვენთვის უცნობია და ჩვენ არაფერი შეგვიძლია ვთქვათ იმის შესახებ, იყო თუ არა იგი გამოცემული და არსებობს თუ არა დღემდე“<sup>1</sup>.

ამავე ფაქტს აღნიშნავს ოლივერ უორდროპიც, რომელმაც თარგმნა ინგლისურ ენაზე გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“. იგი წერს: „დიდმა ქართველმა მეცნიერმა მ. ფ. ბროსემ შეასრულა ვახტანგის სამართლის წიგნის სრული ფრანგული თარგმანი და გადასცა ის დასაბეჭდად, მაგრამ ის არ გამოქვეყნებულა“<sup>2</sup>.

ამასთან დაკავშირებით ქართველ მკვლევართა შორის არსებობდა აზრი იმის შესახებ, რომ შეიძლება ი. კარსტი იცნობდა მ. ბროსეს მიერ შესრულებულ საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნის ფრანგულ თარგმანს. მაგრამ ეს აზრი საფუძველს მოკლებული უნდა იყოს, რადგან საკუთრივ ვახტანგის სამართლის გარდა ი. კარსტმა სხვა ქართული საკანონმდებლო ძეგლებიც თარგმნა და ამავე დროს იგი თავის თარგმანებსა და კომენტაჟებში არსად არ მიუთითებს ბროსეს თარგმანის არსებობაზე.

ჩვენ ამოცანად არ დავვისახავს ფრანგული თარგმანის ქართულ ტექსტთან სიტყვა-სიტყვით შეჯერება. ხემათ აღნიშნული იყო, რომ ი. კარსტი იმოწმებს პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში

<sup>1</sup> Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887 г., гл. 140—161.

<sup>2</sup> Laws of king George of Georgia surnamed „The Brilliant“ From the journal of the Royal Asiatic Society, July, 1914, гл. 609.

დაცულ ვახტანგის კანონების ხელნაწერს. მაგრამ მისი თარგმანი და განსაკუთრებით კომენტარები უმეტეს ნაწილში დაფუძნებულია რუსულ თარგმანზე. ამავე დროს ზოგიერთი მუხლის ფრანგული თარგმანი რუსულთან შედარებით უფრო ვრცელი და სრულია. საქიროა აღინიშნოს, რომ ი. კარსტის თარგმანი საზოგადოდ მეტად თავისუფალ და განმარტებულ თარგმანს წარმოადგენს. ორიგინალის ლაკონური ტექსტები და ფორმულები თარგმანში დაცული არ არის. ფრანგული თარგმანი დედნის ტექსტის აზრის გავრცობილი გადმოცემაა და მოცულობითაც დიდად აღემატება ორიგინალს.

ბექას სამართლის წინასიტყვაობის დასაწყისში აღნიშნული ფრაზა — „შევიყარნით ქულევთა“... — ი. კარსტის აზრით, „ქულევთა“ არის არა გეოგრაფიული ადგილი, არამედ საკრებულო, სადაც იხილავდნენ კანონმდებლობის საკითხებს. ბექას სამართლის 20-ე, 33-ე, 40-ე მუხლების აზრი ფრანგულ თარგმანში, ისე როგორც რუსულ თარგმანში, სრულიად დამახინჯებულია. 22-ე მუხლის მითითება — „ლაშქართაგან გარდაქდევისა არვისგან მოქსენება უნდა“ — გამოტოვებულია ფრანგულ თარგმანში. 45-ე მუხლში აღნიშნული სიტყვა „მოსაკარავი“ ი. კარსტის განმარტებით არის: მიტოვებული პირი, ვინაობის მხრივ ბნელი პიროვნება, უუფლებო. გაძევებული პირი, რომელიც ცხოვრობს ხან მონობასა და ხან ტყვეობაში. ამ მუხლში აღნიშნული სიტყვა „სარგვენოდ“, ი. კარსტის აზრით, უნდა ნიშნავდეს „სარგებლოდ“. სრულიად დამახინჯებულია 48-ე და 49-ე მუხლის აზრი. აღბუღას სამართლის წინასიტყვაობა და 67-ე მუხლის თარგმანი შეიცავს მნიშვნელოვან შეცდომებს. 90-ე მუხლის ფრაზას — „მას ბქესა სიავისა ჯელნი დაესხნენ“ — ი. კარსტი თარგმნის „მოსამართლე დაპატიმრებული იქნება“, 112-ე მუხლის „საპირო“ და 123-ე მუხლის „უნახშიროდ“, დამახინჯებულად არის თარგმნილი. არასუსტია 159-ე და 160-ე მუხლის თარგმანი. არც 162-ე მუხლის „სანახშიროა“ ზუსტად თარგმნილი. 167-ე მუხლის ფრაზის „საპატიჟოსა ადგილსა“ მნიშვნელობა არ ესმის ი. კარსტს მართებულად, რის გამო თარგმანიცა და კომენტარებიც მცდარია. დამახინჯებულად არის თარგმნილი როგორც ბექა-აღბუღას, ისე ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკური სამართლის სხვა მთელი რიგი მუხლებიც.

ამასთან ერთად ფრანგული თარგმანის ზოგიერთი მუხლის რუსულ თარგმანთან შეჯერებისას აღმოჩნდა, რომ ი. კარსტს ზოგი-

ერთი ნუხლი განსხვავებულად აქვს თარგმნილი. მაგალითისათვის აღვნიშნავთ სიტყვების — „პატივის“, „საპატიუოსა“ და „საჟუპატიოს“ თარგმანს. მაგრამ კარსტს არ ესწის ზემოაღნიშნული სიტყვების, როგორც საჯარო ხასიათის სასჯელის ბუნება და მნიშვნელობა. ეს ცნებები კი სამართლის წიგნის მიხედვით, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სისხლის სამართლის ჯარიმაა, რომელიც განკუთვნილია საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ.

### 5. სამართლის წიგნის შედგენილობა Q-206 და S-352-ის ხელნაწერების მიხედვით

1672 წლის ხელნაწერი, Q—206. აღნიშნული ნუსხის მიხედვით ბეჟა-აღბუღას სამართლის წიგნი მთავრდება 58-ე მუხლით, თუმცა თვით ტექსტი ცალკე მუხლებად არ არის დაყოფილი. იგი გადაწერილია იესე ფეიქრიშვილის მიერ. ცნობა აღნიშნული ხელნაწერის შესახებ 1897 წელს თეოდორდანიამ მოათავსა „ქრონიკების“ მეორე ტომში შენდევნი სათაურით: „1444—1451 წ.—ახალი და უძველესი ვარიანტი აღბუღას კანონებისა“. ეს ნუსხა 1672 წელს არის გადაწერილი, რაც ჩანს ამ ხელნაწერის პირველ გვერდზე თ. ჟორდანიას მინაწერიდან: „ველითა ფ'დ ც'ის იესესითა ქ'კს ტა“. იმავე გვერდზე რუსულ წარწერაში გადაწერის თარიღად თ. ჟორდანიას 1662 წელი აქვს აღნიშნული, ხოლო „ქრონიკების“ მეორე წიგნში—1670 წელი. ორივე თარიღი თ. ჟორდანიას უნებლიე შეცდომას უნდა წარმოადგენდეს. როგორც „ქრონიკებში“ მოთავსებული სათაურიდან ჩანს, თ. ჟორდანიაც აღნიშნულ ძეგლს XV საუკუნისად და აღბუღას კანონმდებლობად თვლიდა. ეხება რა ნუსხის აღწერილობასა და მის მნიშვნელობას, თ. ჟორდანიას წერს: „ჩვენ ხელთა გვაქვს ა. ფეიქრიშვილისაგან ჩამოტანილი ხუცური ხელნაწერი (გალესილს ქალაღბზე, in 4, გვ. 74, უყდო, ბოლო არა აქვს. წარწერათაგან სჩანს, რომ იგი გადაწერილია „ველითა ფ'დ ცოდვილისა იესესითა ქ'კს ტმ“ ე. ი. 1670 წ.) ძველის დედნისაგან, რომელსაც სიძველით აქა იქ სიტყვები ჰკლებია, რის გამო გადაწერის იძულებით ამისთანა სიტყვების სხვა ვარიანტებიდამ ჩასაწერად ცარიელი აღგილი დაუგდია სტრიქონებს შუა.

ხელნაწერი შეიცავს საკითხავთა: 1) „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე:“ ანუ აღბუღას კანონებს (გვ. 1—59); 2) „ესე სამართალი არს, რომელი მოიგოთ (?) უბრძანა ღ'ნ წიგნსა შინა გამოსლვათასა და ესე სამართლები არს, რომელი წინაა

დაუდგა: მათ“: (ე. ი. ებრაულთა კანონნი). 3) „რიცხეთა შინა უბრძანებს ღთის მოსეს კაცისა მკლველისათ:“ (ჯს) (გვ. 59—72).

ამ საკითხავებში ჩვენ ძვირფას განძად მიგვაჩნია აღბუღას კანონები, რადგან ჩვენ არსად შეგვხვედრია ამ კანონების ძველი ვარიანტი, გარდა იმ ვარიანტებისა, რომელნიც ჩაოთულია ვახტანგ-მეფის კანონთა კრების ხელნაწერებში (მე-*XVIII—XIX* საუკ.); ხოლო ჩვენი ხელნაწერი დაწერილია დიდათ ადრე ვახტანგ-მეფისა და როგორც სჩანს ძველის დედნიდამ. გარდა ამისა ჩვენს ვარიანტში აღბუღას კანონები გამოთქმულია უფრო მოკლედ და აქა-იქ საყურადღებო ვანსხვავებით, ვინემ ვახტანგისაში, რადცა დღეად საყურადღებოა ჩვენის იურიდიულ წეს-წყობილებათა მკლვევართათჳს. უკანასკნელ, ჩვენი ვარიანტი შესანიშნავია იმითაც, რომ მას აქვს სათაური ანუ წინასიტყვაობა, რომელიც აკლია ვახტანგისაში და რომელშიც დასახელებულნი არიან ისტორიაში უცნობნი პირნი: ბიძის ძენი აღბუღასნი: ბაშია და საფარის მოძღვარი პაფნოტე<sup>1</sup>.

1672 წლის ხელნაწერის გაცნობამ და ვახტანგის კრებულის *S—3583* ხელნაწერთან შედარებამ ცხადყო, რომ 1672 წლის ხელნაწერშიც ძველის თავდაპირველი ტექსტი ყველგან დაცული არ არის და საკმაოდ დაზიანებულია. აღმოჩნდა, რომ მუხლების ზოგი ნაწილი უკეთესად იკითხება ვახტანგის კრებულის ხელნაწერებში.

1672 წლის ხელნაწერი მუხლებად დაყოფილი არ არის. ეს ნუსხა ვახტანგის კრებულის ხელნაწერებისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. ხელნაწერის შესავალში დაცულია აღბუღას წინასიტყვაობა და ძვირფასი ცნობები ამ საკანონმდებლო ძველის მოქმედების ასპარეზის შესახებ, რომელიც ვახტანგის კრებულის ხელნაწერებში არ მოიპოვება: „ზე, ათაბაგ-ამილსპასალარბან აღბუღა, მოვაგსენეთ პატიოსანსა ძაწყუერელსა და ბიძა-ძეთა ჩემთა შაშისა და მისსა ძმასა საფარის მოძღუარსა პაფნუტის, ხუთსავე თემსა სამცხისასა, ტაოველთა, შავშთა და კლარჯთა და მათ შინა მყოფთა ეპისკოპოზთა და მეუღაბნოვეთა მოწესეთა მოწპობითა...“ და შემდეგ გრძელდება წინასიტყვაობის ტექსტი ვახტანგის კრებულის ხელნაწერისაგან ზოგიერთი განსხვავებით. ამ წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ სამცხე-საათაბაგო სულ რვა თემისაგან შედგებოდა, რომელთაგან ხუთი სამცხის ფარგლებში შე-

<sup>1</sup> თ. უორდანიი, კოზნიკები, ტ. II, გვ. 255—257.

დიოდა. ამიტომ მართებული არ უნდა იყოს აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრი იმის შესახებ, რომ მთლიანად სამცხე-საათაბაგო ხუთი თემისაგან შედგებოდა, რომელთაგან ძეგლში მოხსენიებულია სამი. ხოლო ორი თემი „ჯავახთა და მესხთა“ შეცდომით გამოჩენია გადაწერის<sup>1</sup>.

ვახტანგის კრებულის ნუსხასთან შედარებით 1672 წლის ხელნაწერი წარმოადგენს ტექსტის მოკლე რედაქციას. ვახტანგის საკოდიფიკაციო კომისიას ტექსტში ვრცელი ახსნა-განმარტებანი შეუტანია, რის გამო ვახტანგის კრებულის ხელნაწერის ტექსტი მოცულობით დიდად აღემატება 1672 წლის ნუსხის ტექსტს. კომენტარების სახით შეტანილია მთელი რიგი წინადადებანი და ზოგიერთი ძველი ტერმინი შეცვლილია ახალი ტერმინებით. 1672 წლის ნუსხის დედანი დაშლილი ყოფილა, რის გამო მთელი რიგი მუხლების თანმიმდევრობა დარღვეულია ჩვენ ნუსხაში და ზოგიერთი მუხლი გაკვეთილიც არის. 69-ე მუხლის შესაბამისი ტექსტის შემდეგ მოცემულია 72-ე მუხლის მეორე ნაწილი, შემდეგ 73-ე, 74-ე, 75-ე და 76-ე მუხლების შესაფერი ტექსტები. 76-ე მუხლის შემდეგ მოცემულია 77-ე მუხლის პირველი ნაწილი, შემდეგ 70-ე მუხლი, მერმე 71-ე, რასაც მოსდევს ჯერ 98-ე, ხოლო შემდეგ 72-ე მუხლის პირველი ნაწილი და მერმე 77-ე მუხლის მეორე ნაწილი. 78-ე მუხლიდან ტექსტი აღდგენილია და დაცულია თანმიმდევრულად 98-ე მუხლამდე. გადაჯგუფებულ მუხლებში ტექსტი აქა-იქ დამახინჯებულია. გადაწერის მიერ დაშვებულია შეცდომები აგრეთვე სხვა მუხლებშიც.

1672 წლის ხელნაწერის მიხედვით ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი 98 მუხლის შესაბამის ტექსტს შეიცავს. აქედან ცხადია, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი თავდაპირველად სწორედ 98 მუხლისაგან შედგებოდა და დანარჩენი მასალა შემდეგში შემთხვევითა და შეცდომით არის ამ ძეგლთან დაკავშირებული. ბექას სამართლის წიგნი შესაეაღს გარდა 65 მუხლს შეიცავს. 65-ე მუხლის პირველი ნაწილი უკვე აღბუღას კანონების შესაეაღს წარმოადგენს, ხოლო მეორე ნაწილით იწყება აღბუღას სამართლის წიგნი, რომელიც მთავრდება 98-ე მუხლით. მაშასადამე, აღბუღამ

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928 წ., გვ. 111.

ბექას კანონებს 33 მუხლი დაამატა. რაც შეეხება თვითონ ძეგლის დაყოფას, როგორც აღნიშნეთ, 1672 წლის ხელნაწერში ბექა-ალბუღას კანონების ტექსტი არ არის გაკვეთილი მუხლებად. თუ აღნიშნული ნუსხის მიხედვით ძეგლის სტრუქტურასა და საკანონმდებლო მასალის განლაგებას დაკვირვებით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ როგორც ბექას, ისე ალბუღას თავიანთი კანონები შინაარსის მიხედვით რამდენიმე მთავარ ნაწილად ჰქონიათ დაყოფილი, ისე რომ თვითეული ნაწილი ცალკე საკითხს ეხება. თვითეულ ნაწილს თავდაპირველად ალბათ თავისი სათაური, ან ზახვასმით აღნიშნული დასაწყისი უნდა ჰქონოდა. ასეთი სათაურის მაუწყებელი სიტყვები შენარჩუნებულია ძეგლის ზოგიერთ მუხლში; ასეა მაგალითად, პირველი მუხლის დასაწყისში— „უწინ სისხლისა გავაა ჩინეთ“, ან მეხუთე მუხლის დასაწყისში— „გერშისა ასრე იქნას“, რაც იმას მოასწავებს, რომ წინათ ერთგვაროვანი შინაარსის მუხლები ალბათ სათაურებით იყო გამოყოფილი. „აქედან ცხადი ხდება, რომ ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის ტექსტიც დროთა განმავლობაში საგრძნობლად დამახინჯებულა და აღდგენა სჭირდება, რაც ადვილი საქმე არ არის, რადგან XIII—XIV ს.ს. გადარჩენილი ძეგლების მეტის-მეტი სიმკირის გამო ამ დროის ძეგლების ენა ჯერ შესწავლილი არ არის“<sup>1</sup>.

1672 წლის ხელნაწერის ტექსტის გაცნობისას მკითხველი შეამჩნევს, რომ ჩვენ შეძლებისდაგვარად გავასწორეთ მთელი რიგი დამახინჯებული ადგილი და აღვადგინეთ ძველი ტექსტი.

ხელნაწერი S—3683, 21, 2X 30 სნტმ.-ის ზომისა, წარმოადგენს მხედრულად დაწერილ ნუსხას. ვახტანგ VI-ის კანონთა კრებულის საკმაოდ ბევრი ხელნაწერი მოიპოვება, მაგრამ ძველი და კარგად შენახული მათ შორის ცოტაა. აკად. ექვთიმე თაყაიშვილის აღწერილობის თანახმად, სულ სამიოდე ხელნაწერი უნდა იყოს ისეთი, რომლებიც მიეკუთვნება XVIII საუკუნის პირველ მეოთხედს ან პირველ ნახევარს. მისივე აზრით უქველეს ხელნაწერს წარმოადგენს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნუსხა, რომელიც ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის S—3683 ხელნაწერად ითვლება. აღნიშნული ნუსხა ე. თაყაიშვილს მიაჩნია ვახტანგის დროინდელ ხელნაწერად, რომელიც ხელთ ჰქონია ვახტანგ მეფეს და ზოგიერთი მუხლი (207, 262, 263, 270) თვით

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1923 წ. გვ. 110.

მის მიერ არის ნაწერი<sup>1</sup>. პროფესორ ლეონ მელიქსეთ-ბეგის აზრითაც, რომელმაც ვახტანგის კრებულის აღნიშნული ხელნაწერის მიხედვით სომხური სამართლის ქართული ვერსია გამოსცა, ხელნაწერი S—3683 ვახტანგის სიცოცხლეშია დაწერილი და თვით ვახტანგის მიერვეა გადასინჯული და შესწორებული<sup>2</sup>.

აკადემიკოსმა ივ. ჯავახიშვილმა ეკვი შეიტანა ზემოაღნიშნულ შეხედულებაში და გამოთქვა აზრი იმის შესახებ, რომ ხელნაწერი S—3683 არ უნდა იყოს ვახტანგის დროინდელი. მისი აზრით ეს ხელნაწერი გადმოწერილი უნდა იყოს სხვა დაზიანებული დედნიდან, რადგან ხელნაწერის ტექსტში ადგილი აქვს ხარვეზებსო და ამავე დროს თვით კანონების ტექსტი დამახინჯებულიაო. ზემოაღნიშნულის გამო აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილის აზრით „ეს ხელნაწერი ვახტანგის მერმინდელი უნდა იყოს, იქ დროისა, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში თურქთა და სპარსთა ბატონობის წყალობით ზოგი ხელნაწერი სრულგვით დაიღუპა, ზოგი ძალზე დაზიანებული გადარჩა და XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან განახლებულ იქნა“<sup>3</sup>. სახელოვანი ნეკლევიარი იქვე დასძენდა, რომ მოხუცელობის გამო სათანადო ადგილების შედარება ვერ მოეხერხებოდა და ამიტომ საბოლოო დასკვნისათვის, რასაკვირველია, ჯერ კიდევ აღნიშნულ ხელნაწერს გულდასმითი შესწავლა სჭირდებაო.

ვახტანგის კანონთა კრებულის ხელნაწერებიდან ჩვენს წინამდებარე გამოცემას საფუძვლად დავუდევით S—3683 ხელნაწერი, რადგან იგი უძველესია და ვახტანგის რედაქციული ხელი ატყვია. აზრი ამ ხელნაწერის ვახტანგის დროინდელობის შესახებ დასაბუთებულია დამაჯერებლად, რასაც ცხადყოფენ კანონთა ზოგიერთი მუხლები, ტექსტში გაკეთებული შენიშვნები და მინაწერები, რომლებიც თვით ვახტანგ მეფას ხელით არიან შესრულებული.

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების მეცნიერმა მუშაკმა თ. ენუქიძემ საფუძვლიანად განიხილა ვახტანგის კანონთა კრებულის S—3683 ხელნაწერი და დაწერილობათი ანალიზის საფუძველზე ნათელყო, რომ აღნიშნული ნუსხა ვახტანგის დროინდელია და სამართლის მთელი რიგი მუხლები და აგრეთვე მინაწერები თვით ვახტანგის ხელით არის ჩაწერილი.

<sup>1</sup> Описание. ტ. II. გვ 614—615.

<sup>2</sup> სამართალი სომხური, გამოსცა ლ. მელიქსეთ ბეგმა, 1927 წ., გვ. X—XI.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1926 წ..

ვახტანგის კანონთა კრებულის S—3683 ნუსხაში ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი მოთავსებულია 254r—277r ფურცლებზე და შეიცავს 176 მუხლს. მუხლების დანომრვა და სათვალავი აღნიშნულია ასოებით. აღბუღას ორი წინასიტყვაობა და ბაგრატ კურაპალატის სამართლის შესავალი ცალკე მუხლებად არის გამოყოფილი (მუხ. ა, ზ, რ). ჩვენს გამოცემაში აღნიშნული წინასიტყვაობანი დატოვებულია შესავლის სახით, რადგან შინაარსით ისინი კანონმდებლობის გარემოებათა აღწერას მოგვითხრობენ და არ შეიცავენ იურიდიული ნორმისათვის დამახასიათებელ ელემენტებს.

ამავე დროს, წინააღმდეგ განმტკიცებული ტრადიციისა, ჩვენ საჭიროდ მივიჩინეთ საკუთრივ აღბუღას სამართლის შესავალი ორ ნაწილად გაგვეყო. პირველი ნაწილი დავტოვეთ როგორც კანონმდებლობის შესავალი, ხოლო მეორე ნაწილი გამოვყავით ნნ-ე მუხლად. ვინც გულდასმით გაეცნობა აღნიშნულ წინასიტყვაობას, ის დარწმუნდება, რომ ასეთი დაყოფა მართებულია. შესავლის პირველი ნაწილი მხოლოდ სჯულმდებლობის საერთო ვითარებას აღწერს, მეორე ნაწილი კი აღნიშნავს კონკრეტულ დანაშაულს და მიუთითებს სასჯელის კონკრეტულ ზომაზე, რაც დამახასიათებელია სისხლის სამართლის კანონის მუხლების ბუნებისათვის.

იგივე უნდა ითქვას ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შესავალზედაც. ეს წინასიტყვაობაც ორ ნაწილად იყოფა. პირველში აღნიშნულია სამართლის წიგნის შედგენის ვითარება და საკანონმდებლო კრების მონაწილეთა წოდებრივი მდგომარეობა. მეორე ნაწილში განსაზღვრულია მოსამართლის თვისებები და მართლმსაჯულების მოთხოვნები. შესავლის მეორე ნაწილი, რომელიც იწყება სიტყვებით: „ვინცა საბჭოდ სჯდებოდეთ“, ჩვენ გამოვყავით 99-ე მუხლად. დამახასიათებელია, რომ მომდევნო (მე-100) მუხლიც ანალოგიურად იწყება: „ვინცა მოძღუარი იყოს“.

ამრიგად, ჩვენი გამოცემა მსხვილი, ძველი 170 მუხლს შეიცავს. აქედან ბექას სამართალს მიეკუთვნება მუხლები 1—65, აღბუღასას — 66—98 და ბაგრატ კურაპალატისას — 99—160. დანარჩენი მუხლები (161—170) შეადგენს კანონიკური სამართლის ფრაგმენტს. რაც შეეხება 171—175 მუხლებს, ისინი შეიცავენ 33-ე, 64-ე, 72-ესა და 81-ე მუხლების სათანადო აღკვეთების ტექსტის განმეორებას და შეცდომით მიწერილია კანონთა ბოლოში. შედარებისათვის მოვიყვანთ ზემოაღნიშნულ მუხლებს პარალელურად:



33. „თუ დაუნდობარმან კაც-  
მან ბატონსა უღალატოს, მტერ-  
მან, საპატიჟო აღარ მართებს  
და ერთისა უთავადესთა სისხ-  
ლი დაუურვოს“.

64. „თუ გულარალო ცხენი  
მიპყიდოს კაცმან კაცსა, თუ გუ-  
ლარლობა არ უთხრას, ისეთი  
იცნას, თავი და ნაჭედნი მისცეს  
და მის გუერდის რაცა წაჯდომო-  
დეს ყველა“.

72. „თუ კაცი კაცისა ყმობა-  
სა და ერთგულად გავლენით სა-  
მსახურსა შიგან ჭირ ნახულობი-  
თა ანუ დაკოდითა უქმარად გა-  
სულიყოს, დაბერებულბოყოს, სა-  
ქმემან რამემან განიყვანოს, რითა-  
ცა შესრულიყოს, იგივე გაყვეს  
[და] მისისა ჭირ-ნახულობისა მე-  
სამედი, ამაღ რომე საბრალო  
იქმნების და ძალისაგან დაცლი-  
ლი“.

72. თუ შვილნი ესხნენ გაპყვენ.  
მემამულე მას, რაჲცა არა მოუ-  
ტანია, ნურას ნუ მიატანს“.

81. „ღიაცსა თუ ქმარი მოუკ-  
უდეს... და საქონელი... თუ მო-  
ნასტერს შესწიროს, შვილნი ნუ-  
რას ეცილებიან“.

171. „თუ დაუნდობარმან კაც-  
მან ბატონს უღალატოს, საპა-  
ტიჟო აღარ მართებს, და ერთი-  
სა უთავადესთა სისხლი დაუურ-  
ვოს“.

172. „თუ გულარალო ცხენი  
მიყიდოს კაცმან კაცსა, თუ  
გულარლობა არ უთხრას. ისეთი  
იცნას, თავი და ნაჭედნი მისცეს,  
და რაც იმ ცხენით წაჯდომო-  
დეს, უკლებლად უზლოს“.

173. „თუ კაცი კაცისა ყმობ-  
ბასა და ერთგულად გავლენით  
სამსახურსა შიგან ჭირ-ნახულო-  
ბითა ანუ დაკოდითა უქმარად  
გასულიყოს, დაბერებულბოყოს,  
საქმემან რამემ განიყვანოს, რი-  
თაცა შესრულიყოს, იგივე გაყვეს  
[და] მისისა ჭირ-ნახულობისა ე-  
სამედი, ამაღ რომე საბრალო  
იქმნების და ძალისაგან დაცლი-  
ლი“.

174. „თუ შვილნი ესხნენ, გაპ-  
ყვენ. მემამულე მას, რაჲცა არა  
მოუტანია, ნურას ნუ მიატანს“.

175. „თუ დედაკაცს ქმარი  
მოუკედეს და საქონელი მან  
ქვრივმან მონასტერს შესწიროს,  
შვილნი ნუ ეცილებიან“.

აღსანიშნავია, რომ 1672 წლის ხელნაწერის ზემოაღნიშნული მუხლების შესაბამისი ტექსტების კიდევ ვახტანგ მეფის ხელით უნდა იყოს მიწერილი მხედრულად—„ეს აკლია“. ჩანს, მინაწერის ავტორს მხედველობიდან გამორჩენია ის გარემოება, რომ N 3683 ხელნაწერის სათანადო მუხლებში (33, 64, 72, 81) მოიპოვება ეს

ტექსტები, რის გამოც ისინი კანონთა ბოლოში დაურთავს. აქედან ირკვევა, რომ 1672 წლის ხელნაწერიც სხვა ნუსხებთან ერთად ხელთ ჰქონია ვახტანგ მეფის საკოდიფიკაციო კომისიას, რომელიც ერთმანეთთან აჯეობდა მათ.

ხკმით მოყვანილი მუხლების ტექსტის სათანადო ადგილების ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით, ხოლო ზოგჯერ უმნიშვნელო ცვლილებით განმეორების გამო სამართლის წიგნის მუხლების რაოდენობა გამოცემის საფუძველად დადებული N 3683 ხელნაწერის მიხედვით 170 მუხლით უნდა განისაზღვროს.

### 6. სამართლის წიგნის სისტემა

ძველი სამართლის წიგნების შესწავლა ცხადყოფს, რომ აღრინდელი პერიოდის კანონმდებლობა არ შეიცავს სამართლის ცალკეული დარგებისა და ინსტიტუტების განსაზღვრულ სისტემას. ხშირად სამართლის სხვადასხვა დარგის ნორმები და შინაარსი არეულია ერთმანეთში და ზოგჯერ ადგილი აქვს შეუსაბამობას. სისხლისა და სამოქალაქო სამართლის, სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების საკითხები შინაარსობრივად დაულაგებელია. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ძველი სამართლის წიგნები უმთავრესად ადათობრივი სამართლისა და სასამართლო პრაქტიკის ნორმათა კრებულებს შეადგენენ, რომლებშიც ეს ნორმები ჩაწერილია სხვადასხვა დროს სხვადასხვა რედაქციით მათი სისტემატური დალაგების გარეშე. სასართლებრივი ნორმები გადმოცემულია კაზუისტიკურად, ე. ი. ცალკეული შემთხვევების მიხედვით, რის გამოც ისინი მოკლებულია სათანადო განზოგადებას, სისრულესა და სიზუსტეს.

ამ მხრივ ბეჭასა და აღბუღას სამართლის წიგნიც არ შეადგენს გამონაკლისს. მასში ადგილი აქვს მატერიალური და პროცესუალური სამართლის ნორმების არევას, ცალკეული მუხლების კაზუისტიკური სახით გადმოცემას. ეს გარემოება აძნელებს სამართლის ინსტიტუტების თანმიმდევრული დალაგებით განხილვასა და შესწავლას, თანაც, ძველი დაწერილია მეტად რთული ენით და იმ პერიოდის იურიდიული ტერმინოლოგია სათანადოდ შესწავლილი არ არის. მიუხედავად ამისა სამართლის წიგნის შინაარსის ზედმიწევნითი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ცალკეული მუხლები დავალაგოთ სამართლის განსაზღვრული დარგების მიხედვით. ამასთან, აუცილებლად მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ სა-

მართლის წიგნი საკუთრივ ბექა-აღბუღას სამართლის გარდა შეიცავს ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკურ სამართლის წიგნებს, რომლებიც ასახავენ XI საუკუნის საქართველოს წმგომარეობას და აჰდენად არ გამოდგებიან XIV საუკუნის სამცხე-საათაბაგოს სამართლის ინსტიტუტების დასახასიათებლად.

ვახტანგის კანონთა კრებულის მიხედვით ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნი სამ წინასიტყვაობას შეიცავს. ბექას, აღბუღასა და ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნს წამძღვარებული აქვს ცალკე შესავალი. ბექას კანონების წინასიტყვაობა აღბუღას ეკუთვნის და მხოლოდ მისი რედაქციით არის შემონახული. ცხადია, ბექას სამართალს საკუთარი წინასიტყვაობა ექნებოდა, მაგრამ მას ჩვენამდე არ მოუღწევია.

სამართლის წიგნის უმთავრეს ნაწილს სისხლის სამართლის ნორმები შეადგენენ. სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებსაც მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი. ნაკლები რაოდენობითაა მოცემული სპროცესო სამართლის ნორმები, რომლებიც არეულია სისხლისა და სამოქალაქო სამართლის შინაარსის შენცველ მუხლებში და ცალკე დამოუკიდებელი მუხლებს სასით თითქმის არ გვხვდება. სამართლის წიგნი იწყება სისხლის სამართლის მუხლებით, რომლებშიც განსაზღვრულია მკვლელობისათვის დასაუროვებელი სისხლის ოდენობა დაზარალებულის გვარის, მამულისა და ღირსების მიხედვით. პირველ მუხლში განსაზღვრულია დიდებული სისხლის ოდენობა, მე-2, მე-3, მე-4, მე-7 და მე-9 მუხლი განსაზღვრავს სხვადასხვა კატეგორიის აზნაულის სისხლს. მე-7 მუხლის მეორე ნაწილი და მე-10 მუხლი მსახურის სისხლს ითვალისწინებს, ხოლო მე-11 მუხლი—გლეხის სისხლს. მე 5, მე-6 და მე-8 მუხლი ქობილობის საზღაურს ადგენს.

სამართლის წიგნის მუხლები ცალკეულ დანაშაულობათა მიხედვით შეიძლება შემდეგ ძირითად ჯგუფად დაიყოს: მკვლელობა: 1, 4, 7, 15—17, 22, 36, 38, 96—97, 117, 134, 150, 159—161, 164, 165; სხეულის დაზიანება: 5—6, 8, 18, 124—125, 142—144, 151, 162; შეურაცხყოფა: 18—21, 106—109, 126, 129—131; ცილისწამება: 40, 50, 86, 120, 132, 145—146; მუქარა: 127—128; სქესობრივი დანაშაული: 23, 26, 41, 105, 139. ქალის მოტაცება: 24, 27, 39, 41, 46—47, 135, 165; ცოლის ანქმრის დაგდება: 29—30, 32, 46, 140; გაძარცვა: 12—14, 17, 19, 25, 33, 35, 37, 47, 80, 97, 109—116, 118—119, 121—123, 138, 141, 148,

152, 163, 166, 167, 168; ქ უ რ დ ო ბ ა: 62—63, 65—66, 92, 116, 137, 167; მ ე ქ რ თ ა მ ე ო ბ ა: 90; ლ ა ლ ა ტ ი: 33, 40, 59, 117, 136, 149, 152, 171; ა დ ა მ ი ა ნ ის ა ნ ნ ი ე თ ის თ ე ი თ ნ ე ბ უ რ ა დ დ ა კ ე რ ა: 18, 74, 80, 101—104, 147, 159, 166; ვ ე ნ ა ხ ის ა დ ა ხ ე ხ ი ლ ის დ ა კ რ ა ა ნ ყ ა ნ ის დ ა თ ი ბ ვ ა: 169; ც ე ც ხ ლ ის წ ა კ ი დ ე ბ ა: 169—170.

სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტებს შეიცავენ შემდეგი ვუბ-  
ლები: ს ა კ უ თ რ ე ბ ის უ ფ ლ ე ბ ა: 42—44, 51—55, 58—59, 71—78, 91—92, 94, 98; გ ი რ ა ვ ნ ო ბ ა: 43—44, 83, 94—95; ნ ა ს ყ ი დ ო ბ ა: 45, 55—56, 64, 71, 89, 95, 172; მ ი ბ ა რ ე ბ ა: 53—54, 87—88; ს ე ს ხ ი: 83, 93—95; ჩ უ ქ ე ბ ა: 34, 61, 85; ქ ი რ ა ვ ნ ო ბ ა: 70, 79; თ ა ვ დ ე ბ ო ბ ა: 68—69; თ ხ ო ვ ე ბ ა: 67; ს ა ო ჯ ა ხ ო ს ა მ ა რ თ ა ლ ი: 31, 34, 39, 48—49, 72—73, 153—158; მ ე მ კ ე ვ ი დ რ ე ო ბ ა: 57, 59; 81—82, 175.

სასამართლო წყობილება და სასამართლო წარმოება: პ ა ტ რ ო ნ ი ა თ ა ბ ა გ ი და მ ა წ ყ უ ე რ ე ლ ი: 1, 4, 18, 22, 25, 33, 40; ბ კ ე და ბ კ ო ბ ა: 3, 4, 20, 27, 34, 84, 88, 90, 97, 100; შ უ ა კ ა ც ი: 6, 13, 39, 49, 52, 83—84, 92; ფ ი ც ი და მ ო ფ ი ც ა რ ნ ი: 4, 27, 33, 35, 37, 62—63, 65—66, 85—86, 91, 97, 113—114, 119—120, 140, 145; მ ო წ მ ე: 16, 50, 86, 91—92; წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ს ა ბ უ თ ე ბ ი: 60, 68—72, 76, 157—158.

ასეთია სამართლის წიგნის შედგენილობა და სისტემა სამართლის ცალკეული დარგებისა და ინსტიტუტების მიხედვით.

### III. სამართლის წიგნის წყაროები

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის წყაროების საკითხი სრულიად შეუსწავლელია. ჩვენთვის უცნობია თუ რა საკანონმდებლო მასალით, ან ადათობრივი სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობდნენ სჯულმძღვანელები სამართლის წიგნის შედგენის დროს. ერთადერთ საშუალებას ამ საკითხის ნაწილობრივი გაშუქებისათვის თვით სამართლის წიგნი შეადგენს, რომელშიც მეტად მკრთალი და მცირე ცნობებია შემონახული. ამიტომ აუცილებელია გავთვალისწინოთ სანართლის წიგნის შინაარსი მთლიანად და მისი ანალიზის მიხედვით შეძლებისდაგვარად გაეარკვიოთ კანონმდებლობის წყაროების საერთო ტენდენცია. ერთგვარი პარალელი სანართლის ინსტიტუტებს შორის შეიძლება აღმოჩნდეს იმ პერიოდის სხვა ეროვნულ საკანონმდებლო ძეგლებშიც.

#### 1. ადათობრივი სამართალი

სამცხე-საათაბაგო სრულიად დამოუკიდებელ ფეოდალურ სამთავროს წარმოადგენდა. საათაბაგოს დამოუკიდებლობა იქანდე მივიდა, რომ სახელმწიფოს შიგნით თითქოს მცირე სახელმწიფო შეიქმნა. მართლაც უმაღლესი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სასამართლო ხელისუფლება სამცხე საათაბაგოში საქართველოს მეფისაგან სრულიად დამოუკიდებლად ხორციელდებოდა. სწორედ ასეთ მსხვილ ფეოდალურ სამთავროში შეიძლება ადათობრივი სამართალი კანონმდებლობის ძირითადი წყარო ყოფილიყო. ცნობილია, რომ ყველგან, სადაც ფეხს იკიდებს ფეოდალური დაქსაქსულობა, იქ ჩნდება სამართლის პარტიკულარიზმი, და ჩვეულებითი სამართლის ნორმები ახალი კლასობრივი შინაარსით ლებულობენ სავალდებულო კანონის ძალას მემამულეთა კლასის ინტერესების შესაბამისად. ასე იყო სამცხე-საათაბაგოშიც, რომლის სჯულმძღვანელობა მოხდა საქართველოს მეფისაგან დამოუკიდებლად.

ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნის ძირითადი წყარო ქართული ადათობრივი სამართალია. სამართლის წიგნი უმთავრესად ძველ ქართულ ზნე-ჩვეულებათა კრებულია. თუმცა კანონმდებელი იშვიათად მიუთითებს ადათობრივი სამართლის ნორმებზე, მაგრამ ასეთი დამოწმების გარეშეც, თუ გულდასმით შევისწავლით სანარ-

თლის წიგნს, ნათელი გახდება, რომ მისი მთავარი შემადგენელი ნაწილი ადათობრივი სამართალია ნაკრამ ეს ზოგადი თანსახარისია, რომლის ნათელსაყოფად საჭიროა სამართლის წიგნის სათანადო ნორმების დამოწმება.

მარქსიზმის კლასიკოსები ვეასწავლიან, რომ გაბატონებული კლასი კანონის სახით აყალიბებს და აქეიყნებს ადათობრივი სამართლის ნორმებს, ანიკებს მათ საკანონმდებლო სანქციას. ამასთან, იგი ახდენს იმ ადათობრივი ნორმების შერჩევას, რომლებიც შეესაბამებიან მის ინტერესებს. მონათმფლობელური და ფეოდალური სამართლის ძეგლები ამ პრინციპით არიან შედგენილი. „საზოგადოების განვითარების გარკვეულ, მეტად დაბალ საფეხურზე ჩნდება მოთხოვნილება იმისა, რომ პროდუქტების წარმოების, განაწილებისა და გაცვლის აქტები, რომლებიც დღით-დღე მეორდებიან, საერთო წესით შემოფარგლო, იზრუნო იმაზე, რომ ინდივიდი წარმოებისა და გაცვლის საერთო პირობებს დაემორჩილოს. ეს წესი, რომელიც დასაწყისში ზნეჩვეულებით გამოიხატება, მალე კანონად იქცევა. შემდგომი საზოგადოებრივი განვითარების მსგელობაში კანონი, ცოტად თუ ბევრად, უფრო ვრცელ კანონმდებლობად ვითარდება. რაც უფრო რთულდება ეს კანონმდებლობა, მით უფრო დაშორებული ხდება მისი გამოხატულების წესი იმ წესისაგან, რომლითაც საზოგადოების ცხოვრების ჩვეულებრივი ეკონომიური პირობები გამოიხატება“.<sup>1</sup> ასეთია ადათ ჩვეულებების საკანონმდებლო ნორმად გადაქცევის პროცესი, რომლის კლასიკური დახასიათება მოგვცა ფ. ენგელსმა თავის შრომაში „ბინის საკითხისათვის“.

კ როცა ადათობრივ სამართალს, როგორც სამართლის წყაროს ვიხილავთ, ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ის გარემოება, რომ მხოლოდ საგვარეულო წყობილების დაშლისა და საზოგადოების მოპირდაპირე კლასებად გათიშვის საფუძველზე შეიქმნა შესაძლებელი გაბატონებული კლასის მიერ იმ ადათების გამოყენება, რომლებიც შეესაბამებოდნენ მის ინტერესებს. ამავე დროს ძველ ადათებში ახალი შინაარსი იქნა შეტანილი, იგი გადაიქცა წერილობითი სამართლის ნორმად, როპელიც გამოხატავს არა მთელი კოლექტივის, არამედ გაბატონებული კლასის ნებისყოფას. ძველი ადათები საკანონმდებლო ძეგლებში შეტანილია ახალი შინაარსითა

<sup>1</sup> კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I. 1950 წ., გვ. 724.

და გაგებით. არც ერთი ჩვეულება თავისი პირვანდელი საგვარეულო შინაარსით არ არის ფიქსირებული კანონმდებლის მიერ. იგი სახეშეცვლილი და მოდიფიცირებულია ახალი კლასობრივი საზოგადოების პირობების შესაბამისად.)

ეს დებულება მთლიანად ვრცელდება ბექა-ალბუღას სამართლის წიგნზედაც. ამ საკანონმდებლო ძეგლში შეტანილი ადათობრივი სამართლის ნორმები ახალი კლასობრივი შინაარსისა და დანიშნულების ნორმებია, რომლებიც უზრუნველყოფენ ფეოდალური კლასისა და წოდებათა გაბატონებულ მდგომარეობას, მკაცრად იცავენ ფეოდალურ კერძო საკუთრებას და აკანონებენ უშუალო მწარმოებლის—ყმა-გლეხის ექსპლოატაციას.

ბექა მანდატურთუბუცესის სამართლის წიგნის მიხედვით ადათობრივი სამართალი „ქვეყნის წესია“, „ალაგისა და გვარის წესია“ (მუხ. 43, 49). დამახასიათებელია, რომ ბიზანტიური სამართლის ქართული ვერსია, რომელიც შესულია ვახტანგის კრებულში „ბერძნული სამართლის“ სახელწოდებით, ადათობრივ სამართალს „ალაგის წესს“ უწოდებს და განსაზღვრავს შემდეგნაირად: „ერთის რისმე საქმისათვის რომე დაწერილი სამართალი არ იყოს, რომე კაცს იწისი სამართალი უყონ, სჯულთა იმ ალაგის წესი, რომელიც იყოს, ის უნდა იკითხოს და ის სამართალი უნდა უყოს. იმ სამართალს ეწოდების სჯულის კანონის მაგეირი სამართალი“ (მუხ. 372).<sup>1</sup> მაშასადამე, „ალაგის წესი“, ანუ ადათობრივი სამართალი, გამოიყენება მაშინ, როცა „დაწერილი სამართალი“, ანუ კანონმდებლობა, არ არის. ასეთ შემთხვევაში ადათობრივი სამართალი „სჯულის კანონის მაგეირი სამართალი“.

ბექა-ალბუღას სამართალში ადათობრივი სამართლის ნორმები გამოყენებულია კანონმდებლის მიერ როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო და საპროცესო სამართლის დარგშიც. კომპოზიციების ანუ სისხლის დაურევების სისტემა, რაც წარმოადგენს სისხლის სამართლის სასჯელის ძირითადსა და ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმას, ბექა-ალბუღას სამართალში ადათობრივი სამართლის ინსტიტუტია. სისხლის დაურევებამ შეცვალა შურისძიებისა და სისხლის აღების ინსტიტუტი მატერიალური საზღაურით, რომელიც დამნაშავეს უნდა მიეცა დაზარალებულის ნათესავეებისათვის მოკლული პირის, საპატიო გვარის, მამულისა და პატივის მიხედვით. სისხლისა ზღვა ასრევეა: კაცი ვითაცა გვარად იყოს, აგრე ზემო-ქვე-

<sup>1</sup> საქ. მუხ. ხელნაწერი S 3683, 114 რ.

მოებით უზღოს, ვითაცა უწერია სისხლი“, ამბობს სჯულმდებელი ბექა. კომპოზიციების ეს ფორმულა თავის ფესვებს მთლიანად ძველ ჩვეულებებში პოულობს. სადათობრივი სამართლის ნორმებს იყენებს კანონმდებელი ცალკეულ დანაშაულთა მიხედვით სისხლის ოდენობისა და ქრილობის საზღაურის განსაზღვრის დროსაც.

ბექას სამართლის მიხედვით გათვალისწინებული გამაწბილებელი სასჯელები ფეოდალური ყოფა-ცხოვრებიდან არის ამოღებული. დამნაშავეს, რომელიც ოჯახს თავს დაესხა შერცხვენისა და შეურაცხყოფის მიყენების მიზნით, დამამცირებელი სასჯელი უნდა შეეფარდოს. ბოროტმოქმედი „ნიფხვითა ოდენ გაშიშვლებულად ზოლოთა შიდიტა ბიჯთა ჩათრიონ და მას კაცსა მეჭრემან სამი შოლტი ამოჰკრას“ (მუხ. 13). ასეთივე წარმოშობისაა ბექას სამართალში აღნიშნული გამაწბილებელი სასჯელის ანალოგიური სახე, რომელსაც დამნაშავეს პიროვნების შერცხვენა და დამცირება აქვს მიზნად. თუ ცოლ-შვილიანი კაცი ქმარშვილიან ქალთან ან ნათესავი ნათესავთან მრუშობას ჩაიდენს, ბოროტმოქმედი მამაკაცი „ნიფხვით ოდენ შიშველი და ყელ-საბლიანი უბანთა ზედა განქირებული მოავლონო“ (მუხ. 23), ამბობს კანონმდებელი.

დამნაშავეს გაძევება და გადახვეწა, რომელსაც სასჯელის ერთ-ერთ სახედ ითვალისწინებს ბექას სამართალი, საგვარეულო წყობილებიდან მომდინარე ჩვეულებაა, რომელმაც საკანონმდებლო სანქციის სახე მიიღო სამართლის წიგნში. სხვა სასჯელებიც, რომლებიც გაძევებასთანაა დაკავშირებული, მამულის კონფისკაცია, სალაშქრო სამსახურის აკრძალვა („ლაშქართაგან გარდაქდევა სა არვისგან მოქსენება უნდა“), ზიარების, ქორწინებისა და გვირგვინთა კუთხევის აკრძალვა, რასაც შერისხვის ფორმულა ითვალისწინებდა, ძველი ტრადიციით განმტკიცებული წესები იყო.

სასჯელის იმ სახესაც, რომელიც ცნობილია ბექასა და აღბუღას სამართალში „ქელთა მიცემის“ სახელწოდებით, საწყისი ძველ ჩვეულებაში აქვს. დამნაშავეს ან ვალაუვალ მოვალეს, დაზარალებულის ან კრედიტორის განკარგულებაში გადასცემდნენ სისხლის ან ვალის ანგარიშში.) ბექას სამართალიც ადგენს, — დამნაშავე მისმა პატრონმა „მამულითურთ მას გაუპატივებულთა ქელთა მისცესო“ (მუხ. 36).

თუმცა შურისძიებასა და სისხლის აღებას კანონმდებელი კრძალავს, მაინც, მიუხედავად ამისა, ეს ძველი საგვარეულო ადათი სამართლის ზოგიერთ მუხლებში ინარჩუნებს ერთგვარ ძალას.



სამოქალაქო სამართლის დარგშიც კანონმდებლები ფართოდ იყენებენ ადათობრივი სამართლის ნორმებს. ზოგ შემთხვევაში სამართლის წიგნი პირდაპირ მიუთითებს ტრადიციით განმტკიცებულს ჩვეულებითი სამართლის წესზე და მას კანონის ძალას ანიჭებს.

სამცხე-საათაბაგოში არსებობდა ადგილობრივი და საგვარეულო ადათი, იმის შესახებ, რომ უმცროსი ძმა, როცა ცოლს შეირთავდა, ოჯახს გამოეყოფოდა, მაგრამ უფროსი არ კარგავდა მის უპირატეს უფლებას, მიეღო უფროსობისათვის ქონების ზედმეტი წილი, ე. წ. საუხუცესო. „იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომე უმცროსსა მამულოვნებით გაიყვანებენ, თუ ცოლსა შეირთავს; იგი წესია, სამართალი არა, საუხუცესოცა ამაღ წესი არსო“, მიუთითებს ბექას სამართლის წიგნი. მაგრამ არის ისეთი ადგილი და გვარეულობაც, სადაც ასეთი ადათი არ არსებობს: „თუ არაოდეს ქმნილა მათსა გვარსა შიგანო“ (მუხ. 49). აღბუღას სამართალშიც მოიპოვება ადათობრივი სამართლის წესის დამოწმება: „არის რამე ასეთი თემი და ქვეყანა, რომე სამამულოსა რასაცა გაჰყიდიან და დაათასებენ, ნახევარსა ფასსა ჩამოუშვებენ... მართალი არის და, ვინც იქს, ასრე უპირანაო“ (მუხ. 95), აღნიშნავს სჯულმდებელი. ქმნილო ქალის გარდაცვალების შემთხვევაში ჩვეულებითი სამართალი ითვალისწინებდა მზითვის ნახევრის სულის საცხონებლად შეწირვას, ხოლო მეორე ნახევრის გადაცემას ქალის მშობლებზე. აღბუღა აქ წესს კანონის ძალას აძლევს და ამბობს: „ყოფილაცა, რომე, თუ დიაცი უშვილო მოკვდეს, ზითევი ნახევარი სულისა საურავად გაუშვან და ნახევარიღა სამშობლოს მართებსო“ (მუხ. 82). აღბუღას სამართლის წიგნმა საკანონმდებლო წესით გაათორმა ადათობრივი სამართლის ნორმა იმის შესახებ, რომ, თუ ქალი „შვილოსანი დაქვრივდეს, აბჯარი შვილთა მართებს, სასაქონლო—დიაცსაო“ (მუხ. 81), ე. ი. სალამქრო საქურველი ვაჟებს ეკუთვნის, ხოლო მზითევი დედაკაცსო. მაგრამ, თუ დედამ თავისი მოძრავი ქონების ნაწილი „მონასტერთა შიგა შესწიროს, მას შვილნი ნუ ეცილებიანო“ (მუხ. 81). აღბუღას სამართალმა დაადგინა: ნასყიდობის ხელშეკრულების ძალით, თუ მყიდველი გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ პირობას მოშლის, იგი კარგავს გადახდილი ფასის მეთედს პირობის მოშლისათვის, რასაც „სამშლელო“ ეწოდება. ესეც ადათობრივი სამართლის წესია. ძველმა ჩვეულებამ

სესხის ხელშეკრულებაშიც იჩინა თავი. „თუ კაცმა კაცისაგან პური ივალოს და დაქირებისათვის დიდი სარგებელი შეუქვეთოს მიმცემელმან, ნუ იყოფინ, ორისათვის სამი კმააო“ (მუხ. 93), ნათქვამია აღბუღას სამართალში.

ადათობრივი ნორმების გამოყენების თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ბექას სამართლის დებულება იმის შესახებ, რომ, თუ ვინმე კარგი და კეთილი დამოკიდებულებისათვის ნათესავს ან ახლობელს, უძრავ ან მოძრავ ქონებას აჩუქებს, დროთა განმავლობაში კიდევ რომ გაღარიბდეს, მაინც არ უნდა მოითხოვოს საჩუქრის დაბრუნება. ამრიგად, ჩუქების ხელშეკრულებაც ძველ ჩვეულებას ეყრდნობოდა. წინალოგიური ხასიათის ადათობრივ ნორმას შეიცავს აღბუღას სამართალიც. თუ ვინმე სხვას პატრონის მოწყალების მიღებაში დაეხმარება, მისთვის გაისჯება და ამის გამო უძრავი ან მოძრავი ქონების სახით გასამრჯელოს მიიღებს, ვინც საჩუქარი მისცა, უფლება არა აქვს მოითხოვოს ქონების დაბრუნება: „თუ კაცს კაცისადა ან პატრონისა კარგად ყოლისა და საურავისათვის ქრთამად მიეცეს რამე, გინა სამამულო და გინა სასაქონლო, და მას კიდევ რომელმანმე გამოართოს იგი მისაცემელი, თხოვასა და წაღებასა არას ემართლებისო“ (მუხ. 85).

აღბუღას სამართლით გათვალისწინებული თავდაწერილი კაცის „სეფე-ქალსა ზედან სიძობით შეწყნარება“ (მუხ. 72) ან თავდაუწერელის მიერ ცოლის ისე შერთვა, რომ „არცა გლენსა ზედვის შეესიძოს და არცა სეფე-ქალსა“ (მუხ. 73), ბატონყმური ყოფაცხოვრების ინსტიტუტია, რომლის წყაროს ძველი ადათობრივი სამართალი შეადგენს.

საოჯახო სანართლის სფეროშიც კანონმდებელს მნიშვნელოვნად აქვს გამოყენებული ძველი ადათ-ჩვეულებები. მიუხედავად იმისა, რომ საათაბაგოს საოჯახო სამართალს ოჯახის პატრიარქალური ფორმა უკვე განვლილი აქვს, სამართლის წიგნში ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ ისეთ წესს, რომელიც ძველ საოჯახო ურთიერთობას ახასიათებდა.

პატრიარქალური ოჯახის წარმოშობა, როგორც ცნობილია, დაკავშირებულია შრომის საზოგადოებრივ განაწილებასთან, რასაც შედეგად მოჰყვა მამაკაცის გაბატონება დედაკაცზე. პატრიარქალური ოჯახი გარდამავალი ფორმა იყო წყვილადი ოჯახიდან მონოგამიურ ოჯახსზე. ოჯახის ამ ფორმის დროს პირველად აღმოცენდა სოციალური და უფლებრივი უთანასწორობა ოჯახის წევრებს შორის, წარმოიშვა ე. წ. პატრიარქალური ანუ შინამსახურეული:

მონობა. ოჯახის უფროსს — მამას — განუსაზღვრელი უფლებები ჰქონდა ოჯახის წევრების მიმართ. მას ეკუთვნოდა ოჯახის წევრის სიკვდილ-სიცოცხლის უფლება.

ბექას სამართლის ზოგიერთ მუხლში შემორჩენილია ძველი საოჯახო სამართლის წესებიც. /უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ოჯახში შვილების უფლებრივი მდგომარეობა საკმაოდ შეზღუდულია. ოჯახის უფროსი და მისი სრული ბატონ-პატრონი ნაშაა, რომლის ძალა-უფლება შვილებზედაც ვრცელდება. მას შეუძლია შვილის სახლიდან გაძევება და დასაჯა. შვილის გაძევება ძველი ჩვეულების გადმონაშთია სამართალში. შვილის ოჯახიდან გაძევება ხდებოდა რაიმე დანაშაულისათვის — „შეცოდებისათვის“. თუ ურჩი და თავხედი შვილი მამას შეურაცხყოფს, მას შვილის გაძევების უფლება აქვს და არავის შეუძლია მას შეედავოს და ხელი შეუშალოს განკარგულების შესრულებაში. გაძევება ნიშნავდა შვილისათვის მამულის ჩამორთმევას, შვილის უნაწილოდ გაგდებას. მაგრამ კანონმდებელი ზღუდავს მამის უფლებას შვილის მიმართ, და მიუთითებს, რომ მამას არა აქვს უფლება ტყუილუბრალოდ შვილი გააძეოს ოჯახიდან. საჭიროა გამოკვლეული და შესწავლილი იქნეს, მამამ უდანაშაულო შვილი სხვისა შთაგონებითა და წაქეზებით ხომ არ დასაჯა. თუ გაძევებული შვილი მამის მიმართ მოკრძალებით იქნება და მამას ან სხვას არ მიაყენებს კიდევ რაიმე უსიამოვნებას, როცა ოჯახის უფროსი, მამა გარდაიცვლება, შვილს ევრაჲინ წაართმევს ადგილ-მამულის მფლობელობასა და საქმიანობაში მონაწილეობის მიღების უფლებას („მამული სა მოსაქმეობასა ვერაჲინ მოუშლის“). მაგრამ, თუ გაძევებული შვილი სხვასაც ძალმომრეობით უსიამოვნებას აყენებდა, მას მამის გარდაცვალების შემდეგაც ერთმეოდა მფლობელობის უფლება უძრავ ქონებაზე („ნურვი რას ასაქმები ნებს მამული სა თანა“).

ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით ოჯახიდან შვილის გაძევება ძალიან მამას შეეძლო, ისიც დანაშაულისათვის. ოჯახის უფროსის, მამის ხელისუფლება როგორც შვილზე, ისე ნაშვილებზედაც ვრცელდება, მას შეუძლია ნაშვილებიც გააძეოს ოჯახიდან; ბექას სამართლის თანახმად, თუ მამა ნაშვილებს გააძევებს, ის კარგავს უფლებას ადგილ-მამულის მფლობელობაზე („შორს დადგა ყოვლისა მოსაქმებისა გან“). როგორც ღვიძლი შვილის გაძევებისას, ამ შემთხვევაშიც კანონი მოითხოვს, რომ მამამ კარგად შეისწავლოს გაძევების საბაბი, რომ მკირე ბრალისათვის, ან სხვა პირთა პატივისცემისათვის უსამართლოდ არ დასაჯოს ნაშვილები. გაძევებული შვილისაგან განსხვავებით

ნაშვილები არ სარგებლობს მამულის მფლობელობის უკლებლით. მამის მიერ შვილის ოჯახიდან გაძევება ძველი ჩვეულების გადმონაშთია სამართალში.

საყურადღებოა, რომ სამართალი აღნიშნავს აგრეთვე ძმის ან ახლო ნათესავის გაძევებას. ბექას სამართლის 48-ე მუხლის თანახმად, თუ ძმამ თავისი ძმა ან ახლო ნათესავი „მამულისაგან გააბეზროს, რა გინდა რა გარეთით აწყინოს, როდესცლა შინა მოვიდეს, სამართალით დახულარა ეზღვევის, ნუცა რად მიეთვლები“. ასეთ შემთხვევაში, ჩვეულებითი სამართლის მიხედვით, გაძევებულ ძმას მხოლოდ ქონების ზედმეტი წილი — „საუხუცესო“ — უნდა მიეცეს. „ძმას ძმისაგან კიდევ წესი ერთისა საუხუცესოსა მეტი არა მართებს“. ეს „წესი“ ძველი ადათის გადმონაშთია ბექას სამართალში.

საოჯახო სამართლის ძველი ჩვეულების მეორე გადმონაშთი ბექას სამართალში დანიშნული ქალის — „ჯვარგაცვლილი საცოლის“ — მოტაცებაა. 39-ე მუხლის თანახმად, დანიშნული ქალის მოტაცება დანაშაულად არ ითვლება და კანონი მისთვის სასჯელს არ აწესებს, — „სამდურავისა კიდევ დასაურევებლად არას ემართლები“. კანონმდებელი მიუთითებს, რომ ასეთ შემთხვევაში ორივე მხარის — საქმროსა და წამგვრელის — ნათესავეებმა გაარჩიონ საქმე, და ამ გზით ქალის მომტაცებელმა დანიშნული ქალის საქმროს გული მოიგოს, წყენა და მტრობა მოშალოს („გული დაუმტოს და ზვავი მოშალოს“). დანიშნა. ანუ ჯვრის გაცვლა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს ცოლ-ქმრულ ურთიერთობას, იგი იურიდიულ ძალას ნაკლებულია და დანიშნული ქალის მოტაცება ამდენად არ ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად. ამოიგად, ბექას სამართალში შეუნარჩუნებია ერთგვარი ძალა ძველ ჩვეულებას საცოლის მოტაცების შესახებ. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როცა კანონმდებელი, თუმცა არ იწონებს ქალის მოტაცების ადათს, მაგრამ არც სასჯელს ითვალისწინებს ასეთი ქმედობისათვის. ამიტომ სწორი არ უნდა იყოს აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილის აზრი იმის შესახებ, რომ საცოლის მოტაცების ძველი ჩვეულების ანარეკლი თითქოს უცნობი იყოს ბექასა და აღბუღას სამართლისათვის. „ქართული ქორწილის ხალხურ ჩვეულებებში წამგვრისა და მოტაცების ანარეკლი მკაფიოდ მოჩანს. მაგრამ ამ ჩვეულების გარდა თვით „წამგვრისა“ და მოტაცების წესი დიდი ხანია საქართველოში ნოსპობილი და გადავარდნილი იყო.. არც ბექას, არც ათაბაგ აღბუღას სამართლის წიგნებში, არც გიორგი ბრწყინვალის

„ძეგლის დებაში“ საცოლის მოტაცება უკვე მოხსენებული არ არის“. <sup>1</sup> მართალია, ცოლის მოტაცების წესი გადავარდნილი იყო, მაგრამ გადმონაშთის სახით ძველი ჩვეულების ანარეკლი ბექას სამართალში, როგორც დავინახეთ, შენარჩუნებულია. აღსანიშნავია, რომ ამ საკითხის გარკვევის დროს აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი იმოწმებს ბექას სამართლის 24-ე, 46-ესა და 47-ე მუხლებს, მაგრამ მხედველობიდან გამოჰრჩენია 39 ე მუხლი.

სხვა შეცთხევებში სამართალი როგორც გასათხოვარი, ისე გათხოვილი ქალის მოტაცებას კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად თვლის და დანაშაუვსაც მძიმე სასჯელს უწესებს. ბექას სამართლის 24-ე მუხლში აღნიშნულია: „თუ კაცი მან კაცს სეფე-ქალი წაგვაროს, ორის მსახურის სისხლი დაუშუროს“. იძლევა რა აღნიშნული მუხლის კომენტარს, აკად. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად მიუთითებს, რომ ცდებოდა ნ. ურბნელი, რომელიც ეყარებოდა რა სულხან-საბა ორბელიანის განმარტებას, ფიქრობდა, რომ სეფე-ქალი დიდებულის გასათხოვარ ქალს ნიშნავდა. <sup>2</sup> 24-ე მუხლში დიდებულია გასათხოვარ ქალზე კი არ არის ლაპარაკი, არამედ დიდებულის მოახლეზე, მსახურ ქალზე. ეს იქიდანაც დასტურდება, რომ სეფე-ქალის მოტაცებისათვის გათვალისწინებულია ორი მსახურის სისხლი. ცხადია, სეფე-ქალი რომ დიდებულის ქალი იყოს, მაშინ საზღაურად მსახურის სისხლი კი არ იქნებოდა დაწესებული, არამედ დიდებულის სისხლი მისი გვარისა და ღირსების მიხედვით. ამიტომ შეუძლებელია, რომ დიდებულის გასათხოვარი ქალის სისხლი მსახურის სისხლის კვალობაზე დაეურვათ. სეფე-ქალის მოტაცებისათვის რომ 24-ე მუხლი ორი მსახურის სისხლის ანაზღაურებას ითხოვს, სწორედ იმას ამტკიცებს, რომ სეფე-ქალი დიდებულის ოჯახის მოახლე, მისი მსახური ქალი იყო. სეფე-ქალი რომ მებატონის მოახლეს ნიშნავს, ეს ჩანს ალბულას სამართლის 72-ე მუხლიდანაც, სადაც ნათქვამია: „თუ ვისმე კაცი შეეწყნაროს და თავი დაუწეროს, და მან სეფე-ქალსა ზედან სიძობით შეიწყნაროს, ანუ გლესსა და ანუ გლების ასულსა, წასვლას არას ემართლებიო“. ამ მუხლში ის ახრია გატარებული, რომ, ზუ გლები ან მსახური რომელიმე მებატონეს-



<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკვ. II, გვ. 359.

<sup>2</sup> ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და ალბულა და მათი სამართალი, 1892 წ., გვ. 116, 139—140.

თან მივიდოდა და თავის თავს ყმად დაუწერდა, ხოლო წემდეგ „თავდაწერილი“ თავის ბატონს მოახლეს, „სეფე-ქალს“, ან გლეხის ასულს საცოლედ სთხოვდა და მებატონე ამ თხოვნას შეიწყნარებდა, მას წასვლა აღარ შეეძლო. აქედან ცხადია, რომ „სეფე-ქალი“ მოახლეს ნიშნაეს და არა დიდებულის ქალს. ნათელია, არცერთი დიდებული არ იკადრებდა სიძედ აეყვანა თავისი ყმა-გლეხი ან მსახური. ამრიგად, ნ. ურბნელის მსჯელობა იმის შესახებ, რომ სეფე-ქალის მოტაცების დროს მსუბუქი საზღაური თითქოს იმით აიხსნებოდა, რომ ასეთი წაგვრით მყარდებოდა ცოლ-ქმრობა და სხვა გამოსავალი არ იყო, ტექსტის მცდარ გაგებაზეა დამყარებული.

ბექა-ალბულას სამართალი ორკეც სისხლს აწესებს როგორც გათხოვილი ქალის, ისე დიდებულის მსახური ქალის მოტაცებისთვის. სამართალი მოახლის მოტაცებას ისევე მკაცრად სჯის, როგორც ცოლის მოტაცებას. სეფე-ქალის მოტაცება წარმოადგენს არა ძველი საოჯახო ურთიერთობისა და ქორწინების გადმონაშთს, არამედ ბატონყმური ყოფა-ცხოვრების გამორბატულებას. სეფე-ქალი მებატონის მოახლე იყო, მას ემსახურებოდა, ამიტომ ბატონი დაინტერესებული იყო, რომ იგი ცოლად თავისი ყმისათვის მიეთხოვებინა, რომ ქალი ბატონის სამსახურში დარჩენილიყო. მაგრამ, როცა მებატონე მსახურ ქალზე დაქორწინებისათვის, ანუ „ზედან სიძობით“ შეწყნარებისათვის, კაცს უარს ეუბნებოდა, მაშინ ცოლქმრული ურთიერთობის დამყარების ნხოლოდ ერთი საშუალება რჩებოდა, — სეფე-ქალის მოტაცება.

ბექას სამართლის 27-ე, 45-სა და 47-ე მუხლებში ლაპარაკია გათხოვილი ქალის, სხვისი ცოლის მოტაცებაზე და არა გასაოხოვარი ქალის მოტაცების შესახებ, როგორც ამას ფიქრობდა ნ. ურბნელი. კანონი მკაცრად სჯის გათხოვილი ქალის წამგვრელს, იმის მიუხედავად „წაგვრა“ მოხდა ქალის ნებითა და თანხმობით, თუ ძალმომრეობით. ამრიგად, ზემოაღნიშნული მუხლების მიხედვით, „ცოლის წაგვრა“, გაუთხოვარი ქალის ცოლად შერთვისა და დაქორწინების ფორმა კი არ არის, არამედ ცოლქმრული ურთიერთობის ძალადობით დარღვევაა.

აღათობრივი სამართლის ძლიერი გავლენა ჩანს სამართლის წიგნის, იმ მუხლებში, რომლებიც შეეხება ცოლისა და ქმრის დამოკიდებულებას. კანონი აღიარებს მამაკაცის გაბატონებულ მდგომარეობას. ქალი, მამაკაცთან შედარებით, მეტად შეზღუდულია თავის უფლებებში. მამაკაცს შეეძლო სრულიად უშიზხოდ მიეტოვებინა ცოლი, გაეგდო იგი ოჯახიდან. კანონმდებელი აწესებს მხო-

ლოდ, რომ მამაკაცმა თუ უბრალოდ გააგდოს ცოლი, მას სისხლის ნაწევარი და მისი მზითვეი მისცესო. სისხლის ნაწევარი სახლური იყო, რომელიც მამაკაცს უნდა გადაეხადა ცოლქმრული ურთიერთობის შეწყვეტისა და უდანაშაულო ქალის დაგდებისათვის. უბრალოდ ცოლის გაგდება ძველი ჩვეულების გადმონაშთს წარმოადგენს სამართლის წიგნში. რაც შეეხება ქალს, მას არა აქვს უფლება ქმარი მიატოვოს, ქმარს გაეყაროს, — „ღიაცი მიღმა ქრმისა დაგდებასა არას ემართლება“. თუ ქალს „ღმერთი შერისხდეს მისითა ენაქრტიალობითა, უსირცხნოებითა“ ქმარი დააგდოს. მის ქმარს სრული სისხლი უნდა დაუშუროს გვარის ღირსების მიხედვითო. ამრიგად, დედაკაცმა ორჯერ მეტი ქონებრივი პასუხისმგებლობა უნდა გასწიოს მამაკაცთან შედარებით. მამაკაცის მრუშობის გამო ცოლს არ შეუძლია გაყრა მოითხოვოს. ქალს უფლებაც არ აქვს ქმარს მრუში უწოდოს და, თუ ასეთი რამ წამოსცდება, ენაქარტალა დედაკაცს ქმარი თავისი ოჯახიდან აგდებს. „ყბედი“ დედაკაცის ნათესავეს უფლება არა აქვთ, ქმრისაგან მოითხოვონ სისხლის დაურევება გაყრისათვის. ამრიგად, სამართლის წიგნმა დააკანონა ქალის მეტად შეზღუდული უფლებრივი მდგომარეობა და მამაკაცის ბატონობა მასზე. ამასთან, სამართალი ცოლის დაგდების ძველ ჩვეულებას არ იწონებს, მას უარყოფითად უყურებს, მისთვის სახლურსაც აწესებს, მაგრამ ჩვეულების ცხოველყოფელ ძალას კანონიც ერთგვარად გზას უთმობს.

ძველი საოჯახო წყობილების გადმონაშთია მრავალცოლიანობა. მესხეთში ოჯახი მონოგამიური იყო. მაგრამ ძველი ჩვეულების კვლამაც იჩინა თავი სამართალში. ასეთი ტრადიციის ნაშთს წარმოადგენს, მაგალითად, ე. წ. „ბიკი“ ანუ უკანონო შვილი. ბექას სამართალი აღიარებს ბიკის უფლებრივ მდგომარეობას და მას კანონიერი შვილის უფლებებს ანიჭებს, „ბიკი“ დედას ეკუთვნის, მაგრამ იგი შეიძლება დიდებულს ყმად ჰყავდეს აზნაურის უფლებებში და მისთვის საადგილმამულო ქონებაც ჰქონდეს ნაბოძები. ასეთ შემთხვევაში ბიკს მეორე ღირსების აზნაურის სისხლი აქვს გაჩენილი, 12.000 თეთრი. ბექას სამართლის მიხედვით მხოლოდ დიდებულის უკანონო შვილი ღებულობს კანონიერ აღიარებას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ეს ჩვეულება მხოლოდ ფეოდალური კლასის ზედაფენისათვის არ ითვლებოდა გასაკიცხ და საძრახის ჩვეულებად. „ბიკი“ მრავალცოლიანობის აღათის შორეული ანარეკლია ბექას სამართალში.

ძველად სამცხე-საათაბაგოში ასეთი ჩვეულებაც იყო: კაცი რომ მის მოწინააღმდეგესთან პირისპირ ბრძოლაში გაიმარჯვებდა, დამარცხებული სახლში მიჰყავდა და მის მიმართ დამამცირებელ ზომებს მიმართავდა. ბექას სამართალი კრძალავს ასეთ ჩვეულებას და მიუთითებს, რომ გამარჯვებულს „გამარჯვება ეყოფა“ და დამარცხებულს სახლში ნუ წაიყვანს შესარცხვენად და ნურც ქონებას წაართმევს, წინააღმდეგ შემთხვევაში სისხლის ნახევარი დაუტროს და წაღებული ქონებაც უკლებლივ დაუბრუნოსო. ჩვეულების მიხედვით გამარჯვებული დამარცხებულ კაცს ბოსელში დააბამდა და იქ სასირცხოოდ პურს აქმევდა („ხო სტაგინანსა ცალკერძსა სახლსა შეაყენოს და სასირცხოოდ პური აქამოს“). სამართალი ასეთ ჩვეულებას ადამიანის დამამცირებელ მოქმედებად თვლის და დამნაშავეს სათანადო სასჯელს უწევებს.

ამრიგად, ბექა-აღბუღას სამართალმა არა მარტო დააკანონა დადებითი ადათ-ჩვეულებები, არამედ ამასთან ერთად აკრძალა უარყოფითი და საზოგადოებრივი თვალსაზრისით მიუღებელი ჩვეულებებიც.

საათაბაგოს საოჯახო სანართალი იცნობს ადათობრივი სამართლის ძველ ნსტიტუტს, — წინასაქორწინო საჩუქარს, — რასაც „სანიქარი“ ეწოდება. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით სანიქარი არის ქორწილში შესაწევარი. ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით „სანიქარი“ წინასაქორწინო საჩუქარია, რომელსაც ქალისა და ვაჟის მშობლები მიუძღვნინდნენ სასძლოსა და სასიძოს. ამ საჩუქრის მიცემა ორივე მხარის მოვალეობას წარმოადგენდა. ბექას სამართლის 35-ე მუხლში ნათქვამია: „ქორწილისა სანიქარი ვალია კაცისაგან კაცსა ზედან“ და საზღურავის გამო მისი დაქირვა არ შეიძლებაო. მაშასადამე, სანიქარი სავალდებულო საჩუქარია. იგი ქორწინების აუცილებელ პირობას წარმოადგენს და ამიტომ მისი მიცემა სავალდებულოა. „სანიქარი“ ადათობრივი სამართლის გაღმონაშთია. ძველი ჩვეულების მიხედვით საქმროს, ან მის მშობლებს, საცოლის მშობლებისათვის განსაკუთრებული გამოსასყიდი ფასი უნდა გადაეხადა, რადგან ცოლის შერთვის თავდაპირველი ფოჰმა სყიდია იყო. საათაბაგოს სამართალში ცოლის სყიდვით შერთვის შესახებ არაფერია ნათქვამი, რაც იმას მოწმობს, რომ ეს პერიოდი სამცხეში ოჯახს უკვე დიდი ხანია გავლილი აქვს. „სანიქარი“ შეიძლება სხვადასხვა სახის ყოფილიყო: ძვირფასი ნივთების ჩუქება, საქორწილო ხარჯებში ერთმანეთის შეწევნა და სხვა. საქმროს მიერ მიტანილი სანიქარი თავდაპირველად ცოლის



საკუთრება უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაკი სანიჰარის მიცემა ბექას სამართლის მიხედვით ორივე მხარის მოვალეობას შეადგენდა, ამიტომ ეს საჩუქარი ცოლ-ქმრის საერთო საკუთრებად ითვლებოდა. სანიჰარი, როგორც საჩუქარი, ცოლისა და ქმრის ქონებრივი დამოკიდებულების ობიექტია.

საოჯახო სამართლის მეტად საინტერესო ინსტიტუტი, ეგრეთ წოდებული „საუხუცესო“, ძველი ჩვეულებით განმტკიცებული წესია. „საუხუცესო“ არის უფროსი ვაჟიშვილის ზედმეტი წილი სამემკვიდრეო ქონებაში, რომელიც გაყრისას მას ეძლეოდა წინაპართა პატივისცემისა და სულის მოსახსენებლად. უფროს ძმას ქონების საკუთარ წილს გარდა უფროსობისათვის დამატებითი წილი უნდა მიეღო სამო ქონებიდან. ისე როგორც სხვაგან, ქართულ სამართალშიც მიღებული იყო ძველი ადათობრივი წესი. რომლის მიხედვითაც უფროს ვაჟიშვილს წინაპართა პატივისცემისა და თაყვანისცემისათვის საკირო სამსახური უნდა გაეწია. გარდაცვლილთა სულის მოგონება და მათდამი პატივისცემა უფროსი ძმის მოვალეობას შეადგენდა. საუხუცესო სწორედ ამ მიზნისათვის განკუთვნილი ქონების სამო წილს წარმოადგენდა. დამახასიათებელია, რომ საუხუცესო ბექას არ მიაჩნია მთელი საათაბაგოს საერთო ჩვეულებად. საუხუცესო ყველა ოჯახისათვის სავალდებულო არ იყო. ამას ამტკიცებს 49-ე მუხლის მითითება, რომ ზოგიერთ გვარში ჩვეულება საუხუცესო წილის შესახებ არ არსებობდა („თუ არაოდეს ქმნილა მათსა გვარსა შიგან“). ამრიგად, „საუხუცესო“ ადგილობრივ და საგვარეულო ჩვეულებას წარმოადგენდა. ვახტანგის სამართლის მე-100 მუხლი გაყრის დროს ასხვავებს „საუფროსოს“, „საუმცროსოს“ და „საშუალოს“.

საყურადღებოა, რომ ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის ბოლოში დართული ბაგრატ კურაპალატის სამართლის 153-ე, 154-ე და 155-ე მუხლები „საუხუცესოს“ გვარისა და ღირსების მიხედვით აწესებს. სამართალი ასხვავებს „საუხუცესოს“ წოდებათა მიხედვით, აღნიშნულია დიდებულის, აზნაურისა და გლეხის „საუხუცესო“. თუ დიდებულნი გაიყარნენ, ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ უფროს ძმას უნდა მიეცეს, ხოლო დანარჩენი უძრავი და მოძრავი ქონება თანაბრად გაიყონ, ხოლო შეძენილი ქონება— „მონაგები“—თვითელს თავისი ეკუთვნის.

რაც შეეხება აზნაურთა საუხუცესოს, კანონი მიუთითებს, რომ თუ გლეხიანი აზნაურები გაიყვნენ, უფროს ძმას საუხუცესოდ ერთი გლეხი უნდა მიეცეს, დანარჩენი ქონება თანაბრად უნდა გაიყონ,

ხოლო შეძენილი ქონება—„მონაგები“—თვითეულს თავისი ერგება. შეიძლება, რომ ერთ ძმას მეორის გულისათვის საკუთარი შეძენილი ქონება დაკარგოდა, „დავარდნოდა“; ასეთ შემთხვევაში კანონი ზოითხოვს, რომ მეორე ძმამ მის მიერ შეძენილი ქონება გაუყოს ქონებადაკარგულ ძმას. როცა კანონმდებელი ლაპარაკობს შეძენილი ქონების ანუ „მონაგების“ შესახებ, მას მხედველობაში აქვს დადებულისა და აზნაურის ოჯახი. ვინაიდან შეძენილი ქონება ოჯახის წევრთა პირად საკუთრებას შეადგენდა, ამიტომ დიდებულს, ან აზნაურს, ოჯახის გაყრისას თავისი კუთვნილი მონაგები უნდა წავლო. სამამულო ქონება იმით განსხვავდებოდა მონაგებისაგან, რომ იგი არ წარმოადგენდა ოჯახის წევრთა პირად საკუთრებას და გაყრის შემთხვევაში არ ნაწილდებოდა ძმებს შორის. რაც ნებება გლეხის საუხუცესოს, ამის შესახებ 153-ე მუხლი მიუთითებს, რომ, თუ ძმა გლეხები გაიყარნენ, უფროს ძმას საუხუცესოდ მთავარი საცხოვრებელი სახლი, „თავნი სახლი“, ან ერთი ვენახი, ან „უფროსნი ქურნი“ უნდა მიეცეს, ხოლო რაც სხვა მოძრავი ქონება გააჩნიათ, თანაბრად უნდა გაიყონ ერთმანეთს შორის. ამრიგად, ქართული საოჯახო სამართლის ძველი ადათობრივი ინსტიტუტი—„საუხუცესო“—დაკანონებული იქნა ბექა-ალბულას და ბაგრატ კურაპალატის სამართალში სხვა ძველ საოჯახო ჩვეულებებთან ერთად.

ძველმა ადათობრივმა სამართალმა დიდი გავლენა იქონია სამცხე-საათაბაგოს საპროცესო სამართალზედაც. სასამართლო წყობილებისა და სასამართლო წარმოების ორგანიზაციის შესწავლა ცხადყოფს, რომ ამ დარგში ბექა-ალბულას სამართალმა ფართოდ გამოიყენა ძველი დაუწერელი წესები და ჩვეულებები. „შუაკაცთა“ ინსტიტუტი, რომელიც გვხვდება სამართლის წიგნის მთელ რიგ მუხლებში, ადათობრივი სამართლის ინსტიტუტია. შუაკაცი არის მოდავე მხარეთა მომრიგებელი მოსამართლე, ხოლო შუაკაცთა სასამართლო მედიატორეთა სასამართლოა.

ძველი საგვარეულო ჩვეულებები მკაფიოდ არის გამოხატული სამართლის წიგნის საპროცესო ნორმებში ფიცისა და მოფიცართა ინსტიტუტების სახით, რომლებიც ბექა-ალბულას სამართლის მიხედვით დამამტკიცებელ საბუთთა მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს. ფიცი და მოფიცრობა მთლიანად ძველი ადათობრივი სამართლის ინსტიტუტია. ძველად, როგორც სხვაგან, ისე საქართველოშიც, მოფიცრის როლში, ჩვეულებრივად, ნათესავები ან სახლის კაცები გამოდიოდნენ. მოფიცრობა დაზარალებულისა ან მოპასუხისათვის მის ნათესავს ან ახლო მეზობელს უნდა გაეწია.

იგი საგვარეულო მოვალეობას შეადგენდა. გვარისეული მოფიცარი ამტკიცებდა და ფიცით უწევებდა, რომ ის მთავრად, რომლის თავდებ-მოფიცარადაც ის გამოდიოდა, სანდო და პატიოსანი კაცი იყო. ბექა-ალბულას სამართალში მოფიცრობა მრავალი სხვადასხვა ხასიათის საქმეებში არის გამოყენებული. ამ დამაჩუქიციებელ საბუთს ნიჟად ფართო გავრცელება აქვს საათაბაგოში: „მრავალგვარანი ასეთნი საქმენი არიან, ზოგსა საქმესა შიგან რომელნიმე დასახელებულნი მოფიცარნი უნდან, რომე ბქეთა შეუსახნენ, და ზოგსა—დაუსახელებულნი. და ბქეთაგან კარგა გამონახვა უნდა“ (მუხ. 4). მაშასადაე, სასამართლო საქმის განხალვისათვის საქიროა მოდავე მხარეების მიერ წარმოდგენილნი იქნენ „დასახელებული“ ან „დაუსახელებელი“ მოფიცროები. მოფიცრობის პირველი ფორმა დაუსახელებელი მოფიცრობაა. (საპროცესო სამართალი. როცა თავისი განვითარების პირველ საფეხურზე მხარეთა კერძო ინტერესებზე იყო დაფუძნებული, მაშინ ბრალდებულს ან დანარალებულს მისი გვარისეული ნათესავი უწევდა მოფიცრობას და მას „დაუსახელებელი მოფიცარი“ ეწოდებოდა. როცა სასამართლო წარმოება განვითარდა, მძიმე ხასიათის დანაშაულთა გამოსაქირო გახდა მოფიცართა „დასახელება“, ე. ი. კერძო, გარეშე პირთა მოწვევა სასამართლო პროცესზე მოწმე-მოფიცრის სახით. ბექას სამართლიდან ჩანს, რომ მოფიცართა დასახელება და რაოდენობა საქმის სიმძიმეზე იყო დაპოკიდებული: „თუ მძიმე ალაფი იყოს, მძიმეცა ფიცი უნდა; ფიცსა შიგა დასახელებული და დაუსახელებლები მოფიცართა წესია“ (37), ე. ი. თუ მძიმე დანაშაულია ჩადენილი, მოფიცართა რიცხვი დიდი უნდა იყოს.

ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ბექა-ალბულას სამართლის რუსული გამოცემის მე-5 მუხლის შენიშვნაში მიუთითებდა, რომ „დასახელებული“ და „დაუსახელებელი“ მოფიცარი იგივე მედიატორეზი იყვნენო. როგორც სამართლიანად შენიშნავს ნ. ურბნელი, სიტყვა მედიატორე ქართულად შუაკაცს ნიშნავს. შუაკაცი კი ბექა-ალბულას სამართლის მიხედვით მოსამართლე-მსაჯულია, ხოლო დასახელებული და დაუსახელებელი მოფიცარნი კი მოწმეები არიან. დაუსახელებელი მოფიცარი გვარისეული მოფიცარია, ხოლო დასახელებული—გარეშე, უცხო მოფიცარი. მოფიცართა დასახელება იმ შემთხვევაში ხდებოდა, როცა საქმე მძიმე ხასიათს

ატარებდა და როცა საქმის გარემოების დადგენისათვის გარეშე პირი იყო საჭირო.

ქურდობის შემთხვევაში მოპასუხემ მომჩივანს უნდა „შეფიცოს ორი თა უმტეროთა კაცითა“. მოფიცარი ისეთი კაცი უნდა იყოს, რომელსაც მოდავე მხარესთან რაიმე მტრობა და სამდღურავი არ აქვს. ის მიუხეობელი და მიუდგომელი უნდა იყოს. სამართლის წიგნის მითითება „აფიცოს საქონლის პატრონმან“, იმას გულისხმობს, რომ ფიცის მიღება თვით მომჩივანმა მხარემ უნდა დააკისროს მოპასუხეს, ზოგჯერ კი სასამართლო წყვეტდა, ვის უნდა მიეღო ფიცი. ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით ფიცის მიღება ეკისრებოდა ხან მომჩივანს და ხან მოპასუხეს. ზოგჯერ საქმის ხასიათის მიხედვით ფიცი მხოლოდ მოპასუხეს, ან მხოლოდ მომჩივან-დაზარალებულს უნდა ეტვირთა, ხოლო, როცა არც მომჩივანს და არც მოპასუხეს საკმაო საბუთი არ ჰქონდა, მაშინ, თუ ერთპავერ შეფიცოს, მეორემ დაიფიცოსო, ნათქვამია სამართლის წიგნში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ბექას სამართლის „დასახელებული და დაუსახელებელი მოფიცარნი“, იგივეა, რაც ვახტანგ ნეფის სამართლის წიგნის მე-11 მუხლში აღნიშნული „შეგდებული და შეუგდებელი მოფიცარი“. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს, „შეგდება კაცსა სულზედ ფიცით მიანდოს“ ნიშნავსო; „შევაგდე სულსა და ნამუსზედ მივანდევო“. მაშასადამე, „შეგდება“ სულზედ, სვინდისზედ ფიცით მინდობაა. „შეგდებული მოფიცარი“ სულზედ ფიცით მინდობილი მოფიცარია. ის კარძო პირია, გარეშე კაცია, რომელიც დასახელებულია მომჩივანი ნებარის მიერ, ამიტომ მან, დადგენილი წესის მიხედვით, ხატის წინაშე ფიცი უნდა მიიღოს, რომ იგი ყოველივე მართალს იტყვის და დაადასტურებს, მოპასუხე მართალი და პატიოსანი კაციაო. „შეგდებული მოფიცარი“ ღვთის მოშიში და სულის პატივისმცემელი უნდა იყოს. „შეგდებული მოფიცარი“ მოპასუხისათვის საველდებულ მოფიცარია, როცა მას „მთხრობლით“ ანუ ბოროტმოქმედების მოამბე კაცით ეღება ბრალი დანაშაულში. შეგდებული მოფიცარი „უმტერ-უმოყურო“, ე. ი. გარეშე, არადანტერესებული კაცი უნდა იყოს. ასეთივე იყო ბექას „დასახელებული მოფიცარიც“. ვახტანგის სამართლის „შეუგდებელი მოფიცარი“ უფიცრად ერთ-ერთი მოდავე მხარის ფაცის დასტურის მიმცემია. იგივე იყო ბექას „დაუსახელებელი მოფიცარი“, რომელსაც მოპასუხე ირჩევდა. ის მოპასუხის ნათესავი, მეზობელი ან ახლო კაცი იყო, ამიტომ მის ჩვენებას სამარ-



ლაპარაკია 114-ე მუხლში, რომლის მიხედვით, თუ ვინმე თავისი პატრონის უკითხავად გატეხა და გაქურდაც მტრულ განწყობილებაში მყოფი კაცის ეკლესიას, დამნაშავეის პატრონმა თორმეტი კაცით უნდა დაიფიცოს („პატრონმან უცოდნელობა ფიცოს თორმეტითა კაცითა“), რომ ჩადენილი დანაშაულის შესახებ წინასწარ არაფერი ვიცოდაო. მოუციართა რაოდენობის თორმეტი კაცით განსაზღვრა ამ შემთხვევაში სრულ ფიცს უნდა უდრიდეს.

რაც შეეხება საკუთრივ ბექა-აღბულას სამართალს, მასში მოციართა რაოდენობა განსაზღვრული არ არის, გარდა ერთი შემთხვევისა, რომელიც გათვალისწინებულია ბექას სამართლის 27-ე მუხლში. სხვის ცოლთან „აშიყობისათვის“ თავის გასამართლებლად კანონი აწესებს ბრალდებულისა და ერთი ახნაურიშვილის ფიცს („თავის სამართლებლად სჯობს ფიცოს უქნელობა თავითა და ერთითა ახნაურშვილითა“). მაგრამ მოციართა ეს ოდენობა მხოლოდ ერთ კონკრეტულსა და მცირემნიშვნელოვან ბრალდებას შეეხება, რაც არ გამოდგება მოციართა რაოდენობის განსაზღვრისათვის. ბექა-აღბულას სამართალი იყენებს ფიცსა და მოციარებს სისხლის სამართლის მთელი რიგი მნიშვნელოვანი ხასიათის საქმეების გამო. ციხესა და სახლ-კარზე თავდასხმის შემთხვევაში დაზარალებულმა ფიცით უნდა უჩვენოს მიყენებული ზიანისა და გატაცებული ქონების ოდენობა („მემამულემან ფიცით გამოიჩინოს“). თუ თავდასხმის დროს ორთავე მხარე არბედა ერთმანეთს, მაშინ ორივე მხარემ უნდა დაიფიცოს („თუ ორთავე სწორად ერბიოს, თავისათვის დაიფიცონო“). თუ ვინმე პირუტყვს, ან რომელიმე ნივთს მოიპარავს და ნაქურდალი ხელზე არ აღმოაჩნდება, დაზარალებულს ორკეცად უნდა აუნაზღაუროს ის ქონება, რასაც პატრონი დაიფიცებს („აფიცოს საქონლის პატრონმან, როგორცა დაიფიცოს, იგი მისცეს და ერთი ეზომი სხვა“). ქურდობის შემთხვევაში თუ ნივთის პატრონი განაცხადებს, რომ ამ ნივთთან ერთად სხვა რამეც დამეკარგაო. მაგრამ ბრალდებული აპას უარყოფს, იგი ვალდებულია ფიცით იმართლოს თავი („შეფიცოს ორითა უმტეროთა კაცითა“). პატრონისაგან მოწყალების მიღებაში თუ ვინმე სხვას შეეწყვა, ვაისარჯება და ამისათვის უძრავი ან მოძრავი ქონების სახით გასამრჯელოს მიიღებს, თავი ფიცით უნდა იმართლოს, რომ გასამრჯელო ტყუილ-უბრალოდ და უწესოდ არ მიუღია. ამ შემთხვევისათვის ფიცი წარმოადგენს თავის მართლების აუცილებელ წესს („ფიცი უღონიოდ წესია ამისი“). მაგრამ, თუ ბრალდებული ფიცით

თავს ვერ იმართლებს, მიღებული გასამრჯელო პატრონს უნდა დაუბრუნოს.

კანონმდებლის მითითება „ფიცი ულონიოდ წესია ამი-სიო“ რუსულ თარგმანში სრულიად დამახინჯებულია. მთარგმნელს ვერ გაუგია ამ ფრაზის აზრი და მნიშვნელობა და რუსულად ასე უთარგმნია: „Присяга оныхъковенно полагается в случае недостатка доказательств“. ამრიგად, რუსული თარგმანის მიხედვით გამოდის, თითქოს კანონმდებელს მხედველობაში ჰქონდეს ფიცის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მტკიცების სხვა საბუთები არ არსებობს. ისტორიკოს დიმიტრი ბაქრაძესაც გამოჰჩენია მხედველობიდან ქართული ტექსტის აზრი და ამ მუხლის რუსული თარგმანის შენიშვნაში მიუთითებს, რომ „თითქმის იგივე აზრია გამოხატული ვახტანგის სამართლის მე-10 მუხლში, რომლითაც მოსამართლეებს ევალებათ გარდა აუცილებელი შემთხვევისა, არ მიმართონ ფიცსო“<sup>1</sup>.

ფიცი და პოფიცრები გამოყენებული არიან აგრეთვე სხვა საქმეების განხილვის შემთხვევებშიც. მაგრამ ზემოაღნიშნული მაგალითებიც საკმარისია, რათა ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ რამდენად ვრცლად გამოიყენა სამართლის წიგნმა საპროცესო სამართლის დარგში ადათობრივი სამართლის ინსტიტუტები. ამრიგად, ჩვენ დავიწახეთ, რომ ბექა-აღბულას სამართალმა ფართოდ ისარგებლა სისხლის, სამოქალაქო, საოჯახო და საპროცესო სამართლის დარგში ძველი ჩვეულებითი სამართლის ნორმებით. ამიტომ სრულიად საპართლიანად შეიძლება ითქვას, რომ სამართლის წიგნის ძირითად წყაროს ადათობრივი სამართალი შეადგენს.

## 2. კანონმდებლობა.

ბექასა და აღბულას სამართლის მეორე მნიშვნელოვან წყაროს კანონი წარმოადგენს. ჩვენთვის უცნობია, თუ რა საკანონმდებლო მასალით ხელმძღვანელობდნენ ბექა და აღბულა. ამიტომ უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ მცირედი და არაპირდაპირი ცნობებით, რომლებიც მოცემულია სამართლის წიგნში. ბექას სამართლის წინასიტყვაობიდან ჩანს, რომ აღბულას საკანონმდებლო კრებაზე მოუწვევია სამცხე-საათაბაგოს მღვდელთმთავარი, მაწყვერელი, თავისი ბიძა-ძე მაშია და მისი ძმა, საფარის მოძღვარი პაფნუტი და სამცხე-საათაბაგოს „ეპისკოპოზნი და მეუღაბნოენი“. უმეველია, საკანონმდებლო კრებაზე მოწვეული იქნებოდნენ აგრეთვე წარჩინებულნი და უფროსი მოხელენიც. აღნიშ-

<sup>1</sup> Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887, стр. 115.

ნულ კრებაზე, ამბობს აღბულა, განვიხილეთ „პატრონისა პაპის-ჩემისა, მანდატურთუხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრევე სრულობით და უკლებლად დავსწერეთ“, და, რაც დანაშაულობანი წარმოშობილიყო, „მათი სამართალიც ზედა დაურთეთ“ ბექას კანონებსო; ხოლო რაც შეეხება აწყურისა და საფარის კანონმდებლობას, ის არც გიორგი ბრწყინვალეს გაუუქმებია და ჩვენც ასევე ძალაში დავტოვეთო. წინასიტყვაობაში აღნიშნულია, რომ ბექას დროს ფულის ერთეულად მიღებული იყო „ყაზანური თეთრი“, რომელიც ეხლა ხმარებიდან გამოსულია და ამიტომ ჩვენ გიორგი ბრწყინვალის „თეთრი“ ძალაში დავტოვეთო.

საკუთრივ თავისი სამართლის წიგნის წინასიტყვაობაში აღბულა აღნიშნავს, რომ „საბატოთა კაცთა, მას წინაშე სხდომითა და ბჭობითა, საპარო-საინჯუთა და მეკობრის საპატიუოსა განაჩენნი ძველისავე მიაყოლეს და ესრეთ გააჩინესო“, ე. ი. საპატიო კაცთა რჩევითა და ბჭობით ქურდობისა და მეკობრეობის შესახებ წინათ არსებულ სასჯელებს დავუმატეთ ახალი კანონები და ასე დავადგინეთო. აწყურისა და საფარის კანონმდებლობა, რომელსაც იხსენიებს აღბულა ბექას სამართლის წინასიტყვაობაში, ჩვენთვის უცნობია. შესაძლებელია, ამ საკანონმდებლო მასალოთ ისარგებლა ბექამ თავისი წიგნის შედგენის დროს და შეიტანა მასში სათანადო მუხლების სახით. აღბულას მითითება, რომ აღნიშნული კანონმდებლობა „ჩვენ განალამცა ეგრეთვე დავამტკიცეთო“, შეიძლება გულისხმობდეს მის ძალაში დატოვებას იმ სახით, როგორც ის ბექას სამართალში იყო მოცემული. ყოველ შემთხვევაში, აწყურისა და საფარის კანონმდებლობას დამოუკიდებელი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია და ძნელია იმის მტკიცება, თუ რამდენად გამოიყენა აღნიშნული საკანონმდებლო მასალა ბექამ თავის სამართლის წიგნში. შესაძლებელია, მას ხელთ ჰქონდა აგრეთვე ძველი ქართული კანონმდებლობის სხვა ძეგლებიც.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის შემდეგ, რომელიც ბექა-აღბულას სამართლის ბოლოშია დართული, ქართული საერო სამართლის უძველეს ძეგლად ბექას სამართალი ითვლება. ამასთან, ექვს გარეშეა, რომ ბექამ თავისი სამართლის წიგნის შესადგენად გამოიყენა იმ დროს ცნობილი და ნისტვის ხელმისაწვდომი ქართული კანონმდებლობა, რადგან კანონთა გულდასმითი შესწავლის დროს ცხადი ხდება, რომ სამართლის წიგნის ერთ-ერთ წყაროს კანონი წარმოადგენს. ამ აზრის სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს ის ორიოდე ცნობა, რომელიც შემონახულია სამართლის წიგნის 62-ე და 77-ე მუხლებ-



ში. 62-ე მუხლი ქურდობის სასჯელს ითვალისწინებს და მიუთითებს — ნაპარევისა პირველ ასრე გაჩენილა და ასრე იქნასო“. „პირველ ასრე გაჩენილა“ სწორედ იმას გულისხმობს, რომ კანონები, რომლებიც ქურდობისათვის სასჯელებს ითვალისწინებდნენ, ჯერ კიდევ ბექას სამართლის შედგენამდე იყო ცნობილი. აღბუღას სამართლის 77-ე მუხლში ნათქვამია, რომ მკვიდრი ყმის მიმართ სარჩელის ხანდაზმულობა „პირველივე დაწესებულ ოცდაათი წელი არის შეკვეთილიო“. 30-წლიანი ხანდაზმულობა აღნიშნულია ექვთიმე მთაწმიდლის „მცირე სჯულის კანონის“ § 27-ში. ამასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ ასეთი ხანდაზმულობის დებულება უნდა ყოფილიყო საქართველოში IX—XIII საუკუნეებში<sup>1</sup>. ცნობა ძველი კანონმდებლობის არსებობის შესახებ შემონახულია „ძეგლის დებაშიც“. სამართლის წიგნის უკანასკნელ მუხლში ვალის ხელშეკრულების შესახებ ნათქვამია, რომ სესხზე პროცენტის აღება ქართული სამართლის მიხედვით უწესო და უმართებულო არისო — „სარგებელი არც ქართველთ სჯულთა სძესთ წესად, რომე აიღონო“.

ბექა-აღბუღას კანონმდებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს შეადგენს ბაგრატ კურაპალატის სამართალი, რომელიც XI საუკუნის ძეგლია და, როგორც აღენიშნეთ, შეცდომით დართულია ბექა აღბუღას კანონების ბოლოში (მუხ. 99—160). ამ კანონების გავლენა ემჩნევა ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს. მთელი რიგი ინსტიტუტები ბექას სამართალში ამ ძეგლიდან არის შესული, რაც ჩანს ამ ორი ძეგლის შესაბამისი მუხლების შედარებიდან. ბექას სამართლის მე-5 და მე-6 მუხლები — განსაზღვრავენ გერშისა და კრილობის საზღაურს. ამ მუხლების წყაროს ბაგრატ კურაპალატის სამართალი შეადგენს, სადაც ნათქვამია: „წაპარვითა თუალისა ცურა, ხელ-ფერჯისა დაგერშა, პირისა დალი, — ესე სამი სისხლისა ნახევარი არს“ (მუხ. 124); „თუ უჩინარსა ადგილსა იყოს, მას გერში მართებს“ (მუხ. 125). ბექას სამართლის მე-8 მუხლში აღნიშნულია კბილის ჩაგდებინებისათვის განსაზღვრული სისხლის ოდენობა. ამავე საგანს ეხება ბაგრატ კურაპალატის სამართლის სათანადო მუხლებიც: „თუ კაცმან კაცსა წინა კბილი ჩააგდებინოს, ნახევარი სისხლი დაუურვოს“ (მუხ. 142); „თუ უკუანა ჩააგდებინოს, სისხლის ნეხუთედი

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვეთი მეორე, 33-404.

დაუტრვოს“ (143). ბექას სამართლის მე-12 მუხლი ადგენს, რომ თავდასხმელის მოკვლისათვის სისხლი და გერში არ არის, ეს მუხლი ბაგრატ კურაპალატის სამართლიდან არის ამოღებული, სადაც ნათქვამია: „მეკობრისა და ზედა დამსხმელისა სისხლი არა არს“ (მუხ. 138). ბექას სამართლის მე-16 მუხლი ხუცისა და მონაზონის მკვლელობის სისხლს ორკეცი რაოდენობით აწესებს. ბაგრატ კურაპალატის სამართლის 122-ე მუხლში ნათქვამია, რომ „მონაზონთა, ხუცესთა და დიაკონთა ნაძარცვ ორკეცია“ და სისხლიც ასევე დაუტრვონო. უბრალოდ ცოლის დაგდებისათვის ბექას სამართლის 29-ე მუხლი ქმარს ნახევარი სისხლის დაურევებას აკისრებს. ბაგრატ კურაპალატის სამართლის 140-ე მუხლის მიხედვითაც, თუ ქმარი ცოლს უდანაშაულოდ გააგდებს, ვალდებულია „ნახევარი სისხლი დაუტრვოს“. ბექას სამართლის მე-40 მუხლში გათვალისწინებულია უდანაშაულო კაცის ცილისწამებლური დასმენა პატრონის წინაშე—„პატრონსა წინა შეასმინოს“. ამ მუხლის რედაქცია მომდინარეობს ბაგრატ კურაპალატის სამართლიდან, რომლის 132-ე მუხლში ნათქვამია: „თუ უსამართლოდ პატრონსა წინა შეასმინოს, სრული სისხლი“ გადაიხადოს დამნაშავემ დაზარალებულის სასარგებლოდ.

ბექას სამართლის 35-ე მუხლის თანახმად, თუ გლეხი ან აზნაური სხვა აზნაურს გაძარცვავს, ბოროტმოქმედთა პატრონი ვალდებულია გამოესარჩლოს და ყურადღება მიაქციოს დაზარალებულს. მაგრამ, თუ დაზარალებულის საჩივარს არ მოისმენს და არ შეიწყნარებს, ვალდებულია პასუხი აგოს სასამართლოს წინაშე: „თუ მან გლეხისა პატრონმან არ გაუვლინოს და არცარა უსაბიოს“, როცა სასამართლოში წარსდგებიან, პატრონმა დაზარალებულს სრულად უნდა დაუტრვოს. აღნიშნული მუხლი წარმოადგენს რედაქციას ბაგრატ კურაპალატის 137-ე მუხლისას, რომელიც გამოიყენა სჯულმდებელმა ბექამ და საფუძვლად დაუდვა თავისი სამართლის შესაბამის მუხლს. 137-ე მუხლში ნათქვამია, რომ, თუ კაცმა კაცს რაინე ნიეთი მოსტაცოს, „პატრონსა მისსა გავლენა მართებს; თუ არა შეაქციევიოს არა გაუვლინოს“, მთელი პასუხისმგებლობა დამნაშავის პატრონს ეკისრებაო.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის 157-ე და 158-ე მუხლები საფუძვლად დაედო აღბუღას სამართლის 72-ე და 73-ე მუხლებს. 157-ე მუხლში ნათქვამია: „სიძისა შვილებულისა ასრე იცოდეთ: თუ წიგნითა შესრულ იყვენენ, მამული დაეწეროს“. იგივე აზრია გამოხატული აღბუღას სამართლის 72-ე მუხლში: „იუ ვისმე კაცი-

შეეწყნაროს და თავი დაუწეროს. და მან სეფე ქალსა ზედან სიძობით შეიწყნაროს, ანუ გლესსა და ანუ გლეხისა ასულსა, წას ვლას არას ემართლებსო“. ორივე შექთხვევაში ლაპარაკია შვილობილ სიძეზე, რომელიც „წიგნით შესრულა“ ანუ „თავი დაუწერია“ ბატონთან. ბაგრატ კურაპალატის სამართლის 158-ე მუხლი ადგენს: „თუ უწიგნოდ შესრულიყვნენ, შეტანილი და პირნახული გაჰყვეს და შესმულ შექმული არა იქსენოსო“. ანალოგიურ დებულებას შეიცავს აღბუღას სამართლის 73-ე მუხლი, სადაც აღნიშნულია: „თუ თავ-დაუწერელმან კაცმან შეირთოს ცოლი, არცა გლესსა ზედა ვის შეესიძოს და არცა სეფე ქალსა -ვისცა იგი კაცი მართებს მკვიდრად, მისი ცოლი და შვილიცა მას მართებენ, და რითაცა შემოსრულა, ვგრეთცა წაიყვანოს და წავიდეს“. ორივე მუხლში ლაპარაკია „უწიგნოდ შესრულ“ ანუ „თავ-დაუწერელ“ ყმაზე, რომელიც „წიგნით შესრული“ ანუ „თავ-დაწერილი“ ყმისაგან განსხვავდება თავისი უფლებრივი მდგომარეობით. ცხადი უნდა იყოს, რომ სჯულმდებელი აღბუღა ამ შემთხვევაშიც სარგებლობს ბაგრატ კურაპალატის სამართლით, რომელიც XI საუკუნის საკანონმდებლო ძეგლია და, როგორც დაინახეთ, შეადგენს ბექა-აღბუღას სამართლის ერთ-ერთ წყაროს. ანალოგიური ხასიათის პარალელები გვხვდება სამართლის ამ ორი წიგნის ზოგიერთ სხვა მუხლებშიც.

ამრიგად, სჯულმდებლებმა ბექამ და აღბუღამ სხვა საკანონმდებლო მასალასთან ერთად გამოიყენეს ბაგრატ კურაპალატის სამართლის ნორმათა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ეპოქისა და სამცხე-საათაბაგოს საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების შესაბამისად სათანადო რედაქციაში მოიყვანეს და შეიტანეს თავიანთ კანონებში.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი XIII საუკუნის დასასრულს ან XIV საუკუნის დასაწყისის საკანონმდებლო ძეგლს წარმოადგენს. უეჭველია, რომ სამართლის წიგნი გავლენას იქონიებდა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობაზე და ეს ასეც მოხდა. ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის გავლენა ჩანს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაში“, აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარისა და განსაკუთრებით ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში.

„ძეგლის დება“ ბექას სამართლის წიგნის შემდგომი საკანონმდებლო ძეგლია (1325—1338). იგი წარმოადგენს ადგილობრივი მნიშვნელობის კანონებს, რომლებიც სპეციალურად შედგენილი იყო ქართლის მთიანეთის მცხოვრებთათვის, ქსნისა და არაგვის ხეობის

მოსახლეობისათვის. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით<sup>1</sup>, „ძეგლის დების“ სამოქმედო ასპარეზის სამხრეთას საზღვრად არანისი; ხოლო ჩრდილოეთის საზღვრად დარიალი უნდა ჩაითვალოს. ამ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა თავისი კულტურული დონითა და ზნეჩვეულებებით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა ბექას პერიოდის სანცხის მკვიდრთაგან. სამცხე საქართველოს განვითარებულ კუთხეს წარმოადგენდა. ამასთან, თუ მხედველობაში მივიღებთ „ძეგლის დების“ ლოკალურ მნიშვნელობას, თითქოს აღარ უნდა იყოს საფუძველი იმისათვის, რომ ვამტკიცოთ ბექას კანონების გავლენა „ძეგლის დებაზე“. სინამდვილეში კი „ძეგლის დების“ გულდასმით შესწავლა ცხადყოფს, რომ ბექას სამართალი მის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენდა. შედარებისათვის, რომ უფრო თვალსაჩინო იყოს, ჩვენ მოვიყვანთ რამდენიმე პარალელს აღნიშნული ძეგლებიდან.

### ბექას სამართალი

### ძეგლის დება

- მუხ. 5. „გერშისა ასრე იქნას... მუხ. 32. „გერშის საქმე ასრე თუ პირსა ნაკრავი იყოს და ესრე იქნას. ვისაც პირსა ზედა გერში აჩნდეს, ათასხუთასი თეთრი დაუურვოს“. აჩნდეს., სისხლის მეხუთედი დაუურვოს“.
- „ველი თუ ანუ ფევი ნოეკუეთოს, ანუ ერთობ დაუშავდეს, სისხლის მესამედი დაუურვოს“.
33. „მარჯუენა ველი ვისაც მოეკუეთოს ანუ დაუშავდეს., სისხლის მესამედი დაიურვოს“.
- „თუ ველის თითი მოეკუეთოს, ველის გერშის მეხუთედი დაუურვოს. თუ ორნი მოეკუეთენეს თუ რა-ზომნიცა, ამავე წესითა დაუურვონ.“
37. „... და სხუა რომელიც თითი მოეკუეთოს და ანუ დაუშავდეს, ველის მესამედი სისხლი დაუურვოს“.
- მუხ. 6. „თუ ესეთი რამე დაეკოდოს, რომე არ დაუშავდეს და აჩნდეს., დაუურვებინონ, ვითარცა მართებდეს“.
32. „... თუ გერში სად საჩინოდ იყოს, ასრე რომე არ დაუშავდებოდეს და აჩნდეს“., ამდენი დაუურვოსო.
- მუხ. 8. „თუ კაცმან კაცს წინა ანუ უკანა კბილი შთააგდებინოს, ერთის თითის ოდენი გერში დაუურვოს“.
39. „კაცმან თუ კაცს კბილი ჩააგდებინოს, ოთხთა ზემოთ წინათ, ოთხთა ქვემოთ, საჩინოთა კბილთა ჩაყრევინებისათვის

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვეთი მეორე. გვ. 404.

მუხ. 12. „ზედა-დამსხმელისადა სისხლი და გერში არ არის. თუ კიდევ იგივე მოკვდეს, რომელსა დაესხა, ორკეცი სისხლი დაუურვოს“...

მუხ. 15. „ასაბია თუ მოკვდეს, ასრე იქნას: რომლისაცა ასაბია იყოს, მან უზლოს სისხლი და გერშიცა“.

მუხ. 16. „შუა-მისრულისა კაცისა ასრე იქნას: მონოზნისა და დიაცისა, ხუცისა თუ შუად მოსრული იყოს, და ესეთი რომელი მოკვდეს, ორკეცი სისხლი დაუურვოს, რისაც გვარისა იყოს. და თუ მეომარი ყოფილიყოს, მაზთლითა მოწმითა გამოჩნდეს, გარდაცდეს ასრე, ვითა ძაღლის ყუფა“.

მუხ. 22. „თუ ძმამან ძმა მოკლას... ამა სოფელს ძლივლა ინახვის კაცთაგან... ქედთა გარეთ ყოფა და გარდახვეწა“.

მუხ. 29. „თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, სისხლის ნახევარი მისცეს“.

მუხ. 39. „თუ კაცმან კაცს ჯვარგაცვლილი საცოლე წაჰგვაროს, სამღურავისა კიდე დასაურვებლად არას ემართლების“.

მუხ. 46. „თუ კაცმან კაცს ცოლი წაჰგვაროს.., რასაცა გვარისა იყოს, მისითა წესითა სისხლი ორნაწილი დაუურვოს ქმარსა“...

თუითოს კბილისათვის“.., ამდენი დაუურვოსო.

44. „მეკობრე რაზომიცა მოკლან, სისხლი გაუცუდდეს ყველასი.. და საქონლის პატრონი თუ მოკლას, სისხლი სრული დაუურვონ“.

41. „ვისიც ასაბია ყოფილა, მათი საქმე ასრე იქნას: თუ ერთმანეთის ასაბიანი იყუნენ ... და ესრეთ ვასაბიოს, სისხლის დაურვება მის გუარსა ზედა“.

26. „შუად მონაზონი ანუ მწირუელი ხუცესი ანუ დიაცი მივიდეს, ესრეთ რომ აბჯარი არა ჰქონდეს, და ასეთი მოკლან, ვინც მოკლას, ორკეცი სისხლი დაიურვოს მისსა გუარსა ზედა. და თუ დიაცი მეომრად იყოს და აბჯარი ჰქონდეს და მოკუდეს, გაუცუდდეს მის დიაცის სისხლი“.

17. „ვისაც ღმერთი შერისხდეს და ძმამ ძმა მოკლას, იგი მკულელი მამულიდამ გაიძოს და მამულისა გამგებელს შემოეხვეწოს“.

21. „კაცმან თუ ცოლი დააგდოს უბრალოდ... ნახევარი სისხლი დაუურვოს“.

ამავე შინაარსის არის 25-ე მუხლიც.

24. „კაცმან თუ ჯუარგაცვლილი ცოლი წაჰგუაროს, სისხლის მიეჭუსედი დაიურვოს მათსა გუარსა ზედა“.

22. „კაცმან თუ კაცსა ცოლი წაართუას... ნახევარი სისხლის დაურვება მართებს მათს გუარსა ზედა ცოლის წაგურისათვის“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ს. კაკაბაძე, ძეგლის დადება გიორგი ბრწყინვალის მიერ, 1913 წ.

ანალოგიურ შემთხვევებს ითვალისწინებდა ბექას სამართლის 27-ე და 47-ე და „ძეგლის დების“ 26-ე და 37-ე მუხლები. ბექას სამართლის 62-ე, 63-ე და 65-ე მუხლებით ქურდობისათვის გათვალისწინებული სასჯელი სათანადო რედაქციითა და შემოკლებით აღნიშნულია „ძეგლის დების“ 44-ესა და 45-ე მუხლებში. ამრიგად, ბექას კანონებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა „ძეგლის დებაზე“. ბექას კანონების გავლენა ეძინევა საკუთრივ აღბუღას სამართალსაც. და ეს სავესებით ბუნებრივია, რადგან ბექასა და აღბუღას სამართალს წიგნები ერთ საკანონმდებლო ძეგლად არის ჩვენამდე მოღწეული.

საინტერესოა, რა გავლენა იქონია თავის მხრივ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაზე“ მისი მომდევნო პერიოდის კანონმდებლობაზე, საკუთრივ აღბუღას სამართლის წიგნზე. „ძეგლის დების“ უკანასკნელ 46-ე მუხლში ნათქვამია: „ვალის საქმე ასრე გავაჩინეთ: სარგებელი არც ქართველთ სჯულთ სძესთ წესად, რომე აიღოს, და არც სხუათა სჯულთა უწერია; და სარგებელი არის უწესო და, თუ რადმე მიმცემი კაცი ასრე ავი იყოს, რომე სარგებელი აიღოს, რა გინდა რა ხანი გამოსულიყოს, ათსა თეთრსა ზედან ორი თეთრი მიეცეს, რაზომი დიდი ხანი დაეყოს. ამის მეტს ნურას მისცემს და არც სამართალია მისაცემლად. და, თუ დია რათმე ავი კაცი არ არის, არცა მისი აღება მართებს. სამართალი ესრეთ ყონ ყოველთა!“. ზემოაღნიშნული მუხლი წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების საკითხზე ჩვენამდე მოღწეულ უძველეს კანონს. კანონმდებლის მითითებიდან ჩანს, რომ სესხისა და ვალის შესახებ წინათაც არსებულა საქართველოში კანონმდებლობა, მაგრამ ის ჩვენთვის უცნობია და არც ზემოაღნიშნული მუხლი იძლევა რაიმე განმარტებას მათი შინაარსის შესახებ.

ფეოდალური სამართლის ძეგლები კრძალავდნენ ზედმეტი სარგებლის აღებას, მაგრამ კანონმდებლობა სინამდვილისთან ბრძოლაში უძლური აღმოჩნდა. მონათმფლობელური, ფეოდალური და ბურჟუაზიული წყობილების პირობებში „ვახში“ ექსპლოატაციის „კანონიერი“ სახელშეკრულებო ფორმაა. კანონები მევახშეობის შესახებ წარმოიშვნენ ჯერ კიდევ უძველეს დროში. ვალის ხელშეკრულება ვალდებულებითი სამართლის უძველესი სახეა. მის წარმოშობასთან ერთად გაჩნდა „მევახშეობის კანონები, რომელთა მიზანი მხოლოდ პროცენტის ნორმის შეზღუდვაა და რომელიც ახლა ყველგან გაუქმებულია, იმიტომ რომ პრაქტიკაში ყოველთვის არღვევდნენ ან გვერდს უვლიდნენ და

1 ს. კ ა კ ბ ა ძ ე, ძეგლის დაღება გიორგი ბრწყინვალის მიერ, 1913 წ., გვ. 16.

სახელმწიფოც იძულებული იყო საზოგადოებრივი წარმოების კანონების მიმართ თავისი უძლურება აღეარებინა<sup>1</sup>.

„ძეგლის დების“ ზემოთ მოყვანილმა წესმა ვალის, როგორც სესხის ხელშეკრულების უძველესი ფორმის შესახებ დიდი გავლენა მოახდინა ჯერ აღბუღას, ხოლო შემდეგ თვით ვახტანგის სამართლის სათანადო მუხლებზედაც. აღბუღას სამართლის 83 ე, 93-ე, 94-ე და 95-ე მუხლების შინაარსი არსებითად „ძეგლის დების“ 46-ე მუხლით დადგენილი წესის ვრცელი რედაქციით განმეორებას წარმოადგენს. შედარებისათვის მოვიყვანთ აღბუღას სამართლის 94-ე მუხლის ტექსტს. „თუ კაცმან თეთრი ავალოს სასარგებლოდ, ათასისათვის ათას ორასს დასჯერდეს წელიწადსა შიგა: და ამავე ანგარიშითა უმცროს-უფროსი იყოს. ნუცა ვახშის ვახში იქსენების, თავი მასვე ოდენ იმატებდეს, რა გინდა ხანი დაეყოს. აგრევე დიდსა მიწასა ცოტათა საქონლითა ნუ დაიწინდავს, თვარა იგი ვახშის სიდიდე იქნების და განმარისხებელი ღმრთისა“.

ბექა-აღბუღას სამართალმა დიდი გავლენა მოახდინა ვახტანგ მეფის სამართლის წიგნზე. ამ ორი ძეგლის გულდასმითი შეჯერების შედეგად გამოიჩვენა, რომ ვახტანგ VI-ის საკანონმდებლო კომისიამ ფართოდ გამოიყენა სამართლის წიგნის შედგენისათვის ბექა-აღბუღას კანონმდებლობა. საყურადღებოა, რომ ვახტანგის სამართლის მთელი რიგი მუხლები პირდაპირ მიუთითებენ ძველად არსებული კანონმდებლობის გამოყენებაზე. „ეს სისხლის განაჩენები რაც დაგვიწერია, ძველად დადებული და გვიწერია, თორემ სხვისა არა დაგვირთავს რაო“, ნათქვამია ვახტანგის სამართლის 34-ე მუხლში. მართლაც, თუ შევადარებთ ბექას სამართლის 1—11 მუხლებს ვახტანგის სამართლის 24—33 მუხლებს, ნათელი გახდება, რომ სისხლის განაჩენები ბექას სამართლიდან არის ნასესხები. ვახტანგის სამართლის 50 ე მუხლი აღნიშნავს, რომ სასაფლაოზე თავდასხმის „სისხლი ძველადგან დიდად დადებული არისო“. კანონმდებელს აქ მხედველობაში აქვს ბექას სამართლის 25 ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს ანალოგიურ დანაშაულს. ვახტანგის სამართლის მთელი რიგი მუხლები ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით ან მცირედი რედაქციით იყენებენ ბექა-აღბუღას სამართლის შესაბამის მუხლებს. საათაბაგოს სამართლის გავლენა განსაკუთრებით ემჩნევა ვახტანგის სამართლის 1-დან 88 მუხლამდე. საერთოდ კი ძეგლი თითქმის მთლიანად გამოყენებულია ვახ-

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. I, გვ. 664.

ტანგის სამართალში. ამის ნათელსაყოფად მივუთითებთ რამდენიმე ყველაზე უფრო მსგავს მუხლებზე. ბექას სამართლის მე-8 მუხლს შეესაბამება ვახტანგის სამართლის 47-ე მუხლი, მე-14 მუხლს—51-ე, მე-16-ს—58-ე, მე-18-ს—61-ე, მე-19-ს—57-ე, 25-ს—50-ე, 26-ს—71-ე, 29-ს—72-ე, 30-ს—73-ე, 32-ს—74-ე, 36-ს—75-ე, 38-ს—76-ე, 45-ს—84-ე, 47-ს—85-ე, 49-ს—83-ე, 50-ს—87-ე, 58-ს—მე-80. მაგალითისათვის მოვიყვანთ მხოლოდ ერთი მუხლის ტექსტს. ბექას სამართლის მე-8 მუხლში ნათქვამია: „თუ კაცმან კაცს წინა ანუ უკანა კბალი შთააგდებინოს, ერთის-თითის ოდენი გჭრში დაუჭუროს, ამაღ რომე წინა სახიჩარია და უკანა ქამას დააკლებსო“. ეს მუხლი თითქმის სიტყვა-სიტყვით არის შესული ვახტანგის სამართლის 47-ე მუხლში: „წინა თუ უკანა კბილი, რომელიც ჩააგდებინოს ვინმე, ორივე სწორე არის, ამიტომ რომე წინა სახიჩრად დარჩების და უკანა ქამაში დააკლებსო“. ამრიგად, ბექა-ალბუღას კანონები შეადგენენ ვახტანგის სამართლის მნიშვნელოვან წყაროს, რომელიც ქართული ეროვნული კანონმდებლობის ყველაზე უფრო სრულყოფილი ძეგლია გვიანდელ ფეოდალურ საქართველოში. თავის მხრივ ბექა-ალბუღას სამართალმა გამოიყენა ძველად არსებული საკანონმდებლო მასალა, როგორც სჯულმდებლობის მნიშვნელოვანი წყარო.

აქედან ცხადი ხდება, რომ ბექა-ალბუღას კანონებს შენარჩუნებული ჰქონდა მოქმედი სამართლის ძალა შუა საუკუნეების განმავლობაში, ხოლო XVIII საუკუნეში ვახტანგ VI-მ იგი საფუძვლად დაედო თავის სამართლის წიგნს, რომელიც მთელი სასამართლო წარმოებისა და მართლმსაჯულების სახელმძღვანელო კანონმდებლობად ითვლებოდა ფეოდალურ საქართველოში.

ქართული სამართლის უცხო მკვლევრები განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავენ სხვა ქვეყნების კანონმდებლობის გავლენას ძველ ქართულ სამართალზე. მათი აზრით ქართული სამართლის თითქმის ყველა ინსტიტუტი უცხო კანონმდებლობიდან გადმოღებული და შეთვისებული იურიდიული ურთიერთობაა.

ფრანგი მკვლევარი ი. კარსტი, რომელმაც თარგმნა ქართული სამართლის ძეგლები ფრანგულ ენაზე, გამოაქვეყნა აზრს, რომ იბერიულ-ქართულმა სამართალმა ძველი დროიდან განიცადა უცხოური გავლენა სამი სხვადასხვა მხრით: 1. ბერძნული სამართლის გავლენა. ნილეტურ-ეგეური კოლონიზაციის შორეული დროიდან ბერძნული ცივილიზაცია, ცოტად თუ ბევრად, დამკვიდრდა კოლხიდაში, შემდეგ ბიზანტიის იმპერიამ გაავრცელა თავისი პოლიტიკური ბატონობა კოლხურ-იბერიულ სანაპიროზე და, ცოტად



თუ ბევრად, შეცვალა ბერძნული იურისპრუდენციის გავლენით ამ ქვეყნის ადათები; ეს გავლენა გამოიხატა არა მარტო ადმინისტრაციულ ტერმინოლოგიაში, არამედ შუა საუკუნეების იბერიის ქართველთა და დიპლომატებში. ძველ დროში შავი ზღვის სანაპიროების კოლონიზაციის გზით კოლხეთ-იბერიაში შემოდინდა ბერძნული ცივილიზაცია, ხოლო შემდეგ, შუა საუკუნეებში, ბიზანტიური იმპერიის ე. წ. „ბერძნულ-რომაული“ კულტურის გავლენა. 2. სემიტური გავლენა. ი. კარსტის აზრით ქართულ სამართალში ადგილი აქვს ასურეთ-ბაბილონის ოფიციალური სამართლის გავლენას და, გარდა ამისა, ებრაულ სამართალსაც. მოსეს კანონები ქართული ეკლესიის ნომოკანონების საფუძველს შეადგენდა. ებრაული სამართალი ძველი დროიდანვე ახდენდა გავლენას ქართულ სამართალზე, ვინაიდან იბერიაში უკვე ნაბუქოდონოსორის დროიდან ებრაელთა მნიშვნელოვანი კოლონიები არსებობდა. 3. ირანულ-სომხური გავლენა. ირანმა, ზოროასტრულ აქემენიდთა პერიოდში არა მარტო შემოიტანა იბერიაში თავისი ოფიციალური რელიგია, მაზდეიზმი, არამედ მას უნდა მიეცა მისთვის, როგორც თავისი სატრაპიისათვის, სპარსული ოფიციალური სამეფო სამართლის მნიშვნელოვანი ნაწილი. სომხურ სამართალსაც ჰქონდა პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა იბერიაში, განსაკუთრებით ბურჯუაზიის სამართალს, ვაჭართა კოდექსს, რომელიც შორეული დროიდან იყო დამყარებული სომხური სამართლის დებულებებსა და პრინციპებზე. სომხური სამართლის მეტად მნიშვნელოვანი კოდიფიკაცია, რომლის ბირთვის შეადგენს მხითარ გოშის კოდექსი და რონელსაც დაერთო სხვადასხვა ნორმები (სემპადის კანონი, ნომოკანონები, ბიზანტიური კანონმდებლობის ელემენტები) წარმოადგენს იმ ძალას, რომელმაც არაპირდაპირ მაინც, გამოიწვია და განსაზღვრა ვახტანგის საკანონმდებლო კრებულის შედგენა<sup>1</sup>. ირანში სასანიდების დროს მართლმსაჯულების განხორციელების საქმე ეკუთვნოდა სამეფო ხელისუფლებასა და სამღვდელოების მაღალ ფენას, რომელსაც მოხედები წარმოადგენდნენ. მათ ჰქონდათ მეტად ფართო სასამართლო ფუნქციები. იბერიის კათალიკოზი ამ მხრივ, ი. კარსტის აზრით, მხოლოდ ზოროასტრის მაგების მთავარი ქურუმის—დიდი მოხედის—მემკვიდრე იყო. საერთოდ ქართველი და ირანელი ხალხის სისხლის სამართალს პარალელური ევოლუცია ემჩნევა. მოფიცართა ინსტიტუტი ქართულ სამართალში სპარსული

<sup>1</sup> Karst, Code géorg. du roi Vakhtang VI, t. I, p. 5—7.

სამართლის მსგავსი ინსტიტუტია. ანალოგია არსებობს აგრეთვე ირანისა და საქართველოს სასამართლო წყობილებასა და სასამართლო წარმოებას შორის. სასანიანთა სპარსეთში სამეფო იურისდიქცია იმავე წესით ხორციელდებოდა, როგორც საქართველოში. სასამართლო წარმოებისა და სამეფო სასამართლოების ორგანიზაციის მხრივ ამ ორი ქვეყნის წყობილება ანალოგიური იყო, უმაღლესი საერო და საეკლესიო სასამართლო ხელისუფლებაც მსგავსია. სასამართლო წარმოების დარგში დამამტკიცებელი საბუთებიც (მოწვე, ფიცო, ორდალი, წერილობითი საბუთები) ორივე ქვეყანაში ერთნაირია. მდივანბეგთა სასამართლოები სპარსულ-სეფევიდური წარმონაშობისაა<sup>1</sup>.

ქართულ სამართალზე უცხო სამართლის ძლიერ და პირდაპირ გავლენას აღნიშნავს მ. კოვალევსკიც. მისი აზრით ქართული ორდალები ირანული წარმომობისაა. საოჯახო და საქორწინო სამართალი მთლიანად ნასესხებია ბიზანტიური კანონიკური სამართლიდან. რომისა და ბიზანტიის სამართალმა დიდი გავლენა მოახდინა ქალის უფლებრივ მდგომარეობაზე ქართულ სამართალში. ქურდობის განაჩენი, რაც ორმავ საზღაურს ითვალისწინებს ბექა აღბუღას სამართლის მიხედვით, გადმოღებულია რომის სამართლიდან<sup>2</sup>. ამრიგად, ქართული სამართლის მთელ რიგ ინსტიტუტებს კოვალევსკი უცხო სამართლის ინსტიტუტებად თვლის. მ. კოვალევსკის ზოგიერთ მოსაზრებას იზიარებს ნ. ჯრბნელიც.

მ. კოვალევსკისა და ი. კარსტის ზემოაღნიშნული შეხედულებანი მოკლებული არაან მეცნიერულ მნიშვნელობასა და ღირებულებას. ასეთი მეთოდით ანალოგია შეიძლება გატარებული იქნეს ყველა ქვეყნის სამართალთან, რადგან მსგავს ინსტიტუტებს თითქმის ყველა ძველი კანონმდებლობა იცნობს. მაგრამ ასეთი გარეგანი შედარებებით შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ერთმა სახელმწიფომ მიითვისა მეორე ხალხის სამართლის ინსტიტუტები და ნორმები.

სამართლის მარქსისტულ-ლენინური თეორია აღიარებს ხალხთა კულტურული ურთიერთობის მნიშვნელობას, მაგრამ ამა თუ იმ ხალხის კანონმდებლობა სათანადო ეკონომიურ ურთიერთობათა იურიდიული გამოხატულებაა და ამიტომ არ შეიძლება მისი

<sup>1</sup> Karst. იქვე, წიგნი 2, გვ. 109—111.

<sup>2</sup> М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе, т. I, гл. 110—114, 131, 134.

შინაარსი სხვა ქვეყნის კანონმდებლობის გავლენით აიხსნას. სამართლის ინსტიტუტები წარმოიშვა საზოგადოების შინაგანი განვითარებით, კლასობრივი ბრძოლისა და ურთიერთობის ნიადაგზე. ამასთან ძველ ადამიანულუბნათა შინაარსი შეიცვალა ახალი ეკონომიური პირობებისა და კლასობრივი ბატონობის შესაბამისად. მ. კოვალევსკისა და ი. კარსტის ზემოაღნიშნული აზრები ქართული სამართლის წყაროების შესახებ დაფუძნებულია სამართლის ბურჟუაზიული მეცნიერების ე. წ. შედარებით მეთოდზე, რომელიც „...სხვადასხვა ხალხთა და სხვადასხვა ეპოქათა სამართლის სისტემებს ერთიმეორეს ადარებს არა როგორც სათანადო ეკონომიურ ურთიერთობათა ანარეკლს, არამედ როგორც ისეთ სისტემებს, რომლებიც თავიანთ დასაბუთებას თავის თავშივე შეიცავენ“<sup>1</sup>.

სტატიაში „ბიზანტიის გავლენა საქართველოზე“<sup>2</sup>, ა. ხახანაშვილი აღნიშნავს, რომ ბიზანტიას დიდი გავლენა ჰქონდა ქართულ კულტურაზე და კანონმდებლობაზე. ვახტანგის სამართლის წიგნის 25-ე მუხლში ნათქვამია: „მეფის და კათალიკოსის საქმე უკადრისი, თუ რაც რამ ფერი, ორისავე სწორი არის; ამიტომ რომ ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე სულისა“. ბეჟა-აღბუღას სამართლის ბოლოში დართული კანონების 102-ე მუხლში აღნიშნულია: „თუ მეფე ებისკოპოსს გაუწყრეს, გინა უსამართლოდ, გინა სამართლითა, კელთა შეპყრობა არცა მაშინ მოკლების, ამისთვის რომე მეორე მეფე ებისკოპოსი არს და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი, და რა დეცა მეფესა სჯულისა საქმე აქუს, აგრე შეიწყნარენ“. ეს შეხედულება მეფისა და ებისკოპოსის თანასწორობის შეჩახებ განმტკიცდა ბიზანტიაში IV—VII საუკუნეებში და ამ პრინციპის ქართულ სამართალში აღიარება ა. ხახანაშვილის აზრით ნთლიანად აიხსნება ბიზანტიის გავლენით. კანონიკური სამართლის წიგნის მუხლებში (161—170) დანაშაუვისათვის გათვალისწინებული სასჯელი—წყევლა-კრულვა და შეჩვენება—მოდინარეობს ბიზანტიური სამართლიდან, რომელმაც დაბადა შეხედულება კათალიკოს-ეპისკოპოსზე, როგორც მეფეთა თანასწორ პირზე. ზემდეგ დროთა განმავლობაში იცვლება ბიზანტიის გავლენაც. კათალიკოსი ჰკარგავს თავის დიად მნიშვნელობას და ემორჩილება საერო მთავრობას. თუმცა ეს საკანონმდებლო წესით არ გაფორმებულა, მაგრამ

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. I, 1950 წ., გვ. 725.

<sup>2</sup> „მთაბე“, 1901 წ. № XII.

ცხოვრებამა და ჩვეულებამ კათალიკოსის შუერაცხმყოფელს გადასახადი დაუნიშნა, მაშინ როცა ეს წარმოუდგენელი იყო მეფის მიმართ. ა. ხახანაშვილის აზრით უფრო მეტი გავლენა ბიზანტიამ დაამჩნია საქართველოში ქორწინების, ცოლქმრობის კავშირისა და ოჯახის საფუძვლების განმტკიცებას.

ბიზანტიურმა კანონმდებლობამ სახელმწიფოსა და ეკლესიის დამოკიდებულება სამი დებულებით განსაზღვრა: თანასწორობა საერო და სასულიერო ხელისუფლებისა, ორივე ხელისუფლების თანხმობა ქვეშევრდომთა მიმართ და საეკლესიო კანონებისა და დოგმატების სახელმწიფოს სამართალთან თანასწორობის აღიარება. სწორედ ამ წყაროდან მომდინარეობს აღბუღას კანონმდებლობის დასკვნა, რომ „მეორე მეფე ე ბ ი ს კ ო პ ო ზ ი ა რ ს ო“, წერდა ა. ხახანაშვილი ზემოაღნიშნულ სტატიაში.

ეს მოსაზრება მოკლებულია საფუძველს, რადგან ზემოაღნიშნული მუხლი ბექა-აღბუღას სამართალს არ მიეკუთვნება და იგი თამარ მეფის წინა დროის საერო და სასულიერო ხელისუფლების დამოკიდებულებას გამოხატავს. ამასთან, ბიზანტიის სამართალიც ითვალისწინებდა დამნაშავე მეფის პასუხისმგებლობას. „სამართალი ბერძული“ 371-ე მუხლში ადვენს: „სჯული განწესებული არს კრებათაგან, უკეთუ უსამართლო და უსჯულო საქმე რანე ქნას მეფემან, იმანც უნდა თავისის დანაშაულის პასუხი მისცეს და კათოლიკე სჯული არის იგი, რომელიცა მეფეთა ბძანეს და განაწესეს“<sup>1</sup>. მაშასადამე, საეკლესიო კრებათა დადგენილებით, რომელიც დამტკიცებულია მეფეთა მიერ, თვით მეფეებიც ვალდებული არიან პასუხი აგონ დანაშაულისათვის. მაგრამ მთავარი ის არის, რომ უნაღლესი საერო და სასულიერო ხელისუფლების უფლებრივი მდგომარეობა და ურთიერთ-დამოკიდებულება თვით ქვეყნის საშინაო ცხოვრების პირობებით უნდა აიხსნას. და მართლაც. ბექა-აღბუღას სამართლის 103-ე მუხლი XI საუკუნის საქართველოს მეფისა და ეკლესიის ხელისუფლების მდგომარეობას გამოხატავს. დებულება, რომ „მეორე მეფე ე ბ ი ს კ ო პ ო ზ ი ა რ ს ო“ ზუსტად გამოხატავს იმდროინდელი საქართველოს სურათს და აზრი მისი ბიზანტიიდან სესხების შესახებ უსაფუძვლოა. რომისა და ბიზანტიის სამართალს, ცხადია, ერთგვარი გავლენა ჰქონდა ქარ-

<sup>1</sup> საქ. სახ. მუხ. ხელნაწერი S 3683, გვ. 114 r.

თულ სამართალზე, ისე როგორც სხვა ქვეყნების კანონმდებლობაზე. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით ბიზანტიის გავლენა ქართულ მწერლობასა და კულტურაზე XII საუკუნეში დაიწყო, მაგრამ მისი დასრულება მონღოლთა შეზღვევამ შეაფერხა<sup>1</sup>. რაც შეეხება ბიზანტიური სამართლის გავლენას ქართულ სამართალზე, ამის შესახებ აკად. ივ. ჯავახიშვილი „ქართული სამართლის ისტორიაში“ მეტად ფრთხილად მსჯელობს. მართლაც, რა მეკლნიერული ღირებულება უნდა ჰქონდეს ისეთ განცხადებას, რომელიც დაფუძნებულია სამართლის ინსტიტუტების გარეგან მსგავსებასა და ზერელე შედარებაზე, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ მ. კოვალევსკისა და ი. კარსტის მოსაზრებათა განხილვის დროს. ქართული სამართლის ისტორიის პირველ წიგნში ავტორი კომენტარს უკეთებს რა „ძეგლის დების“ 46 ე მუხლის იმ ადგილს, სადაც ნათქვამია, რომ „სარგებელი არც ქართველთა სჯულთა და არც სხუთთა სჯულთა უწერიაო“, აღნიშნავს, რომ მეზობელ ერთა სამართლის ძეგლები იმ დროს საქართველოში უნდა ჰქონოდათ და ქართული სამართლის წიგნების შედგენის დროს მათი ცნობებისათვისაც ანგარიში გაუწევიათ<sup>2</sup>. სხვა რაიმე მითითება ამ საკითხის თაობაზე XIV საუკუნის სამართლის ძეგლებში არ არსებობს. ვახტანგის სამართლის წიგნის პირველ წინასიტყვაობაში გარკვევით არის აღნიშნული, რომ საკოდიფიკაციო კომისიამ შეკრიბა „პირველ დაბადებისა, მოსეს მიერ ქმნილნი სამართალნი და კუალად ბერძენთა და სომეხთა წიგნთაგან გადმოთარგმნული“... მეორე წინასიტყვაობაშიც (მუხ. 204) ნათქვამია, რომ „ზემორე ხსენებულნი წიგნები სასამართლონი დიდთა სამეფოთანი მოვიძიეთ და მოვიღვეთ და მრავლის სასჯელითა, ვიდრე წელთა მეორედჲდე გარდმოვთარგმნეთო“. მაგრამ კანონმდებელი იქვე მიუთითებს, რომ „ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს“, ამიტომ „მათი წიგნი უფროს ჩვენ და უკმარსო“.

ვახტანგის კრებულის შედგენამდე, ე. ი. XVIII საუკუნის დასაწყისამდე, ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებში სხვა

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. II, 1948 წ., გვ. 320, ტ. III, 1949 წ., გვ. 318.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, I, 1928 წ., გვ. 104.

ქვეყნების კანონმდებლობის გამოყენების შესახებ არაერთარი და-  
მოწმება არ მოიპოვება, რის გამო ქართულ სამართალზე უცხო  
სამართლის ძლიერი და პირდაპირი გავლენის მტკიცება უსაფუძვ  
ლოდ მიგვაჩნია. ეს დებულება მთლიანად ვრცელდება ბეჭა აღბუღას  
სამართლის წიგნზეც.

### ჰ. საეკლესიო სამართალი

ცნობილია, რომ შუა საუკუნეების საერო სამართლის ძეგლებზე  
დიდი გავლენა იქონია კანონიკურმა სამართალმა. სასულიერო  
წოდება ფეოდალური საზოგადოების ძლიერ ძალას წარმოადგენდა.  
ეკლესია თავისი წესწყობილებით მეორე სახელმწიფო იყო სახელმ-  
წიფოში. იგი ფართო პოლიტიკური და უფლებრივი შეუვალლობით  
სარკებლობდა, მას დამოუკიდებელი სასამართლო იურისდიქცია  
ჰქონდა, ამავე დროს საერო სამართლისა და სამოქალაქო ცხოვ-  
რების მთელი რიგი საკითხები კანონიკური სამართლის ნორმებით  
წესრიგდებოდა და საეკლესიო სასამართლოების კომპეტენციას  
შეადგენდა. ფეოდალურ სამართალში საეკლესიო დოგმები ბატონ-  
ობდნენ და სამართლის მეცნიერებაც ღვთისმეტყველების მთლიანი  
ბატონობის ქვეშ იპყრობოდა, მის დარგად ითვლებოდა. სამღვდე-  
ლოებისა და ღვთისმეტყველების ბატონობამ მთელ საზოგადოებაზე  
განსახიფრება საეკლესიო სამართლის დიდი როლი საერო სამართლის  
ნორმებისა და ინსტიტუტების წარმოქმნასა და ჩამოყალიბებაში.

შუა საუკუნეებში „პოლიტიკა და იურისპრუდენცია, ისევე რო-  
გორც ყველა დანარჩენი მეცნიერება, ღვთისმეტყველების უბრალო  
დარგებად იქცა და საფუძვლად იგივე პრინციპები დაედო, რომ-  
ლებიც ამ უკანასკნელში ბატონობდა. ეკლესიის დოგმები იმავე  
დროს პოლიტიკური აქსიომებად იყო აღიარებული და ბიბლიის  
ტექსტებს ყოველ სამართალში კანონის ძალა ჰქონდა. მას შემდე-  
გაც კი, რაც იურისტების სპეციალური წოდება წარმოიშვა, იურის-  
პრუდენცია კიდევ დაღხანს ღვთისმეტყველების მეურვეობის ქვეშ  
იმყოფებოდა. ღვთისმეტყველების ეს უზენაესი ბატონობა გონებ-  
რივი მოღვაწეობის ყველა დარგში იმავე დროს აუცილებელი შედე-  
გი იყო იმისა, რომ ეკლესია წარმოადგენდა არსებული ფეოდალური  
წყობილების უზენაეს განზოგადებასა და სანქციას<sup>1</sup>.

ქართული საერო სამართლის მთელი რიგი ინსტიტუტები  
საეკლესიო სამართლიდან მომდინარეობენ. საეკლესიო სასამარ-  
თლოების ფართო იურისდიქცია ხელს უწყობდა მის გავლენას

<sup>1</sup> Марке и Дигельс, Соч., т. VIII. стр. 126.

საერო სამართალზე. საერო სასამართლოების მთელი რიგი საქმეებისა წინათ საეკლესიო სასამართლოებს ექვემდებარებოდა. ამასთან საპიროა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ ქართული საეკლესიო სამართლის „მოქმედების ასპარეზი მარტო წმინდა საეკლესიო ცხოვრების მოწესრიგებით არ განისაზღვრებოდა, არამედ გაცილებით უფრო ფართო დანიშნულება და სარბიელი ჰქონდა.“<sup>1</sup> ეკლესიას საქართველოში თავისი ჯარი და მოხელეები ჰყავდა. ქართული საეკლესიო სამართალი მარტო ეკლესიის სარწმუნოებრივ საქმიანობას კი არ ეხებოდა, არამედ სახელმწიფოებრივ ყოფა-ცხოვრებასაც. ქართულ ეკლესიას სახელმწიფოებრივი წყობილების ბევრი დამახასიათებელი ნიშანი აქვს. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით ქართული საეკლესიო სამართალი უფრო რომის კათოლიკეთა ეკლესიის კანონიკური სამართლის კრებულს, *corpus juris canonici*-ს მიაგავს, ვიდრე აღმოსავლეთის ეკლესიის, ბერძენთა და რუსთა საეკლესიო სამართლისას იმგვარადვე, რგვორც ქართული ეკლესია თავისი წესწყობილების ბევრი თვისებებით უფრო რომის საშუალო საუკუნეების ეკლესიას მიაგავდა, ვიდრე ერთმორწმუნე ბერძენთა და რუსთა ეკლესიებს.<sup>2</sup> ქართული სამართლის ისტორიის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა მეტადრე ადგილობრივ, ქართულ საეკლესიო სჯულდებულებას აქვს, მაგრამ მსოფლიო ეკლესიის კოდექსების დადგენილებანი და ბერძნული სჯულის კანონიკ ძვირფასია მკვლევართათვის, ჯერ ერთი იმიტომ, რომ კანონმდებლობის ეს ძეგლებიც მოქმედ სამართლად იყვნენ საქართველოში.<sup>3</sup> აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის აზრით, „დიდი სჯულის კანონი“ ნათარგმნი უნდა იყოს IX—X საუკუნეებში, როცა სამცხისა და ტაო-კლარჯეთ-შავშეთის ქართულ სამონასტრო ცენტრებში საწერლობო მოღვაწეობა გაჩაღდა და ბიზანტიის განათლების უმთავრეს სავანეებთან მჭიდრო სულიერი კავშირი შეიქმნა. ეს მეტად საყურადღებო და მნიშვნელოვანი გარემოებაა ბექა-ალბულას სამართლის წყაროების შესასწავლად და კერძოდ იმ აზრის ნათესაყოფად, რომ სამართლის წიგნის ერთ-ერთ წყაროს საეკლესიო სამართალი წარმოადგენდა.

(ბექა-ალბულას სამართლის შედგენამდე ბევრი საეკლესიო კრება იქნებოდა ალბათ მოწვეული, მაგრამ საეკლესიო სჯულმდებლობას ჩვენამდე არ მოუღწევია. ამ მხრივ გამოწაკლის წარმოადგენს

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, 1928 წ., გვ. 12.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 17.

რუის-ურბნისის 1103 წლის საეკლესიო კრება, რომლის საკანონმდებლო მოღვაწეობა ცნობილია ჩვენთვის „ძეგლის წერის“ სახელწოდებით. აღნიშნული საეკლესიო კრების ძირითადი მიზანი, როგორც ეს „ძეგლის წერიდან“ ჩანს, საეკლესიო წესწყობილების, სამღვდელთმსახურო წესებისა და მრევლის ზნეჩვეულებათა და შეცოდებულების განხილვა და მოწესრიგება იყო. ამიტომ აღნიშნული სჯულმდებლობის მნიშვნელობა გათვალისწინებული უნდა იქნას ბექა-აღბუღას სამართლის შესწავლისას. მნიშვნელოვანია აგრეთვე საეკლესიო კრების მოხსენება და დადგენილება, რომელიც 1263—65 წლებს შორის უნდა იყოს შედგენილი. საეკლესიო კრების აღნიშნული დადგენილება შეიცავს დებულებას საეკლესიო მამულების სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სხვებზე გაცემის შესახებ, და ამიტომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიური და სოციალური ისტორიის შესასწავლად. დადგენილება იძლევა საყურადღებო ცნობებს სახელმწიფოსა და ეკლესიის უფლებრივი დამოკიდებულების შესახებ. საფიქრებელია, რომ ორივე საეკლესიო კრების ზემოაღნიშნულ ძეგლებს იცნობდნენ სჯულმდებლები ბექა და აღბუღა და, შესაძლოა, ითვალისწინებდნენ მათ სამართლის წიგნის შედგენისას.

საეკლესიო სამართლის გავლენა ბექა-აღბუღას სამართალში ნათლად ჩანს სამცხე-საათაბაგოს მღვდელთმთავრის, მაწყვერლის უფლებრივი მდგომარეობიდან. აწყურის ეპისკოპოსის სასამართლო იურისდიქციას ექვემდებარებოდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეები. მაწყვერელი ათაბაგთან ერთად ახორციელებს უმაღლეს სასამართლო ხელისუფლებას. საათაბაგოს საქართველოს სამეფოსაგან განდგომამ დიდი გავლენა მოახდინა მაწყვერლის დამოუკიდებლობაზე და მისი სასამართლო იურისდიქციის ზრდაზე. საათაბაგოში მაწყვერელი ისეთივე უმაღლესი საეკლესიო თანამდებობის პირი იყო. როგორც კათალიკოსი საქართველოში, თუ ათაბაგი საქართველოს მეფეს არაფერს ეკითხებოდა, მაწყვერელიც დამოუკიდებულად იყო მცხეთის საეკლესიო კათედრალისაგან. სამცხე-საათაბაგოში იგი დამოუკიდებლად ახორციელებდა უმაღლეს საეკლესიო ხელისუფლებას და სჯულმდებლობას. როგორც ბექა-აღბუღას სამართლის პირველი წინასიტყვაობიდან ჩანს, აწყურისა და საფარის ეკლესიებს „საკუთარი კანონმდებლობაჲ ჰქონიათ, რომელიც ჩუენ განაღამცა აგრევე დაემტკიცეთო“, ამბობს აღბუღა. აწყურისა და საფარის კანონმდებლობაზე მითითება ცხადყოფს საათაბაგოში მაწყვერლის უმაღლეს-



სა და დამოუკიდებელ უფლებრივ მდგომარეობას. თუ საეკლესიო საქმეებში მაწყვერელი უზენაესი პირია, საერო სამართლის საქმეებში ის ათაბაგის თანასწორია, მასთან ერთად ახორციელებს უმაღლეს მართლმსაჯულებას.

ბექას სამართლის წინასიტყვაობაში აღბუღა დიდი მოკრძალებით აღნიშნავს, რომ სამართლის წიგნი შევადგინეთ მაწყვერლისა და სამცხე-საათაბაგოს ეპისკოპოსთა და მეუღაბნოეთა მოწესეთა მონაწილეობითო; კანონის შედგენა რომ განვიზრახეთ, ყველაფერი „მოვაჯს ენეთ პატიოსანსა მაწყუერელსა“ და „მინდობილნი ღმრთისანი და აწყურისა ღმრთისმშობლისანი“ შევეუდექით განაჩენის დაწერასო.

ბექას სამართლის წიგნის პირველი მუხლის მიხედვით, როცა დიდებულის მიერ დიდებულის მოკვლის შემთხვევაში „პატრონისა ჯაყელისა და მაწყუერლისა კაცნი“ დამნაშავეს ადგილზე მიუსწრებენ, მას აღარ აქვს უფლება დაზარალებულს კიდევ სხვა ზიანი მიაყენოს და, თუ მას შემდეგაც ემტერა „პატრონისა და მაწყუერლის პატიჯი გადაიკადოსო“. „პატიჯი“ განსაკუთრებული ჯარიმა იყო ათაბაგისა და მაწყვერლის პატივის შელახვისათვის. თუ დამნაშავე სისხლისა და პატივის დაჟრეებას ვერ შესძლებს, გაძევებული უნდა იქნას და მისი „მამული პატრონსა აქუნდეს—ჯაყელსა და მაწყუერელსაო“. ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი აზნაურის მიერ აზნაურის მოკვლის შემთხვევაშიც. თუ დამნაშავე კანონით გათვალისწინებულ საზღაურს ვერ გადაიხდის, იგი უნდა გადაიხვეწოს და მისი მამული პატრონსა და მაწყვერელს უნდა გადაეცეს, როგორც სასამართლო ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს. ძმამ თუ ძმა ან ახლო ნათესავი მოკლა, საქმე ათაბაგსა და მაწყვერელს უნდა მოხსენდეს, რადგან ასეთი დანაშაული „საღმრთოდ ბრალია და საკანონო ასკეცი“ „დამნაშავეს ჩვეულებრივ სასჯელს გარდა საეკლესიო სასჯელიც უნდა დაედოს—ეპისკოპოსზმან მისი წესი იცის, რაცა მართებს, მან უყოსო“. დამნაშავე უნდა გადაიხვეწოს, მისი მამული ათაბაგსა და მაწყვერელს უნდა გადაეცეს. დამნაშავეს საქმე, რომელიც თავს დაესხა სასაფლაოს, გატეხა ან შეურაცხყო ეკლესია, ეპისკოპოსმა უნდა განიხილოს, როგორც უმაღლესმა მოსამართლემ, და ისეთი სასჯელი დაადოს, რასაც საკიროდ დაინახავს („ქრისტეს სისხლს პატივსა მცნებულთა ვითა უყვარს, ეგეთი პატივი დუურებინონ“), რადგან ასეთი მძიმე დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრა შეუძლებელიაო. ათაბაგთან ერთად

მაწყვერლის სასამართლო კომპეტენციას შეადგენდა მძიმე სახელ-  
მწიფო დანაშაული, რომელიც ცნობილია ბექა-აღბულას სამართალ-  
ში „ღალატის“ სახელწოდებით. თუ ათაბაგის მფარველობაში  
მყოფი კაცი, ვასალი ანუ „მინდობილი კაცი“ ღალატით ვინმეს  
ციხესა და სახლ-კარს წაართმევს, მისი საქმე ათაბაგთან ერთად მაწყვერელსაც უნდა მოხსენდეს („პატრონმა და მაწყვერელ-  
მან ცნას“). ამრიგად, მაწყვერელი ათაბაგთან ერთად უმაღ-  
ლესი სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენელია. ისინი  
განიხილავენ სისხლის სამართლის მძიმე დანაშაულთა საქმეებს  
(მკვლელობას, თავდასხმას, ღალატსა და სხვ.). ათაბაგი, როგორც  
უმაღლესი საერო ხელისუფლების წარმომადგენელი, და მაწყვერე-  
ლი, როგორც უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების წარმომად-  
გენელი, ერთდროულად და თანასწორად ახორციელებენ სასამარ-  
თლო ხელისუფლებას ზემოაღნიშნული საქმეების გამო. ათაბაგისა  
და მაწყვერლის სასამართლო ხელისუფლება შეერთებულია და მას  
სისხლის სამართლის დარგში შერეული ხასიათი აქვს, მაგრამ მა-  
წყვერელს ამასთან ერთად თავის სამწყსოში ცალკე დამოუკიდებ-  
ელი საეკლესიო იურისდიქცია აქვს. სულისა და ეკლესიის საქმე  
მხოლოდ მას ეხებოდა და ათაბაგი მის უფლებებში ვერ ჩაერეოდა.  
საოჯახო სამართლის დარგიც ხომ მაწყვერლის იურისდიქციას  
შეადგენდა. ქორწინებისა და ოჯახის საქმე მაწყვერელს ეკითხვის.  
თუ კაცი გვართა და ღირსებით მასზე უფრო საპატიო ცოლს  
გასცილდება, სისხლი თავისი გვარის მიხედვით უნდა დაუურვოს,  
რადგან „მაცხოვარმან დაწყევასა შიგან ესრეთ  
რქვა: ქმარისამცა შენისა მიმართ არს მოქცევაჲ  
შენიო“. ეს არის ნორმა, რომელიც დაამკვიდრა საეკლესიო სამარ-  
თალმა საოჯახო სამართლის დარგში

მემკვიდრეობითს სამართალშიც ცხადად იგრძნობა საეკლესიო  
სამართლის გავლენა. ანდერძით მემკვიდრეობის იურიდიულ ძალას  
მხარს უჭერს და მტკიცეს ხდის ეკლესია. ანდერძი სამკვიდროს  
დამტოვებლის გარდაცვალების შემდეგ არის მტკიცე და ნამდვილი,  
სიცოცხლეში კი სამკვიდროს დამტოვებელს მისი გაუქმებაც შეუძ-  
ლია და ძალაში დატოვებაც. ეს წესი „განბრძნობილი არს  
წმიდათა მამათგან სჯულთა სამოძღვრებლად,  
ებისტოლეთაცა შიგან ესრეთ წერილ არს ამისთანა-  
სა საქმესა შიგან კაცთაგან შესვლაზე, ქვექცევა  
მალ შეუძლებელ არს და ნუვინ ქელჰყოფსო“ ესეც  
კანონიკური სამართლიდან შესული წესია ბექას სამართალში. მსხვილ-

ფეოდალსა და მის ვასალს შორის რომ რაიმე დავა წამოიჭრება, საქმე სასამართლომ მიუდგომელ და პირუთვნელ კაცთა მონაწილეობით უნდა გადაწყვიტოს და შეარიგოს მოდავე მხარეები, რ. ლან „კათა და ქვეყანისა შემოქმედისა ცა ეზომ უნდოსა ადამიანსა შუა დასხმულნი მოძღვარნი და მეცნიერნი კაცნი შეაზავებენო“, ნათქვამია აღბუღას სამართალში. მასასადამე, საეკლესიო სამართალი სასამართლო წარმოების საკითხებზედაც აერკვლებს თავის გავლენას. წართლმსაჯულებას ღვთაებრივი ძალა აქვს. მოსამართლე ღვთის მოშიში და სულის საქმის პატივის მცნებელი უნდა იყოს. ანგარება და სიხარბე ღვთის განმარბისხებელია საქმეა და მოსამართლე ანგარებით საქმეს ნურავის დაუმტკიცებსო. „ესე სიტყვა წმიდათა მამათა არს, თუ—სიხარბე ბუნებით მხედველობისა კაპიარისო და ყოველი ავიღმრთისა და კაცთა განმარბისხებელი საქმე მას ზედა ჩამოკიდებულნი არისო“, ანბობს ათაბაგი აღბუღა.

საეკლესიო სამართლის ძალა და ავტორიტეტი გამოყენებულია ვალდებულებითი სამართლის დარგშიც. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს სესხის ხელშეკრულების პირობებიდან. აღბუღას სამართალი ვალის ხელშეკრულების დროს კრძალავს „დიდი სარგებლის“ აღებას. თუ კრედიტორმა დიდი პროცენტი აიღოს მსესხებლისაგან, არაკანონიერია და უნდა დაუბრუნოს, რადგან „ანგარება თავად ცოდვად წერეს სჯულის მოძღვართა კაცთა წმიდათა“ და „ვახშის სიდიდე განმარბისხებელია ღმრთისაო“.

ერთ აღვილას ბეჟა მოსეს კანონმდებლობასაც იმოწმებს. როცა ძმები გაიყოფიან სამემკვიდრეო ქონების ზედმეტი წილი—„საუბუცესო“,—რომელიც წინაპართა პატივისცემისა და სულის მოსახსენებლად იყო განკუთვნილი, უფროს ძმას ეძლევა. ამ წესს „თვით მოსეს პირითა დამბადებელი დაბადებასაა შივან დასწერს“, რომელიც ძნელად მოიშლებისო. ამრიგად, ბეჟა-აღბუღას სამართლის წიგნის მთელი რიგი მუხლები შეიცავენ საეკლესიო სამართლის წესებსა და დებულებებს. განსაკუთრებით ეს გავლენა, როგორც დავინახეთ, იგრძნობა სამართლის წიგნის იმ ნორმებში, რომლებიც აწესრიგებენ სამოქალაქო, საოჯახო და მემკვიდრეობით ურთიერთობას და აგრეთვე სასამართლო წარმოებასაც. ზემოაღნიშნულიდან სავსებით გასაგებია სანკსე-საათაბაგოს ეპისკოპოსის — მაწყვერლის — ფართო უფლება მოსილება საერო იურისდიქციის დარგში.

სცდებოდა ნ. ურბნელი, რომელიც ფიქრობდა, რომ ბექა-ალბუ-  
ლას კანონების ბოლოში დართული 102-ე და 103-ე მუხლი, რომ-  
ლებშიც ლაპარაკია მეფისა და ეპისკოპოსის ურთიერთდამოკიდე-  
ბულების შესახებ, სამართლის წიგნის ორგანულ ნაწილს წარმო-  
ადგენდა და აქედან იმ არასწორ დასკვნას აკეთებდა, რომ თითქოს  
აღნიშნული მუხლები გამოხატავდნენ ათაბაგისა და მაწყვერლის  
უფლებრივ მდგომარეობას. მაწყვერელი „ზოგს შემთხვევაში თავის  
საერო უფლებით ათაბაგსაც კი ალექატება... ათაბაგს რაღა უფ-  
ლება ჰქონდა ეპისკოპოზზედ?—არაფერი... ათაბაგს ხომ „მეფე“ არ  
ეთქმოდა, „მეფედ“ მოხსენებულია მხოლოდ ეპისკოპოზი და ეს  
სახელწოდება ცხადად ამტკიცებს მის უპირატესობას“<sup>1</sup>.

მცდარია აგრეთვე ნ. ურბნელის აზრი საათაბაგოს სასულიერო  
წოდების პრივილეგიური მდგომარეობის შესახებ. რაკი 98-ე მუხ-  
ლის შემდგომი მუხლები ბექა-ალბულას სამართლად მიიჩნია, ნ.  
ურბნელმა დახატა საათაბაგოს სასულიერო წოდების იერარქიული  
სტრუქტურა ზემოაღნიშნულ მუხლებში სასულიერო წოდების პირ-  
თათვის განსაზღვრული სისხლის ოდენობის მიხედვით და ის დას-  
კვნა გააკეთა, რომ სასულიერო წოდებას დიდი უპირატესობა  
ჰქონდა საერო ხელისუფლებასთან შედარებითო. ასეთი მდგომარე-  
ობა ურბნელის აზრით იმით აიხსნება, რომ „საათაბაგოში ალორ-  
ძინდა ბიზანტიის უკიდურესი ორთოდოქსული მოძღვრება, რომ-  
ელსაც სულსა და საღმთო საქმეთა გარდა სხვა არაფერი სწამდა.  
ასეთმა მიმართულებამ მეტად განადიდდა სასულიერო წოდება და  
მთელი ერის გონება და გრძნობა ამ წოდებას დაუმორჩილა“<sup>2</sup>.

სინანდილეში ზემოაღნიშნული მუხლები არ შეიცავენ საათა-  
ბაგოს სასულიერო წოდების უფლებრივ მდგომარეობას, არ შეად-  
გენენ ბექა-ალბულას სამართლის ნაწილს და გამოხატავენ XI საუ-  
კუნის გაერთიანებული საქართველოს სურათს, როცა სამღვდელო-  
ებას მალა ექირა თავი.

#### 4. სასამართლო პრაქტიკა.

ბექა-ალბულას სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს სა-  
სამართლო პრაქტიკა წარმოადგენს. ფეოდალიზმის პირობებში,  
როგორც სხვა ქვეყნებში, ისე საქართველოშიც, სასამართლოს  
დიდი მართლშემოქმედი ძალა ჰქონდა, რომელიც თავისი ნორმებით

<sup>1</sup> ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და ალბულა და მათი სამართალი. გვ. 7.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 33.

ავსებდა ხარვეზებს მოკმედ კანონებლობაში. სასამართლო პრაქტიკა ქართული სამართლის განვითარების მთელ მანძილზე მის მნიშვნელოვან წყაროს შეადგენს. სასამართლო პრაქტიკის როლი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსამართლე საქმეზე გარჩევის დროს გამოდიოდა წინათ ყველაზე უფრო მსგავსი და შინაარსით ერთგვაროვანი საქმის გადაწყვეტილებიდან და ამის უხედეით გამოქმონდა დადგენილება მის მიერ განხილულ საქმეზე. ამავე დროს მოსამართლე სარგებლობდა ფართო შემოქმედებითი შესაძლებლობით და ერთგვარად ჰქმნიდა სამართლის ახალ ნორმას.

ქართულ სამართლის ძეგლებში ყველაზე უფრო მკაფიოდ სასამართლოს საკანონმდებლო მოღვაწეობა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშია გამოხატული. ამ კანონების მიხედვით მოსამართლე ისეთი ფართო უფლება-მოხილებით სარგებლობს, რომ იგი არსებებიდან არაფრით არ განსხვავდება კანონმდებლისაგან. ვახტანგ მეფის სამართლის წიგნის შესავალში ნათქვამია: „განვაჩინეთ და დაეწერეთ, რომელსა შივსწვდით და ანგონებანი ჩვენნი სამართალთა მიხედენ... პირველი განაჩენი იხილონ და ახალი ესეცა და, რომელიც ენებოს მოსამართლეს, მით იქმოდეს სამართალს. მე ეს წიგნი ასრე არ დამიწერია, არც ვიჩემებ, რომე არა აკლდეს რა: ბევრი ასეთი საჩივრები არის და მოვა, რომე ზოგი ვერ მოვიგონეთ და არც მისწვდების კაცის გონება, ვინც მიხვდეს რასმე და მოიგონოს, ჩაუროთ და ჩასწეროს, კარგსა და მართებულსა იქს“. სასამართლო პრაქტიკის ეს წესი დამაზახიათებელია საერთოდ ფეოდალური სასამართლო წარმოებისათვის. ფეოდალიზმის პირობებში მოსამართლეთა მოღვაწეობის ასეთი თავისუფლება იმით აიხსნება, რომ სახელმწიფოს საკანონმდებლო მოღვაწეობას სამართლის დარგში ჯერ კიდევ არა აქვს წამყვანი როლი. ამ დროს სამართლის ძირითად წყაროს ადამი წარმოადგენს, რაც მოსამართლეს ფართო შემოქმედებით შესაძლებლობას აძლევს ახალი ნორმების შექმნის საქმეში. კანონი უფრო გვიან იქერს წამყვან ადგილს სამართლის სხვა წყაროებს შორის. კანონი მხოლოდ ფეოდალური დაქუცმაცების დასასრულსა და აბსოლუტიზმის დასაწყისში ხდება სამართლის ძირითადი წყარო.

ეს ზოგადი დებულება მთლიანად ვრცელდება ბექა-ალბუღას სამართალზედაც. სამცხე-საათაბაგო საქართველოს მეფისაგან განდგომილ ფეოდალურ სამთავროს წარმოადგენდა. ამიტომ ბუნებ-

რივია, რომ მაშინ სასამართლო პრაქტიკას სამართლის შექმნაში დიდი როლი უნდა შეესრულებინა. სასამართლო პრაქტიკის გამოყენების აუცილებლობა მკაფიოდ არის დასაბუთებული ვახტანგის სამართლის წიგნის ზემოპოყვანილ წინასიტყვაობაში. კანონი ვერ ამოსწურავს ცხოვრების შემთხვევათა მრავალფეროვნებას, ამიტომ მასში აღვილი აქვს ხარვეზებს, ბევრი რამ აკლია, გამორჩენილია. თანაც ძნელია კანონმდებლობაში ყველა ხასიათის საქმეთა გათვალისწინება, რადგან მას ვერ „მისწვდების ჯაცის გონება“. ამ მოსაზრებათა გაპო კანონმდებელი ანიჭებს მოსამართლეს ნორმატიული შემოქმედების უფლებას სამართლის დარგში და მიუთითებს: ვინც რასაც მიხვდეთ და მოიგონოთ, ჩასწერეთ და კანონებში ჩაურთეთ, კარგსა და სამართლიან საქმეს გააკეთებთო. ამ გზით სასამართლოს ცოლვაწობის შედეგად შექმნილი ნორმები მათი ხანგრძლივი გამოყენების საფუძველზე მოქმედი სამართლის სავალდებულო ნორმა ხდება.

ბეჟა-აღბუღას სამართლის წიგნში სასამართლო პრაქტიკის გამოყენების საქმეში დიდი როლი შეასრულა შუაჯაცთა და ბჭეთა სასამართლომ, რაც ნათლად ჩანს აღნიშნული კანონმდებლობის სათანადო მუხლებიდან. შუაჯაცთა მომრიგებელი სასამართლო ადათობრივი სამართლის ნორმებით ხელმძღვანელობდა. მოდავე მხარეები შუაჯაცებად, ანუ მედიატორეზად, მხცოვან ადამიანებს ირჩევდნენ, რომლებიც კარგად იცნობდნენ ძველ წესებსა და ჩვეულებებს. შუაჯაცთა მოვალეობას მოდავე ეხარეთა შერიგება წარმოადგენდა, რითაც ზღვარი ედებოდა ქიშპობასა და შურისძიებას. შუაჯაცთა სასამართლოს გადაწყვეტილება ხშირად სავალდებულოდ ითვლებოდა მხარეებისათვის. ბეჟა-აღბუღას სამართლიდან ჩანს, რომ შუაჯაცთა ანუ მედიატორეთა სასამართლოს საკმაოდ მსაშენელოვანი როლი ჰქონდა მიკუთვნებულნი.

სამართლის წიგნის იმ მუხლების ანალიზიდან, რომლებშიც აღნიშნულია შუაჯაცთა ინსტიტუტი, ჩანს, რომ შუაჯაცებს სხვადასხვა სადაო საქმეებისა და დანაშაულებათა განსახილველად ირჩევდნენ. მედიატორეთა მონაწილეობით გარჩეული უნდა იქნას მსუბუქი ქრილობის საქმე. შუაჯაცებმა უნდა შეარიგონ მოდავე მხარეები. -- „საპატიო კაცთა შუა შემოსვლითა... დაუურვებინონ“. მედიატორენი საპატიო კაცთა რიცხვიდან უნდა იქნენ არჩეულნი, რაც გულისხმობს არა მარტო ხნირსა და გააოცდელ ადამიანებს, არამედ ქონებრივ მდგომარეობასაც. შუაჯაცნი ზოგჯერ მძიმე ხასიათის საქმეებსაც იხილავდნენ. როცა ბოროტმოქ-

მედნი თავს დაესხმიან ოჯახს გაძარცვის, ან შერცხვენის მიზნით, საქმე მედიატორეთა სასამართლომ უნდა განიხილოს. შესაძლებელია, რომ დაზარალებული შეურიგდეს თავდამსხმელს და შუაქაცთა რჩევით იმაზე ნაკლებ სისხლს დასჯერდეს, ვიდრე კანონით არის დადგენილი („თუ უმცროსთა დასჯერდეს ქაცთა შუა შემოსვლითა“). ეს საკვირველი არ არის და, პირიქით, მოსაწონია, ამბობს კანონმდებელი. თუ დანიშნულ საცოლოს სხვა ცაკი მოიტაცებს, ორივე მხარემ უნდა აირჩიოს შუაქაცნი და მათი რჩევითა და მონაწილეობით მოსპონ შურისძიების საფუძველი („...სჯობს ორთავენი მოყვარენი ქაცნი შემოსახნენ შუა, და ქალისა ქმარმან მისაცემელითა რათმე გუდი დაუმკოს და ზევაი მოშალოს შუაქაცმან“). მითითება,— „ზევაი მოშალოს შუაქაცმან“, —ნათლად ადასტურებს, რომ შუაქაცთა სასამართლო არის მომრიგებელი სასამართლო, რომელიც არჩეულია მოდავე მხარეთა მიერ. პირუტყვის მიერ ყანის, ვენახის, ბოსტნისა ან სხვა რაინე გაშენებული ადგილის დაზიანების შემთხვევაში, სადაო საქმე უნდა გადაწყდეს შუაქაცთა მონაწილეობით, მამულის პატრონმა პირუტყვის პატრონს ზიანი უნდა „უზლოს შუათა დახედვითა“. ზიანი ანაზღაურებულ უნდა იქნას იმის მიხედვით, „როგორცა მეზობელსა დააფასონ“. შუაქაცნი მონაწილეობენ სამოქალაქო ხასიათის ისეთი საქმეების გარჩევაში, როგორიცაა სესხი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების განაღდება, ან დაგირავებული მამულის გამო წარმოშობილი ვალდებულება და სხვა. მამულის გირაენობის შემთხვევაში, როგორც კი მოვალე გადაიხდის ვალს, დებიტორსა და კრედიტორს შორის ანგარიში უნდა გასწორდეს იმ შემოსავლის მიხედვით, რომელიც კრედიტორმა მიიღო დაგირავებული მამულიდან— „ვითაცაღა ექმევინოს და შუათაღა დაჰხედნეს, აგრე დააკლონ“, ე. ი. რა შემოსავალიც მიიღო კრედიტორმა დაგირავებული მამულიდან, უნდა გამოეჯიბოს ვალის ანგარიშში. „პატრონსა ყმათა შუა ... საბატონეწო სამდურავიც“ შუაქაცთა მონაწილეობით უნდა იქნეს გარჩეული. აქ კანონმდებელს მხედველობაში აქვს ფეოდალური კლასის წარმომადგენელთა შორის წარმოშობილი სადაო საქმე. „პატრონი“ აქ გულისხმობს დიდ ფეოდალს, სენიორს, მთავარს, ხოლო „ყმავასალს, პატრონის ხელქვევითს, უფრო ნაკლები შეძლების მქონე მემამულეს. ასეთი სადაო საქმის განხილვის დროს კანონი მოითხოვს სამართლიან და პირუთვნელ შუაქაცთა არჩევას. მოდავე

მხარეები მათი მონაწილეობით უნდა შერიგდნენ, — „მართლითა და უთნევაართა შუათა... მოიზავნენ“.

აღბულას სამართლის 92-ე მუხლის მიხედვით, თუ ვინმე დაკარგულ პირუტყვს აღმოაჩენს და ამის შესახებ პატრონს არ გაუზახელს, ასეთი მოქმედება განიხილება. როგორც ქურდობის მსგავსი შემთხვევა. ამასთან, თუ ნაპოვნი პირუტყვი, ან ნივთი, შრომის ან გაქირავების გამო დაზიანდა, დამნაშავე ვალდებულია პირუტყვის პატრონს შუაკაცთა მონაწილეობით აუნაზღაუროს ზიანი („კაცთა ხედვითა იგიცა უზღოს უსიტყვოდ“). სამართალი არ მიუთითებს განსაზღვრულ სანქციაზე და საზღაურის ოდენობის დადგენას თვით მოსამართლეებს აკისრებს. კანონმდებელი არც სხვა შემთხვევებში განსაზღვრავს სასჯელს და ამის დადგენას მოსამართლეებს ანდობს, — „ბრკობამან და წესმან სისხლი მართალი დაუურვებინოს მართლადო“. სამღურავის გამო თუ ვინმემ საქორწინო საჩუქარს — „სანიქარის“ — ან მიცვალებულის წასახურავად საჭირისუფლო დახმარების მიცემაზე უარი თქვა, როცა საქმეს „სამართლო გაარჩევს, უნდა გადაიხადოს („ოდეს ცაღწა გაიბკობიან, და ურვებ.ა.ს. ემართლების დაუკლებლად“). კანონმდებელს აღნიშნული აქვს, რომ ცხოვრებაში „მრავალგვარნი საქმენი არიან“ და ასეთი საქმეების განხილვისას მოსამართლეებმა უნდა დაადგინონ საქმის ვითარება, რასაც „ბჭეთაგან კარგა გავმონახვა უნდაო“. პატრონ-ათაბაგის მითითებით მოსამართლეებს შეუძლიათ მძიმე დანაშაულის საქმეც განიხილონ და მათი შეხედულებით სათანადო სასჯელი დააწესონ. დამნაშავესა და დაზარალებულს არა აქვთ უფლება გაასაჩივრონ ასეთი გადაწყვეტილება, — „ბკობითა არცა რას მაშინ ემართლების“.

„ბჭე“ ბეჭა-აღბულას სამართლის მიხედვით, ნამდვილი მოსამართლე ანუ ხელისუფლების წარმომადგენელია. შეიძლება ბჭეს სხვა აღმინისტრაციული ან სამოხელეო თანამდებობაც ჰქონდეს, მაგრამ მისი სასამართლო ხელისუფლება კერძო ინიციატივის საფუძველზე ვერ ხორციელდება, არამედ საჯარო ხელისუფლების მიერ დაკისრებული მოვალეობაა. ამიტომ მცდარია ვახტანგის კანონების რუსული გამოცემის რედაქტორის, ისტორიკოს დ. ბაქრაძის აზრი იმის შესახებ, რომ ბეჭა-აღბულას კანონების მიხედვით ბჭეთა სასამართლოს ჯერ კიდევ არა აქვს ნამდვილი სასამართლოს ხასიათი. მისი აზრით ბჭეს მოდავე მხარეები ირჩევიდნენ ან ნიშნავდნენ შემთხვევითი, მაგრამ კვიანი და საპატიო მცოვანი აღა-



მიანებისაგან დავის განხილვისა და გადაწყვეტისათვის<sup>1</sup>. ბეჟა-ალბულას სამართლის მიხედვით ბჟე ნამდვილი მოსამართლეა და მის გადაწყვეტილებას სავალდებულო ძალა აქვს.

ბეჟა-ალბულას კანონები შუაკაცთა და ბჟეთა სასამართლოს თავისუფალი მართლშემოქმედებისათვის დიდ უფლება-მოსილებას ანიჭებს. სასამართლო საქმე განიხილეთ, შეათვასეთ და თქვენი შეხედულებით გადაწყვიტეთო, ეუბნება მოსამართლეებს კანონმდებელი. ასეთ პირობებში ბუნებრივია, რომ მოსამართლეთა გადაწყვეტლება ახალ ნორმას ჰქმნიდა, რომელიც კანონის ძალას ღებულობდა. აქედან ცხადი ხდება, რომ სასამართლო პრაქტიკა ბეჟა-ალბულას სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა.

ამრიგად, სამართლის წიგნის ძირითად წყაროებს შეადგენს ~~აღდა-~~ თობრივი სამართალი, კანონმდებლობა, საეკლესიო სამართალი და სასამართლო პრაქტიკა.

<sup>1</sup> Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1887 г., гл. 83.

## IV. სანივთო სანართალი

სანივთო სანართალი საშოქალაქო სამართლის დარგია, რომელიც აწესრიგებს საკუთრების უფლების, გირავენობისა და სერვიტუტების, ანუ სხვისი ნივთით სარგებლობის უფლების საკითხებს. სანივთო სანართლის ძირითად ინსტიტუტს საკუთრების უფლება შეადგენს, გირავენობისა და სერვიტუტების უფლებას დამხმარე, სუბსიდიური მნიშვნელობა აქვს.

კ. მარქსი საკუთრების ცნებას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „საკუთრება არის ბუნების საგნების ზითვისება ინდივიდის მიერ განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმის შიგნით და მისი მეშვეობით“<sup>1</sup>. საკუთრება არის ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება საგნების მითვისების განო, ე. ი. საკუთრება თვით წარმოადგენს საზოგადოებრივ ურთიერთობას. ყოველ საზოგადოებას საკუთრების ანუ მითვისების განსაზღვრული ფორმა აქვს.

საკუთრების უფლება. ყოველ კლასობრივ საზოგადოებას თავისი საკუთრების უფლება აქვს, რომლის საფუძველს კერძო საკუთრება შეადგენს. საზოგადოების კლასებად დაყოფასთან და სახელმწიფოს წარმოშობასთან ერთად ჩნდება საკუთრების უფლებაც. საკუთრება, როგორც უფლებრივი ინსტიტუტი, არის იმ ნორმების სისტემა, რომელნიც განაპყრობენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს საწარმოო საშუალებათა განაწილების სფეროში და მათ მიერ შეპირობებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს კლასობრივ საზოგადოებაში მოხმარების საგნების განაწილების დარგში<sup>2</sup>. საკუთრების უფლების შინაარსს სამი ძირითადი უფლება-მოსილება შეადგენს: ნივთის მფლობელობა, სარგებლობა და განკარგულება.

საკუთრების ინსტიტუტის შესწავლისას განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს მფლობელობის უფლების დახასიათებას. მფლობელობა საკუთრების უფლების ელემენტს, მის უფლებამოსილებას შეადგენს. „კერძო საკუთრების საკუთარი საფუძველი, ფლობა,

<sup>1</sup> Маркс и Энгельс, Соч., т. XII, ч. I, стр. 177.

<sup>2</sup> Советское гражданское право, т. I, 1950, стр. 264.

არის ფაქტი, აუხსნელი ფაქტი და არა უფლება. მხოლოდ იურიდიულ განსაზღვრათა მეოხებით, რომლებსაც საზოგადოება აძლევს ფაქტიურ ფლობას, იძენს ეს უკანასკნელი უფლებრივი ფლობის, კერძო საკუთრების თვისებას<sup>1</sup>. ამრიგად, მფლობელობა საკუთრების ფაქტიური მხარეა. სწორად მფლობელობა და საკუთრება ერთმანეთს ეძთხვევა: როგორცერთი, ისე მეორე გამოხატავს ნივთზე მისი მესაკუთრის ბატონობას. მაგრამ თავისთავად მფლობელობა ნივთზე ფაქტიური ბატონობაა, რომლის არსებობა დამოკიდებული არ არის საკუთრების უფლების არსებობაზე. მფლობელი შეიძლება არამესაკუთრეც იყოს, ხოლო მესაკუთრე შეიძლება არ ფლობდეს საკუთარ ნივთს.

საკუთრების უფლების ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ნივთთა კლასიფიკაციას. სხვადასხვა ეპოქის სანივთო სამართლის განხილვისას ჩვენ ვხედავთ, რომ არსებობს ნივთების დაყოფა, მათი კლასიფიკაცია განსაზღვრული ნიშნების მიხედვით. ძველი რომის სამართლის განვითარების პირველ პერიოდში არსებობდა ნივთების დაყოფა ორ ჯგუფად: *res mancipi* და *res nec mancipi*. პირველთა რიცხვს ეკუთვნოდა პირველ ხანებში რომის ახლო მდებარე მიწები, ხოლო შემდეგ იტალიის მიწებიც, შენობები. სოფლის სერვიტუტები, მონები და მიწის დასამუშაველად განკუთვნილი პირუტყვი. *Res nec mancipi*-ს მიეკუთვნებოდა ყველა დანარჩენი ნივთი: ოჯახში სახნარი საგნები, მეურნეობის პროდუქტები, წერილფეხა საქონელი, ფული. ნივთების ეს კატეგორია აღინიშნებოდა აკრეფვე ტერმინით *proletium*, რაც ნიშნავდა როგორც უსულო, ი'ე სულიერ მოძრავ ქონებას. ნივთების ასეთი კლასიფიკაცია არ ეახვევა ახალი პერიოდის სამოქალაქო სამართალში მიღებული ნივთების დაყოფას უძრავ და მოძრავ ნივთებად.

ნივთების დაყოფას რომში საფუძვლად ედო ნივთების გასხვისების წესი. *Res mancipi*-ში შემავალი ნივთების გასხვისება მოითხოვდა ხუსტად დადგენილი ფორმალური და საზეიმო გარიგების წესის დაცვას, რასაც *mancipatio* ეწოდებოდა, მაშინ როცა *res nec mancipi*-ს ნივთების გასხვისება ნივთის უბრალო გადაცემით (*traditio*) ხდებოდა. ნივთების ეს დაყოფა იმპერიის პერიოდში თავის მნიშვნელობას კარგავს. პრინციპატის პერიოდში რომაელმა იურისტებმა შეიმუშავეს ნივთების სხვა კლასიფიკაცია. იურიდიული

<sup>1</sup> Манкс и Ингельс, Соч., т. I, 635.

მნიშვნელობის ექონე ნიშნების მიხედვით შემოღებული იქნა ნივთების რამდენიმე სახეობად დაყოფა: ნივთები, რომლებიც შეიძლება იყოს კერძო საკუთრებისა და გარიგებათა საგანი (*res in commercio*) და ნივთები, რომლებიც არ შეიძლება ცალკეულ ადამიანებს ეკუთვნოდეს (*res extra commercium*), რომელთა რიცხვში შედიოდა ჰაერი, მდინარი წყალი, ზღვა, სახელმწიფო მიწები, მონები, გზები, ქალაქის გალავნები, უპატრონო ნივთები, ტაძრები, საფლავები, კულტის ნივთები და სხვ. არსებობდა აგრეთვე ნივთების დაყოფა სხეულებრივ და უსხეულო, რთულ და მარტივ ნივთებად. ნივთების ეს კლასიფიკაცია გარკვეულ საფუძველზე იყო დაფუძნებული და ამის მიხედვით ნივთთა გასხვისება სხვადასხვა ფორმით ხდებოდა.

ნივთების უძრავ და მოძრავ ნივთებად დაყოფას რომის სამართალში არ ჰქონდა განსაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობა. „უძრავ ნივთებად“ (*res immobiles*) ითვლებოდა არა მარტო მიწის ნაკვეთები (*praedia, fundi*) და მიწის წილი, არამედ ყველაფერი რაც სხვისი შრომით იყო შექმნილი მესაკუთრის მიწაზე (ნაგებობა, ნათესი, ნარგავი და სხვ.). მათ მიმართ მოქმედებდა წესი „*superficies solo cedit*“ — „ზედაპირზე გაკეთებული მიწას მიეკუთვნება“. მოძრავი ნივთები (*res mobiles, per se moventes*) შეიცავდა ავეჯს, საოჯახო საგნებს, მონებსა და პირუტყვს. ნივთების უძრავ და მოძრავ ნივთებად დაყოფამ იმპერიის პერიოდში უფრო მკაფიო ფორმა მიიღო. უძრავი ქონების უფლების გადაცემა წესრიგდებოდა სპეციალური ნორმებით, რომლებიც მოითხოვდნენ სათანადო გარიგებათა საჯარობას. მიწის სამეურნეო დანიშნულების მიხედვით ასხვავებდნენ ქალაქის მიწის ნაკვეთებს (*praedia urbana*) და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებს (*praedia rustica*), რომელთაც მიეკუთვნებოდა სახნავ-სათესი, ქალა, მდელო, ტყე, საცხოვრებელი, საწყობი და სხვ. ქალაქისა და სასოფლო მიწის ნაკვეთების რეგლამენტაციაც განსხვავებული იყო. რომის სამართალმა შეიმუშავა საკუთრების ზოგადი ცნება (*dominium, proprietas*), როგორც ნივთზე მისი მესაკუთრის სრული და შეუზღუდველი უფლება<sup>1</sup>.

ფეოდალიზმის დროს საადგილმამულო საკუთრება იერარქიულად არის მოწყობილი. ფეოდალური საკუთრება, რომის მონათმფლობელური საკუთრებისაგან განსხვავებით, არ წარმოადგენს მთლიან, განუყოფელ საკუთრებას. საკუთრების უფლებამოსილება არ ეკუთვნის ერთ მესაკუთრეს, იგი დანაწილებულია ფეოდალური

<sup>1</sup> Римское частное право, 1948 г., стр. 158—160.

იერარქიის წარმომადგენელთა შორის, რომლებსაც მინიჭებული აქვთ საკუთრების ობიექტის მიმართ განსაზღვრული უფლებამოსილება, საკუთრების უფლება ფეოდალიზმის დროს დანაწევრებულია. ფეოდალური სანიეთო სამართლის ძირითად ობიექტს მიწა შეადგენს. საკუთრების სამი უფლებამოსილება: მფლობელობა, სარგებლობა და განკარგულება მიწაზე შეტად რთულ და მრავალნაირ სანიეთო უფლებათა სისტემას ქნის ფეოდალიზმის დროს. საკუთრების უფლების ასეთ დაყოფას ფეოდალურ სამართალში *dominium divisum* ეწოდება. ამის გამო საადგილმანულო საკუთრება ითვლება განსხვავებულ სანიეთო უფლებათა ობიექტად. ფეოდალური სამართალი საადგილმანულო საკუთრების ორ ძირითად დაყოფას იცნობს: *dominium directum*—პირდაპირი ანუ უმაღლესი საკუთრება და *dominium utile*—დაქვედებარებული ანუ პრაქტიკული საკუთრება. პირველი ეკუთვნოდა მიწის მესაკუთრეს, პატრონს — *dominus directus*, ხოლო მეორე—მიწით მოსარგებლეს, ხელქვეით მემამულეს, ვასალს—*dominus utilis*. ფეოდალური საკუთრების უფლება არასრული, განსაზღვრულ პირობათა და ვალდებულებათა შესრულებასთან დაკავშირებული უფლებაა<sup>1</sup>. ამრიგად, რომის მონათმფლობელური სრული საკუთრების უფლებისაგან განსხვავებით ფეოდალური საკუთრების უფლება იერარქიული, დანაწევრებული და პირობითი ხასიათისა იყო.

ანგლო-საქსების ხანაში ინგლისის ფეოდალური სამართალი ასხვავებდა უძრავი საკუთრების ორ ძირითად სახეს: „ფოლკლენდსა“ (*folkländ*) და „ბუკლენდს“ (*bocklänđ, booklänđ*). პირველი ეწოდებოდა მიწის იმ ნაკვეთებს, რომელთა მფლობელობა განისაზღვრებოდა ადგილობრივი ადათებით. ფოლკლენდი თემური მიწათმფლობელობის ფორმაა, იგი დიდი ოჯახების განკარგულებაში იყო და მისი გასხვისება შეიძლებოდა მხოლოდ ოჯახის წევრთა თანხმობით. ფოლკლენდი მემკვიდრეობით გადაეცემოდა მხოლოდ კანონიერ მემკვიდრეებს. „ბუკლენდი“ კი ეწოდებოდა მიწის იმ ნაკვეთებს, რომელთა მფლობელობა დაფუძნებული იყო მეფის მიერ გაცემული ბოძების სიგელზე და მესაკუთრესაც შეეძლო მისი გასხვისება თავისი შეხედულებისამებრ. ფოლკლენდისაგან განსხვავებით, ბუკლენდის გადაცემა შეიძლებოდა ანდერძითაც.

შუა საუკუნეების ინგლისის სანიეთო სამართალი არ იცნობს ნივთების დაყოფას უძრავ და მოძრავ ნივთებად. იგი ასხვავებს

<sup>1</sup> А. В. Венедиктов, Государственная социалистическая собственность, 1948 г., гл. 109.

საკუთრების ორ სახეობას: 1. „სანივთო საკუთრებას“ (real property, real estate), რომელიც შეიცავს საადგილმამულო საკუთრების უფლებას, დოკუმენტებს, რომლებიც განსაზღვრავენ ამ უფლებამოსილებასა და ადგილმამულთან დაკავშირებულ საგნებს. 2. „პირად საკუთრებას“ (personal property, personal estate), რომელიც შეიცავს დანარჩენ ობიექტებსა და უფლებას. თავის მხრივ ეს უკანასკნელი იყოფა ობიექტთა ორ სახეობად: ა) მფლობელობაში მყოფ საგნებზე (Choses in possession და ბ) სარჩელებად (Choses in action), ე. ი. უფლებებად, რომელთაც არა აქვთ ნივთიერი სუბსტრატი—საავტორო უფლება, საპატენტო უფლება, ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება, უფლება ზიანის ანაზღაურებაზე, ამიანაგობის ხელშეკრულებაში მონაწილეობის წილზე და სხვა. (საკუთრების უფლება მიწაზე, ერთის მხრივ, და პირადი საკუთრება, მეორეს მხრივ, ნორმირებულია არსებითად განსხვავებული წესებით. მიწის საკუთრების უფლება დანაწევრებული იყო და მისი გადაცემა მოითხოვდა რთულ ფორმლობათა დაცვას, მაშინ როცა პირადი საკუთრების უფლების გადაცემა არ იყო შეზღუდული და ჩვეულებრივი წესით ხდებოდა!).

საადგილმამულო საკუთრების უფლება შუა საუკუნეების ინგლისის სანივთო სამართლის წიხედვით მფლობელობის რამდენიმე სახედ იყოფოდა: სრულ და თავისუფალ მფლობელობად (estate in freehold), შეზღუდულ და დამოკიდებულ მფლობელობად (estate in copyhold), და მთელსიცოცხლივ მფლობელობად (estate for life).

ფეოდალური სანივთო სამართალი, რომის სამართლისაგან განსხვავებით, არ ავლენდა მკაფიო ზღვარს საკუთრების, მფლობელობის, გირავნობისა და სხვისი ნივთით სარგებლობის. როგორც სანივთო უფლებრივი ბატონობის, ცალკეულ ფორმებს შორის. ფეოდალურ სანივთო სამართალში საადგილმამულო საკუთრების ცნება გულისხმობდა მამულის სრულ კერძო გასასხვისებელ საკუთრებას (allod), მამულის მემკვიდრეობით მფლობელობას (feodum), მფლობელობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში (beneficium) და ვადიან მფლობელობას, რომლებიც შეიცავდნენ ხან სარგებლობისა და ხან განკარგულების უფლების უპირატეს ბატონობას ნივთის მიმართ.

ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები არ იცნობენ საკუთრების ცნების მკაფიო განსაზღვრას. სალიკური სამართლის

<sup>1</sup> Всеобщая история государства и права, т. III, 1947 г., стр., 50—51.

(Lex Salica) ტერმინები dominus და res sua გულისხმობდა როგორც მესაკუთრესა და საკუთარ ნივთს, ისე სანიეთო უფლებამოსილების მქონე სხვა პირსა და უფლებასაც. სალიკური სამართლის მიხედვით ადგილ-მამული ოჯახის წევრთა საკუთრებაა და მისი გასხვისება არ შეიძლება მათი თანხმობის გარეშე. უძრავი ქონების ანდერძით მემკვიდრეობა აკრძალულია. ქალიშვილებს უფლება არა აქვთ დაიმკვიდრონ უძრავი ქონება („ადგილ-მამული არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს ქალს მემკვიდრეობად, არამედ მთელი მიწა გადავიდეს მამაკაცების, ე. ი. ძმების ხელში“)<sup>1</sup>. ამასთან, გადმონაშთის სახით შენარჩუნებულია საადგილმამულო თემური საკუთრების ზოგიერთი დამახასიათებელი ნიშანიც. სალიკური სამართლის XLV ტიტულის თანახმად, გარეშე პირს უფლება არა აქვს ჩასახლდეს სხვა თემში, თუ თემის ყველა „მცხოვრები არ მოისურვებს მის მიღებას“. ერთი კაციც რომ ჩასახლების წინააღმდეგ წავიდეს, გარეშე პირი არ იქნება მიღებული საადგილმამულო თემის, ანუ მარკის წევრად. მაგრამ, თუ ჩასახლებულს ერთი წლის განმავლობაში არავითარი პროტესტი არ წარედგინება, იგი ხელუხლებელი უნდა დარჩეს.

VI საუკუნეში მიწის საკუთრების ინდივიდუალიზაციის შედეგად მოხდა მიწის ნაკვეთების დაქუცმაცება, წარმოიშვა კერძო საადგილმამულო საკუთრება ალოდის სახელწოდებით. „ალოდი თავისუფლად გასასხვისებელი მიწის საკუთრება“ იყო<sup>2</sup>. ალოდი მიწის თავისუფალი სამემკვიდრეო საკუთრებაა, რომელიც იმყოფება მისი მესაკუთრის სრულ განკარგულებაში. სალიკური სამართალი კრძალავს ალოდის მემკვიდრეობით გადაცემას გარეშე პირებზე. ალოდი კანონიერ მემკვიდრეებს ეკუთვნით. საადგილმამულო მფლობელობის მეორე ფორმას ფრანკების პერიოდში ბენეფიციუმში წარმოადგენდა. დროთა განმავლობაში, ფეოდალიზაციის პროცესის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ალოდმა თანდათანობით ადგილი დაუთმო ბენეფიციუმს, ანუ მიწის პირობით მფლობელობას, რომელიც მოითხოვდა განსაზღვრული სამსახურისა და ბეგარის შესრულებას.

XI საუკუნიდან საადგილმამულო მიწათმფლობელობის გაბატონებულ ფორმად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში იქცა ფეოდი, რომელსაც ემთხვევა მიწის ბენეფიციური მფლობელობა. ლომბარ-

<sup>1</sup> ი. დოლიძე, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, 1950 წ., გვ. 47.

<sup>2</sup> Маркс и Энгельс. Соч., т. XVI, часть I, стр. 392.

დიის ფეოდალური სამართლის წიგნები (*Libri feudorum*), რომლებიც შედგენილია XII საუკუნეში, სიტყვებს—*beneficium*-სა და *feod*-ს უკვე ერთნაირი მნიშვნელობით ხმარობს. ფეოდი (*feod, fief, fee, Lehu, вотчина*, მამული) საადგილმამულო საკუთრების მემკვიდრეობითი მფლობელობაა, რომელიც დაკავშირებულია სენიორისა და ვასალის ფეოდალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ორმხრივი პირობების დაცვასთან—ვასალის მხრით სენიორის ერთგულებისა და სხვადასხვა ხასიათის სამსახურის შესრულებასთან, ხოლო სენიორის მხრით ვასალისათვის მფარველობის გაწევასთან.

ფეოდალიზმის კლასიკურ ქვეყანას საფრანგეთი წარმოადგენდა. შუა საუკუნეების საფრანგეთის ფეოდალურ სანივთო სამართალში საადგილმამულო ურთიერთობის განმსაზღვრელი ფორმულა იყო *Nulle terre sans seigneur*—„არ არის მიწა სენიორის გარეშე“, ე. ი. არ არსებობს ადგილ-მამული პატრონის გარეშე. ყოველი მიწა, რომელიმე სენიორის ანუ პატრონის საკუთრებას შეადგენს, მის იურისდიქციაში იმყოფება. XII საოკუნის მეორე ნახევრიდან ფეოდალური სანივთო სამართლის აღნიშნული ფორმულა გულისხმობდა, რომ მიწის მფლობელი ფეოდალურ დამოკიდებულებაში უნდა იყოს რომელიმე სენიორთან ანუ პატრონთან. „არ არის მიწა სენიორის გარეშე“ გულისხმობს, რომ ფეოდალური დამოკიდებულება მიწის მფლობელობის აუცილებელი პირობაა. საადგილმამულო ურთიერთობის ეს პრინციპი განმტკიცებელი იყო ჩრდილოეთ საფრანგეთის ფეოდალურ სამართალში, რომლის ძირითად წყაროს ადათობრივი ანუ კუტიუმების სამართალი შეადგენდა. სამხრეთ საფრანგეთში, სადაც ადგილი ჰქონდა რომის სამართლის ძლიერ გავლენას და მიწის თავისუფალი ალოდური საკუთრება უფრო გავრცელებული იყო, აღიარებულ იქნა საწინააღმდეგო პრინციპი „*Nul seigneur sans titre*“—„არ არის სენიორი ტიტულის გარეშე“, არ არსებობს პატრონი უტიტულოდ. სანივთო სამართლის აღნიშნული დებულება ნიშნავდა, რომ მიწები თავისუფალია და პრეტენზიის დასასაბუთებლად სენიორს უნდა ჰქონდეს სადავო მიწაზე თავისი უფლების დამამტკიცებელი ტიტული. ფორმულა „არ არის სენიორი უტიტულოდ“ გამოხატავდა შეზღუდვას ფეოდალური სანივთო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპისას, რომელიც მიწის პირობითსა და დამოკიდებულ მფლობელობაში მდგომარეობდა.



ფეოდის, როგორც საადგილმამულო მფლობელობის გაბატონებული ფორმის, ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ იგი არ შეადგენს ვასალის სრულ საკუთრებას და სენიორი მთლიანად არ კარგავს მასზე საკუთრების უფლებას. სენიორს ანუ პატრონს შეეძლო ფეოდი, რომელზედაც მისი ვასალები იხდნენ, გადაეცა სხვა სენიორისათვის. სენიორის, როგორც მიწის მესაკუთრის თანხმობა აუცილებელი იყო, როცა ვასალი ადგილმამულზე თავისი უფლებების გასხვისებასა და სხვაზე გადაცემას მოისურვებდა. ვასალის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემთხვევაში ბეთალმანი ფეოდი სენიორს, ანუ პატრონს უბრუნდებოდა. XIII საუკუნემდე ვასალის უფლებამოსილება ფეოდის განკარგულების საქმეში მეტად შეზღუდული იყო. (ვასალს სენიორის თანხმობის გარეშე არ შეეძლო ფეოდის გაყიდვა, ან ინფეოდაციის წესით მისი გადაცემა თავის ვასალზე. თუ ვასალი ფეოდს გაყიდა, სენიორი გამოიყენებდა ფეოდზე „ხელის დადების“ უფლებას, რაც ფეოდის უსასყიდლო ჩამორთმევას ნიშნავდა მყიდველისაგან.) XIII საუკუნიდან კუტიუმების სამართალმა დაუშვა ფეოდის გასხვისების უფლება ახალი ვასალის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საშაახურისა და ვალდებულებათა შესრულების პირობით. ამასთან, სენიორი ფეოდის განსხვისებელი ვასალისაგან საგრძნობ გადასახადს იღებდა და ინარჩუნებდა უფლებას ფეოდის დაბრუნებაზე, თუ ფეოდის მყიდველ ვასალს გადახდილ ფასს აუნაზღაურებდა. სენიორის თანხმობა საჭირო იყო აგრეთვე ფეოდის ნაწილობრივი გასხვისებისა და სუბინფეოდაციისათვისაც, ე. ი. ისეთი შემთხვევისათვის, როცა ზემდგომი სენიორის ვასალი თავის მხრივ ფეოდს უთმობდა საკუთარ ვასალს და ამ უკანასკნელის სენიორი ხდებოდა. (ამრიგად, ვასალი ფეოდზე ახორციელებდა მფლობელობისა და სარგებლობის უფლებამოსილებას, მაგრამ სენიორისაგან, როგორც მესაკუთრის მიერ, შეზღუდული იყო ფეოდის განკარგულების უფლებებში.) ფეოდი ვასალის მემკვიდრეებს გადაეცემოდა, რომლებიც ფეოდის ერთი წლის შემოსავლის ოდენობით გადასახადს (რელიფს) აძლევდნენ სენიორს. სიცოცხლეში კი ვასალი ფეოდის სრული შემოსავლით სარგებლობდა და არ იყო ვალდებული მიეცა სენიორისათვის შემოსავალი ან რაიმე პერიოდული გადასახადი.

ფეოდალურ სანიეთო სამართალში საკუთრების ინსტიტუტის უფლებამოსილებათა მეტად რთული იერარქიული სისტემა დიდ სიძნელეებს ქმნიდა იმის დასადგენად, თუ ვინ ან რა უფლებრივ საფუძველზე იყო საადგილმამულო საკუთრების უფლებამოსილი

პირი. ამიტომ X—XII სს. საფრანგეთის ფეოდალურ სანიქთო სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიიღო მფლობელობამ, როგორც ნივთზე ფაქტიურმა ჰბატონობამ. ადათობრივის, ანუ კუტიუმების სამართლის ნორმების მიხედვით საკმაო იყო ერთწლიანი მფლობელობის ხანდაზმულობის დამტკიცება კეთილსინდისიერი მფლობელობის უფლებამოსილებით აღკუთრვისათვის. XIII საუკუნეში რომისა და ბიზანტიის სამართლის გავლენით თანდათანობით დადგინდა მამულზე მფლობელობის ხანდაზმულობის ათ და ოცდაათწლიანი ვადები. ამავე დროს განვითარდა ძალმომრეობით დარღვეული მფლობელობის უფლების აღდგენის სარჩელი, რომელსაც *actio spoli* ანუ *reinte granda* ეწოდებოდა. „რეინტეგრანდეს“ სარჩელი საფრანგეთის სამოქალაქო სამართალმა შეითვისა კანონიკური სამართლიდან, სადაც იგი პირველად გამოყენებული იყო აღსადგენად თანამდებობიდან უსათუძვლოდ მოხსნილი ეპისკოპოსებისა თავის უფლებებში.

ფეოდალური ხელშეკრულების მიხედვით ადგილ-მამულზე სანიქთო უფლებათა გადაცემა რთული წესით ხდებოდა. ფეოდალური საადგილმამულო ხელშეკრულება ორი ძირითადი აქტისაგან შედგებოდა. ყოფილი ვასალი თავის სენიორს ფეოდის გაყიდვის ნებართვას სთხოვდა და შუამდგომლობდა, რომ გადასცემოდა მფლობელობის უფლება ახალ ვასალს. ფეოდის მყიდველი სენიორის წინაშე ღებულობდა ერთგულების ფიცს და კისრულობდა ფეოდალური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ხელშეკრულების ამ პირველ აქტს ომაჟი ეწოდებოდა. ამის შემდეგ სენიორი თავის ახალ ვასალს ფეოდის მფლობელობის უფლებას გადასცემდა, რაც სიმბოლიური წესით რაიმე ნივთის (მიწის ბელტის, მცენარის რტოს, დაშნის, ხელთათმნისა და სხვ.) გადაცემის სახით ხდებოდა. ხელშეკრულების ამ მეორე აქტს მფლობელობაში შესვლა ანუ ინვესტიტირა ეწოდებოდა<sup>1</sup>.

შუა საუკუნეების ქრონიკების მიხედვით სენიორისა და ვასალის ტიპური ფეოდალური ხელშეკრულება ვასალის მხრივ სენიორის მიმართ შეიცავდა შემდეგ ექვს ძირითად ვალდებულებას—*incolume, tutum, honestum, utile, facile* და *possibile*, რაც ნიშნავდა: *incolume*—ნუ მიაყენებთ ზიანს სენიორის სხეულს, *tutum*—ნუ გაცემთ მის საიდუმლოებას და ნუ ავნებთ მისი სიმაგრეების უშიშროებას, *honestum*—ნუ მიაყენებთ ზიანს

<sup>1</sup> Всеобщая история государства и права, часть II, 1947 г., стр. 120—124.

მის სასამართლო უფლებასა და ყოველივე იმას, რაც ეხება მის მდგომარეობასა და უფლებებს, utile—ნუ მიაყენებთ ზარალს მის სამფლობელოს, facile და possibile—ნუ შეუშლით წას ხელს იმ სარგებლობათა მიღებაში, რომლებიც მას ადვილად შეუძლია მიიღოს, და აგრეთვე ნუ გახდით მისთვის შეუძლებლად იმას, რაც შესაძლოა. მაგრამ იმისათვის, რომ ვასალმა დაინახაუროს ფეოდი, საჭიროა არა მარტო თავის შეკავება ზემოაღნიშნული მოქმედებებისაგან, არამედ კეთილის ყოფაც. ამიტომ ზემოაღნიშნულ ვალდებულებათა დაცვასთან ერთად ვასალმა, თუ მას სურს ღირსეულად დაჯილდოვებული იყოს ფეოდით, უნდა გაუწიოს სენიორს სამართლიანი რჩევა და დახმარება და უცვლელად დაიცვას ერთგულება, რომელიც სენიორს შეჰქვია. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აღიარებული იქნება მოღალატედ და ფიცის გამტეხ დანაშაუდს. თავის მხრივ სენიორიც ვასალის მიმართ ნაკისრ ვალდებულებათა ერთგული შემსრულებელი უნდა იყოს, თორემ კრობის წოშლა მიჩნეული იქნება ვერაგ, მუხანათურ ბოროტმოქმედებად<sup>1</sup>. ფიცის ფორმულებში განსაკუთრებით ხაზგასმულია ვასალის ერთგულებისა და საღაშქრო სამსახურის შესრულების მოვალეობა. ფეოდალური საფრანგეთის სენიორიულ-ვასალური ურთიერთვალდებულებათა დაწვრილებითი აღწერა მოკემულია ე. წ. „ერუსალიმის ასიზებში“, რომლებშიც ასახულია XI საუკუნის ჩრდილოეთ საფრანგეთის ადათობრივი ანუ კუტიუმების სამართალი<sup>2</sup>.

გერმანიისა და იტალიის ფეოდალური სანივთო სამართლის ინსტიტუტებისა და საადგილმამულო ურთიერთობათა უფლებრივი რეჟიმი მკაფიოდ დახასიათებულია XI—XII საუკუნის საკანონმდებლო ძეგლებში, განსაკუთრებით იმპერატორ ფრიდრიხ I-ის „რონკალის დადგენილებებში ფეოდის შესახებ“ და ლომბარდიის ფეოდალური სამართლის წიგნებში (Libri feudorum), რომელთა ნორმები რეცეპციებული იყო შუა საუკუნეების გერმანიაში<sup>3</sup>.

დამახასიათებელია, რომ ფეოდალურ სანივთო სამართალში მთელი საუკუნეების განმავლობაში არ იყო შენეშებული საკუთრების ზოგადი ცნება (dominium, proprietas). გერმანიის ფეოდალური სამართალი მხოლოდ XIII—XIV საუკუნიდან იცნობს სათა-

<sup>1</sup> Хрестоматия по истории средних веков, том I, 1939 г., стр. 141—142.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 147—152.

<sup>3</sup> Средновековье в его памятниках, под ред. Д. Н. Богрова, 1913 г., стр. 53—60.

ნადო ტერმინოლოგიას (Eigenschaft, Eigentum). რუსეთის სამართალში ტერმინი „существовать“ პირველად გვხვდება ეკატერინე II-ის 1767 წლის ნაკაზში, გენერალ პროკურორისადმი, ხოლო „право собственности“ 1782 წლის მანიფესტში. ეს ფაქტი იმით აიხსნება, რომ ფეოდალური ადათობრივი სამართალი — და საკანონმდებლო ძეგლები დიდხანს არ ასხვავებდნენ საკუთრებისა და მფლობელობის ცნებას და მათ განიხილავდნენ, როგორც ერთნაირი შინაარსის მქონე იურიდიულ ინსტიტუტს. მესაკუთრე იმავე დროს მფლობელიც იყო და, ვინც ფლობდა, მესაკუთრეც იყო. მფლობელობა თავისთავად შეიცავდა საკუთრების შინაარსს. გერმანული სიტყვა „gewere“ — ფლობა — XIII საუკუნემდე ნიშნავდა როგორც მფლობელობას, ისე საკუთრებასაც. ასეთი განუსხვავებლობა იმაშიც გამოიხატებოდა, რომ არ არსებობდა საკუთრებისაგან განსხვავებული მფლობელობის დაცვა. მფლობელობის სარჩელი იმავე დროს საკუთრების სარჩელიც იყო. გერმანული სამართლის მიხედვით მოძრავი საკუთრება მესამე პირის მიმართ ყოველთვის არ იყო დაცული აბსოლუტური სარჩლით. (სარჩლი მესაკუთრეს ჰქონდა იმ პირის მიმართ, რომელსაც მისცა თავისი ნივთი და არა ნივთის მყიდველის მიმართ) ეს წესი „საქსონიის სარკემ“ (წიგნი II, თავი 60, § 1) გამოხატა ფორმულით: „Hand muss Hand wahren“ — ხელმა უნდა გააფრთხილოს ხელი“ მესაკუთრეს სარჩლის უფლება ჰქონდა ნივთის კეთილსინდისიერად შემქენი პირის მიმართ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას მოპარავდნენ განსაზღვრულ ნივთს. „Русская правда“ — ში ეს სარჩელი ცნობილია „свюд“ — ის სახელწოდებით. )

რუსეთის სამართლის XIV—XV საუკუნის ძეგლები უკვე ასხვავებენ მთელ სიცოცხლივ მფლობელობას (пожизненное владение) საკუთრებისაგან და იცნობენ მფლობელობის განსაკუთრებულ დაცვას. „Псковская судная грамота“ მთელსიცოცხლივ მფლობელობას უწოდებს „кормя“ — ს. უკვე Новгородская судная грамотა შეიცავს მუხლს, რომელიც ასხვავებს საკუთრების დაცვას მფლობელობის დაცვისაგან. მე-10 მუხლში ლაპარაკია „наезд“ — ის, ანუ მფლობელობის შესახებ და მითითებულია, რომ სასამართლომ ჯერ უნდა აღადგინოს მფლობელობა, ხოლო შემდეგ საკუთრების უფლება მიწაზე.

რუსეთის სამართლის ცნობილი ისტორიკოსი ვ. სერგევიჩი უძრავ ქონებაზე საკუთრების ცნების წარმოშობის შესახებ რუსულ სამართალში წერს: „Самое слово собственности в древнее время

не было известно. Вместо него употреблялись описательные выражения: моя, твоя земля, моя купля, купля в прок, в дернь. Глагол купить в древнее время значил и наем, а потому для обозначения приобретения в собственность надо было прибавить: купил в прок, в веки, себе и детям, купил без выкупа<sup>1</sup>. აღწერილობითი ხასიათის გამოთქმები „в прок“, „на веки“ გამოხატავდა უფლების ხანგრძლივობას და არა საკუთრების სრულ უფლებამოსილებას.

საადგილმამულო მფლობელობის ფორმები დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან შედარებით რუსეთში უფრო გვიან წარმოიქმნა და ჩამოყალიბდა. მართალია, სიტყვა вотчина ძველ ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ მისი უფლებრივი შინაარსი განსხვავებულია. თავდაპირველად იგი ნიშნავდა უძრავ ქონებას, რომელიც მამას ეკუთვნოდა და შვილებს ეძლეოდა მემკვიდრეობის წესით. მხოლოდ მოსკოვის სახელმწიფოში ზიილო вотчина-მ ფეოდალს შინაარსი, რომელიც შეიცავდა მამულის საკუთრებიდან გამომდინარე უფლებამოსილებათა ერთობლიობას და გულისხმობდა არა მარტო მემკვიდრეობით მიღებულ უძრავ ქონებას, არამედ ყიდვა-გაყიდვის, ბოძების, ჩუქებისა და სხვა წესით შეძენილ უძრავ ქონებასაც.

რაც შეეხება поместье-ს, იგი თავისი შინაარსით დასავლეთ ევროპის ბენეფიციუმს გამოხატავს და გულისხმობს დროებითსა და პირობით მფლობელობას, რომელიც დაკავშირებულია განსაზღვრული სამსახურის შესრულებასთან. მის მფლობელს მხოლოდ ადგილმამულით სარგებლობის უფლება ჰქონდა, ხოლო განკარგულებისა და გასხვისების უფლებას მოკლებული იყო. მამულის მესაკუთრედ დიდი კნიაზი ანუ მეფე იყო. თუ მამულის მფლობელი მამულს არ გაუფრთხილდებოდა, მოვლა-პატრონობას მოაკლებდა, ცუცს გაჩეხდა და გლეხებს აყრიდა, იგი კარგავდა მფლობელობის უფლებას. ივანე მრისხანეს პერიოდის კანონმდებლობით მემამულის გარდაცვალების შემდეგ მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა ადგილმამული სხვა პირს გადასცემოდა, თუ შვილს ან შეეძლო იმ სამსახურის გაწევა, რასაც მამა ასრულებდა. გვიანფეოდალურ რუსეთში განსხვავება вотчина სა და поместье-ს შორის, ისე როგორც განსხვავება feod-სა და beneficium-ს შორის ევროპის ქვეყნებში XIII საუკუნის დასაწყისისათვის უკვე გაქრა.

მარქსიზმის კლასიკოსები გვასწავლიან, რომ თავდაპირველად საკუთრების უფლება აღმოცენდა პირადი მოხმარებისა და სარ-

<sup>1</sup> В. Сергеевич. Лекции и исследования по древней истории русского права, 1910 г., стр. 524—525.

გებლობის ნივთებზე. საკუთრების უფლება მოძრავი ქონების ობიექტებზე გაცილებით უფრო ადრე წარმოიშვა, ვიდრე წარმოების ძირითად საშუალებაზე—მიწაზე. სანივთო სამართლის ინსტიტუტების განვითარების ისტორიიდან ცნობილია, რომ მოძრავი ქონების საკუთრების უფლებამ დიდი გავლენა მოახდინა უძრავი ქონების საკუთრების უფლების წარმოშობა-განვითარებაზე.

ფ. ენგელსი მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი შრომის დანაწილების შედეგად მეჯოგეობის წარმოშობამ სულ მალე ისტორიული აუცილებლობით გამოიწვია კერძო საკუთრების უფლების აღმოცენება საქონელზე, პირუტყვზე, რომელიც სახელმწიფოსა და სამართლის განვითარების პირველ საფეხურზე ღირებულების საზომი ერთეულის, ფულის როლს ასრულებდა. „როცა ჯოგების კერძო საკუთრებაში გადასვლა დაიწყო, თანდათან გაძლიერდა აღებ-მიცემობა ცალკე პირებს შორის და შემდეგ აღებ-მიცემობა მხოლოდ ამ ფორმაში ხდებოდა. ხოლო მთავარი საქონელი, რომელსაც მეჯოგე ტომები თავიანთ მეზობლებს უცვლიდნენ, შინაური პირუტყვი იყო; პირუტყვი საქონელი გახდა, რომლითაც სხვა საქონელს აფასებდნენ და რომელსაც სიამოვნებით ღებულობდნენ აღებ-მიცემობაში; ერთი სიტყვით, პირუტყვმა ფულის ფუნქცია მიიღო და ფულის როლის შესრულება დაიწყო ამ საფეხურზე“<sup>1</sup>.

ძველი რომის სანივთო სამართალში pecunia-ს სახელწოდებით ცნობილი ქონება წარმოდგა სიტყვა pecus-იდან, რაც პირუტყვის, საქონელს ნიშნავს. ანალოგიურ მოვლენას ადგილი ჰქონდა ევროპის ხალხთა ისტორიაშიც. არსებობს აზრი, რომ ტერმინი feodum, რომელმაც შემდეგ შეცვალა სიტყვა beneficium, წარმოდგა ძველი გუთური სიტყვიდან „flui, flu“, რაც ნიშნავს პირუტყვის, საქონელს. როგორც არ უნდა იყოს ამ სიტყვების თავდაპირველი მნიშვნელობა, დადასტურებულია, რომ მოძრავი ქონებაზე საკუთრების უფლების აღმოცენება ისტორიულად წინ უსწრებდა უძრავ ქონებაზე კერძო საკუთრების წარმოქმნას, რაზედაც დიდი გავლენა იქონია პირველმა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის ადრინდელი ფეოდალური სანივთო სამართლის შესწავლა ცხადყოფს, რომ საკუთრების უფლების ცნების შემუშავება თავდაპირველად სწორედ მოძრავი ქონების ობიექტების მიმართ მოხდა. სალიკური სამართლის res sua, ან რუსული სა-

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 1933 წ., გვ. 162.

მართლის ძველი ძეგლების სიტყვა *имение* სწორედ კერძო მფლობელობაში მყოფ მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებას გამოხატავს.

ძველ რუსულ სამართალში სიტყვა „скот“ გამოხატავდა ფულს და მოძრავი ქონების სხვა ობიექტებს, ხოლო *имение*—მოძრავ ნივთებს. В древнейших памятниках общее наименование вещей есть *имение*, то, что может быть отделено от прочих вещей (взято в руки); этим словом обозначаются имело движимые вещи: Игорь желал взять у древлян больше „имения“; русские в византийской империи при Игоре „имения не мало взяли“. Название „вещь“ (или „речь“) хотя и встречается с древних времен в памятниках западно славянского законодательства (также в смысле движимых вещей) и в переводных русских, но в русском праве оно явится поздно<sup>1</sup>. ამრიგად, რუსეთის ძველ სამართალში „имение“ მოძრავი ნივთებისა და ქონების გამომხატველი ზოგადი ტერმინი იყო.

XIII—XIV საუკუნეების ქართული სანიეთო სამართლის ტერმინები სრულიად შეუსწავლელია. აღრიხდელი ხანის ტერმინოლოგია განხილული აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს „ქართული სამართლის ისტორიაში“. მისი აზრით ძველი ქართული სანიეთო სამართალი არ იცნობს ტერმინს „ნივთი“, რომელიც მოძრავი და უძრავი საგნების აღმნიშვნელი ზოგადი ცნებაა. ლათინური *res*-ის შესატყვისი ტერმინი უცნობია ქართული სამართლისათვის. არაწიგნების კლასიფიკაცია ჩანს „უძრავი“ და „მოძრავი“ ქონების მნიშვნელობით. უძრავ-მოძრავი საგნებისა და ნივთეულობის მნიშვნელობის აღმნიშვნელი უნდა იყოს ტერმინი „საჯმარნი“, მაგრამ იგი ნივთის, *res*-ის ზოგადი ცნების გამომხატველი მაინც არ იყო. უსულო მოძრავი ქონებისა და საკუთრების აღმნიშვნელ ტერმინად ძველ ქართულ მწერლობაში „ქურკელი“ იხმარებოდა, რაც ყოველგვარ ავეჯს, იარაღს, ძვირფასსა და მოძრავ განძეულობას ნიშნავდა.

ბასილ ზარზმელის თხზულებაში, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“, რომელიც დაწერილია X საუკუნის პირველ ნეოთხედში, აღნიშნულია. რომ უშვილო გიორგი ჩორჩანელმა სიკვდილის წინ ანდერძით „ყოველივე, რაცა აქუნდა, და მამული და ყოველი

<sup>1</sup> В. Ладимирский-Буданов. Обзор истории русского права, 1909 г., стр. 508.

ეკლესიანი და მონაგები მისი, დასა მისსა შეჰვედრა და შეილთა მისთა საკუთრებით განუთჳსაო<sup>1</sup>.

„მამული“ მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონებაა. XII საუკუნიდან „მამული“ დედის ნამზითვე უძრავ ქონებასაც შეიცავდა. „ადგილნი უმამულონი“ ან „უმკვდრონი“, რომელნიც დავით აღმაშენებლის უკანასკნელ ანდერძში გვხვდება, ისეთი ადგილი იყო, რომელსაც „მკვდრი“ ანუ მემკვდრეობითი მესაკუთრე არა ჰყავდა, რომელიც არავის კერძო საკუთრებასა და მამულს არ შეადგენდა<sup>2</sup>. სიტყვა „საკუთარი“ როგორც პირადი კუთვნილების აღმნიშვნელი ტერმინი გვხვდება ჯერ კიდევ V საუკუნის ძველში—„წამებაჲ შუშანიკისი“. ბ. ზარზმელის თხზულებიდან ზემოთ მოტანილ ამონაწერში „საკუთრებით განთჳსება“ სრულ, განუსაზღვრელ საკუთრებად გადაცემას ნიშნავს. ამასთან დაკავშირებით აკად. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ თუ ნანაძღე არა, ყოველ შემთხვევაში IX საუკუნიდან მოყოლებული, ამ სიტყვის არსებობა უცილობელ გარემოებად უნდა ივიჩნით<sup>3</sup>. საკუთრების აღსანიშნავად ძველ ქართულში სიტყვა „საზებუროც“ იხმარებოდა, რომელიც წარჩინებული საგვარეულოს წევრის საკუთრების აღმნიშვნელი იყო, მაგრამ IX საუკუნიდან ჰქრება და მის ადგილს იჭერს სიტყვა „სასეფო“. სიტყვა „საკუთარი“ თავდაპირველად მოსავლელის, საზრუნავისა და სათაყვანებელის აღმნიშვნელი ცნება უნდა ყოფილიყო, ხოლო „საკუთრებაჲ“ ლათინური proprietas. ფრანგული la propriété, გერმანული das Eigentum და რუსული ტერმინის собственность-ის შესატყვისი იყო<sup>4</sup>. მაგრამ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ევროპისა და რუსეთის ხალხთა სამართალში საკუთრების ზოგადი ტერმინი გაცილებით უფრო გვიან ჩნდება.

სრული საკუთრების გამომხატველი ტერმინია ძველადვე „მონაგები“, რომელიც გვხვდება ბ. ზარზმელის თხზულებაშიც. ეს ტერმინი ზოგადი მნიშვნელობის ცნების გამომხატველია და ნასყიდობით ან სხვა კანონიერი გზით შენაძენ ქონებას ნიშნავს. „მონაგები“ მისი მესაკუთრის სრული და შეუზღუდავი უფლებანოსილების ობიექტია.

<sup>1</sup> ძველი ქართული ლიტერატურის კრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილი ი. ს მიერ, 1946 წ., გვ. 9ა.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, 1929 წ., გვ. 390.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 392.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 391—395.



საკუთრების წარმოშობის ერთ-ერთ მთავარ წყაროს ძველ ქართულ სამართალში მემკვიდრეობა ანუ „მკვდრობაჲ“ წარმოადგენდა, ხოლო მემკვიდრეობით საკუთრების მიღებას „და მკვდრება“ ეწოდებოდა. საკუთრების გადაცემის აღმნიშვნელ ტერმინებად ძველ ქართულ მწერლობაში „განთვსება“ და „განსაკუთრება“ იხმარებოდა, რომლებიც შედეგ „დასაკუთრებამ“ შეცვალა. საკუთრების უფლების კანონიერი შეძენის საშუალებებია აგრეთვე „ნაშოები“, „სიგრძოთა ჟამთაჲ“ და „ნაქირები“. „ნაშოები“ საკუთრების იმ ობიექტებს გულისხმობდა, რომლებიც სახელმწიფოს ან კერძო მეომრის მიერ ბრძოლის ველზე იყო მოპოებული. ხანდაზმულობის ანუ „სიგრძოთა ჟამთაჲთა“ (longi temporis) გზით საკუთრების უფლების მოპოება შეიძლებოდა მიტოვებულ ან უპატრონო ქონებაზე, რომელსაც ძველ ქართულში „ოკერი“, „ოკერ-ქმნილი“ და „ნაოკარი“ ეწოდებოდა<sup>1</sup>. მფლობელობას ძალმომრეობისა და ნოტაციების ხასიათი არ უნდა ჰქონოდა. მფლობელობის საკუთრებად გადაქცევისათვის კანონით გათვალისწინებული ხანდაზმულობა იყო საჭირო. „ნაქირეებით“ ანუ კირნახულობით საკუთრების უფლების შეძენა უხმარი მიწის სახმარად გადაქცევისა და მის პირველად დამუშავება-გაშენებას გულისხმობდა. ამ შემთხვევაში მიწის დამმუშავებელი გარკვეულ უპირატესობასა და სარგებლობის უფლებას ღებულობდა, მაგრამ მიწის მესაკუთრე არ ხდებოდა. ასეთ უხმარ მიწაზე ვენახის გაშენებისათვის დამმუშავებელი ვენახის ნახევრის საკუთრების უფლებას ღებულობდა.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით IX—XIII საუკუნეების ქართული სამართალი იცნობს მფლობელობის ცნების აღმნიშვნელ ზოგად ტერმინს, რომელსაც „ქონება“ ეწოდება. ბასილ ზარზმელის თხზულებაში მფლობელობა ეწოდება ყოველივე იმას, „რაჲცა აქუნდა“ ამა თუ იმ პირს. მაგრამ „მამული“ და „მონაგები“ როგორც სრული უფლება-შოსილების შემცველი და საკუთრების გამომხატველი ტერმინები ცალკეა მოხსენებული. მაშასადამე, „მამული“ და „მონაგები“ საკუთრებას შეადგენს, ხოლო „ქონება“ კი მფლობელობას. „ქონება“ როგორც მფლობელობა და საკუთრების უფლების ერთ-ერთი ელემენტთაგანი, შეზღუდული უფლებამოსილებაა. IX—XII საუკუნეების ძეგლებში იგი დროებითი ან მთელ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, 5-კვთი მეორე, 1929 წ., გვ. 403.

სიცოცხლივ მფლობელობის აღმნიშვნელი ცნებაა. „ქონების“ განთვისების. გაყიდვისა თუ შეწირვის უფლება მის „მქონებელს“ ანუ ნფლობელს არ ჰქონდა. „ქონების“ ობიექტების გასხვისება მისი ნესაკუთრის თანხმობით ანუ „პატრონთა კითხვითა და ბრძანებითა“ უნდა მომხდარიყო. ნფლობელობა ანუ ქონება მემკვიდრეობათაჲც გადადიოდა, თუ მისი ნესაკუთრე ამ უფლებას მფლობელს რაიჲე მიზღვით არ ჩამოართმევდა. „ქონების“, როგორც მფლობელობის, შინაარსის გასარკვევად აკად. ივ. ჯავახიშვილი იმორწმებს მანდატურთუხუცესის კიაბერის შიო მღვიმისთავის მიცემული შეწირულობის წიგნს, სადაც ნათქვამია: „ჩემსა ჟინოვნისა ქონებასა შინა ვკადრე და მოვაქსენე ღთისა სწორსა მეფეთა-მეფესა თამარს და მათ მიერ ბრძანებითა და კითხვითა გკადრე და მოვაქსენე“. ანგვარად, ცხადი ხდება—დასკვნის აკად. ივ. ჯავახიშვილი, — რომ „ქონება“ კერძო საკუთრება კი არ იყო, არამედ მფლობელობა, ე. ი. უდრიდა იმას, რასაც რომაელები უწოდებდნენ *possessio naturalis* და გერმანელები *der Besitz*.

საკუთრების უფლების განსაზღვრულ ობიექტებზე მფლობელობის ან „ქონების“ უფლებამოსილება მფლობელს შეიძლებოდა მისცემოდა მემკვიდრეებისათვის გადაცემის უფლებითაც — „სამამულოდ და მკვდრად“, მაგრამ მემკვიდრეობით მიღებული უძრავი ქონება არც მფლობელისა და არც მისი შთამომავლობის კერძო საკუთრებად არ ხდებოდა<sup>1</sup>.

პროფ. ივ. სურგულაძე სტატიაში — „საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური სოციალურ-სამართლის ძეგლების წიხედვით“<sup>2</sup> — არ იზიარებს აკად. ივ. ჯავახიშვილის ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, რომ „ქონება“ მფლობელობას ნიშნავს. მისი აზრით, მანდატურთუხუცესის კიაბერის ზემოაღნიშნული სიტყვებიდან ჩანს, რომ საქმე ეხება ვასალურ-სენიორიულ დამოკიდებულებას, ფეოდალური საკუთრების უფლების დანაწევრების ფაქტს, რაც გამოიხატება პირველი სენიორის ანუ მეფის მოხსენიებაში. მიწა ფეოდალისთვის დროს სამეფო გადასახადის გაწერის ძირითად საფუძველს წარმოადგენდა, ამიტომ მეფე დაინტერესებული იყო, რომ მიწები ეკლესია-მონასტრების ხელში არ ჩავარდნილიყო. თავადი ან აზნაური რომ ვალდებული იყო მიწის გაყიდვა მეფისა-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი ი. ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, წაკვეთი მეორე, 1929 წ., გვ. 408—409.

<sup>2</sup> სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის «შრომები» XXXV №, 1949 წ., გვ. 241—244.

თვის ეკითხა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ არ ჰქონდათ საკუთრების უფლება. ზემოაღნიშნულიდან პროფ. ივ. სურგულაძე დაასკვნის, რომ „ქონება“ თითქოს არ უნდა ყოფილიყო მფლობელობის აღნიშვნელი ტერმინი. „ყველა იმ შემთხვევაში, როცა მემატრიანები წერენ მეფეთა და მათი საგვარეულოს ქონებაზე, მათ მიუძღველობაში აქვთ ქონება, როგორც საკუთრება. თუნდაც, რომ ვაკეისიაროთ ის მოსაზრება, რომ ქონება IX—XIII საუკუნეებში აფლობელობას ნიშნავდა, ყოველ შემთხვევაში, შემდეგ საუკუნეებში ქონება უეჭველად არ არის აფლობელობის შესატყვისი ცნებაო“<sup>1</sup>.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ევროპისა და რუსეთის ფეოდალური სამართლის ძეგლები მკაფიოდ არ ასხევავენ „საკუთრებისა“ და „მფლობელობის“ ზოგად ცნებებს და სათანადო ტერმინები სამართლის ძეგლებში გაცილებით უფრო გვიან შემოდის. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ფეოდალურ სანივთო სამართალში მეტრისმეტად რთული და დანაწევრებული სანივთო უფლებრივი რეჟიმის გამო მფლობელობამ, როგორც ნივთზე ფაქტიურმა ბატონობამ, მეტად ნტიციე, შეიძლება ითქვას, პირველადი უფლებამოსილების მნიშვნელობა მიიღო. მფლობელობა ყველაზე უფრო ნათელი ფაქტი იყო, რომლითაც ნივთზე ხორციელდებოდა როგორც სრული, ისე შეზღუდული უფლებამოსილება. ამიტომ ფეოდალურ სამართალში მფლობელობა ხშირად საკუთრების უფლების შინაარსის მქონე ფაქტადაც გვევლინება.

ქართულ სამართალშიც „ქონებას“ უმკაცრესად მფლობელობის მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ იგი ხშირად საკუთრების გამომხატველი ცნებაც იყო. ამიტომ აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვნა ამის შესახებ, რომ ძველ ქართულ მწერლობაში „ქონება“ მხოლოდ მფლობელობას ნიშნავდა და რომის სამართლის *possessio naturalis* უდრიდა სწორი არ უნდა იყოს. შუა საუკუნეების სანივთო სამართალს დიდი ხნის განმავლობაში არ შემუმუშაებია საკუთრებისა და მფლობელობის ზოგადი და მკაფიოდ გამოკვეთილი ცნებები. საკუთრება და მფლობელობა ხშირად ერთი და იმავე ცნებით აღინიშნებოდა.

ძველ ქართულ მწერლობაში გვხვდება აგრეთვე ცნებები — „საქონებელი“, „საქონელი“ და „ნაქონები“. ძვე-

<sup>1</sup> სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის «შრომები», XXXV ნ., 1949 წ., გვ. 244.

ლად „საქონებელი“ უძრავ-მოძრავი ქონების აღმნიშვნელი ტერმინი იყო (სოფელი, აგარაკები, ყმები, პირუტყვები და სხვ.). ამჟამინდელი მნიშვნელობით იხმარება სიტყვა „საქონებელი“ კანონიკური სამართლის 169-ესა და 170-ე მუხლებში, რომლებიც ბექა-ალბულის სამართლის წიგნის ბოლოშია დართული.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით „საქონებელი იგივე იყო, რაც „ქონება“. როგორც ერთი, ისე მეორე მქონებლის მფლობელობაში მყოფი ქონება იყო, რომელიც სხვის საკუთრებას შეადგენდა. სიტყვა „ნაქონებიც“ ქონების მნიშვნელობით იხმარებოდა, რომლის შესატყვისი ძველი რუსული სიტყვა „имущество“ იყო. მოძრავი ქონების აღმნიშვნელი ტერმინია „საქონელი“, რომელიც ბასილი ზარზმელის შემოაღნიშნულ თხზულებაშია მოხსენებული. გიორგი ჩორჩანელმა თავის დისწულებს უანდერძა „აგარაკნი თავისუფლებით და საქონელი მრავალფეროვანი და სიმრავლე სავედართა და მროწეულთა“<sup>1</sup>. „აგარაკნი“ ანუ სახანვე-სათესი მიწები, როგორც უძრავი ქონება, ცალკეა მოხსენებული. შემდეგ აღნიშნულია „საქონელი მრავალფეროვანი“, რაც მოძრავ ქონებას ნიშნავს, და, ბოლოს, „საკვედარი“ და „მროწეული“, ე. ი. შესაჯდომი და მსხვილი რქოსანი პირუტყვი. საგულისხმოა, რომ ეს უკანასკნელი არ შედის „საქონლის“ ცნებაში. მაშასადამე, „საქონელი“ და პირუტყვი სხვადასხვა ცნებაა. გიორგი II-ის 1072 წლის სიგელში ნათქვამია: „სოფელნი და აგარაკნი“ და „ყოველნი საქონელნი“; აქედანაც ჩანს, რომ „საქონელი“ მოძრავ ქონებას უნდა ნიშნავდეს. აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით „საქონელი“ მოძრავი უსულო ნივთების აღმნიშვნელი ცნება უნდა იყოს, თუმცა „შესაძლებელია სულდგმული საქონელიც ყოფილიყო, მაგ. ყოველგვარი შინაური პირუტყვიც. და უსულოც, მაგ. ნივთები, ავეჯეულება, სურსათი და სხვა“<sup>2</sup>. მაგრამ, ჩანს, რომ განსვენებული მეცნიერი ცდება. „საქონელი“ არ გულისხმობს შინაურ პირუტყვს, რაც ნათლად ჩანს ბ. ზარზმელის თხზულების ზემოთ მოტანილი ამონაწერიდან. რომ ეს ასეა, ამას საბას განმარტებაც ადასტურებს, რომელსაც „საქონელი“ ესმის როგორც „უსულო ხვასტაგი“, ხოლო „ხვასტაგი“ განმარტებული აქვს—„საქონელი და საყოფელი“. მაშასადამე, „ხვასტაგი“, უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „საქონელი“. ეს უკანასკნელი „ხვასტაგის“ ცნების ერთ ნაწილს

<sup>1</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეიშვილი ის მიერ, ტ. I, 1946 წ., გვ. 96.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, 1929 წ., გვ. 415—416.

გამოხატავს, რომლის მეორე ნაწილი გულისხმობს პირუტყვს ანუ სულდგმულ ქონებას—„საყოლელს“. აქედან ცხადია, რომ „საქონელი“ ქართულ სანივთო სამართალში უსულო მოძრავ ქონებას გულისხმობს, ხოლო ხვასტაგვი როგორც უსულო, ისე სულიერ მოძრავ ქონებას. „ხვასტაგვის“ ორგვარი მნიშვნელობის შესახებ ცნობილი ლექსიკოგრაფი დ. ჩუბინაშვილი წერს: „ძველ დროში ფულის მაგიერად აფასებდნენ ხვასტაგსა, ამისათვის ხვასტაგს აქვს ორი მნიშვნელობა; საქონლისა და ფულისა როგორც ლათინურად, pecunia; ციот, животна. сокровище, богатство, деньги“<sup>3</sup>. „საქონელი“ კი მას განმარტებული აქვს, როგორც შრომით ნაშოვნ ნივთი ან ფული—„მონაგარი ნივთი ან თეთრი“. ამრიგად, საქონელი მხოლოდ უსულო მოძრავ ქონებას ეწოდება.

ბექა-მანდატურთუხუცესისა და ალბულა ათაბაგ-ამირსპასალარის კანონების სანივთო სამართლის ნორმების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ტერმინი „საქონელი“ ამავე მნიშვნელობით არის გამოყენებული აღნიშნულ ძეგლში. სიტყვა „საქონელი“ გვხვდება ბექა-ალბულას სამართლის წიგნის შემდეგ მუხლებში: 62, 63, 67, 77, 82, 87, 88, 92, 94 და 97. ყველგან ეს ტერმინი უსულო მოძრავი ქონებისა და ნივთეულობის მნიშვნელობით იხმარება. ამავე შინაარსს გამოხატავს სიტყვა „სასაქონლო“, რომელიც მოძრავ ნივთებს აღნიშნავს.

ფრიად საყურადღებოა, რომ ბექა-ალბულას სამართალში მოცემულია ნივთების განსაკუთრებული კლასიფიკაცია, მათი დაყოფა ორ ძირითად ჯგუფად: „სამამულოდ“ და „სასაქონლოდ“. სანართლის წიგნის რუსულ და ფრანგულ თარგმანში ამ სიტყვების მნიშვნელობა მოცემულია როგორც უძრავი და მოძრავი ქონება, მაგრამ ეს შეცდომაა, რადგან ნივთების „სამამულოდ“ და „სასაქონლოდ“ ნივთებად დაყოფას თავისებური შინაარსი აქვს და იგი არ ემთხვევა ნივთების უძრავ და მოძრავ ქონებად დაყოფას.

„სასაქონლოდ“ ბექა-ალბულას სამართალში ნიშნავს მხოლოდ უსულო მოძრავ ქონებას (მუხ. 33, 40, 46, 81, 81, 85, 89, 92). ეს ნათლად ჩანს იმ ორიოდ ცნობიდან, რომელიც შემორჩენილია ბექა-ალბულას კანონებში. ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 46-ე მუხლი აღგენს, რომ გათხოვილი ქალის მოტაცების შემთხვევაში დაპნაშავემ ყოფილ ქმარს ორკეცი სისხლი უნდა

<sup>3</sup> დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1887 წ., იხ. სიტყვა „ხვასტაგი“.

დაუეზოს და ნოტაცეპული ქონებაც დაუბრუნოს. მაგრას, თუ ქალმა მისი მზითვიდან რაიმე ქონება — „გინა სასაქონლო, გინა პირუტყვი“ — წაიღოს, იმას ქნარი ნუ სთხოვსო. ეს ფორმულა მეტად მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ხსნის „სასაქონლოს“ შინაარსს. „სასაქონლო“ სხვაა და „პირუტყვი“ სხვა. სასაქონლო მხოლოდ უსულო მოძრავი ქონებაა. ამავე შინაარსს გამოხატავს „სასაქონლო“ აღზელა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალშიც. 89-ე მუხლი ქირავნობის ხელშეკრულების პირობებს ითვალისწინებს, ხელშეკრულების ობიექტად აღნიშნულია „საჯედარი“ ან „უსულო სასაქონლო რამე“. აქაც „სასაქონლო“ და პირუტყვი ცალ-ცალკეა მოხსენებული. 92-ე მუხლი კიდევ უფრო მკაფიოდ ასხვავებს ამ ორ ცნებას. თუ კაცმან კაცს რამე უპოვოს, „პირუტყვ თუ საქონელი“, შესაფერი ჯილდო მისცესო. დამახასიათებელია, რომ გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაც“ ზუსტად ამ მნიშვნელობით ხმარობს სიტყვა „სასაქონლოს“. 44-ე მუხლში აღნიშნულია: თუ მეკობრემ მოიტაცოს „ცხენი, ცხვარი, ძროხა ანუ სასაქონლო რამე“, ბოროტმოქმედმა დაზარალებულს სამკეცად უზღოსო. მაშასადამე, ცხენი, ცხვარი, ძროხა და სხვა პირუტყვი, როგორც სულდგმული ქონება, უსულო მოძრავი ქონების ანუ „სასაქონლოს“ ცნებაში არ იგულისხმება. აქედან ცხადია, რომ „სასაქონლო“ არ შეიძლება „სულდგმული საქონელიც და ყოველგვარი შინაური პირუტყვიც“ ყოფილიყო, როგორც ამას ფიქრობდა აკად. ივ. ჯავახიშვილი.

„საქონლისა“ ანუ „სასაქონლოს“ უფრო დაწვრილებით განხილვისას ცხადი ხდება, რომ სამართლის წიგნი ამ ცნებებში გულისხმობს ყოველგვარ ნივთიულობას საერთოდ. ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართლის 33-ე მუხლის ნიხედვით დამნაშავე, რომელიც სხვის ციხესა და სახლ-კარს ღალატით თავს დაესხა, ორკეცი სისხლის დაუტრეკასთან ერთად ვალდებულია „რა ცა სასაქონლო რა გინდა რა გვარი წაეღოს, გარე შეაქციოს“. რა გინდა რა გვარი სასაქონლო, ცხადია, ყოველგვარ მოძრავ ნივთიულობას გულისხმობს. მე 40 მუხლის თანახმად, როცა პატრონის წინაშე ტყუილუბრალოდ დასმენილი კაცი თავს იმართლებს, დამბეზღებელმა დაზარალებულს მიყენებული ზიანისა და საქმის ვითარების მიხედვით უნდა „მისცეს სასაქონლო ძალისა მსგავსი“. 43-ე მუხლიც მიუთითებს „რა გინდა რა საქონლისა იყოსო“ — აბჯარი, ტანისამოსი თუ სხვა ნივთებია. „რა გინდა რა სასაქონლო“ 61-ე მუხლის თანახმად ჩუქების ხელ-

შეკრულების საგანიც არის. მოძრავი ქონების მესაკუთრეს სამართლის წიგნი „საქონლის პატრონს“ უწოდებს. როცა ყმა გლეხი თავის მკვიდრ ბატონს დაუბრუნდება, მემამულემ, რომელთანაც გლეხი იყო, მას მიტანილი ქონება უნდა მისცეს და გაუშვას; „რაცა მოსულიყოს, მითვე საქონლით გაუშვასო“, მიუთითებს კანონი. ქალის მზითვეიც უმთავრესად „სასაქონლო“ ქონებას შეიცავდა. თუ შვილებიანი ქალი დაქვრივდეს, „აბჯარი შვილთა მართებს და „სასაქონლო დიაცსაო“. აბჯარიც სასაქონლოა, მაგრამ კანონმდებელი მას ცალკე გამოჰყოფს იმ ნივთებიდან, რომლებიც მზითვად მიჰყვა ქალს. უსულო მოძრავი ქონების შესანახად მიბარებას სამართალი „ამანათს“ უწოდებს და მიუთითებს, რომ მოთხოვნისთანავე „საქონელი“ პატრონს უნდა დაუბრუნდეს. ამრიგად, („სასაქონლო“ სამართლის წიგნი ყოველგვარ, ანუ „რა გინდა რა“ უსულო მოძრავ ქონებას გულისხმობა, რომელიც თავისი უფლებრივი რეჟიმით განსხვავდება ნივთების მეორე ჯგუფისაგან, რომელსაც „სამამულო“ ეწოდება.

„სამამულო“ მემკვიდრეობითი მფლობელობაა უძრავ ქონებაზე. მისი გადაცემა შთამომავლობაზე მემკვიდრეობით ხდება. სამამულო ქონება შეიძლება სხვა გზითაც წარმოიშვას. მემამულის ქალი რომ გათხოვდებოდა, მას ხშირად „სამამულო ზითევი“, ანუ უძრავი ქონება ეძლეოდა ადგილ-მამულის სახით. გაყრის ან ქმრის გარდაცვალების შემთხვევაში მზითვად მიღებული უძრავი ქონება ქალის ოჯახს — სახლს — ეკუთვნის („თუ რამ სამამულო ზითევი იყოს, იგი მის ქალისა სამშობლოსავე მართებსო“, მუხ. 46). უძრავი ანუ „სამამულო“ ქონების ობიექტებია: სახმარი მიწა, ყანა, ბალი, ვენახი, ქალა, სახლი და სხვა. აღსანიშნავია, რომ სხვა ქვეყნების სამართალი გვიანფოდალურ ხანამდე სახლს არ თვლიდა უძრავი ქონების ობიექტად. მაგალითად, რუსეთის სამართალში XVII საუკუნემდე „дом“ იურიდიულად ითვლებოდა მოძრავ ქონებად. ამ შემთხვევაში ქართული სამართალი აღიარებდა რომის სანიეტო სამართლით დადგენილ წესს — „ზედაპირზე გაკეთებული მიწას მიეკუთვნება“ (superficies solo cedit). ბეკა-ალბულას სამართლით „მამული“ და „სამამულო“ ერთი და იმავე უფლებრივი შინაარსის შემცველი ცნებებია, მაგრამ ერთმანეთს არ უდრიან. „სამამული“ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე „მამული“. ეს უკანასკნელი „სამამულოს“ ნაწილს შეადგენს. „მამული“ მოუშენებელ და დაუსახლებელ მიწასაც ეწოდება, იგი საადგილ-მამულო საკუთრე-

ბის შემკვიდრობითი მფლობელობაა. „სამამულო“ კი ყოველგვარი უძრავი ქონების კომპლექსი ანუ ერთობლიობაა, რომელიც „მამულის“ გარდა უძრავი ქონების საკუთრებისა და მფლობელობის სხვა ობიექტებსაც გულისხმობს. / „სამამულო“ უძრავი საკუთრების სხვადასხვა ობიექტების კლასიფიკაციისა და სახეობის გამომხატველი ზოგადი ცნებაა. ამ მნიშვნელობით იხმარება ეს ტერმინი ბექა-ალბუღას კანონებში (მუხ. 46, 53, 61, 68, 81, 85, 95).

სამართლის წიგნი მკაფიოდ ასხვავებს ნივთების ორ ძირითად სახეობად დაყოფას და სანივთო-უფლებრივი ურთიერთობის დახასიათებისას მათ კლასიფიკაციას აღნიშნავს სიტყვებით: „გინა სამამულო და გინა სასაქონლო“. „სამამულო“ და „სასაქონლო“ ორივე გულისხმობს საკუთრების უფლებამოსილებას. მაგრამ მათი უფლებრივი შინაარსი განსხვავდება, არა მარტო იმით, რომ ისინი ნივთების განსაზღვრული ჯგუფის კლასიფიკაციის გამომხატველი ცნებებია, არამედ იმითაც, რომ საკუთრების გასხვისება სხვადასხვა უფლებრივი რეჟიმის მიხედვით ხდება. „სასაქონლო“ ქონება მისი მესაკუთრის სრულსა და განუსაზღვრელ უფლებამოსილებაშია. მისი ყიდვა-გაყიდვა, გაჩუქება, მზითვად ნიცემა, შეწირვა ან სხვა გზით გასხვისება მესაკუთრის სრულსა და უცილობელ უფლებამოსილებას შეადგენს.

საკუთრების უფლების ის ობიექტები, რომლებიც „სამამულო“ ქონებას გულისხმობს, განსხვავებული და შეზღუდული უფლებამოსილებით ხასიათდება. ფეოდალურ სანივთო სამართალში საკუთრების უფლება მიწაზე დანაწევრებულ ხასიათს ატარებდა, რაც განისაზღვრებოდა ფეოდალური საკუთრების წოდებრივ-იერარქიული სტრუქტურით. საკუთრების უფლების წოდებრიობა და დანაწევრება განსაზღვრულ უფლებამოსილებათა შეზღუდვას გულისხმობდა. სენიორსა და ვასალს, ანუ „პატრონსა და ყმას“ შორის საადგილმამულო საკუთრების უფლების დანაწილება ფეოდალიზმის დროს საკუთრებისა და მფლობელობის უფლებამოსილებათა თავისებურ შეერთებასა და ამავე დროს შეზღუდვასაც ნიშნავდა. საკუთრების განუსაზღვრელი უფლებით სენიორი არ სარგებლობდა და ვასალიც თავის მხრივ მიწაზე არა მარტო მფლობელობას, ე. ი. ნივთზე ფაქტიურ ბატონობის უფლებამოსილებას ახორციელებდა, არამედ განკარგულების განსაზღვრული უფლებებითაც სარგებლობდა.

ბექა-ალბუღას სამართალში „სამამულო“ ქონება სრულიად ინარჩუნებს ასეთ დანაწევრებულ ხასიათს. საადგილ-მამულო საკუთრების უფლების სუბიექტი „პატრონია“, მიწა მას ეკუთვნის. „ადგილი



პატრონისა არის“, მაგრამ მიწა ამავე დროს მისი ვასალის — „ყნის“ — მფლობელობაშია, რომელსაც პატრონისაგან მამული აქვს მიღებული. „მამული ქონება“ აქ უკვე ადგილ-მამულის მფლობელობას ნიშნავს. სამართლის წიგნის სიტყვები „მამული აქუნდეს“, „მამული ჰქონდეს“, მამულის ქერას, მის ფლობას გამოხატავს. ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის 31-ე მუხლი უკანონო შვილის — „ბიქის“ — უფლებრივ მდგომარეობას განსაზღვრავს და ადგენს, რომ, თუ „ბიქი“ გაჩენილია დიდებული კაცის მიერ და „მასვე ყმად ჰყვეს აზნაურისა წესითა, სამამულისა ქონებითა“, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი იყოსო. ვასალური ანუ „აზნაურის წესით“ „სამამულის ქონება“ ადგილ-მამულის მფლობელობას ნიშნავს. სამართლის წიგნის მითითება — „კაცს მამული ჰქონდეს“, „მიწა ჰქონდეს“, „მიწა წინდად ჰქონდეს“ — გულისხმობს ვასალის მიერ პატრონისაგან მიღებული მამულის ფლობას, ქერას. აქედან ცხადი უნდა იყოს, რომ „ქონება“ XIV საუკუნეშიც მფლობელობას გულისხმობს. ამიტომ მცდარი უნდა იყოს აზრი იმის შესახებ, თითქოს ქართულ სამართალში „ქონება ის იყო, რაც ჰქონდა მესაკუთრეს“, რომ „ქონება“ გაგებული უნდა იქნეს „როგორც საკუთრება“<sup>1</sup>.

„ქონება“ რომ უმთავრესად „მფლობელობას“ აღნიშნავდა, ეს, აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ დამოწმებული ძეგლების გარდა, ჩანს XI—XIII სს-ის სხვა ძეგლებიდანაც. „მამათა ცხოვრების“ ანუ „პატერიკის“ თეოფილე ხუცეს-მონაზონის თარგმანში, რომელიც XI საუკუნის ბოლოს არის შესრულებული, ერთგან სწერია: „არა თუ ქონება და რადასამე [ვისმე] ავენებს, არამედ ვნებულად ქონება და“, ე. ი. რისმე მფლობელობა კი არვის აყენებს ზიანს, არამედ უკანონო ძალადობით მფლობელობა<sup>2</sup>. ასევე XIII ს-ის ძეგლში — „ვაჰანის ქვაბთა განგებაში“ — ხმარებულია ეს სიტყვა: „ამისთვისცა მოვსპე მამულობით ქონება და აგარაკთა, ვენაკთა და თუნდა ორნატთა“, რაც ნიშნავს: ამიტომ ავკრძალე სახნავე-სათესთა, ვენახთა და ხნულთა მეძველდრეობითი მფლობელობაო“. „ქონების“ ასეთი მნიშვნელობა ნათლად ჩანს ამავე ძეგლში ხმარებული ამავე შინაარსის მეორე სიტყვიდან „ნაქონები“. „ხოლო არავის ძმათაგანსა ჯელეწიფების მონასტრით განღებად ნაქო-

<sup>1</sup> ივ. სურგულაძე, „საკუთრების უფლების ინსტიტუტი“, უნივერსიტეტის ბროშეები XXXV ნ. 1949 წ., გვ. 244.

<sup>2</sup> A—1105, 46 v. ცნობა მომწოდა პროფ. ილია აბულაძემ.

ნებისა თვისისა ჟამსა ამიერ მიცვალებისა თვისისასა, რომელმცა-  
თვსთა გინა ნათესავთა უანდერძა იგი, რომელთაგან ერთგზის  
ჯმნილ-არს ჟამსა მონაზონად კურთხევისასა“ (ლ. მუსხელიშვილის  
გამოც. გვ. გვ. 81, 17—18 და 84, 19—24). მაშასადამე, ცხადია,  
რომ ქონება აქ მფლობელობას ნიშნავს და არა საკუთრებას,  
რომლის ანდერძით გადაცემა, უეჭველია შეიძლებოდა.

ამრიგად, ყველა ზემოთ დამოწმებული წყაროდან აშკარა  
უნდა იყოს, რომ „ქონება“—„ნაქონები“ როგორც აღრე, ისე  
XIV ს.შიც ძირითადად მფლობელობას ნიშნავდა.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი, რომელიც ბექა-  
აღბულას კანონების ბოლოს არის დართული, კერძო საკუთრე-  
ბაში მყოფ ქონებას „მონაგებს“ უწოდებს. „მონაგები“, რო-  
გორც ზემოთ დავინახეთ, ძველ ქართულ სამართალში სხვადა-  
სხვა კანონიერი გზით შეძენილ საკუთრებას ნიშნავს. სამართლის  
წიგნის 153-ე მუხლი აზნაურთა გაყრას ითვალისწინებს და მიუთი-  
თებს, რომ ოჯახისა და ქონების გაყოფის შემთხვევაში უფროს ძმას  
უნდა მიეცეს სამემკვიდრეო ქონების ზედმეტი წილი—„საუხუცესო“,  
დანარჩენი ქონება კი ძმებმა თანაბრად უნდა გაიყონ. ხოლო პირა-  
დად შენაძენი ქონება, „მონაგები თავთავისი, გაჰყვესო“. მაგრამ,  
თუ რომელიმე ძმას „მონაგები“ მეორე ძმის გულისათვის  
დაჰკარგოდეს, „დავარდნოდეს“, მაშინ „მონაგები“ შუაზე გაიყო-  
ნო. დიდებულ აზნაურთა ოჯახის გაყოფის შემთხვევაშიც თვი-  
თეულს თავისი „მონაგები“, ანუ შეძენილი ქონება უნდა მიე-  
ცეს. „მონაგებს“, როგორც შეძენილ საკუთრებას იცნობს  
აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალიც. მოჯამაგირეს ანუ  
„სხვის შვილს“ სამსახურის დამთავრებისა და წასვლის შემთხვევა-  
ში უნდა მიეცეს ის ქონება, რაც თან მიიტანა და აგრეთვე  
შეძენილი ქონებაც, ანუ „მონაგები“. როცა ბატონთან ხანგრ-  
ძლივი და მძიმე სამსახურის შედეგად გლეხი დასახიჩრდე-  
ბოდა ან დაუძღურდებოდა, ბატონი მას თავიდან იცილებდა,  
კანონი შრომის უნარმოკლებულ გლეხს ნებას აძლევდა მიეღო ის  
პირადი ქონება, რაც ბატონთან მისვლისას მიიტანა და აგრეთვე  
ბატონთან შრომით შეძენილი ქონების მესამედი წილი—„მონაგე-  
ბის მესამედი“. მაშასადამე, გლეხს შრომის უნარის დაკარგვის  
შემთხვევაშიც არ შეეძლო მოეთხოვა ბატონისაგან მის მიერ შე-  
ძენილი საკუთრება მთლიანად და მხოლოდ მისი მესამედი ნა-  
წილით უნდა დაკმაყოფილებულიყო. „მონაგების“ შესახებ ლაპარაკია-  
აღბულას სამართლის უკანასკნელ მუხლშიც. 98-ე მუხლის თა-

ნახმად, თუ დარბაზის კაცს მკირე დანაშაულისათვის დასაჯრეებელი სისხლის ფასში კაცი ჰყავს, ამ უკანასკნელს წასკლის შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს ის ქონება, რაც თან მიიტანა, და აკოეთვე მის მიერ შეძენილი ქონების ნახევარი. — „ოაცა მოუგია, მისი ნახევარი გაჰყვესო.“ ამრიგად, „მონაგები“ როგორც წინათ, ისე XIV საუკუნის სამართალშიც პირადად შეძენილ ქონებას ნიშნავს. „მონაგები“ დიდებულისა და აზნაურის სრულ საკუთრებას შეადგენს, გლახს კი „მონაგების“ ეზოლოდ ნაწილი ეკუთვნოდა, ისიც დასახიჩრებისა და დაუძღურების შემთხვევაში.

ბაგრატ კურაპალატის სამართალი გლახია მიერ შრომით შეძენილ ქონებას „ქირნახულს“ უწოდებს. „ქირნახული“ გლახის პირად საკუთრებას ეწოდება. „ქირნახული“ იგივე „მონაგებია“. მაგრამ იმ განსხვავებით, რომ „ქირნახული“ გლახის მიერ საკუთრების უფლებით შეძენილი მოძრავი ქონებაა, მაშინ როცა „მონაგები“ დიდებულთა და აზნაურთა მიერ შეძენილ ქონებას ეწოდება. თუ გლახი ბატონის გლახის ქალს ან მოახლეს ცოლად შეირთავდა და ბატონს თავს არ დაუწერდა, გაყრის შემთხვევაში კანონი უფლებას აძლევდა მიტანილი და საკუთარი შრომით შეძენილი მოძრავი ქონება მიეღო („შეტანილი და ქირნახული გაჰყვესო“; მუხ. 158).

აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წიგნი გლახს „ქირნახული“ ქონების მხოლოდ ერთი მესამედი წილის მიღების უფლებას აძლევს, ისიც შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში. ამასთან, სამართალი გლახის პირადი შრომით შეძენილ საკუთრებას უწოდებს როგორც „ქირნახულს“, ისე „მონაგებსაც“. საკიროა აღინიშნოს, რომ გლახის მონაგები და ქირნახული მხოლოდ მოძრავი ქონების ობიექტებს გულისხმობს. უძრავი ქონება, ანუ „საწამულა“, არ შეიძლება გლახის „მონაგები“ და „ქირნახული“ იყოს. ეს ნათლად ჩანს აღბულას სამართლის 70-ე ნუბლიდან „საწამულა ნასყიდის“ შესახებ და 98-ე ნუბლიდან, სადაც ნათქვამია, რომ წასკლის შემთხვევაში კაცს „რაცა მოუგია, მისი ნახევარი გაჰყვეს სამამულოსა აქათისაო“.

ამრიგად, ბექა-აღბულას სამართალი უძრავ და მოძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გამომხატველ სპეციალურ ტერმინებს იცნობს. უძრავ ქონებას „საძამულა“ ეწოდებოდა, უსულო მოძრავ ქონებას — „სასაქონლო“, ხოლო კეთილშეძენილ ქონებას — „მონაგები“ და „ქირნახული“. საკუთრების აღნიშნულ სა-

ხეობათა უფლებრივი შინაარსი, როგორც ზემოთ დავინახეთ, განსხვავებული იყო.

საკუთრების უფლების შექმნა. ფეოდალური სამართალი საკუთრების წარმოშობის სხვადასხვა საშუალებებს იცნობს. სამოქალაქო სამართალში ასხვავებენ საკუთრების წარმოშობის პირველად და წარმოებულ საშუალებებს. საკუთრების წარმოშობის პირველადი საშუალება გულისხმობს, რომ მესაკუთრე უშუალოდ და პირველად ეუფლება საკუთრების ობიექტს, ხოლო წარმოებული საშუალებით საკუთრების შექმნას მაშინ აქვს ადგილი, როცა მესაკუთრე ამა თუ იმ ნივთზე საკუთრების უფლებას იძენს ყიდვა-გაყიდვის, მემკვიდრეობის, ბოძების, ჩუქებისა ან საკუთრების უფლების გადაცემისა და გასხვისების სხვა კანონიერი გზით. საკუთრების შექმნის პირველად საშუალებას წარმოადგენს უპატრონო ნივთის დაუფლება (оценартио) და სამხედრო დავლა. ბრძოლის ველზე შექმნილ საკუთრებას, როგორც ზემოთ დავინახეთ, ძველ ქართულ სამართალში „ნაშოები“ ეწოდებოდა. ნადავლი ქონება გულისხმობს როგორც სხვადასხვა ნივთებს, ისე აგრეთვე ტყვედ ჩაქარდნილ ადამიანსაც, რომელზედაც საკუთრების უფლება ვრცელდება. სამართლის წიგნის ბოლოში დართული კანონიკური სამართლის 163-ე მუხლი ადგენს, რომ ომში მოკლულ კაცს „აბჯრისაგან კიდე ტანსაცმელსა, ნიფხავ-პერანგსა ნუ ვინ მოჰქდისო“. მაშასადამე, კანონი მოკლული მეომრის იარაღის დასაკუთრების უფლებას აძლევს გამარჯვებულს ზედა ტანსაცმელისა და საცვლების გახდა, გვაძის შერცხვენა და აბუჩად აგდებაა, რისთვისაც სამართალი დამნაშავეს მძიმე სასჯელს უწყესებს.

აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წიგნიც ითვალისწინებს ნადავლის საკუთრების უფლებით შექმნას. ომში ტყვედ ჩაქარდნილი კაცი, მისი ცხენი, იარაღი და სხვა საკუთრებელი იმას ეკუთვნის, „რომლისა ნაკრავი აჩნდესო“. ხოლო თუ ნადავლ ქონებაზე საკუთრების უფლება ორ მეომარს შორის საცილობელი გახდა, მაშინ ვის სასარგებლოდაც ტყვე ფიცით უჩვენებს, ქონება მას ეკუთვნის. ამ შემთხვევაში საკუთრების უფლების შექმნის საფუძველია ტყვე კაცის ჩვენება, რომელიც ფიცით ადასტურებს, ვისი ისარი უწინ მოხვდა მის აბჯარს და ცხენს. სხვა ცნობა ბექა-აღბულას სამართალში სამხედრო დავლაზე საკუთრების უფლების შექმნის შესახებ არ მოიპოვება.

საკუთრების წარმოშობის მეორადი ანუ წარმოებული საშუალებებიდან პირველ ყოვლისა საპიროა შევჩერდეთ ყიდვა-გაყიდვაზე,

რომელიც საკუთრების უფლების შექმნის ერთ-ერთ ძირითად საშუალებას წარმოადგენს ბეჭა-აღბულას სამართლის მიხედვით. სამართლის წიგნის სათანადო ნორმების გულდასმითი შესწავლა ცხადყოფს, რომ ყიდვა-გაყიდვის გზით საკუთრების უფლების შექმნა შეიძლება როგორც მოძრავ, ისე უძრავ ქონებაზე. მოძრავი ქონება, როგორც ზემოთ დავინახეთ, შეიცავს უსულო მოძრავ ნივთებს — „სასაქონლოს“ — და აგრეთვე პირუტყვს. ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდის სანიეთო სამართალი ადგილ-ნამულის გაყიდვას მამულის პატრონის ანუ სენიორის უნებართვოდ დაუშვებლად თვლიდა.

ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის 45-ე მუხლში ნათქვამია: „საკარგავისა გასყიდვა ცული იქნება პატრონისა უმოწმებლად, და ვისცა ეყიდოს, ნახევარი თასი სარეგენოდ მას დაუშავდეს და ნახევარი გამსყიდველსა; ამას შიგა ერთობ რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის მოსაკარგავისაგან სყიდვასა“.

ბეჭა-აღბულას კანონების რუსულ თარგმანში ეს მუხლი წარმოდგენილია შემდეგნაირად: „продажа потерянной вещи подействительна без согласия хозяина. В таком случае одну половину цены терлет покупатель, а другую продавец“. ქართული ტექსტის აზრი სრულიად დამახინჯებულია, რაც ვერ შეუნიშნავს რუსული გამოცემის რედაქტორს, ისტორიკოს დ. ბაქრაძეს. „საკარგავის (ხელნაწერში „მოსაკარგავის“) გასყიდვა“ აქ გაგებულია როგორც „დაკარგული ნივთის გაყიდვა“. ნ. ურბნელის აზრით „მოსაკარგავი სხვის დაკარგული საქონელია“, ხოლო „სარეგენო“ ნოპარული ქონების გაყიდვისათვის დაწესებული სასჯელია. „სამართალს სურდა პარვა მოესპო, სხვათა შორის იმითაც, რომ ქურდს ადვილად არ შესძლებოდა ნაპარევის გასყიდვა. და რომ სწორედ პარვამ დაჰბადა სარეგენო, ეს მტკიცდება მითაც, რომ სამამულო სარეგენო მოხსენებული არაა: მამულის პარვა არ შეიძლება, ამ „სირეგენეს“ კაცი ვერ ჩაიდენს და არც სამამულო სარეგენო იყო საჭირო“<sup>1</sup>. მთელი ეს მსჯელობა ტექსტის უპაოთებულოდ გაგების შედეგია. ქართული ტექსტიდან სრულიად არ ჩანს, რომ „მოსაკარგავი“ დაკარგულ ქონებას, ხოლო „სარეგენო“ ნოპარული ქონების გაყიდვისათვის დაწესებულ ჯარიმას გულისხმობდეს. მოპარვისა და ქურდობის შესახებ საერთოდ არაფერია ნათქვამი ზემოაღნიშნულ

<sup>1</sup> ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბეჭა და აღბულა და მათი სამართალი, 1892 წ., გვ. 214—215.

მუხლში. ეს იქიდანაც ჩანს, რომ „სარეგენო“ ორივე მხარემ უნდა გადაიხადოს. ცხადია, რომ ქურდი მოპარული ნივთის გაყიდვისათვის ნებართვაც არ საჭიროებდა. ნივთის დაკარგვისათვის მისი პატრონისა და ქურდის თანაბრად დასჯაც სრული უაზრობაა. აქ კანონმდებელს მხედველობაში სწორედ „სამამულო სარეგენო“ აქვს და არა სასაქონლო, როგორც ამას ნ. ურბნელი ფიქრობს. მამულის მოპარვა რომ არ შეიძლებოდა, ეს თავისთავად ცხადია, მაგრამ საქმეც ისაა, რომ ამ შემთხვევაში „მოპარვა“ არაფერ შუაშია.

პირველ ყოვლისა საჭიროა გავარკვიოთ სიტყვა „საკარგავე მოსაკარგავეის“ მნიშვნელობა. აკად. ივ. ჯავახიშვილი ეება გიორგი II-ის სიგელში მოხსენიებულ აზნაურთა ერთ ჯგუფს, რომელსაც „აზნაურნი მოსაკარგავენი“ ეწოდება და ვამოთქვამს მოსაზრებას, რომ „საკარგავეი“ სამოხელეო სარგო იყო, რომელიც „მოსაკარგავე“ ანუ გადასახადების ამკრებ მოხელე-აზნაურს ეძლეოდაო. მაშასადამე, „აზნაურნი მოსაკარგავენი“ მოხელე აზნაურთა ჯგუფის შემადგენელი უნდა ყოფილიყვნენ<sup>1</sup>. სხვა ადგილას აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „აზნაურნი მოსაკარგავენი“ ისინი იყვნენ, რომელთაც ეს წოდება სამსახურით ჰქონდათ მოპოვებული<sup>2</sup>.

აკად. ნ. ბერძენიშვილი მიუთითებს, რომ „საერთოდ მე-XIV საუკუნის კანონმდებლობას შერჩენილი აქვს წერილ აზნაურთა (კერძოდ აზნაურ-მოსაკარგავეთა) დაცვა-გადარჩენის ძველი ტრადიციები“<sup>3</sup>.

ბეჟა-აღბულას კანონების ფრანგულ გამოცემაში ზემომოტანილი მუხლის ტექსტის განმარტებისას ი. კარსტი შენიშნავს: „მოსაკარგავეი“ არის ბნელი, მიგდებულ, უფულებო და გაჭევებული პიროვნება, რომელიც ცხოვრობს ხან ღონობასა და ხან ტყვეობაში. ხოლო სიტყვა „სარეგენოდ“ კარსტის აზრით უნდა ნიშნავდეს „სარგებლოდ“. ამგვარი კომენტარი ტექსტის სრული გაუგებრობის შედეგია.

სიტყვა „საკარგავეის“ მნიშვნელობის გასარკვევად საჭიროა

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, 1928 წ., გვ. 32—33.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, 1943 წ., გვ. 163.

<sup>3</sup> ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, მე-13—14 ს. ს. „უნავერ-სიტეტის შრომები“, VI, 1938 წ., გვ. 2, 8.

მოვიყვანოთ ზემოაღნიშნული მუხლის ტექსტი 1672 წლის ნუსხის მიხედვით, რომელიც ჯერ-ჯერობით ბეჟა-ალბუღას კანონების უძველეს ხელნაწერად ითვლება. აღნიშნული ნუსხის 45-ე პუხლში ნათქვამია: „მამულისა გასყიდვა ცუდია ბატონის დაუმოწმებლად, და ნახევარი ფასი მსყიდველსა სარეგუნოდ დაუშავდეს; ამაშიგან მართლობა რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის სყიდვასაო“. აღნიშნულ ნუსხაში „საკარგავის გასყიდვის“ ნაცვლად სწერია „მამულისა გასყიდვა“. მაშასადამე, „საკარგავი“ ნიშნავს „მამულს“ და არა დაკარგულ ნივთს ან გაძევებულ, მოხეტიალე პირს, ხოლო „სარეგუნო“ აღნიშნავს იმ ჯარბრძელს, რომელიც დაწესებულია „ბატონის დაუმოწმებლად“ მამულის გაყიდვისათვის. მამული ბატონის საკუთრებაა, იგი პატრონს ანუ სენიორს ეკუთვნის, ვასალს ანუ ხელქვეით მემამულეს ადგილ-მამული მიღებული აქვს პატრონისაგან მფლობელობის უფლებით, რაც დაკავშირებულია განსაზღვრული სამსახურის შესრულებასთან. ვასალს მამულზე საკუთრების უფლება არა აქვს და ამიტომ მიწის გაყიდვა პატრონის თანხმობის გარეშე მას არ შეუძლია. და მიუხედავად ამისა, თუ ვინმე გაყიდდა მამულს, პატრონის უნებართვოდ „გასყიდვა ცუდია“. ე. ი. გაბათილებულია, ბათილია და ქონებრივი სასჯელის სახით, „სარეგუნოდ“ ნახევარი ფასი მყიდველს, ხოლო ნახევარი გამყიდველს უნდა წაერთვას. ასეთი ჯარიმა დაწესებულია იმისათვის, რომ მომავალში ბატონის დაუმოწმებლად ყმის მამულს „ნუ ვინ დაებმის სყიდვასაო“.

„საკარგავი“ საადგილ-მამულო მფლობელობის ისეთი სახეა, რომელიც დასავლეთ ევროპის *beneficium*“-სა და რუსეთის „*ио-мечтѣ*“-ს შეესაბამება. იგი მეფის ან პატრონისაგან ნაწყალობევი მამულია, რომლის მფლობელობა დაკავშირებულია ყოველგვარი ხასიათის სამსახურთან (სალაშქროს, კარის, პირადსა და სხვ.) „აზნაურნი მოსაკარგავენი“ ის აზნაურები იყვნენ, რომლებსაც მეფის მიერ ბოძებული ჰქონდათ „საკარგავი“ სამსახურის პირადად შესრულების პირობით. „საკარგავი“ პირობითი და ვადიანი ან მთელსიცოცხლივი მფლობელობა იყო, ხოლო „მამული“—მემკვიდრეობითი მფლობელობა. „საკარგავის“ გაცემა წყალობის სიგლით ხდებოდა. მფლობელობა შეიცავდა უძრავი ქონების ყოველგვარ ობიექტს. „საკარგავის“ ფლობის უფლება მეფის ან პატრონის სამსახურში მყოფ პირებს, უმთავრესად აზნაურთა ქვედა ფენას—მსახურ-აზნაურებს—აქვთ. „საკარგავი“ მეფის ან პატრონის საკუთარი ქონებიდან გამოყოფილ მამულს შეადგენდა. საკუთრების უფლების სუბიექტი მეფე ან პატრონი იყო,

მფლობელი კი მსახურ-აზნაური, რომელსაც „საკარგავის“ სარგებლობის უფლება ეკუთვნოდა. საკარგავის ოდენობა განისაზღვრებოდა სამსახურის მოცულობით. სამსახურის შეწყვეტა იწვევს „საკარგავის“ ჩამორთმევას. „საკარგავი“ პირადი და პირობითი მფლობელობაა, ამიტომ მისი გასხვისება არ შეიძლება.

ნიშანდობლივია, რომ ფეოდალური გერმანიის XI საუკუნის სანივთო სამართალი ბენეფიციუმის მფლობელ ვასალს სენიორის თანხმობის გარეშე უკრძალავს მამულის დაგირავენას, გაყიდვას, ან მემკვიდრეობითი იჯარის სახით მის გასხვისებას. იპკერატორ ფრიდრიხ პირველის „რონკალის დადგენილებანი ფეოდის შესახებ“ აწესებს: „არავის არ შეუძლია გაყიდოს, დააგირაოს, სულის შესანდობლად გადასცეს, ან სხვა რაიმე სახით გაასხვისოს მთელი ფეოდი ან მისი ნაწილი უმაღლესი სენიორის თანხმობის გარეშე, რომლის მიერაც გაცემულია ფეოდი“.<sup>1</sup> გამყიდველი და მყიდველი, რომლებიც ასეთი არაკანონიერი გარიგების დადებაში მხილებული იქნებიან, კარგავენ ფეოდს, რომელიც უცილობლად გადაეცემა სენიორს. ხოლო ის, ვინც ასეთი დოკუმენტი განზრახ შეადგინა, პატივის აყრით კარგავს თანამდებობას და ხელს. ფეოდის გასხვისების ასეთი მკაცრი აკრძალვა შეარბილა შემდგომი პერიოდის კანონმდებლობამ. ლომბარდიის ფეოდალური სამართლის წიგნები (*Libri feudorum*), რომლებიც შედგენილი იყო იტალიაში XII საუკუნეში და შეთვისებული შუა საუკუნეების გერმანიის სამართლის მიერ, ფეოდის გასხვისების შესახებ ადგენს: „თუ ვასალი მოისურვებს თავისი ფეოდის ნახევრანდე გასხვისებას, შეუძლია გააკეთოს ეს სენიორის ნებართვის გარეშე. თანახმად საქართლიანი და კანონიერი ჩვეულებისა ნახევარზე მეტის გაცემა არ შეუძლია, წინააღმდეგ შემთხვევაში კარგავს ფეოდს, ხოლო გარიგება ბათილია“.<sup>2</sup> შემდგომი პერიოდის ფეოდალურმა კანონმდებლობამ ეს წესი გაათავართოვა და გაავრცელა სააღგილმამულო საკუთრების ობიექტების სხვადასხვა საშუალებებით გასხვისებაზედაც.

ქართულ სამართალში ქველად არსებული წესის თანახმად, როგორც ეს ზემოთ დავინახეთ, სხვის უკაცრიელ, ნაოხარ მიწაზე ბაღის ან ვენახის გამშენებელს გაშენებული მიწის ნახევარი საკუთრებად ერგებოდა. ამასთან, გამშენებელს ნახევრის მაგიერ მიწის

<sup>1</sup> Средневековье в его памятниках, под ред. Д. Н. Егорова. 1913 წ.,



მესაკუთრისაგან ფასის მიღება შეეძლო, თუ მოისურვებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მიწის მესაკუთრეს მისთვის გაშენებულის ნახევარი საკუთრებად უნდა მიეცა. ბექა მანდატურთუხუცესის სამართლიდან ჩანს, რომ გამშენებლის ეს უფლება იმ დროისათვის საცილობლად გამხდარა, რის გამო სამართალმა შემდეგი წესი დაადგინა: „თუ კაცმან კაცისა მიწა გააკატრიელოს, გინა ნაშრომითა, გინა ნაგებითა, გინა ნარგევითა ანუ ობლობისათვის; ანუ გარდახვეწისათვის, რა მემამულემან მოიკითხოს, დაქირვას არას ემართლების, ნაქმრის ფასი მისცეს და ადგილი მემამულესვე მართებსო“ (მუხ. 54). მაშასადამე, მიწის მესაკუთრე ინარჩუნებს უკატრიელ მიწაზე გაშენებული მამულის საკუთრებას და გამშენებელს მხოლოდ შრომის ფასს აძლევს, რადგან „კაცი კაცისა მამულისა გამოთხოვანს არა ემართლებს არცა სასყიდლად, არცა სასაკარგოდ პატრონისაგან. თუ იყიდოს, ოდესცალა მემამულემან მოიკითხოს, მიწა დაუდვას უნიზეზოდ და ფასი ამღებელს სთხოოსო“ (მუხ. 55). აქედან ჩანს, რომ, როცა მიწის მესაკუთრისათვის ხელსაყრელი იყო გაშენებული მიწა მთლიანად ხელში ჩაეგდო, ის გამშენებელს ნახევრის ფასს აძლევდა, ხოლო, როცა მესაკუთრისათვის უმჯობესი იყო გაშენებულის ნახევრის მიცემა, მაშინ გამშენებელს ფასის მიცემაზე უარს ეუბნებოდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ სასყიდლის მიღების არჩევანი, რომელიც კანონით გააშენებელს ჰქონდა უპირატესად მინიჭებული, მიწის მესაკუთრეს სურდა მისთვის წაერთმია და თითონ დაესაკუთრებია. მიწის გამშენებელსა და მესაკუთრეს შორის აღნიშნულ უფლებათა შესახებ დავამ, რასაც ადგილი ჰქონია პრაქტიკაში, განსაზღვრა სამართლის წიგნში ზემოაღნიშნული წესის შემოღება. ვახტანგის კანონთა კრებულის 5—3683 ხელნაწერში ეს მუხლი განსხვავებული რედაქციითაა წარმოდგენილი და ნათქვამია, რომ კაცი კაცისა მამულისა გამოთხოვას არ ემართების „არცა სასყიდლად, არცა სასაკარგოდ“. სიტყვა „სასაკარგოდ“ 1672 წლის ნუსხაში არ არის. ის წარმონდგარი უნდა იყოს „საკარგავისაგან“ და, ალბათ, შეიცავს საადგილმამულო მფლობელობის ამ სახისათვის დამახასიათებელ უფლებრივ რეჟიმს.

მამულის გაყიდვა და გასხვისება მხოლოდ მისი პატრონის უფლებამოსილებას შეადგენს, რადგან „ადგილი პატრონისა არის“, „მამული მემამულეს მართებს“. ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი ითვალისწინებს მამულის გაყიდვას, როგორც საკუთრების უფლების გადაცემის საშუალებას. მიწის მესაკუთრეს

უფლება აქვს მიჰყიდოს კაცს „საგლებო ფუძე, გინა კაცრიელი, კინა უკატური“. ამასთან მყიდველს არა აქვს უფლება მოითხოვოს გამყიდველისაგან იმაზე მეტი ქონება, რაც სყიდვის ხელშეკრულების დადების დროს იყო გამყიდველის განკარგულებაში. აქ ხელშეკრულების ობიექტი გლეხის კარ-მიდამო, მისი საჯდომი მიწაა, რომელზედაც დაფუძნებულია იგი. მყიდველზე „საგლებო ფუძის“ საკუთრების უფლების გადაცემა ფასის მიცემისთანავე ხდება. მაგრამ ამასთან ერთად კანონი იცავს მიწის მფლობელი მემამულის — „ფუძის მკვიდრი კაცის“ — უფლებას. თუ მიწის მკვიდრი კაცისათვის მფლობელობის უფლებით მიცემული მამული ანუ „საგლებო ფუძე“ მაინც გაიყიდა, „ფუძის მკვიდრი კაცი“, ანუ მფლობელი, „გარეთ წასული“ რომ იყო, როცა მამულის მფლობელი „შინა მამულსა ზედა მიევა“, მამული უნდა მიეცეს მას და მიწის პატრონი მამულის „დაჭირვას არას ემართლებაო“. მაშასადამე, პატრონის მიერ ვასალის ანუ ყმისათვის მფლობელობის უფლებით მიცემული ადგილ-მამული, თუ ყმა თავის პატრონის სამსახურს ასრულებს, არ შეიძლება სხვას გადაეცეს გაყიდვის ან გასხვისების სხვა საშუალებით. აქედან ჩანს, რომ მფლობელობა მეტად მტკიცე უფლებამოსილებაა, რომელიც ზღუდავს მამულზე მისი პატრონის საკუთრების უფლებას. მფლობელობის უფლების ჩამორთმევა არ შეიძლება საამისოდ გათვალისწინებული კანონიერი საფუძვლის გარეშე. სამართალი იცავს ვასალის ამ უფლებას მამულის მემატრონის არაკანონიერი განკარგულებისაგან. რაკი ნესაკუთრის უფლება მამულის გაყიდვაზე შეზღუდულია, ცხადია, ვასალს, და მით უმეტეს გლეხს, ამის უფლება არ ჰქონდა. აღბუღას სამართალი ადგენს, რომ გლეხს არ შეუძლია „სამიწო ნასყიდი“ შეიძინოს, გაყიდოს, ან „დაწინდოს სამამულო“, ე. ი. დააგირაოს უძრავი ქონება. გლეხს გლეხის ყიდვისა და დასაკუთრების უფლება არა აქვს, — „გლეხი გლეხსა მკვიდრად ნუ ირჩის და არცა მართებს, და არცა სყიდვასა ემართლებაო“. ანდა გლეხი გლეხს როგორ იყიდდა, როცა მას დაუმოწმებლად — „ხელჩაურთავად“ — ერთი ხარის ფასის საქმეზე თავდებად დადგომის უფლებაც რომ არ ჰქონდა!

ბეჟა-აღაშუღას სამართალი არა იშვიათად ითვალისწინებს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას, როგორც საკუთრების შექმნის საშუალებას. ამ გზით ყოველ თავისუფალ კაცს შეუძლია საკუთრების უფლება მოიპოვოს ყოველგვარ მოძრავ ქონებაზე, როგორც სულიერს, ისე უსულოზე ანუ „სასაქონლოზე“. საკუთრების უფლე-

ზის ვადაცემა ხელშეკრულების პირობების დაცვით უნდა ხდებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულება ბათილია და გამყიდველმა მყიდველს მიყენებული ზიანიც უნდა აუნაზღაუროს. ნეორეს მზრივ, თუ მყიდველი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობას მოშლის, უპირობის ჯარიმა — „ს ა ნ ს ლ ე ლ ო“ — უნდა გადაიხადოს ნივთში მიცემული ფასის ერთი მეათედის დაკარგვის სახით.

სანივთო სამართალი საკუთრების უფლების წარმოშობის ერთ-ერთ საფუძვლად ხანდაზმულობას თვლის. ჩვეულებრივად ასე ხვადებენ ორი სახის ხანდაზმულობას: დაფარვით ხანდაზმულობას და შექენით ხანდაზმულობას. დაფარვითი ხანდაზმულობა იწვევს იმ უფლების დაკარგვას, რომელიც განსაზღვრული დროის განმავლობაში არ ხორკიელდება. დაფარვის ხანდაზმულობის მთავარ სახეს წარმოადგენს სარჩელის ხანდაზმულობა, ე. ი. სარჩელის უფლების დაკარგვა განსაზღვრული ვადის განმავლობაში სარჩელის წარუდგენლობის გამო. შექენითი ხანდაზმულობა, ანუ ხანდაზმითი მფლობელობა, ნიშნავს საკუთრების უფლების შექენას კანონით განსაზღვრული დროის განმავლობაში ნივთის მფლობელობის საფუძველზე.

ხანდაზმულობის ინსტიტუტი რომის სანივთო სამართალმა შეინიშნავა. შექენითი ხანდაზმულობა (*usucapio*) გულისხმობს განსაზღვრულ პირობებს: ხანდაზმულობის ვადის გასვლას (*longi temporis*), მფლობელობის კანონიერ საუფქველს (*justus titulus*), კეთილსინდისიერ მფლობელობას (*bona fides*) და ვარგის ნივთს (*res habilis*). XII ტაბულის კანონები მოძრავ ნივთებზე ხანდაზმულობას ერთი წლით განსაზღვრავდა, ხოლო უძრავზე — ორი წლით. იმპერატორმა თეოდოსი II 424 წელს სარჩელის დაფარვით ხანდაზმულობისათვის 30-წლიანი ვადა დაადგინა, ხოლო ზოგიერთი სარჩელისათვის — 40-წლიანი. იმპერატორმა იუსტინიანემ 531 წელს სპეციალური ბრძანებულებით განსაზღვრა ხანდაზმულობის ვადები შემდეგნაირად: ნოდრავი ნივთებისათვის — 3 წლამდე, ხოლო უძრავისათვის — 10 ან 20 წლამდე. რომის სამართლის მიერ შემუშავებული ხანდაზმულობის ინსტიტუტი გამოყენებული იქნა შუა საუკუნეების ევროპის სახელმწიფოების სანივთო სამართალში, როგორც საკუთრების უფლების შექენის ერთ-ერთი საშუალება.

ბეკა აღბუღას სამართალი ხანდაზმულობის საკითხებს ეხება მთელ რიგ მუხლებში. აღბუღას სამართლის 77-ე მუხლი ადგენს: თუ 7 წლის განმავლობაში ბატონი არ ეძებს თავის გაქცეულ

მკვიდრ ყმას და არ ითხოვს მის უკან დაბრუნებას, იგი კარგავს მკვიდრ ყმაზე საკუთრების უფლებას, — „თუ არ ეთხოვნოს, და არ ესარჩლოს, თხოვასა არ ემართლების, არცა ბჭობასა შჯდსა წელიწადსა უკანით“. გაქცეულ ყმაზე სარჩლის შვიდი წლის ხანდაზმულობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ბატონისათვის ცნობილია გაქცეული ყმის საპყოფელი ადგილი და მან იცის, თუ ვისთან, რომელ ბატონთან მივიდა იგი. მაგრამ, თუ ყმა შორს წავიდა და ბატონმა არ იცის, ის სად არის, ასეთ შემთხვევაში სარჩლის ხანდაზმულობა 30 წლით განისაზღვრება, — „თუ შოჲს ყოფილიყოს და არა სცოდნოდეს, პირველადვე დაწესებული 30 წელიწადი არს შეკუთილიო“. აჭრივად, აღბუღას სამართალი გაქცეულ მკვიდრ ყმაზე საკუთრების უფლების მოპოვებისათვის ყმის სამყოფი ადგილის მიხედვით, სარჩლის ხანდაზმულობას 7 ან 30 წლით განსაზღვრავს. ხანდაზმულობის პირველი ვადა ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როცა ბატონმა იცის თავისი ყმის სამყოფი ადგილი, მაგრამ სარჩელსა და მოთხოვნას არ აყენებს, რის გამო 7 წლის გასვლის შემდეგ კარგავს მოთხოვნის უფლებას. სარჩლის ხანდაზმულობის 30-წლიანი ვადა კი გათვალისწინებულია შორს და უცნობ ადგილას გადახვეწილი მკვიდრი ყმის მიმართ.

როგორც კანონის ზემოაღნიშნული მუხლიდან ჩანს, ხანდაზმულობის ეს ვადები კონკრეტულ შემთხვევებზე ვრცელდება. ექვთიმე მთაწმიდლის „მცირე სჯულის კანონით“ 30-წლიანი ხანდაზმულობა საერთო ხანდაზმულობის ვადაა. ვახტანგის სამართალიც გაქცეული ყმა-გლეხის მიმართ 30-წლიან ხანდაზმულობას ითვალისწინებს. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილის აზრით 30-წლიანი ხანდაზმულობა ქართულ სამართალში მფლობელობის ხანდაზმულობის საერთო ვადა უნდა იყოს. მაგრამ ეს აზრი სწორი არ უნდა იყოს, რადგან ზემოაღნიშნულ შემთხვევებში საქმე გვაქვს სარჩლის ხანდაზმულობასთან და ისიც მხოლოდ გაქცეული ყმების მიმართ. ამიტომ ხანდაზმულობის 30-წლიანი ვადა მფლობელობის საერთო ხანდაზმულობას არ გულისხმობს და რომაულ usucapio-ს არ შეესაბამება.

საადგილმამულო საკუთრების ობიექტების მიმართ ბექა-აღბუღას სამართალს ხანდაზმულობა არ მიაჩნია მფლობელობის უფლების დაკარგვის საფუძვლად. ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნი ადგენს: „თუ კაცსა კაცისა მამული ჰქონდეს და, ანუ პატრონებისა საქმისაგან და ანუ სხვის რისამე ჟამისა მოგვარებისაგან, ვერღა წაეღოს, რა გინდა შესძლებოდეს, და სარჩელი, ბრძოლა და კაცთა

წინა ჩივილი არა ოდეს დაეკლოს, ხანისა გამოსვლისათვის უსაქმობასა არავინ ემართლებისო“ (მუხ. 42). „ხანის გამოსვლა“ ან ხანდაზმულობა ამ შემთხვევაში არ იწვევს ადგილმამულის მფლობელობის დაკარგვას. „უსაქმობა“ ნამულის მფლობელობის აღკვეთას, მიწის „დაჭირვას“, სარჩლის უფლების დაკარგვას ნიშნავს. აქ ნათლად ჩანს ფეოდალური სანიეთო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება, ოაც იმაში გამოიხატება, რომ მფლობელობა საადგილმამულო ობიექტებზე მეტად მტკიცე უფლებამოსილებას შეადგენს, რომლითაც აღკვეთილია პატრონის ყმა ანუ ვასალი. ხანდაზმულობით მამულის დაქვრა არ შეიძლება, ხანის გამოსვლა არ იწვევს მფლობელობის დაკარგვას. „თუ კაცმან კაცსა რომლისამე უამისათვის რა გინდა რამე მიწა გინა მზღვარი დაუჭიროს, ოდეს(უა) სამართალი იშოვნოს, ნაქამათა დაუდვას იგი ადგილი მან კაცმან“ (მუხ. 51). მამულის მფლობელობა არ იკარგება ხანდაზმულობის გამო ანუ „უამისათვის“. დრო აო იწვევს მფლობელობის აღკვეთას. დაჭირვის შემთხვევაში მიწის მფლობელს მამული და შემოსავალიც უნდა მიეცეს, — „ნაქამით დაუდვას“. მიწის მფლობელის სხვაგან წასვლია და ადგილზე ხანგრძლივი არყოფნის გამო თუ მიწის მესაკუთრე მის მამულს გაყიდის, როცა მიწის მფლობელი — „ფუძის მკვიდრი კაცი“ — თავის მამულში დაბრუნდება, მამულის მფლობელობას ლებულობს, მიუხედავად იმისა „რა გინდა ვისა ხანი დაეყოს, იგი არას ემართლებათ“. ამ შემთხვევაშიც ხანდაზმულობა არ ითვლება საკუთრების შეძენის საშუალებად და იგი არ იწვევს მფლობელობის დაკარგვას.

ა საკუთრების უფლების შეძენის ერთ-ერთ საშუალებას ჩუქება შეადგენს. ჩუქების ხელშეკრულების ობიექტი შეიძლება იყოს როგორც უძრავი ქონება — „სამამულო“, — ისე სულიერი და უსულო („სასაქონლო“) მოძრავი ქონებაც. ბეჯა მანდატურთუხუცესის სამართალი ადგენს: თუ ვინმემ კაცს მოყვრობისა და კარგი დამოკიდებულებისათვის რაიმე აჩუქოს „გინა სამამულო, გინა სასაქონლო და რა გინდა რა“ ქონება, გამჩუქებელი დროთა განმავლობაში კიდევ რომ გადარიბდეს, ქონების უკან მოთხოვას არ ემართლებისო. მაგრამ, თუ მათ შორის მოყვრობა და კეთილი განწყობილება მოიშალოს, გამჩუქებელს საჩუქარი დაუბრუნდეს უკლებლივ.

აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალიც ჩუქების ასეთივე წესს ითვალისწინებს. თუ კაცს კაცისათვის საჩუქრის სახით გასამრჯელოდ „მიეცეს რამე, გინა სამამულო და გინა სასაქონ-

ლო... თხოვასა და წაღებასა არას ემართლებისო“. განსხვავება ნხოლოდ იმაშია, რომ აღბუღას სამართალი საჩუქარს განიხილავს როგორც გარკვეულ გასამრჯელოს „კარგად ყოლისა და საურაეისათვის“, ე. ი. საჩუქარს აქ სამაგიერო პატივისცემის ხასიათი აქვს და ამით ერთგვარად განსხვავდება ბექას სამართლის წიგნით გათვალისწინებული ჩუქების ხელშეკრულებისაგან. ორივე შემთხვევაში. საჩუქარის მიცემა საკუთრების უფლებას წარმოშობს საჩუქრად მიღებულ ქონებაზე. სამამულო ქონების საჩუქრად მიცემა მხოლოდ მას შეეძლო, ვისაც ადგილ-მამული ეკუთვნოდა. მხოლოდ მიწის პატრონს ჰქონდა საკუთარი მამულის სხვაზე გადაცემის უფლება. ცხადია, საკუთრების ამ გზით წარმოშობას ადგილი უნდა ჰქონოდა ფეოდალთა კლასის ზედა ფენის წარმომადგენელთა შორის.

საადგილმამულო საკუთრების უფლების გადაცემის ძირითადი ფორმა მამულის მემკვიდრეობით გადაცემა ანუ „მემამულეობა“ იყო. მემკვიდრეობას მამულის კანონიერი მკვიდრი მამულის მფლობელობის ანუ „მამული მოსაქმეობის“ სახით ღებულობდა. „მამული“ სპეკიდრო უქრავ ქონებას, მემკვიდრეობით მიღებულ ადგილ-მამულის მფლობელობას ეწოდება. როგორც წესი, მამულის მემკვიდრეობით გადაცემა შვილებზე მამის ანუ სამკვიდროს დანტოვების გარდაცვალების შემდეგ ხდებოდა, ე. ი. მას შემდეგ „რა მამა გარდაცდეს მამულისა მოსაქმეობასაო“, ამბობს ბექას სამართალი.

ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნი ადგენს: „თუ მამა-შვილინი გაიყარნენ, შვილი მამულისა გაყოფასა არა ემართლებს, ანისთჳს როჳე, რა მამაჲ მოკუდების, მამულსა შვილისასა არას ემართლებს. მან სხუაჲ მოიგოს მამის სიკუდილამდისო“ (156). მამული მემკვიდრეობითი მფლობელობაა. იგი მთელი სიცოცხლის განმავლობაში აქვს მამას, რომელიც მამულის მფლობელობასთან დაკავშირებულ სამსახურსა და ვალდებულებებს ასრულებს მისი პატრონის ანუ სენიორის წინაშე. ძამის გარდაცვალების შემდეგ მამული და მასთან დაკავშირებული ვალდებულებანი მემკვიდრეობით გადადის შვილებზე.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 49-ე მუხლი მამულის გაყოფას ზოგიერთი გვარეულობისათვის ადათობრივი სამართლის გამოწვევის ჩვეულებად თვლის ისეთ შემთხვევაში, როცა დაცოლშვილებული ძმა ოჯახიდან გამოყოფას მოისურვებს. მაგრამ ეს საგვა-

რეულო ჩვეულების გამონაკლისი წესია, რომელიც შეიძლება „არა ოდეს ქმნილა მათსა გვარსა შიგანო“.

საკუთრების შეძენა ანდერძითაც ხდება. როგორც ცნობილია, მემკვიდრეობითი სამართალი ასხევაებს მემკვიდრეობას კანონით და მემკვიდრეობას ანდერძით. სამემკვიდრეო სამართლის ეს წესი დეტალურად შეიმუშავა რომის სამოქალაქო სამართალმა. მან ზუსტად განსაზღვრა კანონიერ მემკვიდრეთა ჯგუფები და ანდერძით მემკვიდრეობის ფორმები.

ფეოდალური საფრანგეთის მემკვიდრეობითი სამართლის მიხედვით XII საუკუნემდე ოჯახის უფროსის გარდაცვალების შემდეგ ფეოდი არ გადადიოდა მის მემკვიდრეებზე, არამედ სენიორს უბრუნდებოდა, რომელიც ხელახლა აძლევდა ფეოდს მემკვიდრეებს. XII საუკუნიდან ეს მდგომარეობა შეიცვალა კუტიუმების ანუ ადათობრივი სამართლის წესით: „le mort saisit le vif“ — „მკვდარს მფლობელობაში შეჰყავს ცოცხალი“, — რომლის საუფუძველზე ფეოდი მემკვიდრეობით მფლობელობად იქცა. ეს პრინციპი აღიარებული იყო გერმანულ სამართალშიც ფორმულით: „Der Tote erbt den Lebendigen“. საფრანგეთში ამ დროისათვის შეიცვალა ვაჟიშვილებს შორის მემკვიდრეობის თანაბრად გაყოფის ჩვეულება და დადგენილ იქნა, რომ ფეოდი მემკვიდრეობით გადაეცემა მხოლოდ უფროს ვაჟიშვილს, რომელიც უბრუნველყოფს სამსახურის შესრულებას. XIII საუკუნემდე ქალებს არ ჰქონდათ ფეოდის მემკვიდრეობით მიღების უფლება. ანდერძით მემკვიდრეობა ფართოდ იყო გავრცელებული სამხრეთ საფრანგეთში, სადაც რომის სამართლის ძლიერ გავლენას ჰქონდა ადგილი.

როგორც წესი, ფეოდალური სამართალი არ ცნობდა უძრავი ქონების ანდერძით გადაცემას. ადგილ-მამული კანონიერ მემკვიდრეებს ეძლევა. სამკვიდროს დამტოვებელს უფლება არა აქვს საანდერძო განკარგულებით უძრავ ქონებაზე მემკვიდრეობის უფლება წაართვას თავის შვილებს. „საქსონიის სარკე“ (I, 52 § 1) ადგენს: მემკვიდრეების თანხმობისა და უფლებამოსილი სასამართლო სხდომის გარეშე არავის აქვს უფლება გაასხვისოს თავისი მამული ან ყმები. უკეთუ ვინმე კანონსაწინააღმდეგოდ გაასხვისებს მემკვიდრეთა თანხმობის გარეშე, მამული და ყმები სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონიერ მემკვიდრეებს ეძლევა, ხოლო გამსხვისებული, თითქოს გარდაცვლილი, კარგავს მასზე უფლებას. ასეთ არაკანონიერ გასხვისებას კანონი განიხილავს როგორც ქონების

მითვისებას. მოძრავი ქონების გადაცემა შეიძლებოდა როგორც კანონიერ, ისე ანდერძით არჩეულ მემკვიდრეებზე. ამასთან, მემკვიდრეობის ანდერძით დამტკიცების საქმეს ეკლესია განაგებდა.

მემკვიდრეობას ანდერძით, როგორც საკუთრების უფლების გადაცემის საშუალებას, იცნობს ბექა-ალბულას სამართალიც. ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 57-ე მუხლი ადგენს: „ანდერძი, რომელმან კაცმან. თქვას, მისსა სიკვდილსა შემდგომადლა იქნების მტკიცე და დადასტურებული, თუ არა სიცოცხლესა შინა ორივე ჯელ-წიფების, — გინა მოშლა, გინა გათავება“. მემკვიდრეობის ანდერძით გადაცემის ზემოაღნიშნული წესი, ალბათ მოძრავ ქონებაზე ვრცელდებოდა, რომელიც სამკვიდროს დამტოვებელს შეეძლო საკუთრების უფლებით გადაეცა სხვა პირისათვის. სამამულო ქონების მემკვიდრეობის გარეშე პირზე ანდერძით გადაცემა არ შეიძლებოდა. ამიტომ მცდარია ნ. ურბნელის განმარტება ზემოაღნიშნული მუხლის ტექსტისა: „რასაკვირველია, ყოველივე ეს მარტო მონაგებს კი არა, მამულსაც შეეხებოდაო“<sup>1</sup>. ასეთი დასკვნა სრულიად არ გამომდინარეობს კანონის შინაარსიდან. სამკვიდროს დამტოვებელი მის კანონიერ მემკვიდრეებს ადგილ-მამულის მემკვიდრეობის უფლებას უმიზეზოდ ვერ წაართმევდა. ეს ფეოდალური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და ურთიერთვალდებულებებს ეწინააღმდეგებოდა და მიწის მფლობელსაც პატრონის ანუ სენიორის ნებართვის გარეშე ამის უფლება არ ჰქონდა.

საკუთრების უფლების შექმნა ფეოდალური სანივთო სამართლის მიხედვით ქონების შეწირვის გზითაც შეიძლებოდა. საადგილ-მამულო ქონების ეკლესიისათვის შეწირვის პრაქტიკამ ფართო გავრცელება მიიღო შუა საუკუნეების ევროპის ფეოდალურ სამართალში. ფეოდის ან ბენეფიციუმის შეწირვით მისი მფლობელი თავისუფლდებოდა ფეოდალური სავალდებულო სამსახურისა და ბეგარისაგან. მიწის გადაცემა მონასტრებზე იწვევდა სენიორის სასარგებლოდ ვასალის სამსახურის შეწყვეტას. თანაც ვასალები ეკლესიისათვის შეწირულ ადგილ-მამულებს ხშირად უკანვე ლებულობდნენ მონასტრებისაგან სარგებლობის უფლებით შეღავათიან პირობებში. ამ გზით მცირდებოდა მეფისა და სენიორის პატივი და სავალდებულო სამსახური. გარდა ამისა ასეთ შემთხვევებში ფეოდის კანონიერი მემკვიდრეები კარგავდნენ მემკვიდრეობის უფლებას საადგილმამულო ქონებაზე. ამიტომ მეფის ხელისუფლება.

<sup>1</sup> ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და ალბულა, გვ. 187.



მკაცრად დევნიდა ფეოდის არაკანონიერ გასხვისებას, რაც გათვალისწინებულია საერო სამართლის ძეგლებითა და სპეციალური საკანონმდებლო აქტებით. ეკლესიისათვის მიწების შეწირვის წინააღმდეგ ჯერ კიდევ IX საუკუნის პირველ მეოთხედში იმპერატორ ლუდოვიკ ღვთისსიერის მიერ გამოცემული იქნა კაპიტულარი, რომელიც ადგენს: „არც ერთმა სასულიერო პირმა არ გაბედოს მიწის ძღვნად მიღება იმ პირთაგან, რომელთა შეილებს თუ ნათესავებს თანხმობა არ მიუციათ ამ შესაწირავის გაცემაზე და რომელნიც შემკვიდრობას მოკლებულნი აღმოჩნდნენ. ხოლო უკეთუ ვინმე ამიერიდან მოინდომებს ამის ჩადენას, ძღვნის მიმღებს სასტიკი მსჯავრი უნდა დაადოს საეკლესიო კრებამ ან იმპერატორმა, მიწები კი დაუბრუნდეს იმათ, ვინც შემკვიდრობას მოკლებული აღმოჩნდა“. <sup>1</sup> ევროპის ფეოდალური სახელმწიფოების შემდგომი პერიოდის კანონმდებლობა ხშირად უბრუნდება ამ საკითხს.

განსაკუთრებით მკაფიოდ გამოიხატა ადგილ-მამულის მონასტრებზე შეწირვის აკრძალვა ინგლისის XIII საუკუნის საკანონმდებლო ძეგლებში.

1215 წლის „თავისუფლებათა დიდ ქარტიამი“ აღნიშნულია, რომ მონასტრებზე მიწების გადაცემისა და ყოფილი მფლობელის მიერ მამულის უკანვე მიღების შემთხვევაში შეწირვა გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს, ხოლო მამული მის მფლობელს უნდა ჩამოერთვას და გადაეცეს ლორდს ანუ სენიორს. ბარონების ბრძოლა ეკლესიასთან ამ საკითხის თაობაზე ამით არ დამთავრებულა. 1279 წელს გამოცემული იქნა ე. წ. „სტატუტი მკედარი ხელის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა ეკლესიის სასარგებლოდ მიწის გასხვისების აკრძალვას ლორდის თანხმობის გარეშე. ადგილმამულის ასეთ გადაცემას, „მკედარი ხელი“ ეწოდებოდა, რადგან ვასალი თავისი ლორდის ანუ სენიორის სასარგებლოდ ფეოდის მფლობელობისათვის არავითარ სამსახურსა და ბეგარას არ ასრულებდა, ე. ი. სენიორისათვის ფეოდი „მკედარი“ იყო, ხოლო ვასალის უმემკვიდრეოდ გარდაცვალების შემთხვევაში ადგილ-მამული ბეთალმანი ხდებოდა და სენიორი მასზე საკუთრების უფლებას კარგავდა. სტატუტმა აკრძალა სენიორის უნებართვოდ ადგილ-მამულის „მკედარ ხელში გადაცემა“ (ad manum mortuam devenire), რა სახითაც არ უნდა ყოფილიყო იგი. 1290 წლის სტატუტმა განამტკიცა წესი იმის შესახებ, რომ ვასალის მიერ ფეოდის გასხვისება შეიძლება

<sup>1</sup> Н. Грацианский. Западная Европа в средние века. 1925, стр 42.

მხოლოდ და მხოლოდ სიუხერენის თანხმობითა და იმ პირობით, რომ ახალი ვასალი შეასრულებს იმავე სამსახურსა და ბეგარას, რასაც ყოფილი ვასალი ასრულებდა ფეოდის მფლობელობისათვის სენიორის სასარგებლოდ.<sup>1</sup> საადგილმამულო საკუთრების გასხვისების ასეთი წესი არსებობდა შუა საუკუნეების ევროპის სხვა სახელმწიფოთა სამართლის ძეგლებისა და საკანონმდებლო აქტების მიხედვითაც.

ძველი ქართული სანიეტო სამართლის მიხედვით შეწირულების ნიადაგზე წარმოშობილ საკუთრებას ის თავისებურება ჰქონდა, — ამბობს აკად. ივ. ჯავახიშვილი, — რომ შეწირულების მიძღვნილი მხოლოდ პირობითი მესაკუთრე იყო, რადგან შემწირველის მემკვიდრის ნებართვა იყო საჭირო, რომ შეწირულებას ძალა შერჩენოდა.

ბექა-აღბულას სამართლის წიგნი მხოლოდ ერთ მუხლში ითვალისწინებს საკუთრების გადაცემას შეწირულების გზით. 81-ე მუხლში აღნიშნულია, რომ, თუ უშვილო ქალი დაქვრივდეს, მისი მზითვეი დაუკლებლად უნდა მიეცესო, ხოლო თუ ქალი მოკვდეს, მზითვეი „მისსა სამშობლოსა მართებსო“, ე. ი. ქალის საგვარეულო ოჯახს ეკუთვნისო. თუ ქვრივ ქალს შვილები დარჩება და დედა გათხოვდება ან სადმე თავისთვის განკერძოებით იქნება, შვილების უძრავ ქონებას ვერც გაყიდის და ვერც გაცემს, — „სამამულეცა ასრე. რომე ნუცა რას გაუყიდის, ნუცა რას გაუცემსო“. მაშასადამე, შვილებიან ქვრივ ქალს არ შეუძლია მიწა ეკლესიას ან სხვა ვინმეს გადასცეს. მამული მემკვიდრეობითი მფლობელობაა, რომელიც კანონიერ მემკვიდრეებს, შვილებს ეკუთვნის და მათი მფლობელობის აღკვეთა არაკანონიერ მოქმედებად ითვლება.) ზემოაღნიშნული მუხლი მთავრდება ასეთი წინადადებით: „ესე ეგების, რომე მონასტერთა შიგა შესწიროს და მას შვილნი ნუ ეცდებიანო“. აქედან ჩანს, რომ კანონი ნებას აძლევს დაქვრივებულ ქალს, რომელსაც შვილები ჰყავს, შეხწიროს ეკლესიას განსაზღვრული ქონება სულის საცხოვნებლად. მხოლოდ ტექსტიდან არ ჩანს, რა ქონება აქვს მხედველობაში კანონმდებელს. აღნიშნული მუხლის პირველ ნაწილში საქმე ეხება მზითვეს, რომელიც შეიძლება იყოს როგორც უძრავი — „სამამულო“ — ქონება, ისე უსულო მოძრავი — „სასაქონლო“ — ქონებაც.

<sup>1</sup> Памятники истории Англии XI—XIII вв., под ред. Д. М. Петрушевского, 1936 г., стр. 236, 234.

ორივე სახის ქონების გასხვისებისათვის სამართალი ითვალისწინებს განსაზღვრულ წესს. რაც შეეხება მონასტერზე შეწირული ქონების ობიექტებს, მათ შესახებ კონკრეტულად არაფერია ნათქვამი. თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ სამამულო მზითვეი ქალის საკუთრებას შეადგენს, რომელზედაც ის ინარჩუნებს უფლებას გაყრის ან ქმრის გარდაცვალების შემთხვევაშიც. შეიძლება ვიფიქროთ, რომ კანონმდებელს ამ შემთხვევაში სამამულოს შეწირვაც აქვს მხედველობაში, მაგრამ კანონი მიუთითებს, რომ ქალს არა აქვს სამამულო ქონების გაყიდვის ან სხვა გზით გასხვისების უფლება. თუმცა შესაძლოა, რომ ეს დებულება ეხებოდეს ქმრის მიერ დატოვებულ უძრავ ქონებას და არა ქალის საკუთარ სამამულო მზითვეს. ბექა-აღბულას სამართლის წიგნის ამ მუხლის უკანასკნელი წინადადება კანონთა ბოლოში ცალკე, 175-ე მუხლად არის გამოყოფილი, სადაც ნათქვამია: „თუ დედაკაცს ქნარი მოუყვდეს და საქონელი მან ქვრივმან მონასტერს შეასწიროს. შეილნი ნუ ეცილებიანო“. აქ უკვე გარკვევით არის აღნიშნული, რომ მონასტერზე შესაწირავ ქონებაში კანონმდებელი მხოლოდ უსულო მოძრავ ქონებას — „საქონელს“ — გულისხმობს. ამიტომ სწორი იქნება ვიფიქროთ, რომ 81-ე მუხლის ზემოაღნიშნულ ნაწილში სამართლის წიგნი სასაქონლო ანუ უსულო მოძრავი ქონების მონასტერზე შეწირვას ითვალისწინებს. ცხადია, რომ სასაქონლო ქონების ეკლესიისათვის შეწირვა მართო ქვრივი ქალის საგამონაკლისო უფლებამოსილებას არ შეადგენდა. მოძრავი ქონებისა და განსაკუთრებით პირადი კუთვნილების ნივთების შეწირვის უფლება სულის შესანდობლად ყველას ექნებოდა. კანონი მხოლოდ სამამულო ქონების შეწირვას კრძალავდა, რადგან მამული ვასალურ-სენიორიული ურთიერთობის საფუძველი და ვასალის მხრივ სენიორის ანუ პატრონის სასარგებლოდ ფეოდალური სამსახურისა და ბეგარის შესრულების აუცილებელი პირობა იყო. ყმის ანუ ვასალის მიერ მამულის მონასტერზე შეწირვა ვასალს სავალდებულო სამსახურისაგან ათავისუფლებდა, ხოლო პატრონს საკუთრების უფლებას უკარგავდა მიწაზე. ამიტომ სამამულო შეწირვას, როგორც ზემოთ დავინახეთ, ევროპის სახელმწიფოთა ფეოდალური სამართალი არ ცნობდა და, როგორც ჩანს, არც ქართული სამართალი წარმოადგენდა ამ მხრივ გამოწვევას.

შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სანიეთო სამართალი საკუთრების წარმოშობის სხვა საშუალებებსაც იცნობდა (ბოძებას,

მზითევს, გაცვლას, სასამართლოს გადაწყვეტილებასა და სხვ.), რომელთა დახასიათებაზე აღარ შევჩერდებით.

საკუთრების უფლების დაკარგვა. ეხლა საჭიროა განვიხილოთ საკუთრებისა და მფლობელობის დაკარგვა-მოსპობის საფუძვლები. საკუთრების უფლების დაკარგვა მრავალი გზით შეიძლებოდა. X—XII საუკუნეების საისტორიო საბუთებიდან ჩანს, რომ ადგილ-მამულზე საკუთრების უფლების დაკარგვას „მიწის დაკარგვა“ ეწოდებოდა. ჩვეულებრივად მფლობელობის უფლების აღკვეთა რაიმე „ნიზეზის მოდებითა“ ხდებოდა. ასეთ მიზეზად ითვლებოდა საკუთრებისა და მფლობელობის დამამტკიცებელი საბუთების უქონლობა. აგრარული ურთიერთობისა და სოციალური ბრძოლის განწვევების ნიადაგზე იმ დროს განშირებულა საკუთრება-მფლობელობის უფლების დამამტკიცებელი საბუთების პარვა. ასეთი დანაშაულებრივი გზით ადგილ-მამულის დაჩემებასა და მისაკუთრებას ნაქურდალი მფლობელობა, ანუ „ნაპარავად ქონება“ ეწოდებოდა. საკუთრება-მფლობელობის დაკარგვა იმ შემთხვევაშიც შეიძლებოდა, როცა ლურიდიულ საბუთს, რომელსაც მფლობელობა ემყარებოდა, რაიმე ნაკლი ჰქონდა და მის ნამდვილობას სადავოდ ხდიდა. ასეთ მდგომარეობას საკუთრების ან მფლობელობის უფლების „საცილობლად შექმნა“ ეწოდებოდა, რასაც შედეგად უფლების დაკარგვა — „შეშლა“, „შეცვალება“ ანუ „ქცევა“ — მოჰყვებოდა.

ხელშეკრულების დადების ანუ „ნაქნარის“ სათანადოდ გაფორმებულ საბუთში აუცილებლად აღნიშნული უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების მონაწილე ორივე მხარის ვინაობა, გასასხვისებელი უძრავი ქონების ზომა, საზღვრები და ადგილმდებარეობა, მოწმეთა მონაწილეობა და სხვ. ადგილ-მამულის საკუთრების ან მფლობელობის უფლებით გადაცემის აქტში აღნიშნული უნდა ყოფილიყო, რომ ხელშეკრულება დადებულია მომავალი შთამომავლობის სახელითაც და საბუთიც დამოწმებული უნდა ყოფილიყო ქონების გამსხვისებლის კანონიერი შემკვიდრეების ხელმოწერის ან სხვა წერილობითი საბუთის სახით. საბუთის ბოლოს აღინიშნებოდა საბუთის შემდგენი პირის ვინაობა. თუ ზემოაღნიშნული პირობები სათანადოდ გაფორმებული და დაკული არ იქნებოდა საბუთში, ამას შედეგად საბუთის იურიდიული ძალის დაკარგვა და ხელშეკრულების გაბათილება ანუ „გაცუდება“ მოჰყვებოდა, რაც საკუთრების ან მფლობელობის უფლების დაკარგვას იწვევდა. როგორც წესი

წინა მეფის მიერ გაკემულ სიგლებსა და წყალობის საბუთებს დასამტკიცებლად უდგენდნენ ახალ მეფეს, რომ საბუთი არ გაუქმებულიყო და მას სიმტკიცის ძალა შენარჩუნებოდა.<sup>1</sup>

ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნი მიუთითებს, რომ სათანადოდ გაფორმებული საბუთი ძალაშია, თუ ის კანონიერი გზით არ არის მოშლილი შემდეგი აქტით. ყოველგვარ წერილობით საბუთს ანუ „სასაქმოე წიგნს“, რომელიც გაკემულია პატრონის მიერ, უნდა „დაერთოს საპატიოთა კაცთა ქელი“. ასე იხელრთვა აუცილებელია საბუთის ნამდვილობისათვის. რომლის საფუძველზედაც ხდება საკუთრება-მფლობელობის უფლების გადაცემა ერთი ხელიდან მეორეში. მოწმეთა მიერ ხელმოუწერელი და დაუმოწმებელი საბუთი ბათილია („არცავისი ქელი ერთოს, იგი ცუდია.“) საკუთრების უფლების დაკარგვას არ იწვევს ის შემთხვევა, როცა განსაზღვრული უფლებამოსილების დამამტკიცებელი საბუთი უძრავი ან მოძრავი ქონების იმავე ობიექტებზე გაკემულია ხელმოკრედ და ფარულად; ასეთ შემთხვევაში პირველად გაკემული საბუთი ინარჩუნებს თავის ძალასა და სიმტკიცეს, — „თუ მალვით და ქვე ქამით მიეცეს... პირველივე უმტკიცე იქმნებისო“ — მიუთითებს კანონმდებელი. საკუთრების ან მფლობელობის უფლებამოსილების აღკვეთისა და წერილობითი საბუთის გაუქმების საფუძველი არ შეიძლება იყოს მეტი სარგებლობის მიღების ან ძალმოპოვების გამოყენების ცდა — „ნაზავები პირი და წიგნი არა მოეშლების უკანის, ანუ სარგებლის დახედვისათვის, ანუ ძალისა შოებისათვისო“ (მუხ. 80). დავა საკუთრება-მფლობელობის უფლების დაჩემების შესახებ უნდა გადაწყდეს სასამართლო წესით.

ფეოდალური სანიეთო სამართლის მიხედვით საადგილმამულო საკუთრების ან მფლობელობის უფლების დაკარგვა სხვადასხვა ხასიათის გარემოებათა გამო შეიძლებოდა. ლომბარდიის ფეოდალური სამართლის წიგნები *Libri feudorum*, რომელნიც შუა საუკუნეების ევროპაში მოქმედ სამართლად ითვლებოდა, ითვალისწინებენ ფეოდის მფლობელობის აღკვეთის ცთელ რიგ საფუძველებს. ფეოდის მფლობელობის დაკარგვის ძირითად და სამართლიან მიზეზად ითვლება ვასალის მხრით იმ სამსახურის შეუსრულებლობა, რომელიც დაკავშირებულია ფეოდის ქერასთან. მაგ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე ნაკვეთი მეორე, 1929 წ., გვ. 418—425.

რამ, გარდა ამისა, მფლობელობა სხვა გარემოებითაც შეიძლება დაიკარგოს: თუ ვასალი ბრძოლაში მიატოვებს არამკედარ და არასასიკვდილოდ დაქრილ სენიორს, ან თუ ჩაიდენს სენიორის მეუღლის, ქალიშვილის, შვილიშვილის, რძლისა და დის მიმართ შეურაცხმყოფელ და სახელისგამტეხ მოქმედებას, ან თავს დაესხმის სენიორის ციხე-სიმაგრეს, ან აოკლავს მის ძმას ან ძმისშვილს, კარგავს ფეოდალს მფლობელობას. თუ მფლობელობაში შესვლა (investitura) მოხდა ქვემდგომი ვასალის მხრით სენიორის თანხმობის გარეშე, ან ვასალმა მის უნებართვოდ ფეოდი გაასხვისა, ან რაიმე არასამართლიანი ნოქნედება ჩაიდინა და, მიუხედავად სენიორის ბიჯრ სამჯერ გამოძახებისა არ გამოცხადდა მასთან, კარგავს ფეოდალს მფლობელობას. თუ ბენეფიციუმის მფლობელი უშვილო რაინდი ეკლესიის მსახური გახდება და მონასტრის სამოსელს ჩაიკვანს. კარგავს ფეოდს, რადგან „მას, რომელმაც ხელი აიღო ამ ქვეყნის მხედრობაზე და იქცა ქრისტეს მხედრად, აღარ ეძლევა ძანულის სამსახურისათვის (beneficium), რადგან აღარა აქვს მას სამსახური“.<sup>1</sup> სხვა შემთხვევებში სენიორს უფლება არა აქვს ფეოდალს მფლობელობა წაართვას ვასალს, თუ იგი ასრულებს ფეოდალური ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბეჭა-აღბულას სამართალი საადგილმამულო მფლობელობის უფლების მთლიანი ან ნაწილობრივი დაკარგვის რამდენიმე მიზეზს ითვალისწინებს. თუ ყმის ანუ ვასალის მემკვიდრეები მის პატრონს ანუ სენიორს „ვერღარა მისით წესითა მსახურებდეს“, მამული და სისხლი დიდად უნდა შეუმცირდესო, ამბობს ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართალი. მფლობელობის უფლების ნაწილობრივი დაკარგვა ხდებოდა აგრეთვე მაშინ, როცა კმას „პატრონი გასწყრომოდეს... საქმესა რასმე ზედა, ჩამოემცროს“. მფლობელობის შემცირებისა და ჩამოქვეითების შესაბამისად ყმის საგვარეულო და წოდებრივი სისხლიც მცირდებოდა.

საადგილმამულო საკუთრებისა და მფლობელობის დაკარგვას იწვევენ სხვადასხვა ხასიათის მძიმე დანაშაულობანი (ღალატი, თავდასხმა, მკვლელობა და სხვ.). ერთგულების დარღვევისა და ღალატის ჩადენის განზრახვაში დასმენილ ყმას პატრონი არბევდა, მამულს ართმევდა და აძევებდა. მამულის მფლობე-

<sup>1</sup> Средневековые в его памятниках, под ред. Л. П. Егорова, 1913 г., стр. 59.

ლობის უფლების ჩამორთმევა „მამულის წაღების“ სახით ხდებოდა. მაგრამ თუ დასმენა ცილისმწამებლური აღმოჩნდებოდა, მაშინ დამბეზლებელი სასტიკად უნდა დასჯილიყო, რადგან „ამისთანა საქმე პატრონისა დალატი და შეცოდება უფროაო“ (მუხ. 40). დიდებულის მიერ დიდებულის, ან აზნაურის მიერ აზნაურის მოკვლის შემთხვევაში დამნაშავემ დაზარალებულის ოჯახს კანონით განსაზღვრული სისხლი უნდა დაუურევოს, მაგრამ, თუ ვერ გადაიხდის, დამნაშავე უნდა გადაიხვეწოს, პატრონმა მას მამული უნდა ჩამოართვას და შემოსავლის ნახევარი დაზარალებულის ნათესავეებს უნდა მისცეს, — „მამული პატრონისა აქენდეს“, „მამული პატრონმა დაიქიროს“ (მუხ. 1,4). ბექას სამართალი მკვლევლობის შემთხვევაში ითვალისწინებს აგრეთვე პატრონის მიერ დამნაშავეს „მამულითურთ გადაცემას“ დაზარალებულის მემკვიდრეებზე.

ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი ითვალისწინებს რაიმე დანაშაულის განო მამის მიერ შვილის ოჯახიდან გაძევებას და მამულის მფლობელობიდან გაყენებას. ამასთან, კანონი ადგენს, რომ, თუ გაძევებული შვილი მამას ან სხვას რაიმე წყენას არ მიაყენებს, იგი მამის გარდაცვალების შემდეგ მფლობელობს წამულის მფლობელობის უფლებას („რა მამა გარდაჯდეს, მამულისა მოსაქმობასა მართლ ვერავეინ მოუშლის მემამულეებასა“). „მამულის მოსაქმეობა“ მამულის მფლობელობას ნიშნავს, ხოლო „მემამულეობა“ მამულის მემკვიდრეობის უფლებას. მაგრამ, თუ გაძევებულმა შვილმა მამას ან სხვას რაიმე წყენა და ზიანი მიაყენა, მამის გარდაცვალების შემდეგაც შვილი კარგავს მამულის მფლობელობა-გამგებლობის უფლებას, — „ნურვინ რას. ასაქმებინებს მამულსა თანაო“. განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობას ითვალისწინებს სამართალი გაძევებული ნაშვილების მიმართ, რომელიც კარგავს მამულის მფლობელობისა და მემკვიდრეობის ყოველგვარ უფლებას. — „შორს დადგა ყოვლისა მოსაქმებისაგანო“. მამულის მფლობელობისა და მემკვიდრეობის უფლებით აღჭურვილ პირს „მამულის მოსაქმე“ ეწოდება. თუ ძმამ ძმა ან ნათესავი მამულისაგან გააძევა და გააყენა, როცა გაძევებული კანონიერი გზით სახლში დაბრუნდება, მამულის მფლობელობაში შედის. — „მამულისა ეგრევე მოსაქმეიყოსო“ (მუხ. 48), ხოლო უსამართლოდ გაძევებისათვის სამემკვიდრო ქონების ზედმეტი წილი „საუხუცესოც“ მიეცესო. ვახტანგის კანონთა კრებულის S—3683

ხელნაწერში ზემოაღნიშნული მუხლის ტექსტი დამახინჯებულია; ნაცვლად „წესი ერთისა საუბუცესოსა“ სწერია: „წესიერისა საუწესოსა“. ფრაზის ეს დამახინჯება ნ. ურბნელსაც ვერ შეუნიშნავს და წერს: „არა სჩანს რა იყო წესიერი საუწესო და არც ჩვენ ვიცით. რუსულად „нравствен“ დ ნათარგმნია, მაგრამ ვერც ეს თარგმანი ჰშველის საგნის გაგებასო“<sup>1</sup>. ი. კარსტის მიერ შესრულებულ ფრანგულ თარგმანშიც ტექსტი ასევე დამახინჯებით არის წარმოდგენილი.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის 150-ე მუხლი ითვალისწინებს მკვლელობის შემთხვევაში მამულის მფლობელობის განსაზღვრული ვადით (სამი წლით) ჩამორთმევას, რის შემდეგ, თუ დაინაშავე მკვლელობის სისხლს გადაიხდის, ლეზლობს მამულის მფლობელობის უფლებას. კანონიკური სამართლის მუხლებში გათვალისწინებული უძძიმესი საეკლესიო სასჯელი — „წყველა-კრულვა და შეჩუენება“, — ცხადია, დამნაშავისათვის მფლობელობის უფლების ჩამორთმევასაც გულისხმობდა.

ასეთია მფლობელობის დაკარგვის მიზეზები. რომლებიც აღნიშნულია სამართლის წიგნში. საკუთრების ჩამორთმევა-დაკარგვას სხვა გარემოებებიც იწვევდა, მაგრამ მათ შესახებ კანონმდებელს არაფერი აქვს ნათქვამი.

ფეოდალური სანივთო სამართალი იცნობს საკუთრებისა და მფლობელობის უფლების დაცვის სათანადო კანონიერ საშუალებებს. საკუთრების დაცვის საშუალებები შეინუშაჲა რომის სამოქალაქო სამართალმა. ძველი რომის ცივილური სამართლის მიხედვით საკუთრების უფლების დაცვის ძირითად საშუალებას *rei vindicatio* წარმოადგენდა. ვინდიკაცია არის არამფლობელი მესაკუთრის სარჩელი მფლობელი არამესაკუთრის წინააღმდეგ. თავდაპირველად *rei vindicatio* რომის სამართალში ორმხრივი სარჩელის ხასიათს ატარებდა. მას იყენებდა როგორც მოსარჩლე, ისე მოპასუხეც. მაძიებლის სარჩლის უბრალოდ ჯარყოფა მოპასუხეს არ შეეძლო. მას უნდა დაემტკიცებინა ნივთზე თავისი მფლობელობის კანონიერი საფუძველი, ე. ი. თავის მხრივ *rei vindicatio* წარედგინა მოსარჩლისათვის. პრინციპატის პერიოდში ფორმულარული პროცესის დადგენასთან ერთად *rei vindicatio* გადაიქცა ცალმხრივ სარჩლად; ე. ი. მოსარჩლის მხრივ საკუთრების

<sup>1</sup> ნ. უ რ ბ ნ ე ლ ი. ათაბაგნი ბეჲა და აღბულა და მათი სამართალი, 1892 წ., გვ. 102.



უფლების დაცვის საშუალებად. მოპასუხე უკვე ვალდებული არ არის ამტკიცოს თავისი უფლება საკუთრებაზე. ნიეთის მესაკუთრეს ვინდიკაციის სარჩელი შეუძლია წარუდგინოს ყოველ მფლობელს. მისთვის საკმარისია მხოლოდ იცოდეს, თუ ვინ ფლობს მის ნიეთს. იმპერიის პერიოდში სავინდიკაციო სარჩელი ზოგიერთ შემთხვევაში დაშვებული იყო აგრეთვე არამფლობელი პირის მიმართ, რომელიც განზრახ, პროცესის თავიდან აცილების მიზნით, სადავო ნიეთს სხვას გადასცემდა, ან იმ პირის მიმართ, რომელიც ნიეთს არ ფლობდა, მაგრამ განზრახ აცხადებდა, რომ ნიეთს ის ფლობს. ამრიგად, მესაკუთრის ხელში სავინდიკაციო სარჩელმა უნივერსალური ხასიათი კმეილო. როგორც ნიეთზე საკუთრების უფლების დაცვისა და ნიეთის არაკანონიერი მფლობელობიდან ამოღების საშუალებამ. ამასთან, მოპასუხე ვალდებული იყო მესაკუთრისათვის მიეცა არა მარტო სადავო ნიეთი, არამედ მისგან მიღებული შემოსავალიც და, ნიეთის გაცვეთის შემთხვევაში, სათანადო საზღაურიც.

ფეოდალური სანიეთო სამართალი დიდი ხნის განმავლობაში არ ასხვავებდა საკუთრებისა და მფლობელობის დაცვას. საკუთრების დაცვა იმავე დროს მფლობელობის დაცვად ითვლებოდა და პირიქით. ფეოდალიზმის აღრინდელ პერიოდში საკუთრება არ იყო დაცული სპეციალური სარჩლის საშუალებით. გერმანიის აღრინდელი სამართლის ძეგლებით, როცა მესაკუთრე ითხოვდა სხვის მფლობელობაში მყოფი თავისი ნიეთის დაბრუნებას, მისი მოთხოვნა იურიდიულად დაფუძნებული იყო არა იმ უფლებაზე, რომ ნიეთი მას ეკუთვნოდა, არამედ იმაზე, რომ მას ნიეთი მოპარეს, წაართვეს. ამ თვალსაზრისით ნიეთის მფლობელი განიხილგბოდა როგორც დამნაშავე, ან ბოროტმოქმედების არაპირდაპირი მონაწილე, რამდენადაც ის ფლობდა მოპარულ ნიეთს, რომელიც სხვის საკუთრებას შეადგენდა. ამიტომ ასეთ სარჩლებს აღრინდელი ფეოდალიზმის დროს, ისე როგორც ძველ რომში, უმთავრესად უფლების დარღვევიდან გამომდინარე სარჩლების ანუ დელიქტური სარჩლების ხასიათი ჰქონდა (*actio iniuriam, actio furti*), ვიდრე საკუთრების უფლების დაცვის საშუალებისა.

სალიკური სამართალი (*Lex Salica*) ითვალისწინებს ქურდობის სარჩლის (*actio furti*) თავისებურ სახეს და დაწვრილებით აღწერს მის პროცედურას. უკეთუ ვინმე აღმოაჩენს თავის დაკარგულ ნიეთს ან პირუტყვს სხვასთან, ხოლო ის, ვისთანაც ნიეთი აღმოჩნდა, განაცხადებს „ვიყიდე ან სანაცვლოდ მივიღეო, დაე

თ ვ ი თ ო ნ დ ა ა მ ტ კ ი ც ო ს ნ ი ვ თ ზ ე თ ა ვ ი ს ი უ ფ ლ ე ბ ა“. მაგრამ, თუ მოსარჩლე მოპასუხის მტკიცების მიუხედავად არ მოისურვებს წარმოადგინოს თავისი პრეტენზიის დამამტკიცებელი საბუთები და ნბოლოდ იმ განცხადების საფუძველზე, რომ აღმოჩენილ ნივთს „ჩეჰად ეცნობო“, თვითნებურად და ძალით წაართმევს მას მფლობელს, ჯარიმა უნდა გადაიხადოს 30 სოლიდის ოდენობით. მესაკუთრემ თავისი სარჩლის უფლება სასამართლო სხდომაზე უნდა დაამტკიცოს მესამე პირთა საშუალებით. მის სარჩელს არა აქვს აპსოლუტური და უცილობელი ხასიათი. კანონი მფლობელობის დაცვის უფლებამოსილებას მოპასუხესაც ანიჭებს, რომელსაც შეუძლია დაამტკიცოს „ნივთზე თავისი უფლება“, ე. ი. გამოიყენოს სარჩელი მფლობელობის დაცვის საშუალებად.

ქურდობის სარჩელი ფართოდ იყო გავრცელებული ძველი რუსეთის სამართალშიც და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „Русская Правда“-ს მიხედვით მას „ЕБОД“-ი ეწოდება. XV საუკუნის რუსეთის საკანონმდებლო აქტები უკვე იცნობენ საკუთრებისა და მფლობელობის დაცვის საშუალებებს სათანადო სარჩლების სახით.

ბეჟა-აღბულას სამართლის წიგნის მიხედვით საკუთრების უფლების დაცვის შესწავლა გვიჩვენებს, რომ საკუთრების უფლების დაცვას ისე, როგორც სხვაგან, ჩვენშიც უმთავრესად დელიქტური სარჩლის ხასიათი ჰქონდა. კანონი იცავს მესაკუთრის უფლებას იმდენად, რამდენადაც იგი შელახულია სხვისი არამართლზომიერი მოქმედების შედეგად. ნივთის მესაკუთრეს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს თავისი დაკარგული ნივთის დაბრუნება, ხოლო, თუ ქურდს ნივთი არ აღმოაჩნდება, მოითხოვოს ნივთის ორმაგი ფასის ანაზღაურება მისგან. უფლების დარღვევის წინააღმდეგ მიმართულ ასეთ სარჩლებს საჯარიმო სარჩლების ხასიათი აქვს. აღბულას სამართალი იცავს ნივთის მფლობელის უფლებას მოსარჩლის დაუსაბუთებელი და უსაფუძვლო პრეტენზიისაგან. თუ დაკარგული ნივთის პატრონი სხვის ხელში მყოფ ნივთს თავის ნივთად მიიჩნევს და მფლობელს ქურდობას შესწამებს, მოპასუხემ ფიცითა და მოწმით უნდა დაამტკიცოს თავისი უფლება სადავო ნივთზე. მაგრამ, თუ მიუხედავად ამისა მოსარჩლე არც ფიცსა და არც მოწმეთა ჩვენებას დაუჯერებს, თვითნებურად წაართმევს მოპასუხეს სადავო ნივთს და მას საჯაროდ შეარცხვენს, ხოლო დაკარგული ნივთი შემდეგ სხვაგან აღმოჩნდება, მოსარჩლემ მოპასუხეს ძალით წართმეული ნივთი უნდა დაუბრუნოს და ქურდობის შეწამებისა და ტყუილ-უბრალოდ შერცხვენისათვის ჯარიმის სახით ერთი იმდენი კი-

ღევ სხვა უნდა მისცეს („ეგზომი ერთი სხვა თავისი მისცესო“; მუხ. 86).

აღბუღას სამართლის მიხედვით ნიეთის პოვნა და მისი მესაკუთრეზე გადაცემა ამ უქანასენლის მხარეზე განსაზღვრულ ვალდებულებას წარმოშობს. ის, ვინც დაკარგულ ნიეთს ან პირუტყვს იპოვნის და გაიგებს, თუ ვის ეკუთვნის ის, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ნიეთის პატრონს და ჩააბაროს ნაპოვნი ნიეთი. ამასთან, დაკარგული ნიეთის მესაკუთრე ვალდებულია მისცეს მპოვნელს ნიეთის პოვნისა და მის შენახვაზე გაწეული ხარჯებისათვის სათანადო გასამრჯელო, — „მსგავსიერი ი საპოვნელია“.

ხოლო, თუ დაკარგული ნიეთის ან პირუტყვის მპოვნელი ამის შესახებ პატრონს არ გაუმხელს, ნიეთის მპოვნელის ქმედება „მპარაობისა რამე მაგიერი საქმე იქნების“ და, თუ ნიეთი ხმარების შედეგად გაიცივითა, ან პირუტყვი ხედნის გამო დაზიანდა, წარალიც უკლებლივ უნდა უზღოს მესაკუთრეს.

აღბუღას სამართლის მიხედვით, თუ ვინმეა მოპარული ცხენი ხელთ აღმოაჩნდება, „და ამას იტყოდეს, მიყიდიო“, ვალდებულია თავისი კეთილსინდისიერი მფლობელობა დაამტკიცოს გამყიდველის დასახელებითა და მითითებით. ასეთ შემთხვევაში პან ცხენი პატრონს უნდა მისცეს; ხოლო, თუ გაჰყიდველს ვერ დაასახელებს, მაშინ ცხენის პატრონს ორმაგი საზღაური უნდა მისცეს, — „მისი ცხენი და ერთი ეხომი სხვა“. მაგრამ, თუ ვინმე კეთილსინდისიერ მფლობელს თკითნებურად გამოეხარება („მისი ნებით დაესარჩლოს“) და ეს დამტკიცდება, მაშინ „მეკობრე იგი იქნების და მან დაუურვოს, რაგვარცა მეკობრესა მართებსო“ (მუხ. 66).

ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართალი ადგენს: კეთილსინდისიერი მფლობელი, რომელმაც ნიეთი შეიძინა, მაგრამ აოიკოდა, რომ იგი მოპარული იყო, და ფიცით თავს გაიმართლებს, რომ „არცა კაცი იცოდეს მისი მომპარავი“, ვალდებულია ნიეთი მის პატრონს დაუბრუნოს (მუხ. 63).

განათხოვრებული ნიეთის მოტაცების შემთხვევაში მესაკუთრის სარჩელი მიმართულია არა მესამე პირის წინააღმდეგ, რომელმაც ნიეთი მოიტაცა, არამედ იმის მიმართ, ვისაც ნიეთი ათხოვა, — „მან გასცეს პასუხი და მოაცემინოს დაუკლებლად ქელთაო“ (მუხ. 67).

ამრიგად, ბეჟა-აღბუღას სამართალი საკუთრებისა და მფლობელობის უფლების დაცვას ითვალისწინებს მთელი რიგი შემთხვევებისათვის. კანონი უფლებას აძლევს მესაკუთრეს, მოსთხოვოს თავისი ნივთის დაბრუნება როგორც არაკეთილსინდისიერ, ისე კეთილსინდისიერ მფლობელს, და დაკარგული ნივთის სხვისი მფლობელობიდან ამოსაღებად გამოიყენოს სარჩლის წარდგენის კანონით გათვალისწინებული წესი. ამასთან, მესაკუთრეს უფლება აქვს მოსთხოვოს არაკეთილსინდისიერ მფლობელს ნივთის ორმაგი ღირებულება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კეთილსინდისიერ მფლობელს კი ნივთის პოვნისა და მის მესაკუთრეზე გადაცემის შემთხვევაში უფლება აქვს მოითხოვოს მესაკუთრისაგან ქონების მოვლა-შენახვისათვის გაწეული ხარჯის ანაზღაურება სპეციალური გასამრჯელოს სახით. კეთილსინდისიერი მფლობელის მიმართ მესაკუთრის სარჩლის წარდგენის უფლება გამომდინარეობს მისი როგორც მესაკუთრის უფლების დარღვევიდან. ამიტომ მესაკუთრეს შეუძლია თავისი ნივთის დაბრუნება მოსთხოვოს კეთილსინდისიერ შემძენს, ე. ი. იმ პირს, რომელმაც არ იცოდა, რომ მის მიერ შეძენილი ნივთის გასხვისების უფლება არ ჰქონდა მას. ვისგანაც ნივთი შეიძინა. მესაკუთრის უფლების დარღვევად კანონი მიიჩნევს ისეთ შემთხვევებს, როცა ნივთის პატრონს ქონება მოპარეს ან წაართვეს. ნივთის დაკარგვისა ან მოპარვის შემთხვევაში ნივთის მფლობელს კეთილსინდისიერი გზითაც რომ ჰქონდეს შეძენილი დაკარგული ნივთი, იგი თავს ვერ დაიტყუებს მესაკუთრის სარჩლისაგან და ნივთი პატრონს უნდა დაუბრუნდეს, რადგან მფლობელი ვერ ამტკიცებს ნივთზე საკუთრების უფლებას.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში საქმე ეხება სარჩლით საკუთრებისა და მფლობელობის უფლების დაცვას მოძრავი ქონების ობიექტებზე. ამასთან, სარჩლის კანონიერ საფუძველს მესაკუთრის უფლების დარღვევა შეადგენს და ამის გამო თვით სარჩელსაც საჯარიმო სარჩლის ხასიათი აქვს. სარჩლის საშუალებით კანონი იცავს ორივე მხარის — როგორც მესაკუთრის, ისე მფლობელის — სანივთო უფლებებს სადაო ნივთზე და მოითხოვს მოსარჩლისა და მოპასუხის პრეტენზიების კანონიერი საფუძვლების დამტკიცებას ნივთზე საკუთრების უფლების დადგენისათვის.

უძრავ, საადგილმამულო საკუთრების ობიექტებზე მესაკუთრის სარჩელს უცილობელი ხასიათი ჰქონდა. როგორც ზემოთ დავინახეთ, ხანდაზმულობა ქართული სამართლის მიხედვით არ იწვევდა უძ-

რაც ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობას. საკუთრების შექმნა ხანდაზმულობით არ ხდებოდა, საკმარისი იყო მესაკუთრეს დაემტკიცებინა საკუთრების უფლება ადგილ-მამულზე, რომ უკუღბის დამჩემებელი მფლობელისათვის მანული ჩამოერთმია. ჯერ კიდევ ვახტანგის კანონების რუსული გამოცემის რედაქტორმა დ. ბაქრაძემ საადგილმამულო საკუთრების ხანდაზმულობის შესახებ აღნიშნა, რომ, თუმცა საქართველოში ძველი დროიდანვე მოქმედებდა 30-წლიანი ხანდაზმულობა, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ გაქცეული ყმების მიმართ. რაც შეეხება უძრავ ქონებას, მის მიმართ არაერთი ხანდაზმულობა არ არსებობდა, რაც ცხადად ჩანს ჰეკა-ალბულას სამართლის 42-ე და 77-ე მუხლებიდან და აგრეთვე მრავალრიცხოვანი სასამართლო აქტებიდანო.<sup>1</sup> ქართულ სამართალში სარჩლის საშუალებით მფლობელობის დაცვა მეტად შეზღუდულია. მფლობელობის სარჩელი უცნობია საქართველოში. ქართულ სამართალში არ არსებობდა მფლობელობის განსაკუთრებული პროცესი, რომელიც ცნობილი იყო რომისა და ევროპის სახელმწიფოთა სამართალში. „მფლობელობის დასაცავად საქართველოში საკუთრების სარჩელის გარეშე სხვა სარჩელი არ არსებობდა, ე. ი. მფლობელს უეჭველად უნდა მიეთითებინა თავის დასაცავად საკუთრებაზე, მაგრამ, თუ გამოირკვევოდა, რომ მფლობელს არ ჰქონდა საკუთრების პრეტენზია, მაშინ ის თავს ვერ დაიცავდა... ანტიტომია, რომ ქართულმა სამართალმა არ იცის მფლობელობით ხანდაზმულობა“<sup>2</sup>.

ამრიგად, ჰეკა-ალბულას სამართალი იცნობს საკუთრების უფლების დაცვას სარჩლის წესით. კანონი არამფლობელ მესაკუთრეს მფლობელი არაპესაკუთრის წინააღმდეგ ანიჭებს სარჩლის ფართოდ გამოყენების შესაძლებლობას საკუთრების უფლების შეცილებისა ან დარღვეული უფლების აღდგენის შემთხვევაში.

გირავნობის უფლება. სანიეთო სამართლის ინსტიტუტს შეაღვენს გირავნობის უფლება. გირავნობის უფლება ეწოდება ისეთ იურიდიულ ურთიერთობას, რომლის ძალით მოგირავნეს უფლება აქვს, უკეთუ მოვალე არ შეასრულებს გირაოთი უზრუნველყოფილ მოთხოვნას, მიიღოს დაკმაყოფილება დაგირავებული ქონებიდან. გირაო, როგორც სანიეთო უფლება, სანიეთო სამართალს მიეკუთვნება,

<sup>1</sup> Сборник законов грузинского царя Вахтанга VI, 1687 г., стр. 58.

<sup>2</sup> ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი... „ენივერსიტუტის ზრუმბო“ XXV № 1. 1949 წ., გვ. 254.

ხოლო როგორც ხელშეკრულების უზრუნველყოფის სახე ვალდებულებით სამართალში განიხილება. გირავნობის უფლება გულისხმობს, რომ დამგირავებელი უნდა იყოს დაგირავებული ქონების მესაკუთრე. გირავნობის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება. გირავნობის უფლება ნივთზე წარმოიშობა მხარეთა შორის ხელშეკრულების დადების ან ნივთის მოგირავენზე გადაცემისთანავე.

ძველი რომის სამოქალაქო სამართალში ნივთშეზღვევა გირავნობის უფლების ცნება. რომის სამართალი სამი სახის გირაოს ასხევევება *fiducia*, *pignus* და *hypotheca*. იმპერიის პერიოდში შენარჩუნებული იქნა ორი უკანასკნელი ფორმა. *Pignus* ნიშნავდა მხოლოდ მოძრავი ქონების დაგირავებას, თანაც დაგირავებული ქონება გადადიოდა მოგირავენის ხელში. მოვალე გადაცემდა კრედიტორს რაიმე ნივთს არა საკუთრების, არამედ მფლობელობის უფლებით. ამასთან, მოგირავენს დაგირავებული ნივთით სარგებლობის უფლება არ ჰქონდა. *Hypotheca* გულისხმობდა როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონების დაგირავებას ნივთის მოგირავენისათვის გადაუქვამლად. თუ მოვალე ვალს ვერ გადაიხდიდა, კრედიტორს პირველ ხანებში ნივთის გაყიდვის უფლება არ ჰქონდა. მას მხოლოდ ნივთის დაკერა შეეძლო ვალის გადახდამდე. იმპერიის პერიოდში გირაოს ძალით მოგირავენს მიეცა უფლება გაეყიდა დაგირავებული ქონება იმ შემთხვევაში, თუ მოვალე დადგენილ ვადაში ვალს ვერ გადაიხდიდა. ამავე დროს გაყიდული ნივთიდან მიღებული ზედმეტი თანხა კრედიტორმა ნოვალეს უნდა დაუბრუნოს, ხოლო თუ მიღებული თანხა ვალზე ნაკლებია, დამატებით მოსთხოვოს ნოვალეს მისი გადახდა. ამრიგად, ჩამოყალიბდა გირაო, როგორც სახელშეკრულებო ვალდებულების უზრუნველყოფის სახე, როგორც სანივთო უფლება სხვის ნივთზე.

შუა საუკუნეების ევროპის ფეოდალური სამართალი XIII საუკუნემდე არ იცნობს გირავნობის უფლებას, როგორც კრედიტორის განსაზღვრულ სანივთო უფლებას, რომლის საფუძველზე ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში კრედიტორს შეეძლო გაეყიდა დაგირავებული ქონება. საფრანგეთის კუტიუმების სამართლის მიხედვით კრედიტორის უზრუნველყოფა ხდებოდა მამულის ან მისი განსაზღვრული ნაწილის დაგირავებით და შემოსავლის სარგებლობის უფლებით. დამგირავებელი მამულის შემოსავალს კარგავდა, მისთვის მამული როგორც შემოსავლის წყარო მკვდარი იყო. ამის გამო მამულის ასეთ დაგირავებას „მკვდარი

გირაო“ „mortgage“ ეწოდებოდა. მამულის შემოსავალს კრედიტორი ანუ მოგირავენე ღებულობდა ვალის პროცენტის სახით, რაც მისთვის მეტად ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. გირაოს მეორე სახეს „ცოცხალი გირაო“ — „vitgage“ — წარმოადგენდა. მკვდარი და ცოცხალი გირაო იმით განსხვავდებოდა, რომ ცოცხალი გირაოს დროს დაგირავებული მამულიდან მიღებული შემოსავალი კრედიტორს ვალის დაფარვის ანგარიშში ეთვლებოდა, რაც მისთვის ნაკლებად ხელსაყრელი იყო. XIII საუკუნიდან შემოღებული იქნა კრედიტორის უზრუნველყოფის განსხვავებული წესი. ვალის ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო პირობა — ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში კრედიტორს უფლება აქვს ყადაღა დაადოს დაგირავებულ ქონებას და გაყიდოს ის ვალის დაფარვის ანგარიშში. ამასთან, ადგილ-მამულის გაყიდვა ფეოდალური საადგილმამულო მფლობელობის გადაცემის წესების დაცვითა და საჯაროდ უნდა მომხდარიყო. დაგირავებული მამულის გასხვისების ასეთი წესი შენარჩუნებული იქნა კუტიუმების სამართალში საფრანგეთის დიდ ბჟრჟუაზიულ რევოლუციამდე.<sup>1</sup>

ფეოდალური ინგლისის „საერთო სამართალი“ (common law), რომლის ძირითად წყაროს ადათობრივი სამართალი და მეფის სასამართლოების პრაქტიკა შეადგენდა, არ იცნობდა გირავნობის უფლებას იმ შინაარსით, როგორც ის შეიმუშავა რომის სამართალმა. გირავნობის უფლება არ წარმოადგენდა საკუთრების უფლებისაგან დამოუკიდებელ სანიეთო უფლებას, რომელიც ანიჭებდა კრედიტორს ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში მოვალის დაგირავებული ქონების გაყიდვის უფლებას. თუ კრედიტორი დაგირავებული ქონების მამულიდან მიღებულ შემოსავალს ვალის დაფარვის ანგარიშში არ ჩათვლიდა და მამულს დაიკერდა, ასეთი ქმედობა მევახშეობად და ცოდვად ითვლებოდა და გირაოსაც „მკვდარი გირაო“ ეწოდებოდა. XIII საუკუნიდან გირაოს სახით კრედიტორის უზრუნველყოფა ხდებოდა მისთვის მიწის ნაკვეთის მფლობელობაში გადაცემის გზით და ვალის გადახდის შემთხვევაში მამულის უკან დაბრუნების პირობით. თუ მოვალე ზუსტად განსაზღვრულ დღეს ვალს ვერ გადაიხდიდა, იგი დაგირავებულ მიწაზე საკუთრების უფლებას კარგავდა და მამულის მესაკუთრე კრედიტორი ხდებოდა.<sup>2</sup>

<sup>1</sup> *Всобщая история государства и права*, т. II, 1947 г., стр. 124—125.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 160.

ძველი რუსეთის სამართლის მიხედვით თავდაპირველად დაგირავებული ნივთით სარგებლობის უფლება არ ჰქონდა კრედიტორს. ეს უფლება მან შედარებით უფრო გვიან მიიღო, რის შემდეგაც გირავნობის ძალით მოგირავენე ნივთზე ღებულობდა მფლობელობისა და სარგებლობის უფლებას, საკუთრების უფლებას კი დამგირავებელი ინარჩუნებდა. ვალდებულების ვადაზე შეუსრულებლობის შემთხვევაში გირაო იქცევა საკუთრებად კრედიტორის ხელში. ამასთან ერთად არსებობდა გირაოს მეორე სახეც, რომლითაც დაგირავებული ქონება არ გადადიოდა კრედიტორის (მოგირავენის) მფლობელობასა და სარგებლობაში. მოგირავენე ღებულობდა დაგირავებულ ქონებაზე სათანადო აქტს, რითაც ართმევდა მესაკუთრეს შესაძლებლობას გაესხვისებინა ნივთი ან დაეწინდა იგი სხვასთან. გირაოს გამოსყიდვისას მოგირავენე ვალდებულია დაუბრუნოს დამგირავებელს ნივთი ისეთივე სახით, როგორითაც მან მიიღო მესაკუთრისაგან. საგირავნო ურთიერთობის შეწყვეტა ხდება ვალდებულების შესრულების, ე. ი. ვალის გადახდის, ან შეუსრულებლობის, ე. ი. ვადაზე გადაუხდელობის მომენტიდან. უკანასკნელ შემთხვევაში დაგირავებული ქონება მოგირავენის საკუთრებაში გადადიოდა.<sup>1</sup>

შუა საუკუნეების ქართული სანივთო სამართლის მიხედვით გირაო, როგორც ვალდებულების უზრუნველყოფის სახე, მოგირავენს მფლობელობისა და სარგებლობის უფლებით ეძლევა ვალის გადახდამდე.

პირველ ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნს გირავნობის უფლების შინაარსის შემცველი მთელი რიგი ტერმინები აქვს, რომელნიც იხმარებოდნენ ძველ ქართულ სანივთო სამართალში. სიტყვა „გირაო“ უცნობია ბექა-აღბუღას სამართლისათვის. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „გირაო — სხვათა ენაა, ქართულად წინდი ჰქვიანო“. „გირაო“ სპარსული სიტყვაა, რომელიც შუა საუკუნეების ბოლოს დამკვიდრდა ქართულ სამართალში. მანამდე გირაოს მნიშვნელობით სიტყვა „წინდი“ იხმარებოდა. „წინდი ვალისათვის მძევალია“, ამბობს საბა და ეს განმარტება კარგად გამოხატავს ამ ინსტიტუტის უფლებრივ შინაარსს. ბექა-აღბუღას სამართალიც სიტყვა „წინდს“ ყველგან გირაოს მნიშვნე-

<sup>1</sup> Владимирский-Буданов. Обзор истории русского права. 1909 г., стр. 573—576.



ლობით ხმარობს. სამართლის მიხედვით მამულის ვალში დაგირავებას „მამულსა შიგა საწინდრად დგომა“ ეწოდება, ხოლო დაგირავებული მამულის შემოსავლით სარგებლობას „წინდრობასა შიგან ქამა“, ანუ „ნაქამი“. საბა განმარტავს ამ სიტყვის მნიშვნელობას და ამბობს: „ნაქამადი, რაც მამულისაგან ექამოს“, ის არისო. ვალში დაგირავებული ნივთის გამოსასყიდ საფასურს „საწინდარი საქსარი“ ეწოდება. როგორც კი მოვალე ვალს გადაიხდის, მოგირავენმ მამული მის მესაკუთრეს უნდა დაუბრუნოს („ადგილი დაუდვას“). გირავენობის წესით მამულის დახსნას „წინდულობისა წესითა დაქსნა“ ეწოდება. თუ კრედიტორი დაწინდული მამულის გამოსყიდვაზე მოვალეს უარს ეტყვის, დაგირავებული მამული შემოსავლიანად უნდა მისცეს, — „ნაქამითა დაუდვას“. ხშირად ვალის ხელშეკრულებაში გადახდის დრო მითითებული არ იყო. როგორც კი საშუალება მექნება, გადაგიხდი ვალსო, პირდებოდა მოვალე კრედიტორს. ამის გამო ნივთის დაგირავებაც განუსაზღვრელი ვადით ხდებოდა, რასაც უვადო, ანუ „არა ქამიერად“ დაწინდება ეწოდებოდა.

ბექა-აღბუღას კანონების მიხედვით გირავენობის უფლება სანიეთო სამართლის განვითარებულ ინსტიტუტს შეადგენს. მისთვის უცნობია ისეთი სავალო ხელშეკრულება, რომლის შეუსრულებლობის შედეგად კრედიტორს შეუძლია ვალის ანგარიშში მოვალის პიროვნება დაწინდოს. რომის სამართლის *nexum*, როგორც ცნობილია, კრედიტორის სანიეთო უფლებას მოვალის პიროვნებაზედაც ავრცელებდა და ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში კრედიტორი მას მონად აქცევდა ან ვალში გაყიდდა. აღბუღას სამართლის უკანასკნელი, 98-ე მუხლი ითვალისწინებს „მცირე სისხლით კაცის ყოლას“, მაგრამ ეს სრულიად სხვა საგანს ეხება და მას გირავენობის უფლებასთან არავითარი კავშირი არა აქვს. სისხლის ანგარიშში კაცის წაყვანა სისხლის სამართლის ინსტიტუტია და არა სანიეთო სამართლისა. თუ დამნაშავე მცირე დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებულ სასჯელს — „სისხლს“ — ვერ გადაიხდის, დაზარალებულს უფლება აქვს საზღაურის ანგარიშში დამნაშავე წაიყვანოს დროებით და სისხლის ფასი შრომით გადაახდევინოს. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წიგნი გირავენობის ინსტიტუტის აღნაგობისა და შინაარსის უფრო დაწვრილებით აღწერას აძლევს, ვიდრე ბექა მანდატურთუხუცესის სამართალი. გირავენო-

ბის უფლება აღბუღას კანონებში უფრო განვითარებული ჩანს და ამ ინსტიტუტიდან გამომდინარე პირობებიც უფრო კონკრეტულია.

შუა საუკუნეების ევროპისა და რუსეთის სახელმწიფოებში სანიეთო-უფლებრივი ურთიერთობა უმთავრესად ადათობრივი სამართლით წესრიგდებოდა. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ჩვეულებითი სამართალი ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდში სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. შუა საუკუნეების საფრანგეთში სანიეთო-უფლებრივი ურთიერთობა და კერძოდ გირავენობის უფლება ადათობრივი ანუ კუტიუმების სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა. ასეთივე მდგომარეობას ჰქონდა ადგილი სხვა ქვეყნებშიც.

ბექა-აღბუღას სამართლის იმ ნორმების გულდასმითი ანალიზი, რომლებიც გირავენობის უფლებას შეეხებიან, ცხადყოფს, რომ სანიეთო სამართლის ეს ინსტიტუტი ადათობრივ სამართალზე იყო დაფუძნებული. ბექას სამართლის წიგნის 43-ე მუხლში, რომელიც გირავენობის უფლებას ეხება, კანონმდებელი მიუთითებს, რომ ამ ინსტიტუტიდან გამომდინარე სანიეთო-უფლებრივი ურთიერთობა წესრიგდება „ქვეყნისა წესითა“, ე. ი. მრავალგზის და ხანგრძლივი გამოყენების შედეგად დამკვიდრებული ადათით, როგორც უკვე კანონის ძალა აქვს მიღებული. აღბუღას სამართლის 95-ე მუხლიც იმორჩება, რომ ვალში დაგირავებული მამულის გაყიდვა ადათობრივი სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა არის ისეთი კუთხე და სოფელი, სადაც ვალში მამულის გაყიდვის დროს მამულს ნაკლებად დაათასებენ, ნახევარსა თასსა ჩამოუშვებენ“ იძისათვის, რომ შეიძლება შეძამულემ შემდეგში ვალის გადახდა და მამულის გამოხსიდეს შესლოსო.

✓ გირავენობის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ისე უძრავი ქონება. სამართლის წიგნი ითვალისწინებს როგორც სამაძულო, ისე სასაქონლო ქონების დაწინდვას. სამაძულო წინდის საგნებია: სახმარი მიწა, ყანა, ვენახი, ქალა, სახლი და სხვ. სასაქონლო გირაო კი შეიცავს ყოველგვარ მოძრავ ნივთს. ვალში დაგირავებული ქონება კრედიტორის მფლობელობასა და სარგებლობაში გადადიოდა. დაგირავებული ადგილ-მამულის მფლობელობა გამობატულია სიტყვებით — „მიწა წინდად ჰქონდეს“. წინდზე კრედიტორს საკუთრების უფლება არა აქვს. დაგირავებული ნივთით კრედიტორი სარგებლობს ვალის გადახდამდე, ხოლო, თუ ვალი გაცემულია არა განსაზღვრული დროით — „არა“

ქამიერად“, — კრედიტორიც დაწინდულ ქონებას ფლობს უვადოდ, ე. ი. მანამდე, სანამ მესაკუთრე „საწინდარ საქსარს“ მისცემს და გირაოს გამოისყიდის. წინდის დახსნისთანავე მოგირავენ ვალდებულია მამული მოვალეს დაუბრუნოს. ხოლო, თუ კრედიტორი მამულის დახსნაზე უარს ეტყვის დაძვირავებელს, კანონის საფუძველზე მამული შემოსავლიანად მისცეს, — „ნაქაძითა დაუდვასო“. მამულის შემოსავალი იანგარიშებოდა კრედიტორის მიერ მამულის დაბრუნებაზე უარის თქმის დროიდან. შემოსავლის ანუ „ნაქამის“ ოდენობის განსაზღვრა ხდება დავირევებული ქონების პატრონის ფიცის საფუძველზე; „რაცა მემამულემან დაიფიცოს“, იმის მიხედვით უზღოსო, აზბობს კანონმდებელი. ამავე წესით ხდება გირავნობის ურთიერთობის მოწესრიგება მოძრავი ქონების დაწინდვის შემთხვევაშიც. ბექას სამართლის 44-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა მიწის პატრონი თავისი კაცის ანუ ვასალის მიწას სხვა ვასალს გადასცემდა; თუ ასეთი მიწა მასზე გაშენებული ვენახი, ყანა, სახლი, ან სხვა რაიმე ვალში იყო დავირევებული მისი ყოფილი მფლობელის მიერ, სამართალი ადგენდა: როცა მიწის ახალი მფლობელი დაწინდულ მამულს დაიხსნის, გადახდილი ფული — „გამონაღები თეთრი“ — მას მიწის პატრონმა ან იმ კაცმა უნდა გადაუხადოს, რომელმაც მამული დაავირაუ ვალშიო. ამ შემთხვევაშიც, გადახდილი თანხის ოდენობა ფიცით უნდა დაადასტუროს დაწინდული მამულის დამხსნელმა.

აღბუთას სამართლის მიხედვით, თუ ფულის პროცენტით ანუ „სავახშედ“ აღების შემთხვევაში მოვალემ თავისი მამული დაავირაუვოს, — „მამულსა შიგადგეს საწინდრად“, — სამი წლის შემდეგ ვალის ძირითად თანხას ანუ თავნს „თითო თეთრი დააკლდესო“ და, როცა ამ წესით მოვალე ვალს გადაიხდის, კრედიტორმა დაწინდული მამული მის მესაკუთრეს უნდა დაუბრუნოს და მიღებული შემოსავლისა და ვალის ოდენობის შესაბამისად ანგარიში გაასწოროს, — „ვითცა ალაგი ექამოს, აგრე დააკლონ“. ასეთი წესი, ერთის მხრივ, კრედიტორის სავახშო მადის შეზღუდვას, ხოლო, მეორეს მხრივ, მემამულისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას ნიშნავდა. ამ გზით მესაკუთრე თავის მამულს არ კარგავდა და მის გამოსყიდვასაც ახერხებდა. თუ მოვალე წასულია შორს და კრედიტორი დაწინდული მამულის შემოსავლით ვერ სარგებლობს, მოვალის დაბრუნებამდე ვალის გადახდა არ უნდა მოითხოვოს, რადგან მამულის დავირევებელს „გლახ, დარიბობასა უარია უმამულოს საბრა-

ლოდო“. კანონი ზღუდავს კრედიტორის სანიეთო უფლებას დაგირავებულ მამულზე, ცდილობს შეამსუბუქოს მოვალის მდგომარეობა და რჩევას იძლევა, უმჯობესია, თუ კრედიტორი დაკმაყოფილდება დაგირავებული მამულის შემოსავლით და პროცენტებს არ მოითხოვსო („ორთავე უჯობს: მიმცემელსა უსუბუქდების და გამომღებელსა ანგარებად არ შეერაცხების წინაშე ღმრთისაო“; მუხ. 83.) კანონმდებლობა ებრძვის მევახშეობას, ვალის პროცენტით მიცემას და დიდი ხარკების მოთხოვნას, ან შედარებით მცირე ვალისათვის დიდი ქონების დაგირავებას. კრედიტორი „დიდსა მიწასა ცოტათა სჯონლათა ნუ დაიწინდავს, თვარა იგი ვახშის სიღიდე იქნების და განმარისხებელი ღმრთისაო“ (მუხ. 94). მიუხედავად ამისა კანონმდებლობა უძლური აღმოჩნდა მევახშეობის შეზღუდვისა და აღკვეთის საქმეში, რადგან ცხოვრების ფორმა ხელს უწყობდა მის შეუჩერებელ ზრდას.

ბეჭის სამართლის 53-ე მუხლი სამამულო შევედრებას ითვლისწინებს, რაც ადგილ-მამულის შესანახად მიბარებას ნიშნავს. მიბარებული ნამული მოთხოვნისთანავე მესაკუთრეს უნდა დაუბრუნდეს, მაგრამ, თუ მამულის მიცემაზე უარს იტყვის ის, ვინც მამული შესანახად მიიბარა, კანონის მიხედვით ვალდებულია მესაკუთრეს მისი მამული შემოსავლით მისცეს უსიტყვოდ („ნაქამითა მისცეს უსიტყვოდ“), იმ ხარჯის გამოკლებით, რაც მამულის შენახვაზე გასწია. ამავე ხასიათის ხელშეკრულებას ითვალისწინებს ალბულას სამართლის 87-ე და 88-ე მუხლები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მიბარების ობიექტი არის მოძრავი ქონება, რომლის შესანახად მიბარებას „ამანათის შევედრება“ ეწოდება. სამამულო შევედრება და ამანათის შევედრება უძრავი და მოძრავი ქონების შესანახად მიბარების ხელშეკრულებაა და მიეკუთვნება არა სანიეთო სამართლის, არამედ ვალდებულებითი სამართლის დარგს.

✓ ამრიგად, ბეჭა-ალბულას სამართლის მიხედვით გირავნობის უფლება გულისხმობდა, რომ ვალის აძლები სამამულო ან სასაქონლო ქონებას აგირავებდა კრედიტორთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების უზრუნველყოფისათვის. დაგირავებული ქონება კრედიტორის მფლობელობა-სარგებლობაში გადადიოდა და იგი დაწინდული ქონების შემოსავლით სარგებლობდა გირაოს დახსნამდე, ე. ი. ვალის გადახდამდე, რის შემდეგ დაგირავებული ქონება მის მეპატრონეს უბრუნდებოდა. ასე-

თი იყო გირავენობის ძირითადი სახე სამართლის წიგნის მიხედვით. მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ეს აღბუღას სამართლის მკვ. მუხლიდან ჩანს, არსებობდა წინდის მეორე სახე, რომელიც ვალის სარგებლით ანუ „საეახშედ“ გაცემასთან იყო დაკავშირებული. კანონმდებლობა არ იწონებდა გირაოს ასეთ ფორმას, მაგრამ მისი აკრძალვა ვერ შეძლო. სავახშო ვალის წინდის დახსნა მეტად მძიმე იყო მოვალისათვის, რის გამო იგი ვალის ანგარიშში საკუთრების უფლებას კარგავდა დაგირავებულ მამულზე, რომელსაც კრედიტორი ყიდდა „ნახევარი ფასის ჩამოშვებით“. მესაკუთრეს მამულის საკუთრების უფლების დაბრუნებისათვის არავითარი გარანტია აღარ რჩებოდა.

ძველი ქართული სანიეთო სამართლის ინსტიტუტების, საკუთრებისა და გირავენობის უფლების შესწავლით ცხადი ხდება, რომ შუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სამართალი ამ საზოგადოებრივი წყობილებებისათვის და საკუთრების ფორმებისათვის ტიპურ დამახასიათებელ სანიეთო-უფლებრივ რეჟიმს იცნობს. ამასთან, ქართული სანიეთო სამართლის ინსტიტუტის ბუნება განსაზღვრულია საკუთრებისა და წოდებათა ფეოდალურ-იერარქიული სტრუქტურით, გვარის, მამულისა და საპატიო ხელის, ანუ სამსახურის მიხედვით. ეს აშკარა წოდებრივი და უფლებრივი უთანასწორობა განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს ფეოდალური სისხლის სამართლის ნორმებში, კერძოდ სასჯელთა სისტემაში, რომელსაც ვიხილავთ შრომის მომდევნო, მეხუთე თავში.

## V. სასჯელთა სახეები

ბექა-აღბულას სამართალი სამცხე-საათაბაგოს განვითარებულ ფეოდალურ საზოგადოებრივ წყობილებას ასახავს. საქართველოს ეს კუთხე იმ დროს კულტურულადაც დაწინაურებული მხარე იყო. სამართლის წიგნის იმ ნორმების შესწავლა, რომლებიც დანაშაულსა და სასჯელს შეეხება, ნათლად გვიჩვენებს საათაბაგოს სისილის სამართლის ინსტიტუტების განვითარებულ ხასიათს.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ სამართალი დაზარალებული პირის გვარისა და ღირსების მიხედვით საზღაურის დაწესებასთან ერთად ასხვავებს დანაშაულის სუბიექტურ მხარეს. სასჯელის განსაზღვრისას მატერიალურ ზიანს გარდა კანონმდებელს მხედველობაში აქვს ის, თუ რამდენად გამოიხატა დამნაშავეის მოქმედებაში ბოროტი განზრახვა. წინასწარი განზრახვით დანაშაულის ჩადენა ხდება „მტრობით“ და „ღალატით“, ან „ბედითითა ქელითა“, ე. ი. ნებით, განზრახვით. მაგრამ ამასთან ერთად დანაშაული შეიძლება ჩადენილი იყოს „უბედით“, ე. ი. უნებლიეთ, განუზრახველად. ნებით და უნებლიეთ დანაშაულის ჩადენა აღნიშნულია სამართლის წიგნის მთელ რიგ მუხლებში.

ამრიგად, ზოგჯერ სამართალი ასხვავებს დანაშაულის განზრახ და უნდომლად ჩადენას და ამის მიხედვით აწესებს განსხვავებულ პასუხისმგებლობას. რამდენადაც უფრო აშკარაა დამნაშავეის ბოროტი განზრახვა, იმდენად უფრო მძიმეა სასჯელი. სამართლის წიგნი ზოგიერთ მუხელში აღიარებს სუბიექტური მომენტის ერთგვარ მნიშვნელობას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისათვის, მაგრამ დანაშაულის სუბიექტურ მხარეს სამართლის წიგნში განვითარებული ხასიათი არა აქვს.

სისხლის სამართლის დარგიდან ჩვენ მხოლოდ ერთ საკითხს, სასჯელთა საკითხს განვიხილავთ. საკითხი სასჯელთა სახეებისა და მათი თავისებურებების შესახებ ბექა-აღბულას სამართლის მიხედვით სრულიად შეუსწავლელია. ნ. ურბნელი, რომელსაც დანაშაულთა სახეები შედარებით დაწვრილებით აქვს განილული, სასჯელთა საკითხს ორიოდ სიტყვით შეეხო თავისი შრომის უკანასკნელ გვერდზე, სადაც ყოველგვარი განმარტების გარეშე მხოლოდ

აღნიშნა სასჯელის ზოგიერთი სახე ბექა-ალბუღას კანონმდებლობაში. უკანასკნელ დროს გამოქვეყნებულ ლიტერატურაშიც ეს საკითხი გაკვრით არის განხილული<sup>1</sup>.

სასჯელთა საკითხის შესწავლა მით უფრო აუცილებელია, რომ იგი გვაძლევს ნათელ წარმოდგენას ბექა-ალბუღას სამართალზე, როგორც ფეოდალური სამართლის კოდექსზე, რომელიც აშკარად გამოხატავს ადამიანთა ქონებრივ და უფლებრივ უთანასწორობას. აღიარებს ფეოდალური კლასის პრივილეგიის უფლებას და მის შეუზღუდავ თვითნებობას ყმა გლეხების მიმართ.

სიტყვები „დანაშაული“ და „სასჯელი“ უცნობია ბექა-ალბუღას სამართლისათვის. ძველ ქართულში დანაშაულის ცნების გამოსახატავად სიტყვა „შეცოდება“ იხმარებოდა. ბექა-ალბუღას სამართლის წიგნს 1672 წლის უძველეს ხელნაწერში ასეთი სათაური აქვს: „წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე“, ე. ი. ადამიანთა ყოველგვარი დანაშაულის სამართლის წიგნი. სიტყვა „შეცოდება“ დანაშაულის აზრით ნახმარია როგორც ბექა-ალბუღას სამართლის წიგნში, ისე აგრეთვე ბაგრატიონთა კურაპალატის სამართალშიც (მუხ. 101, 103). დანაშაულის ცნების გამოსახატავად ბექა-ალბუღას სამართალი იცნობს აგრეთვე სხვა სიტყვებსაც. პექას სამართლის წინასიტყვაობაში, რომელიც ალბუღას ეკუთვნის, დანაშაულის აღმნიშვნელი სიტყვებია: „უწესიანი საქმენი“ და „დასაურვებელი საქმე“. ალბუღას სამართლის წიგნის შესავალში დანაშაულს „ავის საქმე“, ხოლო დამნაშავეს „ავის მქნელი“, „ავისა მოქმედი კაცი“, „მოვე კაცი“ ეწოდება.

არც სიტყვა „სასჯელი“ არის მოხსენებული ბექა-ალბუღას სამართალში. „სასჯელი“ ძველ-ქართულში ნიშნავს „სამართალს“, „ბჭობას“. ეს სიტყვა აღნიშნული მნიშვნელობით იხმარება ბაგრატიონთა კურაპალატის სამართლის წიგნში (მუხ. 101, 151), რომელიც XI საუკუნის ძველ წარმოდგენს და შეცდომით დართულია ბექა-ალბუღას კანონთა ბოლოში.

სამართლის წიგნში სასჯელის მნიშვნელობით იხმარება სიტყვები „პატიჟი“ „საპატიჟო“, „დასაურვებელი პატიჟი“, „საპატიო საურვებელი“, „საუპატიო“, „სისხელი“, „გერში“ და სხვ. საზღაურის გადახდას „სისხლის დაურვება“ ანუ „სისხლის ზღვა“, ეწოდება.

<sup>1</sup> ალ. ვაჩიიშვილი, ქართველი ქართული სამართლის ისტორიიდან. I, 1946 წ., გვ. 112, 117.

განვიხილოთ სასჯელთა ცალკეული სახეები სამართლის წიგნის მიხედვით.

**სისხლი.** ბექა-აღბუღას სამართალი არ იცნობს პრიმიტიული და განუვითარებელი სამართლისათვის დამახასიათებელ შურისძიების უფლებას ანუ ტალიონის პრინციპს. *Jus talionis*-ს, რაც სამაგიეროს მიხლვას ითვალისწინებდა და დანაშაულისათვის თანაზომიერ სასჯელს აწესებდა: „თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ“. სამართალი კრძალავს სისხლის აღების ადათს. როგორც ცნობილია, თავდაპირველად შურისძიებას ადგილი ჰქონდა მთელ გვარეულობას შორის, უფრო გვიან კი იგი მკვლელის ოჯახსა და ნათესავეებს სდევნიდა. საათაბაგოში შურისძიების ცალკეული შემთხვევა უმთავრესად დამნაშავეის პიროვნების წინააღმდეგ მიმართული კერძო ხასიათის აქტი იყო, რასაც კანონმდებელი დანაშაულებრივ მოქმედებად თვლის. მკვლელობისათვის დამნაშავეის მოკვლა უკვე არ შეიძლებოდა, დამნაშავემ დაზარალებულის ნათესავეებს სისხლი უნდა აუნაზღაუროს, ე. ი. გადაუხადოს ფულადი ან ქონებრივი საზღაური დაზარალებულის გვარისა და ღირსების მიხედვით. მაგრამ, თუ დამნაშავე დაზარალებულის ნათესავეებს სისხლს ვერ დაუთრევებს, მაშინ იგი უნდა გადაიხვეწოს და მისი მამული ათაბაგსა და სამცხის მღვდელთმთავარს უნდა გადაეცეს, რომლებმაც სისხლის გადაბადმდე მამულის შექოსავლის ნახევარი დაზარალებულის მემკვიდრეს — „მეისისხლეს“ — უნდა მისცენ.

მიუხედავად ამისა შურისძიების ნიშნები მაინც შენარჩუნებულია საათაბაგოს სამართალში. ამ მხრივ დამახასიათებელია ბექას სამართლის პირველი მუხლი. სანამ შურისმაძიებელს დანაშაულის ადგილზე მიუსწრებენ პატრონ-ჯაყელის ან აწყურის მღვდელთმთავრის კაცები, მანამდე მიყენებული ზიანი და მტრობა („დაწუას თუ რასაც ემტროს“) მას დანაშაულად არ ეთვლება და მკვლელობისათვის გათვალისწინებული სასჯელიც, — „სისხლი“ — არ იზრდება. ამრიგად, სამართალი შურისძიებას ზღუდავს, მაგრამ მის მთლიანად აღკვეთას ვერ ახერხებს. კანონმდებელი ცალკეულ ნუხლებში ზოგჯერ აღნიშნავს „დამტერებას“, „სისხლისათვის ღულის ტკივილს“, „წყენას“, „სამდურავს“, „მტრობასა“ და „დაუნდობლობას“, რაც იწინააღმდეგობას, რომ სისხლის აღების ადათს მაინც ერთგვარი ძალა ჰქონია შენარჩუნებული, თუმცა კანონმდებელი მას დანაშაულებრივ მოქმედებად თვლის. მაგრამ სწორი არ არის ის შეხედულება, თითქოს ბექა-აღბუღას კანონებს „სისხლის აღებაც კი ზოგჯერ იგივე სახის ქონებრივ დანაშაულთა ჩამდენ ბოროტმოქმედთა



მიმართ“ სასჯელის დადგენილ სახედ მიაჩნდეს<sup>1</sup>. სამართალი შუ-  
რისძიებით სისხლის აღებას კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად  
თვლის. ✕ \*

„სისხლი“ სასჯელის ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა ბეჯა-  
აღბუდას სამართალში. ამიტომ პირველ ყოვლისა საჭიროა განვსა-  
ზღვროთ რა არის „სისხლი“. ვახუშტის განმარტებით „სისხლს  
უწოდებდენ, ოდეს სწორმან მოკლის ვინ ვინმე სწორი... ხოლო  
უკმთუ უმადლესმან მოკლის უმციოესი, დაუურვის სისხლი, ხოლო  
უმდაბლესმან თუ მოკლის უმადლესი, დაუურვის სისხლი და გა-  
ნიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა“<sup>2</sup>. მაგრამ ვახუშტის განმარ-  
ტება მცდარია. სისხლი სასჯელის საყოველთაო ფორმაა, რომელიც  
დაწესებულია წოდებრივად, ქონებრივად, და უფლებრივად განსხვავ-  
ებული მდგომარეობის ადამიანებისათვის. მაშასადამე, სისხლი თა-  
ნასწორის მიერ თანასწორის მოკვლა კი არ არის, არამედ ყოველგვა-  
რი დანაშაულისათვის დაწესებული სასჯელია. არც მამულისაგან გა-  
ძევება ხდებოდა დამნაშავესა იმ შემთხვევაში, როცა „უმდაბლესმან  
თუ მოკლის უმადლესი“. ბეჯა-აღბუდას სამართლიდან ჩანს, რომ ეს  
სასჯელი წოდებრივად თანასწორ ადამიანებსაც უნდა შეუარღებოდა.

16. ურბნელის აზრით „სისხლი ზოგადი სახელია, ყოველგვარს  
დანაშაულს გადაქრილი სისხლი სძევს და მართო მოკვლის გადა-  
სახადს და მკვლელის. სასჯელს. არ ეწოდება... სისხლი საზოგადო  
საზღაურია და არა განსხვავებული გადასახადი. სწორედ ეს მნიშ-  
ვნელობა ჰქონდა სისხლს საზოგადოდ საქართველოში და კერძოდ  
საათაბაგოში“<sup>3</sup>.

17. „სისხლის“ მნიშვნელობის შესახებ აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს  
გამოთქმული ბეჯე შემღწევი აზრი: „მე-XIV — XV სს-ის ძეგლებში  
ამ ტერმინის მნიშვნელობის გასაგებად სრულებით გარკვეული  
დებულება მოიპოვება და იქითგან ჩანს, რომ „სისხლი“ ნამდვი-  
ლად „სისხლთა ფასს“ ჰნიშნავდა და იმ ქონებრივ საზ-  
ღაურს წარმოადგენდა, რომელსაც დამნაშავეს თა-  
ვისი დანაშაულებისათვის კანონით განსაზღვრული  
სასჯელის გარდა დაზარალებულის, ან მისი მემკვიდრეებისა-  
თვის უნდა გადაეხადნა... ქონებრივი საზღაურის სახე-

<sup>1</sup> ბ. ფურცხვანიძე, ადამიანის პატივისა და ღირსების დაცვა სისხლის  
სამართლის კანონმდებლობაში, გვ. 146.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის ვა  
ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941 წ., გვ. 15.

<sup>3</sup> ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბეჯა და აღბუდა... ვვ. 255 — 256.

თაღ „სისხლი“ მკვლელობისა, თუ დაქრილობისათვის სასჯელს-კი არ წარმოადგენდა, არამედ მხოლოდ მიყენებული ზარალის ქონებრივად ანაზღაურებას. თვით დანაშაულებისათვის დამნაშავეს კანონით თავისი სასჯელი ჰქონდა დანიშნული, რომელიც უნდა აუცილებლივ მოეხადნა“<sup>1</sup>.

მაგრამ სახელოვანი მეცნიერის მიერ მოცემული განმარტება ზუსტი არ არის. მართალია, „სისხლი“ ნამდვილად „სისხლთა ფასს“ ჰნიშნავდა, მაგრამ ეს სამართლის წარმოშობისა და განვითარების ადრინდელ პერიოდს შეეხება, როცა შურისძიება და სისხლის აღება თანდათანობით შეიცვალა კომპოზიციების ანუ სისხლის დაურეების სისტემით. ბექა-აღბულას სამართალში „სისხლი“ ქონებრივ სასჯელს წარმოადგენდა, რომელიც დამნაშავეს უნდა გადაეხადა დანაშაულის სიძვირისა და დაზარალებულის გვარის, მამულისა და საპატიო ხელის მიხედვით. ამასთან „სისხლი“ როგორც სასჯელი, მართო მკვლელობისა და ქრილობის საზღაურს კი არ წარმოადგენდა, არამედ სასჯელის საყოველთაო სახე იყო. განსვენებული მეცნიერი კვდება, როდესაც ამბობს, რომ სისხლი „სასჯელს კი არ წარმოადგენდა, არამედ მხოლოდ მიყენებული ზარალის ქონებრივად ანაზღაურებასო“. [სისხლი კანონით დაწესებული ქონებრივი საზღაურია და სწორედ ამიტომ წარმოადგენს სასჯელს, სახელდობრ ქონებრივ სასჯელს.]

ასეთი მნიშვნელობა ჰქონდა „სისხლს“ ყველა უძველეს ხალხთა სამართალში. ევროპის ხალხთა ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლებით გათვალისწინებული compositio, Wergeld ისეთივე ქონებრივი ხასიათის სასჯელი იყო, როგორც „სისხლი“ ქართული სამართლის მიხედვითა. [სისხლი], როგორც სასჯელი, შეიძლებოდა წარმოშობილიყო მხოლოდ და მხოლოდ ქონებრივი საზღაურის, ქონებრივი დაკმაყოფილებისა და დაურეების სახით. ადრინდელი ფეოდალური სამართალი დანაშაულს უმთავრესად განიხილავდა როგორც კერძო ხასიათის ბოროტმოქმედებას. ამიტომ კომპოზიციას ანუ „სისხლს“ ძირითადად კერძო, ქონებრივი სასჯელის ხასიათი აქვს. [ამავე დროს Wergeld ანუ „სისხლი“, როგორც ქონებრივი საზღაური, სასჯელის ძირითადი სახე იყო ფეოდალური სამართლის ადრინდელი ძეგლების მიხედვით. სისხლის დაურეებით დაზარალებულისა და მისი ნათესავების დაკმაყოფილება ხდებოდა და საქმეც დამთავრებულად ითვლებოდა.]

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე ნაკვეთი მეორე, 1929 წ., გვ. 504.

ასე იყო ქართულ სამართალშიც. ზემოთ აღნიშნული იყო, რომ ბეჭა-ალბულას სამართალი განსაზღვრავს სისხლის ოდენობას და ზარალებული პირის სოციალური და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. როცა დამნაშავე, ან მისი ნათესაეები, დაზარალებულს, ან მის ნათესაეებს, კანონით გათვალისწინებულ სისხლს დაუფრევებენ, სასჯელი მოხდითა და საქმეც დამთავრებულად ითვლება. ახრიალად, „სისხლი“ ქართულ სამართალშიც სასჯელის ძირითადი სახეა. ბეჭა-ალბულას სამართლიდან არ ჩანს, რომ სისხლის დაუფრევის გარდა „თვით დანაშაულებისათვის დაქნაშავეს კანონით თავისი სასჯელი ჰქონდა დანიშნული, რომელიც უნდა აუცილებლივ მოეხადნა“. ყველა დანაშაულისათვის სასჯელის ძირითად და საყოველთაო სახეს „სისხლი“ წარმოადგენდა. ყველა დამნაშავემ სისხლი უნდა ზღოს. თუ დიდებული დიდებულს მოკლავს, დამნაშავემ ორმოცი ათასი თეთრი უნდა დაუფრეოს, მაგრამ თუ ვერ გადაიხდის, გაძევებული უნდა იქნას და მამული პატრონ-ათაბაგს და მაწუყერელს უნდა გადაეცეს და შემოსავლის ნახევრით დაზარალებულის მემკვიდრეებმა უნდა ისარგებლოს. („თუ ვერ ამოუვიდოდეს, გარდაეხვეწოს, და მამული პატრონსა აქუნდეს, ჯაყელსა და მაწუყერელსა, ნახევარი გამოსავლისა მესისხლეს აქამონო“. ასევე, თუ აზნაურმა აზნაური მოკლა და სისხლი ვერ გადაიხადა, გაძევებული უნდა იქნას და „მამული აგრევე პატრონმა დაიქიროს და მესისხლეს აგრევე აქამონ გამოსავლისა ნახევარი სისხლისა გარდახდამდინ“. მაშასადამე, გაძევება და მამულის ჩამოკრთმევა. როგორც სასჯელის ზომა, „სისხლისა გარდახდამდინ“ ხდება. მაგრამ, თუ დამნაშავე სისხლს დაუფრევს, სასჯელი მოხდითად ეთვლება.

ასეთი წესით ხდება სისხლის დაუფრევა სხვა დანაშაულთა გამოც. ამასთან, „სისხლი“ ყველგან სასჯელის ზომაა და არსად არა ჩანს, თითქოს დამნაშავეს სისხლის დაუფრევა სასჯელის მოხდაში არ ეთვლებოდეს და იგი გათვალისწინებული სასჯელის გარდა უნდა გადაესადა.

განსვენებულ მეცნიერს ალბათ მხედველობაში აქვს სამართლის ის მიუხედავად, რომლებიც ითვალისწინებენ მძიმე დანაშაულთა ერთობლიობას, როგორცაა ეკლესიაზე თავდასხმა და ქონების გატაცება, ან თავდასხმის დროს მკვლელობა, გაძარცვა, კრილობის მიყენება, შეურაცხყოფა და სხვა. ასეთ შემთხვევაში კანონი ჩადენლ დანაშაულთა მიხედვით სათანადო სასჯელებს აწესებს. მკვლელობისათვის დამნაშავემ „სისხლი“ უნდა ზღოს, კრილობი-

სათვის — „გერში“, თავდასხმისათვის — „თვით ზედადასხმის წესით დაუტრვოს“, ანუ „დასხმულობისა წესითა დასხმულობა დაუტრვოს“, და სხვა.

„გერშისა“ და „დასხმულობის დაუტრვება“ იგივეა, რაც სისხლის დაუტრვება. „გერში“ ქრილობის სახლადური ანუ სისხლია, ხოლო დასხმულობის დაუტრვება თავდასხმისათვის დაწესებული სპეციალური სახლადურია. მაგრამ, რადგან თავდასხმის შედეგად რამდენიმე დანაშაულია ჩადენილი (მკვლელობა, ქრილობის მიყენება, გაძარცვა, შეურაცხყოფა და სხვ.). ამიტომ დანაშაულს სასჯელი ცალკეულ დანაშაულთა მიხედვით აქვს განსაზღვრული. ასეთ შემთხვევებშიც „სისხლი“ ყოველთვის სასჯელის ძირითადი სახეა.

ერთ ადგილას ხსენებულ მეცნიერს „სისხლისა“, როგორც სასჯელის არსი სწორად აქვს განმარტებული. „სისხლი ძველ ქართულს იურიდიულ მწერლობაში სისხლის სამართლის დანაშაულობისათვის დაწესებულ სასჯელს ეწოდებოდა“<sup>1</sup>. მამასადამე, სისხლი სასჯელია, რომლის დაუტრვება ფულადი ან ქონებრივი სახით ხდება.

ამრიგად, ბეჟა-ალბულას სამართალში „სისხლი“ საყოველთაო და ძირითადი სასჯელია, რომლის დაუტრვება ხდება ფულადი ან ქონებრივი სახლადურის სახით დანაშაულის სიმძიმისა და დაზარალებულის ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით.

როგორც ცნობილია, თავდაპირველად სისხლის დაუტრვება მთელი გვარის მოვალეობას შეადგენდა, შემდეგ იგი დამნაშავეს ახლო ნათესაებებსა და ოჯახს დაეკისრა, ხოლო ბოლოს დამნაშავეს პირადი პასუხისმგებლობის საგნად იქცა. ადრინდელი ფეოდალური სამართლის მიხედვით სისხლის დაუტრვების ანუ კომპოზიციების სისტემა მკვლელობის შემთხვევაში იწვევდა არა მარტო დამნაშავეს, არამედ მისი ნათესაეებისა და ხშირად მთელი გვარის კოლექტიურ პასუხისმგებლობას. კოლექტიური პასუხისმგებლობის ასეთი პრინციპი დაკანონებულია სალიკური სამართლის LIII ტიტულში, რომლის მიხედვით განსაზღვრულია ნათესავთა ქონებრივი პასუხისმგებლობა და დამნაშავეს მიერ კომპოზიციის გადახდის მოვალეობის ნათესაებებზე დაკისრების წესი მუჟა მიწის გადასროლის სიმბოლური აქტის გზით, რასაც კანონი Chrenecru/ia-ს უწოდებს<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, 1928 წ., გვ. 98.

<sup>2</sup> ი. დოლიძე, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, 1950 წ., გვ. 45 — 46.

მკვლელობის კომპოზიციის დაურევებისათვის კოლექტიურ პასუხისმგებლობას იცნობს „Русская Правда“-ც. ასეთ კომპოზიციას „ликая вира“ ეწოდება. მისი გადახდა გათვალისწინებულია ორი შემთხვევისათვის: ერთი, როცა მკვლელი თავისი გვარის ან თემის წევრებთან სარგებლობს ურთიერთთავდებობით (кыуриная иорупи:а) და მკვლელობა ჩადენილია არა წინასწარი განზრახვით და, მეორე, როცა მკვლელობა ჩადენილია განზრახვით, მაგრამ გვარი ან თემი მფარველობას უწყევს დამნაშავეს<sup>1</sup>.

დანაშაულისათვის კოლექტიური პასუხისმგებლობა, ანუ სისხლის დაურევების ნათესაური პრინციპი, ოჯახისა და გვარის უაღლოესი ნათესავეების მხრივ გვაროვნული საზოგადოებრივი წყობილებიდან გადმოსული ძველი ადათია, რომელმაც კლასობრივ საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების მიერ სანქცირებული სასჯელის სახე მიიღო.

სამცხე-საათაბაგოს სისხლის სამართალს პრინციპული სამართლისათვის დამახასიათებელი სასჯელის ნიშნები არ გააჩნდა, მაგრამ გადმონაშთის სახით სამართალში ჩვენ ვხედავთ ზოგიერთ ჩვეულებას. ასეთია, მაგალითად, დამნაშავეს ნათესავეთა კოლექტიური პასუხისმგებლობა ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვისათვის. „სისხლი“ პირადად დამნაშავემ, ან მისი ოჯახის წევრებმა, ან ახლო ნათესავეებმა უნდა გადაიხადონ. თუ დამნაშავე მკვლელობის შემთხვევაში ვერ შეძლებს დაწესებული საზღაურის გადახდას, მაშინ ის უნდა „გარდაიხვეწოს“, ან დაზარალებულს დამნაშავეს პატრონმა უნდა დაუპურვოს სისხლი. ბეკა-აღბულას სამართალი დანაშაულს განიხილავს უპიკარესად როგორც კერძო ხასიათის ბოროტმოქმედებას, რომელიც მიმართულია პაროვნების, ან მისი ქონების წინააღმდეგ. ამიტომ, გარდა ზოგიერთი შემთხვევისა, სისხლიც მთლიანად დაზარალებულს ან მის უახლოეს ნათესავეებს უნდა აუხაზლაურდეს.

სისხლის დაურევების, ანუ საზღაურის გადახდის, ერთეულად ბეკა-აღბულას სამართალში მიღებულია „თეთრი“ ანუ ვერცხლის ფული. ეს იმას არ ნიშნავს, რომ სისხლის დაურევება, ანუ დაზარალებულის ქონებრივი დაკმაყოფილება, მხოლოდ და მხოლოდ ფულის საშუალებით ხდებოდა. ამ შემთხვევაში ქართული სამართალი იმავე თვალსაზრისზე იდგა, როგორცეც დასავლეთ ევროპის ადრინდელი

<sup>1</sup> Владимирский-Буданов. Обзор истории русского права, 1909 г., стр. 327.

ფეოდალური სამართლის ძეგლები, რომელთა მიხედვით დამნაშავეს დაზარალებულისათვის, ან მისი ნათესავეებისათვის შეეძლო სისხლი დაეუზღებინა ან ფულით, ან დასაურვებელი სისხლის განსაზღვრული ქონებრივი საფასურით.

✓ ბეჭა-აღბულას სამართლის მიხედვითაც სისხლის დაურვება შეიძლება როგორც ფულადი, ისე ქონების სახით. დამნაშავეს სისხლის დაურვება შეუძლია ან „თეთრია“, ე. ი. ვერცხლის ფულით, ან ეკვივალენტური ქონებრივი საზღაურით. სისხლის საფასურში დაზარალებულს შეიძლება თვით დამნაშავეც მიეცეს. როცა მკვლელობა ჩადენილია დამნაშავის პატრონის უკოდნელად, პატრონს შეუძლია დამნაშავე დაზარალებულს გადასცეს ადგილ-მანულით დასაურვებელი სისხლის ანგარიშში („პატრონი მამულითურთ მას გაუპატივებულთა კელთა მისცემს“), რის შემდეგ დაზარალებულის ნათესავეები ანუ „გაუპატივებულნი“ დამნაშავის პატრონს სისხლის დაურვებას ვერ დააკისრებენ. აღბულას სამართლის 98-ე მუხლიდან ჩანს, რომ მცირე რამ დანაშაულის გამო ზოგჯერ სისხლის საზღაურში („მცირე სისხლით“) დამნაშავეს დროებით დაზარალებულს გადასცემდნენ.

✓ ბაგრატ კურაპალატის სამართლით (მუხ. 113, 114, 116, 130, 148, 149) სისხლის დაურვების ანგარიშში შეიძლებოდა ადამიანის ნიცემა. მეკობრე-მტაცებელი, რომელმაც ეკლესია გატეხა, დაზარალებულს უნდა გადასცეს მისმა პატრონმა სისხლის საფასურში. ცხენების ჯოგის წასხმის შემთხვევაში ბოროტმოქმედმა დაზარალებულს „თორმეტი გლეხი დაუურვოს“, თუ ვინმემ საპატიო გვარის ქალს აგინოს, „თორმეტი გლეხი დაუურვოს“. ცხადია, აქ ლაპარაკია წარჩინებულთა შესახებ. /თუ პატრონი თავის ვასალს ანუ „ყმას“ თვითნებურად გაძარცვავს, უნდა „თორმეტი გლეხი დაუურვოს“, თუ ქვემდგომი მემამულე პატრონს ანუ სენიორს მიატოვებს, „თორმეტი გლეხი შეეკაზმოს“. აქ მხედველობაშია სენიორისა და ვასალის ურთიერთვალდებულება და სამსახური. ამრიგად, სისხლის დაურვება ადამიანებითაც შეიძლებოდა. სისხლის საფასურში ზოგჯერ თვით დამნაშავეს, ხოლო ზოგჯერ ყმა-გლეხებს აძლევდნენ.

ვახუშტიც მიუთითებს, რომ „მკულელისა მის თანამდებ იყო, რათა დაეურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისისა სისხლიო“<sup>1</sup>. მაშასადამე, სისხლის დაურვება ხდებოდა, რო-

<sup>1</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლ. მ. ო. უ. რ. ის. ა. და ნ. ბ. ე. რ. ძ. ე. ნ. ი. შ. ვ. ი. ლ. ის. რ. ე. დ. ა. კ. ი. თ. 1941 წ., გვ. 15.

გორც ფულადი („თეთრითა“), ისე ქონების („საქონლითა“) სახით. ქართულ სამართალში რომ სისხლის დაურევება ფულის ნაცვლად ეკვივალენტური ქონებრივი საზღაურით შეიძლებოდა, ამაზე ნათლად მიუთითებს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მე-18 მუხლიც, სადაც კანონმდებელი აღნიშნავს რა ფულის სიმცირეს ქართლში, შესაძლებლად ცნობს სისხლის საქონლით ანაზღაურებას. ასეთ შემთხვევაში ქონებრივი საზღაურის უმთავრეს ფორმას როგორც ჩენი, ისე სხვა ხალხთა ადრინდელი ფეოდალური საწართლის ძეგლებით, პირუტყვი წარმოადგენდა, რომლის ფასი განსაზღვრული იყო კანონით. სისხლის დაურევება შეიძლებოდა აგრეთვე ნივთებითაც: იარაღით, რკინით, რვალითა და სხვ. ვახტანგის სამართალი ცალკე მუხლებში მიუთითებს ქონებრივი საზღაურის იმ ფორმაზე, რომელიც დაწესებული იყო გლეხის, მსახურის, აზნაურისა და თავადის მკვლელობისათვის (მუხ. 18, 19, 22).<sup>(1)</sup>

ბეჟა-აღბუღას სამართლის მიხედვით საზღაურის ოდენობა არა მარტო დაზარალებულის მამულის სიდიდის, გვარისა და საპატიო ხელის ანუ სამსახურის მიხედვით განისაზღვრება, არამედ დანაშაულის ჩადენის ადგილის, საშუალებათა და პირობების მიხედვითაც. თუ დანაშაული ჩადენილია საპატიო, მოსარიდებელ ადგილას („საპატიო ადგილას“), მაშინ სისხლის ოდენობა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე სხვაგან დანაშაულის ჩადენის დროს.

სისხლის დაურევება, ანუ კომპოზიცია, გულისხმობს „სისხლის“ ანუ საზღაურის წინასწარ დაწესებულ ტარიფს, რომელიც ითვალისწინებს ჩადენილი დანაშაულისათვის დაზარალებულს რამდენი სისხლი უნდა დაუთრავოს დანაშაულებს. ბეჟა-აღბუღას სამართალი კომპოზიციის ოდენობას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „თეთრით“ ანუ ვერცხლის ფულით ჟანსაზღვრავს. ბეჟას დროს სისხლის დაურევება ყაზანური თეთრის, ანუ ყაზან ყაენის ფულის ერთეულის მიხედვით ხდებოდა, ხოლო აღბუღას დროს მეფე გიორგი ბრწყინვალის „თეთრით“, ანუ ვერცხლის მონეტით, რომელსაც „გიორგაული“ ეწოდებოდა და 5 კაპიკს უდრიდა. საზღაურის ოდენობა განისაზღვრებოდა დაზარალებულის გვარის, მამულისა და საპატიო ხელის მიხედვით. რაც უფრო დიდგვარიანი, დიდმამულიანი და საპატიო ხელის მქონე იყო დაზარალებული, მით უფრო დიდი იყო მისი სისხლის ოდენობა. სისხლის დაურევება სასჯელის ყველაზე უფრო გავრცელებულ საყოველთაო ფორმას წარმოადგენს საათაბაგოში და იგი დაწესებულია ყველა წოდებისა

და უფლებრივი მდგომარეობის ადამიანისათვის; გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ პატრონი-ჯაყელი ანუ ათაბაგი და მაწყვერელი, სამცხე-საათაბაგოს მღვდელთმთავარი, რომელთა სისხლი, ისე როგორც ხელმწიფისა და კათალიკოსის სისხლი ვახტანგ VI სამართლის მიხედვით არაა განსაზღვრული კანონმდებლის მიერ. სისხლის დაურეგება დაწესებულია დიდებულთა, აზნაურთა, ვაჭართა, მახაურთა და გლეხთათვის. დასაურეგებელი სისხლის ოდენობა დაზარალებულის მამულის, გვარისა და საპატიო ხელის მიხედვით განისაზღვრება. რაც უფრო მაღლა იდგა დაზარალებული პირი ქონებრივად, წოდებრივად და უფლებრივად, მით უფრო მეტი სისხლი სდიოდა და, პირიქით, რაც უფრო დაბლა იდგა, — ნაკლები: „სისხლნიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ: ზეიდამ ქვეით ნახევრად, ანუ ქვეიდამ ზეით ერთორად“<sup>1</sup>.

ვახუშტის მხედველობაში აქვს ვახტანგის სამართლის წიგნი, მაგრამ გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, სისხლის დაურეგება საათაბაგოშიც ამ ფორმულის მიხედვით წარმოებდა: დიდებულის სისხლი უდრიდა 40.000 თეთრს, პირველი აზნაურისა — 20.000, მეორე რიგის აზნაურისა — 12.000, საპატიო-ვაჭრისა — 12.000, მესამე რიგის აზნაურისა — 6.000, რიგითი ვაჭრისა — 6.000, მსახურისა და „სიკეთეზე ცნობილი გლეხისა“ 1.000 და ყმა-გლეხისა — 400. სისხლის დაურეგების ზემოთ აღნიშნული სისტემა ნათლად გამოხატავს ექვრდალური სამართლის წოდებრივ პრივილეგიას და აშკარა უფლებრივ უთანასწორობას.

სჯულმდებელი ბექა ადგენს: „სისხლისა ზღვა ასრევეა: კაცი ვითაცა გვარად იყოს, აგრე ზემო-ქვემოებით უზლოს, ვითაცა უწერიან სისხლი: დიდებულსა — ორმოცი ათასი, შედეგსა — ოცი ათასი, უქვედაესთა — თორმეტი ათასი, ვითარცა ღორს იყვნენ“. ამრიგად, კანონმდებელი მიუთითებს, რომ სამცხე-საათაბაგოში დაზარალებულს სისხლი უნდა აუნაზღაურდეს გვარისა და ღირსების მიხედვით, — „ვითაცა გვარად იყოს“ და „ვითარცა ღირს იყვნენ“. თვითეული წოდების წარმომადგენელს, დაწყებული დიდებულიდან და დამთავრებული ყმა-გლეხით, ე. ი. „ზემო-ქვემობით“, მისი გვარისა და ღირსების მიხედვით წინასწარ აქვს გაჩენილი სისხლი — „უწერია სისხლი“, — რომელიც უნდა უზლოს დამნაშავემ დაზარალებულს. მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სისხლის ოდენობა მარტო დაზარალებულის „ზემო-ქვემობით“, გვართა და ღირსებით არ განისაზღვრე-

<sup>1</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 14.



ზოდა. საზღაურის ოდენობა იზრდება ან მცირდება იმის მიხედვით, თუ სად არის ჩადენილი დანაშაული: მოსარიდებელსა და საპატიო ადგილას — „საპატიოსა ადგილსა“ — (ხაზინა, ეკლესია, ჯოჯი და სხვ.), თუ სხვა ადგილას. მაშასადამე, დაზარალებულის გვარისა და ღირსების გარდა, კანონმდებელს მხედველობაში აქვს დანაშაულის ჩადენის ადგილი. მაგრამ არც ეს არის საკმარისი. საჭიროა აგრეთვე გამორკვეული იქნას, რა გარემოებასა და პირობებში და რა საშუალებებით არის ჩადენილი დანაშაული. „ზედა-დასხმა“ და „ლალატი“ დანაშაულის დამამძიმებელ გარემოებებად ითვლება და ამის მიხედვით სისხლისა და სხვა სასჯელის ოდენობაც იზრდება.

✓ დანაშაულის ჩადენის ადგილის, პირობებისა და სიმძიმის მიხედვით სამართლის წიგნი დამნაშავეს დაზარალებული პირის სასარგებლოდ აკისრებს ორკეცი, ერთნახევარი, სრული, ნახევრისა და მესამედი სისხლის დაურევებას.

ორკეცი სისხლის დაურევებას კანონი ითვალისწინებს უმთავრესად იმ შემთხვევისათვის, როცა ჩადენილია მძიმე დანაშაული „ზედა-დასხმისა“ და „ლალატის“ შედეგად. თუ თავდასხმის დროს დაზარალებული მოკლული იქნა, დამნაშავემ მას „ორკეცი სისხლი დაუურვოს“. სასაფლაოზე თავდასხმის შემთხვევაში დამნაშავემ დაზარალებულს იქ დაკრძალულ გარდაცვალებულთაგან ორი ყველაზე უმთავრესი კაცის სისხლი უნდა დაუურვოს („ორთა უთავადესთა სისხლი დაუურვოს“). ასეთივე სასჯელს ითვალისწინებს სამართალი იმ შემთხვევისათვის, როცა ათაბაგის მთარეელობაში მყოფი კაცი — „მინდობილი კაცი“ — ლალატით თავს ესხმის სხვის ციხესა და სახლკარს. დამნაშავემ დაზარალებულს ორი ყველაზე უმთავრესი, „უთავადესი“ კაცის სისხლი უნდა დაუურვოს ყველა იმ კაცთა შორის, რომლებიც იმ დღეს დანაშაულის ადგილას იმყოფებოდნენ. სამართალი იცავს ვაჭართა პატივსა და ღირსებას. თუ ვინმე მოჯაურობაში მყოფ ვაჭარს გაძარცვის მიზნით თავს დაესხება და მოკლავს, დამნაშავემ „ორკეცი სისხლი უზღოს“ და წაღებული ქონებაც „ორად შეკეცესო“, მიუთითებს კანონმდებელი.

ორკეცი სისხლის დაურევება გათვალისწინებულია ძმის მიერ ძმის, ან ახლო ნათესავის მოკვლის შემთხვევაში. ასეთი დანაშაული „საღმრთოდ ბრალიც“ არის და ამიტომ დამნაშავეს რა სასჯელიც ვკუთვნის, ეპისკოპოსმა იცისო; — ამბობს კანონმდებელი. როცა ოჯახიანი კაცი ოჯახიან ქალთან „ნებითა გინა უნებურად“ მრუშობას ჩაიდენს, დამნაშავეს გამაწბილებელი სასჯელი უნდა შე-

ეფარდოს, მაგრამ მას შეუძლია დანაშაული გამოისყიდოს და ქალის ქმარს ორკეცი სისხლი დაუურვოს გვარის მიხედვით („იყიდოს და სისხლი ორად შეეკეცოს, რასაცა გვარისა იყოს“). ქმრიანი ქალის მოტაცებას მძიმე დანაშაულად თვლის კანონი. თუ დამნაშავემ „ქალი ძალით წაგვაროს“, ქმარს უნდა „დაუურვოს სისხლისა ორნაწილი“, თავდასხმისათვის განსაკუთრებული საზღაურის გადაიხადოს და წალბებული ქონებაც დააბრუნოს. ქალი თავის „ნებით და წადილთა“ რომ გაჰყვეს, დამნაშავემ მაინც „სისხლი ორნაწილი დაუურვოს ქმარს“, რადგან „ცოლის წაგვრა“ ქმრის მიმართ მეტად დამამცირებელი ქმედობაა. დიდებულის მსახური ქალის — „სეფე-ქალის“ — მოტაცებისათვისაც დამნაშავემ ქალის ბატონს „ორი მსახურის სისხლი დაუურვოს“. თუ მომღურავნი — „უმზარახნი“ — კაცნი ერთმანეთს შეხვდნენ და ერთმა გზა დაუთმო, ხოლო მეორემ მაინც მოკლა, — „ორკეცი სისხლი დაუურვოს“. ორკეცი სისხლის დაურვება გათვალისწინებულია ყველა იმ შემთხვევისათვის, როცა დანაშაული ჩადენილია „ლალატით“.

კანონიკური სამართლის ფრაგმენტი (მუხ. 160—170), რომელიც თამარ მეფის წინა ხანას უნდა ეკუთვნოდეს და ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის ბოლოში შეცდომითაა დართული, ადგენს, რომ, თუ ვინმე ლალატით ძმას ან სხვა კაცს მოკლავს, „ვეითარისაცა გვარისა იყოს კაცი იგი, ორკეცი სისხლი დაუურვოს“ და გარდა ამისა დამნაშავე „კრულ და წყეულ, შეჩურჩებულ იყავნ“. სასულიერო პირის: ხუცის, მონაზონის, ან დიაკვნის „მალვით, ლალატით“ მოკვლისათვის დამნაშავემ დაზარალებულს „ორკეცი სისხლი დაუურვოს“ და გარდა ამისა მას საეკლესიო სასჯელი — წყევლა-კრულვა და შეჩურჩება — უნდა შეეფარდოს.

ერთნახევარი სისხლის დაურვებას კანონი ითვალისწინებს ზოგიერთი დანაშაულის ჩადენის დროს. თუ მკვლელობა ჩადენილია წინასწარი და ბოროტი განზრახვით, ე. ი. დამნაშავეს „ბედითითა ჳელითა დამართებია“, ვაშინ მან დაზარალებულს ერთნახევარი სისხლი უნდა დაუურვოს („სრული სისხლი და სისხლის ნახევარი უზლოს“). ხუცის ცოლთან მრტულობისათვის დამნაშავემ შეურაცხყოფილ ხუცესს „სრული სისხლი წირვის დაკდებისათვის დაუურვოს და ნახევარი სისხლი ცოლისა განჳიქებისათვისო“.

სრული სისხლი საზღაურის დაურვების ანუ სასჯელის ძირითადი ზომაა. სრული სისხლის დაურვება ხდება.

ყველა იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული ჩადენილი არ არის და მამძიმებელ გარემოებაში, როცა ადგილი არა აქვს „ზედა-დასმას“, „ლალატს“, და დანაშაულიც ჩადენილი არაა „საპატიო ადგილას“. ყველა წოდების წარმომადგენელს— დიდებულს, აზნაულს, ვაჟარს, მსახურსა და გლეხს— მათი გვარისა და ღირსების მიხედვით მკვლელობის სრული სისხლი აქვთ გაჩენილი. დამნაშავემ სრული სისხლი უნდა დაუტოვოს დაზარალებულს, მაგრამ, თუ ვერ გადაიხდის, უნდა გადაიხვეწოს სისხლის გადახდამდე („თუ ვერ აპოუციდეს, გარდაიხვეწოს სისხლისა გადახდამდინ“). სრული სისხლის დაუოყვებას ითვალისწინებს აგრეთვე ისეთი შემთხვევა, როცა თავდასამის შედეგად ფეხმძიმე ქალს ბავშვი მოწყდება. დამნაშავემ დაზარალებულს „სრული სისხლი დაუტოვოს“ გვარის მიხედვით. ქმარმა, თუ მასზე უფრო მაღალი წოდების ქალს გაეყრება, ერთი სისხლი უნდა დაუტოვოს ცოლს თავისი გვარის მიხედვით. ქალს არა აქვს უფლება მოითხოვოს გაყრა, მაგრამ, თუ მისი „ენა-ქრელობითა“ ქაარს გაშორდა, „რომლისა გვარისა იყოს იგი კაცი, ეგეთი სისხლი დაუტოვოსო“. როცა ორი მომდურავი — „უმზრახნი“ — კაცი გზაზე ერთმანეთს შეხვდებიან და ერთმანეთს გზას არ დაუთმობენ, რის გამო ერთი მეორეს თუ მოკლავს, დამნაშავემ დაზარალებულს „ერთი სისხლი დაუტოვოსო.“

ბაგრატ კურაპალატის სამართლის მიხედვით, თუ ვინმე ეკლესიის პატრონს სცემს და ეკლესიასაც გატეხს, მაგრამ არ გაძარცვავს და ხატს არ შეურაცხოფს, სრული სისხლი უნდა გადაიხადოს (მუხ. 109). პატრონის წინაშე ვისკე უსამართლოდ დასმენისათვის ცილისმწამებელმა „სრული სისხლი“ უნდა დაუტოვოს მას, ვინც ტყუილ-უბრალოდ დააბეზდა (მუხ. 132). საეისი ცოლის მოტაცებისათვისაც კანონი დამნაშავეს სრული სისხლის გადახდას აკისრებს (მუხ. 133). სამი უკანასკნელი მუხლი ბექა-ალბუდას სამართალს არ ეკუთვნის და ამით აიხსნება ის შეუსაბამობა, როგორცაც ადგილი აქვს აღნიშნულ ნორმებსა და სამართლის წიგნის სხვა მუხლებს შორის.

ნახევარი სისხლის დაურეება გათვალისწინებულია შედარებით მსუბუქი დანაშაულისათვის. თუ თავდასხმის დროს მკვლელობას არ ჰქონდა ადგილი, დამნაშავემ დაზარალებულს ოჯახის აკლებსა და დამცირებისათვის „საპატიოს კაცისა სისხლის ნახევარი დაუტოვოს“, მაგრამ, თუ დაზარალებული ნაკლებსაც დასჯერდება, ეს მისი ნება არისო, მიუთითებს კანონმდებელი. მცირე სამდურავისა და უკმაყოფილების გამო ვინმემ რომ თავის

მამულში კაცი „შეიპყრას“ და სახლში მიიყვანოს, დამნაშავემ დაზარალებულს „სისხლის ნახევარი დაუურვოს“. კაცი რომ კაცს ომში სძლეოს, „გამარჯვება ეყოფის“, მაგრამ, თუ გაძარცვავს და სახლში წაიყვანს, სისხლის ნახევარი დაუურვოს და აბჯარა და ნაძარცვი სრულად მისცეს. უმიზეზოდ ცოლის დაგდებისათვის ქნარმა ცოლს „სისხლის ნახევარი მისცეს“. თუ ქმარი დასნეულებულ ცოლს გაეყრება, „მაშინაც ნახევარი სისხლი დაუურვოს, რადგან ქმრის ხელში დაავადმყოფებულაო („მის კელშიგა დაჰართებია“).

ბაგრატ კურაპალატის სამართალი ადგენს: თუ ვინმე გაძარცვის მიზნით ეკლესიას „ზღუდესა შიგნით ჩაუხდეს“, ეკლესიის პატრონს „ნახევარი სისხლი დაუურვოს“. ცემისა და ხელით შეხებისათვის დამნაშავემ დაზარალებულს „სისხლის ნახევარი დაუურვოს“. მცირერიცხოვანი ჯოგის ძალით „ხელდახელ“ წასხმისათვის, დამნაშავემ პატრონს ჯოგიც უნდა დაუბრუნოს და „ნახევარი სისხლი დაუურვოს“ (მუხ. 141). ვინც სხვას ჯადოქრობა შეწამა, მაგრამ დანაშაულში ვერ გატეხა, „სისხლის ნახევარი დაუურვოს“ (მუხ. 146). ბაგრატ კურაპალატის სამართალი მესამედი სისხლის დაურევბას ითვალისწინებს კიდევ უფრო მცირე დანაშაულისათვის, დიდებულმა, აზნაურმა, ან სხვა ვინმემ, თუ მღვდელს გინებით შეურაცხყოფა მიაყენოს, პატიება უნდა სთხოვოს და „სისხლის მესამედი დაუურვოს“. თუ ვინმე ეკლესიას „ზღუდეს გარეთ“ თავს დაესხმება და რაიპე ქონებას მოიტაცებს, დაზარალებულს ქონებაც უნდა დაუბრუნოს და „სისხლის მესამედი დაუურვოს“.

ამრიგად, სამართლის წიგნი დანაშაულის ადგილისა და სიძიმის მიხედვით აწესებს დაზარალებული პირის სასარგებლოდ ორკეცი, ერთნახევარი, სრული, ნახევრისა და მესამედი სისხლის დაურევბას. მაგრამ ცხოვრებაში მრავალგვარ დანაშაულს აქვს ადგილი. ამიტომაც კანონმდებელი კანონმდებელი კანონმდებელი პრინციპის საფუძველზე ცალკეული დანაშაულის მიხედვით უმრავლეს შემთხვევებში განსაზღვრავს დასაურევბელი სისხლის ოდენობას და ამბობს: ასეთი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დამნაშავემ დაზარალებულს ამდენი ათასი „თეთრი დაუურვოს“.

განსაკუთრებული სისხლის დაურევბაა გათვალისწინებული თავდასხმისათვის. „ზედადასხმის“ შემთხვევაში თვითთელი ჩადენილი დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს გარდა (მკვლელობისათვის — „სისხლი“, კრილობისათვის — „გერში“ და სხვ.) დამნაშავემ დაზარალებულს თავდასხმისათვის სპეციალური საზღაური უნდა გადაუხადოს („თვით ზედადასხმის წესით დაუურვოს“, ანუ „და-

სხმულობისა წესითა დასხმულობა დაუურვოს“). „დასხმულობის დაურვება“ თავდასხმისათვის გაჩენილი სისხლის დაურვებას ნიშნავს. თავდასხმის დროს მკვლელობას, კრილობის მიყენებას, ან ქონების გატაცებასაც რომ არ ჰქონდეს ადგილი, დამნაშავემ დაზარალებულს ოჯახის აკლებისათვის დასხმულობა უნდა დაუურვოს, „ვითა დასხმისა შიგან სწერია“. ბექას სამართლის მე-12 მუხლის დასაწყისი 1672 წლის ხელნაწერში ასე იკითხება: „ზედ ნიკდომილისა სისხლი და საგერზე არა არისო“, ე. ი. თავდამაზნებლები რომ მოკლულნი, ან დაჭრილნი იქნენ, მათ არავითარი საზღაური არ ერგებათ. თუ ვინმე სხვის ცხეს, ან კარმიდამოს — „ვაკისკ საჯდომს“ — ღალატით თავს დაესხმება, დამნაშავემ სხვა სასჯელებს გარდა დაზარალებულს ვაკედ ჯდომისა დასხმაც“ უნდა დაუურვოს. ანუ თავდასხმისათვის განსაკუთრებული საზღაური გადაუხადოს. გლეხის სახლ-კარზე თავდასხმისათვისაც დამნაშავემ დაზარალებულს ზედა დასხმის წესით დაუურვოს“. გათხოვილი ქალის მოტაცების მიზნით ოჯახზე თავდასხმის შემთხვევაში სხვა ორი სასჯელის გარდა დამნაშავემ თავდასხმისათვის დაზარალებულს სპეციალური საზღაური უნდა გადაუხადოს, ე. ი. „დასხმულობისა წესითა დასხმულობა დაუურვოს“.

ამრიგად, „დასხმულობის დაურვება“ სპეციალურად თავდასხმისათვის დაწესებული „სისხლი“ ანუ საზღაურია, რომელიც დამოუკიდებლად სხვა სასჯელებისა დამნაშავემ დაზარალებულს უნდა გადაუხადოს.

სისხლის დაურვება ქართულ სამართალში ქონებრივი სასჯელის ისეთივე სახეა, როგორცაა კომპოზიცია, ანუ ვეუგელდი ევროპის ადრინდელი ფეოდალური საპართლის ძეგლებში. კომპოზიცია ანუ ვერგელდი, იგივე „სისხლი“, საზღაურია. რომელიც დამნაშავემ უნდა გადაუხადოს დაზარალებულს, ან მის ნათესაებს, მიყენებული ზიანისათვის. ამასთან კომპოზიციის ანუ ვერგელდის ოდენობა განისაზღვრება დაზარალებულის წოდებრივი ღირსებითა და მიყენებული ზიანის სიმძიმით. რაც უფრო მნიშვნელოვანია მიყენებული ზიანი, მით უფრო მეტია სისხლის ოდენობა.

სისხლის დაურვების ანუ კომპოზიციების სისტემას, როგორც ცნობილია, თავდაპირველად წინ უსწრებდა სისხლის აღება, ანუ შურისძიების ადათი. მაგრამ იურიდიული ცხოვრებისა და მართლშეგნების განვითარებასთან ერთად თანდათან შევიწროვდა

შურისძიების სფერო და სისხლის აღების ადათმა ადგილი დაუთმო კომპოზიციების სისტემას, ანუ ჩადენილი დანაშაულის ქონებრივი საზღაურით გამოსყიდვას. თავის პირველდაწყებით ფორმაში კომპოზიცია კერძო ხასიათს ატარებს, იგი ქონებრივი სასჯელის სახეა, რომლითაც დამნაშავე დაზარალებულს, ან მის ნათესაებს დანაშაულის გამოსყიდვისა და შურისძიების მოსპობის მიზნით კანონით დადგენილ ქონებრივ საზღაურს უხდის. ამავე დროს, როგორც ეს ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლებიდან ჩანს, კომპოზიცია საჯარო ხასიათის საზღაურსაც შეიცავს.

სალიკური სამართლის მიხედვით კომპოზიცია ორი ნაწილისაგან შედგებოდა. მის ძირითად ნაწილს ის ქონებრივი საზღაური წარმოადგენდა. რომელიც დაზარალებულს ეძლეოდა, ხოლო მეორე ნაწილი კი იმ საზღაურს შეადგენდა, რომელიც მეფის ან გრაფის. როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის, სასარგებლოდ იყო გამოყოფილი. კომპოზიციის ამ ნაწილს სალიკური სამართალი *fritus*-ს უწოდებს. სიტყვა „ფრიტუსი“, „ფრეტუსი“, წარმოდგება გერმანული სიტყვისაგან *friede*—„ფრიდე“, რაც მშვიდობიანობას ნიშნავს. „ფრეტუსი“ ეწოდება კომპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც დამნაშავემ ჯარიმის სახით უნდა გადაიხადოს საზოგადოებრივი მშვიდობიანობის დარღვევისათვის საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ. გადაიხდიდა რა სასჯელის სახით კომპოზიციის განსაზღვრულ ნაწილს, ამით დამნაშავე გამოისყიდოდა თავის დანაშაულს და ღებულობდა საზოგადოებაში მშვიდობიანი და უშიშარი ცხოვრების უფლებას. ამ აზრით „ფრეტუსი“ დარღვეული მშვიდობიანობის აღდგენის გამოსასყიდ საზღაურს წარმოადგენდა.

ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლების მიხედვით საერთო მშვიდობიანობის ანუ „ფრიდეს“ უმაღლესი დამცველი არის მეფე. ამიტომ ვინც მშვიდობიანობით სარგებლობს, ის მეფის მფარველობის ქვეშ იმყოფება. დამნაშავე, რომელიც დანაშაულს ჩაიდენს, არღვევს არა მარტო კერძო, არამედ საზოგადოებრივ მშვიდობიანობასაც. ამის გამო იგი ვალდებულია, ერთი მხრით, აუნაზღაუროს მიყენებული ზიანი დაზარალებულს, ან მის ნათესაებს, ხოლო, მეორე მხრით, საზოგადოებრივი მშვიდობიანობის აღსადგენად საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლის, მეფის, ან გრაფის სასარგებლოდ გადაიხადოს სპეციალური ჯარიმა — *fretus*-ი. სალიკური სამართლის მიხედვით დამნაშავე ვალდებულია კომპოზიციის ორი მესამედი ნაწილი გადაუხადოს დაზა-

რალეზულს, ხოლო ერთი მესამედი გრავს: *duas partes cuius causa est, tertia parte grafio frito ad se recolligat*, ე. ი. „ორი ნაწილი გაღებულ იქნას მოსარჩლის სასარგებლოდ, ხოლო მესამე ნაწილს აიღებს გრაფი ფრიტუსის სახით“<sup>1</sup>.

ძველი რუსეთის სამართლის წიგნის — „Русская Правда-ს“ — მიხედვით მკვლელობის კომპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც ეკუთვნის თავადს, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელს, „вира“ ეწოდება, ხოლო მეორე ნაწილს, რომელიც დაზარალებულის ოჯახს ეძლევა, — „головничество“. სხვა დანაშაულობისათვის ვათვალასწინებელი საზღაურის ერთ ნაწილს, რომელიც ჯარიმის სახით თავადს ეძლეოდა, „штраф“ ეწოდებოდა, ხოლო დაზარალებულის სასარგებლოდ განკუთვნილ მეორე ნაწილს — „урок“<sup>2</sup>; სიტყვა „вира“ გერმანული სიტყვიდან, *weirgeld*-იდან წარმოდგება და ქართულ სამართალში ნიშნავს „სისხლს“.

ქართული სამართლის უცხო მკვლევრები (ჰოლდაკი, კარსტი და სხვ.) ამტკიცებენ, თითქოს ქართული სამართლის კომპოზიციების სისტემა არ იცნობდა სისხლის სამართლის საჯარო ხასიათის ჯარიმას, რომ სისხლის დაურევებას მთლიანად კერძო საზღაურის ხასიათი ჰქონდა. გერმანელი მეცნიერი ჰოლდაკი, რომელმაც ვახტანგის კანონთა კრებულს სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, კატეგორიულად მიუთითებს, რომ ქართულ სამართალში არ არსებობდა საჯარო ხასიათის სისხლის დაურევება. ჰოლდაკის აზრით კერძო საზღაურის პრინციპი და ინტერესი იმდენად ძლიერად იყო განვითარებული ქართულ სამართალში, რომ მან არ მისცა საშუალება კომპოზიციის საჯარო ელემენტის განვითარებას. ქართულ სამართალში განუყოფლად ბატონობდა დაზარალებული პირის ქონებრივი ინტერესი. ეს კი თავის მხრივ აიხსნებოდა სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტით და ცალკე ძლიერი სამთავროების არსებობის ფაქტით. სისხლის დაურევების საჯარო ხასიათის ელემენტს ჰოლდაკი არ ცნობს ქართული ნაციონალური კანონმდებლობის ძეგლებში, გარდა საკუთრივ ვახტანგის სამართლის 154-ე მუხლისა, რომელიც, მისი აზრით, გამონაკლისს წარმოად-

<sup>1</sup> Lex Salica, თავი L, § 3.

<sup>2</sup> Владимирский - Буданов. Обзор истории русского права. 1909 г., стр. 326 — 327.

გენს საერთო ტენდენციიდან, ისიც გვიანდელ პერიოდში, მე-18 საუკუნეში<sup>1</sup>.

ამავე აზრს იზიარებს კარსტიც, რომელიც უარყოფს ბექა-ალბულას სამართალში კომპოზიციების საჯარო ელემენტის არსებობას. იგი წერს: „ვერგელდს უხდიან მთლიანად დაზარალებულს ან ნის ოჯახს. არც ხელისუფლება, ე. ი. ადგილობრივი მმართველი, არც სახელმწიფო, როგორც ჩანს, არ სარგებლობდნენ სისხლის საზღაურის წაწილით დაურევების დროს. ყოველ შემთხვევაში, ბექა-ალბულას კოდექსი არ იძლევა არავითარ სპეციალურ, ზუსტ ფორმულირებას რაიმე გამოსასყიდი ვალდებულებისა ან შემარიგებელი ჯარიმის მიმართ, რომელიც უნდა გადაეხადათ freedom-ის სახით სენიორალური სასამართლოსათვის ან ხელისუფლებისათვის“<sup>2</sup>.

კარსტის შეხედულებით ქართულ სამართალში გაბატონებულია კერძო დაზარალებული პირის ქონებრივი ანაზღაურებისა და დაკმაყოფილების იდეა. მისი აზრით ქართული სამართლისათვის თავიდანვე უცხო იყო ყოველგვარი საჯარო ხასიათის ჯარიმა. რომელიც დამნაშავეს კერძო საზღაურს გარდა უნდა გადაეხადა საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ. „ქართული სამართალი სისხლის დაურევების დარგში ძიოითადად ხელმძღვანელობს და განისაზღვრება დაზარალებული მხარის ქონებრივი საზღაურისა და დაკმაყოფილების გაბატონებული იდეით. აი რატომ ყოველგვარი სასჯელი, ან საჯარო ხასიათის-ჯარიმა, რომელიც დამნაშავეს ვერგელდს გაოდა უნდა გადაეხადა ხელისუფლებისათვის (სახელმწიფო, მეფე, მოსამართლე ან სასამართლო), როგორც დანაშაულის გამოსყიდვისა და დარღვეული წესრიგის აღდგენის საშუალება, უცხო იყო მისთვის. არც გიორგის კოდექსი, არც ბექა-ალბულას კანონები არ შეიცავენ არავითარ კვალს ან ნითითებას ასეთ სასჯელებზე“<sup>3</sup>.

რაც შეეხება ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის 154-ე მუხლს, რომლის მიხედვით ქურდობისათვის დადგენილი საზღაურის 5/7 ნაწილი ხელისუფლებას ეკუთვნის, კარსტი წერს, რომ ხელისუფლების სასარგებლოდ განკუთვნილი საზღაურის 5/7 წარმოადგენს სისხლის სამართლის ჯარიმას—freedom-ს—თემის სასარგებლოდ, როგორც საწინდარსა და აღიარებას აღდგენილი მშვიდობიანობისაო.

<sup>1</sup> F HOLLDAEK. Zwei Grundsteine zu einer grusinischen Staats und Rechtsgeschichte. Leipzig 1907 წ. 245—246.

<sup>2</sup> Karst. Code d'aghbougha, ტ. II, წიგნი 2, 1938 წ., გვ. 28.

<sup>3</sup> Karst. Code géorgien du roi Vakh tang VI, ტ. I<sup>2</sup>, წიგნი პირველი,



კარსტის აზრით, საჯარო ხასიათის სისხლის სამართლის ელემენტებმა ვერ მიიღეს განვითარებული ხასიათი ქართულ საწარმოებში და იგი დარჩა ჩანასახის ფორმაში იმის გამო, რომ „დაუძღურდა სამეფო ხელისუფლება, რომელიც წარმოადგენს იურისდიქციისა და მოწესრიგებული სისხლის სამართლის კანონმდებლობის პირველ აუცილებელ პირობას. ამით აიხსნება, ჩვენი აზრით, ცოტა არ იყოს ქაოსური და რუდიმენტული მდგომარეობა სისხლის სამართლის მასალისა საკუთრივ ვახტანგის კოდექსში“<sup>1</sup>. კარსტის შეხედულებით კომპოზიციების სისტემის ფართო გავრცელებამ შეავიწროვა და დააკნინა სასჯელის საჯარო პრინციპი. სასჯელის საჯარო ელემენტის არარსებობა და ქართული სისხლის სამართლის განვითარებლობა, კარსტის აზრით, იმით უნდა აიხსნას, რომ საქართველო იმყოფებოდა ვასალურ დამოკიდებულებაში მებობელ სახელმწიფოებთან (ირანი, თურქეთი). ამ მდგომარეობას ქვეყნის შიგნით ხელს უწყობდა ფეოდალური დაქსაქსულობა და გარდა ამისა ორი უმაღლესი ხელისუფლების — საეკლესიო და საერო ხელისუფლების — არსებობა. მიუხედავად ასეთი კატეგორიული მტკიცებისა კარსტი იძულებულია აღიაროს, რომ სასჯელის საჯარო ელემენტის შინაარსს გამოხატავდა ძველი ქართული სიტყვა „საზაო“. მისი აზრით, „საზაო არის შუა საუკუნეების ფრანგულ-გერმანული სამართლის *freedom*-ი, რომელსაც კომპოზიციის დაურევებისას იხილდნენ“<sup>2</sup>.

~~ბექა-აღბუღას სამართლის პირველი მკვლევარი ნ. ურბნელი აღნიშნავს, რომ საათაბაგოში სისხლის დაურევების მოვალეობა ეკისრებოდა პირადად დამნაშავეს, ან მის სახლობას. რაც შეეხება ხელისუფლების წარმომადგენელთათვის საზღაურის განსაზღვრული წილის მიცემას, ამის შესახებ სამართალში არაფერია ნათქვამიო. „როცა ერის ცხოვრებაში სახელმწიფო წყობილება ფეხს იდგამს და გზას იკვლევს, მმართველობის წარმომადგენლებსაც უნდა მიეცეს სისხლის ნაწილი, რადგანაც სამართლის ქმნა კერძო საქმე აღარაა და მმართველობას აბარია...საქმე ისაა, რომ დანაშაულს საზოგადო ბოროტებად სთვლიდნენ და საზოგადოების წარმომადგენელსაც ჯარიმა უნდა მიეღო, მით უმეტეს, რომ იგი ასამართლებდა. საათაბაგოში-კი სისხლი მთლად ნაწყენს და ამის სახლობას მიჰქონდა, და არა სჩანს, ათაბაგს და იმის მოხელეებს.~~

<sup>1</sup> Karst. იქვე, გვ. 194.

<sup>2</sup> Karst. Code d'Aghbougha, ტ. II<sup>3</sup>, გვ. 146.

ჯარიმა მიეცეთო. ამის მიზეზი იქნება ისიც იყო, რომ საათაბაგოში დანაშაული კერძო საქმედ თიანდათ და არა ისეთ ბოროტებად, რომელიც მთლად საზოგადოებას შეეხება და მწართებლობან უნდა სდევნოს“<sup>1</sup>...

ძველ ქართულ სამართალში კომპოზიციების საჯარო ელემენტის არსებობის შესახებ აკად. ი. ჯავახიშვილი წერს: „გარკვეულ დანაშაულებათათვის კანონი დამნაშავეს დაზარალებულისა და მისი ნათესავების, აგრეთვე სასამართლოს სასარგებლოდ ქონებრივი საზღაურის გადახდას აკისრებდა. ასეთი წესი საქართველოში XIV — XVIII-სს-ში არსებობდა და საკანონმდებლო ძეგლებში ეს აღბეჭდილია კიდევ. ნაწილობრივ მაინც ასეთი წესი წინათაც არსებულა. რაკი IX — XII სს-ის საკანონმდებლო ძეგლები დაცული არ არის, ამიტომ ასეთი წყაროებით ამ აზრის დამტკიცების საშუალება არ არსებობს, მაგრამ ორიოდ ამის დამადასტურებელი ცნობა საბუთებშია შერჩენილი. ამას „საზღავო“ ჰქმევია იმგვარადვე, როგორც ასეთი ქონებრივი დაზარალებულის დაზარალებულის ძიერ ჩაბარებას „საზღავად აღება“ სწოდებია“<sup>2</sup>. ნიკორწინდის XI საუკუნის სიგლიდან ჩანს, რომ „საზღავო“ დაკოდვისა ანუ დაქრილობისა, და პარვისათვის ყოფილა მიღებული. ცხენის მოპარვისა და კაცის დაქრისათვის მონასტერს „საზღავად“ მიწის ნაკვეთი აუღია. გრიგოლ ქართლის ერისთავის ანდერძით, რომელიც 9-13 საუკუნის შუა წლების საბუთს წარმოადგენს, ქურდობისათვის დაწესებული ყოფილა „საზღავრი შვიდეული“. საბუთიდან ირკვევა, რომ სოფლად სასამართლოს წარმოების შეთვალყურება ერისთავს ეკუთვნოდა, რისთვისაც მას ეძლეოდა დამნაშავისათვის კანონით მისჯილი ჯარიმის ნაწილი, რასაც „ქერძი საერისთავოა“ ერქვა. ამრიგად, „საზღავო“ და „ქერძი საერისთავოა“, როგორც ჯარიმის ნაწილი, სასჯელის საჯარო ელემენტს წარმოადგენდა. ქონებრივი სასჯელის ეს წილი საჯარო ხელისუფლების წარმონაღებელს ეძლეოდა“<sup>3</sup>.

კომპოზიციების საჯარო ელემენტი მკაფიოდ გამოხატულია XVIII საუკუნის ადმინისტრაციულ-საფინანსო სამართლის წიგნში — „დასტურლამალში“. „დასტურლამალის“ მუხლებიდან ჩანს, რომ სისხლის სამართლის სასჯელის საჯარო საწყისი არ წარმოადგენდა შემ-

<sup>1</sup> ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბეჟა და აღბუღა... გვ. 258 — 259.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, ნაკვ. 2, გვ. 506.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 316.

თხვევითსა და განუვითარებელ პრინციპს ქართული სამართლისათვის. ქურობის შემთხვევაში „დასტურლამალი“ აწესებს შეიდეც სახლურსა, აქედან სახლურის ორი წილი ნივთის პატრონს ეკუთვნის, ოთხი წილი — ბატონს და ერთი წილი — მოურავს. სხვა შემთხვევაშიც სახლური ასევე ნაწილდება სხვადასხვა ხელისუფალთა შორის. ხელის დაზიანების შემთხვევაშიც „დასტურლამალი“ აწესებს გასახლვრულ ჯარიმას სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთათვის. თავის გატეხის შემთხვევაში დანაშაუდ, გარდა იმ სახლურისა, რომელიც დაზარალებულს უნდა მიეცეს, ვალდებულია, მოურავს ხუთი აბაზი, ხოლო ნაცვალს ორი შაური გადაუხადოს. ხელის მოკვეთის შემთხვევაში მოუოავისათვის 30 შაურია, ხოლო ნაცვლისათვის — სამი შაური. ასევეა კბილის ჩაგდებინების შემთხვევაში. ამრიგად, კანონი ზუსტად განსაზღვრავს ჯარიმის იმ ნაწილს, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელს უნდა მიეცეს. სასჯელის საჯარო ელემენტებს ვხვდებით აგრეთვე XVIII საუკუნის დასაწყისის სხვა საბუთებშიც.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, რომ ქართული სამართლის უცხო მკვლევრების (ჰოლდაკის, კარსტის) აზრი იმის შესახებ, თითქოს ქართული სამართლისათვის უცხო იყო სასჯელის საჯარო ელემენტი, მოკლებულია საფუძველს. ქონებრივი სახლურის განსაზღვრული ნაწილი, რომელიც ჯარიმის სახით ხელისუფლების წარმომადგენლებს ეძლეოდა, ცნობილი იყო ქართული სამართლისათვის ჯერ კიდევ XIII საუკუნეში.

**პატიჟი.** სასჯელის ცალკე სახედ ბეჭა-აღბუღას სამართალში აღნიშნულია „პატიჟი“. ძველ ქართულ სამართალში „პატიჟი“ სასჯელის ზოგადი მნიშვნელობით იხმარება. ამ გაგებით ეს ტერმინი სომხურადაც არსებობს, მაგრამ მისი ეტიმოლოგია გამორკვეული არ არის. სულხან-საბა ორბელიანს განმარტებული აქვს: „საშჯელი — სამართალი. საშჯელი უკუე არს სიტყუა მოვლინებული არაქანისათვს ქანადთა, პატიჟითა (პატიჟთა) ვიდრემე მსწენელთათვს, ხოლო პატიჟთა (პატიჟთა) ბრძანებულთა შარმსმენელთათვს“, ე. ი. სასჯელი ანუ სამართალი გაჩენილია ჩასადენელთა არ-ჩადენისათვის, იგი პატიჟია, თუ უსმენ, ხოლო თუ უგულვებელს ჰყოფ დადგენილ წესს, იგი პატიჟია. სხვა ადგილას სიტყვა „პატიჟის“ განმარტებისას საბა წერს: „პატიჟი — კეთილის მიპყრობა სიტყვით და საქმით, ხოლო პატიჟი წინაუკმო — უპატიურად და შექირვებით პყრობა“. მა-

შასადამე „სასჯელი“ ძველ ქართულში „სამართალს“ ნიშნავს, ხოლო „პატივი“ — სასჯელს, თანამედროვე ქართულით.

ქართულ ორაგინალურ აგიოგრაფიულ ძეგლში — „მარტვილობა ევსტათი მცხეთელისა“, — რომელიც დაწერილია VI საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ნათქვამია: „ამის კაცისა პატივი ჰე არ არა კელ-მეწიფების, არცა აღბმად ძელსა, არცა პყრობილებაჲ“<sup>1</sup>, ე. ი. ამ კაცის დასჯა ზე არ შემძლია, არც ჩამოხრჩობა, არც დაპატიმრებაო. მაშასადამე, აქ პატივი ნიშნავს სასჯელს, დასჯას. ქართული ლიტერატურის ცნობილ ნაწარმოებში, „გრიგოლ ხანძთელის ცაოვრებაში“, ნათქვამია: „საუკუნოდ პატიჟთა დაუსრულებელთა“, ან „აწ პატივისა ვხედავ და პატივისაგან მეწინის-ო“<sup>2</sup>.

აქაც „პატივი“ სასჯელს ნიშნავს. ამავე ნაწარმოებში გვხვდება ეს სიტყვა აგრეთვე ხმნის ფორმითაც — „პატიჟულ იყოს“, ე. ი. დასჯილი იყოს, და „პატიჟულ გყოს“, ე. ი. დაგსაჯოს<sup>3</sup>. სიტყვა „პატივი“ აღნიშნულია აგრეთვე „ვისრამიანის“ XVII საუკუნის ქართულ ხელნაწერებში, სადაც ნათქვამია: -ვაი, გულო ჩემო, რა წაგეკიდა, რასა მოედები და უსარგებლოსა ნატრისაგან პატიჟსა იმატებ<sup>4</sup>, ე. ი. უსარგებლო ნატვრისაგან სასჯელსა და ტანჯვას რად იმატებო. სიტყვა „პატივი“-დან წარმოდგა სიტყვა „საპატიჟო“, რასაც სულხან-საბა ორბელიანი შემდეგნაირად განმარტავს: „საპატიჟო — პატიჟის საქნელი თუ ქნა“, ე. ი. „საპატიჟო“ სასჯელია დანაშაულებრივი მოქმედებისათვის. სიტყვისაგან „პატივი“ წარმოიშვა სიტყვა „განპატიჟება“ ანუ „განპატიჟება“.

გიორგი ბრწყინვალის (1318 — 1348) „ძეგლის დება“ მე-3-სა და მე-15 მუხლში აწესებს „გაპატიჟებას“. მე-3 მუხლში ნათქვამია: „თუ ერთ კაცს ეფათერაკოს განმგებელი კაცი, გაიპატიჟოს და მამულისაგან გაიძოს..“, ე. ი. ვინც უნებლიეთ გამგებელს მოკლავს, ის უნდა დაისაჯოს და მამულიდან გაიძეოს. მე-15 მუხლი „გაპატიჟებას“ ითვალისწინებს ისეთი დამნაშავის მიმართ, რომელმაც ღედა ან მამა მოკლა. ასეთ შემთხვევაში დამნაშავე ყოველგვარი

<sup>1</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, შედგენილი ს. ყუბანეი-შვილის მიერ, I, 1946 წ., გვ. 45.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 101.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 117, 128.

<sup>4</sup> იქვე, II, 1949 წ., გვ. 153.

სასჯელის ღირსია, მას უნდა „დაემართოს, რაც უარესია: ყველას დამართება და ყოფა, პირიანი გაპატიჯება, გაძება შეუნდობლად, შემოუშვებლობა, აღმოფხვრა და აღმოწყვეტა“. „პირიანი გაპატიჯება“ ნიშნავს მკაცრ; სასტიკ დასჯას. რუსულად „პირიანი გაპატიჯება“ თარგმნილია როგორც казнь, ე. ი. სიკვდილით დასჯა. მაგრამ შეცდომა არის, რადგან სიკვდილით დასჯილის გაძევება, ცხადია, არ შეიძლებოდა. პირიანი „გაპატიჯება“ აქ გულისხმობს დასჯას სამუდამო გაძევებით, ე. ი. დამნაშავის კანონგარეშე გამოცხადებას.

„კათალიკოსთა სამართალი“, რომელიც XVI საუკუნის შუა წლებშია შედგენილი, სამ ადგილას აღნიშნავს სიტყვა „განპატიჯებას“. მე-6 მუხლის მიხედვით, ვინც უდანაშაულო კაცს, ან მგზავრს, ან მცველს მოკლავს, უნდა „განიპატიჯოს“, ე. ი. დაისაჯოს. აქ კონკრეტულ სანქციაზე მითითება არ არის. მე-17 მუხლის თანახმად „მეფის ლალატისათვის“, ხოლო 23-ე მუხლის მიხედვით „უბრალოდ ცოლის დაგდებისათვის“ დამნაშავე უნდა „სიკვდილით განიპატიჯოს“, ე. ი. სიკვდილით დაისაჯოს<sup>1</sup>. აქ კანონმდებელი უკვე კონკრეტულ სასჯელზე მიუთითებს.

აკად. ივ. ჯავახიშვილის აზრით „გაპატიჯება“ დამასახიჩრებელი სასჯელის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი იყო<sup>1</sup>. მაგრამ განსვენებული მეცნიერი უნდა ცდებოდეს. „გაპატიჯება“ ძველად და უფრო გვიანდელ პერიოდშიც დასჯას ნიშნავდა საერთოდ. ეპიქიდანაც ჩანს, რომ ბაგრატ კურაპალატის სამართალში (მუხ. 152, 162, 167) და კათალიკოზთა სამართალში (მუხ. 4, 5) „ასოთა მოკუეთა“ ანუ დამასახიჩრებელი სასჯელები ცალკეა აღნიშნული. მაშასადამე, „გაპატიჯება“ და „ასოთა მოკუეთა“ ერთი და იგივე არ არის. „გაპატიჯება“ საზოგადო სახელია და „დასჯას“ ნიშნავს, ხოლო დასჯის ფორმები და საშუალებები შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს: სიკვდილით დასჯა ანუ „სიკვდილით განპატიჯება“, საშუალო გაძევება, კანონგარეშე გამოცხადება, ასოთა მოკვება და სხვა.

ეხლა ვავარკვირთ სიტყვა „პატიჟი“-ს, როგორც სასჯელის, მნიშვნელობა ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით. კანონთა იმ მუხლების გულდასმითი ანალიზი, სადაც ლაპარაკია „პატიჟის“, როგორც სასჯელის შესახებ, ცხადყოფს, რომ „პატიჟი“ სიკვდილით დასჯას, ან ასოთდამაზიანებელ სასჯელს არ გულისხმობს.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაკვეთი მეორე, გვ. 291, 518.

„პატიჟი“ ბექა-აღბუღასა და ბაგრატ კურაპალატის კანონებში სასჯელის ზოგადი მნიშვნელობით იხმარება, მაგრამ უმეტეს შემთხვევებში იგი სისხლის სამართლის განსაკუთრებული ჯარიმია, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაიხადოს საერო, ან სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენელთა სასარგებლოდ „პატიჟის“ ასეთი გაგების საფუძველს გვაძლევს ბექას სამართლის პირველივე მუხლის შინაარსის ანალიზი. პირველ მუხლში ლაპარაკია დიდებულის მიერ დიდებულის მკვლელობის შესახებ. აღნიშნულია, რომ: „რა ზიანიც არ უნდა მიაყენოს დამნაშავემ აოკლულ პირს, თუნდაც, რომ მისი სახლი ან სხვა ქონება დაწვას, თუ ასეთი დანაშაული ჩადენილია საერო და სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმეში ჩარევამდე, დამნაშავეს კანონით გათვალისწინებული სისხლის სევით სასჯელი არ ემატება — „სადანდისა პატრონისა ჯაყელისა და მაწყურლისა კაცნი და ხატი ყოვლად წმიდისა მიესწრებოდენ, მანამდის დაწუას თუ რასაც ემტეროს, იგი სისხლსა შიგან არა მიეფასოსო“. ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმეში ჩარევამდე მკვლელობა განიხილება უმთავრესად როგორც კერძო ხასიათის დანაშაული. მაგრამ მდგომარეობა იცვლება ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმეში ჩარევის შემდეგ უკვე დამნაშავე დაზარალებულს „ველარ ემტერების“. მაგრამ, „თუ დამნაშავემ თავისი ბოროტი განზრახვა არ ნოიშალა და მოკლულის სახლი ან სხვა ქონება დაწვა, ასეთი ქმედობა განიხილება ათაბაგისა და მაწყურლის კაცთა, როგორც საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ უპატიური ქვევა, რის გამო დამნაშავემ გარდა კანონით გათვალისწინებული სასჯელისა, „პატრონისა და მაწყურლის პატიჟი გარდაიკადოს და დაუურვოსო“ „პატიჟის გარდაცდის“ გარდა, ძირითადი სასჯელის სახით, დამნაშავეს დიდებულის სრული სისხლი უნდა აენაზღაურებინა და წაღებული ქონება დაებრუნებინა დაზარალებულის ნათესავეებისათვის. ფორმულა „პატიჟი გარდაიკადოს და დაუურვოს“ იმაზე მიუთითებს, რომ „პატიჟი“ სასჯელის ცალკე სახეს წარმოადგენს და იგი არ შედის სისხლის საერთო საზღაურში ამავდროს „პატიჟი“ ისეთი სასჯელია, რომელიც დამნაშავემ უნდა „გარდაიკადოს და დაუურვოს“. დაურვება და გადახდა შეიძლება მხოლოდ ფულადი, ან ქონებრივი საზღაურისა. ამიტომ, ცხადია, აქ არ შეიძლება კანონმდებელს „პატიჟის“ სახით მხედველობაში ჰქონდეს ასოთდამაზიანებელი სასჯელი — თვალთა დაწვა ან რომელიმე ასოს მოკვეთა. ამ შემთხვევაში „პატიჟი“ ქონებრივი საზღაურის ნაწილია, რომელიც დამნაშავემ სახელმწიფო, ან სასუ-

ლიერო ხელისუფლების წარმომადგენელთა სასარგებლოდ უნდა გადაიხადოს.

აღსანიშნავია, რომ „პატიჟი“, როგორც სასჯელის განსაკუთრებული სახე, ბეჟა-აღბულას სამართალში ყოველთვის დაწესებულია მძიმე ხასიათის დანაშაულის ჩადენის დროს, როგორცაა მკვლელობა, ღალატი, თავდასხმა, ეკლესიის დაწვა, გაძარცვა და სხვა. „პატიჟის“ დაურევება დაწესებულია აგრეთვე ღალატით დანაშაულის ჩადენის დროს. „ღალატი“ კი პირველ ყოვლისა პატრონათბაგის ან მაწყვერლის წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო დანაშაულია. ღალატით მკვლელობისა და თავდასხმისათვისაც „პატიჟია“ გაჩენილი, რადგან ღალატი ამავე დროს მალვით, დაუნდობლობით, მუხთლობით დანაშაულის ჩადენას ნიშნავს.

ბეჟას სამართლის მიხედვით თუ ბოროტმოქმედი სასაულოზე თავდასხმის დროს ეკლესიასაც შეურაცხყოფით მოექიდება და კარის შეღწევით ეკლესიას გაძარცვავს, ასეთ შემთხვევაში „მცნირთა და ქრისტეს სისხლის პატივსა მცნებულთა ვითა ჟუჟარს, ეგეთი პატიჟი დაუურევებინონ, შეკუთითთა არა ითქმოდანო“, — ამბობს კანონმდებელი. მაშასადამე, დამნაშავეს ისეთი სასჯელი, „პატიჟი“ უნდა დაადონ, როგორცაა საჭიროდ მიიჩნევენ, რადგან ასეთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრა შეუძლებელიაო. ფორმულა „პატიჟი დაუურევებინონ“ აქ შეიძლება გულისხმობდეს როგორც ქონებრივ, ისე აგრეთვე სხვა სასჯელსაც. რა სახის სასჯელი უნდა შეეთარდოს დამნაშავეს, ეს თვით საეკლესიო ხელისუფლების წარმომადგენლებმა უნდა განსაზღვრონ.

ბეჟას სამართლის 33-ე მუხლის თანახმად, თუ პატრონის მფარველობაში მყოფი კაცი — „მინდობილი კაცი“ — ღალატით ციხესა და სახლ-კარს სხვა ვინმეს წაართმევს და ამას პატრონი ან მაწყვერელი გაიგებს, დამნაშავემ ციხე და სახლ-კარი პატრონს უნდა დაუბრუნოს და ორი ყველაზე უმთავრესი, „უთავადესი“ კაცის სისხლი დაუურვოს დაზარალებულს ყველა იმ კაცთა შორის, რომლებიც დანაშაულის ჩადენის დროს ადგილზე იმყოფებოდა („ორთა უთავადესთა სისხლი დაუურვოს, ამად რომე ციხისა საჭმე საპატიო არის“). დამნაშავეს წაღებული ქონებაც უკლებლივ უნდა დაებრუნებია („გარე შეჰქიოს“) და გარდა ამისა „საპატიჟო“ უნდა გადაეხადა პატრონისა და მაწყვერლის მიმართ ღალატისათვის. ვასალის ანუ „მინდობილი კაცის“ მხრივ პატრონის ხელქვეითი კაცის ციხეზე და სახლ-კარზე ღალატით თავდასხმა სახელმწიფო

დანაშაულია, პატრონისა და მაწყვერლის პატივისა და ღირსების ხელყოფაა. ასეთი დანაშაულის ჩადენა მხოლოდ ღალატით ხდება. ამიტომ დამნაშავემ ძირითად სასჯელს გარდა პატრონისა და მაწყვერლის მიმართ უპატიურად პყრობისათვის სპეციალური ჯარიმა, „საპატიჟო“ უნდა გადაიხადოს.

მაგრამ, თუ დაუნდობარი და მტერი კაცი ჩაიდენს ასეთ ქმედობას, დამნაშავემ ერთი უნთავრესი, „უთავადესი“ კაცის სისხლს უნდა დაუურვოს დაზარალებულს და პატრონს „საპატიჟო აღარ მართებს“. ეს იმით, რომ ამ შემთხვევაში დანაშაული ჩადენილია იმ პირის მიერ, რომელსაც მტრობა და შუღლი აქვს დაზარალებულთან. ასეთი დანაშაული პატრონ-ათბაგის ღალატად არ ითვლება და პატრონსაც „საპატიჟო აღარ მართებს“. მაშასადამე, „მინდობილი კაცის“ მიერ ციხეზე და სახლ-ქარზე თავდასხმა ღალატია. რისთვისაც დამნაშავემ სხვა სასჯელთან ერთად პატრონის „საპატიჟო“ უნდა გადაიხადოს, ხოლო „დაუნდობარი და მტერი კაცის“ მიერ ასეთი დანაშაულის ჩადენა პატრონის ღალატად არ ითვლება და დამნაშავეს „საპატიჟოს“ გადახდაც არ ეკისრება.

ბექას სამართალი პატრონის წინაშე ვისმე ცილისმწანებლურ დასმენას მძიმე დანაშაულად თვლის, რადგან დასმენის შედეგად პატრონი დასმენილ კაცს მამულს ართმევდა, აძევებდა და არბევდა. მაგრამ როცა გამოიკვეოდა, რომ პატრონის მიერ დასჯილი კაცი უდანაშაულო იყო, დამბეზღებელს სასჯელად ედვა „რაცა კაცისაგან ავი საზიანო მოიგონების“. ასეთ შემთხვევაში „პატრონმან პატიჟითა გარდა აჯღევინოს“ დამნაშავეს, რადგან „ამისთანა საქმე პატრონისა ღალატი და შეცოდება უფროა“, ამბობს კანონმდებელი. მაშასადამე, ცილისმამებას კანონი თვლის პატრონის წინააღმდეგ მიმართულ ბოროტმოქმედებად. ამიტომ დამნაშავეს ძირითად სასჯელს გარდა აკისრებს პატრონისა და მაწყვერლის პატივის შელახვისათვის სპეციალური ჯარიმის, „პატიჟის“ გადახდას. ფორმულა „პატრონმან პატიჟითა გარდა აჯღევინოს“ ნიშნავს განსაზღვრული ქონებრივი ჯარიმის გადახდას, რომელიც განკუთვნილია საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ.

ბექას სამართლის 47-ე მუხლის მიხედვით, თუ ვინმე სხვას ძალადობით ცოლს მოსტაცებს, დამნაშავემ ორკეცი სისხლი უნდა გადაიხადოს უპატიურად ქცევისა და შეურაცხყოფისათვის („დაუურვოს ცოლის წაგვისა საპატიჟო—სისხლისა ორ-ნაწილი“). ამასთან დამნაშავე ვალდებულია დაუბრუნოს დაზარალებულს მო-



ტაცებული ქონება და გადაუხადოს თავდასხმისათვის დაწესებული საზღაური. „საპატიუო“ ამ შემთხვევაში ორკეცი ქონებრივი სასჯელია. ფორმულა „დაუურვოს საპატიუო სისხლისა ორ-ნაწილი“. ცხადია. გულისხმობს ქონებრივი საზღაურის გადახდას და არავი თარ შემთხვევაში სხეულებრივ ანუ ასოთდამაზიანებელ სასჯელს.

„პატივის“, როგორც სასჯელის მნიშვნელობა ნათლად ჩანს ძველი ქართულ სამართლის სხვა ძეგლებიდანაც. „პატივი“ აღნიშნულია ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკური სამართლის წიგნებში, რომლებიც, როგორც ითქვა, შეცდომით არის დართული ბეჭაღბუჯას კანონების ბოლოში. სისხლის სამართლის სასჯელის მნიშვნელობით „პატივი“ და „საპატიუო“ გათვალისწინებულია ბაგრატ კურაპალატის სამართლის 116-სა და 136-ე მუხლებში. აქ „საპატიუო“ ქონებრივი საზღაურია, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაიხადოს სასჯელის სახით.

კანონიკური სამართლის ფრაგმენტი, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, თამარ მეფის წინახანის ძეგლია, ითვალისწინებს „პატივის“ მთელ რიგ მუხლებში (168, 169, 170). ქართული სამართლის ამ ძველი ძეგლიდან ცხადად ირკვევა, რომ „პატივი“ საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ განკუთვნილი სისხლის სამართლის ჯარიმაა. 168-ე მუხლში აღნიშნულია ისეთი შემთხვევა, როცა ვინმე ქონების შოვნისათვის — „ნივთიანისა საქმისათვის“ — მტრობის, სისხლის, ან ვალის გადაუხდელობის გამო „ცხადად ანუ იღუმალ“ ეკლესიას გატეხს, ან ცეცხლს წაუკიდებს და დაწვევს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავემ ეკლესიის ხელისუფალთ „რააცა ამია ეკლესიისა და საურვებელი პატივი ეწეროს და გაჩენილი იყოს, ორკეცი დაუურვოს“. ამრიგად, ეკლესიის, როგორც საპატიო და მოსარიდებელი ადგილის, გაძარცვისა ან დაწვისათვის დამნაშავემ ორკეცი ჯარიმა. უნდა გადაიხადოს. „და საურვებელი პატივი“, რომელიც დამნაშავეს უნდა გადაეხადა, ის ჯარიმაა, რომელიც წინასწარ იყო დაწესებული ეკლესიისათვის, როგორც საპატიო და მოსარიდებელი ადგილისათვის. „პატივი“ ეკლესიის პატივისა და ღირსების შელახვის, მისდამი უპატიურად და შეურაცხებით მოპყრობისათვის დაწესებული ჯარიმაა. ქამ შემთხვევაში „პატივი“ რომ ცალკე ქონებრივი სასჯელია, იქიდანაც ჩანს, რომ დამნაშავეს პატივის ორკეცად დაურევების გარდა, წადებული ქონება უნდა დაებრუნებინა და მას წყველაკრულვა და შეჩვენება უნდა შეფარდებოდა. საეკლესიო კანონით უნდა განსჯილიყო. ცხადია, აქ „პატივი“ არ შეიძლება სხეულებრივ სასჯელს გულისხმობდეს.

ანალოგიურ შემთხვევას იოვალისწინებს 169-ე მუხლიც, სადაც აღნიშნულია, რომ, თუ ვინმე მტერობისათვის — „სისხლისა გულის ტკივილისათვის“ — საყდარს, ან სხვა რაიმე ნაგებობას ღმერთს ცეცხლს წაუჭიდებს, დამნაშავემ „ვითარცა ადგილი იყოს, სისხლი და პატივი გარდაიჭადოს“. მაშასადამე, ბოროტმოქმედი ვალდებულია დანაშაულის ჩადენის ადგილის, ანუ ეკლესიის პატივისა და ღირსების მიხედვით „ვითარცა ადგილი იყოს“, გადაიხადოს კანონით დადგენილი სისხლი და პატივი. სისხლი და პატივი ცალკეა ნახსენები. მაშასადამე, „სისხლი“ სხვაა და „პატივი“ სხვა. აქაც „პატივი“ განსაკუთრებული ჯარიმია, რომელიც ეკლესიის ხელისუფალთ ეძლევა. ამასთან, დამნაშავეს წყევლა-კრულვა და შეჩვენება უნდა შეეთარდებოდა და საეკლესიო კანონით განსჯილიყო.

170-ე მუხლიდან სრულიად ნათელი ხდება, რომ „პატივი“ სისხლის სამართლის ჯარიმია, რომელიც დამნაშავემ უპატიურად და შეურაცხყოფით ქცევისათვის უნდა გადაუხადოს ეკლესიის ხელისუფალთ. თუ ვინმე რაიმე საქმისათვის, ან მტერობისათვის საყდარსა და მის ქონებას მალვით ან ცხადად ცეცხლს წაუჭიდებს და დაწვავს, დამნაშავემ „საყდრის პატიჯადოცდათორმეტი ათასისა თეთრისა და უურვოს“. გარდა ამისა, დამნაშავეს წყევლა-კრულვა და შეჩვენება უნდა შეეთარდოს და საეკლესიო კანონით განისაჯოს. უეჭველია, რომ აქ „პატივი“ სისხლის სამართლის ჯარიმას გულისხმობს, რომლის ოდენობა კანონმდებლის მიერ ზუსტად განსაზღვრულია ოცდათორმეტი ათასი თეთრის ოდენობით. სხვა მითითებაც რომ არ არსებობდეს სამართლის წიგნში, მართა ამ მუხლით შეიძლება იმ დასკვნის გაკეთება, რომ „პატივი“, როგორც სასჯელი, საჯარო ხასიათის ჯარიმია, რომელიც კანონმდებლის მიერ დაწესებულია საერო, ან სასულიერო ხელისუფლების წარმომადგენელთა სასარგებლოდ. „პატივი“ საპატიო და მოსარიდებელ ობიექტებზე, „საპატიყო ადგილზე“ (ხაზინა, ეკლესია, ჯოგი, ციხე და სხვ.), ლაღატივით თავდასხმისათვის გათვალისწინებული სასჯელია.

ქ „პატივის“ მნიშვნელობით გვხვდება ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში აგრეთვე მეორე სიტყვა — „საუპატიო“. ეს სიტყვა, როგორც გარკვეული სასჯელის გამომხატველი ცნება, აღნიშნულია სამართლის წიგნის 115-ე, 121-ე და 141-ე მუხლებში. სამივე შემთხვევაში საქმე ეხება დანაშაულის ჩადენას „საპატიყო ადგილას“. თუ ბოროტმოქმედნი ეკლესიას თავს დაესხნენ, „ხუთი ათასი თეთრი და უურვონ საუპატიოდ“. ჯარიმა „საუპატიო“ დამნაშავეებს უნდა გადაეხადათ ეკლესიის, როგორც საპატიო

და მოსარიდებელი ადგილის მიმართ უპატიური და შეურაცხყოფილი მოქმედებისათვის. აქაც „საუპატიოს“ ანუ ჯარიმის ოდენობა ზუსტად განსაზღვრულია. სამართლის 121-ე მუხლი გარკვევით ბიუთითებს „საუპატიოს“, როგორც ჯარიმას. და განსაზღვრავს. დანაშაულის ობიექტის პატივისა და ღირსების მიხედვით ქონებრივი საზღაურის ოდენობას, რომელიც დანაშავემ უნდა გადაუხადოს ეკლესიის ხელისუფალთ. 121-ე მუხლი განსაზღვრავს სხვა დასხვა ღირსებისა და პატივის ხატის მქონე ეკლესიების შეურაცხყოფისათვის დაწესებული ჯარიმის — „საუპატიოს“ ოდენობას. თუ ვინმე გაძარცვის მიზნით თავს დაესხა ისეთ ეკლესიას, „სადაცაც მაცხოვრისა ხატი ესუენოს სამცველოდ ქუეყანისა, საუპატიო ოცდაათი გლეხი მართებს; თორმეტი — ყოვლად წმიდისა, თორმეტი — მთავარანგელოზთა, თორმეტი — სხუათა წმიდათა“. ამოიგად, იმ ეკლესიის მიმართ უპატიურად და შეურაცხყოფით სცევისათვის, სადაც მაცხოვრის ხატი ესვენა, დამნაშავეს ეკლესიისათვის ოცდაათი გლეხის საფასური ჯარიმა — „საუპატიო“ — უნდა გადაესადა, ხოლო იმ ეკლესიებისათვის, სადაც ყოვლად წმიდის, მთავარანგელოზთა და სხვათა წმიდათა ხატი ესვენა, „საუპატიო“ თორმეტ-თორმეტი გლეხის ღირებული საზღაურით განისაზღვრებოდა. როგორც ამ მუხლიდან ჩანს, ხატის ვინაობა განსაზღვრავს ეკლესიის პატივსა და ღირსებას. ამის მიხედვით იზრდება ან მცირდება ჯარიმის — „საუპატიოს“ — ოდენობა.

„საუპატიოს“ გაგებისათვის საინტერესოა ის სანქცია, რომელსაც ითვალისწინებს 141-ე მუხლი, რომლის მიხედვით, თუ ბოროტმოქმედი ჯოგს წაასხამენ, ე. ი. მოპარვის მიზნით გარეკავენ, ზუსტად განსაზღვრული ჯარიმა უნდა გადაიხადონ. „თუ ჯოგი წაასხან, რაზომისაცა სულისა იყოს, მამაციისა თუ დიაციისა, თავის-თავისად გაძარცვილისა საუპატიოდ დაეურვოს: მამაკაცისა — ორი ათასი, დიაციისა — სამი ათასი, და ჯოგი უკლებლად შეექცეს“. მამასადამე, ჯოგის წასხმის შემთხვევაში დამნაშავემ დაზარალებულს ჯოგი უკლებლივ უნდა დაუბრუნოს და ამავე დროს ჯოგის, როგორც საპატიო და მოსარიდებელი ობიექტის ხელყოფისათვის სპეციალური, ზუსტად განსაზღვრული ჯარიმა — „საუპატიო“ — უნდა გადაიხადოს.

„საუპატიო“, როგორც საჯარო ხელისუფლებისათვის განკუთვნილი ჯარიმა, გათვალისწინებულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშიც. თუ სასამართლოში საქმის გარჩევის დროს მომჩივანი პოპასუხეს ფიზიკურ შეურაცხყოფას მიაყენებს, დამნაშავემ დაზარალებულს კანონით გათვალისწინებული სისხლი უნდა დაეურვოს

და გარდა ამისა მოსამართლეს „საუპატიო შიართვას, რომე ურიგო უკადრებაა“ (მუხ. 267).

სამგვარად „პატიეი“, „საპატიეო“ და „საუპატიო“, როგორც ირვევეა, საჯარიმო სასჯელებს წარმოადგენენ, რომლებიც დამნაშავენი უნდა გადაიხადოს საპატიო და მოსარიდებელი ადგილის ხელყრფისა და პატივის შელახვისათვის. წმრივად, ქართული სამართლისათვის, მისი განვითარების აღრინდელ პერიოდში, გარდა კერძო საზღაურისა ცნობილი იყო სასჯელის საჯარო ელემენტი, განსაკუთრებული ჯარიმების, „პატივისა“ და „საუპატიოს“ სახით. ზოგჯერ კანონი ზუსტად განსაზღვრავს ჯარიმის ოდენობას, რომელიც ხელისუფლების წარმომადგენელს ეკუთვნის, ზოგჯერ კი მიუთითებს. რომ ჯარიმის ოდენობა უნდა განისაზღვროს დანაშაულის ადგილისა და ობიექტის მიხედვით („ვითარცა ადგილი იყოს“).

ზემოაღნიშნულიდან სრულიად ნათელი ხდება, რომ ძველი ქართული სამართლის ძეგლები — ბაგრატ კურაპალატისა და ბექა-ალბულას კანონები — იცნობენ კომპოზიციების ანუ სისხლის დაურევების საჯარო პრინციპს სისხლის სამართლის ჯარიმის სახით, რომელსაც „პატიეი“ და „საუპატიო“ ეწოდებოდა.

სიტყვების „პატიეის“, „საპატიეოსა“ და „საუპატიოს“ მნიშვნელობის დადგენას ისტორიისათვის საინტერესოა გავეცნოთ დ. ბაქრაძის რედაქციით გამოცემულ ბექა-ალბულას სამართლის რუსული თარგმანის სათანადო მუხლებს:

პირველი მუხლის სანქციიდან „პატრონისა და მაწყუერლის პატიეი გარდაიწადოს და დაუურვოს“, სიტყვა „პატიეი“ რუსულად თარგმნილია როგორც „взыскание за оскорбление“. 17-ე მუხლის „საპატიო საურვებელი“ ნათარგმნია взыскание за кровь-ად. 25-ე მუხლის „პატიეი დააურვებინონ“ რუსულ თარგმანში გამოტოვებულია. 33-ე მუხლიდან „პატრონთა საპატიეო აღარა მართებს“ რუსულ თარგმანში არ არის. 40-ე მუხლის „პატრონმან პატიეითა გარდააქვევინოს“ ნათარგმნია: быть наказан осино неа суда, რაც სრულიად გაუგებარია. 47-ე მუხლის „დაუურვოს საპატიეო“ გადაღებულია: заплатить за безчестие. აღბუღას სამართლის წინასიტყვაობაში აღნიშნული „საპატიეოსა განაჩენნი“ რუსულად თარგმნილია როგორც постановления о ворах и хищниках. ამავე შესავალში აღნიშნული სიტყვა „პატიეი“ რუსულად თარგმნილია „взыскание“-დ, 66-ე მუხლის ფრაზა „მეკობრე გაპატიეოთ“ რუსულ თარგმანში გამოტოვებულია. 116-ე მუხლის „პატიე-

მან და სისხლმან ჰპატა“, რუსულ თარგმანში არ არის. 136-ე მუხლიდან „დაუურვოს საპატიეო“ რუსულ თარგმანში გამოტოვებულია. 167-ე მუხლის „საპატიეოსა ადგილსა“ რუსულად თარგმნილია в каком месте. 168-ე მუხლის „დასაურვენელი პატიეი“ რუსულ თარგმანში გამოტოვებულია. 169-ე მუხლიდან „სისხლი და პატიეი გარდაიჯადოს“ რუსულად თარგმნილია позинен сделать удовольствие за кровь. 170-ე მუხლის „საყურისა პატიეად ოცდათორმეტი ათასისა თეთრისა დაუურვოს“ რუსულად თარგმნილია на удовлетворение церкви повинен заплатить 32.000 серебряников. როგორც ვხედავთ, „პატიეისა“ და „საპატიეოს“ აზრი და მნიშვნელობა რუსულ თარგმანში ან სრულიად დამახინჯებულია, ან გამოტოვებულია იმის გამო, რომ არ ესმოდათ მათი შინაარსი.

რაც შეეხება სიტყვა „საუპატიოს“, მისი მნიშვნელობა რუსულად თარგმნილია შენდევნაირად: 115-ე მუხლას „სუთი ათასი თეთრი დაუურვონ საუპატიოდ“ რუსულად თარგმნილია — следует заплатить 5000 серебряников в наказание. 121-ე მუხლიდან „საუპატიო მართებს“ რუსულად თარგმნილია — за нечестье. 141-ე მუხლის „საუპატიოდ დაუურვოს“ რუსულად თარგმნილია — следует заплатить штраф.

ამრიგად, სიტყვა „საუპატიო“ რუსულად თარგმნილია საბინიშვნელობით: наказание, безчестие და штраф. ცხადია, რუსული თარგმანის ასეთი შეუსაბამობა სიტყვა „საუპატიოს“ აზრისა და მნიშვნელობის არასწორად გაგების შედეგია. „საუპატიო“ საპატიო და მოსარიდებელი ადგილის ხელყოფისათვის დაწესებული სისხლის სამართლის ჯარიმა და მხოლოდ ას მნიშვნელობით იხმარება ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნში.

საჯარო ხასიათის თავისებურ ქონებრივ სასჯელს იცნობს გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაც“. სამართლის წიგნის მეორე მუხლის მიხედვით, თუ თემის, სოფლის ან ხევის მცხოვრებნი თავიანთ გამგებელს მოკლავენ, ექვსი ათასი თეთრი უნდა გადაიხადონ „სისხლითა ფასით“ და გარდა ამისა მკვლელობაში მონაწილე თვითეულ ოჯახს, „ვითა ძუელთაგან გაჩენილი არის, თუითო ცხენი ბეგარად დაედვას წელიწადსა შიგან გამოსაყუანელად სასეფეოდ და საუკუნოდ“. ასეთივე დებულებას ითვალისწინებს მე-8 მუხლიც: „თუ ქვეყანამ მოკლას კვიის ბერი, გამგებელის სიკუდილის სწორი პატიევი, ბეგარი და სისხლი დაუურვოს და დაედვას ბეგარა საუკუნოდ“. ზემოაღნიშნულ მუხლებში ხელისუფლების წარ-

მომადგენლების (გამგებელის, ხევის ბერის) მკვლელობაზეა. ლაპარაკი. მკვლელობაში მონაწილე თემის, სოფლის ან ხევის მცხოვრებლებმა დაზარალებულის ოჯახს სისხლი უნდა დაუშურონ, ხოლო საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ ყოველწლიურად და სამუდამოდ ბეგარა იხადონ, „ვი თა ძუელთა გან გაჩენილი არს“. ბეგარა საჯარო ხასიათის განსაკუთრებული ქონებრივი სასჯელია, გადასახადია. რომელიც სოფელმა უნდა გაიღოს მმართველობის სასარგებლოდ. საჯარო ხასიათის სასჯელს ითვალისწინებს აგრეთვე მექე-19 მუხლიც, სადაც ნათქვამია: სალაშქრო სამსახურში „რომელიცა ქუეყანა და თემი აწვივნეს ბრძანებითა ერისთავმან და განმგებელმან, და ჟამიერად არ განოვიდენ, ქუეყანამან თუ სოფელმან და ანუ ერთმან კაცმან, და რაზომცაჲ კაცმან დააკლოს ლაშქრობა, ერთს წელიწადს არ შეენდოს და მამული დაეჭიროს სასეფეოდ და თუითო ხარი წაგვაროს სასეფეოდ“. მაშასადამე, სალაშქრო სამსახურში არა თავის დროზე გამოსვლისათვის გათვალისწინებულია სპეციალური სასჯელი—მამულის დაჭირვა და თითო ხარი ბეგარის სახით ხელისუფლების სასარგებლოდ.

**სამსახურის შექცევა.** ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის 139-ე მუხლი ითვალისწინებს განსაკუთრებული ხასიათის სასჯელს, რომელსაც „სამსახურის შექცევა“ ეწოდება. „თუ კაცი კაცსა ცოლსა მისცემს და გუირგუინსა არა შესკუნის, თორმეტი ათასი თეთრი დაუშუროს და სამსახურიცა შეექცესო“, ე. ი. თუ ვინმე ცოლს შეირთავს ჯვარდაუწერლად ანუ გვირგვინის კურთხევის გარეშე („გვირგვინ შეუსკენელად“), დამნაშავემ სისხლის სახით თორმეტი ათასი თეთრი უნდა გადაიხადოს და გარდა ამისა „სამსახურიცა შეექცეს“. რას ნიშნავს „სამსახურის შექცევა“? ბეჭა აღბუღლას კანონების რუსული გამოცემის 140-ე მუხლში ეს ფრაზა თარგმნილია ასე: „за похищение вѣрныя оцини“, ე. ი. რა ხნის განწევლობაშიც უცხოვრია, იმისი ცალკე გადაიხადოსო. ცხადია, სასჯელის ამ უცნაური თვალსაზრისით განსაზღვრა უაზრობაა. საქმე ისაა, რომ მთარგმნელს არ ესმის სიტყვა „სამსახურის“ მნიშვნელობა. „სამსახური“ განსაკუთრებული გადასახადი ანუ ჯარი-პაა, რომელიც დამნაშავემ უნდა გაიღოს საეკლესიო ხელისუფლების სასარგებლოდ.

ქორწინება საეკლესიო სამართლის სფეროს. ეკუთვნის, მის კომპეტენციას შეადგენს და კანონიკური სამართლის ნორმებით წესრიგდება. საეკლესიო სამართალი დევნიდა უკანონო, არასაეკლესიო—„გვირგვინ შეუსკენელ“ ქორწინებას და ასეთ ქმედობას ყოველთვის მძიმე დანაშაულად თვლიდა. უფრო გვიანაც „კათა-

ლიკოზთა სამართალი“, რომელიც XVI საუკუნის შუა წლებშია შედგენილი, უკანონო ქორწინებას „უხუედრობას“ უწოდებს და მას კაცის მკვლელობის ან სყიდვისა და ეკლესიის მკრეხელობის, როგორც მიძიმე დანაშაულობების გვერდით იხსენიებს.

სამთავნელის სარგოს გარიგების 1459 წლის წიგნშიც აღნიშნულია, რომ „უკეთუ ჯუარდაუწერელად კაცმა კოლი დააორსულოს, სამი ძროხა მიართვას“ სამთავნელს ჯარიმის სახით. წილკნელის სარგოს გარიგების 1669 წლის წიგნში პითითებულია, რომ ვინც არაკანონიერი ქორწინებით ცხოვრობდა ქალთან, იხდიდა ჯარიმას ორი ხარისა და ორი ცხვრის ოდენობით, („ჯუარდაუწერიელი კოლთან დაწვეს, საკანონო ცხვარი ორი და ხარი ორი აძესო“).

ბაგრატ კურაპალატის სამართლის 139-ე მუხლის „სამსახურის შექცევა“ უკანონო ქორწინებისათვის გათვალისწინებული ჯარიმაა, რომელიც დამნაშავეს უნდა გადაეხადა ეკლესიის ხელისუფალთა სასარგებლოდ. „სამსახურის შექცევა“ საჯარო ხასიათის ქონებოვიე სასჯელია ბაგრატ კურაპალატის სამართალში.)

[საპირო. ბაგრატ კურაპალატის სამართლის მუხლებში აღნიშნულია ერთი განსაკუთრებული სახის სასჯელი, ომელსაც „საპირო“ ეწოდება. ჯარიმის ეს სახე კანონში გვხვდება სამ აღკლას (მუხ. 112, 159, 160). 112-ე მუხალში ლაპაოკია სახიარო ეკლესიის გაძარცვაზე და აღნიშნულია, რომ დამნაშავემ ეკლესიის პატრონს სისხლი უნდა დაუთრგოს იმის მიხედვით, თუ ვის რა წილი უდევს ეკლესიის ქონებაში და გარდა ამისა „ვისითაცა მიზეზითა დამართებოდეს, საპირო მან დაუთრგოსო“. „საპირო“ კალკე სასჯელად არის მოხსენებული, რომელიც სისხლს გარდა უნდა გადაიხადოს დამნაშავემ ეკლესიის ხელისუფალთა სასაოგელოდ. „საპიროს“, როგორც ვადასახადის ოდენობა განისაზღვრება დახარალებულის სოციალური და უფლებრივი ინდომარეობით. „დიდისა დიდი გააჩინეთ, და კოტასა კოტაო“. დიდებულთა, ახნაურთა და გლეხის „საპირო“ განისაზღვრება ოცდაათი, ჩვიდნეტი. თორმეტი და შვიდი ათასი თეარის ოდენობით — „როგორცა ვის მართებს, აგრე გააჩინეთ“. „საპიროს“ ზემოაღნიშნული ოდენობა გვიჩვენებს, რომ იგი მიძიმე ქონებრივ სასჯელს წარმოადგენდა, რომელიც დამნაშავეს სისხლს გარდა უნდა გადაეხადა. „საპირო“ ჯარიმაა, რომელიც არ შედის სისხლის დაუოყვების ფასში. „საპიროს“ ოდენობა განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რა ხასიათის დანაშაულია ჩადენილი და ვის წინააღმდეგ. თუ ისეთი დანაშაუ-

ლია ჩადენილი, რისთვისაც დამნაშავემ სრული სისხლი უნდა გადაიხადოს, „საპიროს“ ოდენობა ოცი ათასით განისაზღვრება, თუ ნახევარი სისხლი — „საპირო“ ათი ათასით განისაზღვრება, ხოლო თვითნებური დაპატიმრებისათვის — „ჯელთა შეპყრობისა“ — საპირო სუთი-ათასს უფრის. ყველა ზემოაღნიშნულ შეტხვევაში „გასინჯვად უნდა, რადეც ვის რა სასისხლო სქირდეს“, ე. ი. გამოკვეთა უნდა, ვის წინააღმდეგ (დიდებულის, აზნაურის, გლეხის) რა ბოროტმოქმედება არის ჩადენილი და რამდენი სისხლი მართებს.

ნ. ურბნელს აღნიშნული აქვს, რომ ხევსურეთში XIX საუკუნეშიც არსებობდა ადათი, რომლის მიხედვით მკვლელობის შემთხვევაში სანამ მოპირდაპირე მხარეები დაზავდებოდნენ და სისხლის დაურევბა დამთავრდებოდა, დანაშავეს ან მის ნათესაობას მოკლულის სულის შესანდობლად ცხვარი უნდა დაეკლა. შეიძლება „საპირო“ მართლაც გამოხატავდეს ამ ძველი ჩვეულების ანარეკლს, მაგრამ ბაგრატ კურაპალატის სამართალში მას გაცილებით უფრო მძიმე სასჯელის ხასიათი აქვს. ამასთან, „საპირო“, როგორც ჯარიმა, დაწესებულია არა მარტო მკვლელობისათვის, არამედ სხვა უფრო მსუბუქი დანაშაულისათვისაც. ამიტომ მოკლულის სულის შენდობა ინსტერპლის შეწირვის სახით არ გამოხატავს „საპიროს“, როგორც სასჯელის თავისებურებასა და ნიშნებს.

ი. კარსტი იმოწმებს ნ. ურბნელის განმარტებას და აღნიშნავს, რომ „საპირო“ დანაშაულის მოსანანიებელი ჯარიმაა, საზღაურისაგან დამოუკიდებელი; მისი პირვანდელი მიზანია შელახული ღირსების აღდგენა, მსხვერპლას სულის შერიგება. ფეოდალურ სამართალში „საპირომ“ მიიღო წმინდა საერო-სამოქალაქო ხასიათი, იგი გახდა სისხლის დაურევების წესის შემადგენელი ელემენტი; „საპიროს“ დანიშნულებაა შეწყვეტილი ურთიერთობის განახლება ორ მოწინააღმდეგეს შორის, უფრისმაძიებლისა და დამნაშავეს ოჯახებს შორის<sup>1</sup>. საფიქრებელია, რომ „საპირო“ თავდაპირველად მსხვერპლის სულის შერიგების რელიგიური რწმენის საფუძველზე წარმოიშვა, მაგრამ ბაგრატ კურაპალატის სამართლის მიხედვით მას უფრო ფართო და საჯარო ხასიათის სასჯელის შინაარსი აქვს.

ბექა-აღბუღას კანონების რუსული თარგმანის 113-ე მუხლში სიტყვა „საპირო“ სრულიად გამოტოვებულია, ხოლო 160-ესა და 161-ე მუხლებში საპირო თარგმნილია „личная оштра“—ად, რაც სრულიად ეწინააღმდეგება ქართული ტექსტის აზრს. ორიგინალში ლა-

<sup>1</sup> Karst. Code d'Aghbougha, ტ. II<sup>2</sup> გვ. 146 — 148.



პარაკია არა პირად წყენაზე, ანუ დანაშაულზე, არამედ განსაკუთრებულ სასჯელზე—ჯარიმაზე. ეს შეუსაბამობა შეუნიშნავს რუსულს გამოცემის რედაქტორს დ. ბაქრაძეს, მაგრამ არც თვითონ იძლევა ამ სიტყვის მნიშვნელობის რუსულ თარგმანს.

ამრიგად, საესვებით დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს ის დებულება, რომ ძველ ქართულ სამართალში არსებობდა წესი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული ხასიათის დანაშაულის ჩადენასათვის დამნაშავეს ქონებრივი საზღაური უნდა გადაეხადა, არა მარტო დაზარალებულისა და მისი ნათესავებისათვის, არამედ საჯარო ხელისუფლების სასარგებლოდ.<sup>1</sup> ნაშასადამე, ქართული ფეოდალური სამართალი ძველი დროიდან იცნობდა სისხლის სამართლის ჯარიმას, როგორც კომპოზიციის საჯარო ელემენტს. ეს გარეგნობა მოწმობს ქართული სისხლის სამართლისა და იურიდიული აზროვნების საკმაო განვითარებას და არა მის „რუდიმენტულ მდგომარეობას“, როგორც ამას ზერელედ და დაუსაბუთებლად აცხადებს კარსტი. ამნაირად კარსტის აზრი იმის შესახებ, რომ ქართული სამართლისათვის უცნობი იყო სისხლის სამართლის ჯარიმა, თითქოს „არც გიორგის კოდექსი, არც ბეჟა-ალბულას კანონები არ შეიცავენ არავითარ კვალს ან ნითიფებას ასეთ სასჯელზე“, სრულიად უსაფუძვლოა. ასევე მცდარია გერმანელი ნეკლეფჩის ჰოლდაკის აზრი, რომელიც ამტკიცებს, რომ ქართულ სამართალში თითქოს განუყოფლად ბატონობდა დაზარალებული პირის ქონებრივი ინტერესი და უცნობი იყო საჯარო ხასიათის ჯარიმა.

**სანახშირო.** სიტყვა „სანახშირო“. რომელსაც ბეჟა-ალბულას კანონთა ბოლოში დართული კანონიკური სამართლის 162-ე მუხლში ვხვდებით, აკად. ნ. მარის გამოკვლევით „ნახშირიდან“ წარმოდგება, რაც თავდაპირველად ქრილობას და სისხლს ნიშნავდა, ხოლო შემდეგ ზარალსა და საზღაურსაც. „ნახშირი“, ისე როგორც „გერში“, თავის წარმოშობასა და ახსნას პოულობს მონადირეობის ტერმინოლოგიაში. სიტყვა „ნახშირი“ ნ. მარის აზრით დაკავშირებულია სიტყვებთან „ნადირი“, „ნადირობა“, „მონადირე“. სიტყვა „ნახშირ“ სომხურად ნიშნავს ნადირობისას ცხოველთა და ომნი ადამიანთა ხოცვა-ღლეტას, („ზიანს“, „ზარალს“, „დარტყმას“). იგივე სიტყვა სომხურში ნიშნავდა „ნადირობას“, ან „ნანადირევს“<sup>1</sup>. ამრიგად, „სანახშირო“ თავდაპირველად ქრილობასა და სისხლს, ხოლო შემდეგ ზარალსა და საზღაურს ნიშნავდა.

<sup>1</sup> Зап. Вост. отд. имп. русск. археол. общества, XVIII, вып. IV, 1908 г., стр. 170.

კანონიკური სამართლის 162-ე მუხლის მიხედვით „სანახშირო-სწორედ საზღაურს ნიშნავს, ე. ი. სასჯელის ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს.

საბას განმარტებით „სანახშირუ ესე არს რა მესისხლენი დაზავდნენ. პირველად სანდო რამე მისჯენ სისხლის გარდაჯდამდე“. „სანახშირო“ წარმოადგენდა ქონებრივ საზღაურს, რომელიც სისხლის დაურევბამდე უნდა მიეცა დამნაშავეს დაზარალებულისათვის. იგი „სახ-დო რამე“, ანუ საწინდარია, რომლითაც დამნაშავე კისრობობს ვალდებულებას, რომ მის მიერ ანახზაღურებული იქნება ჩადენილი დანაშაულისათვის კანონით გათვალისწინებული სისხლი,

ძველი საგლებიდან ჩანს, რომ საქართველოში არსებობდა ჩვეულება, რომლის მიხედვით სიგლის ბოძების დროს სანახშიროსაც აღნიშნავდნენ თვით სიგელში. „სანახშირო“ ეს მოქიშპე მხარეთა დაზავების საწინდარი იყო. დაზარალებული, ან მისი ნათესავეები საზღაურის სახით ღებულობდნენ როგორც თულს, ისე, აგრეთვე, სხვადასხვა ავეჯსა და საქონელს (ხმალს, ცხენსა და სხვას). სიგლე ზიდან ჩანს, რომ „სანახშიროს- დიდებულები იღებდნენ მძიმე დანაშაულის გამო. ნეფე ნაპოძებ სიგელში აღნიშნავდა, ესა და ეს მოგეცი სანახშიროდო.

ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე ბეჭა-აღბუღას კანონების რუსული გამოცემის 163-ე მუხლის შენიშვნაში მიუთითებს, რომ სიტყვა „სანახშირო“ ქართულ კანონებში არსად არ გვხვდება გარდა აღბუღას კანონებისა და ისიც ერთხელ, მაგრამ ჩვენ მას ხშირად გვხვდებით უძველეს აქტებშიც და იქვე მოჰყავს აკად. ბროსეს მიერ მოცემული ამ სიტყვის ახსნა, რომელიც დაფუძნებულია საბას განმარტებაზე<sup>1</sup>.

ბეჭა-აღბუღას კანონების რუსულ თარგმანში სიტყვა „სანახშირო“ თარგმნილია „штраф“-ად. მაგრამ ეს სიტყვა ზუსტად ვერ გადმოსცემს „სანახშიროს“ შინაარსს. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სიტყვა უარყოფითი ფორმით გვხვდება აგრეთვე ბაგრაძე კურაპალატის სამართლის 123-ე მუხლშიც. სადაც ლაპარაკია ისეთ შემთხვევაზე, როცა ბოროტმოქმედი პირადად ხელდახელ გამოითრეეს და გაძარცვავს დაზარალებულს. ასეთ შემთხვევაში დამნაშავეს დაზარალებულს „სისხლის ნახევარი უზღოს და აღაფიცა შე-აქციოს უნახშიროდ“, ე. ი. ნაძარცვი ქონება უნდა დაუბრუნოს, ხოლო „სანახშირო“ არ გადახდებოდო. რუსული თარგმანის 125-ე მუხლში „ალაფიცა შეაქციოს უნახშიროდ“ გადათარგმნილია

<sup>1</sup> Сборник зак. груз. царя Вахтанга VI, 1887, гл. 127.

„с возвращением пограбленного без изъятия. ამრიგად, სიტყვა „უნახშიროდ“ რუსულ თარგმანში გაგებულია როგორც „нахвастия“, რაც სწორი არ უნდა იყოს. „უნახშიროდ“ იმას ნიშნავს, რომ „სანახშირო“, როგორც განსაკუთრებული ქონებრივი საზღაური, დამნაშავეს არ უნდა გადახდეს.

დამნახსიათებელია, რომ „სანახშირო“ შეეფარდება დამნაშავეს მხოლოდ მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში. 162-ე წლები, სადაც ლაპარაკია სანახშიროს შესახებ, მიუთითებს ისეთ მძიმე დანაშაულზე, როგორცაა აშკარად ან ფარულად ძმისათვის, თვალის დაწვა, ან რაიმე ასოს მოკვეთა. ასეთ შემთხვევაში დამნაშავემ დაზარალებულს „სისხლი სრული და სანახშირო დაუურვოსო“. ამ ფორმულიდან ჩანს, რომ „სანახშირო“, როგორც ქონებრივი სასჯელი, ან შედიოდა სისხლის ოდენობაში, იგი ცალკეა აღნიშნული და დამოუკიდებელ ქონებრივ სასჯელს წარმოადგენს. დამნაშავემ დაზარალებულს სისხლიცა და სანახშიროც უნდა დაუურვოს. ამიტომ მცდარად უნდა ჩაითვალოს ნ. უოზნელის აზრი იმის შესახებ, თითქოს სანახშირო „სისხლის დაურვებამდე დამნაშავეს უნდა გადაეხადა და მერე სისხლში მისთვლოდა... აი ამოდენს წინააღმდეგ იმის ნიშნად, რომ მერე მთელს სისხლს დაგიურვებო...“<sup>1</sup>. 162-ე მუხლი არ იძლევა ასეთი განმარტების საფუძველს და გარკვევით მიუთითებს იმაზე, რომ „სანახშირო“ არის ცალკე გადასახადი, რომელსაც დამნაშავე უხდის დაზარალებულს სრული სისხლის დაურვებასთან ერთად.

„სანახშირო“ მოქიშპე მხარეთა შერიგების აქტი იყო. რანდენადაც მოპირდაპირე მხარეთა ასეთი დახვევა მძიმე დანაშაულის დროს ხდებოდა და შურისძიებისა და სისხლის აღების მოსპობას მოასწავებდა, ცხადია. რომ „სანახშიროს“ წარმოშობა ძველი გვიროვნული ადათის გაქრობისა და კომპოზიციების, ანუ დურვების სისტემის შემოღებასთან არის დაკავშირებული.

გერში. | აკად. ნ. მარის გამოკვლევით სიტყვა „გერში“ წარმოშობილია იმ დროიდან, როცა ქართველები მონადირეობას მისდევდნენ. თავდაპირველად „გერში“ ნადირის კრილობასა და სისხლს ერქვა. მონადირეთა ყოფა-ცხოვრების გამომხატველი ტერმინია აგრეთვე „დაგერშვა“, რაც ნიშნავს ძაღლისა და ფრინველის სანადიროდ გაწვრთნას<sup>2</sup>. ბაგრატი კურაპალატის, ბექა-აღბუღას სამართალსა და გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაში“ სიტყვა „გერში“ როგორც კრილობას, ისე კრილობის საზღაურს ნიშნავს,

<sup>1</sup> ნ. უოზნელი, ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, გვ. 259—260.

<sup>2</sup> Зап. Вост. отд. имп. русск. арх. общества. XVIII, выпуск IV, 1908, стр. 168.

დანაშაულისა (კრილობის, დაკოდვის) და სასჯელის მნიშვნელობას გამოხატავს. | სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „გერში — ნაკოდთა მცირე სისხლია“. მასასადამე, / გერში სასჯელია, „სისხლია“, რომელიც დამნაშავემ უნდა აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული კრილობისათვის. / გერში კრილობის საზღაურია, კრილობისათვის გაჩენილი სისხლია. | ბექას სამართალში აღნიშნულია, რომ დამნაშავემ დაზარალებულს მიყენებული ფიზიკური ზიანისათვის „გერში დაუურვოს“, „უზლოს სისხლი და გერშიცა“, „გერში მართებს“ და სხვ. აქედან ჩანს, რომ გერში საზღაურია, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაუხადოს დაზარალებულს მიყენებული კრილობისათვის. / გერში ცალკე გადასახადია, იგი არ შედის სისხლის საზღაურში, რასაც ადასტურებს სანქცია — „უზლოს სისხლი და გერში“, ე. ი. / დამნაშავემ სისხლი ცალკე და გერში ცალკე უნდა აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული ზიანის მიხედვით. გერში მხოლოდ კრილობის საზღაურს ეწოდება. |

გერშის ოდენობა სისხლის ოდენობაზეა დამოკიდებული. გერში გამოიანგარიშება სისხლის ოდენობის მიხედვით. / რამდენადაც მეტია სისხლის ოდენობა, იმდენად მეტია გერშის საზღაური. / სისხლის ოდენობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაზარალებულის გვარის, მამულისა და საბატრო იელის, დანაშაულის ჩადენის ადგილისა და სიმძიმის მიხედვით განისაზღვრებოდა. ვინ არის დაზარალებული, სად და რა პირობებშია ჩადენილი დანაშაული, და როგორია დანაშაულის სიმძიმე — აი სამი ძირითადი მომენტი, რის მიხედვითაც განისაზღვრება სისხლის ანუ საზღაურის ოდენობა. რაკი ამ სამი ნიშნის მიხედვით ყველა წოდების წარმომადგენელს საკუთარი სისხლი ჰქონდა გაჩენილი, ხოლო / გერში სისხლის ოდენობაზეა დამოკიდებული, კანონმდებელი აღარ თვლის საკიროდ ცალკეულ შემთხვევებში გერშის ოდენობის განსაზღვრისას მიუთითოს დაზარალებული პირის წოდებრივ მდგომარეობაზე. / დასაბურვებელი სისხლის ოდენობა თავისთავად განიხატავს დაზარალებულის ქონებრივ და უფლებრივ მდგომარეობას. ამიტომ კანონმდებელი ავალდებულებს დამნაშავეს მიყენებული კრილობის სიმძიმის მიხედვით გადაუხადოს დაზარალებულს გერში. გერშის ოდენობა შეიძლება იყოს დაზარალებული პირის სრული სისხლის ნახევარი, მესამედი, მეოთხედი ან მეხუთედი ნაწილი. |

ხელის ან ფეხის მოკვეთისა თუ დაშავებისათვის დამნაშავემ დაზარალებულს უნდა „სისხლის მესამედი დაუურვოს“, ხოლო ერთი თვალის წამოგდებიანებისათვის „სისხლის მეოთხედი დაუურვოს“. სხეულის თვითელ ორგანოს თავის გერში აქვს გაჩე-

ნილი და არა მარტო სხეულის ორგანოს, არამედ მის ნაწილებსაც. ხელის თითის დაშავებისათვის დამნაშავემ დაზარალებულს -ჯელის გერშის მეხუთედი დაუურვოს“. ხელის გერში მთლიანად ხუთივე თითისათვისაა დაწესებული, ამიტომ ერთი თითის საზღაური გერშის მეხუთედს შეადგენს. რამდენი თითია დაშავებული, ან მოკვეთილი, იმის მიხედვით გერშის ოდენობაც პროპორციულად იზრდება, — „თუ ორნი მოეკუთვნეს თუ რაზომნიცა, ამავე წესითა დაუურვონ“. გერშის ოდენობა, როგორც ქრილობის საზღაურისა, გარდა ზემოაღნიშნული მომენტებისა იმითაც განისაზღვრება, თუ რა საშუალებებითაა ჩადენილი დანაშაული. ვერშის სისხლი მეტია, თუ ბოროტმოქმედება ჩადენილია დაძინძიშებელ პირობებში. ასეთ დამამძიმებელ გარემოებებად სამართალი თვლის ისეთ შემთხვევას, როცა ქრილობა მიყენებულია ზალვით, წაპარვით ან თავდასხმის დროს. ამის შესაბამისად გერშის ოდენობაც მატულობს.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი აწესებს: თუ თვალის, ხელ-ფეხის, ან პირისახის დაზიანება წაპარვით მოხდა, დამნაშავემ დაზარალებულს გერშის სახით სისხლის ნახევარი უნდა გადაუხადოს. „წაპარვითა თვალისა ცურა, კელ-ფერჯისა დაგეშა, პირისა დალი. — ესე სამი სისხლისა ნახევარი არს“ (მუხ. 124). მაგრამ, თუ სახეზე ქრილობა წაპარვით არ მიუყენებია, მაშინ გერშის ოდენობაც მნიშვნელოვნად კლებულობს. გერშის ოდენობა იმის მიხედვითაც გამოიანგარიშება, თუ რა ადგილზეა მიყენებული ქრილობა და რამდენად ღრმად ამჩნევია მისი კვალი. ქრილობის უჩინარი ან თვალსაჩინო ადგილის მიხედვით იზრდება ან კლებულობს გერში. ბექას სამართლის მე-5 მუხლი ადგენს: „თუ პირსა ნაკრავი იყოს და ესრე აჩნდეს, ათას ხუთასი თეთრი დაუურვოსო“. სხვა შემთხვევაში სამართალი არ განსაზღვრავს გერშის ოდენობას. ბაგრატ კურაპალატის სამართლის მიხედვით წინა კბილის ჩაგდებინებისათვის დამნაშავე ვალდებულია დაზარალებულს გერშის სახით „ნახევარი სისხლი დაუურვოს“, ხოლო უკანა კბილის ჩაგდებინებისათვის — სისხლის მეხუთედი დაუურვოს“ (მუხ. 142, 143). ბექას სამართალი კი კბილის ჩაგდებისათვის ერთი თითის გერშს აწესებს. ამასთან, კანონი არ ასხვავებს წინა და უკანა კბილის მნიშვნელობას: „ამად რომე წინა სახიჩარია და უკანა კამას დააკლებს“ (მუხ. 8). გერშის ოდენობის განსაზღვრისას ასეთი შეუსაბამობა იმითაიხსნება, რომ 142-ე და 143-ე მუხლი არ მიეკუთვნება ბექა-ალბულას სამართალს, რომელიც სულ 98 მუხლისაგან შედგება.

ამიტომ უსაფუძვლოა ნ. ურბნელის განმარტება იმის შესახებ, თითქოს მე-8 მუხლი იოვალისწინებს გლეხის კბილის ჩადგებიწებას, ხოლო 142 ე და 143-ე მუხლები—დიდებულისა და აზნაურისას, რომლებიც უფრო აფასებენ შნოსა და სილამაზეს, ვიდრე გლეხიო<sup>1</sup>. როგორც აღნიშნეთ, გერშის განსაზღვრისას კანონმდებელი არ მიუთითებს წოდებრივ განსხვავებაზე, რადგან გერშის ოდენობა სისხლზეა დამოკიდებული, ხოლო სისხლი დადგენილია წოდებრივი და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით. მაშასადამე, რა ოდენობის გერში ერგება დაზარალებულს, თავისთავად იგულისხმება.

ბაგრატ კურაპალატის სამართლის 144-ე მუხლით გაორკეცებული გერშია დაწესებული წვერის მოკვეთის ან მოკლეჯისათვის, — დამნაშავემ დაზარალებულს „ორი გერში ზღოსო.“ აქ გერშის ოდენობის განსაზღვრისას კანონმდებელს მხედველობაში აქვს არა მართო კრილობის სიმძიმე და თვალსაჩინობა, არამედ დაზარალებულის პატივისა და ღირსების შელახვაც და ადათ-ჩვეულებით განბტკიცებული აზოი იმის შესახებ, რომ წვერ-ულვაში ადამიანის ღირსების, მისი სინდის-ნამუსის გამომხატველი ნიშანია.

ქვემოთ აღნიშნული იყო, რომ გერშის ოდენობა იზრდება, თუ დანაშაული ჩადენილია თავდასხმის დროს. „ზედა-დასხმა“ დანაშაულის დამაპძიმებელი გარემოებაა. ბექას სამართლის მიხედვით. თუ თავდასხმის შედეგად მკვლელობა მოხდა, დამნაშავემ დაზარალებულს ორკეც სისხლთან ერთად გერშიც ორკეცი უნდა დაუურვოს („ორკეცი სისხლი დაუურვოს და გერშიცა ანავე წესით იყოს“; მუხ. 12). ამრიგად, „გერში“ კრილობის საზღაურად დაწესებული ქონებრივი სასჯელია, რომელიც დამნაშავემ უნდა გადაუხადოს დაზარალებულს ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. გერში სხეულის რომელიმე ორგანოს მოკვეთის, ან მთლიანად დაზიანებისა — „ერთობ დაშავებისა“ — და დაკოდვის, ანუ მცირე კრილობის ასანაზღაურებელი სისხლია.

მაგრამ ამასთან ერთად „გერში“ თვით კრილობასაც ნიშნავს. გერშის ასეთი ორგვარი მნიშვნელობა მისი წარმოშობით აიხსნება. თავდაპირველად „გერში“ ნადირის კრილობასა და სისხლს ერქვა. ბექას სამართლის მთელ რივ მუხლებში გერში კრილობის მნიშვნელობითაც გვხვდება. დამნაშავემ დაზარალებულს იმის მიხედვით უნდა აუნაზღაუროს კრილობა, როგორიც აჩნია („გერში როგორიცა აჩნდეს“; „თუ რა გერში აჩნდეს“; „დაკოდითა

<sup>1</sup> ნ. ურბნელი, ათაბაგნი ბექა და აღბულა და მათი სამართალი, გვ. 344.

„აგერ შო აჩნდეს“ და სხვ.). ზმნა „დაგეშა“ სწორედ ხელ-ფეხზე კრილობის მიყენებისა და დაშავების მნიშვნელობითაა ნახმარი ბაგ-ოატ კურაპალატის სამართლის 124-ე მუხლში.

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „გერში“ კრილობისა და მისი სა-ხლაურის მნიშვნელობითაა ნახმარი აგრეთვე გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დებაშიც“. „გერ შისა საქმე ასრე იქმნას: ვისაც პირსა ზედა გერ ში აჩნდეს, ანუ ცხვირი მოეკუთენეს... თუ გერ ში სად საჩინოდ იყოს, ასრე რომე არ დაშავდებოდეს და დააჩნდესო.“

ამრიგად, ქართული სამართლის ძეგლებში „გერში“ კრილობისა და მისი სახლაურის მნიშვნელობით იხმარება. „გერში“ ზიანიც არის და სახლაურიც, დანაშაულიცა და სასჯელიც.

ეყრდნობა რა აკად. ნ. მარის გამოკვლევას, აკად. ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ „ქართულ სამართალში „გერშიად“ ადამიანის მსუბუქი და არადამაშავებელი კრილობა და მისი სახლაური იწოდებოდაო“<sup>1</sup>. მაგრამ ეს აზრი სწორი არ არის. ქართული სამართლის ადრინდელ ძეგლებში „გერშიად“ იწოდებოდა არა მარტო მსუბუქი, არადამაშავებელი კრილობა და მისი სახლაური. არამედ მძიმე და დამაშავებელი კრილობაც. ეს ნათლად ჩანს ბექას სამართლის მე-5 მუხლიდან, სადაც ნათქვამია: „გერ შისა ასრე იქმნას, რომე ჯელი თუ ანუ ფერჯი მოეკუთეთოს, ანუ ერთობ დაეშავოს, სისხლისა მესამედი უზღონო“.

ნაპარევის ორკეცი სახლაური. ბექა-აღბუღას სამართლის ზოგიერთი მუხლი გატაცებული ქონების ორკეცად ანაზღაურებას ითვალისწინებს. ქურდობის შემთხვევაში დამნაშავემ დაზარალებულს მოპარული ქონება ორკეცად უნდა უზღოს („ნაპარევი იგი მისცეს და ერთი ეზომი სხვა“). კანონი განსაკუთრებით მკაცრად სჯის ცხენის ქურდებს—მეკობრე-მტაცებლებს. მეკობრე დასჯილი და გაძევებული უნდა იქნას, მაგრამ ამასთან ერთად მან დაზარალებულს მისი ცხენი და ერთი ეზომი სხვა მისცეს“. აქ ორკეცი ქონებრივი სახლაური საჯარიმო სასჯელია.

ქურდობის ტყუილ-უბრალოდ დაწამებაც მკაცრად ისჯება. აღბუღა ამბობს, რომ ვინც სხვას ქურდობას უსაფუძვლოდ დაწამებს და ეს დამტკიცდება, რაც დამნაშავემ დაზარალებულს დაწამა, ორკეცად უნდა უზღოს („რაცა დაეწამოს, ეგ ზომი ერთი სხვა თავისი მისცესო“). თავდასხმა და გაძარცვა მძიმე ბოროტ-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. ტ. II, ნაკვეთი მეორე, 1928 წ., გვ. 303.

მოქმედებაა. თუ ვინმე მოგზაურობაში მყოფ ვაქარს გაძარცვავს. ნაძარცვი ქონება ორმაგად უნდა აუნაზღაუროს („რაცა მის ღღის წანაღები ვაქარმან დაიფიცოს, ორად შეეცოს და მან კაცმან ვერე უზლოსო“). ნაძარცვი ქონების ორმაგ ანაზღაურებას ითვალისწინებს აგრეთვე ბაგრატ კურაპალატის სამართლის 122-ე მუხლი, რომელიც ბექა-ალბულას კანონთა ბოლოშია დართული. ამრიგად:

ბექა-ალბულას სამართალი დამნაშავეს აკისრებს ქონებრივი სასჯელის სახით ნაპარევი ან ნაძარცვი ქონების ორმაგ ანაზღაურებას.<sup>1</sup> ნ. ურბნელი, ეყრდნობა რა პროფესორ მ. კოვალევსკის აზრს, აღნიშნავს, რომ ქურდობისათვის დაწესებული სასჯელი ბექა-ალბულას სამართალზე მთლიანად რომაულ-ბიზანტიური სამართლიდან გადმოიღო, „ერთი სიტყვით, არც საათაბაგოში და არც საქართველოში პარვის საქმეს თავისებურება არ ჰქონია და იგი საქმე უცხოეთიდან გადმონერგულა ქართულ ნიადაგზე. ძნელი სათქმელია, თუ რად“<sup>2</sup>. ამის მტკიცება მართლაც ძნელი სათქმელია. როგორც ენობილია, ბიზანტიის სამართალი ქურდობისათვის აწესებდა არა მარტო ორმაგს, არამედ ხშირად ოთხკეც საზღაურსაც<sup>3</sup>. მარტო იმ ფაქტზე მითითება, რომ ბექა-ალბულას სამართალი ნაპარევისათვის ორკეც საზღაურს აწესებს, რასაც რომისა და ბიზანტიის სამართალიც იცნობდა, ვერ გამოდგება იმის მტკიცების საფუძვლად, თითქოს „სათაბაგოში პარვის განაჩენზე ღიღი გავლენა იქონია რომაელებისა და ბიზანტიელების სამართალზე: ალბულამ პარვის განაჩენი თითქმის სრულიად იმათ სჯულიდგან გადმოიღო“<sup>4</sup>. მხოლოდ ასეთი გარეგანი მსგავსებით ძნელია ამგვარი კარეგორიული მტკიცება და ქართული სისხლის სამართლის ზემოაღნიშნული სასჯელის ნაციონალური თავისებურების უარყოფა. ბექას სამართლის 62-ე მუხლის მითითება — „ნაპარევისა პირველ ასრე ვაჩენილა“ — სრულიადაც არ გულისხმობს, როგორც ეს ნ. ურბნელს ჰგონია. რომ აქ კანონმდებელს რომისა და ბიზანტიის სამართალი აქვს ბუნდველობაში. „პირველ ასრე ვაჩენილა“, ცხადია, ნიშნავს იმას, რაც ბექამდე დადგენილი ყოფილა, თორემ ახლა ცნობილია, რომ თამარ მეფემდე ქურდობისათვის სხვანაირი სასჯელი იყო დაწესებული. „ძეგლის დების“ 44-ე მუხლი ქურდობისათვის სამმაგ საზღაურს ითვალისწინებს. დამნაშავემ დაზარალებულს სისხლი

<sup>1</sup> ნ. ურბნელი. ათაბაგნი ბექა და ალბულა და მათი სამართალი, გვ. 389.

<sup>2</sup> სამართალი ბერძულია, მუხ. 19, 43, 44, 311, საქ. სახელმწიფო მუხ. ხელნაწერი S 3483.

<sup>3</sup> ნ. ურბნელი, იქვე, გვ. 366.



უნდა დაუურვოს და გარდა ამისა მისცეს „ერთი რაც წაჯდნოდეს, ორი სხუა“. მაშასადამე, გადმოლება და სესება აქ არაფერ შუაშია.

ნ. ურბნელი ამტკიცებდა აგრეთვე, რომ ვახტანგის კანონებმა გააუქმა ქურდობისათვის დაწესებული „ორკეცი სახლაური“ და მის ნაცვლად შემოიღო „შვიდეული სახლაური“, რომელიც მოსეს სჯულიდან იყო ნასესხებიო. ეს აზრიც მცდარია, რადგან ქურდობისათვის „შვიდეული სახლაური“ ცნობილი იყო ქართული სამართლისათვის თუ მანამდე არა, XIII ს. შუა წლებში მაინც<sup>1</sup>.

დამნაშავეს სასჯელს გარდა ეკისრებოდა ალაფის შექცევა, ანუ ნაძარცი ქონების დაბრუნება. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „ალაფი—საფენელი და ქურკელი ნატყვენავი: ალაფობა არს საყოლელი არ წარიტაცონ და საქონელი სრულიად ნიულონო“ (იხ. „ალაფი“ და „რბევა“). ბეჟა-აღბულას სამართალშიც ალაფს ასეთივე მნიშვნელობა აქვს და იგი ძალით გატაცებულ ყოველგვარ ქონებას ნიშნავს, ალაფი ნაძარცი, ნადავლი ქონებაა, ხოლო ალაფობა ძარცვა-მტაცებლობას ეწოდება. ბეჟა-აღბულას სამართლის მიხედვით მძარცველმა და ქურდმა სისხლის დაურევებისა და კანონით გათვალისწინებულ სასჯელს გარდა ალაფი, ანუ ნადავლი ქონება, უკლებლივ უნდა დაუბრუნოს დაზარალებულს; „რაცა ალაფი წაეღოს, აგრევე შეაქციოს“, „ალაფიცა აგრევე კელთა მისცესო“, აღნიშნულია კანონში. ნაძარცი ქონების, ანუ ალაფის, ოდენობის დადგენა ფიცით ხდებოდა. დაზარალებულს ფიცით უნდა ეჩვენებინა, რა სახისა და რა ოდენობის ქონება მოსტაცეს მძარცველებმა. დაზარალებულმა სიმართლე უნდა თქვას და ზედმეტი არ უნდა მოითხოვოს — „ფიცით გამოაჩინოს და მსგავსიერი თქვას, არა მოდებულიო“. დამნაშავემ, რაკვარი ქონებაც მოიტაცა, დაზარალებულს უნდა დაუბრუნოს („რაცა სასაქონლო, რა გინდა რა გვარი წაეღოს, გარე შეაქციოს“). მითაცებული ქონების დაბრუნება, ანუ „ალაფის შექცევა“, ყოველთვის გათვალისწინებულია თავდასხმის, მძარცველობისა და ქურდობის დროს. მართო სისხლის დაურევა საქმარისი არაა, დამნაშავემ გატაცებული ქონებაც უნდა დაუბრუნოს, ან აუნაზღაუროს დაზარალებულს („წანაღებიცა სულ და უკლებლად უზღოს“).

კანონი ითვალისწინებს არა მართო მოტაცებული ქონების, არამედ მიყენებული ზარალის ანაზღაურებასაც — „რაცა მას დღეს წაღებოდეს

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, წიგნი მეორე, გვ. 316.

ანუ წაგდენოდეს, დაიფიცონ იგი, სრულად დაუფრევინონო. ამ-  
რიგად, დაზარალებულს, რა ქონებაც მოტაცეს („წაღებოდეს“) და  
ზარალი მიაყენეს („წაგდენოდეს“), დამნაშავემ ისიც უკლებ-  
ლივ უნდა ზლოს./მაგრამ ყველაფერი ეს ფიცით უნდა დადასტუ-  
დეს. რაც უფრო მძიმეა დანაშაული და მეტი ქონებაა გატაცებუ-  
ლი. მით უფრო, მეტი მოფიცარია საჭირო; „თუ მძიმე ალათი იყოს,  
მძიმეცა ფიცი უნდაო“, ამბობს სჯულმდებელი ბექა./ორივე მზა-  
რემ ფიცით უნდა აჩვენოს და დაამტკიცოს სადაო ქონების ოდენ-  
ობა. / პატრონმა-ათაბაგმა რომ ტყუილი დასმენის საფუ-  
ძველზე დასმენილ კაცს მამული წაართევას და გააძევოს, როცა ტყუ-  
ილ-უბრალოდ გაძევებული კაცი თავს იმართლებს, იმ სასჯელს გარდა,  
რაც ცილისმწამებელს დაედება, მან კაცთა დახედვითა და შეფასებო-  
ყველა ზარალი უნდა აუნაზღაუროს დაზარალებულს საქმის ვითარ-  
ების მიხედვით („კაცთა კარგად შეუზომოს მისი საქმე და მისცეს  
სასაქონლო ძალისა მსგავსი“)./გათხოვილი ქალის მოტაცების მიზ-  
ნით თავდასხმის დროს სასჯელთან ერთად, რაც დამნაშავეს  
დაეკისრება, იგი ვალდებულია, ქალის ყოფილ ქმარს წაღებულ  
ქონება უკლებლივ დაუბრუნოს/ („რაცა მოწმითა კაცითა მის დღის  
წანაღები დაიფიცოს ცოლწაგვრილმან კაცმან, იგიცა გარევე წე-  
აქციონო“).

ქურდობის დროს თუ ბრალდებული პირი ვერ შეძლებს  
ფიცით იმართლოს თავი, რასაც დაზარალებული ფიცით უჩვენებს,  
მთლიანად უნდა უზლოს/ („თუ ვერ შეჰფიცოს, მან საქონ-  
ლის პატონმან დაიფიცოს, რაც წაგდომოდეს, უზლოს“). ასევე  
ქარავანზე თავდასხმის დროს „რასაც წაგდომილისა პატრონი იფი-  
ცავს, ყველა უზლოს“ დამნაშავემო, მიუთითებს კანონმდებელი. თუ  
დამნაშავე ქარავანზე თავდამსხმელ ავაზაკთა რაზმის მეთაური—  
„თავლაშქარი“—იყო, იმ შემთხვევაში, რასაც დაზარალებული ნაძარ-  
ცი ქონებიდან ფიცით უჩვენებს, უკლებლივ უნდა უზლოს დამნა-  
შავემ („თუ თავადად იგი კაცი ყოფილიყოს და თავლაშქარი ყო-  
ფილიყოს, რაცა მისი ალათისაგან ფიცით მინახვედრებ-  
თქვას, იგიცა უზლოს უკლებლად“). „ალათის შექცევას“ ითვალისწინებს  
ბაგრატ კურაპალატის სამართლის 112-ე, 113-ე და 114-ე მუხლებიც.  
სამივე შემთხვევაში კანონმდებელს მხედველბაში აქვს თავდასხმის  
შედეგად მომხდარი გატაცება. თუ მეკობრე ავაზაკები ეკლესიას  
გატეხენ, ბოროტმოქმედნი დაზარალებულს უნდა გადაეცეს და  
დამნაშავეებმა, ან მათმა პატრონმა, ნაძარცი ქონება უკლებლივ  
უნდა დააბრუნონ („ალათიცა

უკლებლივ შეაქციონ“). ამრიგად, სამართალი მოითხოვს დანაშაულისაგან „ალაფის შექცევას“, ანუ დაზარალებულისათვის ნაძარცვი ქონების დაბრუნებას და მიყენებული ზარალის ანაზღაურებას, დამოუკიდებლად იმ სასჯელისა, რომელიც დანაშაულს უნდა შეეფარდოს. /

გამაწილებელი სასჯელები. ბეჟა-აღბულას კანონმდებლობა იცნობს გამაწილებელი სასჯელების სხვადასხვა სახეს. ეს სასჯელები დამამკირებელი ხასიათისა იყო. მათ მიზანს წარმოადგენდა დამნაშაის პიროვნების დამკირება და მისთვის მძიმე ზნეობრივი ტანჯვის მიყენება. გამაწილებელ სასჯელებს ჰქონდათ ოოგორც ძირითადი, ისე დამატებითი სასჯელის მნიშვნელობა. სანაართლის ისტორიიდან ცნობილია, რომ გამაწილებელ სასჯელს შრავალი სახე ჰქონდა (ბრალის საჯაროდ აღიარება და პატიების გამოთხოვნა დაზარალებულის წინაშე, დამამკირებელი სამოსელი. გატიტვლება, კისერზე თოკის მობმა, წვერ-ულე-შის ნობარსვა, გაკრეჟა, ლაფის დასხმა, ვირზე შესმა, ბაზარში შერცხვენა, და სხვა). /

ამთა აომწერელს აღნიშნული აქეს გამაწილებელი სასჯელის ერთი სახე — „თაეზე ნაცრის დაყრა“. (დავით VI 1301 წელს გამაწილებელ სასჯელს უფაოდებს გახდგომისა და მონლოლთა ნიმბრობისათვის თავის ხელისუფალს შალვა ქვენიფნეველს. მეფეჟ ნოითხოვა, რომ ძველი ხალხური სასჯელის მიხედვით ქვენიფნეველს საჯაროდ თაეზე ნაცარი დაეყარა და თავისი დანაშაული აღეარებინა. ისიც დათანხმდა თურმე და, ჟანთაღმწერლის სიტყვით, შალვა ქვენიფნეველმა „გარდაიყარა თაესა ნაცარი და იტყოდა: ესეცა არს მისაგებელი ორგულთა მეფეთასაო“<sup>1</sup>.

გამაწილებელ სასჯელთა სახეებიდან ბეჟა მანდატურთუხუცესის სამართალში აღნიშნულია ეგრეთწოდებული „ჩათრევა“. თუ თავდასხმის შემთხვევაში, ოჯახის აკლებისა და შერცხვენის გამო, დაზარალებული კანონით გათვალისწინებული სისხლის მიღებაზე უარს იტყოდა და დამნაშაის მიმართ გამაწილებელი სასჯელის შეფარდებას მოითხოვდა, მაშინ დამნაშავეს ქვედა საცკლის აშარა, გატიტვლებულს სანეხვეზე მიიყვანდნენ და იქ საჯაროდ გაშოლტავდნენ („ნიფხვითა ოდენ გაშიშვლებულად ზოლოთა შვიდთა

<sup>1</sup> «სამართალი ბერძული» მუხ. 34, 56, 77, 80, 233, 259, 344, 382, 383: ხელნაწერი. S 3683.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, წიგნი მესამე, XIII — XIV სს., 1941 წ., გვ. 136.

ბიჯთა ჩაათრიონ და მას კაცსა მეჭრემან სამი შოლტი ამოკრასო“). გამაწილებელ სასჯელს სიმბოლური ხასიათი აქვს. ბოროტმოქმედი დაესხა ოჯახს შერცხვენისა და დამცირებისათვის. „საწილოდ“. ამიტოა დაზარალებული მოითხოვს, რომ დანაშაულებსა ც გამაწილებელი და დამამცირებელი სასჯელი შეეფარდოს. თელის რა „ჩათრევის“ მძიმე გამაწილებელ სასჯელად. კანონმდებელი იძლევა რჩევას, ნუ მიმართავენ ამ სამარცხვინო სასჯელის შეფარდებას, როგორც სამაგიერო დამცირების საშუალებას, რადგან ასეთი სასჯელის შეფარდებით ბოროტმოქმედს „საუკუნო სირცხვილის საქმე წაეკიდებისო“.

ასეთივე ხასიათის სასჯელს ითვალისწინებს ბექას სამართლის <sup>23-ე</sup> მუხლი, რომლის მიხედვით, თუ ცოლშვილიანი კაცი ქმარშვილით ქალთან მრუშობას — „მოყივნებას“ — ჩაიდენს და ეს გამჟღავნდება, დანაშაუნი ქალის ქმარს სრული სისხლი უნდა დაუთრვოს და ამავე დროს პატრონმა დანაშაუნი „ნიფხვით ოდენ შიშველი და ყელსაბლიანი უბანთა ზედა განჭირებული მოაელოს“ — თუ დანაშაუნი მოისურვებდა და დაზარალებულიც თანახმა იქნებოდა, ეს სამარცხვინო სასჯელი — „გაუპატიებება და გაუპატიებება“ — შეეძლო გამოეყიდა ორკაცი სისხლის დაურევით. „ჩათრევა“ და „გაუპატიებება“ გამაწილებელი სასჯელის სახეა ბექას სამართალში. იგი მეტად სასირცხო და დამამცირებელი სასჯელია, („დიდი სახიჩარი და საუკუნო სირცხვილის საქმეა“). სასჯელი დანაშაუნი უნდა შეეფარდოს საჯაროდ. მისი მიზანია ბოროტმოქმედის საქვეყნოდ შერცხვენა და გაწილება. „გაუპატიებება“ პატივისა და ღირსების აყრას ნიშნავს. ამ სიტყვისაგან წარმოიშვა სიტყვა „გაუპატიებელი“, რაც ბექას სამართლის <sup>26-ე</sup> მუხლის მიხედვით ნიშნავს დაზარალებულ პირს. მაგრამ „გაუპატიებელი“ შეიძლება მთელი ოჯახი იყოს, რომელსაც დანაშაუნი შეუოაცხოთა მიაყენა. <sup>36-ე</sup> მუხლის მიხედვით „გაუპატიებელი“ მოკლული პირის ოჯახის წევრებს გულისხმობს. რუსული თარგმანის <sup>24-ე</sup> მუხლში სიტყვა „გაუპატიებება“ თარგმნილია, როგორც „незачестие“, რაც სწორად გადმოსცემს ამ სიტყვის აზრსა და მნიშვნელობას. მაგრამ ქართული ტექსტის <sup>35-ე</sup> მუხლის სიტყვები — ეინმემ „თუ აზნაური კაცი... გააუპატიოს...“ — რუსულად თარგმნილია: „если кто обидит дворянина“. ამრიგად, სიტყვა „გაუპატიოს“ აქ თარგმნილია, როგორც „обидит“. ხოლო <sup>36-ე</sup> მუხლში აღნიშნული სიტყვა „გაუპატიებელი“, რაც დაზარალებულს ნიშნავს, რუსულად თარგმნილია „обиженная сторона“. აზრი თითქოს გაღმრავებულია, მაგრამ თარგმანი არაა ზუსტი.

[ამრიგად, „ჩათრევა“ და „გაუპატივება“ წარმოადგენს გამაწილებელი ანუ დამამძიმებელი სასჯელის სახეებს ბეჭა-ალბუღას სამართალში.]

გიორგი ბრწყინვალის „ძველის დება“ გამაწილებელი სასჯელის სახით იცნობს „გაპარსვას“ (მუხ. 2), რომელიც დამატებითი სასჯელის სახით უნდა შეეფარდოს მკვლელობაში მონაწილე ხევის თავებს.

— გაძევება. გაძევება, როგორც სასჯელის სახე, ცნობილი იყო ნონათმფლობელური და ფეოდალური სისხლის სამართლისათვის. დამნაშავე გაძევებული პირის მდგომარეობა მეტად მძიმე იყო. იგი უოველგვარი დაცვისა და მფარველობის გარეშე იღვა. მისი შოკელისათვის პასუხს არავენ აგებდა. ამასთან, არავის ჰქონდა უფლება მისთვის თავშესაფარი აღმოეჩინა.

სალიკური სამართლის მიხედვით დამნაშავის „კანონგარეშე გამოცხადებას“ *vargus sit* ეწოდება. ამავე მდგომარეობას გამოხატავს სამართალი დამნაშავის „მფარველობის გარეშე გამოცხადებითაც“—*„extra sermonem suum ponat*, რაც ნეტის განკარგულებით ხდება. კანონგარეშე გამოცხადებულ პირს ნება არა აქვს ვერგელდის გადახდამდე „იცხოვროს ადაჰიანთა შორის“. სალიკური სამართალი ადგენს, რომ სანამ კანონგარეშე გამოცხადებულ პირი „არ გადაიხდის ყველაფერს, რაც უნდა გადაიხადოს, ვინც მისცემს მას თავშესაფარს ან პურს, თუნდაც მისი საკუთარი ცოლი იყოს“.., დაჯარიმებული უნდა იქნას 15 სოლიდით<sup>1</sup>. კანონგარეშე გამოცხადება დამნაშავეს შეეფარდება მძიმე დანაშაულის დროს.

ბიზანტიური სამართლის ქართული ვერსია იცნობს დამნაშავის გაძევების, ანუ ექსორიის, ფართოდ გამოყენებას სხვადასხვა ხასიათის დანაშაულთა გამო (მკვლელობა, ქურდობა, ქალის მოტაცება, მშობლების უნებართვოდ დაქორწინება, მოსამართლის ვინება, ზატონის ცილისწამება, სასულიერო თანამდებობის პირის ფიზიკური შეურაცხყოფა და სხვა)<sup>2</sup>.

ძველი რუსეთის სამართლის წიგნი, Русская Правда, დამნაშავის პირადი და ქონებრივი უფლებების ჩამორთმევას უწოდებს *поток и разграбление* ს. პირველი გულისხმობს დანაშავის

<sup>1</sup> Lex salica, თავი LV, § 2, თავი LVI, § 1.

<sup>2</sup> სამართალი ბერძულია მუხ. 49, 80, 173, 174, 259, 318, 351, 362, 390, 382, 387, 398, საქ. მუხ. ხელნაწერი S 5683.

გაძეგებას, ხოლო მეორე დამნაშავეის ქონების კონფისკაციას. ერთიცა და მეორეც შეადგენს ერთ სასჯელს. უფრო გვიან მოსკოვის სახელმწიფოში დანაშაულის სამთავროდან გაძეგებას ეწოდებოდა „взыскание из земали“<sup>1</sup>.

გაძეგება და გარდახვეწა, როგორც მძიმე სასჯელი, ცნობილი იყო აგრეთვე ქართულ სამართალშიც. „გაძეგება“ დაკავშირებული იყო „მანულის დაქირვასთან“, ანუ მამულის კონფისკაციასთან: როცა დამნაშავეს გააძეგებდნენ, მას მამულსაც ჩამოართმევდნენ და ზოგჯერ გაძეგებულ პირს მამულთან ერთად სახლ-კარსაც წაართმევდნენ. გაძეგება მეტად მძიმე და თავზარდამცემი სასჯელი იყო, რომელიც დამატებით სხვა რამდენიმე სასჯელსაც გულისხმობდა. გაძეგება არა მარტო დამნაშავეის პიროვნებას ღებინის, არამედ მის ქონებასა და ოჯახის მდგომარეობასაც ეხება.

ძველ გერმანულ სამართალშიც გაძეგება და მშვიდობიანობის აღკვეთა რამდენიმე სასჯელს გულისხმობდა: სიკვდილით დასჯა, სისხლის სამართლის მონობა, კონფისკაცია და დარბევა.

ბექას სამართლის მიხედვითაც „გაძეგება“ სხვა დამატებით სასჯელებსაც შეიცავს. პატრონი-ათაბაგი მის წინაშე მოლაღატედ დასმენილ კაცთა ანუ „შეზახებულთა კაცთა“ მიმართ შემდეგი სახის სასჯელებს აწესებდა: „წელითა შორხევას“, „მამულისა წაღებას“. „გაძებას“, „დიდხან ღარიბობას ყოფასა“ და „ბედითად სიარულს“. მაგრამ თუ გამოირკვეოდა, რომ დასმენა ცილისმწაამბლური იყო, მაშინ დამბეზლებელს „რაცა კაცისაგან ავი, საზიანო შოიგონების, ყოველთა მტეზობასა ემართლების“, რადგან ასეთი დამბეზლება „პატრონისა ღალატი და შეცოდება უფროა“. თუ დიდებულის მიერ დიდებულის მკვლელობის შემთხვევაში დამნაშავე კანონით დადგენილი სისხლის ოდენობას ვერ გადაიხდის, გაძეგებული უნდა იქნას, ნამული უნდა ჩამოერთვას და ათაბაგსა და მაწყვერელს გადაეცეს („თუ ვერ ამოუვიდოდეს. გარდახვეწოს, და მამული პატრონსა აქუნდეს ჯაყელსა და მაწყუერელსა“). ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი იმ შემთხვევაშიც, როცა აზნაური აზნაურს მოკლავს. თუ დამნაშავე სისხლს ვერ გადაიხდის. იგი გაძეგებულ უნდა იქნას, მამული უნდა ჩამოერთვას და ათაბაგსა და მაწყვერელს გადაეცეს, სანამ დამნაშავე დაზარალებულის ნათესავეებს სისხლს დაუურევებს („თუ ვერ ამოუვიდეს. გარდახვეწოს. და მამული აგრევე პატრონმა დაიჭიროს... სისხლისა გარდახდამდინ“).

<sup>1</sup> В. С е р г е е в и ч. Лекции и исследования, 1910, гл. 405, 414.

დამახასიათებელია, რომ ბექას სამართლის მიხედვით „გაძევება“ და „მამულის დაქირა“ გრძელდება დამნაშავეის მიერ სისხლის დაუტყვევებლად. როცა სისხლი გადახდილი იქნება, გაძევებული პირი ბრუნდება სახლში და თავის მამულს ღებულობს. როგორც დავინახეთ, ასეთ მდგომარეობას აქვს ადგილი სალიკური სამართლის მიხედვითაც. ამრიგად, მკვლელობის შემთხვევაშიც ძირითადი სასჯელი „სისხლია“, გაძევებას მხოლოდ ნაშინ აქვს ადგილი, თუ დამნაშავემ სისხლის დაუტყვევება ვერ შეძლო. ბექას სამართლის მიხედვით „გარდახვეწა“ გათვალისწინებულია იმ შემთხვევაშიც, როცა მკვლელობა ჩადენილია ძნებს, ან უახლოეს ნათესაებს შორის. ასეთი მკვლელობა წმიდე ბოროტმოქმედებაა, „საღმრთოდ ზრალია“, ამიტომ დამნაშავე სისხლიც უნდა გადაიხადოს და კიდევაც გარდაიხვეწოს. აღბუღას სამართლის მიხედვით „გაძევება“ უნდა შეეფარდოს ნეკობრეს. ნეკობრე ბოროტმოქმედი უნდა დაესაჯოს და გაეაძევოს, „გაეპატიეოთ და გაეაძოთო“, ამბობს აღაჟულა თავის სამართლის წინასიტყვაობაში.

ზემოთ მოყვანილი იყო ბატონიშვილი ვახუშტის აზრი იმის შესახებ, რომ ქართული სამართლის მიხედვით დამნაშავეს სისხლის დაუტყვევებასთან ერთად „გაძევებას“ მაშინ უფარდებდნენ. როცა სოციალურად და უფლებრივად დაბალი მდგომარეობის პირი მაღალი მდგომარეობის პირს მოკლავდა („უღდაბლესძან თუ ნოკლის უმაღლესი, დაუტყვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა“). მაგრამ ეს დებულება არასწორია. „გაძევება“ თანასწორი წოდების პირებსაც ეხებოდა, როცა დამნაშავე დაზარალებულს სისხლს ვერ დაუტყვევებდა. ხოლო, უკეთეს დამნაშავე სისხლს აანაზღაურებდა, მას „გაძევებას“ აღარ უფარდებდნენ. ამრიგად, „გაძევება“ და „მამულის დაქირვა“ ბექას სამართლის მიხედვით გრძელდებოდა „სისხლისა გარდაქმამდინ“.

გაძევება და მასთან დაკავშირებული ქონების კონფისკაცია დამნაშავეს პატრონი-ათაბაგის განკარგულებით უნდა შეეფარებოდა. სალიკური სამართლის მიხედვითაც დამნაშავეს მეფე აცხადებს „მფარველობის გარეშე“. ამრიგად, „გაძევება“ ძმომე სასჯელი იყო, რომელსაც უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლის განკარგულებით უფარდებდნენ. მაგრამ თავდაპირველად „გაძევება“ არ ატარებდა სისხლის სამართლის სასჯელის ხასიათს და მხოლოდ ადათობრივ ნორმას წარმოადგენდა. საგვარეულო წყობილების დაშლისა, კერძო საკუთრებისა და კლასობრივი საზოგადოების აღმო-

ცნებასთან ერთად<sup>1</sup> გაძევებამ მიიღო სისხლის სამართლის სასჯელის სახე.

„გაძევება“ და „მამულის დაკირვა“ მეტად მძიმე სასჯელი იყო, რომელიც კანონს გარეშე აკბადებდა რა დამნაშავეს, ართმევდა მას დაცვისა და თავშეფარების უფლებას. მით უფრო უცნაური და გაუგებარია ქართული სამართლის გერმანელი მკვლევრის ჰოლდაკის აზრი იმის შესახებ, რომ „გაძევება“ და ქონების კონფისკაცია დამნაშავეს პიროვნებისა და მისი ქონების დაცვის მიზნით იყო შემოღებული. ჰოლდაკის აზრით ნხოლოდ გაძევების გზით შეეძლო დამნაშავეს თავიდან აეცილებინა ის შურისძიება, რომელიც მოსალოდნელი იყო დაზარალებული პირის, ან მისი ნათესაეების მხრივ. რაც შეეხება ქონებისა და ადგილ-მამულის ჩამორთმევას, როგორც სასჯელს, მიზნად ჰქონდა ამ ქონების შენახვაზე, მისი გაძარცვისა და განადგურებისაგან გადარჩენაზე მზრუნველობის გაწევა სახელმწიფოს მხრივ<sup>1</sup>. ცხადია, ეს მეტად უსაფუძვლო და გამოგონილი აზრია, „გაძევება“ მიზნად ისახავდა არა დამნაშავეს პიროვნებისა და მისი ქონებრივი ინტერესების დაცვას, არამედ სოციალურად საშიში ქმედობის აღკვეთას, საზოგადოებრივი წესრიგისა და დაზარალებულის ინტერესების დაცვას.

**შეჩვენება და შერისხვა.** კანონიერი სამართლის მუხლები (161 — 170), რომლებიც დართულია სამართლის წიგნის ბოლოში, სისხლის დაურევების გარდა, დამნაშავეს მიმართ ითვალისწინებენ განსაკუთრებულ საეკლესიო სასჯელსაც, რომელიც გამოიხატება ფორმულით: „კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ“<sup>2</sup>. 161-ე მუხლი ასეთ სასჯელს უფარდებს ძმისა ან ღალატით სხვა კაცის მკვლელს. 162-ე მუხლი ასეთ სასჯელს ადებს იმ დამნაშავეს, რომელმაც ძმას ან სხვა კაცს, ცხადად ან ღალატით, თვალი დაწვა, ან სხეულის რომელიმე ასო მოჰკვეთა. 163-ე მუხლი წყევლა-კრულვას და შეჩვენებას უწესებს იმას, ვინც ომში მოკლულ კაცს იარაღის გარდა ტანსაცმელსა და ნიჟბავ-პერანჯს გახდის. 164-ე მუხლის თანახმად მეკობრე-მტაცებლის ნათესაევი, რომელიც სისხლის დაურევებას მოითხოვს მეკობრის მოკვლისათვის, კრულ, წყეულ და შეჩვენებულ უნდა იქნას. 165-ე მუხლი წყევლა-კრულვასა და შეჩვენებას უფარდებს მას, ვინც ჯვარდაწერილ ცოლს მოსტაცებს და წაართმევს სხვას. ხუცის, მონაზონის ან დიაკვნის მოკვლისა და გაძარცვისათვის დამნაშავეს წყევლა-კრულვა და შეჩვენება უნდა

<sup>1</sup> H o l l d a e k. Zwei Grundsteine... გვ. 170--171.



შეფარდოს 166-მუხლის თანახმად. ასეთსავე სასჯელს აწესებს 167-ე მუხლი ქურდობისათვის. 168-ე, 169-ე და 170-ე მუხლები წყველა-კრულვასა და შეჩვენებას ითვალისწინებენ ისეთ დამნაშავეთა წინაშე, რომლებიც მტრობის, შურისძიების, სისხლისა და ვაღის გადაუხდელობისა, ან სხვა რაიმე სამტრო საქმის გამო ცხადად ან მალვით ეკლესიას გატეხენ, ან ცეცხლს წაუკიდებენ და დაწვანენ. ყველა ზემოაღნიშნულ მუხლებში წყველა-კრულვა და შეჩვენება დაწესებულია, როგორც სასჯელის დამატებითი ზომა, რომელი ძირითად სასჯელს გარდა უნდა შეფარდებოდა დაწინააღმდეგებ.

წყველა-კრულვა და შეჩვენება საეკლესიო სასჯელებს შორის ყველაზე მძიმე ზომა იყო. „ვისაც ეს სასჯელი თავს დაატყდებოდა, მას ზიარების, ქორწინებისა და გვირგვინთა კურობის უფლება არ ჰქონდა, ხოლო, თუ გარდაიცვლებოდა, ქრისტიანული წესით არც ანდერძის აგება და არც მისი დასაფლავება არ შეიძლებოდა. მაგრამ ეს შეჩვენების მხოლოდ საეკლესიო სფეროთი შემოფარგლული გავლენა იყო. მაშინდელი წესით შეჩვენებულზე თავისი სასჯელი სახელმწიფო ხელისუფლებასაც უნდა დაედო და დაკრულვილი აუცილებლად შეერისხულ ყოფილიყო. შერისხვა კი იმას ნიშნავდა, რომ იმ პირს უნდა მამული ჩამოართმევოდა და „ლანქართა შიგა“ ყოფნის უფლება აღარ ჰქონოდა, ის უნდა სამშობლოთგან განედევნათ. ასეთი სასჯელი გაწვილების გარდა, ადამიანის სამოქალაქო სიკვდილსაც უდრიდა და, ცხადია, რომ ანაზე მძიმე სასჯელის გამოძებნა ეკლესიის მესვეურთ არ შეეძლოთ<sup>1</sup>. საქართველოში თავდაპირველად ეს საეკლესიო სასჯელი გამოყენებული იყო ეკლესიის მიერ მთავრობის ღონისძიებათა წინააღმდეგ. დავით მეფემ, გიორგი ლაშას-ძემ, ბასილ უჯარნელ ჭყონდიდელის, მწიგნობართ-უხუცესისა და ვახირთა უპირველესის რჩევით გადაწყვიტა ეკლესიისათვის შეწირული მიწების ჩამოართმევა და გაღარიბებულთათვის მისი წყალობის სახით გადაცემა. ეს მიწები ეკლესიებს წინათ მიღებული ჰქონდათ შეწირულების სახით სამეფო ხელისუფლებისაგან. „ქართული სამართლის ძალით კი შეწირული ქონების ძფლობელს უნდა უეჭველად ეზრუნა, რომ შეწირულება შთამომავლობის ყოველი ახალი თაობისაგანაც ყოფილიყო დამტკიცებული, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეწირულება გატუდებულად ითვლებოდა და მემკვიდრეებს უფლება ჰქონდათ შენაწირები უკანვე დაებრუნებინათ<sup>2</sup>. სწორედ სამართლის ამ დებულებით ისარგებლა

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 3, 1941 წ., გვ. 81.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 80.

მეფემ, როცა მოინდომა შეწირული ადგილების ეკლესიისათვის ჩამორთმევა. რაკი ეკლესიამ ვერ შეძლო, რომ მეფის აღნიშნული ბრძანებულება გაუქმებულყო. მან თავის იარაღს საეკლესიო სასჯელს — შეჩვენებას — მიმართა, მაგრამ ეკლესიის ასეთმა ღონისძიებამ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან ხალხს ეკლესიის წინააღმდეგობა თვით ეკლესიის ქონებრივი კეთილდღეობის საზრუნავ საგნად მი აჩნდა, რის გამო ხალხი მათ დაუნდობლად გმობდა და გესლით აღსავეს და ცინვითაც კი ცდილობდა მათ გაწბილებას<sup>1</sup>. ეკლესია სასჯელის ამ ზომას ხშირად მიმართავდა არა მარტო ასეთი საერთო სახელმწიფოებრივი ხასიათის ღონისძიების გატარებისას, არანედ კერძო პირთა მიერ სხვადასხვა ხასიათის დანაშაულის ჩადენის დროსაც.

„შეჩვენებას“. როგორც საეკლესიო სასჯელს, თან ერთვის დამნაშავე პირის „შერისხვა“ საერო ხელისუფლების მიერ. „შერისხვა“ გულისხმობს მოქალაქეობრივი უფლებების ჩამორთმევას, რაც გამოიხატება „მამულის დაკირვითა“, „ქვეყანათა აღხმითა“ და „ლაშქართა შიგან არ შეშვიბით“. ეს უკანასკნელი ნიშნავდა სამხედრო სამსახურისა და რაინდობის უფლების ჩამორთმევას. 1263 წლის საეკლესიო კრების მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „ვინცა ვინ დაკრულვილა, რადცა მიზეზითა და საქმითა“ სახელმწიფო ხელიაუფლებისაგანაც „შერისხულა“: „ნაშკლი დასკირვია და ლაშქართა შინა არ შეშვიბულა“. ეს სასჯელი მეტად მძიმე იყო, და, თუ საბოლოო იქნებოდა, დამნაშავეს სრულ ქონებრივ გაღატაკებასა და სამოქალაქო სიკვდილს უქადა<sup>2</sup>.

ბეჭას-სამართალიც იცნობს „შერისხვას“. ძმის მიერ ძმის ან ახლო ნათესავის როგორც შებთხვევაში კანონი ითვალისწინებს დამნაშავეს მიმართ „გარდახეწასთან“ ერთად საეკლესიო სასჯელსაც. ასეთი მძიმე დანაშაული „საღმრთოდ ბრალა“ და „ებისკოპოზმა მისი წესი იცის, რაცა მართებს, მან უყოს“. მაგრამ წყევლა-კრულისა და შეჩვენების გარდა, დამნაშავეს სამოქალაქო უფლებებიც უნდა ჩამოერთვას და ლაშქარში სამსახური აეკრძალოს, — „ლაშქართაგან გარდაქდევისა არავისაგან მოქსენება უნდაო“, ნიუთითებს კანონმდებელი.

სამცხე-საათაბაგოში ლაშქრობა და კარვოსნობა სძმხედრო, რაინდულ სამსახურს ნიშნავდა და აზნაურთა საპატიო მოვალეობად

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი 3, გვ. 82.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, წიგნი მეორე, 1929 წ., გვ. 525.

ითვლებოდა. ამ უფლებათა ჩამორთმევა კი სამოქალაქო სიკვდილს უდრიდა.

სიკვდილით დასჯა, სიკვდილით დასჯის შესახებ ბექა-ალბუღას სამართალში პირდაპირ არაფერია ნათქვამი, მაგრამ სასჯელის ეს სახეც ალბათ უცხო არ იყო სამცხე-საათაბაგოს სისხლის სამართალისათვის. კანონთა ზოგიერთ იუხლში ეხვდებით არაპირდაპირ მითითებას, რაც საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ სიკვდილით დასჯას ადგილი ჰქონდა იმ დროს. ბექას სამართალი პატრონის წინაშე ვინმეს უსაფუძვლოდ დასმენას მძიპე დანაშაულად თულის. ამიტომ, როცა გამოირკვევა, რომ დამბეზლებელი ცილისმწამებელია, მას „რაცა კაცისაგან ავი, საზიანო მოიგონების, ყოველთა მტერობასა ემართლების“. ალბათ, ექვლა „ავი“ და „საზიანო“ სიკვდილით დასჯასაც ნიშნავდა.

ბაკრატი კურაპალატის სამართლის 113-ე და 114-ე მუხლების თანახმად მეკობრე ავაზაკები, რომლებიც ეკლესიას გატყვევებენ და ჩხილებული იქნებიან დანაშაულში, დაზარალებულს უნდა გადაეცეს. ომნელსაც შეუძლია, რა სასჯელიც სურს, შეუფარდოს დანაშაულს — „რა გინდა უყონ, ნუ ემდურვის“. სათაქრებელია, რომ „რა გინდა უყონ“ სიკვდილით დასჯასაც გულისხმობდა.

სიკვდილით დასჯას, როგორც ეს სამართლის წიგნის 138-ე და 164-ე მუხლებიდან შეიძლება დავასკვნათ, არაიშვითად მიმართავდნენ მეკობრეთა, ჰმარცხავთა და ქურდების მიმართ, რომლებიც შეიარაღებულ თავდასხმას აწარმოებდნენ ეკლესიაზე, ჯოგზე, ციხესიმაგრესა და სახლ-კარზე. ბაკრატი კურაპალატის სამართლის 138-ე მუხლი ადგენს „მეკობრისა და ზედა დამსხმელისა სისხლი არ აოის“, ე. ი. თუნდაც რომ დანაშაულები მოკლული იქნენ თავდასხმისას, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გამორიცხულია მათი მოკვლისათვის ასეთსავე დებულებას ითვლისწინებს ბექას სამართლის მე-12 მუხლიც. კანონიკური სამართლის 164-ე მუხლის მიხედვით, თუ მოკლულ ბოროტმოქმედთა ნათესავეები სისხლის ანაზღაურებას მოითხოვდნენ, მათ სასტიკი საეკლესიო სასჯელი უნდა შეფარდებოდათ; „კრულ და შეჩუენებულ და წყეულ იყავნო“, ამბობს კანონმდებელი.

ევროპის ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლებიდან აღსანიშნავია „საქსონთა სამართალი“ — *Lex Saxonum*, რომელიც შედგენილია კარლოს დიდის დროს, VIII საუკუნის ბოლოს ან IX საუკუნის დასაწყისში. საქსონთა სამართალი სიკვდილით და-

სჯას (capite puniatur) ითვალისწინებს როგორც მძიმე, ისე მეტად მცირემნიშვნელოვან დანაშაულობათა გამოც (ლალატი, მკვლელობა, ეკლესიის გატეხა, ცხენის, სკის, ღლისით ოთახიდან რაიმე ნივთის ან ღამით სამ სოლიდად ღირებული ნივთის მოპარვა)<sup>1</sup>. ასეთი მკაცრი სასჯელი „საქსონთა სამართალში“ გათვალისწინებულია საქსონიის ტერიტორიის დაპყრობილი მოსახლეობისათვის, რომელთა დათრგუნვა და დამორჩილება კარლოს დიდის აღნიშნული კანონმდებლობის ძირითადი მიზანი იყო.

სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ სახეებს განსაკუთრებით უართოდ იყენებდა ბიზანტიის სამართალი. ვახტანგის კანონთა კრებულში მოთავსებული „სამართალი ბერძული“ სიკვდილით დასჯის მრავალ კვალიფიციურ სახეს იცნობს. სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახე გულისხმობს დამნაშავეს ისეთი საშუალებებით დასჯას, რაც დაკავშირებულია მეტად მძიმე ტანჯვა-წვალების მიყენებასთან. ბიზანტიური სამართლის ქართული ვერსია — „სამართალი ბერძული“ — სიკვდილით დასჯის არაკვალიფიციურ სახედ აწესებს „თავის მოკვეთასა“, და „წყალში ჩარჩობას“, რომელსაც ფართოდ იყენებს სხვადასხვა ხასიათის დანაშაულობათა გამო<sup>2</sup>. სასიკვდილო განაჩენის აღსრულება ხდება ხმლით, დამნაშავეს „ვლმით მოეჭრას თავიო“. სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეებიდან გათვალისწინებულია შემდეგი ფორმები: „ცეცხლში დაწვა“, „ანძახედ აცმა“, „ქვით ჩაქოლვა“ ანუ „ქვის დაკრება“. „ცეცხლში დაწვა“ გათვალისწინებულია ლალატის, ბატონისა ან ხათესავის მოკვლის, სახლის დაწვის, ბატონის ცოლთან სხვისი მრუშობის განუცხადებლობისა და სხვა დანაშაულისათვის. „ანძახედ აცმა“ უნდა შეეფარდოს მოლაღატეს. მეკობრე-მძარცველებსა და სხვ. სიკვდილით დასჯის ეს ორი კვალიფიციური სახე კანონმდებელს თანაბარ სასჯელად მიაჩნია და მიუთითებს, რომ დამნაშავე „ან ანძახედ ააცვან და ან ცეცხლში დასწვანო“ (მუხ. 30).

<sup>1</sup> ი. დოლიძე, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, 1930 წ., გვ. 80—81.

<sup>2</sup> „სამართალი ბერძული“, მუხ. 31, 32, 33, 48, 49, 60, 107, 380, 381 და სხვ. ხელნაწერი № 3683.

<sup>3</sup> იქვე, მუხ. 30, 31, 171, 172, 223, 321, 362, 389.

ვახტანგის კანონთა კრებულში მოთავსებული სამართალი სან-ხური, რომლის პირველი ნაწილი (მუხ. 1—150) სირიულ-რომაული სამართლის წიგნს, ხოლო მეორე ნაწილი (მუხ. 152—431) XII საუკუნის დამლევს მხითარ გოშის მიერ შედგენილ „სომხური სამართლის წიგნს“ წარმოადგენს, სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეებიდან იცნობს მხოლოდ „ანძახედ აცმას“ ანუ „ანძის კურას“ (მუხ. 370);

შუა საუკუნეების ევროპის ფეოდალური სამართლის ძეგლები ფართოდ იყენებდნენ სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ ფორმებს. სასჯელთა მკაცრი სისტემის შემოღება განსაზღვრული იყო ყმა-გლეხების ექსპლოატაციისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით. XII—XIV სს. ინგლისის ფეოდალური სისხლის სამართალი იცნობს სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ ფორმებს. სახელმწიფოს ლალატისათვის მანკაცების მიზართ გათვალისწინებული იყო სიკვდილით დასჯა ჩამოხრჩობის, დათხვისა ან სხეულის ნაწილებად დაგლეჯის სახით, ხოლო დედაკაცებისათვის — ცეცხლში დაწვა. ვასალის ან სენიორის მიერ ფეოდალური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ურთიერთ-ვალდებულებათა დარღვევა (felony) მძიმე დანაშაულად ითვლებოდა, რაც იწვევდა დამნაშავის სიკვდილით დასჯას ჩამოხრჩობით; უფრო გვიან „ფელონის“ ცნება გაფართოვდა და შეიცავდა ისეთ დანაშაულსაც, როგორცაა მავალითად, დასახიჩრება, ცეცხლის წაქიდება, ორკოლიანობა, გრძნეულება და სხვა.

შუა საუკუნეების ფეოდალური გერმანიის სამართალი ფართოდ იყენებს სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ სახეებს. შვაბიის სამართლის წიგნის ე. წ. „შვაბიის სარკის“ მიხედვით ვასალი, რომელმაც მახვილი აღმართა სიუზერენის წინააღმდეგ, ცოცხლად დამარხული უნდა იქნას მიწაში. XIII საუკუნის ძეგლი „საქსონიის სარკე“ სამი შილინგის მეტი ღირებული ნივთის მოპარვისათვის აწესებს სიკვდილით დასჯას ჩამხრჩობით, ხოლო ქურდობის ზოგიერთი სახე ისჯებოდა დამნაშავის დათხვით. სიკვდილით დასჯა გათვალისწინებულია აგრეთვე განზრახ მკვლელობის, ლალატის, ცეცხლის წაქიდების, სქესობრივი ძალადობის, გაძარცვის, კვალიფიციური ქურდობის, მოწანელის, გრძნეულების, ღვთის გმობისა და სხვა დანაშაულისათვის.

სიკვდილით დასჯის განსაკუთრებით შემზარავ სახეებს ითვალისწინებს გერმანიის 1532 წლის სისხლის სამართლის დებულება — „კაროლინა“, — იმპერატორ კარლოს V-ის (1519—1556) დროს შედგენილი ძეგლი. მკაცრი სასჯელების შემოღების ძირითადი

მიზეზი გერმანიის ყმა-გლეხთა 1524—1525 წლის ომი იყო, რაც გამოიწვია ყმა-გლეხთა უღმობელმა ფეოდალურმა ექსპლოატაციამ; ამიტომ სასჯელთა სისტემას საფუძვლად უდევს დაშინების მიზანი, რაც უზრუნველყოფილია უსასტიკესი ზომებით. „კაროლინას“ მიხედვით სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეებია: დაბორბლვა, დაოთხვა, მიწაში ცოცხლად დამარხვა. ცეცხლში დაწვა, და სხვ. სიკვდილით დასჯა საჯაროდ ხდებოდა.

სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ და არაკვალიფიციურ სახეებს ფართოდ იყენებს შუა საუკუნეების რუსეთის ფეოდალური სისტემის სამართალი. XVI—XVII საუკუნის სამართლის ძეგლების მიხედვით სიკვდილით დასჯის ჩვეულებრივ ანუ უბრალო ფორმებს მიეკუთვნება: отсечение головы, повешение, утюжение, და расчлениение. განსაკუთრებით ფართოდ არის გამოყენებული სიკვდილით დასჯის კვალიფიციური სახეები: „четвертование“, „залитие горла расплавленным металлом“, „окопание в землю“, „посажение на кол“, „колесование“ „сожжение“ და „повешение за ребро“.

დაოთხვის ანუ четвертование-ს დროს დამნაშავეს ცულით ჯერ მარჯვენა ხელს მოჰკვეთდნენ, შემდეგ — მარცხენა ფეხს ხელის ქვევით, მერმე — მარცხენა ხელსა და მარჯვენა ფეხს, და ბოლოს — თავს.

ვაშლით ლითონის ყელში ჩასმა იმაში მდგომარეობდა, რომ გაადნობდნენ ტყვიას ან კალას და დამნაშავეს ჩაუსხამდნენ ხახაში, აღუღებელი კალა წვავდა ხორხს და გადმოედინებოდა გარეთ, რაც იწვევდა დამნაშავეს ნელსა და წვალეებით სიკვდილს.

მიწაში ცოცხლად დამარხვა გულისხმობდა დამნაშავეს ფეხზე დამდგარ ან მუხლმოდრეკით დამარხვას ყელამდე, რომელსაც სიკვდილამდე თავზე ადგა გუშაგი, რათა დამნაშავესათვის არავის მიეწოდებია სასმელ-საკმელი. ორი სამი დღის შემდეგ მსჯავრდებული კვდებოდა.

ანძახე აკმა, ანუ посажение на кол, შემდეგნაირად ხდებოდა: გაამაგრებდნენ მიწაში ხის პარს, რომლის სიგრძე ერთნახევარჯერ აღემატებოდა დამნაშავეს სიმაღლეს. ანძის ზედა წვეტზე დასვამდნენ დამნაშავეს უკან შეკრული ხელებით. სარის მახვილი წვეტი შედიოდა უკან ტანში (სწორ ნაწლავში) და სხეულის სიმძიმის შედეგად გამოდიოდა გარეთ ზურგში, მხრებს შორის ან წინა მხარეს, მკერდში. სიკვდილმისჯილი ცოცხლობდა ნახევარ ან ერთ დღეს.

„Колесование“ ანუ „დაბორბლეა“ ორი აქტისგან შედგებოდა: ჯერ ამტვრევდნენ დანაშაულის სიეულის ნაწილებს ბორბლით და შემდეგ დაღწილ სხეულს დადებდნენ ბორბალზე. პირველი აქტის დროს მსჯავრდებულს გააწვენდნენ მიწაზე პირადმა, გაშლილ ხელუხებს მიაკრავდნენ ოთხ სარზე, ქვეშ დაუდებდნენ დაღარულ ხეს. აწევდნენ ხის ბორბალს, რომლის ერთ მხარეზე მიმაგრებული იყო რკინის ბლაგვი ზოლი, დაარტყამდნენ რამდენჯერღვე დანაშაულის, რის შედეგად ხდებოდა ძვლების ესხვრევა. მეორე აქტის დროს პოძზე ჰორიზონტალურად ამაგრებდნენ ბორბალს, რომელზედაც დააკრავდნენ მსჯავრდადებულს და ბორბლის სოლებს შორის გაატარებდნენ სხეულს. ამ მდგომარეობაში სიკვდილმისჯილი კვდებოდა საშინელი ტანჯვა-წამებით.

„Цепь в лш и да шва“ — „Сожжение“ — მეფე ალექსი მიხეილისძის 1649 წლის დებულების მიხედვით გათვალისწინებული იყო სხვადასხვა რელიგიური დანაშაულობისათვის (ღვთის გმობა, ზკრებელობა, მისნობა, ჯადოქრობა, წმინდა მამათა და წერილთა გმობა. ცეცხლის წაქიდება და სხვ.). „Цепь в лш и да шва“ ხდებოდა კოცონზე ან ძელუო სახლში (срун), რომელსაც ქერი და სახტრაკი არ ჰქონდა. შეკრიდენ შივ ჩალას, რასაც გარედანაც შემოაყრიდნენ სახლს, შეაგდებდნენ სახლში დამნაშაულის იმ ნივთებიანად, რომლებიც ბოროტმოქმედებასთან იყო დაკავშირებული. წაიკითხავდნენ განაჩენს და საილთან ერთად წვაავდნენ დამნაშაულისაც.

„Повешение за реبری“ — „ნეკნით ჩამოკიდება“ — სიკვდილით დასჯის იმეფათი, გამონაკლისი სახე იყო. სახარბოვლაზე მიამაგრებდნენ რკინის კაკვს, რომელზედაც გვერდის ნეკნებით ჩამოჭიდებდნენ მსჯავრდებულს. კაკვის მახვილი წვეტი სხეულის გარეთ გამოდიოდა. ამგვარ მდგომარეობაში შუაზე მოზნეკილ დამნაშაულის სხეულის შუა ნაწილი ზევით, ხოლო თავი და თეხები ქვევით ჰქონდა ჩამოკიდებული. „ნეკნით ჩამოკიდება“ სიკვდილით დასჯის მეტად მწვეალებლური სახე იყო.<sup>1</sup>

სიკვდილით დასჯის ზემოაღნიშნული კვალიფიციური ფორმები განსაკუთრებით გავრცელდა რუსეთის სისხლის სამართალში XVII საუკუნეში, როცა ფეოდალური ექსპლოატაციით გამოწვეულ გლეხთა აჯანყების მონაწილეებს სასტიკად უსწორდებოდნენ თავადაზნაურული რუსეთის სამხედრო-ბიუროკრატიული მონარქიის მიერ საპოლიციო აპარატის მოსყიდულნი თვითნება მოხელეები და ლაქია მსახურები.

<sup>1</sup> Н. Д. Сергеевский. Наказание в русском праве XVII века, стр. 104—124.

ქართული ფეოდალური სამართლის საკანონმდებლო ძეგლები იცნობენ სიკვდილით დასჯის მხოლოდ ორ არაკვალიფიციურ ფორმას—თავის მოკვეთასა და ჩამოხრჩობას. ევსტათი მცხეთელის პარტიკულობაში ჩამოხრჩობას— „აღბმაჲ ძელსა“, ხოლო გიორგი III-ის 1170 წლის სიგელში „ძელსა ზედა დამოკიდება“ ეწოდება. „კათალიკოსთა სამართლის“ მე-2 და მე-3 მუხლი ისეთი მძიმე დანაშაულისათვის, როგორცაა „კაცის გაყიდვა“ და „ექლესიის მკრეხელობა“, ადგენს—დამნაშავე „ძელსა მიეცეს“, ანუ ჩამოხრჩობილ იქნასო. სიკვდილით დასჯის არაკვალიფიციური სახე ღალატისა და უბრალოდ ცოლის დაგდებისათვის გათვალისწინებულია „კათალიკოსთა სამართლის“ მე-17-სა და 23-ე მუხლებში, რასაც „სიკუდილით განპატიჯება“ ეწოდება. 23-ე მუხლი ითვალისწინებს აგრეთვე სიკვდილით დასჯის კვალიფიციურ ფორმას. ოძლის შერთვისათვის დამნაშავე „კაციცა და დედაცაცცა გაღმა-გამოღმა დაკირონო“. სამთავნელის სარგოს გარიგების 1459 წლის წიგნში ნათქვამია: ნათესავთან სქესობრივი კავშირისათვის დამნაშავენი „ქვეით ჩაიქოლონო“. სიკვდილით დასჯის სხვა კვალიფიციური ფორმები ძეგლებში არ გვხვდება. ქართული სამართლის მიხედვით სიკვდილით დასჯა და ასოთა მოკვეთა მეფის სასამართლო კომპეტენციას შეადგენდა. ვახტანგის სამართლის 95-ე და 258-ე მუხლებიც მიუთითებენ, რომ „უქელმწიფოდ კაცს თავისის ყმისა სიკუდილი და გახეიბრება არავის ტელეწიფების“, ე. ი. სიკვდილით დასჯა და ასოთა მოკვეთა მეფის იურისდიქციას შეადგენს. ამავე დებულებას შეიცავს ბაგრატ კურაპალატის სამართლის 152-ე მუხლიც.

ქართული სამართლის ძეგლებში სიკვდილით დასჯის შესახებ მიტად მკრთალი და არასაკმაო ცნობებია შემონახული. აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილის აზრით „საერთოდ სიკვდილით დასჯა იშვიათი სასჯელი იყო საქართველოში. ქართული სისხლის სამართლის ასეთი უბაღლესი სასჯელი მარტო მეფისა და სახელმწიფოს ღალატისათვის არსებობდა, აგრეთვე მეფის პირადი საჯარო შეურაცხუფისა და მეკობრეობისათვისაც“<sup>1</sup>.

დამახინჩრებელი სასჯელები. ძველ ქართულ სამართალში ისეთ სასჯელებს, რომლებითაც დამნაშავეს სხეულის რომელიმე ორგანო ანუ ასო უნდა მოჰკვეთოდა, „ასოთა მიღება“ ეწო-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, წიგნი მეორე. 1929 წ., გვ. 521—522.



დებოდა. ასოთდამაზიანებელი სასჯელები გულისხმობდნენ ხელის ან ფეხის, ან ორივეს ერთად მოკვეთას, ენის მოჭრას, თვალების დაწვას და სხვ. ენის მოკვეთა ნეფის საჯაროდ სიტყვიერი შეურაცხყოფისათვის იყო დაწესებული.

ბეჟა-ალბუღას სამართლის წიგნის ბოლოში დართული კანონიკური სამართლის ერთი მუხლი ითვალისწინებს ასოთდამაზიანებელ სასჯელებს. 167-ე მუხლის თანახმად „რომელმანცმა კაცმან რა გინდა რა მოიპაროს და გამოჩინდეს, ორნივე თუალნი დაეწუნენ და ანუ ჯელ-ფერჯი დაეჭრას“... , თუ დანაშაული ჩადენილია „საპატიოსა ადგილსა“. მაგრამ კურაპალატის სამართლის 152-ე მუხლის თანახმად კი (საპატიო ადგილად ითვლება: „დიდი სალარო, ან ეკლესია, ან ჯოჯი, ან ლალატი“. „ლალატი“ სახელმწიფო დანაშაულია. რომელიც უმჯლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლებიან წინააღმდეგ არის მიმართული. მაგრამ „ლალატი“ ანავე დროს მეტად ფართო მნიშვნელობის დანაშაულია. „ლალატი“ ძალვით, რუხთლობით, დაუნდობლობით ჩადენილი ბოროტმოქმედებაა. მკვლელობა, ორჯულობა, ციხისა და მამულის წარღმევა, ცილისმწაებლური დასმენა, თავდასხმა, მკრებელობა, ეკლესიის შეურაცხყოფა და მთელი რიგი სხვა დანაშაულობანი ღალატს წარმოადგენენ. 167-ე მუხლის თანახმად, თუ ბოროტმოქმედმა ხელყო ზემოაღნიშნული ოთხი ობიექტი, მას „ასოთა მიღება“ უნდა შეეფარდოს — „ორნივე თუალნი დაეწუნენ და ანუ ჯელ-ფერჯი დაეჭრას“. მაგრამ თუ ქურდობა „საპატიოსა ადგილსა“ არ ჩაუდენია, ქურდმა ნაპარევი უკლებლივ პატრონს უნდა დაუბრუნოს და მას საეკლესიო სასჯელი — შეჩვენება — უნდა შეეფარდოს: „კრულ, წყეულ და შეჩუენებულნი იყავნ“. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილის აზრით დამნაშავეს ორივე თვალის დაწვას მაშინ უფარდებდნენ, როცა ქურდობა ჩადენილი იყო „საპატიოსა ადგილსა“, ხოლო, თუ ქურდობა „საპატიოსა ადგილსა“ არ იყო ჩადენილი, მაშინ ქურდს მხოლოდ ხელ-ფეხის მოკვეთას მიუსჯიდნენ<sup>1</sup>. მაგრამ, ჩვენი აზრით, 167-ე მუხლი არ იძლევა ასეთი დასკვნის საფუძველს და ვფიქრობთ განსვენებული მეცნიერის კომენტარები სწორი არ უნდა იყოს:

ორივე თვალის დაწვა, ან ხელ-ფეხის დაქრა კანონმდებელს თანაბარ სასჯელად მიაჩნია და მის შეფარდებას მოითხოვს მხო-

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი პირველი, 1928 წ., გვ. 115; წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, 1929 წ., გვ. 317.

ლოდ იმ შემთხვევაში, როცა დანაშაული ჩადენილია „საპატიოსნა ადგილსა“. ამავ დროს კანონი ადგენს, რომ ასეთი სასჯელის შეფარდებისა და აღსრულებისათვის საჭიროა მეფის ან უდიდებულესი კაცის თანხმობა. მათი ნებართვის გარეშე არ შეიძლება სასჯელის შეფარდება, „მეფისა და უდიდებულესის კაცისაგან კიდე თულთა დაწუასა არავინ ღირსა“ (152); ასოთა მოკვეთა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დანაშაული ჩადენილია „საპატიოსნა ადგილსა“. ასეთ სასჯელზე რომ მეფის თანხმობა იყო საჭირო, ეს ჩანს თამარ მეფის ისტორიკოსის თხუზულებიდანაც. თამარ მეფეს ამ უფლებით უსარგებლია და სასიკვდილო და დამასახიჩრებელი სასჯელის შეფარდებაზე ნებართვას არ იძლეოდაო, აღნიშნავს მემარტიანე.

მაგრამ, თუ მეფისა და უდიდებულესი კაცის დასტურის გარეშე „კაცმან კაცს თულანი დასწუნეს“, სისხლის გარდა ოცი ათასი თეთრი დაუურვოს, რადგან დამნაშავე მუდამ სასჯელსა და სირცხვილში იქნება და „ერთხელ სიკვდილი სჯობსო“, მიუთითებს 151-ე მუხლი. თუ „კაცმან ძმას თულანი დასწუნეს... ანუ მოჰკლეთოს რაჲმე ასოთაგანი, სისხლი სრული და სანახშირო ჟნდა დაუურვოს და გარდა ამისა „კრულ და წყეულ, შეჩვენებულ იყავნ. და ცუდმცა არს და ამაო საჯსენებელი, სიცოცხლე და სიკუდილი მისიო“, ნათქვამია კანონიკური სამართლის 162-ე მუხლში. ამრიგად, სამართლის წიგნი თვითნებურად „თულთა დაწუას“ ან „ასოთა მოკუეთას“ მეტად მძიმე დანაშაულად თვლის და ბოროტმოქმედს სასტიკ სასჯელს უწესებს.

ზემოთ აღნიშნული დამასახიჩრებელი სასჯელები თამარ მეფის წინა ხანას მიეკუთვნება. ამიტომ მცდარია უკანასკნელ დროს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმული აზრი ბექა-აღბულას სამართლის წიგნში გათვალისწინებულ სასჯელთა წარმოშობისა და გეოგრაფიული ხასიათის შესახებ. „სასჯელის ეს მეტისმეტად მკაცრი ზომები ბექასა და აღბულას კანონთა კრებულში შეტანილია მონგოლური სამართლის ველურ პირობათა უდავო გავლენით უკანასკნელმა დიდი გავლენა მოიპოვა იმდროინდელ კანონმდებლობაზე მთელი რიგი სისხლის სამართლებრივ დადგენილებათა მიმართ, რომლებიც კანონთა კრებულში შექმონდათ წინააღმდეგ ქართველი ხალხის ძველთა-ძველი შეხედულებისა მათ შესახებ“<sup>1</sup>. როგორც

<sup>1</sup> ბ. ფურცხვანიძე. ადამიანის პატიოსნა და ღირსების დაცვა სისხლ. სამართლის კანონმდებლობაში, 1949 წ., გვ. 146.

ზემოთ დავინახეთ, აღნიშნული სასჯელები გათვალისწინებულია ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკური სამართლის XI საუკუნის ძეგლებით, რომლებზედაც, ცხადია, მონგოლები ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენდნენ.

• გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“ არ იცნობს დამასახიჩრებელ სასჯელებს—ასოთა მოკვეთასა და თვალთა დაწვას. ნხოლოდ „კათოლიკოზთა სამართალმა“ აღადგინა ეს სასჯელი XVI საუკ. შუა წლებში. სამართლის წიგნის მე-4 მუხლში აღნიშნულია, რომ, თუ ვინმე ეკლესიიდან რაიმე ნივთს მოიპარავს ასოთდამაზიანებელი სასჯელი შეეფარდოსო: „კაცი დაშავდეს“ და მოპარული ნივთი ეკლესიას დაუბრუნოსო. მე 5 მუხლი „ველის მოკვეთას“ და გაძევებას აწესებს მძიმე დანაშაულისათვის—ძმის ან მათის მოკვლისათვის.

ვახტანგის სამართლის წიგნი ასოთდამაზიანებელ სასჯელს (თვალისწინებს მხოლოდ ხუთიოდე მუხლში და თანაც მიუთითებს, რომ ასეთი სასჯელის შეფარდება „ველწიფეს მოაქსენოს და იმისის დასტურით უყოსო“. დამასახიჩრებელ სასჯელს ვახტანგის სამართალი „გახეიბრებას“ უწოდებს. ხელმწიფის ლაშქრიდან ლალატით მტრის მხარეზე გადასული კაცის „ფერჯის მოკვეთა ჯერ-არს“. დამნაშავე ან განდევნილი უნდა იქნას სამშობლოდან, რასაც „გალარიბება“ ეწოდება, ან ფეხი მოეკვეთოს. ორივე სასჯელის შეფარდება კი ერთდროულად არ შეიძლება, („გალარიბება და გახეიბრება ორივე არ არის“; მუხ. 220). გახეიბრებას ითვალისწინებს სამართლის წიგნი აგრეთვე ბისანთა და კუდიანთა მიმართ, რომლებიც გრძნეულებასა და ჯადოქრობას მისდევენ. ასეთი ბოროტმოქმედებისათვის „მისანნი და კუდიანნი გასახეიბრებელი არისო“ (მუხ. 251). და ბოლოს, ბატონის ხელით შეურაცხყოფისათვის დამნაშავეს „ველი მოეკვეთოს“, ხოლო პირადი შეურაცხყოფისათვის „ენა მოეჭრას“ (მუხ. 259), ან ხელისა და ენის ფასი გადახდესო. მაშასადამე, დაშვებულია სასჯელის ქონებრივი საზღაურით ან თუქლით გამოსყიდვა.

აკად. ა. შანიძეს აზრით დამასახიჩრებელი სასჯელის მნიშვნელობით უნდა იხმარებოდეს ვახტანგის სამართალში (მუხ. 13 და 97) და „საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი ჰსჯულნის“ 71-ე მუხლში სიტყვა „ნასალი“<sup>1</sup>. მაგრამ კონკრეტულად კანონმდებელი არ

<sup>1</sup> ქურნალი „მნათობი“, 11—12, 1942 წ., გვ. 218.

მიუთითებს, თუ რა შინაარსის შემცველი სასჯელია „ნასალი“. თანაც ის გარემოება, რომ ვახტანგის სამართლით დამასახიჩრებელ სასჯილებს „გახეიბრება“ ეწოდება, გვაფიქრებინებს, რომ შესაძლოა „ნასალი“ სხვა შინაარსის შემცველი სასჯელიც იყოს და დამნაშავეს კარმიდამოს დარბევას, აკლებასა და აფორიაქებას ნიშნავდეს.

ასოთა მოკვეთას ანუ დამასახიჩრებელ სასჯელებს ფართოდ იყენებს ბიზანტიური სამართლის ქართული ვერსია — „სამართალი ბერძული“. ბიზანტიურმა სამართალმა IX—X საუკუნეებში შეიმუშავა ასოთდამაზიანებელი სასჯელების მრავალი სახე.

„სამართალი ბერძული“ დამასახიჩრებელი სასჯელების შემდეგ სახეებს იცნობს: ერთის ან ორივე ხელის მოჭრას, ერთის ან ორივე ფეხის მოჭრას, ხელისა და ფეხის მოკვეთას ან ორივე ხელისა და ფეხის მოკვეთას, ცხვირის მოჭრას, ენის მოკვეთას, თვალის მოთხრასა და სხვ.<sup>1</sup> სასჯელის სახე განისაზღვრება დანაშაულის სიმძიმის მიხედვით. ერთი ხელის მოჭრა გათვალისწინებულია ლაშქარში პირუტყვის მოპარვისა, ფარულად ნოკრილი ფულის გამოყენებისა, სხვისი პირუტყვის დადაღვისა და სხვა აპგვარი დანაშაულისათვის. ორივე ხელის მოკვეთა უნდა შეეფარდოს დამნაშავეს გააზტებული კაცის გაყიდვისა ან გაჩუქებასათვის, ქრისტიანი კაცის თვითნებური დაპატიმრებისათვის, პირუტყვის სამჯერ მოპარვისათვის, ან ყალბი ფულის მოჭრისათვის. ხელ-ფეხის მოჭრა, ან ორივე თვალის მოთხრა გათვალისწინებულია კაცის მკვლელ მეკობრეთა შეთაურისა, რეციდივისტი ქურდისა და ეკლესიის მკრეხელთა მიმართ. ტყუილი ფიცისა ან მოწმობისათვის დამნაშავეს ენა უნდა ნოეჭრას. ქალწული ქალის გახრწნისა ან ქალის მოტაცებაში მონაწილეობისათვის დამნაშავეს ცხვირი უნდა მოეჭრას. სამართალი ბერძული“ 67-ესა და 63-ე მუხლში აღიარებს ტალიონის პრინციპს — „თუალი თუალისა წილს“, — ე. ი. დანაშაულისათვის თანაზომიერ სასჯელს. ვინც სხვას ერთ ან ორ თვალს მოთხრის, მასაც ერთი ან ორი თვალი უნდა მოეთხაროს. მაგრამ, თუ დამნაშავე „მდიდარი კაცი არის, მისი თუალის მოთხრა და ანუ ხელის მოჭრა არ ეგების და თავისის საქონლით უნდა მოიჩქეს“, ხოლო, თუ დამნაშავე „ღარიბი იყოს და შეუძლებელი, მას თვალი მოეთხაროს, ანუ ხელი მოეჭრასო“ (მუხ. 68.).

<sup>1</sup> «სამართალი ბერძული» მუხ. 34, 35, 67, 65, 79, 152, 153, 176, 244, 257, 316, 335, 336, 377, 386, 406; საქ. სახ. მუხ. ხელნაწერი S 3683.

დამახასიათებელია, რომ ბიზანტიის ფეოდალური სამართალი სასჯელთა სისტემაში შეუნიღბავად ატარებს წოდებრივი და უფლებრივი უთანასწორობის პრინციპს. 35-ე მუხლის თანახმად, თუ დამნაშავეს „არ შეეძლოს და არა ჰქონდეს რა, მარტენა ხელი მოეჭრას“. დამნაშავე, რომელმაც წამლით დედაკაცს მუკელში შეილი მოწყვიტა, „უკეთეს ღარიბი იყოს, მეფემ შეიპყრას, სცეს, გაკრიქოს, ლაფი დაასხას, ვირზე შესვას და ბაზარში შეარცხვინოსო“ (მუხ. 77). თუ ქალის მშობლების ნება არ იყო დაქორწინებისათვის და კაცი მაინც წაიყვანდა ქალს. თუ დამნაშავე „გლახა ღარიბი იყოს და არა ჰქონდეს რა, ძლიერად ეცეს, ლაფი დაასხან და ბაზარში შეარცხვინონ და ნისი სამკვიდრებელისაგან განგდებული ყონ კაცი იგი.“ ხოლო, თუ კაცი მდიდარი იყოს, „ას ორმოცდაათი ფლური“ გადაუხადოს ქალსო (მუხ. 80). ქურდობისათვის დამნაშავემ ნიეთის პატრონს „ორი ზომა მისცეს. მაგრამ, თუ „ქურდი ღარიბი და უქნელი იყოს, ეცეს ძლიერად, ის გამოერთვას, რაც მოუპარავს და ექსორია იქნასო“ (მუხ. 318). ბიზანტიური სამართალი აღგენს: „ღარიბთა კაცთა მოწმობა არ დაიჯერება. ღარიბი ის არის, რომე სამი ათასი თეთრი არა ჰქონდეს“ და, თუ ასეთი კაცი ტყუილ მოწმობას გაწევს, „ენა მოეჭრასო“ (მუხ. 152). ანრიგად. „სამართალი ბერძული“ აღიარებს რა ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით აშკარა უფლებრივ უთანასწორობას, სასტიკად სჯის ვალატაკებულ ყმა-გლეხობას.

ასოთდამაზიანებელ სასჯელებს იცნობს მხითარ გოშის სამართლის წიგნიც, რომელიც შედგენილია XII საუკუნის დასასრულს და XVIII საუკუნის დასაწყისში თარგმნილია ქართულად და პოთავსებულია ვახტანგის კანონთა კრებულში. დამასახიჩრებელი სასჯელის გავრცელებულ ფორმებს სომხურ სამართალში „თვალის მოთხრა“ და „ქელის მოჭრა“ შეადგენს.<sup>1</sup>

დასავლეთ ევროპის ქვეყნების ფეოდალური სამართალიც ფართოდ იყენებს დამასახიჩრებელ სასჯელებს. ინგლისის 1164 წლის ე. წ. „კლარენდონის კონსტიტუციების“ მე-11 მუხლში აღნიშნულია, რომ ბარონები და მეფის ვასალები ზონაწილეობას უნდა აღებდნენ მეფის კუროის გადაწყვეტილებებში, „ვიდრე გასამართლების საქმე არ მივა ასოთა მოკვეთამდე ან სიკვდილამდე“ (usque dum perveniatur in iudicio ad diminutionem membrorum

<sup>1</sup> „სამართალი სომხური“, ქართული ენისა. ლ. მელიქსეტი-ბეგის გამოცემა, 1927 წ., მუხ.: 152, 155, 178, 208, 209, 234, 281, 412, 413, 414 და 416.

vel mortem). მაშასადამე, ასოთა მოკვეთა და სიკვდილით დასჯა ზუ-საუკუნეების ინგლისის ფეოდალური სამართლის მიხედვით უშალღესი სასამართლო ინსტანციის, ძეფის კომპეტენციას შეადგენს. 1176 წლის „ნორტჰემპტონის ასიზის“ პირველი მუხლით ფარული მკვლელობის, ძარცვის, ყაჩაღობის, ყალბი ფულის მოკოისა და ცეცხლის წაკიდებისათვის დამნაშავემ „ფეხთან ერთად უნდა დაკარგოს აგრეთვე მარჯვენა მუშტი და უნდა დატოვოს სამეფო“ (pugnam cum pede amittat, et regnum abiuret).<sup>1</sup>

ასოთდამაზიანებელ სასჯელებს იცნობს ფეოდალური საფრანგეთის კუტიუმების ანუ ადათობრივი სამართლის წიგნი. რონელიც XIII საუკუნეში შეადგინა ცნობილმა ფრანგმა იურისტმა ბომა-ნუარმა. დამასახიზრებელ სასჯელებს ითვალისწინებს აგრეთვე მთელი რიგი სამეფო ორდონანსებიც.

ევროპის ფეოდალური სახელმწიფოებიდან ასოთდამაზიანებელ სასჯელთა ყველაზე უფრო განვითარებულ სისტემას იცნობს გერმანიის იმპერატორის კარლოს V-ის მიერ შედგენილი სისხლის სამართლის დებულება-- „კაროლინა“. აქან ძველის მიხედვით დამასახიზრებელ სასჯელებს მეტისმეტად მძიმე ტანჯვა-წამების ხასიალი აქვს.

ქრუსეთის ფეოდალურ სისხლის სამართალში ასოთდამაზიანებელმა სასჯელებმა განსაკუთრებით ფართო გავრცელება მიიღო XVII საუკუნეში; მეფე ალექსი მიხეილისძის 1649 წლის დებულებაში აღნიშნული ძველი იცნობს ასოთა მოკვეთის მრავალ სახეს: ხელფეხის, ყურებისა და ენის მოკრას, ნესტოების მოგლეჯასა და ცხვირის მოკვეთას. XIV საუკუნიდან ცნობილი იყო აგრეთვე ლოყების შანთით დაღალვა.

ქართული სამართალი, როგორც დავინახეთ, ასოთა მოკვეთას იშვიათად იყენებდა.

ხელთა მიცემა. სასჯელის განსაკუთრებულ სახეს წარმოადგენს დამნაშავეს „ჩელთა მიცემა“, ე. ი. ბოროტმოქმედი პირის დაზარალბულის განკარგულებაში გადაცემა. ბექას სამართლის 36-ე მუხლის მიხედვით, თუ მკვლელობა ჩადენილია ისე, რომ ამის შესახებ დამნაშავეს პატრონმა წინასწარ არაფერი იცოდა, მაშინ პატრონმა ბოროტმოქმედი დაზარალბულის ნათესაებს უნდა გადასცეს ადგილ-მამულით („პატრონი მამულითურთ მას გაუპატივებულთა ჩელთა მისცემს“) და რაც უნდა, დამნაშავეს ის უყონო. დაზარალბულის ნემკვიდრეები კი დამნაშავეს პატრონისაგან უკვე სისხლის ანაზღაურებას ვეღარ მოითხო-

<sup>1</sup> Памятник истории Англии XI—XIII вв., 1936 г., стр. 64,74.

ვენ, რადგან დანაშაულში პატრონს ბრალი არა აქვს და დამნაშავე კი მამულიანად დაზარალებულის ოჯახს ნიეცა. მაგრამ, თუ პატრონი დამნაშავეს მამულითურთ არ გადასცემს დაზარალებულის ოჯახს, გვარის მიხედვით ერთნახევარი სისხლი უნდა დაუფრვოს. საყურადღებოა, რომ დამნაშავე, ანუ „ავის მქნელი“, რომელიც დაზარალებულს, ანუ „გაუპატივებულს“, გადაეცა, სრულიად უუფლებო მდგომარეობაში ვარდება, იგი არავითარი დაცვით არ სარგებლობს. დაზარალებულის ნათესაეებს შეუძლიათ, ხელთ მიცემულ დამნაშავეს „რაცა უნდა, უყოს“. კანონის ასეთი მითითება. ცხადია, სიკვდილ-სიკოცხლის უფლებასაც გულისხმობს, უკეთეს შემთხვევაში, დამნაშავე მონობაში ვარდებოდა და ყოველგვარ პირად და ქონებრივ უფლებებს კარგავდა.

(მაგრამ კურაპალატის სამართლის მიხედვით „ქელთა მიცენა“ უფრო ხშირად მეკობრეთა მიმართ იყო გამოყენებული. მეკობრე-მძარცველებს სასტიკად სჯის სამართალი.) კანონი განსაკუთრებით დევნის იმ ბოროტმოქმედებს, რომლებიც გაძაოცვის მიზნით თავს ესხმიან ეკლესიას. თუ მეკობრეებმა ეკლესია გატეხეს და ამის შესახებ ბოროტმოქმედთა პატრონმა წინასწარ არაფერი იცოდა, რაც მან ფიცით უნდა დაამტკიცოს, მაშინ დამნაშავენი „ქელთა მისცეს“ დაზარალებულს და ნაძარცვი ქონებაც უკლებლივ უნდა დაუბრუნოს. დაზარალებულებმა დამნაშავეებს „რა გინდა უყონ, ნუ დაემდურებიან“ ამბობს კანონმდებელი (მცხ. 113). „ქელთა მიცემა“ უნდა შეეფარდოს დამნაშავეს იმ შემთხვევაშიც, როცა ეკლესია გატეხილი იქნა მტრობისა და შურის ნიადაგზე. თუ მეკობრეთა პატრონმა ჩადენილი დანაშაულის შესახებ წინასწარ არაფერი იცოდა, რაც მან ფიცით უნდა დაამტკიცოს, იგი ვალდებულია დაზარალებულს „მეკობრე ქელთა მისცეს“ და დაზარალებულებმა დამნაშავეს „რა გინდა უყონ, ნუ ემდურვის“. მაგრამ, თუ პატრონი დამნაშავეს დაზარალებულს არ გადასცემს, მაშინ თვით მეკობრემ ხუთი ათასი თეთრით უნდა ზლოს და ნაძარცვი ქონებაც უკლებლივ დაუბრუნოს დაზარალებულს.

ზოგჯერ ხდებოდა, რომ მეფის დიდ მოხელეს ან იმის ხელქვეით კაცს, ვასალს, მცირე რამ დანაშაულის ვამო სისხლის ანგარიშში დამნაშავეს მისცემდნენ. ეს ჩანს აღბეღას. სამართლის უკანასკნელი 98-ე მუხლიდან, სადაც ნათქვამია: „თუ დარბაზის კაცის ყმას მცირე სისხლით კაცი ჰყვეს, მიესარჩლოს, გაუშვებლობას არ ემართლებიან“. სისხლში კაცის მიცემა დროებით ხდებოდა, რადგან თვით საქმი, რის გამოც დამნაშავე პირი სხვას გადაეცა, მცირე-

მნიშვნელოვანია. ამიტომ, განსაზღვრული დროის შემდეგ, თუ „მცირე სისხლით“ სხვასთან მყოფი კაცი წასვლას განიზრახავდა, მას უფლება ჰქონდა წაეღო ყველაფერი, რაც იქ მიიტანა და ნახევარი იმისა, რაც იქ შეიძინა, გარდა სამამულო ქონებისა. ამრიგად, „მცირე სისხლით“ კაცის დაკავება, „ჯელთა მიცემას“ ჰგავდა, ნაოლოდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ იგი დამნაშავე პირის დროებით უფლებრივ შეზღუდვას გამოხატავდა, მაშინ როცა „ჯელთა მიცემა“. რაც ბოროტმოქმედს მძიმე დანაშაულთა გამო უნდა შეფარდებოდა, გულისხმობდა დამნაშავეის მუდმივ მონობაში ჩაგარდნას.

„ჯელთა მიცემის“ ინსტიტუტის ერთ-ერთ უძველეს ფორმას ვხვდებით ჯერ კიდევ XII ტაბულის კანონებში. რომის სამართლის ეს უძველესი ძეგლი იცნობს ვალის (iuxta) ხელშეკრულებას. თუ დებიტორი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალის გასვლის შემდეგ 30 დღის განმავლობაში ვალს ვერ გადაიხდიდა, კრედიტორი მას „ხელს დაადებდა“ (manum iungere) და მაგისტრატის სასამართლოში მიიყვანდა. თუ მოვალეს არავინ დაუდგებოდა თავდებად (vindex), კრედიტორს მოვალე სახლში მიჰყავდა და 60 დღეს ბორკილშემბული ჰყავდა. ამ ხნის განმავლობაში სამ სავაჭრო დღეს ბაზარში გამოჰყავდა გასაყიდად; თუ არავინ გამოისყიდდა, იგი მუდმივ მონობაში ვარდებოდა.

ბიზანტიური სამართალიც იცნობს დამნაშავეის დახარალებულზე გადაცემას მიყენებული ზარალის სახლურის ანგარიშში. „სამართალი ბეძული“ აღგენს, რომ, თუ ნასყიდი ყმა ქურდობდეს, მისა ბატონმა დახარალებულს „ქურდი მისცესო“ (მუხ. 312). მხითარ გოშის „სომხური სამართლის წიგნი“ აღგენს, რომ დამნაშავეს „გამოართვან იგი, რაც მოუპარავს, და სახლ-კარი და რაც აქუს, და თავიც გაასყიდინონ“. მკვლელობის შემთხვევაში ხელმოკლე და ღარიბი დამნაშავე გაყიდული უნდა იქნას სისხლის ფასში („თუ გლახა იყოს, გაიყიდოს თავის ქონებითა და მისცენ ფასში მისი სისხლის ფასათ“; მუხ. 152).

„ჯელთა მიცემა“ ცნობილია შუა საუკუნეების ევროპისა და რუსეთის სამართალშიც.

ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებიდან გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დება“ და „კათოლიკოზთა სამართალი“ არ იცნობს „ჯელთა მიცემას“ როგორც სასჯელის სახეს. /

საკუთრივ ვახტანგის სამართლის წიგნი „ჯელთა მიცემას“ რამდენიმე მუხლში ითვალისწინებს სხვადასხვა დანაშაულობათა გამო.



როცა ვინმეს დანაშაულში ბრალი ედება მთხრობლით ანუ პოროც-მოქმედების მათუწყებელი კაცით, ბრალდებული და მთხრობელი ხმალში უნდა გავიდნენ და, თუ მთხრობელი დამარცხდა, ბრალდებულს „მთხრობელი ჯელშეკრული უნდა მიეცეს და მთელი სიხალიც“ მან გადაუხადოს (მუხ. 38). ასეთივე დებულებას ითვალისწინებს 39-ე და მე-40 მუხლებიც. თუ აზნაურმა ან გლებმა უფროსი კაცი მოკლას, „მესისხლე კაცი თავის ნასყიდის მამულითა, რაც ვრჯებოდეს, და თავის კერძის საქონლით ცოლ-შვილითა ჯელში მისცენ, რაც უნდა, უყოსო“ (მუხ. 75). ქურდმა თუ ღამით ბინა გაძარცვა. ნაქურდალი „შვიდეულად უზღოს“ და დაზარალებულ ცოლ-ქმარს გვარის მიხედვით ნახევარ-ნახევარი სისხლიც უზღოსო. თუ ქურდი კანონით გათვალისწინებულ სახლურს ვერ გადაიხდის, „თავისის ცოლ-შვილით, ქონებით და ნასყიდით მიეცეს“ დაზარალებულსო (მუხ. 151).

ძოწაწლივით კაცის მოკვლა მკვლევლობის ყველაზე მძიმე სახეა. ამიტომ დანაშავემ ორკეცი სისხლი უნდა გადაუხადოს დაზარალებულის ოჯახს და გარდა ამისა „ჯელნი ის ძომწამლავი მიცეცემის მოსისხარს“ (მუხ. 252).

ამრიგად. ბაგრატ კურაპალატის, ბექა ნანდატურთ-უხუცესისა და ვახტანგის სამართლის წიგნები ითვალისწინებენ „ჯელთა მიცემას“, როგორც სასჯელის ერთ-ერთ სახეს, რომელიც გულისხმობს დანაშაულის დაზარალებულისა ან მისი ოჯახის განკარგულებაში გადაცემას.

**ხელთა შეპყრობა.** ძველ ქართულ სამართალში დაპატიმრებას „ჯელთა შეპყრობა“ ეწოდება. დაპატიმრების შესახებ მეტად მკირეოდენი ცნობებია შემონახული ბექა-აღბულას სამართალში. ბექას სამართლის მე-18 მუხლი ადგენს: თუ კაცმა მისი მომღვრავი კაცი მისსავე ადგილ-მამულში ნახოს და მტრობისა და სამღურავის გამო „შეიპყრას“ და სახლში მიიყვანოს, „სადა გინდა სასამართლოდ შეიყარნენ“, სისხლის ნახევარი უნდა დაუურვოს და წაღებული ქონებაც უკლებლივ უნდა მისცესო. ასეთ თვითნებურ მოქმედებას კანონი თვლის პატრონის წინააღმდეგ მიმართულ ქმედობად („პატრონისათვის უწყესო უყოფიაო“). პატრონ-ათაბაგის კაცებს, ანუ მის ვასალებს, უფლება არა აქვთ ერთმანეთის მიმართ გამოიყენონ თავისუფლების აღმკვეთი ზომა. დიდებულთა, აზნაურთა და სხვა ვასაღთა „ჯელთა შეპყრობა“ მხოლოდ ათაბაგს შეუძლია, მის უფლება მოსილებას შეადგენს („პატრონისა მეტი კაცი კაცისას ჯელთა შეპყრობასა არა

ღირსა“). დაპატივრების უფლება მხოლოდ პატრონის კომპეტენციას შეადგენს.

„ველთა შეპყრობას“ ითვალისწინებს აგრეთვე ბეჭა-აღბუღას კანონებში შემონახული ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნი (მუხ. 101—104). ზემოაღნიშნულ მუხლებში კანონმდებელი კრძალავს საერო ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ სასულიერო პირთა „ველთა შეპყრობას“. ეპისკოპოსმა რომ მეფის მიმართ რაიმე დანაშაული ჩაიდინოს, მეფეს მისი დაპატიმრება არ შეუძლია („მეფისაგან ველად შეპყრობა არა ეგების“), ეპისკოპოსი მეფეს უნდა შეეხვეწოს, შეეყვდროს, პატიება სთხოვოს. მეფე კანონიერად და სამართლიანადაც რომ გაუწყრეს ეპისკოპოსს, „ველთა შეპყრობა არც მაშინ მოჭდების, ამისთვის რომე მეორე მეფე ეპისკოპოზი არის“. ნოდღერაჲ. მღვდელმა და მონაზონმა მეფის, ეპისკოპოსის, ან სჯულის წინააღმდეგ რაიმე დანაშაული რომ ჩაიდინონ, „ველთა არავისაგან შეიპყრობის“, საქმე უნდა გამოიკვლიონ, განიხილონ და შესათერი სასჯელი მიუზღონ.

დიდებულმა, აზნაურმა ან სხვა ვინემ მღვდელი ან მონაზონი რომ „პძლავრებით ველთა შეიპყრას“, დამნაშავემ დაზარალებულს გვარის ღირსების მიხედვით სრული სისხლი და ხუთი ათასი თეთრი კიდევ სხვა უნდა დაუთუოოს. ბაგრატ კურაპალატის სამართლის 159-ე მუხლის თანახმად „ველთა შეპყრობა“ იწვევს საეკლესიო ჯარიმის „საპიროს“ გადახდას, რომელიც განსაზღვრულია ხუთი ათასის თეთრის ოდენობით. ამრიგად, კანონი კრძალავს სასულიერო და საერო პირთა თვითნებურ „ველთა შეპყრობას“. რაც შეეხება საერო ხელისუფლების წარმომადგენლებს, დიდებულებს, აზნაურებსა და სხვებს, მათი „ველთა შეპყრობა“ მეფის ან უდიდებულესი კაცის უფლებამოსილებას შეადგენდა. სამცხე-საათაბაგოში კერძოდ ეს უფლება, როგორც დავიანახეთ, პატრონ-ათაბაგს ეკუთვნოდა.

მამულისაგან გაყენება. ბაგრატ კურაპალატის სამართლის 150-ე მუხლის მიხედვით აზნაურის მიერ აზნაურის მოკვლის შემთხვევაში დამნაშავე სამ წელიწადს უნდა „მამულისაგან გააყენონ“ და მანუღი დაზარალებულის მკვიდრი ძმის მფლობელობაში უნდა გადავიდეს, ხოლო მეოთხე წელიწადს მამულიდან გაყენებული პირი მამულის მფლობელობაში უნდა შეუშვან და მამული მისცენ, მხოლოდ იმ პირობით, რომ დამნაშავემ ნათესავეებს სისხლი უნდა უზღოს. სამცხე-საათაბაგოში ოჯახის უფროსი მამა ოჯახის წევრთა მიმართ დიდი უფლებებით სარგებლობდა. ბექას სამართლის 58-ე მუხლის თანახმად მამას დანაშაულის ჩადენის გამო

შეუძლია შვილი ოჯახიდან გააძევოს. მამის სიკვდილის შემდეგ კი შვილს მამულის ბემკვიდრეობისა და საქმიანობის უფლებას ვერაფერს წაართმევს („ვერაფინ მოუშლის მემანულებასა“). მაგრამ, თუ მამულიდან გაძევებული შვილი შეურაცხყოფასა და უსიამოვნებას აყენებდა მამას ან სხვას, იგი მამის გარდაცვალების შემდეგაც არ უნდა იქნას დაშვებული მამულის საქმიანობაში; „ნურაფინ რას ასაქმებინებს მამულთა თანაო“, ამბობს „ანონმდებელი. თუ მამამ ოჯახიდან ნაშვილები გააძევა, შვილისაგან განსხვავებით. იგი ჰკარგავს ყოველგვარ უფლებას ადგილ-მამულის საქმიანობაში მონაწილეობაზე („შორს დადგა ყოელისა ნოსაქმეობისაგან“: მუხ. 59).

„მანულისაგან გაყენება“ უფრო საოჯახო-უფლებრივი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც გულისხმობს ოჯახის დამნაშავე წევრის განსაზღვრული ვადით ოჯახისა და მამულის საქმიანობისაგან გაყენებას. სწორედ ამით განსხვავდება იგი „გაძევებისაგან“; რასაც საჯარო ხელისუფლება მძიმე დანაშაულისათვის უფარდებდა დამნაშავეებს.

**ჩამომცრობა.** ბექას სამართალი იცნობს კიდევ სასჯელის ერთ სახეს. რომელსაც „ჩამომცრობა“ ეწოდება. სამცხე-საათაბაგოში პატრონი ჯაყელი სენიორი იყო, რომელსაც თავისი ვასალები—დიდებულები და აზნაურები—ჰყავდა. აზნაურები მათი ქონებრივი და უფლებრივი მდგომარეობის მიხედვით სამ ფენად იყოფილნენ. თვითუფლ ფენას თავის შესაფერი „სისხლი“ ჰქონდა გაქენილი. აზნაურთა ძირითად მოვალეობას სალაშქრო სამსახური წარმოადგენდა. პატრონი ათაბაგი სხვადასხვა დანაშაულებრივმა ქმედობის გამო—სამსახურის შეუსრულებლობის, დანაშაულის ჩადენის, უპატიურად ქცევისა და შეურაცხყოფისათვის ზოგჯერ დიდებულს, ხოლო უფრო ხშირად კი აზნაურს, საპატიო გვარით, მამულითა და „საჩინო წელით“, ანუ სამსახურით ჩამომცრობდა; „თუ პატრონი გასწყრომოდეს მამასა თუ შვილსა საქმესა ოასმე ზედა, ჩამომცროსო“, ამბობს სჯულმდებელი. ასეთი „ჩამომცრობა“ ჩვეულებრივად მაშინ ხდებოდა, როცა სალაშქრო ვალდებულების მქონე აზნაური „ვერლარა მისით წესითა მსახურებდეს მისთა პატრონთა“ („ჩამომცრობა“ მამულით, გვართა და სამსახურით ჩამოქვეითებას ნიშნავდა. ამის შესაბამისად მცირდებოდა ჩამოქვეითებული პირის საზღაური—„სისხლი“.

ამრიგად, ბექა-აღბუღასა და ბაგრატ კურაპალატის სამართლისათვის ცნობილია როგორც კომპოზიცია, ისე სხვა სასჯე-

ლებიც. სასჯელთა სისტემას საფუძვლად უდევს ფეოდალური სამართლის ძირითადი პრინციპი—აშკარა წოდებრივი და უფლებრივი უთანასწორობა, — რომელიც განსაკუთრებით მკაფიოდ ჩანს კომპოზიციების დაურევებაში. უფლებრივი პრივილეგიები ქონებრივი მდგომარეობით განისაზღვრება: რაც უფრო მდიდარი და შეძლებულია ამა თუ იმ წოდების წარმომადგენელი, მით უფრო მაღალი უფლებრივი მდგომარეობით სარგებლობს. საადგილმამულო საკუთრების ოდენობა იურიდიული მდგომარეობის განმსაზღვრელი საფუძველია. მამული, ვეარი და საჩინო ხელი სამი ძირითადი პირობაა, რომელთა მიხედვითაც ხდება სისხლის დაურევება. სასჯელთა სისტემის შესწავლა ცხადყოფს, რომ ფეოდალური სამართალი შეუნიღბავი სოციალური და უფლებრივი უთანასწორობის. ფეოდალური ექსპლოატაციისა და თვითნებობის, ანუ, როგორც მარქსი უწოდებს, „მეწეტის სამართალი“ იყო.

ბეჟა-აღბულას სამართლის წიგნი ქართული ფეოდალური სამართლის კოდექსია, რომელიც აკანონებს ყმა-გლეხის უუფლებო მდგომარეობას და მთელი სისასტიკით იცავს თავად-აზნაურობის კლასის ქონებრივსა და უფლებრივ ინტერესებს. ფეოდალური კანონმდებლობის ეს ძირითადი ამოცანა ნათლად არის გამოხატული სამართლის მთელ წიგნში, განსაკუთრებით იმ ნორმებში, რომლებიც სასჯელთა სახეებს შეიცავენ. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს. რომ სამართლის წიგნი არ იცნობს წმინდეს სასჯელების—წამებით სიკვდილით დასჯისა და დამასახიჩრებელი სასჯელების მრავალკვალიფიციურ სახეს, რომელსაც ადგილი ჰქონდა შუა საუკუნეების ევროპისა და რუსეთის სისხლის სამართალში. ეს გარემოება აიხსნება საქართველოს ისტორიული განვითარებით, მისი სახელმწიფოებრივი თავისებურებით, ფეოდალური დაქსაქსულობის ხანგრძლივი ბატონობითა და ცენტრალიზებული სახელმწიფო ხელისუფლების არ-არსებობით.

ფეოდალური ევროპისა და რუსეთის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიის შესწავლა გვიჩვენებს, რომ სასჯელთა მკაცრი და სასტიკი ფორმების გამოყენება უპირატესად დაკავშირებულია აბსოლუტიზმის წარმოშობასა და განვითარებასთან, ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდის დაძლევისა და ეროვნული ცენტრალიზებული სახელმწიფოების ჩამოყალიბებასთან. ფეოდალური საზოგადოების ისტორიაში ეს პერიოდი წარმოადგენს ყმა-გლეხობის უღმობელი ექსპლოატაციის ხანას. ფეოდალური დაქუცმაცების პერიოდში გლეხს უმთავრესად ერთი ექსპლოატატორი, „მისი პატრონი“ უხუ-

თავდა სულს. აპსოლუტური, ცენტრალიზებული მონარქიის დროს კი გლეხის ძარცვა-გლეჯაში საპი ძალა ეჯიბრებოდა ერთმანეთს: ფეოდალი, ეკლესია და სახელმწიფო. გლეხი ყოველმხრივ შევიწროებული იყო. ასეთმა მდგომარეობამ, როგორც ცნობილია, XVI—XVII საუკუნეებში გამოიწვია ყმა-გლეხთა რევოლუციები ევროპისა და რუსეთის ფეოდალურ სახელმწიფოებში. 1524—1525 წლის გლეხთა ომმა გერმანიაში წარმოშვა უსასტიკესი სისხლის სამართლის კანონმდებლობა—„კაროლინა“ (Constitutio Criminalis Carolina). „კაროლინას“ იმ საგულისხმეო მუხლებიდან, სადაც ჩამოთვლილია „ყურების მოკრა“, „ცხვირის მოკრა“, „თვლების დათხრა“, „თითებისა და ხელების მოკრა“, „დაწვა“, „დაბორბლეა“, „გახურებული მარწუხებით წამება“, „დაოთხვა“, არც ერთი არაა ისეთი, რომელიც მოწყალე ბატონსა და მფარველს შეხედულებსანებარ არ გამოეყენებინოს თავისი გლეხების მიმართ<sup>1</sup>.

რუსეთის მეფის ალექსი მიხეილისძის 1649 წლის დებულება, რომელიც ყმა-გლეხის მიმართ სასჯელის უღმობელ ზომებს ითვალისწინებს, გლეხთა აჯანყებებისა და კლასობრივი ბრძოლის მკვეთრად გამწვავების შედეგი იყო. ამ პერიოდის საისტორიო წყაროებში „გლეხთა აჯანყების მონაწილეებს ჩვეულებრივად „ყაჩაღებისა“ და „ქურდების“ („разбойников и воров“) რაზმებს უწოდებს.

ბეკა მანდატურთუხუცისისა და ალბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის წინასიტყვაობაში შემორჩენილია არაპირდაპირი ცნობა იმის შესახებ, რომ სამართლის წიგნის შედგენა და შედარებით მკაცრი სასჯელების შემოღება გამოწვეული იყო კლასობრივი ბრძოლის გამწვავებით მემამულეებსა და ყმა-გლეხებს შორის. ალბულა აღნიშნავს, „*ე ა მ თ ა ს ი ა ვ ი თ ა*“ სამცხე საათაბაგოში მასიური ქურდობა, მეკობრეობა და სხვა დანაშაულობანი წარმოიშვაო. განსაკუთრებით გავრცელებულა „ლაშქართა ცხენთა პარვა“. იმის გამო, რომ „მრავლისა ავისა მოქმედი კაცი არლარა ვის რა გარდაქლია წინათ *ე ა მ თ ა ა ქ ა თ პ ა ტ ი ე ი*“, ძველად დადგენილ სასჯელებს ახალი სასჯელებიც დავუმატეთ და სათანადო სამართალი გავაჩინეთო, ამბობს სჯულმდებელი ალბულა.

აქ კანონმდებელი ხაზს უსვამს „*ე ა მ თ ა ს ი ა ვ ი თ ა*“ წარმოშობილ სასჯელთა მიზნებს, რომლებიც სოციალური ბრძოლის ნიადაგზე აღმოცენებულან. სასჯელის მთავარ მიზნად აღიარებულია დაშინება და მითითება იმაზე, რომ წინათ სხვადასხვა დანაშაულობა-

<sup>1</sup> Маркс и Энгельс, Соч., т. VIII, стр. 126.

ნი საქირო სიმკაცრით არ ისჯებოდა. რამაც გამოიწვია ბოროტ-მოქმედებათა გამრავლება. დამნაშავეთა „უ შ ი შ ო ბ ა ც“ იმის შედეგია, რომ შემოღებული არ არის მკაცრი სასჯელებიო. ამიტომ ახლად გაჩენილი სასჯელების ძირითად მიზანს კანონმდებელი ხედავს პირველყოელისა და შინებაში და მომავალში ამ გზით საზოგადოების სხვა წევრებისა და თვით დამნაშავეის მხრით ბოროტმოქმედების ჩადენისაგან თავის შეკავებაში. სამართლის წიგნში გატარებულია იდეა, რომ სასჯელი არის დანაშაულობასთან ბრძოლის საშუალება.

ზოგადი მიზნები ნათლად ჩანს კანონმდებლის მითითებიდან იმის შესახებ, რომ „ჟამთა სიავეითა სხუანი უწყესონი საქმენი შემოსულიყვნენ, მათი სამართალიცა ზედა დაურთეთ“ იმისათვის, რომ მოწავალში „ავი საქმე ნუ ვისგანმე გაადვილდებისო“.

სასჯელის ერთ-ერთ მიზანს სამართლის წიგნის მიხედვით დაზარალებული პირის დაკმაყოფილება შეადგენს. ეს ამოცანა მკაფიოდ არის გამოხატული სისხლის დაურევებასა და ნიყენებული ზიანის ანაზღაურებაში. დაზარალებულის დაკმაყოფილებას ემსახურებოდა დამნაშავეის „კელთა მიცემა“ და მისი „მამულის დაჭირვა“.

სამართლის წიგნში არ გვხვდება ტალიონის პრინციპის აღიარება, თუმცა სამაგიეროს მიზლისა და შურისძიების ძველი ტრადიციის ანარეკლის ერთგვარ გამოხატულებას ადგილი აქვს ზოგიერთ მუხლში.

ცალკეულ შემთხვევებში სამართალი მიზნად ისახავს საზოგადოების უვნებელყოფასა და უშიშროების დაცვას. ამ მიზანს დაშინებასთან ერთად ისახავდა დამნაშავეის გაძევება. აძევებდა რა ბოროტმოქმედს, ამით კანონი არამარტო აშინებდა სხვას, არამედ შესაძლებლობას ართმევდა თვით დამნაშავეს ახალი დანაშაულის ჩადენისათვის.

ფეოდალური სისხლის სამართლის სასჯელთა მიზნებისა და ამოცანების დახასიათებისას ყოველთვის მხედველობაში უნდა გვქონდეს ფეოდალური სახელმწიფოსა და სამართლის ძირითადი კლასობრივი დანიშნულება, რომლის განხორციელების ყველაზე უფრო აშკარა გამოვლინება სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, განსაკრთობით რეპრესიულ პოლიტიკაში ჩანს. ფეოდალური სახელმწიფოს დასჯითი სისტემა სახელმწიფოს მთავარი ფუნქციის — ფეოდალთა კლასის მიერ მათი კლასობრივი ბოწი ნააღმდევის, ყმა-გლეხების უღმობელი დათრგუნვის — განხორციელების მძლავრ იარაღს შეადგენდა. ფეოდალურ სახელმწიფოსა და

სამართლის ძირითადი კლასობრივი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ „ფეოდალური სახელმწიფო თავადაზნაურობის ორგანო იყო ყმა და მებევრე გლეხების დასამორჩილებლად“<sup>1</sup>. სასჯელთა სისტემაც ამ ძირითად მიზანს ემსახურებოდა ბატონყმობის დროს. ფეოდალურ სამართალს და, კერძოდ, სისხლის სამართლის კანონმდებლობას „ერთი ძირითადი დანიშნულება ჰქონდა, — განემტკიცებინა მემამულის ბატონობა ყმა-გლეხის მიმართ“<sup>2</sup>.

ბეჭა-ალბუღასა და ბაგრატი კურაპალატის სამართლის წიგნებით კათვალისწინებული სასჯელები ფეოდალური სამართლის ზემოაღნიშნული ძირითადი ამოცანის განხორციელებას ემსახურებოდა.

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საკუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, 9138 წ., გვ. 175.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, 1952 წ., გვ. 568.

✓ იქნა

## VI. სასამართლო გამოცდა

ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართა შრომებში აღიარებულია აზრი იმის შესახებ, რომ შუა საუკუნეების ქართული სამართალი არ იცნობს სასამართლო გამოცდას. სანამ უშუალოდ ამ საკითხის გარკვევას შევუდგებოდეთ, საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ სასამართლო გამოცდის ანუ ორდალების სისტემის დახასიათებაზე.

ორდალი ეწოდება სასამართლო მტკიცების საშუალებას, რომელიც ცნობილია პროცესუალური სამართლის ისტორიაში „ღვთის მსჯავრის“ (judicium Dei) სახელწოდებით. დამამტკიცებელ საბუთთა ეს სახე გამოყენებული იყო როგორც მონათმფლობელურ, ისე ფეოდალურ სამართალშიც. ორდალი მტკიცების ისეთი საშუალებაა, რომელიც დაკავშირებულია რელიგიურ რწმენასთან. ანტიკური და საშუალო საუკუნეების სამართლის მიხედვით მართლმსაჯულება ღვთაებრივი საქმეა. ღმერთი სამართლიანობისა და ქეშმარიტების უზენაესი წყაროა, რომელიც იცავს და დახმარებას უწევს მართალ ადამიანს, ხოლო მისი რისხვა თავს ატყდება დამნაშავეს. „ღვთის მსჯავრის“ გამოყენება მიზნად ისახავდა დამნაშავეს აღმოჩენას და იმის დადგენას, რომ ბოროტმოქმედება მის მიერ იყო ჩადენილი. ექვმიტანილ ან ბრალდებულ პირს დაუნიშნავდნენ სასამართლო ხასიათის გამოცდას; თუ იგი გამოცდის შედეგად უვნებელი დარჩებოდა, მართალი იყო, თუ არა — მტყუანი და პასუხი უნდა ეგო როგორც დამნაშავეს. ორდალი გამოიყენება მტკიცების სხვა საშუალებათა, უქონლობისა ან დამამტკიცებელ საბუთთა არასაკმარისობის დროს. ხშირად ორდალი ორივე მხარეს უნდა შეფარდებოდა, მათ შორის ვინც გაიმარჯვებდა. ის მართალი იყო, დამარცხებული კი — დამნაშავე. ორდალების სისტემას ჩვენ ვხვდებით თითქმის ყველა უძველესი ხალხის სამართალში.

საპროცესო სამართლის ისტორიაში ცნობილია სასამართლო გამოცდის, ანუ ორდალის, მრავალი სახე. ძველი გერმანელების სამართალი ფრანკების ეპოქაში იცნობდა „ღვთის მსჯავრის“ შემდეგ სახეებს: გამოცდა მღვდლარე ან ცივი წყლით, გახურებული რკინით, ღუელით, წილის ყრით, ჯვრით, „ნაკურთხი ლუკმითა“ და



ბრალდებულის მხრივ მოკლულის შეხებით. მდულარე წყლით გამოცდის დროს ბრალდებულს აღუდებული წყლით საგსე ქვაბიდან უნდა ამოელო სპილენძის ან რკინის პატარა ნაქერი: თუ ხელი დაეწვოდა, დამნაშავე იყო, თუ არა — მართალი. ცივი წყლით გამოცდის დროს ბრალდებულს ჩააგდებდნენ წყალში. მაშინდელი რწმენით წყლის სტიქიონი სიწმინდისა და სისპეტაკის გამომხატველი იყო. ამიტომ მართალ და უდანაშაულო ადამიანებს წყალი მიიღებს. ხოლო დამნაშავეებს და ცოდვით დაძმიმებულებს, როგორც უწმინდურებს, ზედაპირზე ამოატივტივებს. ამრიგად, თუ წყლით გამოცდის დროს ექვმიტანილი წყალში ჩაიძირებოდა, მართალი იყო, ხოლო თუ ზედაპირზე დარჩებოდა — დამნაშავე.

შუა საუკუნეების ქრონიკებში შემონახულია წყლით გამოცდის დაწერილებითი აღწერა. გამოცდა იწყება წყლის შელოცვით, რომელსაც წარმოთქვამს მღვდელი. იგი მიმართავს ღმერთს და ევედრება წყალს, „რათა წყალმან ამან ძარცვასა, კაცის კვლასა, სიძვასა და სხვა სამარცხენო საქმეში უდანაშაულონი ჰიილოს თვისსა შიგან და ჩაუშვას, ვითარცა წყალს შეჭფერის; ხოლო არ მიილოს სხეული, რომელიც, სათნოების ტვირთს მოკლებულია და უსჯულოების ქარით გაბერილი. იგი რჩება ზედაპირზე, რამეთუ ვის შიგან არა არს სათნოების წონა, მასცა ნუ ექნების საკუთარი წონა წყლის სტიქიონში... გვედრებ შენ, რათა არად არ მიილო კაცნი ესე, უკეთუ დანაშაული ნიუძღვით, რაშიც ბრალი ედებათ, საქმით, რჩევით, სიტყვით ან ზრახვით: მაშინ ჰყავ ესრეთ. რომ ისინი ცურავდნენ შენს ზედაპირზე“<sup>1</sup>. შელოცვის შემდეგ გამოსაცდელი ადამიანები იხდიან ტანისამოსს, ემთხვევიან სახარებასა და ჯვარს, შემდეგ მათ ასხურებენ აიაზმას და ცალ-ცალკე ყრიან წყალში. ამასთან ვისაც სურს დაესწროს გამოცდას, წინასწარ უნდა იმარხულოს.

სასამართლო ორთა-ბრძოლის დროს ვინც დამარცხდებოდა, დამნაშავე იყო. ორდალის ეს სახე დაწერილებით არის აღწერილი ალამანოა სამართალში (VIII საუკ.) და XIII საუკუნის იურიდიულ ძეგლში — „საქსონიის სარკეში“<sup>2</sup>.

გახურებული რკინის (შანთის) ორდალის შეფარდებისას ბრალდებულს ხელის გულზე დაუდებდნენ გავარვარებულ რკინას, იგი გა-

<sup>1</sup> ი. დოლიძე, აღრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, 1950 წ., კვ. 88—89.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 74, 86—87.

დაადგამდა რამდენიმე ნაბიჯს და რკინას გააგდებდა, ხელს შეუხვევდნენ და სამი დღის შემდეგ გაუხსნიდნენ: თუ ხელი დამწვარი იქნებოდა—დამნაშავე იყო.

წილის ყრით გამოცდა (Loosordal, sort) იმაში მდგომარეობდა. რომ ეპემიტანილ პირს წილი უნდა ამოეღო. თუ წილად ხვდებოდა ისეთი ნიშანი, რაც ბოროტმოქმედების გამომხატველი იყო: იგი დამნაშავედ ითვლებოდა.

ორდალების სისტემა ცნობილია ევროპის შუა საუკუნეების სასამართლო პროცესისათვისაც. სასამართლო გამოცდის გავოცლებულ ფორმას წყლით გამოცდა წარმოადგენდა.

ინგლისის მეფის, ჰენრიხ მეორის 1166 წლის კლარენდონის ასიზაში აღნიშნულია ბრალდებულის წყლით გამოცდის გამოყენება. ასიზის მე-4 და მე-12 მუხლის თანახმად ის, ვისაც ბრალად ედება მეკობრეობა, ან ფარული მკვლელობა, ან გაძარცვა, წყლით უნდა გამოიცადოს. ორდალის ეს სახე მოხსენებულია აგრეთვე ნორტჰემპტონის 1176 წლის ასიზაშიც. ასიზის პირველი მუხლი ადგენს, რომ ვისაც ბრალად ედება ლალატი ან ფარული მკვლელობა, ან ძარცვა, ან ყაჩაღობა, ან ყალბი ფულის გაკეთება, ან ცეცხლის წაქიდება, ან ამ ბოროტმოქმედებათა ჩამდენ პირთა მფარველობა, წყლით უნდა გამოიცადოს. თუ გამოცდამ ბრალდებულისათვის არასასურველი შედეგით ჩაიარა, იგი დამნაშავედ იქნება აღიარებული, „ერთ ფეხს დაჰკარგავს... და ფეხთან ერთად უნდა დაჰკარგოს აგრეთვე მარჯვენა ხელის მუშტი“ და გაძევებული უნდა იქნას.<sup>1</sup>

ორდალები ფართოდ იყო გამოყენებული შუასაუკუნეების საფრანგეთის როგორც საერო, ისე საეკლესიო სამართალში. ტიულიუჟის 1046 წლის საეკლესიო კრების დადგენილებაში მითითებულია ბრალდებულთა ცივი წყლით გამოცდა.<sup>2</sup>

1129 წლის სიგელში სასამართლო ორთა-ბრძოლა აღიარებულია მოდავე მხარეთა სრულ და ხელშეუვალ უფლებად, როგორც თავისუფალ, ისე არათავისუფალ ადამიანთა შორის.<sup>3</sup>

„ღვთის მსჯავრის“ ფორმებს იცნობს ევროპის ყველა ხალხის სამართალი შუა საუკუნეებში. ზემოთ მოყვანილი მაგალითებიც საქმარისია, რბთა ნათელი წარმოდგენა ვიქონიით ორდალების სის.

<sup>1</sup> Памятникъ истории Англии XI—XIII вв., 1936, стр. 58, 60, 64.

<sup>2</sup> Хрестоматия по истории средних веков, том I, 1939, стр. 156.

<sup>3</sup> ი.ქ.ვ. გვ. 130.

ტემის გავრცელებაზე ფეოდალური ევროპის სასამართლო პროცესში.

ჯვრის ორდალი ქრისტიანული ეკლესიის მიერ შემოღებული გამოცდა იყო. მოდავე მხარეები გაშლილი ხელებით დგებოდნენ ჯვართან, ვინც დაღლილობის გამო ხელს ადრე დაუშვებდა, დამნაშავედ ითვლებოდა.

„ნაკურთხი ლუკმით“ გამოცდა *judicium uffae* იმაში მდგომარეობდა, რომ ბრალდებულს პირში ჩაუდებდნენ პურის ან ყველის ნაჭერს, რომელიც უნდა გადაეყლაპა. თუ ექვემდებარებოდა მას ადვილად გადაყლაპავდა, მართალი იყო, ხოლო თუ გაუძნელებოდა — დამნაშავე.

ეგრეთ წოდებული *Bahngericht* ორდალი სასამართლო გამოცდის სპეციფიკური სახე იყო, რომელიც გამოიყენებოდა მკვლელობის შემთხვევაში. ბრალდებული ხელით უნდა შეხებოდა ნოკლულის გვამს. თუ შეხების გამო ქრილობა გაიხსნებოდა და სისხლი დაიწყებდა დენას, იგი დამნაშავედ ითვლებოდა; თუ არა — მართალი იყო. ორდალის ეს სახე აღნიშნული აქვს უ. შექსპირსაც „რიჩარდ მესამეში“<sup>1</sup>.

ორდალი, როგორც სასამართლო გამოცდისა და მტკიცების საშუალება. ცნობილი იყო აგრეთვე სხვა ქვეყნების ფეოდალური სასამართლის ძეგლებითაც. ძველი რუსეთის სამართალში აღნიშნულია „ღვთის მსჯავრის“ შემდეგი ფორმები: წილის ყრა (*жребий*), ფიცი (*прота*), წყლით და გახურებული რკინით გამოცდა და სასამართლო ორთა-ბრძოლა (*поле*). ვრცელი *Русская Правда* იცნობს სასამართლო ორდალებიდან ღუელს ანუ ასპარეზს (*поле*). რომელიც პირველად მოხსენებულია 1229 წლის ხელშეკრულებაში გერმანელებთან. მაგრამ, უეჭველია, რომ ორთა-ბრძოლა ცნობილი იყო უფრო ადრეც. „ღვთის მსჯავრის“ ფორმები გვხვდება რუსეთის XVII საუკუნის სასამართლო აქტებშიც<sup>2</sup>.

ორდალების სისტემას იცნობდა ქართული სამართალიც. ვახტანგ ბატონიშვილის სამართალი, რომელიც შედგენილია XVIII საუკუნის დასაწყისში, სხვა დამამტკიცებელ საბუთებთან ერთად ითვალისწინებს სასამართლო გამოცდის ფორმებსაც. სამართლის წიგნის მე-6 მუხლში ნათქვამია: „საქართველოს რიგი და სამართალი

<sup>1</sup> უ. შექსპირი, ტრადიციები, ტ. I, 1938 წ., გვ. 280.

<sup>2</sup> Владимирский-Буданов. Обзор истории русского права. 1909, стр. 626.

ეკესი არის, რომე ამითი თავი იმართლების: პირველი ფიცი, მეორე შანთი, მესამე მდულარე, მეოთხე კრმალი, მეხუთე მოწანე, ნეექესე ცოდვის მოკიდება. ანათ თითოს და თითოს თავისი საზღუარი აქუს, თუ რომელ როგორს საქმეზედ უნდა დაუდვას და ქნით როგორ უნდა ქნას, თვითოეულადცა გამცნებთ“.

ვახტანგის კანონებში დაწვრილებით აღწერილია ზემოაღნიშნული მტკიცების საშუალებათა გამოყენების წესი და ჩამოთვლილია დანაშაულობანი, რომელთა გამო ბრალდებულს უნდა შეეთარდოს მტკიცების ესა თუ ის ფორმა. ამასთან, სჯულმდებელი ნეფე ნითითებს, რომ გახურებული რკინითა და მდულარე წყლით გამოცდა თანაბარი ძალის მქონე ორდალებია — „შანთი და მდულარე ორივე ერთი არის“. ბრალდებულზეა დამოკიდებული, რომელ ორდალს აირჩევს. ბატონიშვილი ვახუშტიც თავის წიგნში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს: „ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათვის აქუნდათ: სისხლი, ხრმალი, შანთი, მდულარე და ფიცი“.

ისტორიკოსი დ. ბაქრაძე ვახტანგის სამართლის რუსული გამოცემის მე-8 მუხლის შენიშვნაში წერს, რომ მდულარე წელთა და გახურებული რკინით გამოცდა, რომელიც აღწერილია ვახტანგის კანონების მე-8 და მე-9 მუხლებში „ни в древней грузинской и армянской письменности, ни в доселе обнаруженных грузинских актах, ни в адатах кавказских горцев совсем неизвестен“<sup>1</sup>. დ. ბაქრაძის აზრით შანთითა და მდულარით გამოცდა ვახტანგის სამართალმა გაავრცელა საქართველოში.

აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ძველ ქართულ საპროცესო სამართალში ორდალების საკითხის განხილვისას აღნიშნავს, რომ არც საისტორიო ძეგლებში, არც სამართლის წიგნებსა და სიგელ-გუჯრებში ბრალდებულის წამებით გამოტყვევის შესახებ არსად არაფერია ნათქვამიო. „მე-IX—XIV სს.ში საქართველოში სასამართლოს წარმოებაში ასეთი საშუალების არსებობის შესახებ არსად არავითარი კვალი არა ჩანს. რასაკვირველია, ჯერ ჩვენ ხელთ მყოფი მე-IX—XIII სს.ის შესახები იურიდიული ძეგლები იმდენად საკმაო არ არის, რომ გაბედული და საბოლოო მსჯელობა შესაძლებელი იყოს, მაგრამ ის გარემოება, რომ ამ „საღმრთო მსჯავრის“ სასამართლოში გამოყენების შესახებ საისტორიო ძეგლებშიც არავითარი ცნობა არ ჩანს, ქართული იმდროინდელი სამართლის გან-

<sup>1</sup> Сторникъ Законовъ грузинскаго царя Вахтанга VI, 1887, стр. 6

ვითარების მაღალ დონესთან ერთად გვაფიქრებინებს, რომ შესაძლებელია ორდალეები ქართულ მაშინდელ სასამართლო წარმოებას არც ჰქონოდეს. აწ არსებულ წყაროებში ამაზე ცნობების უქონლობა უეჭველია იმის მომასწავებელი მაინც უნდა იყოს, რომ შანთი, მდულაოე და ხმალი ღეთის მსჯავრის სახით თუნდაც რომ არსებულაიყო, სასამართლოს წარმოების საშუალებად მეტად იშვიათად უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>. ამასთან, სახელოვანი მეცნიერის აზრით, იმის გამორკვევა, საშუალო საუკუნეების ქართულ სასამართლო პროცესში ამ წესის არსებობა წყაროებში შემახვევით არის გამორჩენილი. თუ მას მართლაც არ ჰქონია ადგილი, „მომავალი კვლევა ძიების მოვალეობაა“.

პროფესორი ალ. ვაჩიშვილი, რომელმაც ქართული საპროცესო სამართლის ისტორიას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, აღნიშნავს, რომ „ჩვენს ეროვნულ საკანონმდებლო აქტებში. გარდა ვახტანგის სამართლის წიგნისა, ორდალეები არსად მოხსენიებული არაა. მათ არ იცნობენ არც ბექა-აღბულას კოდექსი და არც გიორგი V კანონები“<sup>2</sup>.

V მისიონერი არქანჯელო ლამბერტი, რომელიც თექვსმეტი წლის განმავლობაში (1633 — 1649) ცხოვრობდა სამეგრელოში, თავის წიგნში „სამეგრელოს აღწერა“ დაწვრილებით მოგვითხრობს ნეგოელთა ზნე-ჩვეულებებს, სასჯელთა სახეებს და მტკიცების საშუალებებს. დამამტკიცებელ საბუთებად სამეგრელოში გამოყენებული იყო ორდალის სამი სახე: მდულარე, ფიცი და ორთა-ბრძოლა. „ღეთის მსჯავრის“ ზენოაღნიშნული სახეები ლამბერტს დაწვრილებით აქვს გადმოცემული თავის შრომაში. მდულარე წყლით გამოცდის შესახებ ლამბერტი წერს: „თუკი ნიშნები ინდენად ცხადი არ არის, მაშინ დანაშაულობა ამნაირად უნდა დამტკიცდეს: ამ საგნისათვის აქვთ პატარა ქვაბი, რომელიც სიგანით ერთი მტკაველია და ირგვლივ ორი მტკაველი. ამ ქვაბს გაავსებენ წყლით და წიგ ჩაადებენ რკინის პატარა ჯვარს. ქვაბს ქვეშ შეუწებებენ ცეცხლს. ცეცხლი უნდა დაინთოს ვაზისგან. რომელიც უნდა მოსძებნოს და თავის ზურგით ადგილზე მიიტანოს თვით ბრალდებულმა. ქვაბს, რომ ცეცხლს შეუწებებენ და წყალი კარგად ადუღდება, ბრალდებულმა შიშველი ხელი შიგ უნდა ჩაჰყოს და ძირიდან ჯვარი ამო-

<sup>1</sup> ი. ვ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაწ. მეორე. 1929 წ., გვ. 496.

<sup>2</sup> ალ. ვაჩიშვილი, ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, II, 1948 წ., გვ. 83.

ილოს; როგორც ბრალდებული ქვაბიდან ხელს ამოიღებს, მოხელენი ამ ხელს ტილოს ტომარაში ჩაუდებენ იდაყვამდის, იდაყვთან ტომარას თავს შეუკრავენ და დაბეჭდავენ. სამი დღის შემდეგ ბრალდებულს მიიყვანენ მთავრის წინაშე, გაუხსნიან ხელს, კარგად გაუხსინჯავენ და, თუ ხელზე სრულიად არ ატყვია, რომ მდულარისაგან დამწვარიო, მაშინვე უდანაშაულოდ აღიარებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკეთუ ხელი დამწვარი აღმოჩნდა, ბრალდებულს დანაშავედ აღიარებენ და. ვითარცა ავაზაკს, სასჯელს დაუნიშნავენ და არავეთარ გასამართლებელ საბუთს აღარ მიიღებენ“<sup>1</sup>.

მდულარე წყლით გამოცდის ზემომოყვანილი წესი თითქმის ისეთივეა, როგორც ეს აღწერილია ვახტანგ VI სამართლის წიგნის მე-9 მუხლში. ლამბერტის შრომა გამოცემული იყო ნეაპოლში 1654 წელს, ხოლო ვახტანგის სამართალი შედგენილი იყო 1704--1709 წლებში. ე. ი. დაახლოებით 50 წლის შემდეგ. ამასთან, თუ ვახტანგის სამართლის მე-9 მუხლის შინაარსს შევადარებთ შანთით გამოცდის იმ წესს, რასაც ძველი დროიდანვე ადგილი ჰქონდა გურიაში, დავინახავთ, რომ მათ შორის თითქმის არავეთარი განსხვავება არ არის. აქედან მხოლოდ ის დასკვნა უნდა გავიღებინოთ, რომ ვახტანგის სამართალმა კი არ გაავრცელა ორდაღები საქართველოში, როგორც ამას დ. ბაქრაძე ფიქრობდა, არამედ, პირიქით, შუა საუკუნეებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ფართოდ გავრცელებული და ადათობრივი სამართლით რეგლამენტირებული სასამართლო გამოცდის საშუალებანი საკანონმდებლო წესით გაფორმებულ იქნა ვახტანგის სამართალში.

მაგრამ, ჩვენი აზრით, ქართული სამართლის ძეგლები იცნობდნენ ორდაღებს ვახტანგის სამართლის შედგენამდეც.

ჩვენ ამ შემთხვევაში გვიანტერესებს მდულარე წყლით გამოცდის არსებობის საკითხი შუა საუკუნეების ქართულ სამართალში. ამიტომ ჯერ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ამ ორდაღის აღწერა ვახტანგის სამართლის მიხედვით. ვახტანგის სამართლის მე-8 მუხლი მდულრით გამოცდას შემდეგნაირად აღწერს: „...მოედანს შინა, ან სხვას გამოსაჩენს ალაგს სადმე წყალი აადულონ, ზედ ჩხირი ვადუღვან ქვაბზედა და ძაფით ან რკინისა და ან სპილენძის უნაწილო ჯვარი, რომელზედა სახე არ იყოს გამოყვანილი, გინა ვერცხლისა იყოს, ჩაჰკიდონ და, რა ადუღდეს წყალი და გარდამობრუნდეს, გარდმოიღონ და მან კაცმან ჩაჰყოს ხელი სახელსა ზედა ლუთისა-

<sup>1</sup> არქ. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ლ. ასათიანის რედაქციითა და წინასიტყვაობით, 1938 წ. გვ. 75.

სა და ის ჯვარი ამოიღოს; მასუკან ფიცხლავ პარკში ხელი ჩაუდვან, დაუბეჭდონ, მესამეს დღემდინ ისრე იყოს, მერმე გაუხსნან, თუ არ დასწვია, მართალი არის, და თუ დასწვია, ნტყუანი არის და რასაც ჰსწამობენ, გარდაავდევინონ“<sup>1</sup>.

ვახუშტი თავის წიგნში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ — მდუღრით გამოცდის წესის ანალოგიურ აღწერას იძლევა: „ხოლო მდუღარეცა ეგრეთვე: მისთვის გაადუღიან წყალი ქვაბსა შინა, შთააგდიან მცირე რკინა მას შინა, მოვიდის შეწამებული შინგლითა მკლავითა და აღმოიღოს რკინა იგი, და წამს შეუსვიონ, ვითარცა შანთისასა, ეგრეთვე ამისიცა მართალი და ნტყუანი“<sup>2</sup>.

ფრიად საგულისხმოა. რომ ვახუშტი ქართულ სამართალში არსებული ორდალების აღწერას იძლევა ძველი საქართველოს ზნე-ჩვეულებების და წესების გადმოცემასთან ერთად. „აწ ვიწყით ძველი იდამ ახლამდე საქართველოსათა ზნეთა. ჩვეულებათა და წესთა“ აღწერაო<sup>3</sup>. ამასთან, ვახუშტის ნითითება იმის შესახებ, რომ ქართველებს „წესნი სამართლისა და შერისხვისათვის აქუნდათ: სისხლი, ხრმალი, შანთი, მდუღარე და ფიცი“<sup>4</sup>, იმას ნიშნავს, რომ ქართველებს სასამართლო გამოცდის ზემოაღნიშნული ფორმები „ძველი იდამ აქუნდათ“ გამოყენებული. ამ აზრს ერთგვარად ამბავებს ვახტანგის სამართლის წენ ნუხლის დასაწყისიც, სადაც ნათქვამია: „საქართველოს რიგი და სამართალი ექვსი არის, რომე ამითი თავი იმართლებს“, ე. ი. საქართველოში არსებობს დამამტკიცებელ საბუთთა ექვსი სახე, რომლებითაც ბრალდებულს ნუქდლია თავი იმართლოს.

ზემოთ აღნიშნავდით, რომ ორთა-ბრძოლა ანუ „ხმალში გატანება“ ადათობრივი სამართლის უძველესი ინსტიტუტია. რომელიც ცნობილია თითქმის ყველა ხალხთა ისტორიაში. ორდალის ეს სახე გამოყენებული იყო ქართულ სამართალშიც. ამაზე მიუთითებს, როგორც ლამბერტის ცნობა, ისე ფარსადან გორგიჯანიძის ქრონიკაც<sup>5</sup>. როგორც აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი მიუთითებს, ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებიდან ჩანს, რომ ბრალდებულის გამოსატეხად

<sup>1</sup> დ. ჩუბინაშვილი, ქრესტომათია, ნაწ. I, 1846 წ., გვ. 348.

<sup>2</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, 1941, გვ. 15.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 12.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 15.

<sup>5</sup> «ქართლის ცხოვრება», დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, ნაწილი მეოთხე, 1854, გვ. 535—536.

გამოყენებულ ტანჯვას „სადად ურით წამება“ ჰრქმევი<sup>1</sup>. დღემდე ფიქრობენ, რომ ზემოაღნიშნულ საისტორიო თხზულებებში ორდალების შესახებ მითითებულ ცნობებს გარდა, ქართული სამართლის საკანონმდებლო ძეგლებში სასამართლო გამოცდის არაერთი კვალი არ ჩანს.

ბექა-ალბულას სამართლის ტექსტზე მუშაობისას ჩვენ ყურადღება მივაქციეთ ალბულას სამართლის 90-ე მუხლის მეტად ბუნდოვანსა და გაუგებარ დაბოლოებას. მოვიყვანთ 90-ე მუხლის მთლიან ტექსტს S --- 3583 ხელნაწერის მიხედვით. „ესე სიტყვა წმინდათა მამათა არს, თუ სიხარბე ბუნებით მხედველობისა კაპი არისო და ყოველი ავი ღმრთისა და კაცთა განმარისხებელი საქმე მას ზედა ჩამოკიდებული არისო. სიხარბით სარჩელსა ნუ დაუმტკიცებს ბრქე კაცსა და, თუ ბქისაგან ქრთამისა აღება გამოჩნდეს, იგი ნაბჭობი ტყუილი იყოს, და მას ბქესა სიავსა ჯელნი დაესხნენ, და ოდესცა გამოჩნდეს, იგი კაცნი ახლად გაიბქვენ“.

აღნიშნული მუხლის შინაარსი, შეიძლება მოკლედ შემდეგნაირად გადმოვცეთ: წმინდა მამათა სწაულებით, ყოველი ავი ღვთისა და ადამიანთა განმარისხებელი საქმე სიხარბისა და ანგარებისაგან წარჰოდგება. მოსამართლე ქრთამის სიხარბით ვინმეს სარჩელს ნუ დაუმტკიცებს, ე. ი. უკანონო, გადაწყვეტილებას ნუ გამოიტანს, ხოლო თუ მოსამართლისაგან ქრთამის აღება გამოჩნდეს, სასამართლოს გადაწყვეტილება ბათილია, მოსამართლეს „სიავსა ჯელნი დაესხნენ“ და საქმე ხელმეორედ გაიჩჩესო. გაურკვეველი რჩება ერთი ადგილი, სახელდობრ, რას ნიშნავს „ბქესა სიავსა ჯელნი დაესხნენ“. ბექა-ალბულას კანონების რუსულ თარგმანში ეს მუხლი საერთოდ დამახინჯებულია, ხოლო ჩვენთვის საინტერესო ფორმულა სრულიად გაპოტოვებულია გაურკვეველი აზრის გამო.

დ. ჩუბირაშვილის ლექსიკონი სიტყვა „დასხმას“ შემდეგ განმარტებას აძლევს: „დასხნეს კანონნი“ *постановили правила*, რუის-უბნისის 1103 წლის „ძეგლის-წერის“ მიხედვით; „დავსხენ თითნი ჩემნი“ — *вложил свои пальцы*; სხვა ადგილას განმარტავს: „ხელის დასხმა“ — *დავლოცავ თავზე ხელის დადებით; შეეპყრობ ვისმე პატიმრად; рукополагать, палажить на кого руку*,

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. II, ნაწ. II, 1929, გვ. 495.



взять под арест, და ამ უკანასკნელი მნიშვნელობით იმოწინებს აღბუღას სამართლის ზემოაღნიშნულ 90-ე მუხლს. მაშასადავე, დ. ჩუბინაშვილის აზრით „ხელის დასხმა“ ნიშნავს „დაპატიმრებას“.

ამ შემთხვევაში აუცილებელია წინადადების მთლიანი კონტექსტის გათვალისწინება — „ბჭესა სიაესა ქელნი დაესხნენ“, „ბჭე“ — მოსამართლეა, თუ „ქელის დასხმა“ დაპატიმრებას ნიშნავს, მაშინ აუხსნელი რჩება სიტყვა „სიავის“ ძნივნელობა. საქე ისაა, რომ კანონის ზემოაღნიშნულ მუხლში ლაპარაკია არა „ქელის დასხმაზე“, რაც „კურთხევას“ ნიშნავს, არამედ ხელის დადებაზე და ისიც სიავეზე. მაგრამ, მთავარი ისაა, რომ ბეჟა-აღბუღას და ბაგრატ კურაპალატის სამართალში „დაპატიმრება“, როგორც სასჯელი, ცალკეა აღნიშნული და მას „ქელთა შეპყრობა“ ეწოდება (მუხ. 18, 101—104, 159). ცხადია, 90-ე მუხლში რომ მოსამართლის დაპატიმრებაზე იყოს ლაპარაკი, მაშინ კანონმდებელი „ქელთა შეპყრობას“ გამოიყენებდა და არა „ქელის დასხმას“. ამიტომ დ. ჩუბინაშვილის განმარტება მცდარი უნდა იყოს.

ბეჟა-აღბუღას კანონების ფრანგულ თარგმანში პროფ. ი. კარსტი, ეყრდნობა რა ჩუბინაშვილის განმარტებას, „ბჭესა სიავისა ქელნი დაესხნენ“ ასე თარგმნის: „მოსამართლე დაპატიმრებული იქნება“ — *ou mettra sous arrêt ou tel juge malice*<sup>1</sup>.

აღსანიშნავია ნ. ურბნელის მიერ გამოთქმული ჰიპოთეზი. იძლევა რა აღნიშნული მუხლის განმარტებას, ნ. ურბნელი წერს: „არვიციოთ, რას ნიშნავს სიავისა ქელნი დაესხნენ“... ძველად ფრანგები მოქრთამე მოსამართლეს სიკვდილით სჯიდნენო“<sup>2</sup>. მართლაც, სალიელი ფრანკების (და არა „ფრანგების“, როგორც ნ. ურბნელი ფიქრობს) სამართალი Lex Salica, რომელიც ძველ გერმანელთა სამართლის ძეგლს წარმოადგენს, ითვალისწინებს მოსამართლის სიკვდილით დასჯას, თუ იგი უარს იტყვის კანონიერი გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანაზე, ან „გაბედავს წაილოს რაიმე კანონიერი და სამართლიანი ვალის ზედმეტი“<sup>3</sup>. მაგრამ ეს სულ სხვა საგანს შეეხება და აღბუღას სამართლის ზემოაღნიშნული მუხლის შინაარსთან საერთო არაფერი აქვს.

<sup>1</sup> Karst. Code d'Aghbougha, ტ. II, ნაწ. I, 1938 წ., გვ. 78.

<sup>2</sup> ნ. ურბნელი, კუთაბაგნი ბეჟა და აღბუღა და მათი სამართალი, 1892 წ., გვ. 269.

<sup>3</sup> ი. დოლიძე, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, 1950 წ., გვ. 40.

მაშ, რას უნდა ნიშნავდეს ჩვენთვის საინტერესო ფორმულა — „ბქესა სიაესა ჯელნი დაესხნენ“?

სულხან საბა-ორბელიანის განმარტებით, „სიაევი, სპილენძის ქვაბია“. ნაშასადამე, წინადადება „ბქესა სიაესა ჯელნი დაესხნენ“ ასე გაიგება: „მოსამართლეს სპილენძის ქვაბზე ხელები დაესხას“ ან მოსამართლემ სპილენძის ქვაბზე ხელები დაასხას. ქვაბზე ხელის დასხმა კი მდულრით გამოცდას ნიშნავს. სიტყვა „ქვაბი“ ძველ კანონმდებლობაში მდულარე წყლის სინონიმია და ყველგან მდულრით გამოცდას გულისხმობს. ამ მნიშვნელობით იხმარება სიტყვა „ქვაბი“ ვახტანგის სამართლის ზემო მოყვანილ მე-8 მუხლში და აგრეთვე ვახუშტისა და ლამბერტის მიერ მოცემულ მდულრით გამოცდის აღწერაშიც.

საყურადღებოა, რომ XI საუკუნის დამდეგის ხელნაწერშიც — (H 341, გვ. 459) „ლუაწლნი ტინოთსნი და მავრაჲსნი“ — სიაევი ზუსტად ამავე მნიშვნელობით იხმარება: „უბრძანა... სიაეისა დიდისა აღუღებაჲ. და ეგრე დულდა სიაევი ივი, ვითარცა ოხრაჲ ქუხილისაჲ, და შთააგდეს მას სიაესა მავრა“<sup>1</sup>.

მეტად საინტერესოა აკრეფილი მდულარე წყლით გამოცდის ის წესი, რომელიც აღწერილია სალიკური სამართლის ძირითადი ტექსტის LIII ტიტულში კანონის ლათინურ ტექსტში აღნიშნული ტიტულის სათაურია: *De manu ad ineum remediandam*, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ქვაბიდან ხელის დახსნის შესახებ“; რუსულად *о выкупе руки от котелка*; *ineum* — „ქვაბი“ — აქ მხოლოდ „მდულარე წყლის“ მნიშვნელობით იხმარება. რუსულად *ineum* თარგმნილია: *-испытание посредством котелка*“. წყალი სპილენძის ქვაბში უნდა იყოს აღუღებული. სიტყვა „*ineum*“ სალიკურ სამართალში ყველგან „ქვაბით“, ანუ მდულრით გამოცდას გულისხმობს<sup>2</sup>. ამ აზრს გამოხატავს სიტყვა „*ineum*“ სალიკური სამართლის II და VI კაპიტულარში, რომელიც ძირითადი ტექსტის დამატებას წარმოადგენს. ამრიგად, „ქვაბიდან ხელის დახსნა“ ანუ „ქვაბით გამოცდა“ ნიშნავს მდულარე წყლით გამოცდას. სალიკური სამართლის ერთ-ერთი მანუსკრიპტის გლოსაც განმარტავს: *ad aeneum, id est ut manum mittat ad caldarium* — „ქვაბთან, ე. ი. ხელი ჩაჰყოს მდულ-

<sup>1</sup> აღნიშნული ცნობა თავახიანად მოგვაწოდა პროფ. ილ. აბულაძემ.

<sup>2</sup> *Lex Salica*, თავი LIII, აკრეფილ II და VI კაპიტულარი.

ლარეში“. ნიშანდობლივია, რომ მდულარე წყლით გამოცდა შუა საუკუნეების სხვა ხალხთა სამართალშიც ასეთივე ფორმულია აღინიშნება. მაგალითისათვის მივუთითებთ სერბიის მეფის სტეფანე დუშანის 1349 წლის კანონთა კრებულის 106 მუხლს. სადაც ბრალდებულის მდულრით გამოცდას „ქვაბით გამოცდა“ (ПЕШТАНИИ КОТЛОМ) ეწოდება.

ბექა-ალბუღას სამართლის წიგნის 90-ე მუხლის ბოლოს ნათქვამია: „და ოდესცა გამოჩნდეს, იგი კაცნი ახლად გაიბქენენ“. ე. ი. თუ მდულრით გამოცდის დროს ბრალდებულ-მოსამართლეს ბრალდება დაუდასტურდება, მდულარეში ხელი დაეწვება, საქმე ხელმეორედ უნდა გაირჩეს. ქრთამის ნიშნებ მოსამართლეს კი კანონით გათვალისწინებული სასჯელი უნდა შეეფარდოს. ალბათ, სასამართლო გამოცდის მთელი ეს პროცედურა ათაბაგის მოხელეთა მონაწილეობითა და ზედამხედველობით წარმოებდა. ცხადია, მდულრით გამოცდა სხვა პირთა და საქმეთა მიმართაც გამოიყენებოდა.

მდულარე წყლით გამოცდის გარდა ბექა-ალბუღას სამართალი იცნობდა აგრეთვე ორდალის სხვა სახესაც, კერძოდ, სასამართლო გამოცდის იმ ფორმას, რომელსაც ორთა-ბრძოლა ეწოდება. საყურადღებოა, რომ ორთა-ბრძოლა ისტორიულად უმთავრეს-დ საადგილმამულო დავის გადასაწყვეტად გამოიყენებოდა. აქ მხრივ ნეტად დამახასიათებელია ალამანთა და ბავარიელთა სამართლის ცნობები ორთა-ბრძოლის შესახებ. ალამანთა სამართლის მიხედვით თუ მაჟულის გაყოფის ან საზღვრების თაობაზე დავა წამოიჭრება ნათესავენს ან მეზობლებს შორის. მოდავე მხარეები უნდა „მეებრძოლონ ერთმანეთს. ვინც იმათგან გაიმარჯვებს, ის დაეუფლება სადაო ნაკვეთს“. ასეთივე წესს ითვალისწინებს ბავარიელთა სამართალიც, სადაც ნათქვამია: „და უნიშონონ ერთმანეთს ის, რასაც ჩვენ ორთა-ბრძოლას ეუწოდებთ, და ვისაც ღმერთი მეტს იმამაცესა და გამარჯვებას მიანიჭებს, დაე მას ეკუთვნოდეს სადაო ნაკვეთიო“<sup>1</sup>.

ბექას სამართალში არის ერთი მუხლი, რომელიც ანალოგიური ხასიათის სამამულო დავას ეხება ნათესავენს შორის და, როგორც ჩანს, აღნიშნული კანონმდებლობა იცნობს ორდალის იმ

<sup>1</sup> ი. დოლიძე, ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები, 1950 წ., გვ. 74, 79.

ფორმას, რომელსაც სასამართლო ორთა-ბრძოლა ეწოდება. სამართლის წიგნის 49-ე მუხლში ნათქვამია: არსებობს ადგილობრივი და საგვარეულო ადათი, როცა უმცროსი ძმა ცოლს შეირთავს, ის ოჯახს მამულით გამოეყოფა, მაგრამ უფროსი ძმა ინარჩუნებს უფლებას მიიღოს უფროსობისათვის ქონების ზედმეტი წილი, ე. წ. „საუსუცესო“. თუ საადგილმამულო ქონების გაყოფისას ძმებს შორის დავა წარმოიშობა და ვერ შეთანხმდებიან, დავა ორთა-ბრძოლით უნდა გადაწყდეს: „თუ ურჩევნისთ იბრძოდენ, თუ უმცროსი კარგად არ შეეგბის, ანუ სიკეთითა მიღმა შეეხვეწების,—გამეყავ, დამეჯსენ, აღარც ვითარ უწესო დაგვინახავს მისთანაო“<sup>1</sup>. კანონმდებელს აქ მხედველობა აქვს ორთა-ბრძოლა, რომლის საშუალებითაც უნდა გადაწყდეს დავა ძმებს შორის, თუ ისინი სხვაგვარად ვერ შეთანხმდებიან. რაკი ორთა-ბრძოლა დაშვებულია ახლო ნათესავებს შორის, ცხადია, ის გამოყენებული იქნებოდა სხვა პირთა მიმართაც და სხვა ხასიათის საქმეებზედაც. კანონმდებლის სიტყვები „იბრძოდენ“ და „შეეგბის“ არავითარ ექვს არ იწვევს, რომ სწორედ ორთა-ბრძოლაზეა ლაპარაკი. ფ. გორგიჯანიძის ქრონიკაშიც ორთა-ბრძოლას „სამართალზედ შეგბა“ ეწოდება. ქრონიკაში აღნიშნულია: ორივე მხარე „შესაბმელად აემზადნეს“, როცა „შეგბის დრო“ დადგა, „საომარი აღაგი“ მიუჩინეს და დაუძახეს,—„ომისა და შეტევის დრო არისო“<sup>2</sup>. მაშასადამე, „შეგბა“, „ომი“, „შეტევა“ აქ ორთა-ბრძოლას ნიშნავს. ვახტანგის სამართლით ორთა-ბრძოლას „ხმალში გატანება“ ეწოდება, ხოლო მე-ბრძოლ, მეომარ მხარეებს—„შესაბმელნი კაცნი“. ამგვარად, „შეგბა“ ქართულ სამართალში ორთა-ბრძოლას ნიშნავს და ამ აზრით იხმარება ბექას სამართლის ზემოაღნიშნულ მუხლშიც.

აღსანიშნავია, რომ ბექას სამართალში კანონმდებელს ორთა-ბრძოლა, ანუ „ომი“, არ მიაჩნია კანონსაწინააღმდეგო მოქმედებად და ამიტომ ასეთი ქმედობისათვის სასჯელს არ აწესებს.

ბექას სამართლის მე-16 მუხლში ნათქვამია: „წუთა მისრულისა კაცისა ასრე იქნას... თუ მეომარი ყოფილიყოს და მართლითა მოწმითა გამოჩნდეს, გარდაჯდეს ასრე, ვითა ძაღლის ყეფა“, ე. ი. თუ ორთა-ბრძოლის დროს გამშვე-

<sup>1</sup> რუსულ თარგმანში ეს ადგილი სრულიად გამოტოვებულია, ხოლო ფრანგულში დამახინჯებულია აზრი.

<sup>2</sup> „ქართლის ცხოვრება“, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, ნაწ. მეორე, 1854 წ., გვ. 535, 536.

ლებელი კაცი თვითონაც მონაწილეობას მიიღებდა ბრძოლაში და მოკლული იქნებოდა, მისთვის არავითარი საზღაურის გადახდა არ იყო დაწესებული. მაგრამ, თუ მეომრებმა გასაშვებლად მისული უდანაშაულო კაცი ან ქალი მოკლეს, ორკეცი სისხლი და გერში უნდა დაუფრვონ დაზარალებულს. ორთა-ბრძოლას ითვისისწინებს აგრეთვე ბექას სამართლის მე-19 მუხლიც, სადაც ნათქვამია: „თუ კაცი კაცს ომით მოერიოს, გამარჯვება ეყოფის და თანა ნურას წაიტანს“ და დამარცხებულს სახლში ნუ წაიყვანსო. აქაც ორთა-ბრძოლა აქვს კანონმდებელს მხედველობაში. „ომით მორევა“ ორთა-ბრძოლაში ძლევას ნიშნავს. წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად გაუგებარი იქნებოდა, ომში გამარჯვებულს რატომ არა აქვს უფლება სახლში წაიყვანოს ტყვე ან წაილოს მისი ქონება. ამავე შინაარსისაა ბექას სამართლის მე-20 მუხლიც: „თუ სწორმან სწორი ჯელთა დარჩენილი კაცი გლეხისასა ანუ ხოსტაგიანსა ცალკერძსა საბლსა [შეაყენოს და] სასირცხოდ პური აქამოს“, სისხლი დაუფრვოს და წანაღები ქონებაც მისცესო<sup>1</sup>. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ მუხლის შინაარსი ასეთია: თუ გამარჯვებულმა კაცმა, დიდებულმა, ან აზნაურმა, ბრძოლაში დამარცხებულ თანასწორი წოდების კაცს გლეხის ოჯახში, ან საქონლის ბოსელში სასირცხოდ პური აქამოს, სისხლი აუნაზღაუროს და წაღებული ქონება დაუბრუნოსო. „ჯელთა დარჩენილი კაცი“ ორთა-ბრძოლაში დამარცხებულ მხარეა. კანონმდებელი კრძალავს ნხოლოდ დამარცხებულის მიმართ გამაწილებელი და შემარცხენელი ზომების გამოყენებას.

ზემოაღნიშნულ მუხლებში კანონმდებელი „ომს“, ანუ ორთა-ბრძოლას ნებადართულად თვლის. მაგრამ ეს კანონმდებლის მიერ დადგენილ სასამართლო გამოცდას არ უნდა წარმოადგენდეს, რადგან ასეთი წესის შეთარღვების შესახებ არავითარი მითითება არ არსებობს. საფიქრებელია, რომ ამგვარი „ომი“ და ბრძოლა უმთავრესად შურისძიების ნიადაგზე იყო წარმოშობილი, რასაც კანონმდებელი დანაშაულებრივ მოქმედებად არ თვლიდა.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, შუა საუკუნეების ქართული სამართალი იცნობდა ორდალებს, რომლებიც გამოყენებული იყო სხვა ხალხთა სასამართლო წარმოებაშიც. ამ მხრივ ბექა-აღბულას სა-

<sup>1</sup> ამ მუხლის ტექსტი B ხელნაწერში სრულიად დამახინჯებულია და აღდგენილია A ხელნაწერის მიხედვით.

მართალი გამოჩაგვის არ წარმოადგენს. მაგრამ, თუ სხვა საკანონმდებლო ძეგლებში ვახტანგის სამართლის შედგენამდე ორდალებზე წითილებას ვერ ვხვდებით, ეს მხოლოდ იმით უნდა აიხსნას, რომ სასამართლო გამოცდის ეს ფორმები, რომლებიც გავრცელებული იყო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში წესრიგდებოდა ადათობრივი სამართლით, რაც ფეოდალური სამართლის ძირითად წყაროს წარმოადგენდა. ამასთან, ადრინდელი ფეოდალიზმის პერიოდში ადათობრივი სამართლის ზოგიერთი ინსტიტუტი საკანონმდებლო წესით გაფორმებული არ იყო. ამიტომ სავსებით ბუნებრივია იმ აზრის დაშვებაც, რომ, გარდა მდულრით გამოცდისა და ორთა-ბრძოლისა, ყუა საუკუნეების ქართული ფეოდალური სამართალი ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდში იცნობდა ორდალების სხვა სახეებსაც. ფარსადან გორგიჯანიძის, ლამბერტისა და ვახუშტის ცნობები ადასტურებენ ამ აზრს. სასამართლო გამოცდის ეს ფორმები ისეთივე ძველი ინსტიტუტებია: როგორც თვით სამართალი, ისინი წარმოიშობიან და ვითარდებიან სამართალთან ერთად.

ახლა აუცილებელია გაირკვეს საკითხი იმის შესახებ. თუ რა წარმოადგენს ქართული ორდალების თავდაპირველ წყაროს, ან საიდან შემოვიდა იგი ქართულ სამართალში.

ორდალების შესახებ დ. ბაქრაძე 1887 წელს წერდა: „...они кажутся нам заимствованным, статья может, из „Русской Правды“, так как: в позднейшие времена мы его находим лишь в этом законодательстве“<sup>1</sup>. 1889 წელს გამოცემულ სხვა შრომაში დ. ბაქრაძე ამბობდა: „ერთგვარი სისხლის სამართალი, რომელსაც ძველ სპარსეთში ეპოულობთ და რომელიც თვით უძველეს ინდოეთის პოემაში „რამაიანაშია“ მოხსენებული და მითვისებული ელინთაგანაც, ყოფილა ცეცხლით თავის გამართლება. ეს სამართალი ჩვენც მიგვითვისებია. ეს არის მდულრით ანუ შანთით თავის გამართლება“<sup>2</sup>.

მ. კოვალევსკი, რომელმაც ქართული სამართლის ისტორიას გასული საუკუნის 90-იან წლებში სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა, არ ეთანხმება დ. ბაქრაძის აზრს იმის შესახებ, თითქოს ვახტანგ მეფის სამართალმა ორდალები „Русская Правда“ ან „Новгородская Судная грамота“-დან ისესხა და მითვისაო. ქარ-

1 Сборник законов груз. царя Вахтанга VI, 1887, стр. 6.

2 დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, 1889 წ., გვ. 69.

აული ორდალების წყაროს არ წარმოადგენენ რუსული სამართლის ზემოაღნიშნული ძეგლები. მ. კოვალევსკის აზრით, ორდალების უცხო სამართლიდან სესხების საკითხი თუ დაისმება, მაშინ ის უნდა ვეძიოთ არა რუსულ სამართალში, არამედ უძველეს ხალხთა ისტორიაში. მ. კოვალევსკი ფიქრობს, რომ სასამართლო გამოცდის ფორმები გადმოღებულა ირანის ძველი კანონმდებლობიდან, რომელიც იცნობდა სამი სახის ორდალს: ცეცხლით, მდულრითა და ცივი წყლით გამოცდას. ეს ორდალები მოხსენებულია ავესტაში, — ირანის რელიგიური და იურიდიული წესების წიგნში.

„...Если принять во внимание, что распространённые на Кавказе виды ордальной те самые, которые упоминаются Авестой, и что порядок производства испытания представляет поразительное сходство с тем, о котором говорит пранские источники, то трудно будет отрешиться от того впечатления, что в них следует видеть нечто не самобытно развившееся, а привнесённое извне, и притом не откуда более, как из Ирана, культура которого так могущественно влияла на культуру Кавказа“.<sup>1</sup>

ამრიგად, მ. კოვალევსკის აზრით ორდალების სისტემა შემოტანილ იქნა საქართველოში ირანიდან XVIII საუკუნის დასაწყისში. ამასთან, მ. კოვალევსკი იმოწმებს დ. ბაქრაძის აზრს იმის შესახებ, რომ ორდალები არ იხსენიება არც ძველ ქართულ და სომხურ მწერლობაში და არც ქართულ აქტებში, მათ იცნობს მხოლოდ ვახტანგის სამართლის წიგნი. ეს გარემოება, ამბობს კოვალევსკი, სწორედ იმ აზრს ამტკიცებს, რომ ორდალები ქართულ სამართალში შემოსულია უცხო წყაროებიდან. ორდალები რომ ქართული ნაციონალური სამართლის ინსტიტუტები იყოს, არ შეიძლება და მათ კვალი არ დაეტოვებინათ ქართულ მწერლობაში და კანონმდებლობაშიო. მაგრამ საყურადღებოა, რომ თავისი აზრის დასასაბუთებლად, გარდა ზოგადი მსჯელობისა და ანალოგიებისა, რაც ემყარება ორდალების გარეგან მსგავსებას, კოვალევსკის არ მოჰყავს კონკრეტული ფაქტები და მტკიცება ქართული ორდალების ირანული წარმოშობის შესახებ.

როგორც ცნობილია, მ. კოვალევსკი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის წარმომადგენელი იყო იურისპრუდენციაში. მან ბევრი მასალა და ფაქტები დააგროვა, მაგრამ ის შორს იდგა სამართლის

<sup>1</sup> М. Ковалевский. Закон и обычай на Кавказе, т. I, 1890, стр.

ინსტიტუტების წარმოშობის მარქსისტული გაგებისაგან. ამით აიხსნება მისი მცდარი დასკვნები და შეხედულებანი ქართულ სამართალზე უცხოური კანონმდებლობის ძლიერი და პირდაპირი გავლენის შესახებ.

იგივე უნდა ითქვას დ. ბაქრაძის მიერ გამოთქმული აზრის შესახებ, თითქოს ქართულმა სამართალმა მდულრიტა და შანთით გამოცდა მიითვისა სპარსელებისაგან. ამ შემთხვევაში დ. ბაქრაძის შეხედულება არ განსხვავდება მ. კოვალევსკის აზრისაგან. ამასთან, დ. ბაქრაძე სხვა ადგილას ვახტანგის სამართლის რუსული გამოცემის კომენტარიებში ქართული ორდალების წყაროდ რუსულ სამართალს მიიჩნევდა; იგი მიუთითებდა, რომ ორდალების სისტემა საქართველოში ვახტანგის სამართალმა გაავრცელაო. როგორც პირველი, ისე მეორე აზრი საფუძველს მოკლებულია. ცნობილია რომ XI—XII საუკუნის ქართული იურიდიული ცხოვრება და შეხედულება ჩამოყალიბებულ ფეოდალურ ურთიერთობასა და საწართლს ასახავდა. საქართველოს იმ დროისათვის უკვე ძლიერ განვითარებული ფეოდალური მონარქია და მართლმსაჯულება ჰქონდა. მაშასადამე, რუსული სამართალი არ შეიძლება საფუძველად დადებოდა ორდალების წარმოშობას ქართულ სამართალში. ქართული ადათობრივი სამართალი ამ ინსტიტუტებს უკვე დიდი ხნით ადრე იცნობდა. არც ის აზრია სწორი, თითქოს რუსეთის გვიანდელ პერიოდში ორდალებს მხოლოდ „Русская Правда“-ში ვხვდებით. ორდალების გამოყენება ცნობილია სასამართლო აქტებით რუსეთში XVII საუკუნეშიც, როგორც ამაზე მიუთითებს რუსეთის სამართლის ცნობილი ისტორიკოსი ვლადიმირსკი-ბუდანოვი. რაც შეეხება დ. ბაქრაძის მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს ვახტანგის კანონებამდე უცნობი იყო ქართულ სამართალში ორდალების გამოყენება და რომ ვახტანგის სამართალმა გაავრცელა „ღვთის მსჯავრი“ საქართველოში, ეს აზრი, როგორც ზემოთ დავინახეთ, უსაფუძველოა.

ვახტანგის სამართალში აღნიშნული ორდალების შესახებ თავისი შეხედულება გამოთქვა ი. კარსტმაც. მისი აზრით, ორდალების სისტემის მიხედვით ქართული სამართალი მკიდრო კავშირშია ერთის მხრივ ინდურ-ირანულ სამართალთან, ხოლო, მეორეს მხრივ, გერმანულ, სლავურ და კელტურ ადათებთან. ქართული ორდალები ზედმიწევნით ემსგავსებიან გერმანულს. ამავე დროს უნგრეთის, სერბიის, ჩეხიისა და პოლონეთის შუა საუკუნეების სამართლის ძეგ-



ლებიც იცნობენ ორდალებს, რომლებსაც არანაკლებ წააგავს სათანადო ქართული წესები. ქართულ საპროცესო სამართალში ცნობილ მოფიცართა ინსტიტუტსაც საესებით გერმანულ-ევროპული ხასიათი აქვს. შუა საუკუნეების ნორვეგიასა და უნგრეთში არსებული მოფიცაოთა ინსტიტუტიც სრულიად შეესაბამება ქართულ ჩვეულებებს, რომელთა თანახმად ხშირად მთელი სოფელი გამოდიოდა მოფიცართა როლშიო. ასეთი მსგავსება, კარსტის აზრით, იმით აიხსნება, რომ ძველად მადიარები და იბერიელები თითქმის ნებობლები იყვნენ შავი ზღვის სანაპიროზე. მაგრამ მოფიცართა ინსტიტუტს სპარსეთის მუსლიმანური სამართალიც იცნობსო, კარსტი აღნიშნავს ანალოგიას ირანისა და საქართველოს სასამართლო წყობილებასა და სასამართლო წარმოებას შორის. მისი აზრით, სასანიდთა სპარსეთში სამეფო იურისდიქცია იმავე წესით ხორციელდებოდა, როგორც საქართველოში. სასამართლო წარმოებისა და სამეფო სასამართლოების ორგანიზაციის მხრივ ამ ორი ქვეყნის წყობილება ანალოგიური იყო. ორი უმაღლესი სასამართლო ხელისუფლების—საერო და საეკლესიო სასამართლოების—ორგანიზაციაც ამ ქვეყნებს ანალოგიური აქვს. კარსტის აზრით, ირანულ და ქართულ სამართალს შორის არსებობს აგრეთვე პარალელიზმი სასამართლო წარმოების დარგშიც. ამ მხრივ აღსანიშნავია ანალოგიური დამამტკიცებელი საბუთების (მოწმე, ფიცი, ორდალები, წერილობითი საბუთები) არსებობა ირანულსა და ქართულ სამართალში. XVI—XVIII საუკ. მდივანბეგთა ქართული სასამართლოები, მისი აზრით, უშუალოდ სპარსულ-სეფევიდური წარმოშობისაა.<sup>1</sup>

კარსტის მიერ მოყვანილი ანალოგიები მოკლებული არიან მეცნიერულ მნიშვნელობასა და ღირებულებას. ასეთი მსჯელობა სრულიად არაფერს მატებს მეცნიერებას და არც რაიმე გარკვეული დასკვნის საფუძველს იძლევა. ამ წესით ანალოგია შეიძლება გატარებული იქნას ყველა ქვეყნის სამართალთან, რადგან სასამართლოებისა და სასამართლო დამამტკიცებელი საბუთების გარეშე სასამართლო წარმოება საერთოდ შეუძლებელია. სასამართლო მტკიცების საშუალებებს (მოწმე, ფიცი, ორდალები და სხვ.) თითქმის ყველა ძველი კანონმდებლობა იცნობს, მაგრამ აქედან შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ერთმა სახელმწიფომ ისესხა ან მიითვისა მეორე ხალხის სამართალი და ადათ-ჩვეულებები. რაკი კარსტის

<sup>1</sup> Karst. Code géogien du roi Vakhtang VI. ტ. I<sup>2</sup>, წიგნი პირველი, 1935, გვ. 109—111.

აზრი ამ საკითხში არ ემყარება კონკრეტულ ანალიზს და დაკვირვებას, იგი იძულებულია ეძიოს ქართული სამართლის ინსტიტუტების ანალოგები თითქმის ყველა ქვეყნის ხალხთა სამართალში და დაემყარებინოს გარეგნული მსგავსების აღწერის საფუძველზე მეტად ზოგადი და დაუსაბუთებელი შედარებებით. ცხადია, კვლევის ასეთი მეთოდი ვერავითარ დადებით შედეგს ვერ მოგვცემს და ვერც მეცნიერულ კრიტიკას უძლებს.

სრულიად მართებულად პროფესორი ალ. ვაჩიშვილი კარსტის აზრს ქართული ორდალების გენეზისის შესახებ დაუსაბუთებლად თვლის. მისი აზრით, დამამტკიცებელ საბუთთა სისტემა—ფიცი და მოფიცართა ინსტიტუტი, ორდალები და ორთა-ბრძოლა, ცოდვის მოკიდება—ადათობრივი ნორმების სახით შემონახული იყო ხალხის ყოფა-ცხოვრებაში და, საფიქრებელია, რომ კანონმდებელმა ეს სახეები ამ წყაროდან ისესხაო. ამასთან, პროფესორი ალ. ვაჩიშვილი დასაშვებად თვლის იმ აზრს, რომ „ღვთის მსჯავრი“ ქართულ სამართალში შორეულ ისტორიულ წარსულში შეიძლებოდა ირანის ზეგავლენის გზით შემოსულიყო<sup>1</sup>.

ქართული საპროცესო ორდალების წყაროს ნაციონალური ადათობრივი სამართალი შეადგენს, რომელიც იქმნებოდა და ვითარდებოდა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის მანძილზე. ორდალების წარმოშობა ქართულ ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებში უნდა ვეძიოთ. სასამართლო მტკიცების საშუალებებს თვით ცხოვრება ქმნიდა და სასამართლო პრაქტიკა ავაგრებდა. იგი დაკავშირებულია ამა თუ იმ ხალხის სამართლისა და მართლმსაჯულების ისტორიასთან და ვითარდება მასთან ერთად. ორდალებს ყველგან საფუძვლად ხალხის რელიგიური წარმოდგენა ჰქონდა იმის შესაქებ, რომ მართლმსაჯულება ღვთაებრივი საქმეა. „ღვთის მსჯავრის“ გამოყენება და მისი გავრცელება დამოკიდებულია სახელმწიფო ცხოვრების განვითარებაზე. რაც უფრო მაღალია ერის კულტურული და იურიდიული შეგნება, მით უფრო ნაკლები სარბიელი აქვს ორდალების გამოყენებას, და პირიქით. აღრინდელი ფეოდალიზმისა და ფეოდალური დაქსაქსულობის პერიოდში, როცა სახელმწიფო დაქუცმაცებული იყო ცალკეულ ფეოდალურ სამთავროებად, ორდალების გამოყენება სხვადასხვა ქვეყანაში მეტად გავრცელებული იყო. ამ პერიოდში, როგორც

<sup>1</sup> ალ. ვაჩიშვილი. ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან. II 1948 წ., გვ. 133.

ცნობილია, ფეოდალური სამართლის ძირითად წყაროს და, მაშასადამე, საპროცესო სამართლის ძირითად წყაროსაც ადათობრივი სამართალი წარმოადგენდა. ორდალების შეფარდებაც ადგილობრივი ადათებით წესრიგდებოდა. თვითეულ დიდ ფეოდალურ სამთავრო-მამულში საკუთარი მართლმსაჯულება იყო. ასე იყო სამცხე-საათაბაგოშიც. ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ადათზე და ფუძნებული ორდალების გამოყენება სასამართლო პრაქტიკაში. XVII—XVIII საუკუნეებში, აბსოლუტიზმისა ანუ ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ პერიოდში, როცა მოხდა ერებისა და ნაციონალური სახელმწიფოების ჩამოყალიბება და კანონი სამართლის ძირითად წყაროდ იქცა, ორდალების სისტემაც ხმარებიდან გამოვიდა.

ორდალების წარმოშობა არაერთგვაროვნად არ შეიძლება აიხსნას უცხო სამართლის გავლენით. ისინი ხალხის სოციალურ ყოფა-ცხოვრებასთან დაკავშირებული ინსტიტუტებია და მის შეხედულებას გამოხატავს მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში. ყველა ხალხს თავის სოციალურ და ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული ორდალების სისტემა ჰქონდა, რომელიც სხვა ხალხისაგან ნასესხები და მითვისებული არ ყოფილა. ქართული ორდალები, რომლებმაც ბეჭა-აღბულასა და ვახტანგის სამართალში საკანონმდებლო გაფორმება მიიღეს, ძველი ადათობრივი სამართლის ნორმებს შეადგენენ და სასამართლო პროცესის თვისებებსა და პრინციპებს გამოხატავენ შუა საუკუნეების ქართულ ფეოდალურ სამართალში. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ორდალების არსებობის შესახებ საკმაო ცნობები იყო ზემოთ მოყვანილი (ვახუშტი, ლამბერტი, ბაქრაძე). ამრიგად, ვახტანგის სამართალმა კი არ გავრცელა საქართველოში ორდალების სისტემა, როგორც დ. ბაქრაძე ფიქრობდა, არამედ ხალხში გავრცელებული და ადათობრივი სამართლით მოწესრიგებული ჩვეულება დააკანონა.

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად გავრცელებული იყო ქართულ საპროცესო სამართალში ორდალების გამოყენება, აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ საისტორიო წყაროებში და სამართლის ძეგლებში „სათანადო ცნობების უქონლობა უეჭველია იმის მომასწავებელი მაინც უნდა იყოს, რომ შანთი, მდულარე და ხმალი ღვთის მსჯავრის სახით თუნდაც რომ არსებულებოდა, სასამართლო წარმოების საშუალებად მეტად იშვიათად უნდა ყოფილიყო“.

ჩვენ დავინახეთ, რომ „ღვთის მსჯავრი“ მართლაც არსებობდა შუა საუკუნეების ქართულ სამართალში. განსვენებული მეცნიერის აზრი ორდალების იშვიათი გამოყენების შესახებ შეიძლება გავიზიაროთ, თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ საკანონმდებლო ძეგლებში შემონახულ ცნობებს ორდალების შესახებ. მაგრამ ორდალების გამოყენება უმთავრესად დაუწერელი ადათობრივი სამართლის ნორმებით წესრიგდებოდა, რაც უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ შუა საუკუნეების ქართულ სასამართლო წარმოებაში ორდალების გამოყენება მტკიცების საშუალების იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენდა.

---

სამართლის წიგნები  
(ტექსტები)



## ბეჭდისათვის

სამართლის წიგნის ტექსტები, რომლებსაც ქვემოთ ვბეჭდავთ. მოღწეულია ჩვენამდე გვიანდელი ხელნაწერებით. გამოცემას საფუძვლად დავედით აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული ხელნაწერები (A—206 და S—3683. პირველი, ნუსხა ხუცურად ნაწერი, შესრულებულია 1672 წელს, ხოლო მეორე, მხედრულად ნაწერი, ვახტანგ VI-ის დროს 1709 წლამდე. Q—206 ხელნაწერს გამოცემაში A-თი აღვნიშნავთ, S—3683 ნუსხას კი—B-თი. ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკური სამართლის ტექსტებს B ხელნაწერის მიხედვით ვბეჭდავთ, რადგან ეს ძეგლები მხოლოდ ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ კანონთა კრებულშია დაცული.

აღნიშნული ნუსხები უძველესია იმ ხელნაწერებს შორის, რომელთაც შემოუნახავთ ესენებულები ძეგლები, მაგრამ მათი გადაწერის თარიღი მაინც მეტად დაშორებულია მათი შედგენის დროსაგან. ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკური სამართლის ნუსხები უფრო დიდად შორდება მათი წარმოქმნის დროს. ვიდრე ბექასა და აღბუღასი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შერყენილი უფრო ორი უკანასკნელი ტექსტია. განსაკუთრებით ბექასი.

აკად. ა. შანიძის დაკვირვებით ზოგივე გამოყენებულ ხელნაწერი კარგადაა მოღწეული, მაგრამ ტექსტი მეტად შერყენილია. დამახინჯება რამდენადმე იქედანაა წარმომდგარი, რომ დედნები, რომელთაგანაც ეს ხელნაწერები მომდინარეობენ (აღბათ არა უშუალოდ, არამედ რამდენიმე ხელნაწერის საშუალებით) ხუცური ასოებით ყოფილა დაწერილი და გადამწერთ ვერ გაუჩვენიათ მსგავსი მოყვანილობის ასოები: ბ და შ. რ და ძ, ყ და უ და სხვა. გრაფიკის ნიდაღზე წარმომდგარი შეცდომებია: ბაშიასა (შაშიასა, ბექას საქართლის შესავალში), შეღვალთ (ბელვლთა, მუხ. 169), რომელნი (რმნი=ქმანი, მუხ. 153), ჟაბად (ჟმად, მუხ. 31), სატხუად (სასირცხუად, მუხ. 20) და სხვა. ამას გარდა, გადამწერს სხვადასხვა სიტყვა შეუერთებია: „მიყიდულა მიგართვას“ („მიყიდიაო, ულამი გაართვას“, მუხ. 66), „ზედა აწ“ („ზედა აც“, მუხ. 120), „სხვას ტაგესა შიგან“ („სახვასტაგესა შიგან“, მუხ. 20), „წესიე-

არისა საუწესოსა“ („წესი ერთისა საუხუცესოსა“, მუხ. 48) და სხვა. ზოგი სიტყვა გადამწერს ვერ გაუგია და თავისებურად გადაუკეთებია: „ოცისა“ („კაცისა“ მუხ. 83).

A ტექსტი შედარებით უფრო კარგად არის მოღწეული, ვიდრე B, რომელშიც (განსაკუთრებით ბექას სამართალში) თავისებური კონენტარებია ჩართული. ამიტომ ბექასა და აღბუღას სამართლის ტექსტის დადგენისას უპირატესობა A ნუსხას უნდა მიეცეს, ვინაიდან ჩართულ ახსნა-განმარტებათა გამო შეუძლებელია B ტექსტის ისე გასწორება, რომ პირვანდელი ტექსტი აღდგეს.

ტექსტის უკეთ გაგების მიზნით მუხლები შინაარსის მიხედვით დაყვავით აბზაცებად. A ხელნაწერში, ბაგრატ კურაპალატისა და კანონიკური საძირათლის წიგნებში აღდგენილია ძველი ორთოგრაფია. B ხელნაწერის მიხედვით ბექასა და აღბუღას სამართლის ტექსტში დატოვებულია ნუსხის ორთოგრაფია, მაგრამ შესწორებულია აღრევა ასოებისა ჯ და ხ, ვ და უ (უბრჯგუ). აქ შემთხვევათა უმეტესობას მივეციტ უპირატესობა და შესაბამისად გავმართეთ მიუთითებლად.

სხვა შემთხვევაში ყველა შესწორება და ხელნაწერების წაკითხვა ნაჩვენებია უკლებლივ სათანადო აღგილას. კაკებში ჩასმული ასოები თუ სიტყვები ჩვენ მიერაა ჩამატებული. სადაც ორი ხმოვნის ნაცვლად ხელნაწერში ერთია დაწერილი (დაურვოს=დაურვოს, გართვას=გაართვას და ა. შ.), ხელნაწერის ფორმა გასწორებულია მიუთითებლად. უმჯგუფის ნაცვლად უფ არის წარმოდგენილი. A ხელნაწერის ქარაგმები ყველა გახსნილია. ხელნაწერთა პუნქტუაციას არ ვიცავთ, ტექსტები გამართულია სასვენი ნიშნების ხმარების თანამედროვე წესის მიხედვით<sup>1</sup>.

ტექსტის მიმართ ზოგიერთი საგულისხმო შენიშვნისათვის ადლობას მოვახსენებ აკად. ნ. ბერძენიშვილს.

<sup>1</sup> ხელნაწერთა აღწერილობა, იხ. .33. 71—78.



A

[ 1 ] ნიგნი საპართლისა კასთა  
გემოღებისა ყოვლისაჲ

სახელითა ღმრთისაჲთა. — დაუსაბა-  
მოჲსა მამისა, ძისა და წმიდისა სული-  
საჲთა, — მეოხებითა ყოვლად წმიდისა  
ღმრთისმშობლისაჲთა და ყოველთა  
წმიდათა ზეცისა და ქუეყანისაჲთა,  
მე, ათაბაგ - ამილსპასალარმან აღბულა,  
მოვაჯსენეთ პატროსანსა... \* მაწუჟე-  
რელსა და ბიძა-ძეთა ჩემთა უაშისა<sup>1</sup>  
და მისსა ძმასა საფარის მოძღუარსა  
პაფნუტის<sup>2</sup>, სუთსავე თემსა სამცხისა-  
სა, ტაოველთა, შავშთა და კლარჯ-  
თა და მათ შინა მყოფთა ეპისკოპოზ-  
თა და მეუღაზნოვეთა, მოწესეთა მოწმო-  
ბითა მინდობილნი ღმრთისანი და  
ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისანი,  
დავ[ი]დევეთ წინა შე პატრონისა<sup>3</sup> პაპის-  
ჩემისა ბექაჲს განაჩენი, იგი სრულობი-  
თა და უკლებლად დავწერეთ და, რაჲცა  
ეამთა სიაფითა სსუანი უწესონი საქმე-  
ნი შემოსრულ იყვნეს, მათი სამართა-  
ლი ზედა დაურთეთ, ასე რომე რაჲცა  
სისხლისა, გერშისა, [V] დასხმისა,  
ლალატისა და რაჲსა გინდა თეთრისა  
საურავისა საქმე იყოს.

B

[ 611 ] მანდაგურთუხუხასის .  
საპართალი

[ 254 ] შევიყარენით ჭულევთა<sup>4</sup> მინ-  
დობილნი ღმრთისანი და აწურისა  
ღმრთისმშობლისანი და გაქცევისა (?), \*  
დავიდევეთ წინა პატრონისა პაპისჩემი-  
სა, მანდატურთუხუცესის ბექას განა-  
ჩენი და იგი აგრევე სრულობით და  
უკლებლად დავწერეთ და, რაჲცა<sup>5</sup> ეამ-  
თა სიაფითა<sup>6</sup> სსუანი უწესონი საქმენი  
შემოსულიყვნენ, მათი სამართალიცა  
ზედა დაურთეთ, ასრე რომე რაჲც სი-  
სხლისა და გერშისა, დასხმისა და ლა-  
ლატისა და რაჲსა გინდა ფერისა დასა-  
ურეგებელი საქმე იყოს.

\* აქ გადამწერს 2—3 სიტყვისათვის გაშვებული აქვს ცარიელი ადგილი.

\*\* აქ გაშვებულია ადგილი 1—2 სიტყვისა, რომელიც უნდა აკლდეს.

შესავალი. <sup>1</sup> შაშისა] ბაშისა. <sup>2</sup> პაფნუტის] პაფნოტეს. <sup>3</sup> პატრონისა] პატროს-  
ნის. <sup>4</sup> კულევთა] კოლთა. <sup>5</sup> რაჲცა] არცა. <sup>6</sup> სიაფითა] სხვითა.

## A

პატრონის პაპისჩემისაგან განაჩენი უაზანური<sup>7</sup> თეთრი იყო. ამა ეამსა შინა უაზანურობა<sup>8</sup> არღარა იყო, ღიღისა მფვისა გიორგის ეამისა თეთრი გავაჩინეთ: ორიანი ხუთი დანგი<sup>9</sup> წმიდა ვეცხლი და, როგორცა თეთრი იყოს. ანგარიშად იმა წესითა აიღებოდეს. ამაღ არ ჩამოვამცრევით, რომე ავი საქმე ნუ ვისგან გაადვილებიბს.

აწუურისა და საფარისა ვითა ძველითგან უოფილიყო<sup>10</sup>. არცა ღიღსა<sup>11</sup> პატონსა<sup>12</sup> მოეშალა. ჩვენ განლაშეცა ეგრეთვე დავამტკიცეთ.

**უწინ სისხლისა საქმე გავაჩინეთ<sup>13</sup>.**

1<sup>13</sup>. თუ შერისხდეს ღმერთი ეშმაკსა და კაცმან კაცი მოკლას, დიდებულმან—დიდებული, სადამდის პატონის კაცი და მაწყუერელისა დაესწრას და ყოკლად წმიდისა ხატი, დაწუას<sup>1</sup> თუ ემტეროს, იგი სისხლსა შიგან არა მიეთასოს.

და რა მივიღეს ხატი და კაცი, მას უკანით ნულარას ემტერების. და თულა აწყინოს. მაწყუერელიისა და პატონის პაქტიევი გარდაიქადოს და დაუურვოს. და რაცა ეწყინოს, იგი სისხლსა შინა მიეთასოს. და სისხლი დიდებულისა ორმოცი ათასი თეთრია.

<sup>7</sup> უაზანური. <sup>8</sup> უაზანურობა. <sup>9</sup> კიდებე გადამწერის ხელით სწერია: „ორიანი ხუთი დანგი ერთი აბაზია“. <sup>10</sup> ძველითგან ყოფილიყო ძველი გაყოფილი იყო. <sup>11</sup> ღიღსა| დღეს. <sup>12</sup> პატონსა| პატონი. <sup>13</sup> ნუ| თუ..

1. \* კიდებე გადამწერის ხელით სწერია: „სისხლი“. \*\* ამ ხელნაწერში ტექსტი მუხლებად გაკვეთილ არ არის, ჰვენ ცუფთ B-ს მიხედვით. <sup>1</sup> დაწუას| დააწყოს და. <sup>2</sup> დაუურვოს| უარყოს.

## B

პატრონისა პაპისჩემისაგან განაჩენი უაზანური თეთრი იყო და ამა ეამთა შიგა უაზანურობა აღ-სადმე-მოკლებულიყო(?) და ღიღის წარჩინებულის მფვის გიორგის ეამისა თეთრი გავაჩინეთ: ორიანი ხუთი დანგი წმიდა ვეცხლი და, როგორცა აწუ ეამისა თეთრი იყოს. ანგარიშით ამა წესით აღილებდენ. ამაღ არა ჩამოვამცრევით, რომე ავი საქმე ნუ<sup>14</sup> ვისგანმე გაადვილებიბს.

აწუურისა და საფარისა ვითა ძველითგან უოფილიყო. არცა ღიღსა მფვისა მოეშალა და ჩვენ განლაშეცა აგრეთვე დავამტკიცეთ.

**უწინ სისხლისა გავაჩინეთ.**

1. თუ შერისხდეს ღმერთი, ეშმაკისა ბირებითა და შანქანებითა კაცმან კაცი მოკლას, დიდებულმან—დიდებული, სადამდისა პატრონისა ჯაყელისა და მაწყუერლისა კაცნი და ხატი ყო[ვ]ლად წმიდისა მიესწრებოდენ, მანამდის დაწუას თუ რასაც ემტეროს. იგი სისხლსა შიგან არ მიეთასოს.

და რა მივიღეს ხატი და იგი კაცნი, მას უკანით ველარ ემტერების. და თულა რა აწყინოს, პატრონისა მაწყუერლის პატიჯი გარდაიქადოს და დაუურვოს<sup>2</sup>: რაცა ეწყინოს და წაელოს, იგი სისხლსა შიგან მიეთასოს. და სისხლი ორმოცი ათასი თეთრი იყოს.

## A

თუ ვერ ამოუვიდეს, გარდაიბეწოს და მისი მამული პატონსა და მაწყუერელსა ჰქონდეს, და გამოსაქალისა ნახევარი მესისხლეს აკამონ<sup>2</sup>.

2. თუ დიდებულმან აზნაური მოკლას ასეთი, რომე საპატიო იყოს და პატონს კარგად ჰყვეს<sup>1</sup>, ტაზრეული აზნაური იყოს, ციხოსან-მონასტროსანი, მისი სისხლი ოცი ათასი, იგი დაუურვოს.

3. თუ ასეთი მას ქუემოთ მოკლას, რომე ჟამისაგან მამული დამცრობოდეს, თუ უმონასტრო იყოს, მისი სისხლის ფასი თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს იმავე ზემო წესითა.

ესრეთ რომე მესამე ნათესავი იყოს, რომე მცრობა დაეწყოს, თუ პატონი გასწყრომოდეს<sup>1</sup> საქმესა რასმე ზედა და ჩამოემცროს, პატონმანვე შეიწყნაროს, პირველივე სისხლი უბრკონ.

4. თუ აზნაურმან აზნაური მოკლას. ამავე წესითა დაუურვოს სისხლი.

## B

და თუ ვერ ამოუქვიდოდეს, გარდაეხვეწოს, და მამული პატონსა აქუნდეს — ჯაყელსა<sup>4</sup> — და მაწყუერელსა<sup>5</sup>, ნახევარი გამოსავლისა მესისხლეს აკამონ.

2. და თუ დიდებულმან აზნაური მოკლას ასეთი, რომე<sup>2</sup> საპატიოთ პატრონს კარგად ჰყვეს და კარგი იყოს, და ანუ ტაძრეული აზნაური იყოს. ციხოსან-მონასტროსანი და მამული დიდი, მისი სისხლი ოცი ათასი თეთრი იყოს და იგი დაუურვოს.

3. თუ მას ქვეშეთი მოკლას ასეთი, რომე ანუ ჟამისაგან მამული დამცრობოდეს, უციხო, უმონასტრო იყოს, — თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს ამავე ზემოთ წესითა.

ასე რომე მესამე ნათესავი იყოს, რომე<sup>2</sup> დამცრობა<sup>3</sup> დაეწყოს და, თუ პატრონი გასწყრომოდეს მამასა თუ შვილსა საქმესა რასმე ზედა, ჩამოემცროს, და პატრონმანვე შეიწყალოს და ბქეთა პირველივე მისის გვარის საპატიო სისხლი უბძანოს, იგი დაუურვოს.

4. თუ აზნაურმან აზნაური მოკლას, ამავე წესით დაუურვოს სისხლი.

<sup>1</sup> აკამონი აკამოს. <sup>4</sup> ჯაყელისა. <sup>5</sup> მაწყუერელისა.

2. <sup>1</sup> ჰყვეს. <sup>2</sup> რამე

3. <sup>1</sup> გასწყრომოდეს + და. <sup>2</sup> რამე. <sup>3</sup> დამცრობა.

## A

თუ ვერ [V] ამოუვიდეს, გარდა-  
იხუეწოს, მისი მამული ბატონმან  
და მაწყუერელმან დაიქირონ და  
გამოსავალისა ნახევარი მესისხ-  
ლეს მისცენ სისხლის გარდაჯდა-  
მდის.

მრავალნი საქმენი ასეთგუარნი  
არიან, ზოგს[ა] საქმე[სა] შიგან  
დასახელებულნი მოფიცარნი უნ-  
დან<sup>1</sup>, რომე ბრკეთ შეუსახნენ<sup>2</sup>.  
და ბკეთაგან კარგა გამონახვა<sup>3</sup>  
უნდა.

იქმნას ისეთიკა კარგი საქმეცა,  
ზოგნი დაუსახელებელნი<sup>4</sup> უნდან<sup>5</sup>  
მოფიცარნი.

და ვაქართა ქვემოთ სწერია [იხ.  
მუხ. 96, 97].

პირველ გერშისა ასრე იქმნას,  
რომე

5\*. კელი ანუ ფერტი მოეკუეთოს  
ანუ ერთობ დაუშავოს, სისხლი-  
სა მესამედი უზღონ.

და თუ თუალი წარმოეგდოს,  
სისხლისა<sup>1</sup> მეოთხედი უზღონ.

თუ პირსა ნაკრალობა აჩნ-  
დეს, ათას ხუთასი თეთრი დაუ-  
ურვონ.

თუ კელის თითი მოეკუეთოს,  
კელის გერშის მეხუთედი უზღოს.

## B

[255] და თუ ვერ ამოუ[ვ]იდეს,  
გარდებეწოს, და მამული აგრევე  
პატრონმა დაიქიროს და მესი-  
სხლეს აგრევე აქამონ [გამოსავე-  
ლისა] ნახევარი<sup>6</sup> სისხლისა გარ-  
დახდამდინ.

მრავალგუარნი ასეთნი საქმენი  
არიან. ზოგსა საქმესა შიგან რო-  
მელნიმე დასახელებულნი მოფი-  
ცარნი უნდან<sup>7</sup>, რომე ბკეთა შე-  
უს[ა]ხნენ<sup>8</sup>, და ზოგსა—დაუსახე-  
ლებელნი. და ბკეთაგან კარგა  
გამონახვა უნდა.

იქნების ესეთისა კარ[გ]ისა  
საქმესაცა ზოგნი დასახელებულ-  
ნი უნდან და ზოგნი დაუსახე-  
ლებელნი მოფიცნი.

ვაქრისა ქვემოთ სწერია.

გერშისა<sup>2</sup> ასრე იქნას, რომე

5. კელი თუ ანუ ფევი მოეკუე-  
თოს, ანუ ერთობ დაუშავდეს,  
სისხლის მესამედი დაუურვოს.

თუ თვალი წამოაგდებინოს.  
სისხლის მეოთხედი დაუურვოს.

თუ პირსა ნაკრავი იყოს და  
ესრე აჩნდეს, ათას ხუთასი თე-  
თრი დაუურვოს.

თუ კელის თითი მოეკუეთოს,  
კელის გერშის მეხუთედი დაუ-  
ურვოს.

4. <sup>1</sup> უნდა. <sup>2</sup> შეუსახნენ! შეუსახონ. <sup>3</sup> გამონახვა. <sup>4</sup> დაუსახელებელნი დასა-  
ხელებულნი. <sup>5</sup> უნდა. <sup>6</sup> ნახევარი ნახევარის. <sup>7</sup> უნდათ. <sup>8</sup> შეუსხნენ! + ზოგსა საქმესა  
შიგა რამ დასახელებულნი მოფიცარნი უნდან, რომე ბრკეთა შეუსხნენ.

5. \* კიდევუე გადამწერის ხელით სწერია: „პროლოზაჲ“. <sup>1</sup> სისხლის. <sup>2</sup> გეშისა.

A

რავდენიცა აკლდეს, იმავე წესითა დაუურვონ.

6. ესეთი იყოს დაკოდელი, რომე არა დაუშავდეს, მაშინ საბატითა კაცთა შუა-შემოსლვითა შეიწყუნენ, ვითაცა მართებდეს.

7. თუ მსახური მოკლას, რომე [ჰ] აზნაურშილად მის პატრონსა ჰყვეს<sup>1</sup>, თორმეტი ათასი თეთრი გარდაიჯადოს.

8. თუ კბილი ჩააგდებინოს, წინა ანუ უკანა, ერთისა [თითისა] ოდენი გერში დაუურვოს: წინა სახიჩარი არს და უკანა ჭამასა აკლებს.

9. ქოთლოსნისა და აბჯროსნისა, კარვოსნისა, ბატონისაგან ჯელი ჰქონდეს, მისი სისხლიცა თორმეტი ათასი თეთრი არს. და გერშიცა იმავე წესით.

B

თუ ორნი მოეკვეთნეს თუ რაზომნიცა, ამავე წესითა დაუურვონ.

6. თუ ესეთი რამე დაეკოდოს, რომე არ დაუშავდეს და აჩნდეს, საპატითა<sup>1</sup> კაცთა შუა-შემოსლვითა შეტყუებით მოიყვანენ, დაუურვებინონ, ვითარცა მართებდეს.

7. თუ მსახური მოკლას რომელი<sup>2</sup> მისსა პატრონსა აზნაურის შვილად ჰყვეს<sup>3</sup>—თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს. და თუ მსახურად ჰყვეს<sup>4</sup>—ათასი დაუურვოს.

8. თუ კაცმან კაცს<sup>1</sup> წინა ანუ უკანა კბილი შთააგდებინოს, ერთის თითის ოდენი გერში დაუურვოს<sup>2</sup>, ამად რომე წინა სახიჩარია და უკანა ჭამას დააკლებს.

9. ქოთლოსნისა<sup>1</sup> და აბჯროსნისა<sup>2</sup> და კარვოსნისა<sup>3</sup> და პატრონთან რომ ჯელი აქვდეს ანუ ჰქონებოდეს<sup>4</sup>, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი<sup>5</sup> იყოს, ამად რომე კარვოსნობა ესე ყოველთა წესია, აზნაურული სკირს და, რომელსა მსახურსა ისი ყველა საქმე სკირს, ისრე სრულად.

6. <sup>1</sup> საპატითოთ.

7. <sup>1</sup> პატრონს ჰყვეს. <sup>2</sup> რომელი რომელმან გინათუ. <sup>3</sup> ყვეს. <sup>4</sup> ყვეს.

8. <sup>1</sup> კაცის. <sup>2</sup> დაუურვონ.

9. <sup>1</sup> ქოთლოსანისა. <sup>2</sup> აბჯროსანისა. <sup>3</sup> კარვოსანისა. <sup>4</sup> ქონებოდეს. <sup>5</sup> თეთრი სისხლი.

A

10. თუ ქოთლოსან-კარვოსანი აზნაურად მსახურებდეს ბატონთა და მოკუდეს, მას უკანით მისი ნათესავი ველარა<sup>1</sup> ისრე მსახურებდეს ბატონთა, მისი სისხლი ათასი თეთრი იყოს.

11. გლეხის კაცისა<sup>1</sup> სისხლი— ოთხასი თეთრი.

თუ კაცმან კაცის ყმა მოკლას ასეთი, რომე პატრონი<sup>2</sup> იცნობდეს სიკეთესა<sup>3</sup> ზედა, მისი სისხლი ათასი თეთრია.

12. ზედ-მიქდომილისა სისხლი და საგერზე არა არსო<sup>4</sup>.

და რომელსაცა დასხმოდეს, მისი სისხლი ორკეცია და გერშიცა იმავე წესითა.

B

და პატრონთა საჩინო კელი არა აქენდეს და არცა ჰქონებოდეს. აზნაურად ჰყვეს, — მისი ექვსი ათასი თეთრი<sup>6</sup> იყოს.

და გერშისაცა ამავე წესითა იყოს.

10. თუ კარვოსან-ქოთლოსანი<sup>2</sup> აზნაურზეილად მსახური ყოფილიყოს და მოკვდეს, და მას უკანით იმისი ძმა ანუ შვილი და ნათესავი ვერლარა მისით წესითა მსახურებდეს მისთა პატრონთა, მისი სისხლი ათასივე თეთრი იყოს.

11. გლეხისა სისხლი ოთხასი თეთრი იყოს.

მაგრამ თუ კაცმან კაცს ასეთი ყმა მოუკლას, რომე პატრონი იცნობდენ სიკეთეზედა, მისიცა ათასი თეთრი იყოს.

[256] 12. ზედა-დამსხმელისა-და<sup>2</sup> [სისხლი და] გერში არ<sup>3</sup> არის.

თუ კიდევ იგივე მოკვდეს, რომელსა დაესხა, ორკეცი სისხლი დაუურვოს და გერშიცა ამავე წესით იყოს.

<sup>6</sup> თეთრი| თეთრი.

10. <sup>1</sup> ველარ. <sup>2</sup> კარვოსან-ქოთლოსანათ.

11. <sup>1</sup> კაცის. <sup>2</sup> პატრონი| მეფე რომე (ძეგლში სხვაგან „მეფე“ არსად მოხუენებული არ არის). <sup>3</sup> სიკეთე.

12. <sup>1</sup> არისო. <sup>2</sup> ზედა-დამსხმელისა. <sup>3</sup> არ| თუ.

• A

B

13. [v] და თუ კაცი [არ] მოკუდეს ზედა - დასხმაშია დედა - წულთა აფუნჩხვითა, დედა-წულთა შერცხუენისათჳს საბატოს კაცისა<sup>1</sup> ნახევარი სისხლი დაუურვოს.

და თუ საბატოთა კაცთა შუა-ჩამოსლვითა ჩამოუვიდეს, არა საკრველია.

თუ ზედა-დამსხმელი დარჩეს, გააშიშვლოს, ჩათრივოს საწბილოდ შჯდსა ბიჯსა და მეგრემან შოლტითა აღმოჰკრას ნაცსა<sup>2</sup>. ჩათრევა უბანთა ზედა საჩინოდ ერისა [უნდა]. ესე ერთმანეთისა ნებითა ქნან.

თუ დამსხმელმან გამოღებასა ჩათრევა არჩიოს, მისისა მიყოლისა მდომი არას ემართლება: დიდი სახიჩარი და საუპატიო და საუკუნო შერცხუენა არს<sup>2ა</sup>.

13. თუ კაცი არ მოკვდეს ზედა - დასხმასა<sup>3</sup>, დედა - წულთა აფარვისათვის, დედა-წულთა შერცხუენისათვის საპატოს კაცის სისხლისა ნახევარი დაუურვოს.

და თუ უმცროსთა დასჯერდეს კაცთა შუა-შემოსვლითა, არცა-რა საკვირველი ესეა.

თუ ამაზედა - დამსხმელთა არ გამოართმიდენ, და ესე არჩიოს: ნიფხვითა ოდენ გააშიშვლებულად ზოლოთა შეიღთა ბიჯთა ჩათრიონ და მას კაცსა<sup>4</sup> მეგრემან სამი შოლტი ამოჰკრას ნამეტნავსა<sup>5</sup>, რომელი დასემოდეს ზედა საწბილოდ. ჩათრევა<sup>6</sup> უბანთა ზედა და საჩინოდ ერისა უნდა. ესე ზედა<sup>7</sup> - დამსხმელმანცა და დამხვდომმაცა<sup>8</sup> ერთმანეთისა ნებისყოფლობითა, კაცთა შუა - შემოსვლითა<sup>9</sup> ქნან, რომელიცა ერჩიოს.

თუ ზედა-დამსხმელმან გამოღებასა ჩათრევა არჩიოს, ამისა მიყოლობასა დამხვდომი არ ემართლები<sup>10</sup>: დიდი სახიჩარი და საუკუნო სირცხვილის საქმე წაეკიდების.

13. <sup>1</sup> კაცის. <sup>2</sup> ნაცა. <sup>2ა</sup> არის. <sup>3</sup> დასხმასა]+და. <sup>4</sup> მას კაცსა] მის კაცისა. <sup>5</sup> ნამეტნავსა]+რომელსაცა. <sup>6</sup> ჩათრევად. <sup>7</sup> ზედა]+ესე. <sup>8</sup> დამხვდომმაცა] მსხდომმაცა. <sup>9</sup> შუა-შემოსვლითა]+შუა. <sup>10</sup> ემართლები]+ და.

## A

14\*. ზედა-დასხმა[სა] შიგან დე-დაკაცსა შვილი მოსწყდეს, სრული სისხლია, რაჟსაცა <sup>1</sup> გუარისა იყოს.

15. ასაბია თუ მოკუდეს, მისი ასე იქმნას: რომლისაცა ასაბია იყოს, მან უზლოს სისხლიცა და გერშიცა.

თუ რადმე მოყ[უ]რობისათჳს— [არა] გააშუას.

[4] შუა-მისრულისა ასრე იქმნას:

16\*. მონაზონისა და დედაკაცი-სა შუა-მავალი მოკლან, ორკეცი სისხლი დაუურვონ, რომლისაცა გუარისა იყოს, და გერშიცა იმავე წესითა.

თუ მეომარი ყოფილიყოს და მართლითა მოწმითა გამოჩნდეს, გარდაჰდეს, ვითარცა ძალლისა ყეფა.

თუ ერისგანი იყოს და მართლად გამოჩნდეს, რომე შუა ყოფილიყოს, ორკეცი სისხლი იყოს.

მიღმა მოლაღატისა კაცისა [ასაბიისა] ვითაცა სისხლი და გერში არს<sup>1</sup>.

17\*. თუ ასეთი რამე არა<sup>2</sup> სკირდეს რა, რომე ემართლებო-

## B

14. თუ ზედა-დასხმასა შიგან დედაკაცსა შვილი მოსწყდეს, სრული სისხლი დაუურვოს, რისაც გუარისა იყოს.

15. ასაბია თუ მოკედეს, ასრე იქნას: რომლისაცა ასაბია იყოს, მან უზლოს სისხლი და გერშიცა.

და თუ რადმე მოყვრობისათვის— არა გაუშვას.

შუა-მისრულისა <sup>1</sup> კაცისა ასრე იქნას:

[v] 16. მონაზონისა და დიაცისა, ხუცისა, თუ შუად მოსრული იყოს და ესეთი რომელი მოკედეს, ორკეცი სისხლი დაუურვოს, რისაც გუარისა იყოს; გერშიცა<sup>2</sup> ამავე წესითა.

და თუ მეომარი ყოფილიყოს, მართლითა მოწმითა გამოჩნდეს, გარდაჰდეს ასრე, ვითა ძალლის ყეფა.

და თუ ერისგანი იყოს და მართლად გამოჩნდეს, რომე შუა ყოფილიყოს, მისიცა ორკეცი სისხლი იყოს.

მიღმა მოლაღატისა კაცისა ასაბიისა— ვითა სისხლი და გერში არის.

17. ასეთი რამე არა სკირდეს, რომე ემართლებოდეს, — და-

14. \* კიდებე გადამწერის ხელით სწერია: „მუცლის წაკდენისა“. <sup>1</sup> რაჟსაცა! რისაცა.

16. \* კიდებე გადამწერის ხელით სწერია: „შუამავლობისათჳს“. <sup>1</sup> მისრულისა] მის რომლისა. <sup>2</sup> გერშიცა.

17. <sup>1</sup> გერში არს] გერშიანისა. \* კიდებე გადამწერის ხელით სწერია: „მოლაღატ“. <sup>1</sup> არ.



## A

დეს, დამსხმელის მიბაძვითა [ექნას], და თუ მოკლას თუ დაკოდოს, საპატიოდ საურვებელი არს: ორად შეკეცოს აგრევე, ვითა ზედა-დასხმა[სა] შიგან სწერია [იხ. მუხ. 12].

18. თუ კაცმან მისი სწორი კაცი ცოტასა სამღურავისა რომლისათვისმე თავისა მამულ[სა] შიგან ნახოს, დაიქიროს, შეკრას, სცეს, [შეკნას] აბჯარი თუ რაცა იყოს, და იქციოს ჯლეგითა, მისი მზღუარი განვლოს, სახლსა<sup>1</sup> შეაყენოს, ამით არცხუნოს. თუ სასამართლოდ შეიყ[არ]ნენ, სისხლისა ნახევარი დაუურვოს [v] და წანალებიცა. მისცეს, დაუკლებლად უზლოს, ვითა ზემოთ დასხმასა შიგან სწერია, ამად რომე ბატონისთვის [უწესო] უყოფია და ბატონის მეტი კაცი არვინ ღირსა კელთ[ა] შეპყრობასა. ნიადაგ აუგიანად იქმნების.

თუ რა დაკოდელი აჩნდეს, იგი სისხლსა შიგან არა მიეფასოს.

19. თუ კაცი კაცსა მოერიოს, გამარჯვება ეყოფის, თანა ნულარას წაიტანს.

## B

მსხმელისა მიბაძვითა<sup>2</sup>. თუ მოკლას ანუ დაკოდოს, საპატიოდ საურვებელი ორად შეკეცოს უმიზეზოდ აგრევე, ვითა ზემოთ დასხმასა შიგან სწერია.

18. თუ კაცმან მისი სწორი კაცი ცოტას სამღურავისა რასათვისმე თავისა სამამულეშიგან მყოფი ნახოს, იმჯნოს და შეიპყროს, სცეს, შეკრას, შეკნას<sup>3</sup> [აბჯარი] აქენდეს თუ სხვა რაცა, წარაქციოს ჯლეგითა წინა, მისი მზღუარი განვლოს და მიიყენოს. სადა გინდა სასამართლოდ შეიყარნენ, სისხლის ნახევარი დაუურვოს, რასაცა გვარისა იყოს, წანალებიცა სულ დაუკლებლად, ვითა ზემოთ დასხმულობისათვის სწერია, ამად რომე პატრონისათვის უწესო უყოფია და პატრონისა მეტი კაცი კაცისა<sup>4</sup> კელთა შეპყრობასა არა ღირსა, ნიადაგ<sup>4</sup> პირშავად და აუგიანად იქნების კაცთა გვერდსა<sup>5</sup>.

და თუ რა<sup>6</sup> დაკოდელი აჩნდეს, იგი სისხლსა შიგან არა მიეფასოს და აგრე დაუურვოს.

19. თუ კაცი კაცს ომით მოერიოს, გამარჯვება ეყოფის და თანა ნულარას წაიტანს.

<sup>2</sup> მიბაძვითა] + სისხლი და გერში თუ არის, რომე არა სკირდეს, რომე ემართლებოდეს, მიბაძვითა არის.

18. <sup>1</sup> სახლსა] სახლშია. <sup>2</sup> შეკნას] + და. <sup>3</sup> კაცისას. <sup>4</sup> ნიადაგ] დადა. <sup>5</sup> გვერდისა. <sup>6</sup> რა] არა.

## A

თუ მოაყივნოს და შეარცხვნოს, სისხლისა ნახევარი მისცეს, და აბჯარი და ნაძარცვ სრულად მისცეს და გერში, როგორცა აჩნდეს. და რამთენიცა ყმა პატიმრად მიეტანოს, მისი ცა ნახევარ[ი] სისხლი მისცეს.

20. თუ სწორმან სწორი ჯელთა დარჩენილი კაცი გლეხისასა ანუ ხოსტაგიანსა<sup>1</sup> ცალკერძსა სახლსა<sup>2</sup> [შეაყენოს და] სასირცხოდ პური აქამოს<sup>3</sup> მუნ, ბრკობამან და წესმან სისხლი მართალი დაუურვონ და წანაღებიცა მისცენ. სრულად მიაცემინონ.

21. თუ სწორმან სწორსა—ანუ უმცროსმან უმცროსსა, [ა] გინა უფროსმან უფროსსა<sup>1</sup>—მეტითა ჟამითგან დამ[ა]ჯნებითა სასირცხოსა საბელი ჰობას ანუ ნიფხავი თავსა დაახვოს, როგორისაცა გუარისა იყოს, მართალი სისხლი დაუურვებინონ. მის უფროსი არა არს<sup>2</sup> რა, სიკუდილისა უარეა<sup>3</sup>.

22\*. თუ ძმამან ძმა მოკლას,— გაუყოფელი, ერთ-სახლი, თუ გა-

## B

[თუ] თავისა სახლსა მიიყვანოს და ამით არცხვინოს<sup>1</sup>, სისხლის ნახევარი დაუურვოს და აბჯარი და ნაძარცვი და სრულად გერში. როგორაცა აჩნდეს. რაზომიცა ყმა მასვე თანა მიეტანოს, მისი ცა ნახევარი სისხლი დაუურვოს.

20. თუ სწორმან სწორი ჯელთა დარჩენილი კაცი გინა გლეხისას, გინა სახვასტაგესა<sup>1</sup> და რასა გინდა სახლსა შიგან [შეაყენოს და] სასირცხუად<sup>2</sup> პური აქამოს მუნ, ბრკობამან და წესმან სისხლი მართალი დაუურვებინოს მართლად, წანაღებიცა სრულად მიაცემინონ მართალი.

21. თუ კაცმან სწორმან სწორსა—გინა უფროსმა, გინა უმცროსმა ვისაც—მეტის ჟამისაგან დამაჯნებით საბელი მოაბას ანუ ნიფხავი მისნივე თავს დაახვიენეს, რისაც[ა] გვარისა იყოს. სისხლი მთელი დაუურვოს, ანად რომე უფროსი სირცხვილი და კაცთაგან შესაყივარი აღარა იქნების რა, სიკუდილსა დიდად უარეა.

22. თუ ძმამან ძმა მოკლას,— ერთ-სახლი და გაუყოფელი იყოს.

19. <sup>1</sup> არცხვენს.

20. <sup>1</sup> ხოსტაგიანსა| ხოსტაგიანებიან. <sup>2</sup> სახლსა| სახლში. <sup>3</sup> აქამონ. <sup>4</sup> სახვასტაგესა| სხვას ტაგესა შიგან. <sup>5</sup> სასირცხუად| სატხუად.

21. <sup>1</sup> ხელნაწერში წერებულა „უფროსს“, რაც ასეა გადასწორებულნი: „უმცროსსა“. <sup>2</sup> არის. <sup>3</sup> უარეა| ურვის მეტი.

22. \* ითიხვი გადამწერის ხელით სწირია: „ძმის ალგა“.

## A

ყოფილი იყოს,—ორკეცი სისხლი არს, რომლისაცა გუარისა არს. ამად რომე ვითა საღმრთოდ ბრალია და საკანონო ასკეცი. ეგრევე ამა სოფელსა ძლით-ლა<sup>1</sup> ინახვის<sup>2</sup> კაცთაგან, ვინაცა გავლენილ იყოს<sup>3</sup>, [ჰმართებს! ქედთა ყოფა, გარდახუეწა, ღარიბობა, არაეისგან უნდა მოჰსენებად. ებისკოპოზმან მისი წესი იცის, რაცა მართებს, მან უყოს.

23\*. თუ დედა-წულმან დედა-წულისა ცოლსა უარშიო უყოს და მოაყივნოს,—გინა ნებითა, კინა უნებლითა,—და განმელაენდეს, გინა მეყვისაგან, დაუურავოს ცოლის ქმარსა, სრული სისხლი მისცეს, და [V.] ბატონმან მისმან ნიფხავით ოდენ შიშველი და ყელ-საბლიანი უბანთა ზედა განქირებული მოავლოს<sup>1</sup>.

იმ ცოლის კუროს თუ ერჩიოს, იყიდოს მისი სისხლი, ორად შეკეცოს, რომლისაცა გუარისა იყოს, ამად რომე მინდობილნი არიან სისხლითა და ჯორციითა.

## B

და თუ გაყოფილი იყოს, სწორი და გინა ახლოს მეყვისი,—ორი კეცი სისხლი დაუუ[V]რვოს, რაც გვარისა იყოს, ამად რომე საღმრთოდ ბრალია და საკანონო არის ასკეცი. და აგრევე ამა სოფელს ძლიელა ინახვის კაცთაგან. აიღოს, ვინცა გავლენილი<sup>4</sup> იყოს, ქედთა გარეთ ყოფა და გარდახუეწა. პატრონისა და ლაშქართაგან გარდახდევასა არვისგან მოჰსენება უნდა. ებისკოპოზმა მისი წესი იცის, რაცა მართებს, მან უყოს.

23. თუ კაცმან დედა-წულმან დედა-წულისა ცოლსა უაშიყოს და კიდევ მოუყივნოს,—გინა ნებითა, გინა უნებურად,—და გამელაენდეს, და გინა მეყვისმან მეყვისსა, გინა უმეყვისომან ერთსახლმან, დაუურავოს ცოლისა ქმარსა სრული სისხლი და მთავარმან და პატრონმან მისმან ნიფხავით ოდენ შიშველი და ყელ-საბლიანი უბანთა ზედა განიქებული მო[ა]ვლოს.

და თუ მას ცოლისა კუროსა ერჩიოს, გაშიშვლება და გაუპატივება იყიდოს და სისხლი ორად შეკეცოს, რასაცა გვარისა იყოს, ამად რომე მონდობილი არის სულით, გულითა და ღმრთითა.

<sup>1</sup> ძალითლა. <sup>2</sup> ინახვს. <sup>3</sup> ყოს. <sup>4</sup> გავლენილი] განენვლინი.

23. \* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „ცოლის განბილება“. <sup>1</sup> მოავლონ.

## A

24\*. თუ კაცმან კაცს მუახლე წაგუაროს<sup>1</sup>, ორის მსახურის სისხლი დაუურვოს, რომლისა[ცა] გუარისა იყოს.

25\*. თუ სწორი სწორსა სასაფლაოს ზედა დაესხას და საფლავსა კელი მიეყოს, მისი ასრე იქმნას<sup>1</sup>: რაზომიცა მისი გუარი გარდასრული მუნ დამარხულა და მას აქსოედეს და მის სახლსა შინა<sup>1</sup>, საჭირისუფლო ჰქონდეს, ორთა უთავადესთა სისხლი დაუურვოს<sup>2</sup> და რაცა ალაფი წაელოს, ეგრევე გარე<sup>3</sup> შეაქციოს<sup>4</sup>.

თუ საფლავთაგან კელი [არა] მიეყოს, ოდენ მოერბიოს<sup>5</sup>, მაშინ ერთისა სისხლი მისცეს და ალაფი გარე შეუქციოს დიდმან ცოტასა და ცოტამან დიდსა [6].

თუ სასაფლაოსა ეკლესიასა კარნი შელენწნეს ანუ შეარღვოს, იგი მეცნიერთა რა გუარაცა უყვარს ღმერთი,—აგეთი პატივი; შეკუეთით არა ითქმოდა.

## B

24. თუ კაცმან კაცს სეფე-ქალი წაგუაროს, ორის მსახურის სისხლი დაუურვოს.

25. თუ სწორი სწორს სასაფლაოს ზედა დაესხას და საფლავთაცა მიუყოს კელი, მისი ასე იქნას: რაზომიცა მისი გარდასრული და მუნ დამარხული მას აქსოედეს, ასეთი რამე მისსა სახლსა შიგა საჭირისუფლო სდებოდეს მისი, [258] ყველასაგან ორთა უთავადესთა სისხლი დაუურვოს; რაცა ალაფი წაელოს, აგრევე შეაქციოს.

საფლავსა<sup>6</sup> არა კელი მიეყოს—და კიდევ ოდენ ერთისა სისხლი დაუურვოს და ალაფიცა აგრევე კელთა მისცეს; დიდმან ცოტასა უყოს ესე.

თუ მას საქმესა შიგა სასაფლაოსა ეკლესიასა შეურაცხებით<sup>7</sup> მიეყოს კელი—ანუ წარმართულად კარისა შელენწნითა, ანუ სხვაგნით სითმე შერღვევით—იგი მეცნიერთა და ქრისტეს სისხლის პატივსა მცნებულთა ვითა უყვარს, ეგეთი პატივი დაუურვებინონ; შეკუეთითა არა ითქმოდა.

24. \* კიდებე გადამწერის ხელით სწერია: „მუახლის წაგუარა“. <sup>1</sup> წაგვაროს.

25. \* კიდებე გადამწერის ხელით სწერია: „სასაფლაო“. <sup>1</sup> იქნას. <sup>1a</sup> სახლში. <sup>2</sup> დაუურვონ. <sup>3</sup> გარე] გაურიონ და. <sup>4</sup> შეაქციონ. <sup>5</sup> მოერბიოს] მოერგოს. <sup>6</sup> საფლავსა] სოფლითგან. <sup>7</sup> შერაცხებით.

**A**

26\*. თუ დიდებულმან აზნაურისა ცოლსა უარშიკოს და გამოაჩნდეს ცხადად, თუ დააგდოს მისმან ქმარმან, მოარშიკემან მისცეს თორმეტი ათასი თეთრი.

და თუ არ დააგდოს—ექუსი ათასი.

27. თუ წაგუაროს, — თორმეტი ათასი.

თუ თანა არა<sup>1</sup> ყოფილ იყოს, არშიკობისათჳს ერთის აზნაურის თავით შეფიცოს უსამღუ<sup>2</sup> რაოდ.

28. და სისხლისა ზღვად ასრე იყოს: რომლისაცა გუარისა იყოს, ზემო-ქუემო[ო]ბით უზღონ: დიდებულსა<sup>1</sup>—ორმოცი ათასი; ტაზრეულსა, ციხოსან-მონასტროსანსა,—ოცი ათასი; ქუემოსა—თორმეტი ათასი.

**B**

26. თუ დიდებულისა გინა აზნაურისა<sup>1</sup> ცოლსა უაშიკოს დიდებულმან გინა აზნაურმან და გამოაჩნდეს ცხადად, რათა თანა იყოს, [თუ] დააგდოს მისმან ქმარმან, უზღოს მოაშიყემან თორმეტი ათასი თეთრი.

და თუ არ დააგდოს—ექუსი ათასი.

27. თუ წაგვაროს,—თორმეტი ათასი.

და თუ არა თანა ყოფილიყოს. აშიკობისათვის ოდენ ამის მეტსა არას ემართლების, რომე თავის სამართლებლად სჯობს, ფიცოს უქნელობა თავითა<sup>2</sup> და ერთითა აზნაურშილითა; და გარდაცდეს უსამართლოდ, ვერცა რას ბჳობითა შეაგდებს.

და თუ აშიკობა კაცისაგან გამოაჩნდეს, ემღუროდეს, არა საკვირველია.

28. სისხლისა ზღვა ასრევეა<sup>2</sup>: კაცი ვითაცა გვარად იყოს, აგრე ზემო-ქვემოებით უზღოს, ვითაცა უწერია სისხლი: დიდებულსა—ორმოცი [V] ათასი, შედეგსა—ოცი ათასი, უქვედაესთა<sup>3</sup>—თორმეტი ათასი, ვითარცა ღირს იყვნენ.

26. \* კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „არშიკობა“. <sup>1</sup> თუ დიდებულისა გინა აზნაურისა] თუ დიდებულსა გინა აზნაურსა თუ .

27. <sup>1</sup> თანა არა] თან არ. <sup>2</sup> თავითა]+და ერთის.

28. <sup>1</sup> დიდებულსა] დიდებულისა. <sup>2</sup> ასრევეა. <sup>3</sup> უქვედაესთა.

## A

29. თუ კაცმან უბრალო ცოლი დააგდოს, ნახევარი სისხლი მისცეს და მისი ზითევი სრულად.

[V.] თუ ბოზობისათვის დააგდოს, მისი ზითევი მაშინ მისცეს: თუ დიაცი ბოზია, ზითევიც ბოზია.

30. თუ კაცმან გუარად უკეთესი ცოლი დააგდოს, იგეთსა მეტი სისხლი არა<sup>1</sup> მართებს.

31. ბიჭი დედისა არს<sup>1</sup>, დაბადებულობა ვერ[ა]ვის დაუმკდროებს. ვისიცა დიაცია<sup>2</sup>, მკვდრად მართებს, ვაჟიცა მისია და ვერ[ა]ვინ გაზრდილობითა ემართლების, თვსითა ნებითა წავა, თუ მკვდრისა<sup>3</sup> ბატონი[სა] მკვდრისა<sup>3</sup> ბატონი[სა] არს.

თუ დიდებულისა შექ[მ]ნილი [იყოს და] მასვე ყმად ჰყვეს<sup>4</sup> აზნაურისა წესითა, სამამულისა ქონებითა, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრია.

## B

29. თუ კაცმან უბრალოდ ცოლი დააგდოს, სისხლის ნახევარი მისცეს და მისი ზითევი [სრულად].

[თუ ბოზობისათვის დააგდოს, მისი ზითევი] მაშინცა მისცეს სრულად: თუ დიაცი ბოზი არის, ზითევიცა ბოზი იქნების.

30. თუ კაცმან მისგან უსაბატოესი ცოლი დააგდოს, რასაცა გვარისა იგი კაცი იყოს. ეგეთსა მეტი სისხლი არა მართებს, ამად რომე მაცხოვარმან დაწყევასა შიგან ესრეთ რქვა: ქმარისამცა შენისა მიმართ არს მოქცევაჲ შენი\*.

31. ბიჭი დედისა არის, დაბადებულება ვერავის გაუმკვიდრებს. ვისიცა დიაცი არის, მკვიდრად მართებს, ვაჟიცა—მისივე, ვერავინ გაზრდილებით ემართლების, თავის გულითა წავა, თუ სთხოვს<sup>5</sup> მკვიდრი ბატონი.

თუ დიდებულისა შექნილი იყოს და მასვე ყმად ყვეს აზნაურულისა წესითა და სამამულესა რასმე ქონებით, მისი სისხლი თორმეტი ათასი თეთრი იყოს.\*

30. <sup>1</sup> არ.

\* შდრ. შესაქ. 3,16.

31. <sup>1</sup> არის. <sup>2</sup> დიაციითა. <sup>3</sup> მკვდრი. <sup>4</sup> ყმად ჰყვეს] ეამად ჰყუეს. <sup>5</sup> სთხოვოს.

## A

32. პირველად დიაცი ქმრისა<sup>1</sup> დაგდებასა არა<sup>2</sup> ღირსა. თუ რადმე დააგდოს, ღმერთი შერისხდეს მისითა ენა-ქრელობითა. რა გვარისაცა იგი კაცი იყოს, ეგეთი სისხლი მისცეს დიაცმან.

33\*. თუ კაცმან კაცსა ციხესა ანუ საჯდომსა უღალაქოს, რა ბატონმან შეიგნეს, საჯდომი მემამულესავე მისცენ. და რაზომცა კაცი ციხის ბატონსა შიგან დახუდეს, [7] ყველასაგან ორთა უთავადესთა კაცთა სისხლი დაუურვონ და წანაღებიცა გარე შეუქციონ. ფიცით გამოიჩინოს, მგზავსიერი თქუას და არა მოდებული.

თუ დაუნდობარმან კაცმან ბატონსა უღალატოს, მტერმან, საპატიყო აღარ მართებს და ერთისა<sup>1</sup> უთავადესთა სისხლი დაუურვოს. [ზღრ. შუხ. 171]

## B

32. პირველ დიაცი მიღმა ქრმისა დაგდებასა არას ემართლება, არცა ღირსა და ნუცა იკადრებს. თუ რადმე დააგდოს და ღმერთი შერისხდეს მისითა ენა-ქრტილობითა, უსირცხნობითა, რომლისაც გვარისა იყოს იგი კაცი. ეგეთი სისხლი დაუურვოს მან დიაცმან.

33. თუ მინდობილმან კაცმან დედა-წულთა გვერდით ციხესა ანუ ვაკისა საჯდომსა უღალატოს, რა<sup>2</sup> პატონმან მაწყვერელმან სცნას, ციხე და [259] საჯდომი განაღამცა მემამულესავე მისცენ. და სამართლითა რაზომცა კაცი მას დღესა ციხის პატონსა<sup>3</sup> შიგან დაუხედეს, ყველასაგან ორთა უთავადესთა სისხლი დაუურვოს, ამად რომე ციხისა საქმე საპატიო არის. და რაცა<sup>4</sup> სასაქონლო, რა გინდა რა გვარი წაეღოს, გარე შეაქციოს, რაცა მემამულემან ფიცით გამოიჩინოს და მსგავსიერი თქვას, არა მოდებული.

და თუ დაუნდობელმან<sup>5</sup> და მტერმან კაცმან უღალატოს, პატონთა საპატიყო აღარა მართებს და ერთის უთავადესისა სისხლი დაუურვოს.

32. <sup>1</sup> ქრმისა. <sup>2</sup> არა] არ.

33. \* კიდებე გადაწყერის ხელით სწერია: „ღალატი“. <sup>1</sup> ერთისა] ერთსა. <sup>2</sup> რა] რათა. <sup>3</sup> პატონსა] პატონი. <sup>4</sup> რაცა] არცა. <sup>5</sup> დაუნდობელმან] მინდობილმან.

## A

და ვაკედ მჯდომისა დასხმა, ლალატი ზემო წესითა დაუურვოს.

უციხოს, ქუაბს [თუ ულალატოს] ზემოთ რომე სწერია დამსხმელობისა, იგივე წესი დაუურვოს [იხ. მუხ. 12].

34. ქორწილისა სანიქარი ვალია; მოლაშქრისა თანა-შთასადებელი ვალია; საქირისუფლო მისალებელი—ვალი.

35\*. თუ აზნაური გლეხმან ანუ დიდებულმან გააუპატიოს და წაულოს რამე კელის-კელ და ყმანიცა დაკოდნენ, თუ გლეხის ბატონმან არ გაუფლინოს, მერმე, როდესცა საბრკოდ შეიყ[ა]რნენ, რაცა მას დღესა წაჭდომოდეს, მოუკლონ, და სისხლის ნახევარიცა და გერშიცა.

## B

და ვაკედ ჯდომისა დასხმა და ლალატი ზემოთვე წესითა დაიურვოს.

უციხოსა და უსაბატიოს, უქვეობისა<sup>7</sup> ზემოთ რომე სწერია დამსხმელობისა, იგივე წესი დაუურვოს.

34. ქორწილისა სანიქარი ვალია კაცისაგან კაცსა ზედან; აგრე ლაშქარსა წამავლისათა შთასადებელიცა ვალია კაცისაგან კაცსა ზედა; აგრევე საქირისუფლო შესაწევიარიცა ვალია, — წახურვა მიცვალებულისა და სხვა მისალებელიცა. და სამღერავი რასათვისმე დაქირვასა არას ემართლების. თუ არა, ოდესცალა გაიბჭობიან, დაურვებას ემართლების დაუკლებლად.

35. თუ აზნაური კაცი გლეხმან, გინა დიდებულმან, გინა აზნაურის შვილმან გააუპატიოს და კიდევ წაულოს კელის-კელ, ყმანიცა [V] დაუბოცნეს, თუ მან გლეხისა პატრონმან არ გაუფლინოს და არცარა უასაბიოს, მერმე, ოდესცალა იგი აზნაურ[ნი] საბრკოდ შეიყრებიან, რაცა მას დღეს წაღებოდეს ანუ წაჭდენოდეს, დაიფიცონ, იგი სრულად დაუურვებინოს<sup>1</sup>. პატრონმან და შუა[თა] სისხლის ნახევარი.

35. \* კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „გალანძვისა“. <sup>1</sup> დაუურვებინონ.



## A

36. თუ მოკუდეს კაცის შვილი, კაცი,—სრული სისხლი და სისხლის [v] ნახევარიცა, ამად რომე ბედითითა კელითა დამართებია. და მათმან პატრონმან აზნაურსა კელთ გაქმუპატივებელი მისცეს. რაც უნდა, უყოს.

თუ არა, სისხლი და ნახევარი მისცეს და კაცი — პატრონს.

37. თუ კაცი კაცსა სახლსა მისისა გლეხისასა<sup>1</sup> დაესხას, დასხმისა წესი დაუურვოს.

და ალაფისა ფიცი ლაშქართა მართებს.

## B

და თუ რა გერში იყოს, ანუ პატრონსა ანუ ყმასა აჩნდეს, ვითა ზემოთ სწერია, აგრევე დაუურვოს [იხ. მუხ. 12].

36. თუ ღმერთი შერისხდეს და შეაკედეს კაცისა შვილი, კაცი, ამას შიგან სრული სისხლი და სისხლის ნახევარი უზღოს, ამად რომე უბედით და ბედითითა კაცთა კელითა დამართებია ბედათ. და თუ მათის პატრონისაგან არა სკოდნია და გამოჩნდების ესე, თუ მათ კაცთა ვითა მათი პატრონი მამულითურთ მას გაუპატივებულთა კელთა მისცემს, რაცა უნდა უყოს, სისხლსა არას ემართლებისდა, ამად რომე იგი უბრალოა. ავის მქნელთა მამულითურთ მიეცემა, მართალი იქნება.

თუ ანუ ვერ მისცემდეს, სისხლი და სისხლის ნახევარი მისცეს, რაგვარაცა სისხლი მართებს, ზემოთ სწერია, — მით წესითა.

37. თუ კაცსა საჯდომისა სიახლესა მისსა<sup>2</sup> გლეხსა დაესხას, და სადა კმა მისწვდებოდეს<sup>3</sup>, ვითა<sup>4</sup> ზედა-დასხმის წესი დაუურვოს.

ფიცითა ალაფსა ლაშქართა მართებს და, თუ ორთავე სწო-

37. <sup>1</sup> კაცსა სახლსა მისისა გლეხისასა] კაცს სიახლეს მისა გლეხისა. <sup>2</sup> მისსა] მისისა. <sup>3</sup> მისწვდებოდეს] მისცუდებოდეს. <sup>4</sup> ვითა] თვითა.

## A

თუ მძიმე ალაფი იყოს, ფიცი-  
ცა მძიმე უნდა.

და ფიცსა შინა დასახელება  
უნდა.

38. თუ კაცნი უმზრახნი შე-  
მოეყარნენ, თუ ერთმან გარიდ-  
ნეს, მეორე ნულარ მისდევს.  
თუ მიჰყვეს<sup>1</sup> და მოკლას, ორ-  
კეცი სისხლია.

თუ შეიყარნენ და ერთმან ერთი  
მოკლას, მეორემან მართალი სი-  
სხლი დაუურვოს.

39. თუ ჯუარ-გაცვლილი<sup>1</sup> სა-  
ცოლე წაგუაროს<sup>2</sup>; სამღურავსა  
ემართლების. საბატიონი კაცნი  
შუა-ჩქამოვიდენ, აწვივონ. მისა-  
ცემელი მიაცემინონ და შეაწ-  
ყონ.

40. თუ უმტერომან, მოურბე-  
ველმან, შეუბმელმან კაცმან [8]

## B

რედ ერბოს<sup>5</sup> თავისათვის დაი-  
ფიცონ ალაფი.

[260] თუ მძიმე ალაფი იყოს,  
მძიმეცა ფიცი უნდა; ფიცსა შიგა  
დასახელებული<sup>6</sup> და დაუსახელე-  
ბლები<sup>7</sup> მოფიცართა წესია.

38. თუ კაცნი,--საპატიონი  
გინა ქვემონი,—უმზრახნი გზად  
წინ შეიმთხვივნენ, და [ერთმან]  
გარიდნეს<sup>2</sup> გზა, იგი მეორე თუ  
პირს ევენების და<sup>3</sup> იკადროს და  
აუგიანი და გარიდებული<sup>4</sup> მოკ-  
ლას, ორი კეცი სისხლი დაუურ-  
ვოს.

და თუ არა რომელმან გარიდ-  
ნეს და შემთხვევითა რომელმან  
მოკლას და ღმერთი გაურისხ-  
დეს, ერთი სისხლი დაუურვოს.

39. თუ კაცმან კაცის ჯვარ-  
გაცვლილი<sup>3</sup> საცოლე წაგუაროს,  
სამღურავისა კიდე დასაურვებ-  
ლად არას ემართლების, მაგრამ  
სამღურავი ერთობ იქნების. თუ  
ულირს, სჯობს, ორთავე მოყვა-  
რენი კაცნი შემოასხნენ შუა და  
ქალისა ქმარმან მისაცემელითა  
რათმე გული დაუმგოს, და ზვა-  
ვი მოშალოს შუაკაცმან.

40. თუ უმტერომან, შეუბ-  
მელმან, მოურბეველმან და გაუ-

<sup>5</sup> ებოს. <sup>6</sup> დასახელდებული. <sup>7</sup> დაუსახელებლება.

38. <sup>1</sup> მიჰყუს. <sup>2</sup> გარინდეს. <sup>3</sup> და+არა. <sup>4</sup> გარიდებული გარიგებული.

39. <sup>1</sup> ჯუარ-გაცვლილი ჯუაგცულნი. <sup>2</sup> წაგვაროს. <sup>3</sup> ჯვარგაცვლილი ჯერგა-  
ცულილი.

## A

კაცი შეასმინოს, — ბატონსა შეასმინოს. — ავით მიეპურას, მოარბიოს, გააძოს, გაღარიბება [უყოს], ამა[ს] ზედა გულ-მოწყალებოა პატრონთა წესია; თუ შეიწყალოს და შეიბრალოს, ღარიბობით უკმოიყვანოს, თავი ამართლებინოს და რაცა ავი და საზიანო მოეგონებინოს, უბრკობელად<sup>1</sup> ყველას ემართლებს. მათ მოყუარეთა<sup>2</sup> მოკაზმონ მისი საქმე და მისცეს საქონელი ძლიერად.

პატრონმან პატიჟით<sup>3</sup> გარდააქდევენოს და ბრკობითა ვერას შეაგდებს.

თუ ელავების, ბატონის ღალატი იქნების. ბატონისაგან გამონახვა კარგა უნდა.

## B

გინებელმან პატრონსა წინა შეასმინოს და დააჯეროს, რაცა ავი იქნების<sup>4</sup>, ყველა უყოს პატრონმან შეზახებულთა კაცთა: კელითა მორბევა, მამულისა წაღება და გაძება და დიდხან ღარიბობას ყოფა და ბედითად სიარული. პატრონთა გულ-მოწყალებოა წესია და შვენის. ოდესკა შეუწოდოს და თავი იმართლოს, რაცა კაცისაგან ავი საზიანო მოიგონების. ყოველთა მტერობასა [V] ემართლებს, რომე მათთა მოყვარეთა კაცთა კარგად შეუზომოს მისი საქმე და მისცეს სასაქონლო ძალისა მსგაესი.

და პატრონმან პატიჟითა გარდააქდევენოს, და ბრკობითა ამად ვერას შეაგდებს. ამისთა[ნა] საქმე პატრონისა ღალატი და შეცოდება უფროა, და პატრონსა პირველვე<sup>5</sup> კარგა გამონახვა და მოკლება მართებს.

და თუ წრუდად ექნევენოს პატრონისათვის, ღალატისა ოდნად მართებს მოკლება.

და თუ პატრონსა ასეთმა საქმემ გამოუაროს, ანუ მის კაცისა კარგად ყოფისაგან არღარა მოიკლოს და გარდაუშვას ბკობითა, არცა რას მაშინ ემართლებს.

40. <sup>1</sup> უბრკობელად] უბრკობვლად. <sup>2</sup> მოყვარეთა. <sup>3</sup> პატიჟით] პატივით.

<sup>4</sup> იქნების] ექნების. <sup>5</sup> პირველვე] პირველივე.

## A

41\*. თუ კაცი ხუცის ცოლთან დასტურად ყოფილ იყოს და ხუცესმან შეიგნეს, თუ წირვა დადვას, ცოლი არ დააგდოს, სრული სისხლი წირვისათვის დაუურვოს.

თუ დააგდოს, — ნახევარ[ი] სისხლი ცოლის განქიქებისათვის, ამად რომე ძნელსა ყოფასა დაეგმას.

42. თუ კაცსა მამული ჰქონდეს [და] ანუ ბატონის საქმითა ანუ ჟამის გამობრუნებითა ვერ წაეღოს, რა გინდა<sup>1</sup> შესძ[ვ]ლებოდეს, სარჩელი, ბრძოლა, ჩივილი<sup>2</sup> არ დაეკლოს, ხანისა გამოსლვისათვის<sup>3</sup> დაქირვასა არავინ ემართლების.

43. თუ კაცსა კაცისა მიწა საწინდარი ჰქონდეს, — ყანა თუ ვე-

## B

41. თუ კაცმან ხუცისა ცოლსა უაშიყოს და დასტურად თანა-ყოფა გამოჩნდეს, და ხუცესმან შეუგნეს, თუ წირვა დააგდოს, ცოლი რასათვისმე არა დააგდოს, სრული სისხლი წირვისა დაგდებისათვის დაუურვოს.

და [თუ ცოლი დააგდოს], ნახევარი სისხლი ცოლისა განქიქებისათვის დაუურვოს.

და თუ კიდე წაეგვაროს, მაშინაც სრული სისხლი დაუურვოს, ამად რომე ძნელსა ყოფასა დაეგმის<sup>1</sup>, — ანუ ჩოჯასა ჩაიცვამს მითა და ანუ ერისგნობითა და კრძალვით [იქნების].

42. თუ კაცსა კაცისა მამული ჰქონდეს [და], ანუ პატრონებისა საქმისაგან და ანუ სხვის რისამე ჟამისა მოგვარებისაგან ვერღა წაეღოს, რა გინდა შესძლებოდეს, და სარჩელი, ბრძოლა და კაცთა წინა ჩივილი არა ოდეს დაეკლოს, ხანის გამოსვლისათვის უსაქმობასა არავინ ემართლების და ნურცა შუანი გაუმაგრებენ<sup>4</sup>.

[261] 43. თუ კაცსა კაცისაგან საჯმარი მიწა წინდად ჰქონ-

41. \* კიდეზე გადამწერის ხელით სწერია: „ხუცის ცოლისა“. <sup>1</sup> დაეგმის] დაეების.

42. <sup>1</sup> რა გინდა] რადგან. <sup>2</sup> ჩივილი] ჩავლა. <sup>3</sup> გამოსლვისათვის] გამოსრულისათვის. <sup>4</sup> გაუმაგრებენ] გაუამკრებენ.

## A

ნაჭი, ქალა თუ სახლი, რაჟამს საწინდარი უძლოს, აღილოს რაცა მიეცეს და საწინდარი ადგილი — პატრონს.

თუ წინდულობისა წესითა<sup>1</sup> არა<sup>2</sup> დაედვას, მას უკანით<sup>3</sup> რომე ეძლიოს და სავსარი არ გამოერთმევინოს, მას უკანით ნამე ზით დაუდვას.

44. თუ ბატონმან ყმას მამული მისცეს და იმა მამულისა მიწა დაწინდებულ იყოს, ვის დაეწინდოს, მანვე დაიჯნას. ვისაც ის მიწა აქუნდეს<sup>1</sup>, დაუკლებელად<sup>2</sup> უნდა და უცილებლად.

45. მამულისა გასყიდვა ცუდია ბატონისა დაუმოწმებლად, და ნახევარ[ი] ფასი მსყიდველსა სარეგუნოდ<sup>1</sup> დაუშავდეს. ამაშიგან<sup>2</sup> მართლობა რამე აკლია,

## B

დეს<sup>1</sup>, — გინა ყანა, გინა ვენაჭი, გინა ქალა, გინა სახლი და რა გინდა რა გვარი არა ეამიერად, ქვეყნისა წესითა, საწინდარი სავსარი აძლიოს და დააჯსნევინოს, მისი საქონელი აილოს და ადგილი დაუდვას უმიზნოდ კაცთა დახედვითა.

და თუ წინდულებისა წესითა არა დაეჯსნევინოს,<sup>2</sup> ნაქამითა დაედვას<sup>3</sup>, მას უკვე[ნით] რრამე ეძლიოს, რაცა შემამულემან დაიფიცოს. ანავე წესით აბჯრისა, ტანისამოსლისა და სხვა რა გინდა რა საქონლისა იყოს.

44. თუ პატრონმა ყმას მიწა მისცეს, ვისი გინდა იყოს, და მის მიწისა გინა ვენაჭი, გინა ყანა, გინა<sup>3</sup> სახლი და რა გინდა რამე დაწინდული იყოს და ამა კაცმან ქვე დაიჯნას, მერმე გინა მემამულესა კაცსა მიექცეს და გინა იგი გამონაღები თეთრი რაცა დაიფიცოს, ანუ პატრონმან მისცეს და ანუ მან კაცმან, ვის მიწა აქუნდეს, უკლებლად მართებს და უცილებლად.

45. საკარგავისა გასყიდვა<sup>3</sup> ცუდი იქნება პატრონისა უმოწმებლად, და ვისცა ეყიდოს, ნახევარი ფასი სარეგუნოდ მას დაუშავდეს და ნახევარი გამსყიდ-

43. <sup>1</sup> წესითა] + თუ. <sup>2</sup> არ. <sup>3</sup> მას უკანეთ. <sup>4</sup> ქონდეს. <sup>5</sup> დაახსნევინოს. <sup>6</sup> დაუდვას.

44. <sup>1</sup> აქონდეს. <sup>2</sup> დაუკლებლად. <sup>3</sup> გინდა.

45. <sup>1</sup> სა-რეგუნოდ = საძღუნოდ? (ან იქნებ: სარგოდ?) <sup>2</sup> ამაშიგან] ამაშია <sup>3</sup> სა-კარგავისა გასყიდვა] მოსაკარგავისა გასყიდვით

## A

მაგრამ ნუ ვინ დაებმის სყიდ-  
ვასა.

46\*. თუ კაცმან კაცს ცოლი  
წაგუაროს<sup>1</sup> და ღიაცო თავისის  
[ჟ]ნებით გაჰყვეს, რომლისაცა  
გუარისა იყოს, ორი ნაწილის სისხ-  
ლი გარდაიწადოს და მისი სა-  
სალუქო სხუა გარე შეუქციოს.  
და რაცა მისი ზითევი, ქმარ-  
ყოფილსა ნუ სთხოვენ. ამაღ  
ოომე თავისის გონებით გაჰყო-  
ლია და უაბეზრებია სახლი და  
ქმარი შეურცხვენია.

რაჟამს სისხლი წამგურელმან  
გაუთაოს, თუ სამამულო ზითევი  
იყოს, იგი იმ ქალის სანშობ-  
ლოს მისცეს.

## B

ველსა<sup>1</sup>. ამას შიგა ერთობ რა-  
მე აკლია, მაგრამ ნუ<sup>2</sup> ვინ დაე-  
ბ[მ]ის მოსაკარგავისაგან სყიდ-  
ვასა.

46. თუ კაცმან კაცს ცოლი  
წაგვაროს, ასრე რომე ღიაცი  
მისით ნებით და წადილითა  
გაჰყვეს თანა, რასაცა გვარისა  
იყოს, მისითა წესითა სისხლი  
[V] ორნაწილი დაუურვოს ქმარ-  
სა და, რაცა მისი სასაქონლო  
რა გინდა რამე წაეტანოს, იგიცა  
აგრევე შეაქციოს ღიაცსა. და  
თუ რა მისი მოტანილის ზითე-  
ვისაგან გინა სასაქონლო, გინა  
პირუტყვი გაეტანოს, მას ღიაც-  
სა იგი ქმარ-ყოფილი იმას ნუ  
სთხოვს და, რაცა ქმარ-ყოფილ-  
სა დარჩეს, მას ღიაცი ნუ ით-  
ხოვს, რა გინდა შეილნი უღვნენ,  
ამაღ რომე თავის გულით და-  
უგდიან სახლი, ქმარი და ზი-  
თევი, და უაბეზრებია<sup>2</sup> ყველა  
ურცხვენივ ქმართან.

და რაჟამს სისხლი დაუურვოს  
წამგურელმან და გაათაოს. თუ  
რამ სამამულო ზითევი იყოს, იგი  
მის ქალისა სამშობლოსავე მარ-  
თებს; და თუ ქალსავე მისცემენ,  
მათ იციან.

თუ შეილნი არ დარჩომილი-  
ყვნენ<sup>3</sup> პირველისა ქრმისანი სა-

<sup>1</sup> გამსყიდველისა. <sup>2</sup> ნუ! თუ.

46. \* კიდებუ გადამწერის ხელათ სწერია: „ცოლის წაგურა“. <sup>1</sup> წაგვაროს.  
<sup>2</sup> უბეზარებია. <sup>3</sup> შეილნი არ დარჩომილიყვნენ! შეილი არ დამორჩილიყვნენ.

A

B

ხლსა შიგა, იგი წამგვრელი კაცი სისხლისა საქმესა შიგა მოსრულსა არას ენართლები მის ქალისა სამშობლოსაგან კიდე.

47. თუ ძალად ცოლი წაგუაროს<sup>1</sup> დიაცისა უნდომად, ესეკალიბისა<sup>2</sup> ლაშქრით უახლებლად<sup>3</sup> ვერ უზამს. წამგურელმან დაუდვას ცოლის საპატიჟოდ ორი ნაწილი სისხლი.

47. თუ ძალად წაგვაროს დიაცისა უმცრად დაუნდომლად<sup>4</sup>, — ულონიოდ<sup>7</sup> ესეკალიბისა ძალთა — ლაშქართა უხლებლად ვერ უზანს ვერცა უფროსი უმცროსსა და ვერცა უმცროსი უფროსსა. და დაუურვოს ცოლის წაგვრისა საპატიჟოდ — სისხლისა ორ-ნაწილი.

აგრევე დასხმულობისა წესითა [ნახ. მუხ. 12]. და რაცა წანალები დაიფიცოს კოლ-წაგურილმან<sup>4</sup>, იგიცა მოუბრუნონ.

აგრევე დასხმულობისა წესითა დასხმულობა დაუურვოს. რაცა მოწამითა კაცითა მის დღის წანალები დაიფიცოს კოლ-წაგურილმან<sup>8</sup> კაცმან, იგიცა გარევე შეაქციონ.

ზითევისა აგრე იქნას<sup>5</sup>, რაცა ზემოთ სწერია [იხ. მუხ. 46].

დიაცისა ზითევისაგან თუ რა<sup>9</sup> გაეტანოს, [ანუ] რაცა დარჩომოდეს, აგრევე ქნას, ვითა ზემო სწერია.

48. თუ ძმამან ძმა გააძოს, ანუ მეყვსი, მამულისაგან გააბეზროს, რა გინდა რა აწყინოს გარეთ, რა შინ მოვიდეს, სამართლიანი ნურა ეზლუევის; ვითაცა მართებს, ეგრეთვე მოსაქმე იყოს. ძმისაგან მეტი წესი ერთსა [V] საუხუცესოსა არა მართებს რა.

[262] 48. თუ ძმამან ძმა ანუ მეყვისი გააძოს და მამულისაგან გააბეზროს, რა გინდა რა გარეთით აწყინოს, როდესცლა შინა მოვიდეს, სამართლითლა ნულარა<sup>1</sup> ეზლუევის<sup>2</sup>, ნუცა რად მიეჯღებინს; ვითარცა მართებს, მამულისა ეგრევე მოსაქმე იყოს.

47. <sup>1</sup> წაგვაროს. <sup>2</sup> ესეკალიბისა] ესე კიალიბისა. <sup>3</sup> უხლებლად] უახებლად. <sup>4</sup> კოლწაგურილმან] კოლის წამგურელმან. <sup>5</sup> იქნან. <sup>6</sup> უნდომლად] უნდობლად. <sup>7</sup> ულონიოდ] ულონოდ. <sup>8</sup> კოლწაგურილმან. <sup>9</sup> რა] რათა.

48. <sup>1</sup> ნულარა] თულარა. <sup>2</sup> ეზლუევის.

## A

49. თუ იქნების ალაგის წესი, რომე უმცროსთა მანულოსნობითა [გაიყვანებენ], თუ ცოლს[ა] შეირთავს, იგი წესია, რომე ძუელად<sup>1</sup>, დამბადებელმან მოსეს პირითა «დაბადებასა» შიგან წერა<sup>2</sup>. ჩამოშუებას შუანი არ ემართლებიან.

თუ იბრძოდენ, და უმცროსი უარშიოდ<sup>3</sup> იყოს შეხვეწითა ანუ სიკეთითა.

50\*. თუ ცოლმან ქმარსა<sup>1</sup> ანუ დედაკაცმან დედაკაცისა ქმარსა შეჰყვილოს, ვითა: «ჩემი ქმარი შენს ცოლთან არის», თუ იმ დიაცის ქმარმან აგინოს, ანუ ცოლი დაადოს იმ ყბედისა დიაცის[ა] სიტყვით, ბოზობის<sup>1</sup> ოღნად გარდაჰქდეს სისხლი.

## B

ძმა[ს] ძმისაგან კიდე წესი ერთისა საუხუცესოსა<sup>3</sup> მეტი არა მართებს.

49. იქნების ალაგისა და გვარის წესი, რომე უმცროსსა<sup>4</sup> მანულოვნებით გაიყვანებენ, თუ ცოლსა [შეირთავს]; იგი წესია. სამართალი—არა. საუხუცესოცა ამაღ წესი არს, რომე თვით მოსეს პირითა დამბადებელი «დაბადებასა» შიგან დასწერს. წესი რამე დადებული ძნელად მოიშლების, შუანი არა ემართლებიან.

თუ არაოდეს ქნნილა მათსა გვარსა შიგან, თუ ურჩევნისთ<sup>5</sup>, იბრძოდენ, თუ უმცროსი კარგად არ შეებმის<sup>6</sup>, ანუ სიკეთითა მიღმა შეხვეწ[ვებ]ის,— განეყავ<sup>7</sup>, დამეჭნენ, აღარც ვითარ უწესო დაგვინახავს მისთანაო.

50. თუ ცოლმან ქმარსა გაუპირდეს, დედაკაცსა ანუ დედაკაცისა ქმარსა შესჩივლოს, ვითა: «ესე ჩემი ქმარი შენსა [ცოლსა] თანა არისო», და მის დიაცისა ქმარმან გაიგონოს და ამა ყბედისა და ჯეელისა ქმრისა ამისსა მოწამენი ჰყვენ<sup>2</sup>, თუ გაეყაროს, ბოზობისა ოღნად

<sup>2</sup> წესი ერთისა საუხუცესოსა] წესიერისა საუწესოსა.

49. <sup>1</sup> ძუელადი ძუელი. <sup>2</sup> «დაბადებასა» შიგან წერა] დაბადება შეიწერა. <sup>3</sup> უარშიენდ. <sup>4</sup> უმცროსსა] უმცროსი. <sup>5</sup> ურჩევნისთ] ურჩევნილ. <sup>6</sup> შეებმის. <sup>7</sup> გამეყავ] გამეყუა.

50. \* კიდეზე გადამწერის ხელით სწერია: «წაძახება». <sup>1</sup> ქმარსა] ქრმისა. <sup>2</sup> ყვენ.



## A

და თუ არ დააგდოს და ხანი გა-  
მოსრულ იყოს<sup>3</sup>, იმ ყბედის დია-  
ცის წაძახილისაგან<sup>4</sup> ..., ცოლსა  
ნულარ ემიზეზების: ვინ არ იცო-  
და, რომე ყბედისა არშივი არ  
არისო.

51\*. თუ კაცმან კაცსა ჟამი-  
სა<sup>1</sup> რომლისათჳსმე მიწა ანუ  
მზღუარი<sup>2</sup> დაუქიროს<sup>3</sup>, როდეს-  
ცა სამართალი უშოვნოს, ნაქა-  
მა[10]დით დაუდვას.

52\*. თუ ყანასა, ვენაჯსა, ბოს-  
ტანსა, პირუტყვ დაამწყვდიოს  
და მოკლას, თუ პირუტყვსა  
პატრონი ეახლოს და ემტეროს,  
ნუცა ნაწყენსა, ნუცა [სიკუდილ-  
სა მიერჩის]: სიავე განგებით  
უქნია, მისი საქმე სხუა არის.

თუ უმეცრად შესრული იყოს  
და მოკლან, შუათა კაცთა და-

## B

გარდავდეს მისი საქმე და სი-  
სხლი; არ კ მის ყბედის დიაცისა  
მეყვისნი სისხლისა თხოვასა  
ემართლებიან.

და თუ ოდესმე ეთქვას და მას  
უქანის კიდევ ინდომოდეს, და  
არა შეეჯსენოს [v] და დაემო-  
ნოს-ვე, ხანი გამოსრულიყოს,  
უქანისლა ძის ყბედობისა მოწყე-  
ნილმან მოიგონოსლა<sup>3</sup>, უჟამოლა  
არის: ვინ არა იცოდა<sup>6</sup>, რომე  
არშივი არა ეგებოდა, მის ყბე-  
დისა მიზეზი ნუა.

51. თუ კაცმან კაცსა [რომ-  
ლისამე] ჟამისათვის<sup>3</sup> რა გინდა  
რამე მიწა გინა მზღვარი დაუქი-  
როს, ოდესცა სამართალი იშოვ-  
ნოს, ნაქამითა დაუდვას იგი  
ადგილი მან კაცმან.

52. თუ ყანასა შიგა, გინა ვე-  
ნაჯსა, ბოსტანსა, რასა გინდა  
სავანოსა შიგან პირუტყვი და-  
ამწყვდიოს კაცმან და კიდევ  
მოკლას, თუ პირუტყვისა პატ-  
რონი იახლოს და განგებითა  
ეყოს, მტერობით იქმნების, ნუ-  
ცა ნაწყენსა მიერჩის, და ნუ-  
ცა სიკვდილსა<sup>1</sup> იგი მას.

და თუ უმეცრად შესრული  
მოკლას, ნაწყენი<sup>2</sup> უზლოს შუათა

<sup>3</sup> გამოსრულ იყოს| გამოსრული იყოს და. <sup>4</sup> წაძახილისაგან| წაძახილმან.

<sup>5</sup> მოიგონისლა. <sup>6</sup> იცოდა| იცოდეს.

51. \* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „ბეთილამნი“. <sup>1</sup> კაცისა ჟამსა.  
<sup>2</sup> მიწა ანუ მზღუარი| მიწიან უმზღვარი. <sup>3</sup> დაუქიროს| დაუქიროს. <sup>4</sup> ჟამისათვის|  
ჟამისა თვისა.

52. \* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „წანაკედი“. <sup>1</sup> ნუცა სიკვდილსა|  
ნუცა სიკვდილისა. <sup>2</sup> ნაწყენი| ნაწყენმან.

## A

ხედვითა ნაწყენი პირუტყვისა უზღუდევინონ: პირუტყვს[ა] ჯორცი თუ პატრონმან წაილოს, ნახევარი უზღოს; თუ მომკულელს[ა] წაელოს, სრულიად მისცეს.

53\*. თუ კაცმან კაცსა სამამულე შევედროს და რაჟამს სთხოვოს. შემაგრდეს და აღარ მისცემდეს, როდისცა სამ[ა]რთალი იზოვოს. ნაქამადითა დაუგდოს.

თუ შევედრებასა შიგან ეკამოს, ნუ სთხოვს.

თუ სასარჩლოდ შეუქ[მ]ნას, ნუ სთხოვს<sup>1</sup>, არამედ ყველა უკლებელად უზღოს, რაცა ეკამოს.

54. თუ კაცმან კაცისა მამული გააკაცრიელოს რგვთა ანუ ნაგებითა [ობლობისა] და გარდახუეწისათჳს<sup>1</sup>. რომე<sup>2</sup> მამული მან მოიკლოს. დაჰირვას[ა] არას ემართლების, ნახევარი ფასი [V] მისცეს [და ადგილი მემამულეს].

## B

დახედვითა. და პირუტყვისა მამკელელმან ზლოს ასე, რომე: თუ ჯორცი პირუტყვისა პატრონმან წაილოს, ნახევარი უზღოს; და თუ მომკულელსა მისცენ, ერთობილი უზღოს, როგორაცა მეზობელთა დაათვასონ; და თუ უკამოსი იყოს, არად შემოიღებინ.

53. თუ კაცმან კაცს გლეხისაგან სამამულლო რამე შევედროს<sup>2</sup> და რა სთხოვოს, შეუმაგრდეს და აღარ მისცეს, ოდესღა სამართალმან დაადებინოს, ნაქამითა მისცენ უსიტყვოდ<sup>3</sup>.

და [თუ] შევედრებასა<sup>4</sup> შიგან ეკამოს რა[ხმ]მე, არა საკვირველია, უსიტყვოდ<sup>5</sup> მისცეს, ამაღ რომე შეუნახავს, მოვმარებია.

და თუ საბჳოდ [შეუქნას] და ტყუოდეს, ყველა ზლოს, რაც წაელოს და ეკამოს.

54. თუ კაცმან კაცის<sup>2</sup> მიწა [გააკაცრიელოს] გინა ნაშრომითა, გინა ნაგებითა, გინა ნარგევითა ანუ ობლობისათვის, ანუ გარდახუეწისათვის რა მემამულემან მოიკითხოს, დაჰირვას არას ემართლების, ნაქმრის<sup>4</sup> ფასი მისცეს და ადგილი მემამულესგე მართებს.

53. \* კიდებე გადამწერის ხელით სწერია: „მიბარება“. <sup>1</sup> სთხოვსა. <sup>2</sup> შევედროს] შევედროს. <sup>3</sup> უსიტყვოდ] უსატყლე. <sup>4</sup> შევედრებასა] წიდრობასა. <sup>5</sup> უსიტყვოდ] უსატყლად.

54. <sup>1</sup> გარდახუეწისათჳს] გარდახუეწითა თჳსი. <sup>2</sup> რომე] რამე. <sup>3</sup> კაცს. <sup>4</sup> ნაქმრის] ნაქრმის.

## A

55. და [თუ] ადგილი მემამულისა გამოითხოოს, არა ემართლების არცა სასყიდლად ბატონისაგან.

თუ იყიდოს, როდისცა მემამულემან მოიკითხოს, დაუდვას უმიზეზოდ და ფასი ამღებელსა სთხოოს.

ანუ გაზრდისათჳს ანუ აესა ქამსა შინა<sup>1</sup> დარჩენისათჳს ყმის[ა] დაქირვასა არავე ემართლების<sup>2</sup>, იმა წესითა სთხოოს, რომე ზემოთ სწერია [იხ. მუხ. 54].

56\*. თუ კაცმან კაცსა მიწა მიჰყიდოს,—კაცრიელი თუ უკაცური,—რაცა იმ დღეს მსყიდველს[ა] ჯელთ[ა] არა აქუს, სხუასა მიღვენას[ა] არას ემართლების.

თუ ფუზის მკვდრი გარეთ იყოს და მერმე მამულ[სა] ზედა მოვიდეს, ვისგან ჰქონებოდეს, დაქირვას[ა] არას ემართლების<sup>1</sup>, რა გინდ[ა] დიდი ხანი დაეყოს.

## B

55. არცა უმეტრო კაცი კაცისა მამულისა გამოთხოვნას ემართლების, არცა სასყიდლად, არცა სასაკარგოდ<sup>3</sup> პატრონისაგან.

თუ იყიდოს, ოდესცალა მემამულემან მოიკითხოს, მიწა დაუდვას უმიზეზოდ და ფასი ამღებელს სთხოოს.

თუ აგეთი შენაცოდარი არა მიაჩნდეს რა, რომე მართებდეს, გაზრდისათვის და აესა ქამსა შინაგან დარჩენისათვის კაცი კაცსა ყმის დაქირვას არას ემართლების, მითვე წესითა სთხოოს, რომე ზემოთ სწერია.

56. თუ კაცმან კაცს საგლებო ფუძე მიჰყიდოს,—გინა კაცრიელი, გინა უკაცური,—რაცა მას დღეს მიმსყიდველსა ჯელთა არა აქუს, მის მეტს მსყიდველი მიღვენას არას ემართლების.

და თუ მის ფუძის მკვიდრი კაცი, გარეთ წასვლით მყოფი, შინა მამულსა ზედა მივა თვისითა გულითა, როგორცა ზემოთ სწერია, რა გინდა ხანი დაეყოს, იგი [V] არას ემართლება მის წესისა გაჩენილისა მეტსა.

55. <sup>1</sup> ავ ქამში. <sup>2</sup> არავე ემართლების არ ემართლებით. <sup>3</sup> სასაკარგოდ.

56. \* კიდევ გადაწერის ხელით სწერია: „სყიდვა“. <sup>1</sup> ემართლება.

## A

57. ანდერძი ვისგან ითქუას<sup>1</sup> სიკუდილის ჟამსა, იგი მტკიცედ დადასტურებული<sup>2</sup> [იქნების].

ზემო გარდმოსულთა<sup>3</sup>, განბრძნობილთა<sup>4</sup> წმიდათა მამათა რჯულითა სამოძღურებელთა<sup>5</sup> ებისტოლეთა შინა ესრეთ წერილ არს.\* ამისთანასა საქმესა შესრულა, ზე და [ქვე] ქცევასა ნუ ვინ ჯელ-ჰყოფს.

58. კაცმან თუ შვილი შეცოდებისათჳს<sup>1</sup> გააძოს, ჯელ[11]ეწიფების.

თუ შვილი თავ-მოთნედ გაჰყოლოდეს და არღარა სით<sup>1</sup> რა ეწყინოს, რა მამა გარდაჰჯდეს, მამულისა მოსაქმეობასა<sup>2</sup> [ვერაჲ ვინ მოუშლის].

მართლად ეწყინოს, რაცა შესძლებოდეს<sup>3</sup>, ეგრეთვე საქმესა

## B

57. ანდერძი რომელმან კაცმან თქვას, მისსა სიკვდილსა შემდგომადლა იქნების მტკიცე და დადასტურებული, თუ არა<sup>1</sup> სიცოცხლესა შინა ორივე ჯელ-ეწიფების,—გინა მოშლა, გინა გათავება.

ამას ზედა გარდამოსულა განბრძნობილი<sup>7</sup> არს წმინდათა მამათაგან სჯულთა სამოძღვრებლად, ებისტოლეთა შიგან ესრეთ წერილ არს. ამისთანასა საქმესა შიგან კაცთაგან შესვლა, ზე-ქვე ქცევა მალ შეუძლებელ არს და ნუ ვინ ჯელ-ჰყოფს.

58. თუ თავისი შვილი მამამან მისისა<sup>1</sup> შეცოდებისათვის კიდე გააძოს, ჯელ-ეწიფების და ცილებასა არავინ არს მართალ<sup>2</sup>.

თუ შვილი თავ-მოთნედ<sup>6</sup> გაყოლოდეს<sup>7</sup>, არცა რა-სით რა ეწყინოს, აღარათ შეეღირნოს<sup>8</sup>, რა მამა გარდაჯდეს, მამულისა მოსაქმობასა მართლ<sup>9</sup> ვერავინ მოუშლის მემამულეობასა.

და თუ გარეთით ერბიოს<sup>10</sup>, ეწყინოს, რაცა შესძლებოდეს

57. <sup>1</sup> ეთქუას. <sup>2</sup> სტურებული. <sup>3</sup> გარდმოსული. <sup>4</sup> განბრძნობილთა | გრძნობილთა. <sup>5</sup> სამოძღურებელითა. <sup>6</sup> ჯარა | რა. <sup>7</sup> განბრძნობილი.

\* იგულისხმება: ე ბ რ ა ე ლ თ ა 9, 17.

58. <sup>1</sup> შეცოდებისათჳს | შემცოდებისათჳს. <sup>2</sup> მისსა. <sup>3</sup> მართლად. <sup>4</sup> მისსა. <sup>5</sup> მართლად. <sup>6</sup> თავმოთნედ | თავ მოთნოდ. <sup>7</sup> გყოლოდეს. <sup>8</sup> შეაღირნოს. <sup>9</sup> მართლად. <sup>10</sup> ებიოს.

## A

სხუასა ნუ ვინ ასაქმებინებს მამულსა თანა.

ამას კარგად გამონახვით<sup>11</sup> უნდა და გაგონებით, — მამასა შენაცოდარი არ[ა] გამოსჩენოდეს რა, ანუ [სხუა] შეილისა, ანუ ცოლისა, ანუ თუ რძლისა გულისათვის შეილისა გაძებასა არ[ა] ემართლების<sup>12</sup>.

59. თუ ნაშვილები გააძოს, განალამცა გაჰყვა და შორს დაღა მოსაქმეობასა<sup>1</sup>.

მიღმა ნაშვილებისაგან ღალატ-შეცოდება აღარ შეინანოს თავკედლობასა.

მისი მოკლებაცა კარგად უნდა, ზემო რომე მამა-შვილთა სწერია, მის მიბაძვითა საქმეა, და მის წესითა გამოენახნენ [იხ. მუხ. 53].

60. \* თუ კაცმან კაცსა წიგნი მისცეს, და ანუ ბატონმა[ნ] უბოძოს, და კელი ერთოს საჯე-

## B

ეავეკოს, ვითა მამას გაეძოს. აგრევე სხვა ნურეინ რას ასაქმებინებს მამულსა თანა.

ამას კარგად მოკლებით, გაგონებით ქნა უნდა, რომე<sup>13</sup> ამისი საქნელი, მამისა შენაცოდარი ეგრეთ არ<sup>14</sup> გამოჩნდეს, სხვისა<sup>15</sup>, მეორის შეილისა გულისათვის. ანუ ნეორის ცოლისა შეილთა გულისათვის და ცოლის ნათესავისათვის არა გააძოს მამამან ღვიძლი<sup>16</sup> ძე, ვითა უბ[261] რალო შეილი. ამას არცა მამა ემართლების, ნუცა<sup>17</sup> ვინ სხვა უზამს.

59. ნაშვილები თუ გააძოს, განალამც გაყვა და შორს<sup>2</sup> დაღა ყოელისა მოსაქმეებისაგან.

თუ მიღმა ნაშვილებისაგან გამოჩნდეს სანივთო ღალატი და შეცოდება, და არლარა შეენანოს თავისა მართლობა თავკედლობითა.

მისიცა<sup>3</sup> მოკლება კარგად უნდა, ზემოთ რომე მამა-შვილთა სწერია და მისით მიბაძვით საქმეა, მით წესითა გამოენახნ.

60. რა გინდა სასაქმოვე წიგნი მისცეს, გინა პატრონმან უბოძოს რასათვისვე, და ერთოს სა-

<sup>11</sup> გამონვთ. <sup>12</sup> ემართლების <sup>13</sup> რამე. <sup>14</sup> რა. <sup>15</sup> სხვასა. <sup>16</sup> ღვიძლ. <sup>17</sup> თუცა.

59. <sup>1</sup> მოსაქმეობასა] მომქებასა. <sup>2</sup> გაყვა და შორს] გაყვის და შორის. <sup>3</sup> მისცა.

60. \* კიდებუ გადამწერის ხელით სწერია: „წიგნის მიცემა“.

## A

რობისა, მისვე კაცისაგან გაცხადებით აგრევე ქელი შიგ[ა] ერთოს, ისი უკანა წიგნი გაათავებს პირველსა.

[v] თუ მალვით მიცემულია და ქელი არ[ა] ერთოს, იგიც[ა] ღია პირველივე უმტკიცეა.

61\*. თუ კაცმან კაცს სამოყ[უ]-როდ მისცეს რამე და სიგლა-ხაკისათჳს სთხოვოს, არ ემართლები.

თუ რომე მოყ[უ]რობა მოშლოდეს, მისცეს დაუკლებელად.

## B

პატიოთა კაცთა, მოლოზნთა ქელი ერისგანთ საჯერობისათვის, ქელი, მისვე კაცისაგან განცხადებითა წერილი, და აგრევე ქელებიცა ერთოს. და მალვითა მისცეს, იგი უკანს გაუტუდებს მას პირველსა.

და თუ მალვით და ქვე რამით მიეცეს და არცა ვისი ქელი ერთოს, იგი ცუდია, და პირველივე უმტკიცე იქმნების.

სხვად თუ კაცი რასმე ესაქნებოდეს სამართლითა და საჯეროთი, შუათა პირითა ნაზავები პირი და წიგნი არა მოეშლები უკანის, ანუ სარგებლის დახედვისათვის, ანუ ძალისა შოებისათვის.

61. თუ კაცმან კაცსა კარგად და პირისწყლიანად ყოფისათვის სამოყვროდ მისცეს რამე,—გინა სამამულო, გინა სასაქონლო და რა გინდა რა,—ხანთა გამოსვლისათვის<sup>1</sup> და ქვემო<sup>2</sup> ყოფისათვის თხოვასა არას ემა[v]რთლები. თუ რაცალა შეუძლია, მისის მოყვრობისავე ზედა<sup>3</sup> იყოს.

და უჩნდეს ეს, რომე იგი მოშლოდეს, მისცეს<sup>4</sup> დაუკლებლად რაც მიეცეს.

61. \* კიდებე გადამწერის ხელით სწერია: „მოყრობის მიცემა“. <sup>1</sup> გამოსვლისათ. <sup>2</sup> ქვემ. <sup>3</sup> ზედ. <sup>4</sup> მისცეს + მისცეს.

**A**

ნაპარევისა გაჩენა ასე იქნე-  
ბის:

62\*. თუ ცხენი იყოს მოპარუ-  
ლი, [ანუ] რაცა<sup>1</sup> კაცმან კაცი-  
სა მოიპაროს, თუ ველთავე  
ჰქონდეს იგი თავნი ნაპარევი,  
იგი თავნი ნაპარევი მისცეს  
და ეგეზომი სხუა მისცეს.

63. თუ ნაპარევი იცნას კაცის  
ველთა და ამას იტყოდეს,  
ამასთან სხეაც ბევრი რამე და-  
მეკარგაა-ო, რომლისაცა<sup>1</sup> ველს  
იცნას, იგი არ გატყდეს. შეფი-  
ცოს ორთა უმტერ-უმოყ[უ]როა-  
თა<sup>2</sup> კაცითა, რომე მისთა ველთა  
მის მეტი არა მისრულ იყოს.

თუ არ ჯერ-იყოს, საქონლის  
პატრონმან დაიფიცოს, რაცა<sup>1</sup>  
წაჰქვდომოდეს, უზლოს ერთი  
ორად.

64. თუ გულარალო<sup>1</sup> ცხენი  
მიჰყიდოს კაცმან კაცსა, თუ  
გულარლობა არ[ა] უთხრას, ისეთი

**B**

ნაპარევისა პირველ ასრე გაჩე-  
ნილა და ასრე იქნას აწცა, რომე

62. თუ ცხენი და რა გინ-  
და რა კაცმან მოიპაროს,  
თუ ველთავე აქვნდეს თავი ნა-  
პარევი, იგი მისცეს და ერთი  
ეზომი სხვა.

და თუ არა აქვნდეს, აფიცოს  
საქონლის პატრონმან; როგორ-  
ცა დაიფიცოს, იგი მისცეს და  
ერთი ეზომი სხვა.

63. თუ ნაპარევი რამე იცნას  
და ამას იტყოდეს, თუ ძმაგისა  
გვერდით სხეაცა რამ წარნი-  
ტდა-ო, და რომელსა ეცნას, არა  
გამტყუნდეს<sup>2</sup>, შეფიცოს ორითა  
უმტეროთა კაცითა, რომე მის  
მეტი არა მისრულიყოს მისსა  
ველსა და არცა კაცი იტოდეს  
მისი მომპარავი, თვით მის მეტსა  
არას ემართლების.

და თუ ვერ შეფიცოს, მან  
საქონლის პატრონმან დაიფი-  
ცოს, რაც წაქვდომოდეს, უზლოს  
ზემოთვე წესითა.

ბოლარლოსა ცხენისა ასრე იქ-  
ნას:

64. თუ ბურლო ცხენი მიყი-  
დოს კაცმან კაცსა, ანუ მისცეს,  
თუ ბურლობა არა გაანდოს<sup>2</sup>,

62. \* კიდევ გადამწერის ხელით სწერია: „მოპარვისა ქურდი“. <sup>1</sup> იყოს მოპა-  
რული ანუ რაცა] რაცა იყოს მოპარული.

63. <sup>1</sup> რომლისაცა] რომელსაცა <sup>2</sup> უმტერ-უმოყუროთა] უმტერუმოყროთა. <sup>3</sup> არა  
გამტყუნდეს] + თუ მაგის გვერდით სადაცა.

64. <sup>1</sup> გულარალო. <sup>2</sup> გამოანდოს.

## A

იცნას, [12] თავი და ნაჯედნი მისცეს და მის გუერდის რაცა წაჰჯდომოდეს, ყველა. [შდრ. ჰუხ. 172].

65. თუ ქარაენისაგან ქურდ- მან წაუღოს<sup>1</sup> რამე, მერმე მან მისი იცნას სხვს[ა] კაცის[ა] ჯელ- თა, დაიფიცოს მან კაცმან, რომე ქურდი არ[ა] ყოფილიყოს, თავის მეტს[ა] არას ემართლების.

თუ ვერ იფიცოს ქურდო- ბისა<sup>2</sup>. მაშინ საქონლის[ა] პატ- რონმან დაიფიცოს, რა წარ- ჰჯდომია, და ყველა უზლოს.

თუ იგი კაცი ყოფილ იყოს, თუ ლაშქარი, რაცა მისის[ა] ალაფი- საგან ფიცით მინახუედრებია, იგიცა უზლოს დაუკლებელად.

## B

ესეთი იცნან, თავი, ღუნჯი<sup>3</sup> მისი, რომელი წაჯდომოდეს, ყველა მან უზლოს, რომელსა მიეყიდოს<sup>4</sup>, და ანუ მისცეს; მას არას ემართლების, რომლისა ჯელსა<sup>4</sup> იც[266]ნას.

და თუ უთხრას, ბურღობა<sup>5</sup> დღისით იცნან, ორთავე სწო- რედ ზღონ ყველა.

65. თუ ქარავანსა<sup>3</sup> ქურდად თავსა ზედა - დასხმასა შიგა წა- ჯდომილი იცნას კაცმან, თუ ესე<sup>4</sup> ფიცოს მან სხვამან კაცმან, რომე იგი ქურდად არა ყოფი- ლიყოს, თავის მეტს არას ემართ- ლების.

და თუ ვერ შეფიცოს, რასაც წაჯდომილსა პატრონი იფიცავს, ყველა უზლოს ამა კაცმან.

თუ თავადად იგი კაცი ყო- ფილიყოს და თავ-ლაშქარი<sup>5</sup> ყოფილიყოს, რაცა მისი ალა- ფისაგან ფიცით მინახუედრებია თქვას, იგიცა უზლოს უკლებ- ლად.

<sup>3</sup> ინჯუ? (იხ. მუხ. 66). <sup>4</sup> მიყიდოს. <sup>5</sup> რომლისა კელსა] რომელი სახელსა.  
<sup>6</sup> ბურღობა] შურთობა.

65. <sup>1</sup> წაუღონ. <sup>2</sup> ქურდისა. <sup>3</sup> ქარავანსა. <sup>4</sup> ესე] + ვითა. <sup>5</sup> თავ-ლაშქარი] თვალ- ნაქარი.



(აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი)\*

A

მე, პატრონმან ათაბაგ-ამირსპასალარმან აღბულა, მოვიკლე.<sup>1</sup> სრულისა სამცხისა საქმე. ქაშთა სიაჟითა<sup>2</sup> დიდი კაცი იპატივებს<sup>3</sup>. მასვე ლაშქართა<sup>4</sup> შინა ცხენის პარვა შექნილ იყო. ეწყინა საპატიოთა კაცთა და მას წინაშე საპატიოთა მსხდომთა კაცთა, მეკობრის განჩინილი ძველსავე მიაყოლეს<sup>5</sup>, ესრეთ გააჩინეს<sup>6</sup>, ვითა: უშიშობამან, თუარე<sup>7</sup> ავის მოქმედის კაცისაგან არავის რა [V] გარდაეძლევიან წინათ ქაშთა აქეთ პატიყო.

66. აწე მეკობრე<sup>1</sup> ხოლემ გავპატიყოთ და, ვისი<sup>2</sup> გინდა იყოს, გავაძოთ უთნეგარი. და გაძებამდის იგი ცხენი და ერთი სხუა ცხენის პატრონს მივაცემინოთ.

თუ აღარა ჰყვეს, როგორაცა ცხენის პატრონმან დაიფიცოს, როგორაცა მას დღესა ღირებულ იყოს, იგი<sup>3</sup> მისი ცხენი და ერთი სხუა ეგებომი შეზლოს<sup>4</sup>, და როგორაცა მის

B

აწ პატრონმან, ათაბაგ-ამირსპასალარმან<sup>8</sup> აღბულა, მოიკლა სრულისა სამცხისა საქმე და ამა ქაშთა სიაჟითა დიდი მოავე კაცი საპატიობასა<sup>9</sup> (?) თანა გარ(?) თავადად ლაშქართა ცხენთა<sup>10</sup> პარვა შექმნილიყო. ესე იწყინა და ამავე საპატიოთა კაცთა მას წინაშე სხდომითა და ბჭობითა<sup>11</sup> საპაროსაინჯუთა<sup>12</sup> და მეკობრის საპატიოთა განაჩენი ძველისავე მიაყოლეს და ესრეთ გააჩინეს, ვითა: უშიშობამან. თვარე გინა მრავლისა ავისა მოქმედი კაცი არლარა ვის რა გარდაეძლია წინათ ქაშთა აქათ პატიყო.

66. აწ მეკობრე ხოლემ გავპატიყოთ<sup>5</sup>, ვისი გინდა იყოს, უთნეველად, და გავაძოთ; და გაძებამდღე იგიცა ცხენი და ერთი სხუა ცხენისა პატრონისათვის მივაცემინოთ.

და თუ აღარ ყვეს, რაგვარაცა ცხენისა პატრონმან დაიფიცოს, [V] რაგვარაცა მას დღეს ღირებულ იყოს, იგი მისი ცხენი და ერთი ეზომი სხუა მისცეს, და რომელიცა რა-

\* აღბულას სამართლის წიგნის შესავლის ტექსტი ხელნაწერებში მეტად შერყვნილია, რის გამოც პირვანდელი ტექსტის აღდგენა, ამყამად შეუძლებელია.

შესავალი. <sup>1</sup> მოვიკლო. <sup>2</sup> სიაჟითა. <sup>3</sup> იპტივებს. <sup>4</sup> ლაშქართა. <sup>5</sup> მიაყოლესა.

<sup>6</sup> გააჩინეს. <sup>7</sup> თუარე. <sup>8</sup> მისპასალარმან. <sup>9</sup> ბასტაბასა. <sup>10</sup> ცხენითა. <sup>11</sup> ბჭობითა. <sup>12</sup> საპაროსაინჯუთა] საპაროს-საუნჯუთა.

66. <sup>1</sup> მეკობრე. <sup>2</sup> ვისი. <sup>3</sup> იგი. <sup>4</sup> უზლოს. <sup>5</sup> გაპატიყოთ.

## A

განაჩენშიგან სწერია, ისრე დაი-  
ურევბოდეს.

და თუ ცხენი ჯელთავე  
ჰყვეს და ამას იტყოდეს, თუ  
ამიყიდიან-ო, მანვე ულამი გა-  
ართვას და მომყიდველი უჩუე-  
ნოს, ცხენის მეტსა არას ემართ-  
ლების<sup>6</sup> და ნაჲდნი<sup>7</sup> მას მეკობ-  
რესა სთხოვოს.

თუ მომყიდველი მართლად  
ვერ უჩუენოს, თუთ მეკობრე იგია  
და მან ზლოს.

თუ მისი არ იყოს ცხენი  
და მისი ნებით<sup>8</sup> ერჩოდეს და  
მართლად გამოჩნდეს, მერმე მე-  
კობრე იგია, მან დაიურვოს,  
როგორაცა მეკობრეს მართებ-  
დეს.

67. [13] თუ კაცმან კაცის  
საქმე წაილოს რამე და წაუტდეს  
რამე, ანუ სოფელსა უწყინოს  
რამე ვინ—თათარმან ანუ ქართ-  
ველმან—წაჰყვეს თანა წამლე-  
ბელსა და დამხუთველსა კაცსა,  
მან გასცეს პასუხი, მოაცემინოს  
დაუკლებელად.

თუ არ წაჰყვეს და არ მოაცე-  
მინოს, თუ რამე აკლდეს, მან  
კაცმან ზლოს.

## B

გვარ მას განაჩენსა შიგან სწე-  
რია, აგრე იურევბოდეს იგიცა,  
ესეცა მითაცა და ამითაცა.

და თუ ცხენი ჯელთა ჰყვეს და  
კაცი ამას იტყოდეს, თუ კიდე  
ამიყიდიან-ო, ულამი გაართვას<sup>9</sup>  
და მომყიდველი თქვას, ცხენისა  
ნეტსა ირას ემართლების და ინ-  
ჯუ მას მეკობრესა სთხოვოს<sup>10</sup>  
და, რაცა მიცემული ფასი მო-  
წმით დაიფიცოს, იგი ცხენის  
პატრონმან მისცეს.

და თუ ულამი ვერ გაართვას,  
მართლად<sup>11</sup> მყოფი, მეკობრე<sup>12</sup>  
იგი არის და მან ზლოს.

თუ არა მისი იყოს ცხენი და  
მისი ნებით<sup>13</sup> დაესარჩლოს და  
მართალი გამოჩნდეს, მერმე მე-  
კობრე იგი იქნების და მან  
დაუურვოს, რაგვარაცა მეკობ-  
რესა მართებს.

67. თუ კაცსა კაცისა საქმითა  
წაელოს ვისგან რამე და წაუტ-  
დეს, ანუ სოფელსა უწყინოს  
ვინ—თათარმან ანუ ქართველ-  
მან—წაყვეს მას წამლებსა, დამ-  
ხუთავსა კაცსა, და მან გასცეს  
პასუხი და მოაცემინოს დაუკ-  
ლებლად ჯელთა.

ანუ კიდე არა წაყვეს, ანუ  
მოაცემინოს და რამე აკლდეს,  
მან კაცმან უზლოს დაუკლებ-  
ლად.

<sup>6</sup> ემართლება. <sup>7</sup> ნაჲდნი. <sup>8</sup> გარდმისნებით. <sup>9</sup> მიყიდიანო, ულამი გაართვას|  
მიყიდულთა მიგართვას. <sup>10</sup> სთხოვს. <sup>11</sup> ვერ გაართვას მართლად| ვერ თქვას მართა-  
ლი და არა შორს მყოფი. <sup>12</sup> მეკობრე|+მართალი. <sup>13</sup> მისი ნებით| გარდამისნებით.

A

თუ რამე მოყ[უ]რობისათვის, არ[ა] გააშუას<sup>1</sup>. იგი რაცა საქონლის პატრონმან დაიფიცოს, რომე წაჰვლომოდეს.

თუ ქუეყანა, ანუ თემი, სხუა რჯული, გინა მეზობელი დაუნდობელი<sup>2</sup> იყოს, დაუნდობელმან დაუნდობელსა<sup>3</sup> მარადის მტრობასა შინა უყოს, მერმე მისისა მტრობისათვის მტრობასა შიგან უყოს რამე, მერმე მისის მტრობისათვის სხუასა უჟროსი აწყინონ, სხუას[ა] ოდენ აწყინონ და ჩპარველსა მაწყინარსა სამდურავის[ა] მეტს[ა] არა ემართლების, ამად რომე მტერობასა ზედა დაუნდობელნი ყოფილან.

68. გლები თუ გლებსა თავსმდებად დაუდგეს [ერთისა წარისა] ანუ მისისა ფასისა<sup>1</sup> უფროსითა, საპატიოს კაცისა იყოს, მისსა [v.] კელის[ა] უფალსა ჩაართვევინოს კელი.

თუ დიდებულისა ანუ აზნაურისა [იყოს], ჩაართვევინოს და ასეთი, რაზომსაცა ზედა დაუდგეს, უზლოს.

თუ კელი არ ერთოს, გლები ამის უფროსითა<sup>2</sup> ვერ დაუდგე-

B

რაცა მოყრობისათვის, არა გაუშვას, იგი რაცა საქონლისა პატრონმან დაიფიცოს, რომე წახნოდეს.

და თუ ქვეყანა, ანუ თემი, და სხუა რჯული, გინა მეზობელი დაუნდობელი იყოს, დაუნდობელმან [246] დაუნდობელს მტერობასა შიგან უყოს და მერმე მის მტერობისათვის მათ სხვისა უფრო გინა მას არა აწყინონ და სხვასა აწყინონ, მას პირველსა მაწყინარსა არას სამდურავს ემართლების, ამად რომე მტერობასა ზედან დაუნდობელი ყოფილან.

68. გლები თუ გლებსა თავსმდებად<sup>3</sup> დაუდგეს ერთისა წარისა, ანუ მისის ფასისა უფროსითა, საპატიოს კაცისა იყოს, მისსა კელისა უფალსა ჩაართვევინოს კელი.

და თუ ქვეყნის დიდებულისა და ანუ აზნაურისა იყოს, მას ჩაართვევინოს და ესეთი, რაზომცა ზედა დაუდგეს, უზლოს.

და თუ კელი არა ერთოს, გლები ამას უფროსითა ვერ

67. <sup>1</sup> გაშუას. <sup>2</sup> დაუნდობელი და ანუ დობილი. <sup>3</sup> დაუნდობელმან დაუნდობელსა ანუ დობილმან დაუნდობელმან.

68. <sup>1</sup> მისისა ფასისა მისსა ფასითა. <sup>2</sup> უფროსთა. <sup>3</sup> თავსმდებად თავისა მდებთად.

A

B

ბის, ამად რომე არ ღირსა, მის[მან] პატრონმან ავად გაჯადოს იგი გლეხი.

69. [თუ] დიდებული ანუ აზნაური დაუდგეს თავ[მ]დებად, ანუ მოგუაროს, რასაცა ზედა დაუდგეს, და ანუ უზლოს, სათავებო [რაცა] [14 v, 9<sup>1</sup>] ეწეროს.

70. გლეხსა თუ სხვს-შვილი<sup>1</sup> წაუვიდეს, რაცა შეუტანია, იგი და რაცა მოუგია, ორივე გაჰყევს; ამად რომე სწორსა სწორისად<sup>2</sup> უმსახურებია, თუ რამ[ე] არა მოსტაცოს. რა.

თუ რამე სამიწო ნასყიდი ექმნას, ნუ გაიტანს.

71. თუ გლეხსა წამავ[ა]ლისა გლეხისათვს გაეწიოს, ანუ მოგუაროს იგი გლეხი და ანუ მისმან ბატონმან კელთ[ა] მისცეს იგი გლეხი. და გლეხი გლეხს მკვდრად ნუ ირჩის და არცა ნართებს, და არცა სყი- [15 v] დვასა<sup>1</sup> ემართლებს<sup>2</sup> და არცა იგი ღირსა.

ოდესცა ანუ მან<sup>3</sup> ნასყიდმან<sup>4</sup> კაცმან იშოვოს, მისცეს, რაცა გამოეღოს, და ანუ მისმან მკვდრმან ბატონმან მიუბრუნოს<sup>5</sup> და იგი კაცი გაუშუას.

დაუდგების, ამად რომე არა ღირსა და მისმან პატრონმან ავად გაჯადოს იგი გლეხი.

69. თუ დიდებული გინა აზნაური დაუდგეს<sup>2</sup> [თავმდებად], ანუ რასაცა ზედა უდგეს, უზლოს, სათავებო რაცა ეწეროს.

70. თუ გლეხსა სხვის-შვილი წაუვიდეს, რაცა შეუტანია, იგი და რაცა მოუგია, იგიცა ორივე გაყევს, სწორის სწორამდინ უმსახურებია. და თუ ძალი დიდი არა არის, არა მოსტაცოს იგი.

ანუ რა სამიწო ნასყიდი შეექმნას, ნუცა მას გაატანს.

71. თუ გლეხისა სხვას წარმოვალსა გასწიოს, ანუ მოგვაროს შინა იგი გლეხი და მისმან [ბატონმან] კელთა მისცეს იგი გლეხი, რომელსაცა გაეწიოს. ნუ[ვ]ცა გლეხი გლეხსა მკვიდრად ირჩის. [არცა] მართებს, არცა სყიდვასა იგი ღირსა.

ოდესცა მან ანუ ნასყიდმან კაცმან იშოვნოს, რაცა გამოეღოს, ანუ მკვიდრმან ბატონმან მიუბრუნოს<sup>6</sup>, აღილოს და კაცი გაუშუას.

69. <sup>1</sup> დედნის ფურცლების დაშლილობის გამო გადამწერს გადაუადგილებია ტექსტი, ჩვენ ვადგენთ თანამიმდევრობას B-ს მიხედვით. <sup>2</sup> დაუდგესცა.

70. <sup>1</sup> სხვს შვილი] სხვა შვილს. <sup>2</sup> სწორად.

71. <sup>1</sup> სყივასა. <sup>2</sup> ემართლება. <sup>3</sup> მან] + კაცმან. <sup>4</sup> ნასყიდმან] ნასყიდი. <sup>5</sup> მიუბრუნოს. <sup>6</sup> მიუბრუნოს] მიუშოროს.

A

72. თუ ვის კაცი შეეწყნაროს და თავი დაუწეროს, და მან სეფე-ქალზედა შეიხიძოს, ანუ გლეხისა<sup>1</sup> ასული მისცეს, წასვლასა<sup>2</sup> არ ემართლების. [13, v, 9]

მკვდრმან ბატონმან [თუ წაგუაროს], მისის[ა] კაცის[ა] კიდე<sup>3</sup> არცა ცოლსა ემართლების და არცა შეილთა; ვითაცა მისრულ იყოს იგი კაცი, იმითვე<sup>4</sup> გაუშუას.

თუ მისითა გულითა არ[ა] წავიდეს იგი კაცი, სამართალმან წაიყვანოს, ცოლ-ქმართ[ა] გაყრა უწყესო არს და თან[ა] გაჰყვეს, და დიაცის ფასი მიუბრუნოს პატრონს[ა].

\* თუ კაცი კაცისა ყმობასა და ერთგულად გავლენით სამსახურსა შიგან ქირ-ნახულობით ანუ დაკოდითა უქმრად გასულიყოს, დაბერებულებიყოს, საქმემან რამემან [14r] განიყვანოს, რ[ა]ითაცა შესრულიყოს, იგივე გაჰყვეს [და] მისისა ქირ-ნახულობისა მესამედი, ამაღ რომე საბრალო იქმნების და ძალისაგან დაცლილი [ზღრ. მუხ. 173].

თუ შეილნი ესხნენ, გაჰყვენ. მემამულე მას<sup>5</sup> რა[ა]ცა არ[ა] მოუტანია, ნურას ნუ მიატანს<sup>6</sup> [ზღრ. მუხ. 174].

B

72. თუ ვისმე კაცი შეეწყნაროს და თავი დაუწეროს, და მან სეფე-ქალსა ზედან სიძობით შეიწყნაროს, ანუ გლეხსა და ანუ გლეხისა ასულსა, წასვლას არას ემართლების.

და თუ მისმან მკვიდრმან ბატონმან წაგვაროს, მის კაცისაგან კიდე არც ცოლს ემართლების და არცა შეილსა; რა[ითა]ცა მისრულიყოს იგი კაცი, ეგრევე წაიყვანოს.

თუ მისითა გულითა არ წავიდეს კაცი და სანართალმან წაიყვანოს, ცოლ-ქმართა გაყრა უწყესოა და თანა გაყვეს, დიაცისა პატრონსა ფასი დაუურვოს.

და თუ კაცი კაცსა ყმობასა და ერთგულად და გავლენით სამსახურსა შინა ქირ-ნახულობით, და ანუ დაკოდით, უქმარ გასრული დაბერებულებიყოს, საქმემან რამემან<sup>7</sup> გაიყვანოს, რითაცა<sup>8</sup> შესრულიყოს, იგივე გაყვეს და მისის ქირ-ნახულისა და მონაგებისა მესამედი, ამაღ რომე საბრალო იქმნების და ძალისაგან დაცლილია.

და თუ შეილნი გაყვენ, მემამულე<sup>9</sup>, რაცა არა მოუტანია, ნურას გაატანს.

72. <sup>1</sup> გლეხსა. <sup>2</sup> წასვლასა. <sup>3</sup> კიდე. <sup>4</sup> იმითვე. \* კიდეზე გადამწერის ხელით სწერია: „ყმობა“. <sup>5</sup> მას მან. <sup>6</sup> მიატანოს. <sup>7</sup> რამენ. <sup>8</sup> რაცა. <sup>9</sup> მემამულენი.

## A

73. თუ თავ-დაუწერელმან კაც-მან შეირთოს ცოლი, [არცა] გლახსა შეესიძოს<sup>1</sup> და ანუ არცა სეფე-ქალსა, ვისცა იგი კაცი მართებს, მისი ცოლი და შვილიცა მას მართებენ<sup>2</sup>. და რაითაცა<sup>3</sup> შემოსრულა, ეგეთივე გავიდეს

74. ვისცა ერთმანეთისა ჰყვეს ანუ მკვდრი გლახი და ანუ ყმა, კიდევ სთხოოს, დაჭირვასა არას ემართლების, მსგავსიერისა<sup>1</sup> საქმითა კიდევ შეეზავოს.

თუ არ მისცეს, კიდევ წაუვიდეს და ველარ მიგუაროს, ანუ მოკუდეს, სისხლი დაუურვოს.

75. თუ კაცსა მომართებული ყმა წაუვიდეს, უმტერო კაცი დაჭირვას[ა] არ[ა] ემართლების<sup>1</sup> მისდა ნება-დაურთავად.

76. თუ გლახმა მისისა პატონის კელ-ჩაურთავად<sup>1</sup> გაყიდოს [14v] რა, მართალი არ[ა] არის: ადგილი ბატონისა<sup>2</sup> არის. მან კაცმან ფასი ამღებელსა სთხოოს.

## B

73. თუ თავ-დაუწერელმან კაც-მან შეირთოს ცოლი, არცა გლახსა ზედა ვის შეესიძოს<sup>1</sup> და არცა სეფე-ქალსა,—ვისცა იგი კაცი მართებს მკვიდრად<sup>2</sup>, მისი [267] ცოლი და შვილიცა მას მართებენ. და რითაცა<sup>3</sup> შემოსრულ[ა], ეგრეთცა წაიყვანოს და წავიდეს.

74. ვისაცა ერთმანეთისა ყმა ჰყვეს, ანუ მკვიდრი გლახი, და კიდევ სთხოვოს, დაჭირვას არას ემართლების, მსგავსიერთა საქმითა კიდევ შეეზავოს.

და<sup>2</sup> თუ არ მისცეს, მას კიდევ წაუვიდეს, და ვითარღა არა მოგვაროს, ანუ მოკვდეს, სისხლი დაუურვოს.

75. თუ კაცსა მომართებული<sup>2</sup> ყმა წაუვიდეს, უმტერო კაცს დაჭირვას არას ემართლების მის<sup>2</sup> ნება-დაურთავად.

76. თუ გლახმან მისისა პატრონის კელ-ჩაურთავად გაყიდოს რამე, ანუ დაწინდოს სამამულო, [მართალი] არა არის: ადგილი პატრონისა არის. მან კაცმან ფასი ამღებსა სთხოოს.

73. <sup>1</sup> შესიძოს. <sup>2</sup> მართებენ. <sup>3</sup> რაცა. <sup>4</sup> შესიძოს. <sup>5</sup> მკვიდრად] + და. <sup>6</sup> რამცა.

74. <sup>1</sup> მსგავსიერისა] მსგავსი ერთის. <sup>2</sup> და] + და.

75. <sup>1</sup> ემართლება. <sup>2</sup> მომართებული] მომართებელი. <sup>2</sup> მისი.

76. <sup>1</sup>. კელჩართვა. <sup>2</sup> ბტონისა.

A

B

77. ვისცა ვისი<sup>1</sup> მკვდრი ყმა ჰყვეს, გინა გლეხი, თუ მისითა ვულითა რა[ი]თაცა მისრულ იყოს, მისითა საქონლითა წავიდეს<sup>2</sup>. და ცოლ-შვილნი ჰყვენ, გაატანონ, დაქირვას[ა] არას ემართლების. თუ შვილისშვილნი წავიდენ მკვდრსა მამულსა[ს] ზედა, ნუვინ ეცილების<sup>3</sup>.

77. ვისაცა ვისი მკვიდრი ყმა ყვეს, ანუ გლეხი კაცი, მისითა ვულითა წავიდეს მისსა პატრონისასა. რითაცა<sup>12</sup> მოსულიყოს, მითვე საქონლით გაუწვას. და თუ ცოლნი და შვილნი ესხნენ<sup>13</sup>, გაიტანნეს<sup>14</sup> იგინიცა, დაქირვას არავინ ემართლების. თუ შვილი-შვილნიცა წარვიდნენ მკვიდრსა მამულსა ზედა, ნუვინ ეცილების.

[15r, 12] თუ არ ეწადოს და ბატონი სთხოვდეს, თუ<sup>4</sup> მისული ნებითა არ წავიდეს, ძალითა<sup>5</sup> ნუ წაიყვანს<sup>6</sup>. თუ არ ეთხოვნოს და არ ესარჩლოს, თხოვასა არ ემართლების, არცა ბჭობასა<sup>7</sup> შვდსა<sup>8</sup> წელიწადსა უკანით.

და თუ კაცსა არა სწადდეს, არამედ პატრონი სთხოვდეს, თუ მიცემა ძებნილიყოს<sup>15</sup> და არა ეთხოვნოს, არცა ესარჩლოს, თხოვნას აღარას ემართლების, და არცა [v] ბჭობასა შვიდსა წელიწადსა უკანით.

თუ შორს ყოფილიყოს<sup>9</sup> და არა სცოდნოდეს, [15v] პირველადვე დაწესებული ოცდაათი წელიწადი არს შეკუთილი. თუ არ უთხოვინია, ახლოს ახლო ეჯით და შორს შორით, ანასდა ნდომისათჳს არას<sup>10</sup> ემართლების<sup>11</sup>.

და [თუ] შორს მათგან<sup>16</sup> გარეთ ყოფილიყოს და მიწდომა ძნელი გვარი ყოფილიყოს, ანუ არა სცოდნოდეს, პირველვე<sup>17</sup> დაწესებული ოცდაათი წელი არის შეკუთილი. და თუ არა უთხოვინია, ახლოს ახლოთა ეჯითა, და შორს შორითა ეჯითა, ანასდათ მონდომისათვის არას ემართლების.

77. 1 ვის. 2 წავიდეს] + გააშიშვლოს (= გაუშუას). 3 ეცილების] + თუ მის მკვდრს მამულზედა წავიდეს, ნუვინ ეცილების. 4 თუ] + არ. 5 ძალითა] + და. 6 წაიყვენს. 7 ბჭობისა. 8 შვდისა. 9 ყფილიყოს. 10 არს. 11 ემართლებთა. 12 რაცა. 13 ესხნეს. 14 გაიტანეს. 15 გებნილიყოს. 16 მათგან] მათდა. 17 პირველივე.

## A

78\*, თუ დიდებულსა, გინა აზნაურსა, გინა მსახურსა<sup>1</sup>, ვისცა მომართებული ყმა ჰყვეს, კიდე წაუვიდეს, თუ რა ავი ანუ კარგი წაილოს<sup>2</sup> მან ანუ ბატონისა ანუ მეზობლისა, ვისცა წაილოს მან კაცმან, კიდევ უზლოს დაუკლებელად.

თუ მკვდრი წაუვიდეს და კიდევ რამე წაილოს, თუ რომე<sup>3</sup> მისი დედა-წული შინ დარჩომილ იყოს და ქონდეს რამე, მათ უზლონ.

და თუ არ დარჩეს, მისსა ბატონსა არას ემართლების, ამისთვს რომე მისის[ა] ბატონის[ა] სიმართლითა თუ შვილნი მისცემოდენ მას ქუეშე; თუ არ მისცემოდენ, — უზიაროა<sup>4</sup>.

79\*. თუ კაცმან კაცი იქირავოს მისთვს მისითა გულითა, მას შიგან იგი კაცი მოკუდეს, არ[ა]ვინ ემართლების ქირის მეტსა.

ამავე წესითა საჯედრისა იყოს.

[16r] თუ ბორჯალსა გარდაცდეს, ანუ შორს წაიყვანოს

## B

78. თუ დიდებულსა, გინა აზნაურსა, გინა მსახურსა და ვისცა მომართებული ყმა ყვეს და კიდე წაუვიდეს, თუ რა<sup>5</sup> ვის მან წაულოს, ანუ მისსა პატრონსა, ანუ ამხანაგსა, ანუ მეზობელსა, და ამათვისცა<sup>6</sup> უზლოს მან, ვის ჰყოლია, დაუკლებლად, რაცა წაელოს.

და თუ მკვიდრი წაუვიდეს<sup>7</sup> და მან ვისმე რამე წაულოს, თუ რა მისი დედა-წული შინა დარჩეს და ქონდეს რამე, მან უზლოს.

და თუ არა დარჩეს რა, მისსა პატრონსა არა რას ემართლების, ამად რომე მკვიდრისა კაცისა უზიაროა<sup>8</sup>.

მკვიდრი ასეთი იქნების, მამამის მის კაცისა ყმა ყოფილიყოს და შვილი მისა ქვეშე<sup>9</sup> მისცემოდეს.

79. თუ კაცმან კაცი დაიქირავოს რა გინდა რასაქმისათვის, მისითა გულითა ექირავოს და მას შიგან მოკვდეს, არავინ რას ემართლების ქირისაგან მეტსა.

ამავე წესითა საჯედრისა იყოს.

და თუ ანუ ბორჯალს გარდაცდეს, ანუ უშორე წაიყვანოს,

78. \* კიდევ გადაწერის ხელით სწერია: „ყმის წასვლა“. 1 მსახურისა. 2 წალოს. 3 რამე. 4 უზაროა. 5 თუ რა] თუ არა. 6 და ამათვისცა] დაამართვისცა 7 წაუვიდეს. 8 უზაროა. 9 ქვეშ.

79. \* კიდევ გადაწერის ხელით სწერია: „ჯ[ა]მაგირის ყმა“.



A

რაზომცა, ანუ შეკუეთილის[ა]-  
გან უფროსი აჰკიდოს, თუ მო-  
კუდეს, უზლოს.

80\*. თუ კაცმან კაცისა მიმავა-  
ლი კაცი იხუთოს, უმტერო  
კაცი ხოლო ამას არ ემართლე-  
ბის; რაცა წყენა და ნაცვალი  
მისი და საკლისი მოუგოს<sup>1</sup>,  
ყველას ემართლების. და მის კა-  
ცისა წანაღებისა<sup>2</sup> დაურვებასა  
ემართლების უკლებლად.

81\*. დიაცსა თუ ქმარი მოუკუ-  
დეს და შვილი არ დარჩეს, ზი-  
თევი თანა გაჰყვეს უკლებლად.

თუ დედაკაცი მოკუდეს უშვი-  
ლოდ, [ზითევი] მისსა სამშობლო-  
სა მართებს დაუკლებლად.

თუ შვილოსანი დაქერივდეს,  
აბჯარი შვილსა მართებს და  
საქონელი—დიაცსა, სადა გინდა  
იყოს.

სამამულოცა<sup>1</sup> ასე, რომე ნუ  
რას გაჰყიდის<sup>2</sup> და ნუცა<sup>3</sup> რას  
გასცემს.

თუ მონასტერსა<sup>4</sup> შესწიროს,  
შვილნი ნურას ეცილებიან [ჟღრ.  
ჰუბ. 175].

B

ანუ შეკვეთილისაგან კიდე მეტი  
აკი[263]დოს, თუ მოკედეს, უზ-  
ლოს.

80. თუ კაცისასა მინავალი  
ანუ ვისგანმე გაგზავნილი კაცი  
დაიხუთოს კაცმან, უმტერო კაცი  
კაცსა არას ემმართლების, და  
რაცა წყენა და ნაცვალი მისი  
და საკლისი მოიგონოს, ყველას  
ემართლების; და მის კაცის წანა-  
ღებისა დაურვებას ემართლების  
დაუკლებლად.

81. დიაცსა თუ ღრნეთი შე-  
რისხდეს, დაქერივდეს და შვი-  
ლი არა ედგას, მისი ზითევი  
თანა<sup>5</sup> გაყვეს დაუკლებლად.

და თუ დიაცი მოკედეს, [ზი-  
თევი] მისა სამშობლოსა მართებს  
აგრევე დაუკლებლად.

შვილოსანი დაქერივდეს, აბჯა-  
რი შვილთა მართებს, სასაქონ-  
ლო—დიაცსა, სადა გინდა იყოს,  
ანუ ქმარი შეირთოს, ანუ თავის-  
წინა სადმე იყოს.

სამამულეცა ასრე, რომე ნუცა  
რას გაუყიდის, ნუცა რას გაუ-  
ცემს.

ესე ეგების, რომე<sup>6</sup> მონასტერ-  
თა შიგა შესწიროს, და მას  
შვილნი ნუ ეცილებიან.

80. \* კიდეზე გადამწერის ხელით სწერია: „კაცის ხუთვა“. <sup>1</sup> მოუგოს = მოა-  
გოს = მიაგოს? <sup>2</sup> წანაღებიცა.

81. \* კიდეზე გადამწერის ხელით სწერია: „ქერივისათვის“. <sup>1</sup> სამამულოცა|  
სამამულო დიაცსა. <sup>2</sup> გაყიდის. <sup>3</sup> ნურცა. <sup>4</sup> მონატერს. <sup>5</sup> მისი ზითევი თანა| მისის  
ზითევითა. <sup>6</sup> რომე| + შვილთა.

## A

82. გლებთა ასრე იქმნას: თუ დიაცი უშვილო მოკუდეს, ზითევის ნახევარი—მისსა სულსა, და ნახევარი სამშ[16v]ობლოსა მართებს.

თუ ქალი დარჩეს, ვინცა გაზარდოს, მან გაათხოოს და მას გაატანოს.

თუ ვაჟი დარჩეს, აბჯარი ვაჟისა და სასაქონლო ქალისა არის.

83\*. თუ კაცსა კაცისა<sup>1</sup> თეთრი ემართოს საეახშედ, ანუ მამულსა შიგან დგეს საწინდრად, სამსა წელიწადსა ოცისა<sup>2</sup> თავსა<sup>3</sup> თითო თეთრი დააკლდეს, რაჟამცა მემამულე გარდაიწდიდეს. ვითაცა ალაგი უკლებელად ეკამოს, შუათა დახედონ და აგრე დააკლონ.

თუ მემამულე<sup>4</sup> გარდახეწილი იყოს და ვერლა<sup>4</sup> ეკამოს, მოსლემდის არა<sup>5</sup> მართებს, რომე მას, გლახ<sup>6</sup>, ღარიბობას უარი<sup>7</sup> უმანულოს[ა] საბრალოდ. ორთავე უჯობს: მიმცემელსა უსუბუქდების და გამომღებელსა ანგარებად<sup>8</sup> არ შერეაცხების წინაშე ღმრთისა.

და ოცისა თავს<sup>9</sup> კაცსა ყოვლგნივ სთხოვს.

## B

82. გლებთა ესე ქნან: ყოფილაცა, რომე, თუ დიაცი უშვილო მოკუდეს, ზითევი ნახევარსულისა საურავად გაუშვან და ნახევარილა სამშობლოს მართებს.

და თუ ქალი დარჩეს, მან მართებს, აქვნდეს; ვინცა გაზარდოს და გაათხოოს, მას მართებს და აქვნდეს და მას<sup>1</sup> გაატანოს.

და თუ ვაჟიცა დარჩეს, აბჯარი—ვაჟსა, და საქონელი—ქალსავე.

83. თუ კაცსა კაცისა თეთრი მართებდეს საეახშედ, ანუ მამულსა შიგა დგეს საწინდრად, და სამს წელიწადს უკანით ოცისა თა[v]ესა თვითო თეთრი დააკლდეს, რაჟამცა მემამულე<sup>4</sup> გარდაიწდიდეს, და ვითაცა ექმეინოს და შუათა<sup>11</sup> დაჰხედნეს, და აგრე დააკლონ.

თუ მემამულე გარდახეწილი იყოს და ვერლარა ეკამოს, მოსლემდის არას ემართლებს, ამად რომე მას, გლახ<sup>12</sup>, ღარიბობასა უვლია უმამულოსა საბრალოდ. ორთავე უჯობთ: მიმცემელსა აუსუბუქდების, გამომღებელსა ანგარებად<sup>13</sup> არა შერეაცხების<sup>14</sup> წინაშე ღმრთისა<sup>15</sup>.

და კაცთა ვალსა<sup>16</sup>, და გინდა გარდაეკიდოს კაცი კაცსა, ყოვლგნით სთხოვს.

82. <sup>1</sup> მას მან.

83. \* კიდებე გადამწერის ხელით სწერია: „ვალისა“. <sup>1</sup> კაცის. <sup>2</sup> ოცისა| კაცი. <sup>3</sup> თავს. <sup>4</sup> მემამული. <sup>4</sup> ვერლა| ველარ. <sup>5</sup> არ| ასე. <sup>6</sup> გლახ| გლებს. <sup>7</sup> უარი| უვარა. <sup>8</sup> ანგარებად| ანგარად. <sup>9</sup> ოცისა თავს| კაცთა მას. <sup>10</sup> რაჟამცა მემამულე| რაჟამცა მოვალე. <sup>11</sup> შუათა. <sup>12</sup> გლახა. <sup>13</sup> გამომღებელსა ანგარებად| გამომღებელი ანგარად. <sup>14</sup> არა შერეაცხების| არა შერიუხის. <sup>15</sup> ღმრთისა| პირისა. <sup>16</sup> ვლისა.

A

84. თუ პატრონ-ყმათა<sup>1</sup> შუა თუ რა საპატრონყმო სამღერავი და საცილობელი შემოვიდეს<sup>2</sup>, მართლად უთნევეართა ბჭობითა შეიწყუნენ [17r] და მოეზავენენ, არა საკვრველია, ამად რომე კაცთა და ქუეყანისა შემოქმედსაცა ეზომ უნდოსა აღანიანსა შუა დასახულნი მოძღუარნი და მეცნიერნი კაცნი შეაზავებენ. არის გაჩენილი დიდთა და მცირეთა<sup>3</sup> შუა ბრჭობა და მოწყობისა თხოვა.

85. თუ კაცსა კაცისადა<sup>1</sup> პატრონის კარგად ყოლისა და საურვეებისათჳს ქრთამი მიეცეს რამე, გინა მამული, და იმ[ას] კაცსა გამოუაროს რამე, იგი მიცემული უაღალოს, თხოვასა ზრა<sup>2</sup> ემართლების; ფიცი უღონიოდ უნდა, რომე მას საქრთამოსა შოებისათჳს პატრონი მას კიდევ[ა] არ შეეებზლოს.

და ვერ ფიცოს, განაღამცა ჳელთ[ა] მისცეს და კიდევ[ა] ემღეროდეს.

B

84. პატრონთა<sup>1</sup> ყმათა წელთუ რა საბატონყმო სამღერავი და საცილობელი შემოვიდეს. მართლითა და უთნევეართა შუათათა<sup>2</sup>, ბრჭობით ნოწყუნენ<sup>3</sup>, მოეზავენენ<sup>4</sup>, არა საკვირველია, ამად რომე ცათა და ქვეყანისა შემოქმედსაცა<sup>5</sup> ეზომ<sup>6</sup> უნდოსა აღანიანსა შუა დასახულნი მოძღუარნი და მეცნიერნი კაცი შეაზავებენ. და არს გაჩენილი დიდთა და მცირეთა შუა ბჭობა და მოწყალებისა<sup>10</sup> თხოვნა.

85. თუ კაცს კაცისადა ან პატრონისა კარგად ყოლისა და საურავისათვის ქრთამად მიეცეს<sup>3</sup> რამე, გინა სამამულო და გინა სასაქონლო, და ნას კიდე რომელმანმე გამოაროს(?) იგი შინაცემელი, თხოვასა და წაღებასა არას ემართლების. ფიცი უღონიოდ<sup>4</sup> წესია ამისი, რომე მისსა [269] საქრთამოსა შოებისათვის პატრონი კიდევცა მასვე არა შეეებზლოს.

და თუ ვერ ფიცოს, განაღამცა ჳელთა მისცეს და კიდევცა ემღეროდეს ნართლად.

84. <sup>1</sup> პატრონ-ყმათა] პატრონს ყმათა. <sup>2</sup> შემოვიდეს. <sup>3</sup> მცირეთა] მეცნიერთა. <sup>4</sup> პატრონსა. <sup>5</sup> შუათათა] შუათა თუ. <sup>6</sup> მოეწყუნენ] მოვიყვანენ. <sup>7</sup> მოიზავენენ. <sup>8</sup> შემოქმედისაცა და. <sup>9</sup> ეზომი. <sup>10</sup> მოწყალებისა.

85. <sup>1</sup> კაცისადა] კაცის. <sup>2</sup> თხოვასა არა] თუხო ასრე <sup>3</sup> მისცეს. <sup>4</sup> უღონოდ.

## A

86<sup>ა</sup>. თუ კაცმან კაცსა ნაპარევი დასწამოს და მართალი არ იცოდეს, ავსა და უწესოს იქს. ანუ დასტურის მაგიერ თავსა სასამართლობლად შეფიცოს, არა საკვრველია და თავი იმართლოს.

თუ არცაღა ფიცი დაეჯეროს, არცა მოწამეს[ა] უყუროს, გასაჯოს<sup>1</sup>, წარმართმელად<sup>2</sup> უბანთა ზედა გააქიქოს, მერმე[ვ] წაქდომილი სხუაგან აჩნდეს, წანაღები მისცეს და იმ წაქდომილისა ზომა სხუა, ამაღ რომე ის კაცი უბრალო გასაჯა და გააწბილა.

87<sup>ა</sup>. თუ კაცმან კაცის[ა] ამანათი შეივედროს, რა გინდა რა ფერი იყოს, და მისმან მოსაქმემან<sup>1</sup> წაუღოს, საქონელი პატრონისა არს<sup>2</sup>. მას სთხოოს, ვისთვს შეუვედრებია. თუ იგივე უშოოს, იგივე[ე] მისცეს, თუ არა და წისის[ა] სახლისაგან მისცეს დაუკლებელად.

88. თუ კაცმან კაცსა<sup>1</sup> დაქირების[ა] ჟამსა საქონელი სთხოოს, განალამცა მისცა<sup>2</sup>, მერმე უკა-

## B

86. თუ კაცმან ნაპარევი რამე დასწამოს კაცსა, დასტური არა იცოდეს, ავსა და უწესოს იქს და ნუ სურის, მაგრა თავის სამართ[ლ]ებლად თუ შეფიცოს, არა საკვირველია და თავი იმართლოს.

მაგრა თუ არც ფიცი დაუჯეროს<sup>3</sup> და არცა მოწამესა უყუროს, გასაჯოს და წამოუღლოს, და უბანთა ზედა გააქიქოს, და მერმე სხვაგან გამოჩნდეს იგი წარქდომილი, მას კაცსა იგი წაღებული მისცეს და, რაცა დაეწამოს, ეგზომი ერთი სხვა თავისი მისცეს, ამაღ რომე უდასტუროდ დასწამა და უბრალო გააწბილა.

87. თუ კაცმან კაცსა ამანათი შეივედროს, რა გინდა რა ფერი, და მისმან მოსაქმემან კაცმან კიდე წაუღოს, საქონლისა პატრონი წამღებს არა<sup>3</sup> ემართლების თხოვას, მას სთხოვოს, ვისდა შეუვედრებია, ანუ მისგან უშოვნოს, ანუ უზლოს დაუკლებლად.

88. თუ კაცმან კაცს რა გინდა რა ამანათი შეივედროს, დაქირებისა ჟამსა სთხოოს, განალამცა

86. \* კიდეზე გადამწერის ხელით სწერია: „შეწამება პარვისა“<sup>1</sup> გასაჯოს.

<sup>2</sup> წარმართმელად წარმართულად. <sup>3</sup> დაუჯეროს დაუშრავოს.

87. \* კიდეზე გადამწერის ხელით სწერია: „ამანათი“<sup>1</sup> მოსქმემან. <sup>2</sup> არის.  
<sup>3</sup> არას.

88. <sup>1</sup> კაცისა. <sup>2</sup> მისცა მისცეს.

A

ნის სამდურაფისათჳს დახუთვასა არას ემართლების.

თუ დაიჭიროს და არ მისცეს, როდისცა სასამართლოდ შეიყარნენ, ერთისათჳს ორი უზღოს.

89. თუ კაცნან კაცსა პაემანით საჯედარი რამე მიჰყიდოს და პაემანს[ა] შიგნით ზიანი რამე გამოჩნდეს, მოშლასა ემართლების უცილებელად,<sup>1</sup> სამომშლელოს<sup>2</sup> არ[ა] ემართლების გამსყიდველსა<sup>3</sup>.

თუ გარეთ მოეშალოს, ათის თავს ერთი [18r] სამომშლელო მისცეს.

თუ დიდსა ხანსა ჰყოლოდეს, ეჭედნოს, ავად გაჯადოს, კაცთა შეტყუებითა იგიცა შეეზღოს.

და [თუ] სასაქონლო<sup>4</sup> იყოს, მისიცა აგრე იქნას.

ესე პკობა პაემანს გარეთ<sup>5</sup> ერთისა პაემნისა ოდენი ხანი სხუა გამოსრულ იყოს, მანამდის მოიჯმარების<sup>6</sup> და მას გარეთ ნულარაჲ მიერჩის.

B

მისცეს<sup>3</sup>, სამდურაფისათვის დაჰკირვას, დახუთვას არას ემართლების.

თუ დაუჭიროს, როსცა სასამართლოდ [v] შეიყარნენ, ერთისათვის ორი დაუურვოს, ამაღ რომე დაჰკირების ჟამსა მისი საქონელი აღარად მოგმარებია და ზიანი სცემია.

89. თუ კაცმან კაცსა პაემანითა საჯედარი რამე მიყიდოს, პაემანსა შიგნით ზნე რამე გამოაჩნდეს, მოშლას ემართლების უცილებლად, უსამშლელოდ<sup>7</sup>.

თუ გარეთ მოეშალოს, ათის თავი მისია, სამშლელოდ მისცეს.

თუ<sup>8</sup> დიდსა ხანსა ყოლოდეს, ეჭედნოს და ავად<sup>9</sup> გაეჯადოს. კაცთა შეტყუებითა იგიცა კიდე შეუზღოს.

და თუ უსულო სასაქონლო რამე მისცეს, ასე იქნას.

ეს ბკობა პაემანსა<sup>10</sup> გარეთ. ერთი პაემნის ოდენი გამოსრულიყოს, მანამღი მოიჯმარების, მას გარეთ ნულარ მიერჩის.

<sup>3</sup> მისცეს] მისიცა არს.

89. <sup>1</sup> უცილებლად. <sup>2</sup> სამომშლელოს] სამოსამშლელოს. <sup>3</sup> გამსყიდველსა. <sup>4</sup> სასაქონლო] უსაქონლო. <sup>5</sup> გრეთ. <sup>6</sup> მოიჯმარების] მოეკმარბის. <sup>7</sup> უსამშლელოდ] უსამშლელოდ. <sup>8</sup> თუ] თუთუ. <sup>9</sup> ავად] ავლად. <sup>10</sup> პაემანსა] პეემანსა.

## A

90. ესე წმიდათა მამათა სიტყუა არს<sup>1</sup>, თუ: სიხარბე გონებითაცა მხედველობისა ჩალ არს და ყოველი ავი საქმე, ღმრთისა და კაცთა გამარისხებელი<sup>2</sup> მას ზედა დამოეკიდების<sup>3</sup>. გულის სიხარბითა სარჩელსა ნუ დაუმტკიცებს ბრკე.

თუ ბრკეთა ქრთამისა აღება განდეს, იგი ნაბრკობი ცუდია, და მას ბქესა სიავისა<sup>4</sup> ველნი დაესხნენ, და იგი კაცნი ახლად გაიბრკვნენ<sup>5</sup>.

91. თუ ომშიგან ველთ[ა] დარჩენილისა<sup>1</sup> კაცისა აბჯარსა ზედა<sup>2</sup> იცილებოდენ<sup>3</sup> და რომლისაცა უწინ ნაკრავი აჩნდეს, ანუ ცხენს[ა], წინათ მკრველი ემართლებს, და იგი დარჩენილი კაცი ვიციით გაიკითხონ<sup>4</sup> და მან როგორცა უმო[ვ]წმოს<sup>5</sup>, დასჯერდენ.

92<sup>6</sup>. თუ კაცმან კაცისა დაკარგული პოოს, პირუტყვ თუ საქონელი, რაჟამს სორახი ესმას, გამოაჩინოს მანცა, ველ-

## B

90. ესე სიტყუა წმიდათა მამათა არს, თუ: სიხარბე ბუნებით მხედველობისა კაპი<sup>6</sup> არისო და ყოველი ავი ღეთისა და კაცთა განმარისხებელი საქმე მას ზედა ჩამოეკიდებული არისო<sup>7</sup>. სიხარბით სარჩელსა ნუ დაუმტკიცებს ბრკე კაცსა.

და, თუ ბქისაგან ქრთამისა აღება გამოჩნდეს, იგი ნაბრკობი ტყუილი იყოს, და მას ბქესა სიავისა<sup>7</sup> ველნი დაესხნენ და, ოდესცა გამოჩნდეს, იგი კაცნი ახლად გაიბრკვნენ.

91. თუ ომსა შიგან ველთა დარჩენილსა კაცსა და მისსა აბჯარსა ზედა იცილებოდენ. რასაცა აბჯარსა ზედა, რომლისა ნაკრავი აჩნდეს, და ანუ ცხენსა, მას მართებს, ასრე რომე იგი დარჩომილი კაციცა [270] გაიკითხონ ფიცითა, მანცა როგორცა უმოწმოს; სხვა იყოს. მეორესა კაცსა მართებს უცილოდ.

92. თუ კაცმან კაცსა დაკარგული რანე უპოვნოს, პირუტყვი იყოს თუ საქონელი, რაჟამს ურუხი ესმას, გამოუჩინოს და

\* უნდა იგულისხმებოდეს 2 პეტრე 2,14.

90. <sup>1</sup> არის. <sup>2</sup> გამარისხებელი. <sup>3</sup> დამოეკიდების) მოკუდეს. <sup>4</sup> სიავისა) სიავის. <sup>5</sup> გაიბრკუნ. <sup>6</sup> კაპი) კაპი. <sup>7</sup> სიავისა.

91. <sup>1</sup> დარჩენილსა <sup>2</sup> აბჯარსა ზედა) აბჯარზე. <sup>3</sup> იცილებოდეს. <sup>4</sup> ვიკითხონ <sup>5</sup> უმოწმონ.

92. \* კიდებე გადამწერის ხელით სწერია: „პოვნისა“.

A

B

თავე მისცეს და მგზავსიერი სა-  
პოვარი<sup>2</sup> აიღოს და ჯელთა მის-  
ცეს.

თუ მაშინვე [არ] გამოაჩინოს,  
საპოვნელი აღარა მართებს რა,  
რომე მპარაობისა საქმისა მსგავ-  
სია.

თუ პირუტყვ იყოს და დაენჭ-  
ლოს, და თუ საქონელი<sup>3</sup> იყოს  
და გაეცვოს, გაეჭირაოს, შუა-  
თა დახედვითა იგიცა უზლოს.

თუ ლაშქარ[თა] შიგან პოოს,  
საპოვნელი არ უნდა.

და ესე კარგა მონახონ, თუ  
მთხრობელი, მპოვნელი და მე-  
კობრე ერთად არ იყოს, ანუ  
მან დამკარგავმან მართლად ვერ  
დასწამოს.

93\*. თუ კაცმან კაცისაგან  
პური აიღოს, დაჭირების[ა]თვს  
დიდი სარგებელი შეუკუეთოს  
მიმცემელმან<sup>1</sup>, [19r] ნუ ქნას  
ღმერთმან, ორისათვს სამი კმა  
არს.

თუ არა, როდესცალა სა-  
ბრკოდ<sup>2</sup> შეიყარნენ, რაცა მის  
მეტი აელოს, გარევე შეუქციოს;

ჯელთა მისცეს, და მსგავსიერი  
საპოვნელა მისცეს და დასჯერ-  
დეს.

და თუ მაშინ არ გამოუჩი-  
ნოს, დამალოს და უკანისლა  
გამოჩნდეს, საპოვნელო რამე  
აღარა მართებს, ამად რომე  
მპარაობისა რამე მაგიერი საქმე  
იქნების, ჯელთა მისცეს.

თუ პირუტყვი დაემქლოს და  
გაეცუდოს, და თუ სასაქონლო  
იყოს, გაეცვიტოს და გაეჭი-  
რაოს,—კაცთა [და]ხედვითა იგი-  
ცა უზლოს უსიტყოდ.

და თუ ლაშქართა შიგა გარ-  
დაეკიდოს, საპოვნელო არა  
მართებს.

ეს კარგად მონახონ: მთხრო-  
ბელი, [მპოვნელი], მეკობრე  
ერთად არ<sup>4</sup> იყოს, ანუ მან  
დამკარგავმან მრუდი არა დასწა-  
მოს რა.

93. თუ კაცმან კაცისაგან პუ-  
რი ივალოს და დაჭირებისათვის  
დიდი სარგებელი შეუკუეთოს  
მიმცემელმან, ნუ იყოფინ, ორი-  
სათვის სამი კმა[ა].

თუ არა<sup>3</sup>, ოდესცალა საბ-  
კოდ შეიყარნენ; ამის მეტი  
აელოს, გარე შეუქციოს: რა-

<sup>2</sup> საპოვარი] საპარი. <sup>3</sup> და თუ საქონელი] და უსაქონლო. <sup>4</sup> არ] რა.

93. \* კიდევუ გადამწერის ხელით სწერია: „პურის ვალი“. <sup>1</sup> მიმცემელ-  
მან] + თუ. <sup>2</sup> საბრკოთ. <sup>3</sup> თუ არა] თუ არ.

## A

რბ გინდ ნიშანი ჰქონდეს, არა მოეგმაროს, ამად რომე ანგარება<sup>1</sup> არს უფროსი ცოდვაა\*, დაწერეს სჯულის მოძღუართა წმიდათა კაცთა.

94\*\*. თუ კაცმან კაცისაგან თეთრი აიღოს სასარგებლოდ, ათასისაგან ესრეთ<sup>1</sup> მისცენ: ათას ორასსა დასჯერდენ საწელიწდოსა შინა. ამავე წესითა ანგარიში<sup>2</sup> უმცროს-უფროსი იყოს.

და ნუცა ვახშის ვახშსა ექსენების: თავი მასვე ოდენ იმატებდეს, რა გინდა ხანი დაეყოს.

აგრევე დიდი მიწა[ღ] ცოტასა საქონლითა ნუ დაიწინდვის, თუ არუ<sup>3</sup> იგივე ვახშისა სიდიდე იქნების, განმარისხებელი<sup>4</sup> ღმრთისა.

95. თუ კაცსა<sup>1</sup> თეთრი ანუ ვეცხლი წიგნითა აეღოს, იგი დაპირება თუ არა [იყო], ოდესცალა გარდაიწადეს, მის დღისა შარვანისა<sup>2</sup> თეთრის მიზეზი ნუ იკადრების. [V] თუ ვახში ექმნოს, ასრე იქნას.

თუ უვახშოდ ჰქონებოდეს, როგორაცა მიეცეს, აგრევე დაუურვოს.

არს რომელიმე თემი და ქუეყანა[ღ], რომე სამამულოსა რასაცა გაჰყიდიან. აფასებენ<sup>3</sup>, ნახე-

## B

ნიშანი ქონდეს<sup>5</sup>, არად მოეგმაროს, ამად რომე ანგარება თავად ცოდვად\* წერეს სჯულის მოძღუართა კაცთა წმიდათა.

94. თუ კაცმან თეთრი აეღოს სასარგებლოდ, ათასისათვის ათას ორასს[ს] [V] დასჯერდეს წელიწადსა შიგა; და ამავე ანგარიშითა უმცროს-უფროსი იყოს.

ნუცა ვახშის ვახში იქსენების: თავი მასვე ოდენ იმატებდეს, რა გინდა ხანი დაეყოს.

აგრევე დიდსა მიწასა ცოტათა საქონლითა ნუ დაიწინდავს, თვარა. იგი ვახშის სიდიდე იქნების და განმარისხებელი ღმრთისა.

95. თუ კაცს თეთრი წიგნითა [ანუ] ვეცხლი აწონით ევალოს, იგი დაპირება თუ არა [იყო], ოდესცალა გარდაიწადოს<sup>4</sup>, მის დღის შარვანისა თეთრისა მიზეზი ნუ იკადრების. თუ ვახში ექმენოს, ასრე იქნას.

თუ უვახშოდ ჰქონებოდეს, როგორაცა მიეცეს, აგეთივე დაუურვოს.

არის რამე ასეთი თემი და ქვეყანა, რომე სამამულოსა რასაცა გაყიდიან და დააფასებენ,

\* აღბათ იგულისხმება ლუკა 12,15.

<sup>1</sup> ანგარობა. <sup>2</sup> ქუენდეს.

94. \*\* კიდევ გადაწერის ბელით სწერია: „თეთრის ვალი“. <sup>1</sup> ესრეთ[ერით] <sup>2</sup> ანგარიში] ანგარიშითა. <sup>3</sup> თურე. <sup>4</sup> განმარისხებელი] განრისხებული.

95. <sup>1</sup> თუ კაცსა] + თუ. <sup>2</sup> შარვანის. <sup>3</sup> აფასებენ] აავსებენ <sup>4</sup> გარდაიკადეს.



A

B

ვარსა ჩამოუშვებენ, ანად რომე ბატონისა<sup>5</sup> საზღავსა ზედა შეაგდებს, და მართალია<sup>6</sup> და, ვინცა იქმის ასე, უპრიანეა: სამოყალნო მამულიცა არ დაშავდეს და ქუეყანა[ა]ცა არ ამოსწყდების.

ნახევარსა ფასსა ჩამოუშვებენ, ამად რომე პატრონისა საზღავსა<sup>7</sup> ზედა შეაგდებენ, მართალი არის და, ვინც იქს ასრე, უპრიანეა: სამოყალნო<sup>8</sup> მამულიცა არა დაშავდების და ქვეყანაცა არა ამოსწყდების<sup>9</sup>.

96. თუ ვაქარმან ვაქარი მოკლას, საპატიოს[ა] კაცისა თორმეტი ათასი თეთრი არს, ასე რომე პატრონთა კარგად ჰყვეს პატივით.

96. თუ ვაქარი ზოკლას ვაქარმან, თუ სხვამან ვინგინდამ. საპატიოსა ვაქრისა თორმეტი ათასი თეთრი იყოს ასეთისა<sup>1</sup>, რომე პატრონთა კარგად და საპატიოთ ყვეს და საქმის მწენლად.

და მას ქუეშეთსა, რომე გზით მოვიდეს, ბატონთა ნახვა და ძღუნის მიღება შეეძლოს და ღირს იყოს, მისი ექუსი ათასი თეთრი იყოს.

და მას ქვეშეთისა, რომე გზით მოვიდეს და პატრონთა ნახვისა და ძღუნისა მიღებასა ღირს იყოს, მისი ექუსი ათასი თეთრი იყოს.

და თეთრი<sup>1</sup>—ვითარცა ზემოთ სწერია.

და თეთრი—ვითაცა ზემო სწერია.

97. თუ ვაქარი კაცი, გზას მიმავალი ანუ მომავალი, უსაქმომან კაცმან<sup>1</sup> საქონლის ნდომისათვის<sup>2</sup> გაძარცოს, [20r] თუ სამართალმან შეყარნეს, რაცა მას დღეს[ა] წანაღებია, იგი<sup>3</sup> დაი-

97. თუ ვაქარსა, გზას მიმავალსა ან მომავალსა<sup>1</sup>, საქონლის ნდომისათვის [271] კაცი დახვდეს და გაძარცოს<sup>2</sup> და სასამართლოდ შევიდნენ, რაცა მის დღის წანაღები ვაქარ-

<sup>5</sup> ბატონსა. <sup>6</sup> მართალია) ამართლნა. <sup>7</sup> საზღავსა) სამზღვარსა. <sup>8</sup> სამოყალნო) საყუარელნო. <sup>9</sup> ამოსწყდების.

96. <sup>1</sup> კიდებე გადაწყურის ხელით სწერია: „ვაქრის სიკუდილი“. <sup>2</sup> თეთრი) ერთი. <sup>3</sup> ასეთისა) ასეთათა.

97. <sup>1</sup> კაცმან) + მოკლას. <sup>2</sup> ნდომისათვის) + მოკლას. <sup>3</sup> იგი) იგიცა. <sup>4</sup> მიმავალსა. <sup>5</sup> გაძარცოს) + ანუ მოკლან.

## A

ფიცოს ვაქარმან, მან კაცმან<sup>6</sup> ორად შეეცოს, შეზლოს ერთი ორად, თუ არ დაკოდილა.

და თუ დაკოდილი და საგერ-შო[დ] ჰქონდეს და უპატიობა[დ], როგორაცა ზემოთ სწერია, მით წესითა დაიურვოს.

თუ გაძარცოს და შიგან კიდეცა მოეკლას<sup>7</sup> ვაქარივე, ორკეცი სისხლი შეზლოს და ორკეცი საქონელი.

როგორაცა ზემო-ქუემო[ო]ბით სწერია, მით წესითა ირიგოს. [15 r, 5]. [იხ. მუხ. 96].

98. [15 r, 5] თუ დარბაზის<sup>1</sup> კაცი ყმას[ა] მცირე სისხლით კაცი ჰყვეს, მიესარჩლოს, გაუშუებლობას არ ემართლების; რაცა შეუტანია, იგი და, რაცა მოუგია, მისი ნახევარი გაჰყვეს სამამულესა იქით.

## B

მან დაიფიცოს, ორად შეეცოს და მან კაცმან ეგრე უზლოს.

და თუ დაკოდილითა საგერშო აჩნდეს და უპატიობა, როგორც ზემოთ სწერია, მითვე წესითა დააურვოს.

დნ თუ გაცარცვასა შიგან კიდეცა მოკლას ვაქარივე, ორკეცი სისხლი უზლოს და საქონელი აგრევე სრულად.

სისხლი, როგორც ზემო-ქვემო[ო]ბით სწერია, მით წესით დაუურვოს.

98. თუ დარბაზის კაცსა სისხლ-მცირე<sup>2</sup> კაცი ყვეს და წავიდეს, მისარჩელასა<sup>3</sup> და გაუშვებლებასა<sup>4</sup> არა ემართლების; რაცა შეუტანია, იგი და, რაცა მოუგია, მისი ნახევარი გაყვეს სამამულოსა აქაით<sup>5</sup>.

<sup>6</sup> მან კაცმან იგი მომკლველმან. <sup>7</sup> მოეკლას + ვაქარსა.

98. <sup>1</sup> დარბაზს. <sup>2</sup> სისხლ-მცირე სისხლი მცირედ. <sup>3</sup> მისარჩელსა. <sup>4</sup> გაუშვებლებასა | გაშვებულებასა. <sup>5</sup> აქაით | აქათისა.

## B

### ბაგრატ კურაპალატიის სამართალი \*

სახელითა ღმრთისაჲთა დაიწყების საღმრთოჲსა გაჩენილი და გასაჩენელი. პირველად დავითიან ბაგრატ კურაპალატიისა<sup>1</sup> და აღმაშენებელთა მეფეთ-მეფეთა სქრქმანებითა და მერმე ებისკოპოზთა, დიდებულთა და აზნაურთა და ქუეიანთა კაცთა მეფეთა წინაშე ერთბაჲად გაჩენილი განგებითა ღმრთისაჲთა.

99. ვინცა საბჭოდ სჯდებოდეთ და მართსა საჩივარსა წართლად მოივსენებდეთ, თქუენთა გულთა შიგან ღმრთის შიში უნდა დაიქროთ და არავეის სთნიოთ—არა მამასა და დედასა, არა პატრონსა, არა ძმათა და მეყვსთა, არას ქრთამის ქადებისათვს, არად არა! მართალი სამართალი უნდა გააჩინოთ!

[v] 100. ვინცა მოძღუარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ანუ<sup>1</sup> კარგი დიდ-ვაჰარი, ანუ<sup>1</sup> კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, აგეთი კაცი იყოს, ის დასვი ბქედ, ჰკუიანი ჩენების, და კარგად ეცოდინების ბქობაჲ და უსამართლოს არას იტყვს.

101. თუ ებისკოპოზმან მეფესა შესცოდოს, მეფისაგან კელად ნეპყრობაჲ არა ეგების, ამად რომე მისდა მუქათად სასჯელისა დამამტკიცებელი არს შეხუეწაჲ. შეკაზმაჲ მართებს ებისკოპოზსა ნეთისაჲ.

102. თუ მეფე<sup>1</sup> ებისკოპოზსა გაუწყრეს,—გინა<sup>2</sup> უსამართლოდ, გინა<sup>2</sup> სამართლითა,—კელთა შეპყრობაჲ<sup>3</sup> არცა<sup>4</sup> მაშინ მოვდების, ამისთვს რომე მეორე მეფე ებისკოპოზი არს და ქრისტიანეთა სჯულისა დამამტკიცებელი, და რაჲცა მეფესა სჯულისა საქმე აქუს, აგრე შეიწყნარენ<sup>5</sup>.

\* იბეჭდება B ხელნაწერის მიხედვით, ოღონდ ორთოგრაფია ძველია ალდევილი.

შესავალი. <sup>1</sup> კურაპალატიისა| კულატალატ.

100. <sup>1</sup> ანუ| ან.

102. <sup>1</sup> მეფე| მფე. <sup>2</sup> გინა| გინდა. <sup>3</sup> შეპყრობაჲ| შებყრობა. <sup>4</sup> არცა| არც. <sup>5</sup> შეიწყნარენ.

## B

103. თუ მოძღუარმან, ანუ მლდეღმან, ანუ მონაზონმან<sup>1</sup> მეფესა ანუ ებისკოპოზსა შესცოდოს, ანუ სჯულსა, ანუ ეკლესიასა შესცოდოს, ჳელთა არავეისგან შეიპყრობის<sup>2</sup>, გაკითხვამ უნდა. და რაჲცა მიზეზი დასწამონ, მას მიზეზსა უნდა გამონახვამ და გარდაჳდევამ.

104. ვინცა—ანუ დიდმან, ანუ აზნაურმან, ანუ სხუამან<sup>1</sup> ვინმე — მონაზონი<sup>2</sup> ანუ მლდეღი მძღავრებით ჳელთა შეიპყრას, რაჲსაცა გუარისა იყოს, მის სისხლსა ხუთი ათასი სხუამ ემატოს.

და თუ გუარიანი იყოს, ანუ ჳელის [272] მქონებელი, მისსა სისხლსა ნახევარი სისხლი ემატოს.

105. თუ კაცმან ხუცისა ცოლი მოაყიენოს<sup>1</sup>, გინა უზესთავსმან გინა უქუედაესმან, მისსა სისხლსა საპოცი ათასი თეთრი სხუამ ემატოს.

106. თუ ებისკოპოზსა დიდებულმან აგინოს, ორმოცი ათასი თეთრი დაუურვოს და დიდად შეხუეწით<sup>1</sup>.

107. თუ [ებისკოპოზსა] აზნაურმან აგინოს, დიდითა შეხუეწითა ოცი ათასი თეთრი დაუურვოს.

108. თუ აზნაურმან ანუ დიდებულმან მლდეღსა აგინოს, ანუ უქუედაესმან<sup>1</sup>, მესამედი სისხლისამ დაუურვოს და დიდად შეხუეწოს.

109. თუ კაცმან კაცი გუემოს და ეკლესიამ გაუტეხოს, რაჲსაცა<sup>1</sup> გუარისა იყოს, სრული სისხლი დაუურვოს.

110. თუ ზღუდესა შიგნით ჩაუტდეს, ნახევარი სისხლი დაუურვოს.

111. თუ ზღუდეს გარეთ მოურბიოს, სისხლისა მესამედი დაუურვოს და ალაფიცა შეაქციოს.

103 <sup>1</sup> მონაზონმან] მოლოზანმან. <sup>2</sup> შეიპყრობის.

104. <sup>1</sup> სხუამან] სხვამ. <sup>2</sup> მონაზონი] მონოზანი.

105. <sup>1</sup> ხუცისა ცოლი მოაყიენოს] ხუცისა ცოლსა შეყუარდეს.

106. <sup>1</sup> შეხუეწით.

108. <sup>1</sup> უქუედაესმან] უქვედემან.

109. <sup>1</sup> რაჲსაცა] რაცა.

## B

112. თუ იგი ეკლესიამ სანახევრო იყოს, ანუ სამესამედო, ანუ სამეოთხედო, ანუ სამრევლო, ანგარიში ქნან და აგრე დაუურვოს, რაჲცა წილი ედვას<sup>1</sup>.

ვისითაცა მიზეზითა დამართებოდეს, საპირო მან დაუურვოს, და იმ[ის]ა ეკლესიისა მოზიარენი<sup>2</sup> გვერცა უდგენ და რომე მათცა არა გამოყონ, არა ემართლებიან.

[V] 113. თუ ეკლესიამ მეკობრეთა გატეხონ პატრონისა უკითხავად, და ესე დასწამონ: „შენ იცოდით“, პატრონმან მის მეკობრისამან უცოდნელობა ფიცოს ოცდაოთხისა კაციითა, დაეჯერების. მეკობრე ჯელთა მისცეს, რაჲ გინდა უყონ, ნუ დაემღურების, ალაფიცა უკლებლად შეაქციონ, გინა მათ გამოიღონ.

114. თუ მტერისა კაცმან გატეხოს პატრონისა უკითხავად, მეკობრე ჯელთა მისცეს, რაჲ გინდა უყონ, ნუ ემღურის. მეკობრისა პატრონმან უცოდნელობა<sup>1</sup> ფიცოს თორმეტითა კაციითა.

და თუ არ მისცეს მეკობრე, მეკობრემან ხუთი ათასი თეთრი ზლოს და ალაფიცა უკლებლივ შეაქციოს.

115. თუ ეკლესიასა დაესხნენ<sup>1</sup>, ხუთი ათასი თეთრი დაუურვონ საუპატიოდ.

116. თუ ქური ჯოგი წაასხან შორს, თორმეტი გლეხი დაუურვოს მართლისა საჯსრითა, პატიჟმან და სისხლმან ჰმატა და ჯოგიცა შეექცეს.

117. თუ კაცი კაცმან ლალატით მოკლას, თორმეტი ათასი სისხლსა ემატოს.

118. თუ მკუდარი გაძარცოს<sup>1</sup>, თორმეტი ათასი სისხლსა<sup>2</sup> ემატოს.

119. თუ ფიცოს, ხუთი ათასი თეთრი მართებს გარდასაწდელი, ამად რომე ნამტერები არის.

120. ცილისა<sup>1</sup> წამებისა ასრე არს: თუ მართალსა კაცსა ასმიოდეს, საყვედური<sup>2</sup> განმრავლდეს, თუ მტერობით შეეყივლოს, მაშინ ფიცოს, — არა [273] ზედა-აც<sup>3</sup>.

თუ არა ფიცოს, სისხლი ზლოს.

112. <sup>1</sup> ედვას | იდვას. <sup>2</sup> მოზიარენი | მოზარენი.

114. <sup>1</sup> უცოდნელობა | უცოდინლობა.

115. <sup>1</sup> დაესხნენ | დაესხან.

118. <sup>1</sup> გაძარცოს. <sup>2</sup> სისხლსა | სისხლი.

120. <sup>1</sup> ცილისა | ცოლისა. <sup>2</sup> საყვედარი <sup>3</sup> ზედა-აწ.

## B

121. სადაცა მაცხოვრისა ხატი ესუენოს სამცველოდ ქუეყანისა<sup>1</sup>, საუპარხო ოცდაათი გლეხი მართებს; თორმეტი — ყოვლად წმიდისა<sup>2</sup>, თორმეტი — მთავარანგელოზთა, თორმეტი — სხუათა წმიდათა<sup>3</sup>, მღდელთ-მოძღუართა, მოციქულთა, წმიდის<sup>4</sup> გიორგისა, ნათლის-მცენელისა<sup>5</sup> და სხუათა წმიდათა<sup>6</sup>.

122. მონაზონთა<sup>1</sup>, ხუცესთა და დიაკონთა ნაძარცვ ორკეცია და მეომართა—არა ამის მეტი.

თუ მოკუდების, სისხლი არა დააკლდეს.

123. თუ გამოითრიოს და კელად გაძარცოს, სისხლისა ნახევარი უხლოს და ალაფიცა შეაქციოს უნახშიროდ.

124. წაპარვითა თუალისა ცურა, კელ-ფერჯისა დაგერშა<sup>1</sup>, პირისა დაღი,—ესე სამი სისხლისა ნახევარი არს.

125. თუ უჩინარსა ადგილსა იყოს, მას გერში მართებს.

126. თუ კელდაკელ გარჯილიყოს და სცეს, სისხლისა ნახევარი დაუურვოს.

127. თუ უსამართლოდ დიდმან კაცმან თავისსა ამხანაგსა<sup>1</sup> მუქარა სთხოოს, ათი ათასი დაუურვოს.

128. თუ უქუმოესმან კაცმან თავისსა ამხანაგსა [მუქარა] სთხოოს. ხუთი ათასი დაუურვოს.

129. თუ კაცმან კაცსა უსამართლოდ აგინოს ლაშქარ[სა] ზედა-ოთხი ათასი თეთრი დაუურვოს.

[v] 130. თუ დიაცი აგინოს, თორმეტი გლეხი დაუურვოს მარტვიითა საჯსრითა.

მაშაკაცისა და დიაცისა<sup>1</sup> საბატობასა უნდა გამონახვად.

131. თუ უღირსმან საბატიოს აგინოს, მას უფროსი მართებს.

132. თუ უსამართლოდ პატრონსა წინა შეასმინოს, სრული სისხლი მართებს, ამად რომე მისით გამოიმეტა.

121. <sup>1</sup> ქუეყანისა. <sup>2</sup> ყოვლაწმინდისა. <sup>3</sup> წმიდათა. <sup>4</sup> წმინდის ნათლისმცემლისა.

122. <sup>1</sup> მონაზონთა.

124. <sup>1</sup> კელ-ფერჯისა დაგერშა.

127. <sup>1</sup> თავის ამხანაგს

130. <sup>1</sup> და დიაცისა] და დიაცის და დიაცისა.

B

133. თუ კაცი კაცსა ზედა<sup>1</sup> სალალატოდ წაიღეს, თუ მანვე დაშალოს, ანუ სხუთათა დააშლევინონ,—არა ზედა-აჲ<sup>2</sup>.

134. თუ გაემართოს<sup>1</sup> და იგი კაცი ღმერთმან მოარჩინოს, ექუსი ათასი თეთრი დაუურვოს სიკუდილისა ცდისათჳს, სამი ათასი შეეყრების ცოდვისათჳს.

135. თუ კაცმან კაცსა ცოლი წაუღოს,—სრული სისხლი.

136. თუ კაცმან მეზობელი გასცეს, ნახევარი წამლებელმან<sup>1</sup> ზღოს და ნახევარი გამცემელმან დაუურვოს საპატიჯო.

137. თუ კაცმან კაცსა წარმოუღოს, ანუ მოჰპაროს, პატრონსა პისსა გავლენა მართებს; თუ არა შეაქცევინოს და არა გაუვლინოს, მას პირველვე სკოდნია და, რადცა უარესი მოჰყვების, ყველა ზედა-აჲ.

138. მეკობრისა და ზედა-დამსხველისა სისხლი არა არს.

139. თუ კაცი კაცსა ცოლსა მისცემს და გუირგუინსა არა შესკუნის, თორმეტი ათასი თეთრი დაუურვოს და სამსახურიცა შეექცეს.

[274] 140. თუ ცოლი დასნეულდეს<sup>1</sup>, ქმარი ცოლისა გუარსა არას ემართლების, მისთჳს რომე მისსა კელსა შიგან<sup>2</sup> დამართებია. თუ გაეყაროს, შეფიცოს ნაშენითა, რომე სიძულილითა<sup>3</sup> არა გაყროდეს, და ნახევარი სისხლი დაუურვოს.

და დედაკაცი ზითევს ნუ ითხოვს, თუ შვილი დარჩეს.

141. თუ ჯოგი წაასხან, რაზომისაცა<sup>1</sup> სულისა იყოს, მამაცისა უუ დიაცისა, თავის-თავისად გაძარცვილისა<sup>2</sup> საუპატიოდ დაეურვოს: მამაკაცისა—ორი ათასი, დიაცისა—სამი ათასი და ჯოგი უკლებლად შეექცეს.

და თუ კელდაკელ წაუსხან, ნახევარი სისხლი დაუურვოს.

133. <sup>1</sup> კაცსა ზედა| კაცზე. <sup>2</sup> არა ზედა-აჲ| არა ზედა.

134. <sup>1</sup> გაემართოს| გამართოს.

136. <sup>1</sup> წამლებელმან| წამლებმა.

138. <sup>1</sup> არა არს| არ არის.

140. <sup>1</sup> დასნეულდეს| + ანუ. <sup>2</sup> მისსა კელსა შიგან| მის კელშიგა. <sup>3</sup> სიძული-ლითა| სიძულითა.

141. <sup>1</sup> რაზომისაცა| რაზომიცა. <sup>2</sup> გაძარცვილისა| გაყარცილი.

## B

142. თუ კაცმან კაცსა წინა კბილი ჩააგდებინოს, ნახევარი სისხლი დაუურვოს.

143. თუ უკუნა ჩააგდებინოს, სისხლის მეხუთედი დაუურვოს.

144. თუ კაცსა წუერი მოეკუეცოს<sup>1</sup>, ანუ მოეგლიჯოს, ორი გერში ზლოს.

145. თუ კაცმან კაცსა შეჰყიელოს: ეს კაცი შენსა ცოლსა ას[რ]ე უზამსო, ანუ ფიცოს, ანუ<sup>1</sup> მართლა გატეხოს, არა ზედა-აც. თუ არა—ღიაცისა ქმარსა შეუკაზმოს.

146. თუ კაცმან კაცსა გრძნეულება შეჰყიელოს<sup>1</sup>, სისხლის ნახევარი დაუურვოს, თუ ვერ<sup>2</sup> გატეხოს.

147. თუ აზნაურმან კაცმან აზნაურსა ნაბჰობი სისხლი დაუქიროს, ათი ათასი თეთრი კიდევ სხუად დაუურვოს.

[v] 148. თუ უსამართლოდ პატრონმან ყმად გაძარცოს, თორმეტი გლები დაუურვოს.

149. თუ უსამართლოდ პატრონსა ყმად წაუვიდეს, თორმეტი გლები შეეკაზმოს.

150. თუ აზნაურმან აზნაური მოკლას, სამს[ა] წელიწადს[ა] მამულისაგან გააყენოს და მამული მკვდრს[ა] ძმას[ა] აქუნდეს, ნუ ამოსწყუედენ; მეოთხესა წელიწადსა შემოაუშუან, მამული მისცენ და სისხლი ზლოს, ტაძრობილი იყოს, თუ უტაძრო.

151. თუ კაცმან კაცსა თუალნი დასწუნეს, რადსაცა<sup>1</sup> გუარისა იყოს, მისსა სისხლსა ოცი ათასი სხუად ემატოს, ამისთვის რომე ნიადაგ სასჯელსა და სირცხვლსა შიგან<sup>2</sup> არს, და ერთხელ სიკუდილი სჯობს.

152. ესეცა იცოდით: მეფისა<sup>1</sup> და უდიდებულესის კაცისაგან [კიდე] თუალთა დაწუას არაჲინ ღირსა, ისიცა ასრე, რომე ანუ<sup>2</sup> დიდი სალაროჲ, ანუ<sup>3</sup> ეკლესიაჲ, ანუ<sup>4</sup> ჯოგი, ანუ<sup>5</sup> ღალატი ექნას<sup>3</sup>.

144. <sup>1</sup> მოეკუეთოს.

145. <sup>1</sup> ანუ ფიცოს, ანუ ან ფიცოს, ან.

146. <sup>1</sup> გრძნეულება შეჰყიელოს] გრძნეულობა შეყიელოს, <sup>2</sup> ვერ.

151. <sup>1</sup> რასაც. <sup>2</sup> სირცხვლსა შიგან] სირცხვილშიგ.

152. <sup>1</sup> მეფისა] უმეფოსა. <sup>3</sup> ან. <sup>2</sup> ქნას.



## B

153. თუ ძმანი<sup>1</sup> [გაიყარნენ] და გლეხიანი იყვნენ, უფროსსა ძმასა საუხუცესოდ—ერთი გლეხი, სხუად შუა გაიყონ და მონაგები თავთავისი გაჰყვეს.

და თუ ერთსა მონაგები მეორისა გულისათჳს დაეარდნოდეს და ერთისა იყოს, იგიცა შუა გაიყოს.

[275] 154. თუ დიდებულნი გაიყარნენ, ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ; სხუად შუა გაიყონ და მონაგებიცა ასრე გააჩინონ.

155. თუ გლეხნი<sup>1</sup> გაიყარნენ, უხუცესსა ძმასა ანუ<sup>2</sup> თავი<sup>3</sup> სახლი, ანუ<sup>2</sup> ერთი ვენაჯი, ანუ<sup>2</sup> უფროსნი ქურნი საუხუცესოდ, სხუად შუა გაიყონ.

156. თუ მამა-შვილნი გაიყარნენ, შვილი მამულისა გაყოფასა არა ემართლების, ამისთჳს რომე, რა მამად მოკუდების, მამულსა შვილსა არას ემართლების. მან სხუად მოიგოს მამის სიკუდილამდის.

157. სიძისა<sup>1</sup> შვილებულისა ასრე იცოდით: თუ წიგნითა შესრულიყვნენ<sup>2</sup>, მამული დაეწეროს; რა გაიყვნენ<sup>3</sup>, საუხუცესო—მამულისა პატრონსა, სხუად შუა გაუყავით და შეტანილი და დახუედრებული თავთავისი გაიტანონ.

158. თუ უწიგნოდ შესრულ იყვნენ, შეტანილი და ქირ-ნახული გაჰყვეს და შესმულ-შეჭმული არა იქსენოს.

159. საპირო და სანახები (?)<sup>1</sup> რომე წინა გასაძღუანებელი არს: სრულისა<sup>2</sup> სისხლისა—ოცი ათასი, ნახევარისა<sup>3</sup> სისხლისა—ათი

153. <sup>1</sup> ძმანი] რომელნი.

155. <sup>1</sup> გლეხნი] გლეხი. <sup>2</sup> ან. <sup>3</sup> თავნი.

157. <sup>1</sup> სიძისა] თუ სიძისა. <sup>2</sup> შესრულიყვნენ] შესრულან იყვნენ და. <sup>3</sup> გაიყვნენ] გაუყვნენ.

159. <sup>1</sup> სანახპირო (?) <sup>2</sup> სრულისა] სულისა. <sup>3</sup> ნახევარისა] ნახევარი.

## B

ათასი, კელთა შეპყრობისა—ხუთი ათასი; გასინჯვამ უნდა. რადცა ვის-რა სასისხლო სჭირდეს.

160. საპირო და ამის(?) მისითა<sup>1</sup> წესითა წინა გაუძღუნეთ და აგრე გაიბრკენენ: დიდისა<sup>2</sup> დიდი გააჩინეთ, და ცოტადსა<sup>3</sup>—ცოტა. ესე გლეხისა სისხ[ვ]ლისა, დიდებულთა და აზნაურთა საპირო იქმნების: ოცდაათი ათასი, ჩუღმეტი ათასი, თორმეტი ათასი, შუდი ათასი, როგორცა<sup>4</sup> ვის მართებს, აგრე გააჩინეთ.

## B

### [ქანონიკური საპარტალი\*]

161. რომელმანცა, ვინცა გინდა, დიდმან ანუ მცირემან კაცმან, ლალატით ძმაჲ მოკლას და ანუ ლალატით სხუაჲ კაცი, — კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ დაუსაბამოჲსა ღმრთისა პირითა: და ვითარისაცა<sup>1</sup> გუარისა იყოს კაცი იგი, ორკეცი სისხლი დაუურვოს. და ვინცა უშუელოს და შეიწყნაროს, კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ!

162. ვინცა ქრისტიანემან კაცმან ძმას<sup>1</sup> თუალნი დასწუნეს ცხადად ანუ ლალატად. ანუ მოკუეთოს რაჲმე ასოთაგანი<sup>2</sup>, სისხლი სრული და სანახშირო დაუურვოს. კრულ და წყეულ, შეჩუენებულ იყავნ და ცუდმცა არს და ამო საკსენებელი<sup>3</sup>, სიცოცხლე და სიკუდილი მისი!

163. ბრძოლათა შინა რომელიცა კაცი მოკუდეს. აბჯრისაგან კიდე ტანსაცმელსა, ნიფხაჲ-პერანგსა ნუ ვინ მოკდის. კრულ და შეჩუენებულ ღმრთისა პირითა!

164. ვინცა მეკობრე, მეჯურმუცე (?) და მპარავე კაცი მოკლას, ცხადად გამოჩნდეს, რომე უსამართლო ყოფილიყოს, ვინცა მისმან ნათესაემან და საშუალთა მისი სისხლი იკითხონ, კრულ და შეჩუენებულ და წყეულ იყავნ!

165. რომელმან კაცმან ვის გინდა<sup>1</sup> მისი გუირგუინ-ნაკურთხი ცოლი წაულოს<sup>2</sup>, [276] სრული სისხლი დაუურვოს, რაჲსაცა<sup>3</sup> გუარისა იყოს. კრულ და წყეულ და შეჩუენებულ პირითა ღმრთისაჲთა და კანონსამცა ქუეშე იქმნების წმინდათა<sup>4</sup> მოციქულთასა!

\* იბეჭდება B ხელნაწერის მიხედვით. აღდგენილია ძველი ორთოგრაფია.

161 <sup>1</sup> ვითარისაცა] ვითარცა

162. <sup>1</sup> ძმას. <sup>2</sup> ასოთაგანი] ასოთანი, <sup>3</sup> და ამო საკსენებელი] ამო საკსენებელი

165. <sup>1</sup> ვის გინდა] ვინ გინდას. <sup>2</sup> ცოლი წაულოს] + და მოსტაცოს. <sup>3</sup> რაჲსაცა] რისაც. <sup>4</sup> წმინდათა.

## B

166. რომელმანცა, ვინ გინდა გუარმან კაცმან, ხუცესი<sup>1</sup>, მონაზონი<sup>2</sup>, ანუ დიაკონი მალვით, ლალატით მოკლას, შეიპყრას, გაძარცოს, ორი კეცი სისხლი დაუღრვოს. კრულ და წყეულ და შეჩუენებულ სული და ჯორცი მისი!

167. რომელმანცა კაცმან რა გინდა რა მოიპაროს და გამოჩნდეს, ორნივე თუაღნი დაეწუნენ და ანუ ჯელ-ფე[რ]ტი დაეჭრას.

თუ საპატიეოსა ადგილსა არა მოეპაროს, ვინ იყიდდეს, ვითაცა დაათასონ, ეგრე მიჰყიდონ და ნაპარევი დაუკლებლივ მისსა პატრონსა მისცეს. და კრულ, წყეულ და შეჩუენებულ იყავნ!

168. რომელმანცა კაცმან, დიდმან ანუ მცირემან, რაჟსა გინდა ნიეთიანისა<sup>1</sup> საქმისათუს და მტერობისათუს<sup>2</sup>, სისხლისა და ვალისა გარდაცდისათუს ეკლესიაჲ გატეხოს, ანუ ცეცხლი შეუღვას და დაწუას, ანუ ცხადად ანუ იღუმალ, კანონსამცა ქუეშე არს წმინდათა<sup>3</sup> მოციქულთასა და წმიდათა<sup>4</sup> კრებათასა! კრულ და წყეულ და შეჩუენებულ იყავნ! მცირე ესე დასაურეებელი განგჳჩენია: რაჟცა ამის ეკლესიისა დასაურეებელი პატიჲი ეწეროს და გაჩენილ იყოს, ორკეცი დაუღრვოს [v] და ალაფი რაჟცა წაეღოს. უზლოს. ამავე კანონსა ქუეშე იყოს კაცი იგი!

169. რომელმანცა კაცმან გინა სისხლისა გულის ტკივილისათუს ვენაჲ დაჭრას ანუ ხენი ნაყოფიერნი, ანუ ყანაჲ დათიბოს, ცხადად ანუ იღუმალ, კრულ და წყეულ და შეჩუენებულ იყავნ კაცი იგი ცათა შინა და ქუეყანასა<sup>1</sup> ზედა!

ვინცა საყდრისა საქონებელთა: სენაკთა, აგარათა, საცხველთა<sup>2</sup>, ბელელთა<sup>3</sup>, მარანთა და ვის გინდა სხუათა კაცისა<sup>4</sup> მოსაწმარებელთა ღამით ცეცხლი შეუღვას, რაჟსა გინდა სისხლისა მტერობისათუს, რაჟსაცა<sup>5</sup> გულის ტკივილისათუს ანუ მოვალეებისათუს, კრულ, წყეულ და შეჩუენებულ იყავნ იგი კაცი ცათა შინა და ქუეყანასა ზედა! რომლისაცა საქმისათუს ქნას იგი საქმე, გარდაცდეს. და ვითარცა ადგილი იყოს; სისხლი და პატიჲი გარდაიწადოს და დანაკლები უზლოს<sup>6</sup>. და კანონსა ქუეშე იყოს!

166. <sup>1</sup> ხუცესი) ხუცესნი. <sup>2</sup> მონაზონი) მონაზონი.

168. <sup>1</sup> ნიეთიანისა. <sup>2</sup> და მტერობისათუს) დამტერებისათვის. <sup>3</sup> წმინდათა

169. <sup>1</sup> ქუეყანასა) ქვეყანათა. <sup>2</sup> საცხველთა) სასისხვეთა (სახლთა? ციხეთა?).

<sup>3</sup> ბელელთა) შეღვალთ. <sup>4</sup> კაცისა) კაცისასა. <sup>5</sup> რასაც. <sup>6</sup> ეზლოს.

## B

170. ვინ გინდა კაცმან რაღსა გინდა საქმისა და მტერობისათვის საყდარსა და საყდრისა საქონებელსა მალვითა ანუ ცხადი ცეცხლი შეუდვას, დაწუას რა გინდა რა, ცხადად გამოჩნდეს, საყდრის პატიჯად ოცდათორმეტი ათასისა თეთრისა დაუურვოს. და კრულ და წყეულ და შეჩუენებულ იყავნ! და ცუდმცა არს და ამოო საჯსენებელი<sup>1</sup>, სულნი და ჯორცი მისი ამას სოფელსა და მას საუჯუნოსა დაუსაბამოჲსა ღმრთისა მადლითა და საკანონოსა ქუეშე<sup>2</sup> არს წმიდათა მოციქულთასა!

170. 1 და ამოო საჯსენებელი] მოსაჯსენებელი. 2 ქუეშე.

171. თუ დაუნდობარმან კაცმან ბატონს უღალატოს, საპატიჯო აღარ მართებს, და ერთისა უთავადესთა სისხლი დაუურვოს [შდრ. მუხ. 33].

172. თუ გულარალო ცხენი მიყიდოს კაცმან კაცსა, თუ გულარლობა არ უთხრას, ისეთი იცნას, თავი და ნაწედნი მისცეს, და რაც იმ ცხენით წაქდომოდეს, უკლებლ უზლოს [შდრ. მუხ. 64].

173. თუ კაცი კაცისა ყმობასა და ერთგულად გავლენით სამსახურსა შიგან ჭირ-ნახულობითა ანუ დაკოდითა უჭმარად გასულიყოს, დაბერებულიყოს, საქმემან რამემ[ან] განიყვანოს, რითაცა შესრულიყოს, იგივე გაყუეს, მისისა ჭირ-ნახულობისა მესამედი, ამად რომე საბრალო იქნების და ძალისაგან დაცლილი [შდრ. მუხ. 72].

174. თუ შვილნი ესხნენ, გაჰყუნენ. მემამულემან, რაცა არ მოუტანია, ნურას ნუ მიატანს [შდრ. მუხ. 72].

175. თუ დედაკაცს ქმარი მოუკუდეს და საქონელი მან ქურიგმან მონასტერს შესწიროს, შვილნი ნუ ეცილებიან. [შდრ. მუხ. 81].

---

## ლექსიკონი\*

ა

- აბეზრება 46 მიტოვება, მიგდება, დაგდება (შდრ. გაბეზრება).  
აბჯარ-ი 18, 19 მეომრის საჭურველი, იარაღი.  
აბჯროსან-ი 9 აბჯრით მოსილი მხედარი; პატრონ-ათაბაგის წარჩინებული მოხელე.  
აგარა 169 სახნავე-სათესი; საზაფხულო სადგომი.  
ადგილ-ი: ადგილი მემამულეს ეხება მართებს 54 მიწა მემამულეს ეკუთვნის; ადგილი დაუდვას 43 მამული დაუბრუნოს, მისცეს; საპატრიო ადგილი 167 საპატრიო, მოსარიდებელი ადგილი (ხაზინა, ეკლესია, ჯოგი და სხვ.), ადგილის გამოთხოვა 55 მამულის მოთხოვნა; საწინდარი ადგილი, იხ. საწინდარი.  
ავ-ი: ავად გახადოს 68 დასაჯოს; ავისა მოქმედი კაცი (შესავ. აღბუღასი) დამნაშავე, ბოროტმოქმედი; ავის მქნელთა მამულითურთ მიცემა 36 დამნაშავეს მამულიანად გადაცემა დაზარალებულზე; ავი და საზიანო 40 დამნაშაული და ზარალი.  
აზნაურ-ი 2, 4 წარჩინებული; მემამულე; ვასალი; საპატრიო აზნაური: ტაზრეული, ციხოსან-მონასტროსანი 2, 28 პატრონ-ათაბაგის უშუალო ვასალი, რომელსაც საკუთარი სასახლე, ციხე, მონასტერი და დიდი მამული ჰქონდა; უმონასტრო აზნაური, იხ. უმონასტრო. უციხო-უმონასტრო აზნაური 3 აზნაური, რომელსაც ციხე და მონასტერი არა აქვს. უსაბატო აზნაური, იხ. უსაბატო; აზნაური საწესითა 31 ვასალური წესით; ტაძრობილი აზნაური 150. მეფის (ტახტის) აზნაური; უტაძრო აზნაური 150.  
ათაბაგ-ი (შესავ. ბექასი, შესავ. აღბუღასი) საათაბაგოს პატრონი, მთავარი.

\* ციფრები აღნიშნავსსამართლის წიგნთა მუხლებს.

- ალაგ-ი:** ალაგისა და გვარის წესი 49 ადგილობრივი და საგვარეულო ადათი; ალაგის ქამა 83. დაგირავებული მამულის შემოსავლით სარგებლობა.
- ალალ-ი** მიცემული უალალოს 85 მიცემული ღირსად, მართებულად ჩაუთვალოს.
- ალაფ-ი** 25 ნაძარცვი ქონება, ნადავლი; თუ მძიმე ალაფი იყოს, მძიმეცა ფიცი უნდა 37 თუ მძიმე დანაშაულია, ე. ი. ნაძარცვი ქონება ღიღია, ბევრი მოფიცარი უნდა; ალაფის შექცევა 25, 33, 113 ნაძარცვი ქონების დაბრუნება; ალაფიცა შეაქციოს უნახშიროდ 122 ნაძარცვი ქონება დაუბრუნოს სანახშიროს გადაუხდელად.
- ამანათ-ი** 87, 88, შესანახავად მიბარებული ნივთი; ამანათი შეეედროს 87 ნივთი მიაბაროს (შესანახავად).
- ამილ-სპასალარი, ამირ-სპასალარი** (შესავ. ბექასი, შესავ. აღბულასი) მხედართმთავარი.
- ამოსვლა:** თუ ვერ ამოუვიდეს 1, 4 თუ ვერ ეყოს გადასახდელად, ვერ დაუშრვოს.
- ანასდათ** 77 უცბად; მაშინვე.
- ანგარ-ი:** ანგარებად არ შეერაცხების 83 ვერცხლის მოყვარეობად არ ჩაეთვლება.
- ანგარება** 83, 93 სიხარბე, ვერცხლის მოყვარეობა, მატერიალური გამორჩენა.
- ანდერძ-ი:** ანდერძის მოშლა 57 ანდერძის გაუქმება; ანდერძის თქმა 57 ანდერძის დატოვება; ანდერძის გათავება 57 ანდერძის შესრულება.
- არშივ-ი** 50 წესი, რიგი.
- არშიკობა, არშიყობა** 26, 27 ტრფიალება.
- ასაბია** 15 დამხმარე, თანაშემწე; თანამონაწილე დანაშაულში.
- ასაბიობა:** არცარა უასაბიოს 35 არ დაეხმაროს, არ გამოექომაგოს, არ გამოესარჩლოს.
- ასო:** ასოთა მოკუეთა 162 სხეულის რომელიმე ორგანოს მოქრა.
- აუგიანად** 18 შერცხვენილად.
- აფარვა** 13 აკლება.
- აფუნჩხვა:** დედა-წულთა აფუნჩხვითა 13 ოჯახის აფორიაქებისათვის, აკლებისათვის.
- აკაით** 98 აქედან.



აქუნდეს ჰქონდეს. იხ. ქუან.

აზიუობა იგივე არ შიკობა (იხ.) 26, 27 ტრფიალება.

ბ

ბატონ-ი 31, 44, 71, 72 მეპატრონე, მემანუღე, ფეოდალი; 4, 9, 15, 18, 33, 40 ათაბაგი; მკვდრი ბატონი 71, 72 მემკვიდრეობით მესაკუთრე ბატონი. იხ. პატონი, პატრონი.

ბელათ 36 ცუდად, უწესოდ.

ბელით-ი 36 ცუდი, უწესო (შდრ. უბედით).

ბელითად: ბელითად სიარული 40 ცუდად, უქმად სიარული.

ბიქ-ი 31 უქანონო შვილი, ბუში.

ბოლარალო, იგივე ბურლო, გულარალო (იხ.)

ბორჯალ-ი 79 პაემანი, დათქმული ვადა, დრო; ბორჯალსა გარდაქდეს 79 დათქმულ დროს გადააცილოს.

ბრკობა 20 ბკობა (იხ.), გასამართლება, საქმის განხილვა; სამსჯავრო სხდომა, მსჯავრის დადება; ბრკობითა ამად ვერას შეაგდებს 40 სასამართლოთი ვერაფერს გახდება; სასამართლოს ვერ მიმართავს.

ბურლო, იგივე ბოლარალო, გულარალო (იხ.)

ბურლობა, იგივე გულარალობა (იხ.).

ბქე 3 მოსამართლე, მსაჯული; ბქედ დასმა 100 მოსამართლედ დაყენება; ბქესა სიავსა ქელნი დაესხნენ 90 მოსამართლემ ქვაბში ხელები ჩაყოს; მოსამართლე მღულრით გამოიცადოს. ბქეთა შეუსახნენ 4 მოსამართლეებმა განსაზღვრონ, დაასახელონ (?).

ბკობა: არცა ბკობასა ემართლების 77 ვერც სასამართლო წესით მოითხოვს; ვერცა რას ბკობითა შეაგდებს 27 სასამართლოთი ვერას გახდება; სასამართლოს განხილვის საგნად ვერ გახდის.

გ

გაზაგრება: გაუმაგრებენ 42 უარს ეტყვიან, დაუკავებენ.

გაბეზრება (გააბეზროს) 48 გაშორება, გაყენება, გაგდება (შდრ. აბეზრება).

გაბკობა 34 გასამართლება, საქმის განხილვა, მსჯავრის დადება; ახლად გაბკობა 90 საქმის ხელახლად გარჩევა სასამართლოში (შდრ. ბკობა).

- გაგონება ამას კარგად გამონახვით უნდა და გაგონებით 58 გულისხმიერი, მოსმენა, ყურადღებით მოქცევა.
- გავლენა ყურადღება, მოსმენა; არ გაუვლინოს 35, 137 ყურადღება არ მიაქციოს; გავლენით სამსახური 72 გულმოდგინე, ერთგული, ბეჯითი სამსახური.
- გავლენილ-ი 22 გაძევებული.
- გათავება: გათავება ანდერძისა 57 ანდერძის შესრულება.
- გაკაცრილება 54 მოშენება, დასახლება.
- გამაუპატივებელ-ი 36 დამნაშავე (მკვლელი), პატივის შემლახველი.
- გამოარ: იმ კაცსა გამოუაროს რამე 85 იმ კაცს შეემთხვას რამე.
- გამოთხოვა: მამულის გამოთხოვა იხ. მამული.
- გამომღებელ-ი 83 მოგირაენე, კრედიტორი.
- გამონახვა 4, 40, 58, 59 გამოკვლევა, გამოძიება.
- გამოუაროს იხ. გამოარ.
- გამოღება 13, 71 დაურეება, გადახდა.
- გამოჩნა: გამოჩნდეს 16, 90 დადასტურდეს, დამტკიცდეს.
- განაჩენ-ი (შესავ. ბექასი, შესავ. აღბულასი) სამართლის წიგნი, კანონი, დადგენილება; საპატიჟოსა განაჩენნი 66 სასჯელთა კანონები, სასჯელთა დებულება.
- განგება: განგებით ეყოს 52 განზრახ ექნას.
- განჭირებული-ი 23 მობმული; პატივ-აყრილი(?).
- განჭიქება, გაჭიქება 41, 86 განზილება, საქვეყნოდ შერცხვენა, მხილება.
- გაპატიჟება: გავპატიჟოთ მეკობრე 66 დავსაჯოთ მტაცებელი.
- გაპირება: გაუპირდეს 50 წასძახოს.
- გარდაკიდება 92 პოვნა.
- გარდახვეწა 1, 4, 22 გაძევება, განდევნა.
- გარდაჯდა: სისხლის გარდაჯდა 1, 4, სისხლის დაურეება, ანაზღაურება; გარდაჯდეს უსამართლოდ 27 გარდაჯდეს სასამართლოს გარეშე, არა სასამართლო წესით.
- გარდაჯდევა: ლაშქართაგან გარდაჯდევისა არვისგან მოკსენება უნდა 22 ლაშქარში სამსახური უნდა აეკრძალოს, სამხედრო და რაინდობის უფლება ჩამოერთვას.
- გარდაჯდომა: გადასვლა: ბორჯალსა გარდაჯდეს, იხ. ბორჯალი; რა მამა გარდაჯდეს 58 მამა რომ გარდაიცვალოს; გარდაჯდეს ვითა ძალლის ყეფა 16 არაფრად იქნეს ჩაგდებული, არავითარი საზღაური არ მიეცეს.

გარე შექცევა იხ. შექცევა.

გარჯა: ქელდაქელ გარჯა 126 ხელით შეხება.

გასრულ-ი: უქმარ გასრული 72 დაუძღურებული, ძალისაგან დაცლილი.

გასჯა: გასაჯოს 86 თვითნებურად მოექცეს.

გაუგინებელ-ი 40 უგინებელი, უმტერო, პატივმეულახველი.

გაუპატივება 23 გამაწბილებელი სასჯელი, პატივის აყრა; გააუ-  
პატიოს 35 უპატიურად მოეპყრას, გალანძლოს; პატივი  
შეულახოს.

გაუპატივებულ-ი 36 დაზარალებული, პატივშელახული.

გაქიქება იხ. განქიქება.

გალარიბება 40 უცხოობაში ყოფნა, გარდახვეწა.

გაყენება: მამულისაგან გააყენოს 150 მამულიდან გააგ-  
ლოს.

გაყვანა: მამულოვნებით გაყვანა 49 ოჯახიდან მამულიანად  
გამოყოფა.

გაყრა 154, 155, 156 გაყოფა.

გაშუება: მოყურობისათვის არა გააშუას (გაუშვას)  
15, 67 მოყვრობის გამო შუაკაცთა (ძეღიატორეთა) განხილ-  
ვის საგნად არ გახადოს (?) ან: მოყვრობისათვის არ უზლოს (?).

გაჩენა: ნაპარევისა გაჩენა 62 ქურდობისათვის სასჯელის  
დადგენა.

გაჩინება: გააჩინეს (შესავ. აღბუღასი) დაადგინეს, დააწესეს;  
ნართალი სამართალი უნდა გააჩინოთ 99 სამარ-  
თლიანი მსჯავორი, განაჩენი გამოიტანოთ.

გაცუდება 60, 90, 92 გაბათილება, გაუქმება, დაზიანება. გა-  
ფუქება.

გაძება 40, 48, 58, 66 განდევნა, გაძევა.

გაწბილება: უბრალო გააწბილა 86 უდანაშაულო შეარცხვინა.

გაწევა 71 დაკევა, დაქერა, დახუთვა.

გერმ-ი 5, 8 კრილობა ან მისი საზღაური; გერში აჩნდეს 19,  
35 კრილობა აჩნდეს.

გვარ-ი იხ. გუარ-ი.

გინება 106 — 108, 129 — 131 ბილწად, ურიგოდ ხსენება; გა-  
ლანძღვა.

გლახ 83 სიბრალულის შორისდებული.

გლექ-ი: მკვდრი გლექი იხ. მკვდრი.

გუარ-ი, გვარი 14, 16, 21, 22, 23 საგვარეულო, წოდებრივი ღირსება; რომლისაცა გუარისა იყოს, 28 რა გვარისაც იყოს (დიდებული, პირველი, მეორე, მესამე რიგის აზნაური, მსახური და სხვ.) იხ. გუარად უკეთესი ცოლი 30 გვარით უფრო საპატიო ცოლი.

გუარიან-ი 104 წარჩინებული (გვარისა).

გუემა 109, ცემა.

გუირგუინ-ი: გუირგუინსა არა შესკუნის 139 ჯვარს არ დაიწერს.

გუირგუინ-ნაკურთხ-ი 165 ჯვარ-დაწერილი, გვირგვინ-შესკენილი.

გულ-ი: გულის დამტობა 39 გულის შეჯერება, მოგება, დაკმაყოფილება.

გულარაღო (ცხენი) 64, 172 ავზნე (ცხენი) მანკიერი.

გულარაღობა 64, 172 ავზნეობა, მანკიერება, ნაკლიანობა; გულარაღობა არა გამოანდოს 64 ავზნეობა არ გაუმხილოს, დათაროს.

## ღ

დაგდება ცოლისა 29 მიტოვება, გაშორება.

დაგერშა 124 ჭრილობის მიყენება.

დავარდნა: მონაგების დავარდნა 153 შენაძენი ქონების დაკარგვა.

დაკოდვან დაქრა.

დაკოდლი-ი ჭრილობა, გაჭრილი.

დამართება: დამართებია ბედათ 36 მოსვლია ცუდად, უწესოდ.

დამაჯნება 21 დამაბუნება, დაჩაგვრა, დაჯაბნება.

დამსხმელობა 33 თავდასხმა.

დამცრობა 3 ჩამოქვეითება (იხ. მცრობა).

დამხუთავ-ი: დამხუთავი კაცი 67 დამკერი, დამკავებელი კაცი.

დანაკლებ-ი: დანაკლები ეზლოს 169 ზარალი აუნაზლაურდეს.

დანგ-ი (შესავ. ბექასი) ვერცხლის შაურიანი: სპარსული ღირჰემი ანუ ღრამის  $\frac{1}{4}$ ; ორიანი ხუთი დანგი (შესავ. ბექასი). ერთი აბაზი.

დარბაზ-ი: დარბაზის კაცი 98 დარბაზის მოხელე, მეფის ან ათაბაგის კაცი.

დარჩენა 55 რჩენა, გამოკვება.

- დარჩენილ-ი:** დ ა რ ჩ ე ნ ი ლ ი კ ა ც ი 91 ტყვე.
- დასაურვებელ-ი:** დ ა ს ა უ რ ვ ე ბ ე ლ ი ს ა ქ მ ე (შესავ. ბექასი) ასანაზღაურებელი საქმე (დანაშაული, ბოროტმოქმედება).
- დახარჩლება:** მისი ნებით დაესარჩლოს 66 თვითნებურად შეეცილოს, იჩემებდეს.
- დასახელეზულ-ი:** დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ უ ლ ნ ი მ ო ფ ი ც ა რ ნ ი 4, 37 გარეშე მოფიცრები, ნაფიცი მოწმეები.
- დასმა:** ბქედ დასმა იხ. ბქე.
- დასტურ-ი** 86 ნამდვილი, მართალი.
- დასხმა** 13 თავდასხმა, თავზე დაცემა (იხ. ზედა-დასხმა); ბქესა სიავსა ჯელნი დაესხნენ (იხ. სიავი); დასხმისა წესი დაუურვოს 37 თავდასხმისათვის დაწესებული სისხლი უზღოს.
- დასხმულობა:** დ ა ს ხ მ უ ლ ო ბ ი ს და უ რ ვ ე ბ ა 47 თავდასხმისათვის დაწესებული საზღაურის გადახდა.
- დაუნდობარ-ი** 33, 67, 171 დაუნდობელი, მტერი, მოქიშპე.
- დაურვება სისხლის დაურვება:** 1, 2, 3, 4 სისხლის გადახდა, ანაზღაურება; დაუურვოს მართლისა საჯსრითა, მარტივითა საჯსრითა 116, 130 მართებული გამოსახსნელი საზღაური გადაუხადოს; პატრიქის დაურვება 1 ჯარიმის გადახდა.
- დაუსახელებელ-ი:** დაუსახელებელნი მოფიცნი 4, 37 თავის გვარის მოფიცრები, მოწმე გვარისკაცები.
- დაღ-ი:** პირისა დაღი 124 ქრილობის კვალი სახეზე.
- დაშავება** 5, 6 რომელიმე ორგანოს მთლიანად დაზიანება, დასახიჩრება; მამულის დაშავება 95 მამულის დაკარგვა, მამულის დაზარალება; სარეგუნოდ დაუშავდეს 45 უცოდნელობით ეზარალოს, დაეკარგოს.
- დაწამება** 86 ცილისწამება; უდასტუროდ დასწამა 86 უმართებულოდ დასწამა.
- დაწერა:** თავის დაწერა 72 წიგნში ჩაწერა, წიგნით შესვლა; მამულის დაწერა იხ. მამული.
- დაწვა** 1 (ქონების) გადაწვა.
- დაწინდვა** 76 დაგირაეება, საწინდრად მიცემა; დაწინდოს სა-მამულო 76 დააგირაეოს მამული.
- დაქერა:** მამულის დაქერა 1, 4 მამულის ჩამორთმევა, კონფისკაცია; მიწის ან მზღვარის დაქერა 51 მამულის დახუთვა, ყადაღის დაღება, დაკავება, არ-მიცემა.

- დაქირება: დაქირების ჯამი 89 საქიროების დრო.
- დაქირვა 88 დაკავება, დახუთვა, ყადაღა, არ-მიცემა; ყმის და-  
ქირვა 55, 77, 74 ყმის დახუთვა, მისაკუთრება, მიჩემება.
- დახედვა: სარგებლის დახედვა 60 სარგებლის შოვნა, მოგე-  
ბის მიღება.
- დახვედრებულ-ი: დახვედრებულ-ი და შეტანილი ქონე-  
ბა 156 ქონება, რაც დახვდა და რაც მიიტანა.
- დაჯსნა მამულისა 43, 44 დაგირავებული მამულის გამოსყიდვა.
- დახუთვა 88 ყადაღა, დაქირვა, დაკავება.
- დაჯერება: დაუჯეროს 86 ირწმუნოს.
- დედა-წულ-ი 78 ოჯახობა, ჯალაბობა, ცოლშვილი; აფუნჩხვა  
დედა-წულთა 13 აფორიაქება ოჯახისა; დედა-წული  
კაცი 23 ცოლიანი კაცი; დედა-წულის ცოლი 23  
ქმრიანი ქალი.
- დიდი პატონ-ი იხ. პატონი.
- დიდებულ-ი 1, 28, 31 მსხვილი ფეოდალი, სენიორი, დიდგვარიანი  
გემამულე.
- დიდ-ვაკარ-ი 100 წარჩინებული, საპატიო ვაკარი.
- დუნჯ-ი 64 ალბათ შერყენილი „ინჯუ“ არის. იხ. ინჯუ.

## ე

- ეხისკოპოზ-ი 22 მღვდელმთავარი, ეპისკოპოსი.
- ეხისტოლე 57 წერილი, მინაწერი.
- ეგუზომი 62, 66, ეგუზომ-ი, ეზომი 62, 66 ეგოდენი; ეგუზომი  
ერთი 86 ერთი იმდენი.
- ენა კრელობა 32 ყბედობა, ენაქარტლობა, ტარტარი.
- ერთ-ი: ერთი ეზომი 62, 66 ერთი იმდენი.
- ერთბამად (შესავ. ბაგრატიისა) ერთსულოვნად, ერთპირად.
- ერთობილ-ი: ერთობილი უზლოს 52 მთლიანად აუნაზღაუროს.
- ერიანგან-ი 16 ერისკაცი.
- ერჩოდეს იხ. რჩა.
- ესეკალიბ-ი 47 აწნაირი, ამგვარი.
- ეჯ-ი 77 სამი ათასი ბიჯი ანუ 4.440 მეტრი (ბიჯი=1,48 მეტ.).

## ვ

- ვაკე: ვაკის საჯდომი 33 კარმიდამო, სახლკარი.
- ვალება: ივალოს 93 ვალად აილოს; ავალოს 94 ასესხოს;  
ევალოს 95 ნასესხები ჰქონდეს.

ვაჰარ-ი: საპატრიო ვაჰარი 95 დიდი ვაჰარი, პატრონის საპატრიო სამსახურში მყოფი ვაჰარი.

ვახშ-ი 83 ვალის სარგებელი, სესხის პროცენტი; ვახშის ვახში 94 პროცენტის პროცენტი, სარგებლის სარგებელი; ვახში ეკმევინოს 95 ვალის სარგებელი მიეცეს.

ვერცხლ-ი, ვეცხლ-ი: ვერცხლი აწონით ევალოს 95 ვერცხლი წონით ესესხოს; ვეცხლი წიგნითა აელოს 95 ვერცხლი ხელწერილით ისესხოს.

ვითაცა—როგორც.

ვინაცა 22 ამიტომ.

ზ

ზედა-აც 137 ეკისრება (პასუხისმგებლობა); არა ზედა-აც 120, 133, 145 არ ეკისრება (პასუხისმგებლობა).

ზედა-დასხმა 13 შეიარაღებული თავდასხმა, თავზე დაცემა (იხ. დასხმა).

ზედ-მიხდომილ-ი 12 თავდამსხმელი.

ზევა-ი 39 მტრობა, ქიშპობა (შეიძლება სიტყვა შერყვნილი იყოს).

ზოლო 13 ნეხვი.

ზღვა 28 გადახდევინება, დაურევება, ანაზლაურება; უზლოს შუათა დახედვითა 52 გადაუხადოს შუაკაცთა შეფასებით; სისხლის ზღვა 28 იხ. სისხლი.

ზღვევა, ზღუევა: სამართლიანი ნურა ეზღუევის 48 სამართლო წესით ნუ გადახდება.

თ

თავ-ი 83, 94 თავნი, ძირითადი თანხა, კაპიტალი; თავი სახლი 155 მთავარი სახლი; თავი და ნაჭედნი მისცეს 64, 172 თავნი და (ცხენის) ხედნის ფასი აუნაზლაუროს (ზღრ. თავნი).

თავ-ი თავის დაწერა 72 წიგნში ჩაწერა, წიგნით შესვლა.

თავად: თავად ცოდვად წერეს 93 მთავარ ცოდვად დაწერეს.

თავადად 65 მეთაურად, თავაკაად, წინამძლოლად; თავადად ლაშქართა (შესავ. აღბუღასი) რაზმის მეთაურად.

თავ-დაწერილ-ი 72 წიგნში ჩაწერილი, წიგნით შესული (ზღრ. 157 მუხ.).

თავ-დაუწერელ-ი 73 წიგნში ჩაუწერელი, უწიგნოდ შესული (ზღრ. 158 მუხ.).

თავისმღებელ-ი 68 თავმდები.

თავისწინა: თავისწინა ყოფნა 81 განცალკევებით, განმარტოებით ყოფნა.

თავ-ლაშქარ-ი 65 ავაზაკთა რაზმის მეთაური, თავკაცი, წინამძღოლი.

თავ-მოთნედ 58 თავის ნებით, მოკრძალებულად, მორიდებულად.

თავნ-ი: ძირითადი თანხა. თავნი ნაპარევი 62 თვით ნაპარევი; მოპარული ნივთი ან მისი საფასური.

თეთრ-ი: გიორგის თეთრი (შესავ. ბექასი) გიორგი ბრწყინვალის ვერცხლის მონეტა; ყაზანური თეთრი — ყაზან ყაენის (1295—1304) ვერცხლის მონეტა; შარვანის თეთრი 95 შარვანის ვერცხლის ფული; თეთრის აღება 94 ფულის ვალად აღება.

თემ-ი (შესავ. ბექასი), 95 კუთხე, მხარე, რაიონი.

თნევა: არავის სთნით 99 არავის მიუდგეთ მიკერძოებით.

თუალ-ი თუალისა ცურა 124 თვალის გასერვა, გაკაწვრა, დაზიანება.

## ი

ინჯუ 66 ხედნის ფასი, საზღაური მოპარული ცხენის ხედნისათვის. ირჩის იხ. რჩა.

იქით 98 იქიდან.

## კ

კანონ-ი: კანონსა ქუეშე იყოს 168, 169 საეკლესიო კანონით განისაჯოს, ანათემა შეეფარდოს; კანონსამცა ქუეშე იქნების წმიდათა მოციქულთასა 165 წმინდა მოციქულების კანონით განისაჯოს.

კაპ-ი 90 გრჯლა, ხის კაპი(?).

კარვოსან-ი 9 კარვის მქონებელ-მცველი; პატრონ-ათაბაგის წარჩინებული მოხელე.

კარვოსნობა 9 რაინდული, სამხედრო-სალაშქრო სამსახური; კარვის დადგმისა და დაცვის მოვალეობა.

კაც-ი: 21, 33, 42, 43 ვასალი, ხელქვეითი, ხომი; დამხუთავი კაცი 67 დამპყერი, დამკავებელი კაცი; დარბაზის კაცი 98 დარბაზის მოხელე, მეფის ან ათაბაგის კაცი; დარჩომილი კაცი 91 ტყვე; კაცთა შუა შემოსვლითა 13.



შუა კაცთა მონაწილეობით; სწორი კაცი 18, 20, 21, 25 თანასწორი წოდებისა და ღირსების კაცი; უსაქმო კაცი იხ. უსაქმო; მინდობილი კაცი, იხ. მინდობილი; ნასყიდი კაცი 71 გაყიდული, შესყიდული კაცი.

კითხვა: სისხლის კითხვა იხ. სისხლი.

კურო: ცოლის კურო 23 ცოლის საყვარელი.

ლ

ლაშქარი: თავადად ლაშქართა (შესავ. აღბუღასი) მტაცებელი რაზმის მეთაურად; ლაშქართაგან გარდაქდევასა არვისგან მოქსენება უნდა 22 ლაშქარში სამსახური უნდა აეკრძალოს, სამხედრო და რაინდობის უფლება ჩამორთვას; ლაშქართა წამაველისათა შთასადებელი 34 საჩუქარი სალაშქროდ მიმავალი კაცისათვის.

მ

მალვით 164 ლალატით.

მამულ-ი 1 მემკვიდრეობითი მფლობელობა უძრავი საკუთრებისა, (feodum, вотчина); მამულსა თანა ნურეინ რასასა კმებინებს 58 ნურეინ შეიყვანს მამულის მფლობელობაში, გამგებლობაში, საქმიანობაში; მამულსა შიგა საწინდრად დგომა 83 მანულის დაგირავება ვალში; მამულის დაშავება 95 მამულის დაკარგვა, მამულის დაზარალება; მამულის მოკლება 54 მამულის მოკითხვა, მოთხოვნა, მამულსა შვილსა არას ემართლების 156 მამულზე შვილს ვერავინ შეეცილება; მამულის დაწერა 156 მამულის გამოყოფა, მიცემა; მკვდრი მამული იხ. მკვდრი; სამოყალნო მამული იხ. სამოყალნო; მამულის დაქერა 1, 4 მამულის ჩამორთმევა, კონფისკაცია; მამულისა წაღება 40 მამულის წართმევა; მამულისა მოსაქმე 48 მამულის მფლობელი, გამგებელი; მამულის უსაქმობასა არავინ ემართლების 42 მამულის დაქერას არავინ ემართლება; მამულის გამოთხოვა 55 მამულის მოთხოვნა; მამულისა მოსაქმობა 58, 59 მამულის მფლობელობა, გამგებლობა; მამული აქუნდეს 42 მანული ეკიროს, ფლობდეს.

მამულოვნება: მამულოვნებით გაყვანა 49 მამულით გამოყოფა ოჯახიდან.

- მანდატურთუხუცესი**-ი (შესავ. ბექასი) ვაზირი, სამეფო კარის საპოლიციო მოხელეთა უფროსი, შინაგან საქმეთა მინისტრი.
- მარან**-ი 164 საღვინე სახლი.
- მართალ**-ი: მართალი სამართალი გააჩინეთ 99 სამართლიანი მსჯავრი, განაჩენი გამოიტანეთ; მართლითა სანჯსართითა დაუურვოს, მარტივითა სანჯსართითა დაუურვოს 116, 130 მართებული გამოსახსნელი საზღაური გადაუხადოს; მართალი სისხლი 20, 21 მთელი, მართებული, კუთვნილი საზღაური.
- მართლება**: არცა ბქობასა ემართლები სიხ. ბქობა; მამულისა უსაქმობას არავინ ემართლები სიხ. მამული.
- მართება**: მართებს მკვიდრად 73 შეადგენს საკუთრებას, ეკუთვნის სამკვიდროდ, მემკვიდრეობით.
- მართლობა** 45 სისწორე.
- მანუყურელ**-ი (შესავ. ბექასი) აწყურის სამწყსოს მღვდელთმთავარი.
- მანუყინარ**-ი 67 დამნაშავე, ზიანის მიმყენებელი.
- მეზობელ**-ი: მეზობლის გაცემა 136 მეზობლის ბოროტმოქმედთა ხელში ჩაგდება ღალატით.
- მეკობრე** 66, 113, 114, 138, 164 მტაცებელი, ავაზაკი; მეკობრის საპატიჟოსა განაჩენნი (შესავ. აღბუღასი) მეკობრობისათვის დადგენილი სასჯელები.
- მემამულე** 33, 43, 44, 54, 55 მამულის მფლობელი, ვასალი.
- მემამულე**: მემამულეებს ვერვინ მოუშლის 58 მამულის მემკვიდრეობის უფლებას ვერვინ წაართმევს.
- მეხისხლე** 1, 4 ვისაც სისხლი ერგება; დაზარალებულის მემკვიდრე. მელაბნოე (შესავ. ბექასი) მწირი, განდევნილი უღაბნოში.
- მეფე**: დიდი მეფე (შესავ. ბექასი) გიორგი ბრწყინვალე.
- მეუვის**-ი 22, 23, 48 ნათესავი, თვისტომი, მახლობელი, მოყვარე, მეგობარი.
- მეჯურმუცე** (?) 163 ზღვის (წყლის) მეკობრე; მტაცებელი, მძარცვავე.
- მზღვარ**-ი სიხ. მიწა.
- მთხრობელ**-ი 92 მოამბე, მთქმელი, დამსმენი, დამბეზლებელი.
- მიღვენა** 56 მოთხოვნა.
- მინდობილ**-ი: მინდობილი კაცი 33 ათაბაგის ვასალი, პატრონის მფარველობაში მყოფი კაცი; მინდობილნი ღმრთისანი (შესავ. ბექასი) ღმერთს მიბარებული, შევედრებული.

- მიმცემელ-ი 83 დამვირაეებელი, მოვალე, დებიტორი.  
 მისარჩლვა 98 შეცილება, შედაეება.  
 მიფახება 1, მიმატება, სისხლის ფასში არ-ჩათვლა; სისხლსა შიგან არა მიეფასოს იხ. სისხლი.  
 მიღმა: მიღმა 59 იმ მხარეს.  
 მიცვალეზულ-ი: წახურვა მიცვალეზულისა საჭირისუფლო შესაწევარი მიცვალეზულის დასაკრძალავად.  
 მიწა: მაწის ან მზღვარის დაქერა 51 მამულის დახუთვად აუადალება, დაკაეება, არ-მიცემა; მიწა საწინდარი (წინდად) ჰქონდეს 43 მამული ჰქონდეს დაგირაეებული.  
 მკვიდრ-ი, მკვდრი 74, 77 საკუთარი, მემკვიდრეობითი, შთამომავლობითი, დანიდაგებული, მიწაზე მიმაგრებული; მკვდრი მამული 77 საკუთარი, მემკვიდრეობით მიღებული მამული, მამაპაპისეული, საშვილიშვილო ადგილ-მამული (матушка); მკვდრი ყმა 77 შთამომავლობითი, საკუთარი ყმა; მკვიდრი გლეხი 74 „მკვიდრი ასეთი იქნების, მამამისი მის კაცისა ყმა ყოფილიყოს და შვილი მისა ქვეშე მისცემოდეს“ (მუხ. 78); მკვდრად მართებს 31, მემკვიდრეობით, სამკვიდროდ ეკუთვნის, საკუთრებას შეადგენს; მკვდრი ბატონი 31, 71, 72 მემკვიდრეობით მესაკუთრე ბატონი; მკვდრად ნუ ირჩის 71 საკუთრებად ნუ იჩემებს.  
 მოავე: მოავე კაცი (შესაე. აღბულასი) ბოროტმოქმედი, დანაშაეე, აეზაკი.  
 მორაშიკე 26 მოტრფიალე.  
 მოგება: მოუგია რაცა 70 რაც შეუძენია.  
 მოდებულ-ი 33 მიდებულ-მოდებული.  
 მოვალეობა: მოვალეობისათვის 169 ვალის გადაუხდელობისათვის.  
 მოზაეება: მოიზაენენ 84 მორიგდნენ.  
 მოზიარე 112 თანამოზიარე, მონაწილე.  
 მოკაზმონ 40 მოაწყონ, მორიგონ.  
 მოკლება 35, 40, 58, 59, 66 გამოკვლევა, გამოძიება, გამონახვა; მოკლებით გაგონებით ქნა 58 გამოძიებით, მოსმენით გამოკვლევა; მამულისა მოკლება, იხ. მამული.  
 მოკუეთა: ასოთა მოკუეთა იხ. ასო.  
 მოკუეცა: წუერი მოეკუეცოს 144 წვერი მოეკრიკოს.  
 მომართებულ-ი: მონართებული ყმა 75, 78, მომართვით, თხოვნით შესული ყმა.

**მონაგები-ი:** მონაგების დავარდნა 152 შენაძენი ქონების დაკარგვა, ხელიდან გავარდნა.

**მონაზონი** 103, 104 ბერი.

**მონასტროსანი:** ციხოსან-მონასტროსანი (იხ.)

**მოხაკარგავე** 45 საკარგავის (იხ.) მფლობელი მსახურ-აზნაური.

**მოხაქმე:** მოსაქმე ქაცი 87 საქმის მოქმედი, მოურავი; მოსაქმე მამულისა 48 მამულის მფლობელი, გამგებელი.

**მოხაქმეობა:** მოსაქმეობა მამულისა 58, 59 მამულის მფლობელობა, ჭერა, გამგებლობა; მოსაქმეობისა განშორს დადგომა 59 მამულის მფლობელობის უფლების დაკარგვა.

**მოხაჯმარებელი-ი** 169 საქონებელი.

**მოურბეველი-ი** 40 უმტერო, დაურბეველი.

**მოფიც-ი** დაუსახელებელი მოფიცნი 4, 37 გვარი-სეული მოფიცრები, მოწმე გვარისკაცები.

**მოფიცარი-ი:** დასახელებული მოფიცარი 4, 37 გარეშე მოფიცრები, ნაფიცი მოწმეები.

**მოყიფნება** 19, 23 პატივის ახდა, სახელის გატეხა, საქვეყნოდ შერცხვენა.

**მოყვრობა, მოყურობა:** მოყვრობისათვის არაგააშუას 15, 67 მოყვრობის გამოსისხლი არ უზღოს, არ მისცეს; მოყურობა მოშლოდეს 61 მეგობრობა, კეთილი ურთიერთობა დარღვეოდეს.

**მოშლა:** ანდერძის მოშლა იხ. ანდერძი.

**მოძღუარი-ი** (შესავ. ბექასი), 100, 101 მასწავლებელი, სწავლული, კანონის მცოდნე.

**მოწამე** 16, 50, 86 მოწმე.

**მოწესე** (შესავ. ბექასი) ბერი, მონაზონი.

**მოჯმარება** 89 გამოყენება; არა მოეჯმაროს 93 არ გამოიყენოს, არ ისარგებლოს.

**მპარავ-ი** 164 ქურდი, მტაცებელი.

**მპარობა:** მპარობისა რამე მაგიერი საქმე 92 ქურდობის მსგავსი მოქმედება.

**მსახური-ი** 7, 10 პატრონის შინაყმა; მსახურის ყმა 78.

**მსგავსიერი:** მსგავსიერი საპოვნელა 92, შესაფერი, შესადარისი ჯილდო.

**მუახლე** 24 მოასლე, მსახური ქალი.

- მუქარა: მ უ ქ ა რ ი ს თ ხ ო ვ ა 127 დამუქრება.  
 მუქაფად 101 სანაცვლოდ, სამაგიეროდ.  
 მცირე: მ ც ი რ ე ს ი ს ხ ლ ი თ კ ა ც ი ჰ ყ ვ ე ს 98 მცირე სა-  
 ზღაური ემართოს, ისეთი კაცი ჰყავდეს.  
 მცრობა 3 ქონებრივად და უფლებრივად ჩამოქვეითება.  
 მძლავრება: მ ძ ლ ა ვ რ ე ბ ი თ ჯ ე ლ თ ა შ ე პ ყ რ ო ბ ა 104  
 თვითნებურად დაპატიმრება.  
 მჯნება (←მაჯნება?): ი მ ჯ ნ ო ს 18 (შღრ. დამაჯნება).

ნ

- ნაბჭობ-ი 90 სასამართლოს გადაწყვეტილება, განაჩენი; ნ ა ბ ჭ ო -  
 ბ ი ს ი ს ხ ლ ი ს დ ა ჭ ე რ ა 147 სასამართლოს მიერ მის-  
 ჯილი საზღაურის არ-მიცემა, დაკავება.  
 ნაზაფებ-ი: ნ ა ზ ა ვ ე ბ ი პ ი რ ი 60 გარიგების პირობა.  
 ნათესავ-ი: მესამე ნათესავი 3 მესამე თაობა.  
 ნაკრახულობა 5 კრილობა.  
 ნამეტ-ი 43 შემოსავალი.  
 ნამეტნავ-ი 13 საჯდომი.  
 ნაპარევ-ი ნ ა პ ა რ ე ვ ე ს ა გ ა ჩ ე ნ ა 62, ქურდობისათვის სასჯე-  
 ლის დადგენა.  
 ნახუიდ-ი ს ა მ ი წ ო ნ ა ს ყ ი დ ი 70 სყიდული, ნაყიდი მამული;  
 ნ ა ს ყ ი დ ი კ ა ც ი, იხ. კაცი.  
 ნაქმარ-ი: ნ ა ქ მ რ ი ს ფ ა ს ი 54 ნაკეთების ფასი; შრომის  
 გასამრჯელო.  
 ნაწუენ-ი 52 ზარალი, წანახელი.  
 ნაჭამად-ი 51, 53, ნაჭამ-ი 43 მამულიდან მიღებული, ნასარგებ-  
 ლევი შემოსავალი; ნ ა ქ ა მ ი თ ა დ ა უ დ ვ ა ს 43, 51 მიღე-  
 ბული შემოსავლით დაუბრუნოს; ნ ა ქ ა მ ი თ ა მ ი ს ც ე ნ  
 უ ს ი ტ ყ ვ ო დ 53 შემოსავლით მისცენ უსიტყვოდ.  
 ნაჯედნ-ი: თ ა ვ ი დ ა ნ ა ჯ ე დ ნ ი მ ი ს ც ე ს 64, 172 თავნი და  
 ხედნის ფასი აუნაზღაუროს.  
 ნივთიან-ი ნ ი ვ თ ი ა ნ ი ს ა ქ მ ე 168 ანგარება, სიხარბე.

ო

- ორ-ი: ო რ ა დ შ ე კ ე ც ო ს 17, 97 ორკეცი საზღაური გადაუხა-  
 დოს.

**ორიან-ი:** ორიანი ხუთი დანგი (შესავ. ბექასი) ერთი აბაზი. ორკეც-ი ორკეცი სისხლი 12 ორმაგი საზღაური. ოცის თავ-ი 83 თავნის ერთი მეოცედი ნაწილი.

## 3

**პაემან-ი** 89 შეპირებული დრო, პირობის ვადა; **პაემანს შიგ-**ნით 89 შეპირებულ, დათქმულ დროში, ვადაში; **პაემანს გარეთ** 89 ვადის გასვლის შემდეგ.

**პარვა** 66 ქურდობა.

**პატივება:** იპატივებს (შესავ. აღბუღასი) პატივს დაიდებს.

**პატიოსან-ი** (შესავ. ბექასი) პატივის მქონე.

**პატიუ-ი** 1, 25, 40, 66, 116, 168, 169, 170 სასჯელი, სისხლის სამართლის ჯარიმა; **პატიუის დაურეგება** 1. ჯარიმის გადახდა.

**პატონ-ი** (შესავ. ბექასი), 1, 2, 3 ათაბაგი; **დიდი პატონი** (შესავ. ბექასი) მეფე (გიორგი ბრწყინვალე).

**პატრონ-ი** (შესავ. ბექასი) 1, 3, 4, 7, 9, 10, 18, 33, 40 ათაბაგი, საათაბაგოს მთავარი, სენიორი; **პატრონი** 68, 76, 77, 78 ბატონი, მემამულე, მფლობელი.

**პირ-ი:** პირსა ნაკრავი იყოს 5 სახეზე ქრილობა აჩნდეს; **პირისა დაღი**, იხ. დაღი. **ნაზავები პირი** 60 გარბეების, ხელშეკრულების პირობა.

**პირველივე** 3, 137 წინათ, ადრე, ადრევე.

**პირისწყლიანად ყოფა** 61 კეთილი დამოკიდებულება.

## უ

**უამ-ი დაქირების უამი** 88 საქიროების დრო; **ქვე უამით** მიეცეს 60 შემდეგ მიეცეს.

**უამიერად:** არა უამიერად 43 უვადოდ.

## რ

**რაითაცა:** რაითაცა შემოსრულა, 73, რაც თან მიუტანია.

**რიგება:** მით წესითა ირიგოს 97 იმ წესით ეზლოს, დაეურვოს.

რჩა (←სჩა←სჯა): ნუ ირჩის და არცა მართებს 71 ნუ იჩემებს და არც ეკუთვნის.

ს

საბატო 6, 13 წარჩინებული, საპატიო.

საბატობა 129 წარჩინებულობა, საპატიობა.

საბელ-ი 21 თოკი.

საბატო, იგივე საპატიო (იხ.) 131 საპატიო, წარჩინებული.

საბატობა: საბატობა დიაცისა 130 ქალის საპატიო გვარი, წარჩინებულობა.

საბჰო: საბჰოდ შეყრა 35, 93 სასამართლოში წარდგომა;

საბჰოდ ჯდომა 99, სამსჯავრო სხდომა, სასამართლო.

საგერზე 12 კრილობის საზღაური.

საგერზო: საგერზო აჩნდეს 97 კრილობა აჩნდეს.

საგლეხო: საგლეხო ფუძე 55 გლეხის მიწა, კარმიდამო.

სავანო 52 სადგომი ადგილი.

სავახზე: თეთრი ემართოს სავახზედ 83 ფულს ემართოს სარგებლით.

საზიანო: ავი და საზიანო, იხ. ავი.

საზღავ-ი: საზღავსა ზედა შეგდება 95 ვალში გასაყი-  
დი მამულის ნახევარი ფასის დაკლება.

სათავდებო 69 საზღაური თავდებობისათვის.

საკანონო 22, 170 საეკლესიო სასჯელი.

საკარგავ-ი 45 ადგილ-მამულის პირობითი და მთელი სიცოცხლის განმავლობაში მფლობელობა; სამსახურისათვის მიღებულ ადგილ-მამული (службная земля, поместье, beneficium).

საკლის-ი 80 დანაკლისი, რაც აკლია.

სალარო: დიდი სალარო 151 ხაზინა.

სამამულე: სამამულე ქონება 31 ადგილ-მამულის მფლობე-  
ლობა, ქერა.

სამამულრო 46, 53, 61, 76, 81, 85, 95, 98 უძრავი ქონება (სახმარი მიწა, ვენახი, ბაღი, ქალა, სახლი და სხვა); სამამულრო ზითევი 46 მზითვად მიცემული უძრავი ქონება, ადგილ-მამული.

სამართალ-ი სჯა, მსჯავრი, კანონი, უფლება; მართალი სა-  
მართალი გააჩინეთ 99 სამართლიანი მსჯავრი, გა-  
ნაჩენი გამოიტანეთ; სამართალმან დაადებინოს

53 კანონმა გადაუწყვეტოს, მიუსაჯოს; სამართლის შოვნა 51 კანონიერი გადაწყვეტილება, საქმის მოგება; სამართალმან წაიყვანოს 72 კანონმა წაიყვანოს.

სამართლიან-ი: სამართლიანი ნურა ეზღუევის, იხ. ზღვევა.

ხამიწო: სამიწონასყიდი 70 სყიდული, ნაყიდი მამული.

სამოყალნო: სამოყალნომამული 95 საბეგრო მამული.

სამსახურ-ი 139 ბეგარა, გამოსაღები, გადასახადი; გავლენით სამსახური, იხ. გავლენა; სამსახური შეექცეს 139 საეკლესიო ჯარიმა გადახდეს (ჯვარდაუწერლად, გვირგვინ შეუსკვნელად ცოლის შერთვისათვის).

სამომშლელი, სამშლელი: 89 უპირობის ჯარიმა, საუპირო, საზღაური პირობის მოშლისათვის, პირგასამტეხლო.

სამშობლო 46, 81, 82 სახლი; ქალის სამშობლო 46 ქალის (ცოლის) საგვარეულო სახლი.

სამცველოდ 121 დასაცავად, დასაფარავად.

სანახშირო 162 განსაკუთრებული საზღაური; სისხლის დაურეგების საწინდარი.

სანივთო: სანივთო ღალატი 59 თავდასხმა გაძარცვის მიზნით.

სანიჰარ-ი 34 ქორწილში შესაწევარი, საქორწინო საჩუქარი.

საპატიო: საპატიო კაცნი 6, 66 (შესავ. აღბუღასი) წარჩინებულნი, დიდგვარიანი; საპატიო საურვებელი 17 სისხლის სამართლის ჯარიმა; საპატიო ვაჭარი 95 დიდი ვაჭარი, პატრონის საპატიო სამსახურში მყოფი ვაჭარი.

საპატიუო 17, 33, 47, 66, 136, 171 სისხლის სამართლის ჯარიმა; საპატიუო ადგილი 167 საპატიო, მოსარიდებელი ადგილი (ხაზინა, ეკლესია, ჯოგი და სხვ.); საპატიუოსა განაჩენნი (შესავ. აღბუღასი) სასჯელთა კანონი, დადგენილება, სასჯელთა დებულება.

საპირო 112, 159, 160 სისხლის სამართლის ჯარიმა.

საპოვნელა 92 ჯილდო დაკარგული ნივთის ან პირუტყვის პოვნისათვის; მსგავსიერი საპოვნელა 92 შესაფერისი, შესადარისი ჯილდო.

სარგებელ-ი 60 მოგება, პროცენტი, ვახში; სარგებლის შეკვეთა 93 სარგებლის განსაზღვრა; სარგებლის დახედვა 60 სარგებლის შოვნა, მოგების მიღება.



- ხარეგენო** 45 ქონებრივი სასჯელი მესაკუთრის უნებართვოდ მამულის ყიდვა გაყიდვისათვის; **ს ა რ ე გ ე ნ ო დ დ ა უ შ ა ე დ ე ს** 45 უცოდნელობით ეზარალოს, დაეკარგოს. შესაძლოა სიტყვა შერყენილი იყოს (იქნებ „საძღვსო“ უნდოდეს).
- ხარჩელ-ი** 42 საჩივარი; ძიება, მოთხოვნა; **ს ი ხ ა რ ბ ი თ ს ა რ ჩ ე ლ ი ს დ ა მ ტ კ ი ც ე ბ ა** 90 ანგარებით არაკანონიერი გადაწყვეტილების გამოტანა.
- ხარჩლვა:** **ა რ ც ა ე ს ა რ ჩ ლ ო ს** 77 არცა სარჩელი, ჩივილი აღედრას.
- ხასაკარგოდ** 55 გასასხვისებლად, განსაკარგავად, საბოძებლად (იხ. საკარგავი).
- ხახალუქო** 46 შესამკობელი ნივთი.
- ხახამართლო:** **ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო დ შ ე ს ვ ლ ა** 97 სასამართლოში წარდგომა.
- ხახარგებლოდ** 94 პროცენტით, სარგებლით.
- ხასარჩლო:** **ს ა ს ა რ ჩ ლ ო დ შ ე ქ მ ნ ა** 53 სადაოდ, საცილობლად შექმნა.
- ხასაქმე:** **ს ა ს ა ქ მ ე წ ი გ ნ ი** 60 სხვადასხვაგვარი წერილობითი აქტები.
- ხასაქონლო** 33, 40, 46, 61, 81, 82, 85, 89, 92 უსულო მოძრავი ქონება, სხვადასხვა ნივთეულობა; **მ ი ს ც ე ს . ს ა ს ა ქ ო ნ ლ ო ძ ა ლ ი ს ა მ ს გ ა ვ ს ი** 40 აუნაზღაუროს გატაცებული ქონების შესაბამისად, მიხედვით.
- ხასისხლო:** **ს ა ს ი ს ხ ლ ო ს ქ ი რ დ ე ს** 159 სისხლი მართებდეს.
- ხასყიდლად** 55 გასაყიდად, გასასყიდლად.
- ხახჯელ-ი** 101, 151 სამართალი, განსჯა, ბქობა.
- ხაუპატიო** 13 გამაწბილებელი, შემარცხვენელი; 115, 121, 141 სისხლის სამართლის ჯარიმა.
- ხაურავ-ი, ხაურავებ-ი:** **ს ა უ რ ა ვ ი ს ა თ ე ს (ს ა უ რ ე ვ ე ბ ი ს ა თ ე ს)** ქრთამი 85 გასამრჯელო განსაგებელთა მოვლისა და ზრუნვისათვის; **ს უ ლ ი ს ს ა უ რ ა ვ ი ი ხ . ს უ ლ ი .**
- ხაურავებელ-ი** **ს ა პ ა ტ ი ო ს ა უ რ ე ვ ე ბ ე ლ ი** 17 სისხლის სამართლის ჯარიმა.
- ხაუხუცესო** 48, 49, 153, 154, 155 უფროსი ძმის ზედმეტი წილი სამემკვიდრეო ქონებაში.
- ხაქმე:** **ნ ი ვ თ ი ა ნ ი ს ა ქ მ ე** 167 ანგარება, სიხარბე; **ს ა ქ მ ე მ ა ნ რ ა მ ე მ ა ნ გ ა ი ყ ვ ა ნ ო ს** 72 რაიმე გარემოებამ აიძულოს წასვლა; **ს ა ქ მ ი ს , ს ა ქ მ ი თ ა წ ა ლ ე ბ ა** 67 თხოვნა,

- ნათხოვრობა; უწესონი სპემენი 1 დანაშაულობანი, პოროტმოქმედებანი; სისხლის საქმე, იხ. სისხლი.
- საქმეზინება: მამულსა თანა ნურვინ რასასაქმე-ბინებს 58 ნურვინ შეიყვანს მამულის მფლობელობაში.
- საქმობა: თუკაცი რასმე ესაქმებოდეს 60 თუ რასმე ესარჩლებოდეს, ეცილებოდეს, ედავებოდეს.
- საქონელ-ი 40, 63, 77, 81, 82, 87, 88, 92, 97 უსულო მოძრავი ქონება.
- საქრთამო: საქრთამოსა შოებისათვის შებეზღება 85 დასმენა გასამრჯელო ტყუილად გამომართვაო.
- სალატოდ: სალალოდ წასვლა 133 თავდასხმის განზრახვა მკვლელობის მიზნით.
- საყდარ-ი: საყდრის საქონებელი სენაკი 169 ეკლესიის კუთვნილი ოთახი (ბერ-მონაზონთა სადგომები).
- საჩინო: საჩინო ხელი 9 საპატიო სამსახური, თანამდებობა; საჩინოდ ერისა 13 საქვეყნოდ, საჯაროდ.
- საცოლე: ჯვარგაცვლილი საცოლე 39 დანიშნული საცოლე.
- საწბილოდ 13 შესარცხვენად, დასამცირებლად.
- საწინდარ-ი 43 გირაო; საწინდარი საჯსარი 43 საწინდრის გამოსახსნელი, გამოსასყიდი; მიწა საწინდარი 43 დაგირავებული მიწა; საწინდარი ადგილი 43 დაგირავებული მამული; მამულსა შიგა საწინდრად დგომა 83 მამულის დაგირავება ვალში.
- საქირისუფლო 25, 34 მიცვალებულის ქირისუფლისათვის განკუთვნილი.
- სახინარ-ი (საქმე) 13 უსახური, სანარცხვინო, თავმოსაქრელი საქმე.
- სახლ-ი: თავი სახლი, იხ. თავი; სახლსა შეყენება 18 სახლში დამწყვედეა.
- სახუსტაგე სახლი 20 ბოსელი, პირუტყვის სადგომი.
- საჯსარ-ი 116, 130 გამოსახსნელი ფასი, საზღაური.
- საჯდომ-ი 33, 37 კარმიდამო, ადგილ-მამული, სახლ-კარი.
- საჯერ-ი 60 დასაჯერებელი, სარწმუნო.
- საჯეროება 60 რწმუნება, დარწმუნებულება, ნამდვილობა.
- საჯედარ-ი 89 საჯდომი პირუტყვი (ცხენი, ჯორი, ვიჭი).

სენაკი-ი: საყდრის საქონებელი სენაკი 169 ეკლესიის კუთვნილი ოთახი.

სეფე-ქალი 24, 72, 73 მოახლე, მსახური ქალი. სეფე-ქალსა ზედა სიძობით შეწყნარება 72 მოახლეზე ზედსიძედ მიღება, ჩამოსიძება.

სიავ-ი 90 სპილენძის ქვაბი; მღულარე წყალი: ბქესა სიავსა კელნი დაეახნენ 90 მოსამართლემ ქვაბში ხელები ჩაყოს; მოსამართლე მღულრით გამოიცადოს.

სიგლახაკე 61 სიღარიბე.

სიკუდილი-ი: სიკუდილისა ცდა 134 მკვლელობის მცდელობა.

სისხლ-ი: სასჯელი, ფულადი ან ქონებრივი საზღაური სისხლის სამართლის დანაშაულისათვის. ორკეცი სისხლი 12 ორმაგი საზღაური; სისხლი უბძანოს 3 სისხლი განუსაზღვროს, გაუჩინოს, დაუდგინოს; სისხლი უბქონ 3 სისხლი მიუსაჯონ, გაუჩინონ, დაუურგონ; სისხლსა შიგან არა მიეთასოს, 1, 18 საზღაურის ოდენობას არ მიემატოს, სისხლში ჩაეთვალოს; სისხლსა შიგან მიეთასოს 1 საზღაურის ოდენობას მიემატოს, სისხლში არ ჩაეთვალოს; სისხლის ზღვა 28 სისხლის დაურვება, საზღაურის გადახდა; სისხლის კითხვა 164 სისხლის ანაზღაურების მოთხოვნა; სისხლი ორად შეეკეცოს 23 ორკეცი სისხლი უზლოს; სისხლისა გულის ტკივილისათვის 169 საზღაურის გადაუხდელობისათვის, შურისძიებისათვის; ვითაცა უწერია სისხლი 28 რა საზღაურიც აქვს გაჩენილი, დაწესებული; ნაბჭობი სისხლის დაქერა 147 სასამართლოს მიერ მისჯილი საზღაურის გადახდაზე უარის თქმა; უთავადესთა სისხლი დაუურგოს 25, 33, 171 უმთავრესთა, უწარჩინებულესთა სისხლი უზლოს; მართალი სისხლი 20, 21 მართებული, კუთვნილი საზღაური; სისხლის საქმე 1 მკვლელობის საქმე.

სინარბე 90 ანგარება, ვერცხლის მოყვარეობა; სინარბით სარჩელის დამტკიცება 90 ანგარებით არაკანონიერი გადაწყვეტილებების გამოტანა.

სიძე: სიძე შვილებული 157 ზედსიძე, ჩამოსიძებული (რომელიც ჩამოსიძეს).

- სიძობა:** სეფე-ქალსა ზედა სიძობით შეწყენარება 72 მოახლეზე ზედსიძედ მიღება, ჩამოსიძება (რომ ჩამოსიძოს).
- სმევა:** თუ... კაცსა ასმიოდეს 120 თუ... კაცს ვაეგოს.
- სორახ-ი** (სპარს. სურად რასაც ეძებენ): რაჟამს სორახი ესმას 92 როდესაც გაიგოს, რომ ეძებენ.
- სოფელ-ი:** სოფელსა უწყინოს 67 სოფელი გაუძარცვოს, ზიანი მიუყენოს.
- სულ-ი** სულისა საურავად 82 სულის საცხონებლად, შესანდობრად.
- სწორი:** სწორი კაცი, იხ. კაცი; სწორის სწორამდინ 70 დათქმულ ვადამდის.
- სხვ-შვილი, სხვის-შვილი** 70 მოჯამაგირე.

ტ

- ტაზრეულ-ი, ტაძრეულ-ი:** ტაძრეული აზნაური 2, 28 მეფის ან პატრონის აზნაური, ვასალი; ტახტის აზნაური.
- ტაძრობილ-ი:** ტაძრობილი იყოს, თუ უტაძრო აზნაური 150 მეფის ანუ ტახტის აზნაური იყოს, თუ არ იყოს ტახტისა.

უ

- უარეა** 21 უარესია.
- უარია** 83 უელია.
- უარშო:** უარშო უყოს 23 გააწბილოს, სახელი გაუტეხოს, უწესო შეკადროს; უარშიოდ 49 გაუწყობლად, შეუწყობლად.
- უბან-ი:** უბანთა ზედა გაქიქება 86 საჯაროდ გაწბილება ქუჩებში, საქვეყნოდ შერცხვენა.
- უბედით** 36 უნებლიედ, უნებურად, უნდომლად, არა განზრახვით; უბედით და ბედითითა 36 უნებლიედ და ნებით.
- უბრალო:** უბრალო გაწბილება 86 ტყუილ-უბრალოდ შერცხვენა; უბრალო ცოლი 29 უდანაშაულო ცოლი.
- უბრკობელად** 40 სასამართლოს გარეშე, არა სასამართლოს წესით.
- უდახტუროდ:** უდასტუროდ დასწამა 86 უმართებულოდ დასწანა, ნამდვილი არ იყო და დასწამა.

- უზესთაეს-ი: უზეთაესმან ან უქვედაესმან 105 ზემდგომმა ან ქვემდგომმა.
- უზიარო: უზიაროა 78 არასაზიაროა, განუყოფელია, მთლიანად კუთვნილია.
- უთავადეს-ი: უთავადესთა სისხლი და უურავოს 25, 33, 171 უმთავრესთა, უწარჩინებულესთა სისხლი უზღოს.
- უთნევარ-ი 84 პირუთვნელი.
- უთნევლად 66 მიუყვარდობებლად, მიუდგომლად, განურჩევლად.
- ულამ-ი (მონღ.-თურქ.) „ცნობა და წიგნი (წერილი), რომელსაც გადასცემენ პირიდან პირში და ხელიდან ხელში. აგრეთვე ასე ეძახიან ცნობის (ამბის) მომტანსაც“. (განმარტება ჯოჯავაძისა ვლ. ფუთურიძემ ძველი განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით): ულამი გაართვას 66 ნასყიდობის წიგნი (საბუთი) მიუტანოს, აჩვენოს, მომსყიდველი უჩვენოს.
- უმზრახ-ი 38 უბარი, მომდურავი.
- უმონასტრო 3 მამულდამცრობილი აზნაური, რომელსაც ტაძარი, ციხე და მონასტერი არ ჰქონდა.
- უმოწმებლად 45 უდასტუროდ, უნებართვოდ.
- უმტკიცე: უმტკიცე იქმნების 60 უფრო მტკიცე, ნამდვილი იქნება, ძალაში იქნება.
- უნახშიროდ 123 სანახშიროს გადაუხდელად (შდრ. 162 მუხლი).
- უნდომად. უნდომლად 47 არა ნებით, ძალით.
- უპატიობა 97 უპატიურად პყრობა, პატივის შელახვა, შეურაცხყოფა.
- უპრიანვა 95 უმჯობესია, უკეთესია.
- ურუხ-ი: ურუხი ესმას 92 (ალბათ „ურუხი“ შერყენილი „სორახია“. იხ.).
- უსაბატო 33 არა-საპატიო (აზნაური).
- უსაბატოეს-ი: უსაბატოესი ცოლი 30 გვართ უფრო მაღალი წოდების, საპატიო ცოლი.
- უსამართლოდ 131, 147, 148 თვითნებურად.
- უსამშლელოდ 89 სამშლელოს (იხ.) გადაუხდელად.
- უსაქმო: უსაქმო კაცი 97 მძარცველი კაცი.

**უსაქმობა:** უსაქმობას მამულისა არაეინ ემართლების, 42 მამულის დაქერას, მამულის მფლობელობის ჩამორთვეას არაეინ ემართლება.

**უტაძრო:** უტაძრო აზნაური, იხ. აზნაური.

**უქვედაეხ ი 28** ქვემდგომი.

**ულირს-ი 131** მდაბიო.

**ულონიოდ 85** უცილობლად.

**უშიშობა 66** შიშის უქონლობა, დაუშინებლობა.

**უციხო:** უციხოს ქუაბს 33 აზნაური, რომელსაც ციხე არა აქვს, მაგრამ გაჩნია ქვაბი, ე. ი. კლდეში გამოკვეთილი, გამაგრებული საცხოვრებელი სახლი; უციხო-უმონასტრო იხ. აზნაური.

**უწესო:** უწესონი საქმენი (შესავ. ბეჟასი) დანაშაულობანი, ბოროტმოქმედებანი.

**უწიგნოდ** შესრულ იყვენენ 158 თავდაუწერლად შესულიყვენენ.

**უხამს-ი:** უხამსი თუ იყოს, არად შეჰოიღების 52 უეარგისი თუ იყოს, ანგარიშში არ ჩაითვლება.

**უხმარი:** უხმარი გასრული 72 დაუძღურებული, ძალისაგან დაცლილი.

### ფ

**ფას-ი:** ნაქმრის ფასი 54 გაკეთებულის, ნაშენების ფასი, შრომის გასამრჯელო; ფასის ჩამოშვება 95 ფასის დაკლება.

**ფიცი-ი:** ფიცი ულონიოდ წესია 85 ფიცი უცილობლად სკირდება, საჭიროა; ფიცით მინახვედრები 65 ფიცით ნაჩვენები, დამტკიცებული, დადასტურებული; ფიცით გამოიჩინოს 33 ფიცით აჩვენოს, დაამტკიცოს, დაიფიცოს; ფიცსა შინა დასახელება უნდა 37 ფიცისათვის საჭიროა მოფიცრის დასახელება.

**ფუჭე.** ფუძე: საგლებო ფუძე 56 გლების კარმიდამო, მიწა; ფუზის (ფუძის) მკვდრი 56 ადგილ-მამულის მფლობელი.

## ძ

ქადება: ქრთამის ქადებისათვის 99 ქრთამის დაპირებისათვის.

ქალ-ი: ქალის სამშობლო 46 ქალის საგვარეულო სახლი.

ქარაჯან-ი 65 საეკროდ მიმავალ მოგზაურთა ჯგუფი.

ქედ-ი: ქედთა ყოფა 22 მთაში ყოფნა, გარდახვეწა.

ქვემო: ქვემო ყოფა 61, გაღარიბება, დამცრობა.

ქვეყანა: ქვეყნისა წესი 43 სოფლის ალათი, ჩვეულება • (იხ. ქუეყანა).

ქვეშეთ-ი 3 ქვემდგომი (გვართ, მამულით ან საპატო ხელით).

ქმარ-ი: ქმარის შერთვა 81 გათხოვება.

ქმარყოფილ-ი 46 ყოფილი ქმარი.

ქოთლოსან-ი 9 გოდლოსანი, გოდლის ანუ კოშკის მქონებელ-მცველი; პატრონ-ათაბაგის საპატო მოხელე.

ქონება: სამამულესა (სამამულისა) ქონება 31 ადგილ-მამულის მფლობელობა; მამული 3 ქონდეს 42 მამულს ფლობდეს; მიწა წინდად 3 ქონდეს 43 დაგირავებულ მიწას ფლობდეს.

ქრთამ-ი ქრთამის აღება ბქისგან 90 მოსამართლის მიერ ქრთამის აღება; საურავისათვის ქრთამი 85 გასამრჯელო განსაგებელთა მოვლისა და ზრუნვისათვის; ქრთამის ქადებისათვის 99 ქრთამის დაპირებისათვის.

ქუაზი 33 გამოქვაბული, შდრ. უციხო.

ქუან: აქუნდეს 1, 150 ჰქონდეს.

ქუეყანა 67, 95, 169 მხარე, ეს სოფელი.

ქურ-ი: ქური ჯოგი 115 ცხენის ჯოგი.

## ღ

ღალატ-ი 33, 40, 59 მუხთლობა, დაუნდობლობა, გაცემა; სანივ-თო ღალატი გამოჩნდეს 59 თავდასხმა გაძარცვის მიზნით დადასტურდეს; ღალატად ანუ ცხადად 162 მალეით ან აშკარად.

ღარიბობა: ღარიბობას ყოფა 22, 40, 83 უცხოობაში ყოფნა. ღირსა (=ღირს არს) 18, 32, 68... ღირსია, უფლება აქვს, შეუძლია.

## ყ

ყაზანურ-ი: ყაზანური თეთრი (შესავ. ბექასი) ყაზან ყაენის (1295—1304) ვერცხლის მონეტა.

ყბედ-ი: 50 ენაქარტალა.

ყმა 35, 73, 74, 75, 76, 77 მიწაზედ მიმაგრებული გლეხი; ყმა 31, 44, 84, 148, 149 ვასალი, ხელქვეითი, ქვემდგომი; მკვიდრი ყმა 77 საკუთარი, შთაპომავლობითი ყმა; მომართებული ყმა 75, 78 მომართვით, თხოვნით შესული ყმა; ყმის დაქირვა 55, 74, 77 ყმის დაკაება, მისაკუთრება, მიჩემება; მსახურის ყმა 78.

## შ

შარვან-ი: შარვანის თეთრი 95 შარვანის ვერცხლის ფული.  
 შებეზლება: 85 დასმენა, დაბეზლება; საქრთამოსა შოები-სათვის შებეზლება 85 დასმენა გასამრჯელო ტყუილად გამომართვაო.

შებმა 49 ორთა-ბრძოლა.

შეგდება: ბქობით ამაღვერას შეაგდებს 27, 40 სასამართლოთი ვერაფერს განდება, სასამართლოს ვერ მიმართავს; საზღავსა ზედა შეგდება 95 ვალში გასაყიდი მპულის ნახევარი ფასის დაკლება.

შევედრება: შევედრებასა შიგან ექამოს 53 მიბარებული ადგილ-მამულის შემოსავლით ესარგებლოს; შევედროს 53, 87, 88 მიაბაროს.

შეზავება: შეეზავოს 74, 84 მორიგება, შეთანხმება, დაზავება.

შეზახება 40 დასმენა.

შეზახებულ-ი 40 დასმენილი.

შეზღვა: შეუზღოს 89 აუნაზღაუროს.

შთასადებელ-ი ლაშქართა წამავლისათა 34 საჩუქარი სალაშქროდ მიმავალი კაცისათვის.

შეკაზმვა 101, 145, 149 სანაცვლოს გადახდა, დაურევა.

შეკაცვა: ორად შეკაცოს 17, 97 ორკეცი საზღაური გადაუხადოს.

შეკუეთა: სარგებლის შეკუეთა 93 სარგებლის განსაზღვრა; შეკვეთით არაითქმოდ 25 გადაქრით განსაზღვრა შეუძლებელი იყო.

შეკუეთილ-ი 77, 79 განსაზღვრული, დადგენილი, გადაქრილი, გარკვეული.



შემაგრება შეუმაგრდეს 53 უარის თქმა, უარი უთხრას, წინ-  
აღუდგეს.

შემთხვევა 38 შეხვედრა.

შემოსხმა: შემოასხნენ 39 შემოიყვანონ, მოიწვიონ.

შენაცოდარ-ი 55, 58 დანაშაული, უმართებულო მოქმედება.

შეპურობა: ქელთა შეპურობა 18, 101, 102, 103, 104 თვით-  
ნებურად დაპატიმრება.

შერთვა: ქმარის შერთვა 81 გათხოვება.

შესაყივარ-ი 21 საძრახი, სამარცხენო.

შესახვა: ბრკეთ შეუსახნენ: მოსაწართლებმა დაასახელონ (?);  
განსაზღვრონ, დაადგინონ (?).

შესვლა: სასამართლოდ შესვლა 97 სასამართლოში წარ-  
დგომა; უწიგნოდ შესვლა 158 თავდაუწერლად შესვლა;  
წიგნით შესვლა 157 თავის დაწერა.

შესმენა: შეასმინოს 40, 131 დაასმინოს.

შეტანილ-ი: შეტანილი და დახვედრებულ-ი 157 მიტანილი  
და დახვედრებული; შეტანილი და ქირნახული 158  
მიტანილი და შრომით შენაძენი.

შეტუება 89 შეფასება, განსაზღვრა, დადგენა.

შეუბმელ-ი 40 უმტერო, არამოქიშპე, უომარი.

შეფიცვა: შეფიცოს ნაშენითა 140 შეფიცოს მთელი ოჯა-  
ხით, სახლეულითურთ.

შექცევა: 116 დაბრუნება, მიცემა; გარე შეაქციოს 25, 33  
უკან დაუბრუნოს.

შელირნება 58 დაფასება, ანგარიშში ჩაგდება, ჩათვლა.

შეყივლება: 50, 120, 145, 146 წაძახება, შეწამება, დაწამება.

შეყრა: საბჭოდ შეყრა იხ. საბჭო; შეეყრების 134 შეხვედ-  
ბა, გადახდება; სასამართლოდ შეყრა 18 სასამართ-  
ლოში წარდგომა.

შეცოდება 40, 59, 101, 103 დანაშაული, ცოდვის ქნა.

შეწყნარება 102 ნილება; შეწყნარება სიძობით 72 ჩამო-  
სიძება (რომ ჩამოსიძოს); შეწყნარება 161 მფარველობა-  
ში მიღება, მფარველობის აღმოჩენა.

შეწყობა 6, 39, 84 მოწყობა, მორიგება, შერიგება.

შთახადებელ-ი: ლაშქართა წამავლისათა შთახადებელ-  
ლი 34 საჩუქარი სალაშქროდ მიმავალი კაცისათვის.

**შოგბა:** საქრთამოსა შოგებისათჳს შებეზღება 85 დასმენა გასამრჯელო ტყუილად გამომართვაო; ძალისა შოგბა იხ. ძალი.

**შოგნა:** სამართლის შოგნა 51 კანონიერი გადაწყვეტილება, საქმის შოგება.

**შუა:** უზლოს შუათა დახედვითა 52 გადაუხადოს შუააკტა შეფასებით; შუა-მისრული კაცი 16 მეომართა გამაზავებელი, გამრიდებელი, გამშველებელი კაცი; შუათა დაჰხედნეს 83 შუააკტებმა, მედიატორებმა შეათასონ.

**შუა-შემოსლვა** 6 შუააკტთა ჩარევა, მონაწილეობა; კაკტთა შუა-შემოსლვითა 13 შუააკტთა ჩარევით, მონაწილეობით.

## ჩ

**ჩათრევა** 13 ერთ-ერთი სახე გამაწილებელი სასჯელისა.

**ჩამომცრობა** 3. ჩამოქვეითება, დაქვეითება.

**ჩამოსლვა:** კაკტთა შუა ჩამოსლვითა ჩამოუვიდეს 13, 39 დააკლოს შუააკტთა მონაწილეობით; შუა ჩამოვიდენ 39 შუაში ჩადგნენ.

**ჩამოშუება** 13, 49, 95 დაკლება; ჩამოშუებას შუანი არემართლებიან 49 შუააკტებმა არ უნდა დააკლონ.

**ჩართვა:** ქელის ჩართვა იხ. ქელი.

**ჩად** 90.

**ჩივილ-ი** 42 სარჩელი, საჩივარი.

## ც

**ცალკერძ-ი** 20 განცალკევებული, მართო.

**ცდა:** სიკუდილისა ცდა 134 მკვლელობის მცდელობა.

**ცეცხლ-ი:** ცეცხლი შეუდვას 168, 170 ცეცხლი წაუკიდოს, დაწვას.

**ცილება** 58 შეცილება, გამოსარჩლება, შედავება.

**ციხოსან-მონასტროსანი** 2, 28 ციხისა და მონასტრის მქონე აზნაური, იხ. აზნაური.

**ცოდვა** 134 ბოროტმოქმედება, ავისქნა, დანაშაული.

**ცოლ-ი:** ცოლის წაღება 135 ცოლის წართმევა, მოტაცება; ცოლის დაგდება იხ. დაგდება ცოლისა.

უსაბატოესი ცოლი 30 გვართ უფრო მაღალი, საპართო ცოლი; ცოლის წაგურა 27, 46, 47 ცოლის წართმევა; წამგვრელი ცოლის 46 ცოლის მომტაცებელი; უბრალო ცოლი, იხ. უბრალო.

ცოლწაგურილ-ი 47 ვისაც ცოლი მოსტაცეს, ცოლწართმეული.  
 ცუდია 60 ბათილია, ძალადაკარგულია, გაუქმებულია.  
 ცურა: თუალისა ცურა, იხ. თუალი.  
 ცხადად: ცხადად ანუ ღალატად 162 აშკარად ან მალვით.

ძ

ძალ-ი: ძალისა მსგავსი 40 საქმის ვითარების, შინაარსის შესაბამისად, მიხედვით; ძალისა შოება, 60 ძალით შოვნა, უკანონო გამოჩენა.

წ

წაგვრა (წაგურა) ცოლისა 27, 46, 47 ცოლის წართმევა, მოტაცება.  
 წამავალ-ი: ლაშქართა წამავალისათა შთასადებელი 34 საჩუქარი სალაშქროდ მიმავალი კაცისათვის.  
 წამგვრელ-ი, წამგურელ-ი: წამგვრელი ცოლისა 46 ცოლის მომტაცებელი.  
 წარმავალ-ი 71 წასული, გაქცეული.  
 წარმოღება 137 მოტაცება.  
 წარქცევა: წარქცევა ჯლეჯითა წინა 18 წინ წაგდება პანღურით, წიხლის კვრით.  
 წარჯღომა 63, 65, 67 დაკარგვა, ზარალის ნახვა, ხელიდან წასვლა (ზღრ. წაჯღომა).  
 წარჯღომილ-ი იხ. წაჯღომილ-ი.  
 წაღება: წაღება ქელის-ქელ 35 ხელდახელ ძალით წართმევა; მამულისა წაღება 40 მამულის წართმევა; საქმის წაღება, იხ. საქმე; ცოლი წაუღოს 135, 165 ცოლი წაართვას, მოსტაცოს.  
 წაჯღომა 35, 64, 172 ზარალის ნახვა.  
 წაჯღომილ-ი 65, 86 დაკარგული.  
 წახურვა: წახურვა მიცვალეხელისა 37 საქირისუფლო შეწევნა მიცვალეხელის დასაკრძალავად.

**წერა:** ვითაცა უწერია სისხლი 28 რა საზღაურიც აქვს გაჩენილი, დაწესებული.

**წერილ-ი** 60 ნასყიდობის, ბოძებისა და სხვა წერილობითი საბუთი, აქტი.

**წესი:** 20, 49 ადათი; ქვეყნის წესი 43 ქვეყნის (ამ სოფლის) ადათი, ჩვეულება; წესითა ირიგოს, იხ. რიგება.

**წვევა** 39 მოწვევა.

**წიგნ-ი** 60 წერილობითი აქტი, საბუთი, ხელწერილი; სასაქმე წიგნი 60 სხვადასხვაგვარი წერილობითი აქტი (იხ. სასაქმე); წიგნით შესვლა 157 თავის დაწერა; წიგნით აღება 95 ხელწერილით სესხება.

**წინდ-ი** 43, 44 საწინდარი, გირაო, «ვალისათვის მძევალი» (საბა).

**წინდულება, წინდულობა:** წინდულებისა წესითა არა დაედვას (არა დაექსნევინოს) 43 გირავნობის წესით არ გამოესყიდოს, არ დაეხსნას.

**წირვა:** წირვა დადვას 41 წირვა დაადოს, მიატოვოს.

**წყენა** 1, 67 ზიანი, ზარალი; აწყინოს 1, 48, 58, 67 ზიანი მიაყენოს.

ჟ

**ქალა** 43 ტყე (უმთავრესად წყლის პირას).

**ქამა:** აქამონ შემოსავლის ნახევარი 1, 4 აძლიონ შემოსავლის ნახევარი; ველარა ექამოს 83 არ მიეღოს, არ ესარგებლოს (მამულის შემოსავლით); ექმევინოს ვახში 95 სარგებელი,  $\frac{1}{2}$  მიეცეს, ეძლიოს; ვითაცა და ექმევინოს 83 როგორც ესარგებლებინოს, რაც მიეღოს.

**ქირნახულ-ი:** შეტანილი და ქირნახული 158 მიტანილი და შრომით ნაშოენი.

**ქირნახულობა** 72, 173 ღვაწლი, ნამსახურობა.

ხ

**ხან-ი:** ხანის გამოსვლა 42, 56, 61 ხანდაზმულობა, ვადის გასვლა.

**ხოსტაგ-ი** 20 პირუტყვი; ნივთი; «საქონელი და საყოფელი» (საბა).

**ხოსტაგიანი-ი:** ხოსტაგიანი ცალკერძი სახლი 20 პირ-  
უტყვის სადგომი, ბოსელი.

3

**ჯელ-ი:** ჯელთა დასხმა იხ. დასხმა; ჯელთა შეპყრობა 18,  
102, 103, 104 თვითნებურად დაპატიმრება; ჯელთა დარ-  
ჩენილი კაცი 91 ტყვე; ჯელთ მიცეს 92 გადასცეს,  
ჩააბაროს, დაუბრუნოს; ჯელთა მიცემა (დამნაშავესა)  
36, 113, 114 ბოროტმოქმედის გადაცემა დაზარალებულზე;  
ხელთავე აქვნიდეს 62 ხელზე აღმოაჩნდეს, ჰქონდეს.

**ჯელი-ი:** ჯელი არა ერთოს 68 ხელმოწერილი არ იყოს; ჯე-  
ლის ჩართვა 68 ხელისმოწერა, დამოწმება; ჯელ-  
ჩაურთავად 76 ხელმოუწერლად, დაუმოწმებლად.

**ჯელი-ი:** 7, 8, 9 თანამდებობა, სამსახური; ჯელის მქონე ბელი  
იყოს 104 თანამდებობის, სამსახურის მქონე იყოს; საჩინო  
ჯელი 9 საპატიო (თვალსაჩინო) სამსახური, თანამდებობა.

**ჯელად:** ჯელად გაცარცვა 123 პირადად, ხელდახელ გა-  
ძარცვა.

**ჯელდაჯელ:** ჯელდახელ წასხმა ჯოგისა 14 ჯოგის ძა-  
ლით წასხმა პატრონის დასწრებით; ჯელდაჯელ გარჯა  
126 ხელით შეხება.

**ჯელის-ჯელ** 35 ჯელდაჯელ.

**ჯელწიფება** ჯელეწიფების 57, 58 უფლება აქვს, შეძლება აქვს.

**ჯელ-ყოფა** 57 ხელის შეხება, წესის დარღვევა, მისაკუთრება.

ჯ

**ჯდომა:** საბჭოდ ჯდომა იხ. საბჭო.

**ჯვარგაცვლილ-ი:** ჯვარგაცვლილი საცოლვე 39 დანიშ-  
ნული საცოლვე.

**ჯღეჯა:** ჯღეჯით წარქცევა წინა 18 პანდურით, წიხლით  
წინ წაგდება.

**ჯოგ-ი:** ქური ჯოგი 116 ცხენის ჯოგი; ჯელდაჯელ წასხმა  
ჯოგისა 141 ჯოგის ძალით წასხმა.

# ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა . . . . . 5— 10

I. ზოგადი მიმოხილვა . . . . . 11— 35

II. სამართლის წიგნის შედგენილობა და სისტემა . . . 36— 80

§ 1. ბეჭე მანდატურთუხუცესისა და აღბულა ათაბაგ-ამირ-სპასალარის სამართალი 46—43. § 2. ბაგრატ კურაპალატის სამართალი 43—60. § 3. კანონიკური სამართლის ფრაგმენტი 60—63 § 4. ი. კარსტი სამართლის წიგნის შედგენილობის შესახებ 63—71. § 5. სამართლის წიგნის შედგენილობა 6—206 და S—3683-ის ხელნაწერების მიხედვით 71—78. § 6. სამართლის წიგნის სისტემა 76—80.

III. სამართლის წიგნის წყაროები. . . . . 81—125

§ 1. ადათობრივი სამართალი 81—99. § 2. კანონმდებლობა 99—114. § 3. საეკლესიო სამართალი 114—120. § 4. სამართლო პრაქტიკა 120—125.

IV. სანივთო სამართალი . . . . . 126—186

საკუთრების უფლება 126—152. საკუთრების უფლების შეძენა 152—168. საკუთრების უფლების დაკარგვა 168—177. გირავნობის უფლება 177—185.

V. საზღვლო სახეები. . . . . 186—259

სისხლი 188—207. პატივი 207—218. სამსახურის შექცევა 218—219. საპირო 219—221. სანახარო 221—223. გერში 223—227. ნაპარევის ორკეცი. საზღაური 227—231. გამაწილებელი სასჯელები 231—233. გაძევება 233—236. შეჩვენება და შერისხვა 236—239. სიკვდილით დასჯა 239—244. დამასახიჩრებელი სასჯელები 244—250. ხელთა მიცემა 250—253. ხელთა შეპყრობა. 253—254. მამულისაგან გაყენება 254—255. ჩამომცრობა 255.

VI. სასამართლო გამოცდა . . . . . 260—280

სამართლის წიგნები . . . . . 281—347

(ტექსტები)

ტექსტისათვის . . . . .	283—284
წიგნი სამართლისა კაცთა შეცოდებისა ყოვლისავე (ბექა მანდატურთ-უნუცესის სამართალი). . . . .	285—316
ალბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი . . . . .	317—334
ბაგრატ კურაპალატის სამართალი . . . . .	335—342
კანონიკური სამართალი . . . . .	343—345
დანართი. . . . .	346
ლექსიკონი. . . . .	<u>347—377</u>